ზაურ მჭედლიშვილი

თურქეთის საგარეო პოლიტიკა

ლექციების კურსი

II ნაწილი

IBSU Publications

IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თ უ რ ქ ე თ ი ს ს ა გ ა რ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ა

ლექციების კურსი

პუბლიკაციები

ავტორი: ზაურ მჭედლიშვილი

მთავარი რედაქტორი: ნიკა ჩიტაძე

რეცენზენტი: აკაკი აბზიანიძე

ტექნიკური რედაქტორი: გივი ამაღლობელი

დიზაინერი: გიორგი წამალაშვილი

გამომცემლობა: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტამბა: ვესტა

გამოცემის ნომ.: #18

ISBN 978-9941-8-4137-8

საქართველო, თბილისი

2022 წელი

თ უ რ ქ ე თ ი ს ს ა გ ა რ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ა

ლექციების კურსი

II ნაწილი

(XXI საუკუნე)

წინასიტყვაობა აღმოსავლეთმცოდნე ზაურ მჭედლიშვილის ნაშრომზე:

„თ უ რ ქ ე თ ი ს ს ა გ ა რ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ა“ (ლექციების კურსი)

თურქეთის როლი და ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე ეტაპობრივად იზრდება. აღსანიშნავია ჩვენი სამხრეთელი მეზობლის - როგორც რეგიონული აქტორის მნიშვნელობა შავი ზღვის რეგიონში.

ამავე დროს, თურქეთის „დიდი ოცეულის“ წევრობა ამ ქვეყანას გარკვეულ გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის უშუალო მეზობელთან სოციალ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში თანამშრომლობის განვითარება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ისეთ მნიშვნელოვან რეგიონულ ლიდერთან ურთიერთობა, როგორიცაა თურქეთი, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და შემდგომი სოციალ-ეკონომიკური განვითარების საქმეში.

თურქეთის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობის, აგრეთვე სამხედრო თუ ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, შეიძლებას ითქვას რომ ეს ქვეყანა როგორც შავი ზღვის, ასევე ხმელთაშუა ზღვის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებში, ასევე მთლიანობაში მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა ზაურ მჭედლიშვილმა განახორციელა მეტად მნიშვნელოვანი კვლევა თემაზე: „თურქეთის საგარეო პოლიტიკა“.

აღნიშნულ თემაზე წარმოდგენილი კვლევა და ლექციების კურსი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობების, აღმოსავლეთმცოდნეობის, უსაფრთხოების კვლევების, ქვეყანათმცოდნეობის, პოლიტიკური გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტებისთვის, მკვლევარებისთვის, მას-მედიის, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელებისათვის და ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც მომავალში ჩართულნი იქნებიან საქართველოს

დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საერთაშორისო სამართლებრივ ორგანიზაციებში, საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ორგანიზაციებში. ასევე, საზოგადოების წინაშე წარსდგებიან საერთაშორისო ურთიერთობების მიმოხილველებად, პოლიტოლოგებად,

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებად, ლექტორებად, პედაგოგებად. შეძენილი ცოდნის შედეგად მათ შეეძლებათ მაქსიმალურად დაიცვან საქართველოს ეროვნული ინტერესები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

აღნიშნული კურსის და კვლევის მიზანია, მოსმენილი ლექციების, სემინარების, ქვიზების, პრეზენტაციების, შუალედური და დასკვნითი გამოცდების წარმატებით დაძლევის შედეგად, კურსდამთავრებული საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ისეთ საკითხებში, რომლებიც უკავშირდება თურქეთის როლს და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში, მის ურთიერთობებს აშშ-სთან, ევროკავშირთან, რუსეთთან, ჩინეთთან, ნატო-სთან, ირანთან, თურქულენოვან სახელმწიფოებთან, ასევე მის გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესებს სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონებში და თანამშრომლობის პრიორიტეტებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბატონმა ზაურ მჭედლიშვილმა განახორციელა სიღრმისეული კვლევა, რომელიც დაწერილია გამართული ქართული ენით და მეტად საინტერესოდ იკითხება.

კვლევის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია საკუთარ სახელთა მაძიებელი, რომელშიც დეტალურადაა გადმოცემული ყველა იმ თურქი თუ უცხოელი პოლიტიკოსისა თუ დიპლომატის, ასევე მეცნიერის შესახებ ინფორმაცია, რომლებმაც თურქეთის ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანეს.

შეიძლება ითქვას, რომ ბატონ ზაურ მჭედლიშვილის მიერ მომზადებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სალექციო კურსის სახითაა წარმოდგენილი, გახლავთ მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო სიახლე და უდაოდ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს.

ნიკა ჩიტაძე

შავი ზღვის საერთაშორიუსო უნივერსიტეტის პროფესორი.

საერთაშორისო პოლიტიკის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

11 ნოემბერი, 2021 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 6

ლექცია 7 – თურქეთის სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში 10

ლექცია 8 – თურქეთი და ცენტრალური აზიის თურქულენოვანი ქვეყნები 44

ლექცია 9 – თურქეთისა და რუსეთის გეოპოლიტიკური ასპექტები 71

ლექცია 10 – თურქეთი და ბალკანეთი. კიპროსის პრობლემა 89

ლექცია 11 - თურქეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში 121

ლექცია 12 - თურქეთის და აშშ-ის ურთიერთობები.....183

ლექცია 13 - თურქეთი - ნატო. გზა ევროკავშირისკენ.....204

ლექცია 14 - თურქეთის ადგილი მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში 234

გამოყენებული ლიტერატურა 261

საკუთარ სახელთა საძიებელი (კომენტარებით) 263

ლექციების კურსი საგანში „თურქეთის საგარეო პოლიტიკა“

II ნაწილი

(XXI საუკუნე)

შესავალი

„ცივი ომის“ ეპოქის დასრულების შემდეგ თურქეთისთვის დაიწყო ახალ რეალობებთან ადაპტაციის პერიოდი, რაც გამოიხატებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა პარადიგმის ცვლილებით და ბიპოლარული მსოფლიო წესრიგის დასასრულით. XX საუკუნის 90-იან წლებში ქვეყნის პოლიტიკურ წრეებსა და მედია საშუალებებში ხშირად განიხილებოდა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ახალი ატმოსფეროს შექმნისა და ახალი მიმართულებების საკუთარი ხედვის საკითხები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილ ახლადშექმნილ თურქულენოვან სახელმწიფოებში, თურქეთი ცდილობდა შეექმნა კულტურული, საგანმანათებლო, ეკონომიკური და შემდეგ პოლიტიკურიც, ე.წ. „ინტეგრაციული ველები“, რომელთაც გრძელვადიანი მიზანი ჰქონდათ - თურქული ეთნოსის გაერთიანების პროცესი. ამ პროცესის აქტივიზაციისა და სტიმულირების მიზნით, თურქეთის ხელისუფლება არ იშურებდა ხმამაღალ, გამამხნევებელ ფრაზებს: მაშინდელმა პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა XXI საუკუნე „თურქეთის საუკუნედ“ გამოაცხადა, პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა კი - „ადრიატიკიდან ჩინეთის დიდ კედლამდე“ ვრცელ ტერიტორიას, თურქული სამყარო უწოდა. სულეიმან დემირელმა, ამას გარდა თურქეთს, „ახლადწარმოშობილი სუვერენული სახელმწიფოების კულტურული ცენტრი და მათი ისტორიული მაგნიტი“ დაარქვა.

აღნიშნულ პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორი, მთავრობათა ხშირ ცვლილებებზე იყო დამოკიდებული და „სახელმწიფოს გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკა“, ძირითადად ვერ ხორციელდებოდა ხელისუფლების პრაგმატული და მოკლევადიანი პოლიტიკის „დღის წესრიგში ჩაკეტვის“ გამო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გონივრულად გამოყენების შანსი, თურქეთის ხელისუფლებაში მოსულმა ყოველმა მთავრობამ, თავისებურად გამოიყენა. 90-იანი წლების დასაწყისში, პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელის მიერ გაცხადებული ფრთიანი გამოთქმა - „ადრიატიკიდან ჩინეთის დიდ კედლამდე“ - თურქული სამყაროს გაერთიანების იმედით, თურქეთის საგარეო ურთიერთობების ლექსიკონში გაჩნდა ტერმინი - „თურქული ერთიანობა“. ამის შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში პირველი ისლამური მიმართულების პრემიერ-მინისტრ ნეჯმეთინ ერბაქანის მმართველობის წლებში (1996-1997), ისლამური ვექტორის გააქტიურების ფონზე გაჩნდა ახალი ტერმინი - „ისლამური ერთიანობა“. XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ჯემის წარმატებული მუშაობის პერიოდში (1997-2002) გაჩნდა პროგრესული ტერმინი - „დასავლური ერთიანობა“.

XXI საუკუნის დადგომიდან, ანუ აჰმედ დავუთოღლუს ცნობილი ნაშრომის „სტრატეგიული სიღრმე“- ს გამოსვლისა და ავტორის სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ჩართვის შემდეგ (*2003 წლის გაზაფხულიდან პრემიერ-მინისტრის ხელეფ თაიფ ერდოღანის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში),* პოპულარული გახდა მისი გამოთქმის - „თურქეთისა და ოსმალეთის მემკვიდრეობის ერთიანობის“ -

ხმარება, რომელიც XXI საუკუნეში თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ იდეოლოგიურ, მამოძრავებელ ლოზუნგად იქცა და „ნეოოსმანიზმის“ იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

2002 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში ზომიერი ისლამურ-კონსერვატიული „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ (თურქულად: „Adalet ve Kalkınma Partısı“- AKP) გამარჯვების შედეგად ხელისუფლებაში მოსული მთავრობის საგარეო-პოლიტიკური კურსი, ძირითადად ოსმანიზმის იდეებზე იყო ორიენტირებული და დავუთოღლუს „სტრატეგიული სიღრმის“ დებულებებს ითვალისწინებდა. 2002 წლიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს, წარმოადგენდა იდეა, რომ იგი „დიდი მახლობელი აღმოსავლეთის“ რეგიონის დომინირებული ძალა გამხდარიყო, რეგიონისა, რომელიც მოიცავს ფართო გეოგრაფიულ სივრცეს ცენტრალური აზიიდან მაღრიბამდე *(ჩხდ. აფხიკის დასავლეთი ნაწილი ლიბიიდან მახოკომდე)*. 2001 წლის 9/11 ტერაქტებმა ნათლად გამოავლინა დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის გაჩენილი ბზარი *(ჰანთინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ კვალად)*, რაც გათვალისწინებულ იქნა თურქეთის ახალი ხელისუფლების მიერ, რომ ისლამურ სამყაროში ოსმალეთის იმპერიის კანონიერ მემკვიდრედ მოვლენილიყო და მოეპოვებინა ისლამური ქვეყნების პროგრესული ლიდერის სტატუსი.

ამგვარად, თურქეთი თავის თავზე იღებდა მისი საზღვრების მიმდებარე რეგიონებში (კავკასია, ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი) ურთიერთობების მოგვარების მთავარი მედიატორის და შუამავლის როლს. თურქეთის პოლიტიკური ელიტა აყალიბებდა ხედვას, რომელშიც ხაზს უსვამდა და ამტკიცებდა, რომ თურქეთს იგივე როლი განეკუთვნება, რასაც რეგიონში ადრე ასრულებდა ოსმალეთის იმპერია. დავუთოღლუს ნაშრომის მთავარი თეზისი გამოხატავდა აზრს, რომ „სტრატეგიული სიღრმე“ დაფუძნებულია, როგორც გეოგრაფიულ, ისე ისტორიულ სიღრმეზე. ამიტომ თურქეთი, როგორც ოსმალეთის იმპერიის ისტორიული მემკვიდრე, უზარმაზარ გეოგრაფიულ სიღრმეს ფლობს და ეს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სიღრმე, აძლევს საშუალებას თურქეთს, მრავალი გეოპოლიტიკური მოვლენების ცენტრში მოექცეს:

1. გეოგრაფიული სიღრმე - გულისხმობს თურქეთის გეოგრაფიულ მდებარეობას კავკასიის, ბალკანეთის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის მეზობლად;

2. ისტორიული სიღრმე - დაკავშირებულია ოსმალეთის იმპერიის და რეგიონის საერთო ისტორიასთან, რომელიც თურქეთს, მემკვიდრე-სახელმწიფოს რანგში, უნიკალურ მდგომარეობას უქმნის, რათა გამოიყენოს ეს პოზიცია, როგორც დიპლომატიური საშუალება.

დავუთოღლუს დასახელებულ ნაშრომში გაჟღერებულ ცნებაზე - „სტრატეგიული სიღრმე“, დაფუძნებულია თურქეთის მთელი საგარეოპოლიტიკური პრაქტიკა, რომელიც მმართველი პარტიის (AKP) პროგრამაში გულისხმობდა თურქეთის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის ადაპტაციას ახალ საერთაშორისო გამოწვევებთან, რომელზეც იგი მოახდენდა სწრაფ რეაგირებას და უზრუნველყოფდა თავისი საზღვრების უსაფრთხოებას, რეგიონული გავლენის მოპოვებასთან ერთად. დავუთოღლუს მიაჩნია, რომ ეფექტური რეგიონული პოლიტიკის გარეშე, თურქეთი ვერ შეძლებს, ვერც სტრატეგიული ნაბიჯების განხორციელებას გლობალურ დონეზე და ვერც დიპლომატიური ინიციატივების გამოვლენას ახლო აღმოსავლეთში, ხმელთაშუა ზღვისპირეთში, კავკასიასა და სპარსეთის ყურის რეგიონში. AKP-ის მმართველობის პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკის

არქიტექტორად აღიარებულ ა. დავუთოღლუს ეკუთვნის კიდევ ერთი საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია „მეზობლებთან ნული პრობლემები“, რომელიც უზრუნველყოფს ანკარის პოზიციების გამყარებას მეზობელ ქვეყნებში. პირველად „მეზობლებთან ნული პრობლემები“-ს შესახებ დავუთოღლუმ აღნიშნა ჟურნალში “Foreign Policy” 2010 წლის 20 მაისს გამოქვეყნებულ თავის სტატიაში, სადაც მან ჩამოაყალიბა 5 მთავარი პრინციპი, რომელსაც ანკარა იყენებს თავისი საგარეო პოლიტიკის თეორიული დასაბუთების მიზნით:

1. ბალანსის განსაზღვრა თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის;
2. პრინციპი „მეზობლებთან ნული პრობლემები“, რომელიც გულისხმობს ყველა რეგიონული ძალის ჩართვას მშვიდობიან პროცესში;
3. პრევენციული მშვიდობიანი დიპლომატია, რაც გააქტიურებს პოლიტიკურ დიალოგს უმაღლეს დონეზე;
4. მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკა, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ძირითად აქტორებთან ურთიერთსასარგებლო მოქმედებების წარმართვის საფუძველი;
5. საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიური მონაწილეობა, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო ფორუმების ეფექტურად გამოყენებას.

დავუთოღლუს აზრით, ყველა ზემოხსენებული პრინციპის საბოლოო მიზანია - „ახალი ტიპის თურქეთის“ შექმნა.

დავუთოღლუმ ასევე აღნიშნა, რომ „მეზობლებთან ნული პრობლემები“-ს პრინციპი არსებითად უკვე 7 წელია მოქმედებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რასაც მძლავრი იმპულსი მისცა 2003 წლის ერაყის საომარი მოქმედებების დაწყებამ. თურქეთის საგარეო პოლიტიკის აღნიშნულმა ვექტორმა, რომელსაც „მეზობლებთან ნული პრობლემები“ ეწოდება, უკვე ჩამოყალიბებული ტენდენციების ფორსირებული განვითარებისა და თურქეთის რეგიონული და გლობალური გავლენის გაძლიერების მცდელობის სახე მიიღო. ზემოხსენებული ახალი სტრატეგია, დავუთოღლუს თქმით, პირველ რიგში თურქეთის ახლო მეზობლებს უნდა შეეხოს.

XXI საუკუნის თურქეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურების პარალელურად, ხშირად იხმარება ტერმინი „ნეოოსმანიზმი“. ნეოოსმანიზმის კონცეფციის იდეოლოგად აჰმედ დავუთოღლუ ითვლება, რომელიც მასში გულისხმობს თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკის კავშირს ოსმალეთის ისტორიულ მემკვიდრეობასთან და მის მიზანმიმართულებას „ოსმალეთის წარსულის“ დაბრუნებისაკენ, თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით. ნეოოსმანიზმის სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენენ: ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ აფრიკა, კავკასია, ბალკანეთი, ცენტრალური აზია, ყირიმი. ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონები

დღევანდელი თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროს წარმოადგენენ და თურქეთის მთავრობის ნეოოსმანური პოლიტიკის გავრცელება აღნიშნულ რეგიონებზე, ხორციელდება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო დონეზე, რასაც საერთაშორისო ტერმინოლოგიაში „Soft Power“ პოლიტიკა ეწოდება *(ასეთი „ხბიღი ძაღა“, ჰომეღიც თუჰქეთის საგაჰეო პოღიტიკის შემადგენეღ ნაწიღად ითვღება - „იუნუს ემჰეს სახეღობის ინსტიტუტები“ გახღავთ, ჰომღებიც ღღეისათვის მსოფღიოს თითქმის 50 სახეღმწიფოშია გახსნიღი (თბიღისში გაიხსნა 2012 წეღს) და იქ მოსწავღეებს აცნობენ თუჰქუღ კუღტუჰას, ხეღოვნებას, ღიტეჰატუჰას, ისტოჰიას. ასევე ასწავღიან თუჰქუღ ენას. 2011 წეღს ღონდონში იუნუს ემჰეს ინსტიტუტის გახსნას ესწჰებოდა თუჰქეთის იმდჰოინდეღი პჰეზიდენტი აბდუღა გიუღი, ჰომეღმაც გახსნისას განაცხადა, ჰომ „ დიდი სახეღმწიფოები ახსებობენ ახა მხოღოდ დიპღომატიის დახმაჰებით, ახამედ - კუღტუჰუღი კაპიტაღითაც“. მან ასევე აღნიშნა, ჰომ „იუნუს ემჰეს სახეღობის თუჰქუღი კუღტუჰის ცენტჰები - თუჰქეთის „უხიღავი“ ძაღაა. ჩვენი კუღტუჰუღი მემკვიდჰეობის შენახჩუნება - ჩვენი სახეღმწიფოს უდიდესი მიღწევაა“).*

ამრიგად, „ნეოოსმანიზმი“, როგორც ეროვნული მოძრაობა თურქეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის გეოსტრატეგიული და საბაზო იდეოლოგიური მიმართულება გახდა, რომელმაც XXI საუკუნის პირველი დეკადის დასასრულს შეაბიჯა თავისი პოლიტიკური განვითარების აქტიურ ფაზაში. პირველ რიგში, ზემოხსენებული „ნეოოსმანიზმის“ ცნება გვაძლევს საშუალებას, რომ თანამედროვე თურქეთის, როგორც ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრის პოლიტიკა, ვაღიაროთ ისტორიულად და გეოპოლიტიკურად გამართლებულად, რომელიც ფლობს „სტრატეგიული სიღრმის პოტენციალს“. დავუთოღლუს ფართომასშტაბიანი პოლიტიკური კონცეფციები, თურქეთის სამთავრობო ელიტამ ენერგიულად აიტაცა და მიიღო გრძელვადიანი გლობალური მიზანმიმართული პროგრამა, რომ 2023 წლისათვის - რესპუბლიკის 100 წლისთავზე, თურქეთი აქციონ რეგიონის ძირითად, მყარ და ძლიერ სახელმწიფოდ. სწორედ აჰმედ დავუთოღლუმ დაარწმუნა ქვეყნის ხელისუფლება, როდესაც აცხადებდა თავის ნეოოსმანურ ხედვას „თურქეთს შეუძლია გახდეს მონათესავე ერების გამაერთიანებელი, ისევე როგორც ბრიტანეთის კავშირი მის ყოფილ კოლონიებთან,... რატომ არ შეუძლია თურქეთს აღადგინოს თავისი მმართველობა ოსმალეთის ყოფილ ტერიტორიებზე: ბალკანეთში, კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთში და ცენტრალურ აზიაში?“ *(აქვე შევნიშნავთ, ჰომ ოსმაღეთის იმპეჰიას, ცენტჰაღუჰი აზიის ჰეგიონის ტეჰიტოჰიაზე უშუაღო გავღენა, ანუ მმაჰთვეღობა აჰ ჰქონია. ამ ჰეგიონის ახღადშექმნიღ სახეღმწიფოებთან, დღევანდეღ თუჰქეთის ჰესპუბღიკას ეთნიკუჰი, ჰეღიგიუჰი და კუღტუჰუღი ნათესაობა აკავშიჰებს).*

ამრიგად, „ნეოოსმანიზმის“ არსი გამოიხატება, თურქეთის საგარეოპოლიტიკური როლის გაძლიერებით, რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.

ლ ე ქ ც ი ა 7

(სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ენერგეტიკული ფაქტორი. საქართველოს ადგილი თურქეთის რეგიონული ინტერესების ჭრილში. სტრატეგიული თანამშრომლობა აზერბაიჯანთან. ყარაბაღის პრობლემა და „სომხების გენოციდი“)

სამხრეთ კავკასიის რეგიონი მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კავკასია, საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა რეგიონის სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული დაპირისპირების სარბიელს. აღნიშნულ რეგიონში იკვეთება სატრანსპორტო გზები, ერთმანეთთან შეხება აქვთ სხვადასხვა კულტურულ და რელიგიურ მიმართულებებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, განსაკუთრებით აზერბაიჯანის ნახშირწყალბადის საბადოების მოპოვებისა და დივერსიფიკაციის გაკონტროლების მიზნით, გაიზარდა დასავლეთის ქვეყნების ინტერესები. ნატო-ს ალიანსის მნიშვნელოვანმა წევრმა თურქეთმა, როგორც რეგიონთან ახლოს მდებარე ქვეყანამ, გააააქტიურა თავისი პოლიტიკური რესურსი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობაში. თურქეთის პოლიტიკა კავკასიის რეგიონის მიმართ გამოირჩევა კომპლექსურობით, როგორც ეკონომიკური და ენერგეტიკული, ასევე კულტურული ინიციატივებით. განსაკუთრებით აქტიურად გამოკვეთა თურქეთმა, ენერგეტიკული ფაქტორი და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სამხრეთ კავკასიის მდიდარი ენერგორესურსების დივერსიფიკაციის საკითხში, რამეთუ თავისი ტერიტორიის გავლით, სტრატეგიული მილსადენების პროექტების რეალიზაცია მოახდინა. ამით მან, ენერგეტიკული ტრანპორტიორის საერთაშორისო სტატუსი მოიპოვა.

თურქეთის პოლიტიკის განსაკუთრებულობა მდგომარეობს მის მრავალმხრივ და მოქნილ დიპლომატიაში, რომელიც გამოიხატება როგორც ეკონომიკური სახის ინტეგრაციაში, ენერგეტიკულ თანამშრომლობაში, ასევე რბილ და ეფექტურ პოლიტიკაში, რომელიც ითავსებს ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ მსგავსებაზე დაფუძნებულ კულტურულ ერთობლიობას.

2002 წელს თურქეთის ხელისუფლებაში პროისლამური „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP მოსვლის შემდეგ, თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსი უფრო აქტიურად ამოქმედდა ისლამური სამყაროს მხარდაჭერისა და საერთაშორისო პოპულარობის მოხვეჭის იმედით. ევროკავშირთან ურთიერთობაში და დასავლეთის ქვეყნებთან მდგომარეობის თანდათანობით დაძაბვის გამო, თურქეთმა დაიწყო ახალი სტრატეგიის ძიება საკუთარი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების განმტკიცების მიზნით. აღნიშნულ სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კავკასიის ენერგორესურსების დივერსიფიკაციის პროექტებს და საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების საშუალებებს.

საქართველოსთან ურთიერთობების მნიშვნელობა

თურქეთის რესპუბლიკამ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად სცნო 1991 წლის 16 დეკემბერს. თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 21 მაისს, თბილისში. 1992 წლის 30 ივლისს თბილისში, საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ე.წ. ჩარჩო ხელშეკრულებას „მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“ *(ხელი მოაწერეს: თურქეთის მხრიდან - პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა; საქართველოს მხრიდან - სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ).*

საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური კრიზისი, ვინაიდან საბჭოთა ეკონომიკური სისტემა ცენტრიდან იყო მართული და სსრკ-ის მოკავშირე რესპუბლიკების წარმოების საშუალებების მუშაობა ერთმანეთზე იყო დამოკიდებული *(მაგალითად, თბილისის ცნობილ საავიაციო ქარხანას სამხედრო თვითმფრინავების შექმნისთვის საჭირო ნედლეული და მასალა, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეპუბლიკებიდან მიეწოდებოდა).* რესპუბლიკების მიერ სუვერენიტეტის გამოცხადებამ, ძველი საბჭოთა კომუნიკაციები მოშალა და ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ძალიან მძიმე ეკონომიკური კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა.

1992 წლიდან საქართველოს მეტად ძნელი დღეები დაუდგა და ამ დროს, მეზობელმა თურქეთმა დახმარების ხელი გამოუწოდა, ძირითადად საკვები პროდუქტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების მიწოდებით. 1993 წლის თებერვალში თურქეთის "Exim Bank" - მა შეღავათიანი პირობებით 50 მლნ აშშ დოლარის სესხი გამოუყო საქართველოს მთავრობას. 1994 წლის 12-13 იანვარს საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის პირველი ოფიციალური ვიზიტი შედგა თურქეთის რესპუბლიკაში, რომლის დროსაც თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან ერთად მრავალ მნიშვნელოვან ორმხრივ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. თურქეთის სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსთან, როგორც უახლოეს მეზობელთან ურთიერთობას და სერიოზულად განიხილავდა მასთან სტრატეგიული თანამშრომლობის დამყარებას. საქართველოში მრავალმა თურქმა ბიზნესმენმა და ინვესტორმა წამოიწყო თავისი საქმიანობა, რამაც ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკის წახალისებას და მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას. პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო, რომელიც დასავლური ცივილიზაციისკენ ისწრაფვის, ნატო-ს ალიანსის წევრ თურქეთში ხედავს იმ „ფანჯარას დასავლეთისკენ", რომელიც თანდათან საქართველოს მნიშვნელოვანი და წამყვანი რეგიონული პარტნიორი ხდება. თურქეთისთვისაც საქართველო, სამხრეთ კავკასიის რეგიონის მეტად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პარტნიორი ხდება, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, თურქულენოვანი მონათესავე ქვეყნებისკენ მიმავალ გზაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორია და სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, ყველაზე მოსახერხებელი, უმოკლესი და საიმედო მარშრუტია, თურქულ სამყაროსთან... და პირველ რიგში აზერბაიჯანთან დასაკავშირებლად.

1992 წლის 25 ივნისს მაშინდელი პრეზიდენტის თურგუღ ოზალის ინიციატივით სტამბოლში შექმნილი „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის" (BSEC) ორგანიზაცია, თურქეთის მხრიდან კიდევ ერთი საქმიანი გზავნილი იყო მეზობელი ქვეყნებისათვის ურთიერთობების დაახლოვებისა და რეგიონში სტაბილურობის გამყარების მიზნით. აღნიშნულ ორგანიზაციაში, საქართველო ძალზე აქტიურად ჩაება და წლების განმავლობაში, სტამბოლში განთავსებულ BSEC - ის გენერალურ სამდივნოს საქართველოს წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა.

თურქეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობის მილსადენის საუკუნის ენერგეტიკული პროექტების საქართველოს ტერიტორიით გაყვანის მხარდაჭერაში, რასაც საფუძველი ჩაეყარა 1998 წლის ანკარის შეხვედრაზე. საუკუნის პროექტად წოდებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების გეგმა დამტკიცდა და ხელი მოეწერა 1999 წლის 18 ნოემბერს, ეუთოს სამიტის მსვლელობის დღეებში სტამბოლში *(ხელი მოაწერეს: თურქეთის პრეზიდენტმა - სულეიმან დემირელმა; აზერბაიჯანის პრეზიდენტმა - ჰაიდარ აღიევმა; საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ; ყაზახეთის პრეზიდენტმა - ნურსულტან ნაზარბაევმა; უზბეკეთის*

პრეზიდენტმა - ისლამ კარიმოვმა; აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ენერგეტიკის საკითხებში - ჰიჩარდ მორნინგსტარმა, რომელიც 2012-2015 წლებში აშშ-ის ელჩი იყო აზერბაიჯანში).

1994 წლიდან თურქეთი, როგორც ნატო-ს აქტიური წევრი, შუამავლის როლს ასრულებს ნატო-საქართველოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში. მანამდე, 1993 წელს ქართული სამხედრო აკადემიის გახსნაში დიდი წვლილი შეიტანეს თურქმა სამხედრო პროფესიონალმა სპეციალისტებმა და სასწავლო პროცესშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

1996 წლის 4 აპრილს საქართველოსა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა „სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებას“, რომელიც ითვალისწინებდა თურქი სამხედროების მხრიდან ქართველი კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. ამასთანავე, აღნიშნული შეთანხმება ითვლება ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის ოფიციალურად გაფორმებულ დოკუმენტად. ამავე პერიოდიდან ორ ქვეყანას შორის სწრაფი ტემპებით დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა.

1998 წლის მარტში თურქეთის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის ვიზიტის დროს, მან საქართველოს შესახებ განაცხადა: „ ეს არის ქვეყანა, რომელთანაც თურქეთს საერთო ინტერესები გააჩნია და ამ მიმართულებით, თურქეთი გააფართოვებს თანამშრომლობას ყველა სფეროში“. იმავე წლის 15 აპრილს კი, თურქეთის არმიის გენერალურ შტაბსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის მოეწერა ხელი სამხედრო თანამშრომლობის საკითხებში ურთიერთგაგების მემორანდუმს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად თურქეთი დახმარებას გაუწევდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და ოფიცერთა კადრების საორგანიზაციო-მეთოდოლოგიური მომზადების საქმეში. ამავე პერიოდიდან ქართველ კურსანტებს შესაძლებლობა მიეცათ, ნატო-ს სტანდარტებით სწავლება და სტაჟირება გაევლოთ თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში. იმავე, 1998 წელს, თურქეთში სასწავლებლად გაემგზავრა ქართველ კურსანტთა პირველი ნაკადი. მას შემდეგ, თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში ყოველწლიურად სწავლებას გადიოდა 30-60 ქართველი სამხედრო მოსამსახურე.

2000 წლის ოქტომბერში ანკარაში ხელი მოეწერა მეტად მნიშვნელოვან პროტოკოლს, რომელიც გულისხმობდა თურქეთის მხრიდან სოლიდური ფინანსური გრანტის გამოყოფას მარნეულის სამხედრო აეროდრომის აღდგენა-მოდერნიზაციის მიზნით *(მარნეულის სამხედრო აეროდრომი საბჭოთა კავშირის დროიდან მოქმედებდა, მაგრამ ბოლო ხანს დაშლის პირას იყო მისული)*. თავის მხრივ, საქართველო ვალდებულებას იღებდა, რომ 5 წლის განმავლობაში მარნეულის აეროდრომი უზრუნველყოფდა თურქული თვითმფრინავების უფასო და რიგგარეშე მომსახურებას. თურქული მხარე წლების განმავლობაში ქართულ სამხედრო უწყებას შეღავათიანი პირობებით და ხშირად საჩუქრადაც, აწვდიდა სხვადასხვა სამხედრო-საპატრულო და სადაზვერვო დანიშნულების ტექნიკას.

განსაკუთრებით გააქტიურდა ორმხრივი ურთიერთობები: 2002 წლიდან თურქეთში „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“, ხოლო 2003 წლიდან საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. თურქეთი ინტენსიურად ჩაერთო საქართველოს სამხედრო სტრუქტურების რეფორმებისა და მშენებლობის პროექტებში, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს თანამედროვე სტანდარტებით აშენდა რამდენიმე მაღალი დონის სამხედრო ნაგებობა. ასევე, თურქეთის მხარემ დახმარების სახით, აქტიური

მონაწილეობა მიიღო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსული აგრესიის შედეგად დანგრეული და დაზიანებული სამხედრო ობიექტების აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაო ოპერაციებში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქული ინვესტიციების მოზიდვის შედეგად, აჭარის რეგიონის და განსაკუთრებით ქალაქ ბათუმის ინფრასტუქტურის განახლებული მშენებლობის პროცესს. 2010 წლის 17 მაისს ბათუმში გაიხსნა თანამედროვე ფეშენებელური სასტუმრო „შერატონის“ შენობა, რომელიც დააფინანსა ცნობილმა ლაზმა ბიზნესმენმა ნურეთთინ ჩარმიკლიმ. გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ თაიფ ერდოღანი. ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების სანიმუშო მაგალითია სარფის საბაჟოს განახლებული შენობის საზეიმო გახსნის ცერემონიალი 2011 წლის 30 მაისს, რომლის გახსნასაც ასევე დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი და თურქეთის პრემიერი რ. ერდოღანი. ორი ქვეყნის ლიდერთა პირადი თბილი ურთიერთობიდან გამომდინარე მოლაპარაკებების თანახმად, 2012 წლიდან საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ საზღვრის გადაკვეთისას პირადობის მოწმობის ელექტრონული ვერსია გამოიყენონ.

ბოლო წლებში, კერძოდ 2020 წლის ივნისში, თურქეთსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში დახმარების კიდევ ერთი ხელშეკრულება დაიდო, რომელიც გულისხმობს თურქეთის მხრიდან 100 მილიონი თურქული ლირის შესატყვისი აშშ დოლარის სესხის გამოყოფას, რათა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამხედრო აღჭურვის მიზნით თურქული წარმოების (100%) სამხედრო ტექნიკა და საჭირო კომპონენტები შეიძინოს.

თურქეთის მიერ საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენა, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოვების სურვილით იყო ნაკარნახევი, რომელიც თურქეთისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში ფეხის მოკიდების მოხერხებულ საშუალებად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან საქართველოსთან და აზერბაიჯანთან *(აზერბაიჯანის საკითხს მოგვიანებით ცალკე განვიხილავთ)* წმინდა გეოპოლიტიკური ნიშნით დამყარებული ურთიერთობები, აღნიშნულ რეგიონში რუსეთის გავლენის დაბალანსებისა და ნაწილობრივ შეკავების მცდელობად შეგვიძლია განვიხილოთ. აქედან

გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქეთის პოლიტიკური სვლები, მომავალში რეგიონში საკუთარი პოზიციების გამყარების კარგ შესაძლებლობად განიხილება. ამასთან ერთად, სამხრეთ კავკასიაში შექმნილი რეგიონული კონფლიქტები თურქეთის დიპლომატიას საშუალებას აძლევს აღნიშნული კონფლიქტების მოგვარების საკითხებში „ნული პრობლემების“ ეგიდით, შუამავლის როლი შეასრულოს *(იჰანის ბიჰთვუღი პჰოგჰამა, ყაჰაბაღის კონფღიქტი, სიჰია-ისჰაეღის დაპიჰისპიჰება)*, რაც ძირითადად მიმართულია იმისკენ, რომ სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში დომინანტურ ძალად დამკვიდრდეს.

თურქეთის რეგიონული საგარეო-პოლიტიკური აქტიურობის მნიშვნელოვან ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი. თურქეთის მთავრობის ოფიციალური რეაქცია აღნიშნული მოვლენის მიმართ და მის მიერ გადადგმულმა შემდგომმა ნაბიჯებმა დაგვანახა თურქეთის ახლებური საგარეო-პოლიტიკური მიდგომა რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში. უცნაური იყო, რომ ნატო-ს აქტიური და ძლიერი წევრი ქვეყანა - თურქეთი, არ მიუერთდა დასავლეთის ანტირუსულ პროპაგანდას - არ დაგმო რუსეთის აგრესიული და „არაპროპორციული“ ძალის გამოყენება საქართველოს მიმართ. თურქეთის ქმედება არც შემდეგში იყო გამართლებული *(ჩემი პიჰადი მოსაზჰებაა)*, როდესაც ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული აშშ-ის სამხედრო გემი, მონტრიოს კონვენციის პირობების მოშველიებით, არ გაატარა შავი ზღვის აკვატორიაში, რამაც ხმაურიანი კრიტიკა გამოიწვია დასავლეთში და “The Wall Street Journal”-ში დაიბეჭდა სტატია, მრავლისმეტყველი სათაურით “თურქეთი ტოვებს ნატო-ს?“, რომელშიც ანკარა პირდაპირ იქნა დადანაშაულებული ალიანსის ინტერესების ღალატსა და რუსეთთან ზედმეტად კეკლუცობაში. უფრო მეტიც, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, 12 აგვისტოს თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ერდოღანი მოსკოვს ეწვია და თავის კოლეგას პუტინს შესთავაზა „კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა“, რომელშიც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების გარდა მონაწილეობას მიიღებდნენ თურქეთი და რუსეთი. საგულისხმოა, რომ ერდოღანმა აღნიშნული „პლატფორმის“ პროექტი მანამდე გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს გააცნო და მასში აშშ - სა და ევროკავშირსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ამჯერად მოსკოვში წარდგენილ პროექტში ვაშინგტონი და ბრიუსელი აღარ მოიხსენიებოდნენ, რამაც დასავლეთის პოლიტიკურ კულუარებში გაკვირვება გამოიწვია.

ამრიგად, 2008 წლის კონფლიქტის შედეგად გამოწვეულმა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციამ და მის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის *(სამხჰეთ ოსეთის სახეღით)* დამოუკიდებლობის ცნობამ, რადიკალურად შეცვალა კავკასიის ადრინდელი პოლიტიკური კონსტრუქცია, რომელშიც თურქეთს, როგორც ნატო-ს წევრ ქვეყანას და აშშ-ის მოკავშირეს, დასავლეთის პოლიტიკური მტკიცე პოზიცია უნდა გაეზიარებინა.

თურქეთისთვის მნიშვნელოვანი და საგანგაშო გაკვეთილი გამოდგა ბაქო-თბილისი- ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის და ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენის სიახლოვეს რუსეთის ავიაციის მიერ განხორციელებული დაბომბვები *(თუმცა აჰაინტენსიუჰი)*, რომელთაც შეეძლოდ სერიოზული ზიანი მიეყენებინათ ამ საერთაშორისო მნიშვნელობის კომუნიკაციებისთვის *(ღიღი ხანძჰის გამოწვევა, ნავთობის და გაზის ღანაკაჰგები)* . ამის გამო, სერიოზული კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, ბრიტანული კომპანიის (BP) ოპერატორმა მიიღო გადაწყვეტილება დროებით შეეჩერებინა საწვავის მიწოდება ზემოხსენებულ მილსადენებში.

საგულისხმოა, რომ თურქეთს რამდენიმე დღით შეუწყდა საწვავის მიწოდება

აღნიშნული მილსადენებით და თურქეთის, მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ყოველდღიურმა ზარალმა 300 ათას აშშ დოლარს მიაღწია *(ცნობისათვის: ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი 2006 წლის ზაფხულს ამუშავდა და მისი სიგრძე 1768 კმ-ია. მისი გამტარიანობა დღეღამეში 1,2 მლნ ბარელი ნავთობია).*

ნავთობისა და გაზსადენების გარდა, საქართველოსა და თურქეთის დამაკავშირებელ მნიშვნელოვან კომუნიკაციას წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც შესაძლებელია ჩინეთის საერთაშორისო პროექტის „ ერთი სარტყელისა და ერთი გზის ინიციატივა“, ანუ ძველი „დიდი აბრეშუმის გზის“ შემადგენელი ნაწილი გახდეს *(ცნობისათვის: 2020 წლის 12 დეკემბერს სტამბოლის ჰაიდარფაშას რკინიგზის სადგურიდან ჩინეთის მიმართულებით სატვირთო მატარებელი გაემგზავრა, რომელმაც 12 დღეში ჩააღწია საბოლოო სადგურამდე).*

თურქეთი დაინტერესებულია საქართველოს სტაბილური მდგომარეობით, ვინაიდან საქართველო თურქეთისთვის პირველ რიგში ის სატრანზიტო ტერიტორიაა ტრანსრეგიონალური ეკონომიკური პროექტებისთვის, რომელთაც თურქეთი თავისი საერთაშორისო გავლენის გაზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრებს.

თურქეთი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით რეგიონის ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენს. ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის, თავისი სამხედრო პოტენციალით და სამხედრო კონტინგენტის რიცხოვნობით მეორე ადგილი უკავია აშშ-ის შემდეგ. ეკონომიკური პოტენციალით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რეიტინგში მე-16 ადგილი უკავია *(პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებით, 2023 წლისთვის თურქეთი მსოფლიო ეკონომიკური რეიტინგის პირველ ათეულში შესვლას გეგმავს).*

თურქეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების გზაზე დიდ იმედებს ამყარებს საქართველოზე, როგორც მეტად მნიშვნელოვან პარტნიორსა და სტრატეგიულად საიმედო ქვეყანაზე. საქართველო, თურქეთს მიიჩნევს რეგიონში თავის ნომერ პირველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორად, რაც დასტურდება იმით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე წარმატებით მოქმედებს თურქული ინვესტიციების დანერგვისა და თურქ ბიზნესმენთა აქტიური მოღვაწეობის წამახალისებელი კანონები. ასევე, ნაყოფიერად მუშაობენ თურქული თანამშრომლობის სააგენტო „TIKA”, იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტი, თურქული სასწავლო-საგანმანათებლო შპს „ჩაღლარი“ და სხვა დანიშნულების კერძო სტრუქტურები. მათთვის ყველანაირი პრივილეგირებული პირობებია შექმნილი წარმატებული მუშაობისა და ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებისთვის.

თურქეთში არიან ძალები, რომელნიც თურქეთის სახელმწიფოს წარმატებულ გეოპოლიტიკურ ნაბიჯებს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოს მაგალითზე, განიხილავენ „ეროვნული აღთქმის“ შინაარსის წინ წამოწევით და ამ ისტორიული დოკუმენტის განხორციელების მოთხოვნით. თურქეთის პრეზიდენტს და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებსაც თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში, პარტიულ აქტივისტებთან შეხვედრებზე, ახალგაზრდების ფორუმებსა და შეკრებებზე, პოპულარობისა და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების მიზნით, ხშირად უხსენებიათ „ეროვნული აღთქმის“ შინაარსი და მისი შესრულების პირობები.

თურქული ფირმებისა და ბიზნესმენთა ყველაზე აქტიური მოღვაწეობის ასპარეზს საქართველოში აჭარის რეგიონი წარმოადგენს, რომელსაც ზემოხსენებულ „ეროვნულ აღთქმაში“ ბათუმის ოლქის სახელით აქვს მიჩენილი ადგილი. 1920 წელს მიღებული დოკუმენტის თანახმად, ბათუმის

ოლქი, ისევე როგორც ყარსისა და არტაანის რეგიონები, თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოიაზრება და პლებისციტის ჩატარების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის არჩევანის მიხედვით გაირკვევა აჭარის ბედი.

თურქეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური და მეგობრული თანამშრომლობის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს აჭარის მომავალი. ცნობილია, რომ ბათუმში და მთლიანად აჭარაში ეკონომიკური ბერკეტები ძირითადად თურქულ ინვესტიციებსა და ბიზნესს უპყრია, პარალელურად დიდი გავლენით სარგებლობენ თურქული რელიგიური და კულტურულ-საგანმანათებლო დაწესებულებები. ისინი აჭარის მთიანეთში ახალგაზრდა თაობის მრავალ წარმომადგენელს მედრესეებსა და პანსიონებში კარგ საცხოვრის პირობებს უქმნიან რელიგიური სწავლა-განათლების მისაღებად, რაც იგივე "soft power" პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული აჭარის ახალგაზრდობის ნაწილი თურქეთში იგზავნებოდა ყურანის შემსწავლელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ, ნაწილი თურქეთში აგრძელებდა სწავლას, ნაწილი ბრუნდებოდა სამშობლოში და მაღალმთიან აჭარაში ახლადგახსნილ მეჩეთებში იმამის მოვალეობას ასრულებდა. აჭარაში, ახალგაზრდა თაობების ისლამურად განვითარებისა და აღზრდის მიზნით, თურქეთში ქართულად, მრავლად იბეჭდება ისლამური ლიტერატურა: „ყურანის მასწავლებელი"; „ჩვენი ლოცვის მასწავლებელი"; „ცოდნის წყარო"; „ ისლამის ილმიჰალი"; „ფეიღამბერის ცხოვრება" და სხ.

ასევე, მუშაობენ ე.წ. ისტორიკოს-მეცნიერები, რომელნიც ბეჭდავენ ტენდენციურ წიგნებს და ბროშურებს აჭარლების წარმომავლობაზე, სადაც „მეცნიერულად" ამტკიცებენ აჭარელთა არაქართულ ეთნიკურ კუთვნილებას, მათ ისტორიულად თურქული ტომისა და ისლამური სამყაროს შემადგენელ ნაწილად წარმოჩენის შესახებ *(ავტორი იუნუს ზეიხექი - „საქართველო, აჭარა და თურქეთი". ტრაპიზონი, 1999 წ. იგივე ავტორი - „აჭარა და აჭარელები". ანკარა, 2001 წ. ორივე თურქულ ენაზე).*

ხშირად თურქეთის სამთავრობო დონეზეც ხდება ისტორიული გადახრები, როდესაც 2010-2011 სასწავლო წლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში „აჭარის რეგიონი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული"?!... 2013 წლის 2 მარტს პარტიული აქტივის შეკრებაზე მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ „ალეპოდან სარაევომდე, ბენღაზიდან ერზურუმამდე და ბათუმამდე ტერიტორიები ერთი იმპერიის შემადგენლობაში იყვნენ, ახლაც დახმარების ხელი უნდა გავუწოდოთ ჩვენს ძმებს და კეთილი გულით, ყოველგვარი ძალის გამოყენებისა და გასროლის გარეშე, გავაერთიანოთ ისინი"... პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 2017 წლის 16 ოქტომბერს, მისივე სახელობის რიზეს უნივერსიტეტის ახალი სასწავლო წლის გახსნაზე განაცხადა, რომ „ჩვენ გულებში საზღვრები არ არის გავლებული, მაშ რატომ უნდა იყოს რიზე და ბათუმი, სხვადასხვა საზღვრებში მოქცეული"?!... ამას გარდა, ბათუმში მომუშავე ზოგიერთი თურქი ინვესტორი, ბიზნესმენი ან მეწარმე ხმამაღლა აცხადებს, რომ „ბათუმი, თურქეთის ნაწილია და ის რუსებმა მიიტაცეს თავის დროზე"?!...

მსგავსი განცხადებები, რა თქმა უნდა, ოფიციალურ დონეზე არ ჟღერდება და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე არც უნდა იმოქმედოს!

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი განხილვის საკითხი გახლავთ ე.წ. „თურქი მესხების" სამშობლოში დაბრუნებისა და მათი განსახლების პრობლემები.

1999 წლის 27 აპრილს საქართველოს, როდესაც ევროსაბჭოს წევრად მიიღეს, ერთ-ერთ აუცილებელ პირობად, 1944 წელს მესხეთ-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის ე.წ. „თურქი მესხების" უკან, თავის

სამშობლოში რეპატრიაციის საკითხის მოგვარება დაავალეს. საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, ევროპის საბჭოს წინაშე პირობა დადო, რომ საქართველოს მთავრობა ამ მტკივნეული საკითხის დადებითად გადაწყვეტას 12 წელიწადში მოახერხებს. საქართველოსა და თურქეთს შორის მაღალი დონის სამთავრობო შეხვედრებზე, თურქეთის მხარე მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საკითხს *(თუჩქეთი, 1949 წელს შექმნილი ევჩოპის საბჭოს დამფუძნებელი ქვეყანაა)* და დღის წესრიგში განსაკუთრებული განხილვის საგანი ხდებოდა, რაზეც სამწუხაროდ, ქართული მხარე საყოველთაოდ მიღებული, ტრაფარეტული ფრაზებით შემოიფარგლებოდა და საკითხიც გაურკვეველ, გაუცნობიერებულ მდგომარეობაში რჩებოდა. აღნიშნული საკითხის დაჩქარებულად და ყოველმხრივ შესწავლის გარეშე მოგვარება, ძალზე რთულ და სახიფათო ეთნიკური დაპირისპირების საგანი შეიძლება აღმოჩნდეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში *(სადაც დასახლებას მოითხოვენ 1944 წელს დეპოჩტჩიებული მოსახლეობის შთამომავლები),* დღეისათვის სომხური ეთნოსის ჭარბი მოსახლეობა ცხოვრობს და აღნიშნულ რეგიონში მათთვის არასასურველი თურქული მენტალიტეტის და ამასთანავე, მუსლიმური მრწამსის მქონე ეთნიკური მოსახლეობის ჩასახლებით, შესაძლებელია საქართველოს ისტორიული ძირძველი რეგიონი, კიდევ ერთი შეიარაღებული კონფლიქტის კერად გადაიქცეს.

თურქეთში კი, ე.წ. „თურქი მესხების“ საქართველოში რეპატრიაციის ვადის მოახლოვებასთან დაკავშირებით, აქტიურად ღვივდება ანტიქართული რიტორიკის შემცველი და ისტორიული სინამდვილის გაყალბების წამქეზებლური პროპაგანდა. თურქეთში დღეისათვის, 40 ათასამდე ე.წ. „თურქი მესხი“ ცხოვრობს, რომელთაც ადგილობრივი მთავრობა, საინფორმაციო საშუალებები, ოფიციალური დაწესებულებები და ხალხიც „ახალციხელ თურქებს“ (Ahıska Türkleri) უწოდებენ *(ტერმინი „Ahıska Türkleri“, 1960-იანი წლებიდან დაამკვიდჩა ანტიქართული სულით ცნობიერმა „მეცნიერმა“ და პიჩწავახდნიერმა პანთურქულმა იდეოლოგმა ფაჰრეთთინ ქირზიოღლუმ, ჩომელმაც „ისტორიის უზურპატორის“ კვალი დატოვა).* ყველაზე მიუღებელი ის გახლავთ, რომ ზემოხსენებული პროპაგანდისტული მანქანა აქტიურად ავრცელებს „Ahıska“ რეგიონის რუკებს, სადაც აღნიშნული სახელით მთელი რეგიონის ტერიტორიაა მონიშნული *(ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები).*

თურქეთის ხელისუფლება ძალზე სერიოზულად განიხილავს „ახალციხელი თურქების“ საქართველოში დაბრუნების საკითხს და თურქეთში ხელს უწყობს მათი დასაქმების, სწავლა-განათლების, კულტურულ-იდეოლოგიური განვითარების საკითხებს. 2000 - იანი წლებიდან ე.წ. „ახალციხელი თურქების“ საკითხებს კურირებდა სახელმწიფო მინისტრი მუსტაფა საიდ იაზიჯიოღლუ, ხოლო დღეს თურქეთის დიდ ეროვნულ მეჯლისში ცალკე კომიტეტია შექმნილი მათი „ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების პრობლემის“ მოგვარების მიზნით *(კომიტეტს ხელმძღვანელობს დეპუტატი ათაი უსლუ).*

თურქეთში შექმნილი „ახალციხელი თურქების“ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ 2001 წელს დაარსდა ჟურნალი „Ahıska“ (*2012 წლიდან „Bizim Ahıska“ - ჩვენი ახალციხე. კვარტალურად გამოდის წელიწადის დროების მიხედვით).* აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა, ძალზე სუბიექტურად და დამახინჯებულად ასახავს საქართველოს ისტორიული რეგიონების წარსულის ჭეშმარიტ სახეს. ჟურნალის რედაქტორი და მთავარი იდეოლოგიური მესაჭე გახლდათ პანთურქული იდეების და ანტიქართული ესსეების შემქმნელი იუნუს ზეირექი *(ფაჰრეთთინ ქირზიოღლუს მოწაფე და ფანი. წარმოშობით ფოცხოვიდან, შესაძლოა ქართული ფესვებითაც)*, რომლის სტატიების და ცალკე გამოცემული წიგნების შინაარსი, მოყვანილი ისტორიული ფაქტები და ტექსტების ტონალობა გამიზნულად აყალბებს საქართველოს ძირძველი

ისტორიული კუთხეების წარმომავლობისა და ჩამოყალიბების პროცესებს *(იუნუს ზეიხექი 2019 წელს გახდაიცვალა და ზემოხსენებული ჟურნალის გამოცემა დროებით შეჩერებულია).*

ძალზე აქტიურად მოქმედებს „მსოფლიო ახალციხელი თურქების საზოგადოება“, რომლის გენერალური მდივანი ფუათ უჩარი თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის მიერ გამართულ 1944 წლის დეპორტაციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ პლენუმზე, კიდევ ერთხელ მოუწოდებდა თურქეთის ხელისუფლებას, რომ იაქტიურონ „ახალციხელი თურქების“ ისტორიულ და მამა-პაპათა სამშობლოში დაბრუნების დაჩქარებაზე. ფუათ უჩარის გამოსვლის გარდა, სამშობლოში დაბრუნების პირობებზე ბევრს საუბრობენ ზემოხსენებულ ჟურნალში, სადაც ძირითადად იბეჭდება ე.წ. „ახალციხელი თურქების“ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა სტატიები და მოთხოვნები. საქმე იმაში გახლავთ, რომ 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც რეპატრიანტებს თავაზობდნენ საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ რეგიონში დასახლებისა და ადგილზე დაფუძნებისთვის შესაბამის სახელმწიფო დახმარებას. რეპატრიანტების ოფიციალური მოთხოვნა არის, რომ ისინი დააბრუნონ თავისი წინაპრების განსახლების ადგილებზე და გარდა საცხოვრისის მოწყობისა, მათი კომპაქტურად განსახლების ყველა დასახლებულ პუნქტში, თურქული სკოლებისა და სალოცავების (მეჩეთი, მიზგითი) ამოქმედების საჭიროება. მათი დაბრუნების პროცესის გაუმჯობესებისა და ხელის შეწყობის მიზნით, დაგეგმილია ახალციხეში ოფისის შექმნის, კულტურული ცენტრის გახსნისა და პერსპექტივაში ახალციხეში თურქული უნივერსიტეტის გასნაც. ამ საკითხების კოორდინაციის მიზნით, ახალციხეში გახსნილია, საქართველოში მოქმედი „TIKA“-ს *(თუჰქული თანამშრომლობისა და აღოჰძინების სააგენტო)* ფილიალი.

თურქეთი, სტრატეგიული თვალსაზრისით დაინტერესებულია მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში თურქული და ისლამური მენტალიტეტის მქონე მოსახლეობა განთავსდეს. ვინაიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, შაჰდენიზ-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი და ახლქალაქი-ყარსის სარკინიგზო მონაკვეთიც აღნიშნულ რეგიონზე გაივლის, თურქეთისთვის სასიცოცხლო მნიშნელობას იძენს ზემოხსენებული სტრატეგიული მაგისტრალების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. 2008 წლის ომის დროს, რუსეთის ავიაციის მიერ განხორციელებულმა მიზნობრივმა დაბომბვებმა, თურქეთის ხელისუფლება დაარწმუნეს, რომ რეგიონში თურქული ეთნოსით დასახლებული ე.წ. ბუფერულის ზონის შექმნა აუცილებელი ხდება, რათა რეგიონზე გამავალი ენერგოსადენებისა და სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვა სანდო და ერთგული ძალების კონტროლის ქვეშ იყოს. სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკული მილსადენებისა და სარკინიგზო მაგისტრალების წინააღმდეგ სავარაუდო ტერაქტებისა და დივერსიული ქმედებების საფრთხე მუდამ არსებობს *(2008 წლის ომმა უკვე აჩვენა ასეთი საფრთხის არსებობა).*

ამ მიზნით თურქეთი გეგმავს, რომ მილსადენების გამავალი რეგიონის ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფების მოსამზადებელი სპეციალური სამხედრო პროგრამები განახორციელოს *(აღბათ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვით).*

2021 წლის 1 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა თურქეთს და ანკარაში საზეიმო დახვედრის შემდეგ, მეტად სასარგებლო და პოზიტიური მოლაპარაკებები გამართა თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანთან. შეხვედრებზე განხილულ საკითხთა შორის დიდი ყურადღება გამახვილდა

მრავალმილიონიანი თურქული ინვესტიციების განხორციელების ტემპებსა და სატრანსპორტო-კომუნიკაციური დერეფნების მნიშვნელობის გაზრდაზე. თურქეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს ნატოს ალიანსში გაწევრიანების გზაზე, თავის მხრიდან აქტიური დახმარების გაწევის შესახებ და თურქეთის მიერ, გაეროში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მუდმივად მხარდაჭერის მზადყოფნაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით.

თურქეთ-აზერბაიჯანის სტრატეგიული კავშირი

თურქეთის შემოსვლის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დამოუკიდებელი თურქულენოვანი სახელმწიფოს - აზერბაიჯანის რესპუბლიკის წარმოშობა იყო, რომლის დამოუკიდებლობაც თურქეთმა 1991 წლის 9 ნოემბერს აღიარა. 1992 წლის 14 იანვარს ბაქოში, საზეიმო ვითარებაში მოეწერა ხელი აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ხელშეკრულებას. ორ მოძმე ქვეყანას შორის დაწყებულ ორმხრივ ურთიერთობებში, თურქეთმა პირველივე დღეებიდან აზერბაიჯანს ძირითადად სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის დახმარება გაუწია, რასაც მოჰყვა კულტურულ-საგანმანათებლო, სამრეწველო, ტექნიკურ, სამშენებლო, სოფლის მეურნეობის, საკომუნიკაციო და სამხედრო სფეროს განვითარება.

აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ინტენსიური განვითარების აუცილებლობა დაკავშირებული იყო ყარაბაღის კონფლიქტის ფაქტორთან, ვინაიდან აზერბაიჯანს ძალზე ესაჭიროებოდა სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერა გარეშე ძალების მხრიდან, რომელიც თურქეთის სახით გამოჩნდა და სამხედრო თანამშრომლობის შესაძლებლობა, თურქეთის საგარეო პოლიტიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი „რბილი ძალის“ საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის რეალიზაციისთვის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილ ახალ გეოპოლიტიკურ რეალიებში.

1992 წლისთვის ყარაბაღის ომში აზარბაიჯანმა თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა და მაისისთვის სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ნახჭევანსაც შეუტიეს, რაზეც თურქეთის მეჯლისმა 18 მაისს დადგენილება მიიღო აზერბაიჯანის სამხედრო ძალით დახმარების შესახებ *(ყახსის ხეღშეკხუღების თანახმად).* რუსეთმა, რომელიც სომხეთის მხარეს ეხმარებოდა, 20 მაისს თურქეთი გააფრთხილა, რომ მის ჩარევას ამ კონფლიქტში, შეიძლება „მესამე მსოფლიო ომი“ მოჰყოლოდა. აზერბაიჯანის უუნარო მთავრობის გადადგომის შემდეგ, ხელისუფლებაში მოვიდნენ „სახალხო ფრონტის“ ძალები და 1992 წლის ივნისის არჩევნებში, პრეზიდენტად აირჩიეს „სახალხო ფრონტის“ ლიდერი აბულფაზ ელჩიბეი, რომელსაც თურქეთის „პანთურქული“ ძალები თანაუგრძნობდნენ. მანამდე, 1992 წლის მაისში აზერბაიჯანს ეწვია თურქეთის საკმაოდ „მძიმეწონიანი“ დელეგაცია: პრეზიდენტი - თურგუთ ოზალი; პრემიერ-მინისტრი - სულეიმან დემირელი; საგარეო საქმეთა მინისტრი - ჰიქმეთ ჩეთინი; „ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის“ და პანთურქული მოძრაობის „რუხი მგლების“ ლიდერი - ალფარსლან თურქეში. თურქეთის მთავრობის ასეთი წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა აზერბაიჯანში „ბაქოს ქუჩებში მასიური სახალხო ზეიმი გამოიწვია და „სახალხო ფრონტს“ მეორე სუნთქვა შთაბერა“. თურქული მხარის მიერ „სახალხო ფრონტის“ ასეთმა აშკარა მხარდაჭერამ, გადაწყვიტა ელჩიბეის გამარჯვება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. ელჩიბეის აზერბაიჯანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თურქულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. 1992 წლის ივნისში ელჩიბეიმ თავისი პირველი ვიზიტი თურქეთში განახორციელა და თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ

აზერბაიჯანი ათათურქის გზით მიდის და კვლავ გაუსვა ხაზი იმას, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისთვის აუცილებელია „თურქული მოდელის“ რეალიზაცია. ამავე წელს ა. ელჩიბეიმ ღურქეთის რჩევით, აზერბაიჯანული ენის ალფაბეტი კირილიცადან, ლათინურ შრიფტზე გადაიყვანა *(თუჩქუღი ტჩანსკჩიპციის მიხედვით).*

1992 წლის აგვისტოში ანკარაში დაიდო თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო მომზადების სფეროში თანამშრომლობის პირველი სამხედრო შეთანხმება. ამან ხელი შეუწყო მომავალი ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივებს. ამას გარდა, პრეზიდენტი თურგუთ ოზალი ხშირად იმეორებდა, რომ თურქეთმა უეჭველად უნდა დაუჭიროს მხარი აზერბაიჯანს „მთიანი ყარაბაღის საკითხში“. ყარაბაღის კონფლიქტი გახდა გადამწყვეტი ფაქტორი თურქეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივი რეგიონული პოლიტიკის განსაზღვრაში. ყარაბაღის პრობლემამ და თურქეთის სომხეთთთან მოუგვარებელმა ურთიერთობამ, უფრო გაამყარა თურქეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოებრივი კონსოლიდაციის პროცესი და წარმოშვა ორი ქვეყნის საერთო რეგიონული სტრატეგია, რომელიც მიმართული იყო სომხეთის პოლიტიკური იზოლაციისკენ. 1992 წელს თურქეთმა შეწყვიტა სომხეთთან ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობები, ხოლო 1993 წელს საერთოდ ჩაკეტა თურქეთ-სომხეთის საზღვარი. აზერბაიჯანში მოქმედმა ძალებმა აბულფაზ ელჩიბეის „პანთურქული“ იდეალები და საერთო თურქული გაერთიანების იდეები ცოტა უტოპიურად მიიჩნიეს და 1993 წლის ივნისში სამხედრო გადატრიალების შედეგად, იგი ჩამოაშორეს პრეზიდენტობას *(სექტემბეჩში თვითონ გადადგა).*

თურქეთიც თითქოს იოლად შეელია ელჩიბეის გადადგომას, რომლის მოსვლასაც ისინი მიესალმებოდნენ. საქმე იმაში გახლავთ, რომკ 1993 წლის აპრილში თურგუთ ოზალის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, 16 მაისს თურქეთის პრეზიდენტად არჩეულ იქნა სულეიმან დემირელი. თუ თურგუთ ოზალი პანთურქული იდეების მომხრე და გამტარებელი პოლიტიკოსი იყო, სულეიმან დემირელი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით პრაგმატიკოსი, პოლიტიკური რეალიზმის მომხრე, ევროანტლანტური ინტეგრაციის და მრავალვექტორიანი საგარეო პოლიტიკის განვითარების დამცველი გახლდათ. სულეიმან დემირელი მთლად არ უარყოფდა „პანთურქიზმის“ იდეებს, იგი მას უფრო „რბილი ძალის“ ინსტრუმენტად მიაჩნდა, როგორც პოლიტიკური პარტნიორობის იდეოლოგიური ბაზა. ელჩიბეის პოლიტიკა დემირელის არცერთ საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციას არ პასუხობდა. როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს, მას ესმოდა, რომ მსოფლიო სხვა სიბრტყეზე აღმოჩნდა, სადაც იდეოლოგიური კონფრონტაცია, პოლიტიკური პრაგმატიზმით უნდა ჩანაცვლდეს. აზერბაიჯანთან თანამშრომლობა დემირელის პოლიტიკაში, თურქეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად ღერძს წარმოადგენდა. 1993 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ახლადარჩეული პრეზიდენტი ჰაიდარ ალიევი. ჰ. ალიევი აქტიურად შეუდგა თურქეთთან ორმხრივი ურთიერთობებისთვის ახალი და მყარი საფუძვლის შექმნას. საგარეო პოლიტიკაში ჰ. ალიევმა მთავარი აქცენტი გლობალურ, პირველ რიგში კი ენერგეტიკულ პროცესებში, ინტეგრაციაზე გააკეთა. ენერგეტიკული სექტორის განვითარებისთვის აზერბაიჯანს სჭირდება მყარი საგარეოპოლიტიკური გარემოცვა და მეგობრული ურთიერთობები მეზობლებთან. ამ სიტუაციაში აუცილებელი იყო თურქეთთან მეგობრული ურთიერთობების გაღრმავება და თურქეთისთვის, მრავალმხრივი თანამშრომლობის ხელსაყრელი რეგიონული სივრცის შექმნა. 1993 წლის დეკემბერში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის ბაქოში ვიზიტის დროს ჰ. ალიევმა მონიშნა აზერბაიჯანულ-თურქული მომავალი თანამშრომლობის კონტურები და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტში მთავარი მარშრუტი თურქეთზე გაივლის, რაც ამ თანამშრომლობას უფრო გააფართოვებს. 1994 წლის 8-11 თებერვალს ჰაიდარ

ალიევი პირველი ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთს. აზერბაიჯანის პრეზიდენტი შეხვდა ქვეყნის პირველ პირებს, ეროვნულ მეჯლისში გამოსვლისას ხაზი გაუსვა თურქეთ-აზერბაიჯანის ისტორიულ და ნათესაურ ერთობას, რაც თურქეთის ხელისუფლებამ პოზიტიურად აღიქვა *(აქედან წამოვიდა ჰაიდარ აღიევის გამოთქმა „ეროი ეროი - ოხი სახელმწიფო“, რომელიც თითქმის ღოზუნგად და დოქტრინად იქცა).*

1994 წელს შეიქმნა კონსორციუმი კასპიის ზღვის აზერბაიჯანულ სექტორში ნავთობის მოპოვების უფლებით. 1995 წელს ენერგეტიკული პოლიტიკის აქტივიზაციის მიზნით ხელი მოეწერა შეთანხმებას, ბაქოდან ჯეიჰანის პორტამდე ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. მოგვიანებით აღნიშნულ პროექტს საქართველოც მიუერთდა და მომავალმა პროექტმა მიიღო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სახელი. *(აღრე ავღნიშნეთ, რომ 1999 წელს აღნიშნული პროექტი მთავრობათაშორის შეთანხმების პაკეტის ხელმოწერით დაასრულეს აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის სახელმწიფოთა მეთაურებმა).* თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების გაღრმავების შესანიშნავი მაგალითია 1997 წლის 5 მაისს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰაიდარ ალიევის ანკარაში განხორციელებული ვიზიტი, რომლის დროსაც ხელმოწერილ 8 ხელშეკრულებიდან ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, სტრატეგიულ სფეროში დეკლარაციის სახით მიღებული შეთანხმება იყო. აღნიშნული შეთანხმების მეორე მუხლში, მხარეები გმობდნენ სომხეთის რესპუბლიკის თავდასხმას აზერბაიჯანის რესპუბლიკაზე და უტყუარად აღიარებდნენ მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის განუყოფელ ნაწილად, კატეგორიულად მოითხოვდნენ სომხეთის შეიარაღებულ ძალებს სასწრაფოდ და უპირობოდ დაეცალათ ყარაბაღის ტერიტორია, თანაც ლტოლვილი და გაქცეული მოსახლეობის თავის სახლებში დაბრუნება უზრუნველეყოთ. მესამე თავში კი, მხარეები მოითხოვდნენ, მთიანი ყარაბაღი აღდგენილიყო აზერბაიჯანის საზღვრებში ძალიან ფართო ავტონომიური უფლებებით, ადგილობრივ მოსახლეობას აზერბაიჯანი შეუქმნიდა მათი მოთხოვნილების შესაბამის სრულ პირობებს, რაც რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ნიმუში გახდებოდა.

XX საუკუნის დასასრულს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის გამყარდა სამხედრო და ენერგეტიკული თანამშრომლობა, რაც ორივე ქვეყნის მიერ განიხილება, როგორც ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება. თურქეთი რეგიონში იმ ალტერნატიულ ძალად იქცა, რომელთანაც აზერბაიჯანს ჰქონდა საერთო ინტერესები თანამშრომლობის მრავალ სფეროში.

თუ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხზე აზერბაიჯანი და თურქეთი გადაწყვეტილების დიპლომატიურ მეთოდებს უჭერდნენ მხარს, 2004 წლიდან დაწყებული კონფლიქტის მოგვარების მილიტარისტული მიდგომების ელემენტები გახშირდა. ეს დაკავშირებული იყო თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო-ტექნიკური და სამართლებრივი მოლაპარაკებების ბაზის გამყარებასთან და ასევე ფართომასშტაბიანი ენერგეტიკული დერეფნების დაგეგმვით ევროპის მიმართულებით, რამაც თურქეთ-აზერბაიჯანის კავშირებს სტრატეგიული საფუძველი შეუქმნა. 2006 წლიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (*ნავთობის)* და შაჰდენიზ-თბილისი-ერზურუმის *(ბუნებრივი აირის)* ენერგოსადენების ამუშავების შემდეგ, თურქეთის, როგორც ენერგეტიკული დერეფნისა და ტრანზიტული ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი უფრო გამყარდა, რასაც თურქეთის კავკასიური გეოპოლიტიკური ინტერესების რეგულაციების გააქტიურება მოჰყვა. მართალია, 2008-2009 წლების თურქეთ-სომხეთის დიპლომატიური დაახლოვების პროცესმა, აზერბაიჯანთან კავშირები საკმაოდ დაძაბა, მაგრამ 2010 წლისთვის ვნებათა ღელვამ გაიარა *(ზემოხსენებული დიპლომატიური ნაბიჯების შესახებ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ქვეთავში დაწვრილებით ვისაუბრებთ).*

დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა გახმაურებული „NABUCCO“-ს

გაზსადენის იდეამ. 2004-2006 წლებში შემუშავდა მაგისტრალური გაზსადენის „ნაბუქო“ მშენებლობის გეგმა ირანის, თურქმენეთის გაზის საბადოებიდან, აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით, თურქეთის საშუალებით დასავლეთ ევროპაში გაზის ტრანსპორტირების მიზნით. გაზსადენის საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 26-32 მლრდ კუბ. მეტრი გაზის გატარებას გულისხმობდა. აღნიშნული გაზსადენის შესავსებად იგეგმებოდა ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობა კასპიის ზღვის ფსკერზე თურქმენეთსა და აზერბაიჯანს შორის *(ხუსეთი წინააღმდეგ გამოვიდა კასპიის ზღვის ეკოლოგიის დაცვის საბაბით, სინამდვილეში აღნიშნული მაგისტრალი ხუსეთის გაზსადენის „ცისფერი ნაკადის“ კონკურენტი ხდებოდა).* „ნაბუქო“ მშენებლობის დაწყება 2011 წელს იყო დაგეგმილი, ხოლო დასრულება 2014 წელს. მაგრამ ყოველწლიურმა ფასების მატებამ და გაზის მიწოდების შესაძლებელმა პრობლემებმა, რამდენჯერმე გადასწია გაზსადენის მშენებლობის დაწყების თარიღი.

„თბილისის სამიტი 2014“ - ილჰამ ალიევი, გიორგი მარგველაშვილი, აბდულა გიული

ბოლოს, თურქეთმა და აზერბაიჯანმა 2012 წელს მიიღეს გადაწყვეტილება განეხორციელებინათ „ტრანსანატოლიის გაზსადენის“ (TANAP) მშენებლობა, რომელიც შაჰ-დენიზ-თბილისი-ერზურუმის გაზსადენს ერზურუმიდან გააგრძელებს საბერძნეთის საზღვრამდე და იქიდან სერბეთსა და იტალიასაც მისწვდება *(აღნიშნული გაზსადენი 2018 წელს გაიხსნა, ხოლო 2019 წლის 30 ნოემბერს საბერძნეთის საზღვარზე იპსალასთან „ტრანსადრიატიკულ გაზსადენს“ მიუერთდა).* აზერბაიჯანი-თურქეთის ურთიერთობების განსაკუთრებული დაახლოვების თავისებური ბიძგი გამოდგა 2010 წლის 16 აგვისტოს ბაქოში ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელმაც გახსნა ორმხრივი ურთიერთობების ახალი ეტაპი და აზერბაიჯანისა და თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა *(ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: თურქეთის მხრიდან - პრეზიდენტმა აბდულა გიულმა; აზერბაიჯანის მხრიდან - პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა).* ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალზე ბაქოს „გულისტანის“ სასახლეში პრეზიდენტებმა ხელმოწერილ დოკუმენტს უზარმაზარი მნიშვნელობა მიანიჭეს. ილჰამ ალიევმა მას „ჩვენი კავშირების მომავალი განვითარების ისტორიული დოკუმენტი“ უწოდა. ხოლო აბდულა გიულმა აღნიშნა „ეს ხელშეკრულება ძალზე მნიშვნელოვანია მთელი რეგიონისა და მსოფლიოსთვის. ამ დოკუმენტში გამოხატული სურვილები მშვიდობას, სტაბილურობას, სიმშვიდეს მოიტანენ და დიდ ეკონომიკურ აღმავლობას შეუწყობენ ხელს“. 2010 წლის სექტემბერში ორმხრივი თანამშრომლობის ეფექტური რეალიზაციის მიზნით, აზერბაიჯანმა და თურქეთმა ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს უმაღლეს დონეზე სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტების დონეზე ყოველწლიურად გამართავს სხდომებს. 2010 წლის ისტორიული ხელშეკრულების რეალიზაციის შედეგია: ორ ქვეყანას შორის

ეკონომიკური მშენებლობის შემდგომი აღმავლობის, სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორობის გაღრმავების და ახალ რეგიონულ სტრატეგიაზე გადასვლის სანიმუშო მაჩვენებლები. 2010 წლის 21 დეკემბერს აზერბაიჯანის ეროვნულმა მეჯლისმა ამ სტრატეგიული დოკუმენტის რატიფიკაცია მოახდინა. ხელშეკრულების მიხედვით თურქეთი და აზერბაიჯანი ვალდებულებას იღებენ ერთმანეთს დაეხმარონ, თუ ერთ-ერთ მათგანზე განხორციელდება შეიარაღებული თავდასხმა ან „აგრესია“ მესამე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მხრიდან, ამ შემთხვევაში მხარეები ერთმანეთს აღმოუჩენენ დახმარებას, ყველა შესაძლებლობის გამოყენებით. ასევე, მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ თავდაცვითი და სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის ფარგლებში. ასევე ითანამშრომლებენ ეროვნული უშიშროების მიმართ საფრთხეებისა და გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით. მხარეები თავის თავზე იღებენ ვალდებულებას, აკრძალონ თავის ტერიტორიაზე იმ ორგანიზაციებისა და ჯგუფების მოღვაწეობა, რომელნიც საფრთხეს უქმნიან ერთ-ერთი მხარის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს და ტერიტორიული მთლიანობას. სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა არის სამხედრო ტექნიკის ერთობლივი წარმოება, რომელიც მალევე დაიწყო. 2010 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთის შეიარაღების კომპანია „Otokar” - ს შორის ხელი მოეწერა იარაღის წარმოების თანამშრომლობას. 2011 წლის 18 იანვარს მიუნხენში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს მოურიდებლად განუცხადა, რომ მისი ქვეყანა სამხედრო შეიარაღებას ზრდის და რომ, აზერბაიჯანს „სრული უფლება აქვს ძალით გაათავისუფლოს ოკუპირებული აზერბაიჯანული ტერიტორიები“. ალიევმა თანაც დაამატა, რომ „თუ მინსკის პროცესი უშედეგოდ დასრულდება, მაშინ ჩვენი მოლაპარაკებების იმედები ამოწურული იქნება“.

2010 წლის 16 აგვისტოს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის დეკლარაციის ხელმოწერა დააჩქარა „ყარაბაღის კონფლიქტის“ მოგვარების პროცესის დიდი ხნით გაჭიანურებამ *(„მინსკის ჯგუფის“ თითქმის უმოქმედობამ)* და 2010 წლის აგვისტოს დასაწყისში რუსეთ-სომხეთის სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებამ, რომელშიც რუსეთის „ძალისმიერი ნაბიჯის დემონსტრირების“ კვალად, აზერბაიჯანს მოუხსნა ერთგვარი ყოყმანის სინდრომი. ყოველივე ზემოთ მოყვანილმა ფაქტებმა, გააჩინეს ეჭვები, რომ „სამშვიდობო მოლაპარაკებების“ შესაძლებელი ჩაშლა ყარაბაღის პრობლემის მოგვარების თაობაზე, საომარი მოქმედებების განახლების პერსპექტივას აჩენს. ამიტომაც, 2010 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანის ეროვნულმა მეჯლისმა დაამტკიცა ქვეყნის უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტი - 3,5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით *(სომხეთის სახელმწიფო ბიუჯეტს აღემატება).*

პარალელურად გააქტიურდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა, რეგულარული სამხედრო სწავლებების ჩატარება და თანამედროვე შეიარაღების ერთობლივი წარმოება. თურქეთის მხარის დახმარებით შემუშავდა აზერბაიჯანის არმიის სამხედრო კონტინგენტის მომზადებისა და გადახალისების სისტემები. თურქი სამხედრო სპეციალისტები უშუალოდ მონაწილეობენ აზერბაიჯანის ეროვნული არმიის მშენებლობის დაგეგმარების დამუშავებასა და განხორციელებაში. ზოგიერთი ანალიტიკოსი ამ თანამშრომლობას ნამდვილ სამხედრო ალიანსად მიიჩნევს, მაგრამ იქვე ამატებენ, რა თქმა უნდა ნატო-ს პატრონაჟით. ყველაზე წარმატებულად ვითარდება თანამშრომლობა სამხედრო კადრების მომზადებაში. საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანის არმიის ოფიცერთა დღევანდელი კადრების 60-70%-მა პროფესიული სწავლება-მომზადება თურქეთის საუკეთესო სამხედრო სასწავლებლებში გაიარა.

2014 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისა და 28 აგვისტოს ინაუგურაციის შემდეგ, რეჯებ თაიფ ერდოღანმა თავისი პირველი საგარეო ვიზიტი პრეზიდენტის რანგში, ბაქოში განახორციელა. პრეზიდენტების

შეხვედრაზე, საუბარი ძირითადად შეეხო რეგიონში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ერთობლივი მოქმედებების ახალი სტრატეგიის შემუშავებასა და მიმდინარე ათწლეულის დასასრულისთვის ამ მოქმედებათა საერთო კურსის განსაზღვრა. გამოიკვეთა ანკარისა და ბაქოს საერთო დაინტერესება მოუგვარებელი პრობლემის -„ყარაბაღის საკითხზე“ და სომხეთთან ურთიერთობების ადგილიდან დაძვრის კონსტრუქციული პოზიციების მოძებნის შესაძლებლობებზე. ორივე პრეზიდენტი მეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი „სტრატეგიული თანამშრომლობის ახალი ეტაპის“ დაწყების მიმართ და ახლო მომავალში, როგორც უშუალო მოკავშირეები საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების დასაცავად, თუ გადაულახავ მტრულ ზღუდეებს წააწყდებიან, არ გამორიცხავენ სამხედრო გზა აირჩიონ.

აღნიშნული პერიოდიდან ინტენსიური ხასიათი მიიღო ყოველწლიურმა ერთობლივმა სამხედრო ტაქტიკურმა და საველე-საბრძოლო მანევრებმა თურქეთისა და აზერბაიჯანის საჯარისო ნაწილების სამხედრო ტექნიკის მონაწილეობით.

2012 წლის 12-16 ივლისს ბაქოს მახლობლად და ნახჭევანის ტერიტორიაზე ჩატარდა აზერბაიჯანისა და თურქეთის პირველი ფართომასშტაბიანი ერთობლივი სამხედრო წვრთნები სახმელეთო ძალების მონაწილეობით *(აზერბაიჯანის სამხედრო უწყების წარმომადგენლებს არ დაუზუსტებიათ წვრთნებში მონაწილე ოთივე მხარის სამხედრო პირთა და ტექნიკის რაოდენობა).* თურქეთ-აზერბაიჯანის ორმხრივი, ერთობლივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, სტამბოლში 13 ივლისიდან 6 აგვისტომდე ჩატარდა სამხედრო-საზღვაო წვრთნები. *ცნობისთვის: აღნიშნული წვრთნები შედგა აზერბაიჯან-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს სხდომებზე სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილებით, რომლებიც გაიმართა: 2011 წელს იზმირში (თურქეთი), 2012 წელს გაბალაში (აზერბაიჯანი).*

2013 წლის 12-28 ივლისს ბაქოსა და ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიმართა აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნები. სამხედრო სწავლებების მიზანი იყო ქვეყნებს შორის სამხედრო თანამრომლობის განმტკიცება. ბაქოში მონაწილეობდა საველე დივიზია, ხოლო ნახჭევანის რეგიონში მოტომსროლელთა დივიზია.

2014 წლის 13-20 სექტემბერს თურქეთში ჩატარდა გეგმიური თურქეთ-აზერბაიჯანის ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები და მასში მონაწილეობდა ყველა სახის სამხედრო დაჯგუფება, შესაბამისი შეიარაღებით. საგულისხმოა, რომ 2014 წელს აზერბაიჯან-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობის შეხვედრებზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაც იყო მოწვეული და ერთობლივ, ანუ სამმხრივ სამხედრო სწავლებებში, რომლებიც ეხებოდა რეგიონის ენერგეტიკული დერეფნების უსაფრთხოების დაცვას, საქართველოს სამხედრო დაჯგუფებებიც მონაწილეობდნენ. ამრიგად, 2014 წელს სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა რეგიონული უსაფრთხოების ახალი სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ სამმხრივმა დიალოგმა თავისი განვითარება ჰპოვა 2014 წლიდან, როდესაც მიღწეულ იქნა მოლაპარაკება ახალი დიპლომატიური ფორმატის შექმნაზე - აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის თავდაცვის მინისტრების შეხვედრების შესახებ.

ამის შემდეგ ყოველ წელს, სამმხრივი სამხედრო სწავლებები ტარდება რეგიონის მნიშვნელოვანი სტრატეგიული კომუნიკაციების უსაფრთხოების გარანტიის ეგიდით. 2015 წლის 12-16 მაისს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად ჩატარდა მორიგი დაგეგმილი სამხედრო-ტაქტიკური სწავლებები ორ ეტაპად: ბაქოსა და ნახჭევანში.

თურქეთ-აზერბაიჯანის სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის წარმატებული განვითარების პარალელურად, უფრო მყარდებოდა სომხეთ-რუსეთის სამხედრო ურთიერთობები და იკვეთებოდა დაპირისპირებული „სამხედრო ალიანსების“ მსგავსი კავშირები, რაც რეგიონში შექმნილ

მდგომარეობას საფრთხეს უქმნიდა.

„ყარაბაღის კონფლიქტის“ მოგვარების გაჭიანურებულმა პროცესმა უფრო დაძაბა სიტუაცია რეგიონში და 2016 წლის 2-5 აპრილის სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მთიანი ყარაბაღის რაიონში 4-დღიანი შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად, აზერბაიჯანმა, ამჯერად გამარჯვებას მიაღწია და 1993-1994 წლების „ყარაბაღის ომში“ დაკარგული ტერიტორიებიდან მცირე ზომის ნაწილი დაიბრუნა. თურქეთის მხარემ ჩათვალა, რომ 4-დღიანი კონფლიქტის შედეგი *(აზერბაიჯანის სამხედრო ეღიტამ კმაყოფიღებით აღნიშნა წარმატებული „ბღიცკრიგი“)* ორი მოძმე ქვეყნის სამხედრო სტრატეგიულმა თანამშრომლობამ გადაწყვიტა და თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა აღნიშნა, რომ „თურქეთი ბოლომდე დაუჭერს მხარს აზერბაიჯანს ნებისმიერ საგანგებო სიტუაციაში“. მართლაც, ამ პერიოდიდან მოყოლებული, თურქეთ-აზერბაიჯანის ყოველწლიური სამხედრო წვრთნები წინანდელთან შედარებით მრავლრიცხოვანი და ფართო მასშტაბებით იყო გამორჩეული.

2016 წლის 3-10 ივნისს თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ყარსში ჩატარდა თურქეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივი სამხედრო წვრთნები, რომელშიც პირველად, დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სამხედრო წარმომადგენლებმა. წვრთნებში გამოიყენებოდა საბრძოლო სროლები და მონაწილეობდა 1200-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე.

2017 წლის 1-5 მაისს აზერბაიჯანის აღმოსავლეთ ნაწილში, ნატო-ს თანამედროვე სტანდარტებით აგებულ სამხედრო პოლიგონზე, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის არსებულ სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა აზერბაიჯან-თურქეთის სამხედრო წვრთნები. აღნიშნულ სამხედრო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საარტილერიო დანადგარები, ჯავშანტექნიკა, ნაღმსატყორცნები, საჰაერო ძალების საბრძოლო და სატრანსორტო შვეულმფრენები, ასევე ჩართული იყვნენ ჰაერსაწინააღმეგო და საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფები, რომელნიც შეიარაღებულნი იყვნენ თანამედროვე თავდაცვითი კომპლექსებით საჰაერო თავდასხმისაგან დაცვის მიზნით. ანალიტიკოსებისა და სპეციალისტების შეფასებით, მსგავსი მასშტაბის სამხედრო მანევრებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ ორმხრივ სამხედრო ურთიერთობებში ახალი ეტაპის დაწყების ნიშნით და მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა გააჩნია.

2018 წლის 29-31 მაისს თურქეთის ყარსის რეგიონში, რომელიც სომხეთს ესაზღვრება, ჩატარდა თურქეთისა და აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ერთობლივი სამხედრო სწავლებები, რომლის მთავარი მიზანიც იყო, ორივე ქვეყნის არმიების საველე ნაწილებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და მოქმედებების კოორდინაციის ძირეული ჩვევებისა და მეთოდების გამომუშავება.

2019 წლის 1-3 მაისს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩატარდა აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ტაქტიკური სამხედრო-სასწავლო ოპერაციები „მუსტაფა ქემალ ათათურქი-2019“, საბრძოლო სროლებით. სწავლების მიზანი იყო მებრძოლთა ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და ორივე ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა კოორდინირებული მონაწილეობა ერთობლივ ოპერაციებში. სწავლებაში ორივე ქვეყნიდან მონაწილეობდა: ჯავშანტექნიკა, არტილერია და ნაღმსატყორცნები; საბრძოლო და სატრანსპორტო შვეულმფრენები; ჰაერსაწინააღმდეგო და საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფები. მონაწილეთა რაოდენობა არ არის ცნობილი.

2019 წლის 7-11 ივნისს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმების შესაბამისად, გაიმართა ერთობლივი ტაქტიკური წვრთნების „ურღვევი მეგობრობა-2019“- ის ბოლო ეტაპი საბრძოლო სროლებით. აღნიშნულ საწვრთნელ ოპერაციებში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის (ნახჭევანის) შეიარაღებული ძალებისა და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო შენაერთებმა. სამხედრო-საბრძოლო ველზე ჩართული იყო 5000 - მდე სამხედრო მოსამსახურე, 200 - ზე მეტი ტანკი და სხვა ჯავშანტექნიკა, 180 - მდე

სხვასხვა კალიბრის სარაკეტო-საარტილერიო დანადგარი, რეაქტიული სისტემები და ნაღმსატყორცნები, 21 თვითმფრინავი და შვეულმფრენი, უპილოტო საფრენი აპარატები და თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის სხვადასხვა ნიმუშები. მთავარი მიზანი იყო მეომართა პროფესიული დონის ამაღლება და აზერბაიჯანისა და თურქეთის სამხედრო დაჯგუფებების ერთობლივი მოქმედებების კოორდინაციის მიღწევა.

2020 წლის 12-16 ივლისს სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრების სიახლოვეს, ძირითადად სომხეთის თავუშისა და აზერბაიჯანის თოვუზის რაიონების ტერიტორიაზე მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება სომხეთისა და აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილებს შორის, რომელიც მასიური ცეცხლსასროლი იარაღისა და მძიმე საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით აღინიშნა. ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 19 ადამიანი, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეებიც. 14 ივლისს ბაქოში საკმაოდ ხალხმრავალი აქციები გაიმართა სომხეთთან ომის დაწყების მოწოდებებით და პარლამენტის შენობაზე იერიშით, რაც პოლიციასთან შეტაკებებში გადაიზარდა. საგულისხმოა, რომ როგორც სომხეთის, ისევე აზერბაიჯანის, ზემოხსენებული რაიონები, სადაც მიმდინარეობდა შეიარაღებული დაპირისპირება, ძალიან ახლოს გადიან საქართველოს საზღვრებთან და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაზიანების საშიშროება არსებობდა.

თურქეთის მხარემ მოძმე აზერბაიჯანის მხარდაჭერა გამოთქვა და თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა განაცხადა, რომ „თურქეთის შეიარაღებული ძალები, ცნობილი ფრაზის - „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“-პრინციპებიდან გამომდინარე, მზად არიან აზერბაიჯანის დასახმარებლად“ და დაიმუქრა „სომხეთი ამაზე პასუხს აგებს“. მართლაც, სულ რამდენიმე დღეში, კერძოდ კი 23 ივლისს, სომხეთმა გამოაცხადა რუსეთთან ერთობლივი ჰაერსაწინააღმდეგო ერთობლივი წვრთნების დაწყების შესახებ, რომლებიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა.

აღნიშნული მოვლენების კვალად, 29 ივლისს აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე დაიწყო თურქეთ-აზერბაიჯანის მორიგი ერთობლივი ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრები სახმელეთო ძალებისა და ავიაციის მონაწილეობით. სრულმასშტაბიანი სამხედრო მანევრები მოიცავდა ბაქოს, ნახიჭევანის, განჯის, კიურდამირისა და ევლახის რეგიონებს. მანევრები თავიდან ბაქოსა და ნახჭევანში სახმელეთო ძალების მონაწილეობით ტარდებოდა, ხოლო 1-10 აგვისტოს აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიას მოიცავბნენ და ზემოხსენებულ რეგიონებში ჩაერთვებოდნენ სამხედრო-საჰაერო ძალები საბრძოლო სროლებით. საავიაციო წვრთნები კოდით „TurAz Kartalı“, ადრეც ჩატარებულა და მასში თურქეთიდან მონაწილეობენ F-16 ტიპის თვითმფრინავები. ამჯერადაც, თურქი პროფესიონალები აზერბაიჯანელ მფრინავებთან ერთად ერთობლივ სწავლებებს გადიან. აღნიშნულმა მანევრებმა სომხეთის მხრიდან უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამხედრო-საჰაერო ძალთა წვრთნები უშუალოდ მისი საზღვრის სიახლოვეს და გასწვრივ მიმდინარეობდა. სომხეთმა, დიპლომატიური გზებით და საერთაშორისო მასმედიის საშუალებით, თავისი უკმაყოფილება გამოთქვა თურქეთის მზარდი რეგიონული ამბიციების მიმართ.

მანევრების დასრულების შემდეგ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ერთობლივი სამხედრო წვრთნები ყოველწლიურად ტარდება და კიდევ ჩატარდება იმდენი, რამდენიც საჭიროა. ეს წვრთნები სჭირდება აზერბაიჯანს, სჭირდება თურქეთს და სჭირდება რეგიონის სტაბილურობას. იმიტომ რომ, სომხეთი წარმოადგენს რეგიონული სტაბილურობისთვის საფრთხეს“. აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ჩატარებული ზემოხსენებული სამხედრო მანევრების შემდგომ, თურქეთის სამთავრობო კულუარებსა და მასმედიაში ფართოდ

განიხილება ნახჭევანსა და აფშერონის კონცხზე, თურქული სრულფორმატიანი სამხედრო ბაზების განთავსების საკითხი. 10 აგვისტოს წარმატებით დამთავრებული სამხედრო მანევრების შემდეგ, თურქეთმა აზერბაიჯანის აეროდრომებზე დატოვა მრავალმიზნობრივი თვითმფრინავები F-16 თავისი ეკიპაჟებით და ასევე, გარკვეული რაოდენობის უპილოტო საფრენი აპარატები „*Bayraktar TB2*", რომელთაც გავლილი აქვთ საბრძოლო პრაქტიკა სირიასა და ლიბიაში. *(ოფიციალური ცენტრის მესვეურები ამტკიცებენ, სომხეთის წინააღმდეგ „შემაკავებელი საშუალების" მოსაზრებით).* შემოდგომის დადგომასთან ერთად რეგიონში მდგომარეობა იძაბებოდა, რასაც მოწმობს 15 სექტემბერს ბაქოში ჩატარებული სამხედრო აღლუმის პარალელურად, განჯის თავზე ერთობლივი საჩვენებელი ფრენები მოაწყეს აზერბაიჯანისა და თურქეთის თვითმფრინავებმა და შვეულმფრენებმა *(აღღუმი მიეძღვნა 1918 წლის 15 სექტემბერს ბაქოს აღების 102 წლისთავს, როდესაც კავკასიის ისლამურმა არმიამ ნური ფაშას მეთაურობით აიღო ბაქო).*

21-25 სექტემბერს სომხეთის ალიაღაზის საბრძოლო პოლიგონზე ჩატარდა სომხეთისა და რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ერთობლივი სამხედრო წვრთნები.

ამავე პერიოდში, 21-26 სექტემბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაგეგმილი ჰქონდა სტრატეგიული სამეთაურო წვრთნები „კავკასია-2020", რომელშიც მიწვეული ჰყავდა შვიდი ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის სომხეთის და აზერბაიჯანისაც. აზერბაიჯანმა თავი აარიდა ამ ღონისძიებაში მონაწილეობას.

ამავე დღეებში სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე ორივე მხრიდან დაიწყო სროლები, რასაც აზერბაიჯანში მოჰყვა სარეზერვო სამხედრო კონტინგენტის სასწრაფო მობილიზაციის გამოცხადება და მათი პირდაპირ სასწავლო წვრთნებზე გაგზავნა. გადაუმოწმებელი წყაროების საფუძველზე, ვრცელდებოდა ინფორმაცია *(სიხიის ეროვნული არმიის ცნობით)*, თითქოს მომავალი შეიარაღებული კონფლიქტის რაიონში თურქეთის ხელშეწყობით გადასროლილ იქნა 1500-მდე დაქირავებული მებრძოლი. ამავე წყაროების თანახმად, პირველმა სირიელმა მებრძოლებმა თურქეთის გავლით, აზერბაიჯანს მიაღწიეს 25 სექტემბერს. გაზეთ "The Jerusalem Post" - ის 26 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სომხეთის საზღვართან გადაგზავნილია 200 სირიელი თურქმანი. აღნიშნული ყოველი ინფორმაცია საეჭვო და გადაუმოწმებელია.

27 სექტემბრის დილიდან აზერბაიჯანის არმია ავიაციის, ჯავშანტექნიკის, არტილერიის და უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით, მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე შეიჭრა. ინტენსიური ბრძოლები ძირითადად აზერბაიჯანსა და ყარაბაღს შორის განლაგებული, 1994 წელს დაკარგული შვიდი აზერბაიჯანული რაიონის გათავისუფლებისთვის მიმდინარეობდა. ოქტომბრის დასაწყისში აზერბაიჯანის არმიის მიერ მეტად მნიშვნელოვანი პუნქტის, ჯაბრაილის აღების შემდეგ, მათი შეტევები უფრო ინტენსიური გახდა და აზერბაიჯანელებმა მალე კონტროლი დააწესეს კიდევ ადრე დაკარგულ ქალაქებზე: ფიზული, ყუბადლი და ზანგელანი. ყარაბაღისკენ მიმავალ გზაზე, ყველაზე მნიშვნელოვანი, ლაჩინის გასასვლელის აღების შემდეგ, გზა იხსნებოდა პირდაპირ შუშისა და სტაფანაკერტის მიმართულებით. აზერბაიჯანის სამხედრო ნაწილების მიერ 8 ნოემბერს ისტორიული ქალაქის შუშის აღებამ გადაწყვიტა ამ ომის ბედი. აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის სახელმწიფოთა მეთაურებმა 9 ნოემბერს ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში ცეცხლის სრული შეწყვეტისა და ყველა სამხედრო მოქმედებების შეჩერების შესახებ. მთიანი ყარაბაღის რეგიონში სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, სომხეთის და რუსეთის წარმომადგენლებმა, რომლის თანახმადაც სომხეთის სამხედრო ძალები გადიან მთიანი ყარაბაღის მიმდებარე რაიონებიდან და ამ ტერიტორიის ნაწილი გადადის აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ, ქალაქ შუშის ჩათვლით.

„ყარაბაღის ომის“ შედეგებმა, ახალი გეოპოლიტიკური სივრცე შექმნა ამიერკავკასიის რეგიონში. თურქეთმა, რომელმაც აზერბაიჯანის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა, კავკასიის რეგიონში თამამად შემოაბიჯა და პრეზიდენტმა ერდოღანმა იდეა წამოაყენა, კავკასიაში შექმნილიყო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების რეგიონული ორგანიზაცია, იგივე „ექვსთა პლატფორმა“ თურქეთის, რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის შემადგენლობით. ერდოღანის მთავარი გათვლა იყო, დასავლეთის ქვეყნების იგნორირება, რათა თურქეთისა და რუსეთის როლი რეგიონში გადამწყვეტი გამხდარიყო. ყარაბაღის კონფლიქტის შედეგებით დაინტერესებულ მთავარ აქტორებს თურქეთსა და რუსეთს, რეგიონში არა მარტო გეოსტრატეგიული ვითარების, არამედ სატრანზიტო და გეოეკონომიკური სიტუაციის ცვლილებების თავის სასარგებლოდ გამოყენების საშუალება შეექმნათ. აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის უმეტესი ნაწილის დაკავება, ლაჩინის გასასვლელზე კონტროლის დაწესება და ჯაბრაილის რაიონის ხელში ჩაგდებით, აზერბაიჯანმა მოიპოვა თავის ავტონომიურ ექსკლავში, ნახჭევანში სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის ამუშავების სრული უფლება *(აზერბაიჯანის სსრ კუთვნილი ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკასთან კავშირი აზერბაიჯანს, მხოლოდ ჯაბრაილის რაიონის ვიწრო გასასვლელით ჰქონდა. ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ სომხების მიერ ლაჩინის გასასვლელის დაკავების შედეგად, აზერბაიჯანსა და ნახჭევანს შორის სახმელეთო კავშირი მხოლოდ ირანის ტერიტორიიდან უხდებოდა. აზერბაიჯანი ნახჭევანს დე-იურე ფლობდა მხოლოდ, დანარჩენი ტერიტორიულად ნახჭევანი სომხეთს, ირანს და თურქეთსაც ესაზღვრება - 11 კმ-იანი საზღვრით).* თურქეთ-აზერბაიჯანის ტანდემს ძალიან სურს განახორციელოს და როდესაც აზერბაიჯანი ნახჭევანზე რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალების გაყვანის შედეგად, ხმელეთით უშუალოდ დაუკავშირდება თურქეთს და თურქ ინვესტორებს საშუალება ექნებათ, რომ თავისი პროდუქცია ჩინეთის მიმართულებით უფრო მოკლე გზით გაგზავნონ, ვიდრე საქართველოს გავლით ხდებოდა. თურქეთიც და აზერბაიჯანიც დიდი ენთუზიაზმით აპირებენ, რომ ზემოხსენებული სახმელეთო სატრანსპორტო დერეფანის მშენებლობა სწრაფად განახორციელონ და ნახჭევანიდან ყარსამდე მიიყვანონ რკინიგზის ხაზი. დღემდე, აზერბაიჯანიდან სარკინიგზო მაგისტრალი, საავტომობილო ტრასა, ნავთობ- და გაზსადენები, შავი ზღვის და თურქეთის მიმართულებით, იქიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე, ყოველივე საქართველოს გავლით ხდება *(საბედნიეროდ ისევ ხდება)*. ამავე დროს, სომხეთის სატრანზიტო გასასვლელი შავი ზღვისკენ და რუსეთის მიმრთულებით, ასევე საქართველოს მეშვეობით ხორციელდებოდა. როგორც ვხედავთ, გეოეკონომიკური ვითარება საქართველოსთვის არასახარბიელოდ იცვლება და არის ეჭვი, რომ საქართველომ დაკარგოს სატრანზიტო ფუნქციაზე დღემდე არსებული ექსკლუზიურობა. ამჯერად გეოპოლიტიკური ფაქტორი საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება ამოქმედდეს, რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე. რუსეთმა უკვე გააჟღერა ვარიანტი, რომ რუსეთიდან სომხეთისკენ რკინიგზით სატრანზიტო გადაზვიდვები აზერბაიჯანის გავლით განახორციელოს. ამის შემდეგ, რუსეთიდან მომავალი სარკინიგზო მაგისტრალი აზერბაიჯანის და ნახჭევანის გავლით თურქეთს დაუკავშირდება *(სომხეთზე გამავალი გზა გაცილებით მოკლე და მომგებიანი იქნება)*, რასაც თურქეთი, რეგიონში თავისი ამბიციური გავლენის გაზრდის მიზნით, სიამოვნებით დათანხმდება.

თურქეთი და აზერბაიჯანი ნახჭევანის რკინიგზის იდეას ჯერ კიდევ 2008 წლის ზაფხულში იხილავდნენ, როდესაც აგვისტოს ომმა სერიოზულად შეაშფოთა ჩვენი „კარის მეზობლები“ *(ამ თემაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი)*. ამჯერად, ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის (და თურქეთის) გამარჯვების შემდეგ, გადაწყდა დაჩქარდეს ადრინდელი პროექტი. უკვე ამ წელს იგეგმება 230 კილომეტრიანი სიგრძის რკინიგზის გაყვანის სამუშაოების

დაწყება ყარსიდან, იღდირის გავლით ნახჭევანამდე, საიდანაც იგი მიურთდება ბაქო-ერევნის დამაკავშირებელ და ნახჭევანის ტერიტორიაზე გამავალ ძველ სარკინიგზო მაგისტრალს, რომელიც უკავშირდება ირანის, ავღანეთის და პაკისტანისკენ მიმავალ არსებულ ხაზს. *(ნახჭევანის საზღვარი ირანთან, მთლიანად მდინარე არეზს მიჰყვება და ამ სასაზღვრო მდინარის პარალელურად არის დაგებული ზემოხსენებული ბაქო-ერევნის რკინიგზაც, რომელსაც ჯულფადან განშტოება აქვს ირანისკენ - მარანდზე... თავრიზზე... თეირანზე).* ამავე ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულია რუსი მშვიდობისმყოფელი ძალების განთავსება რეგიონში. ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნულ ომში თურქეთმა დიდი სამხედრო და პოლიტიკური დახმარება აღმოუჩინა აზერბაიჯანს და ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ ერდოღანმა თურქეთის დიდ ეროვნულ მეჯლისს მიმართა წინადადებით, რომ მიღებულ იქნას შემდეგი გადაწყვეტილება - „თურქეთს უფლება აქვს შეიყვანოს თავისი ჯარები მშვიდობისმყოფელთა სტატუსით აზერბაიჯანში ერთი წლით“ - რაც მეჯლისმა დაამტკიცა. ხელშეკრულების ხელმოწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაირკვა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევიც, თავის მხრივ გეგმავდა თურქი სამხედროების მშვიდობისმყოფელთა მისიაში ჩართვას, რაც რეგიონში თურქეთის კარგა ხნით დამკვიდრებას აკანონებს. რუსეთმა კავკასიის რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, თურქეთის როლი სხვაგვარად განსაზღვრა: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად, თურქეთიდან ჩამოვლენ არა მშვიდობისმყოფელნი, არამედ დამკვირვებლები, რომლებიც აზერბაჯანელებთან ერთად დააკვირდებიან ცეცხლის შეწყვეტის პროცესს, თანაც არა ყარაბაღში, არამედ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსებულ სამეთვალყურეო ცენტრში. მათი განმარტებით, თურქი სამხედროები ყარაბაღის ტერიტორიაზე მშვიდობისმყოფელთა მისიას ვერ შეასრულებენ, ვინაიდან ყველა საშუალებებით აშკარად იცავენ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის ინტერესებს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოღლუს თეზისების მიხედვით: თურქეთი, მომავალშიც მიესალმება აზერბაიჯანის ყოველ იმ ნაბიჯს, რომლის პირობებიც მისაღები იქნება მისთვის და ყარაბაღის პრობლემის დარეგულირების რომელი გზაც არ უნდა აირჩიოს აზერბაიჯანმა, თურქეთი ყოველთვის მხარს დაუჭერს მას. თურქეთი აზერბაიჯანის გვერდით იქნება, არა მარტო ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხში, არამედ ნებისმიერ მომდევნო პროცესებშიც. ჩავუშოღლუმ ასე დაასრულა „აზერბაიჯანმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა თავისი ძლიერება. უჩვენა, თუ რა შეუძლიათ თურქებს. თურქებს, მთელ მსოფლიოში განუმტკიცდათ საკუთარი რწმენა“.

„ყარაბაღის ომში“ აზერბაიჯანის არმიის გარდამტეხი სამხედრო წარმატებები, რა თქმა უნდა თურქეთის უზარმაზარი დამსახურების შედეგია, რამაც თავის მხრივ არსებითად გააძლიერა თურქეთის პოზიციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

10 დეკემბერს ბაქოში, გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ სამხედრო აღლუმზე, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა თავის გამოსვლაში, აზერბაიჯანის არმიის წარმატება თურქული ძმობის და ერთიანობის დიდ ისტორიულ გამარჯვებად აღიარა და მეტად შთამბეჭდავად და რიხიანად დააანონსა ახალი სამხედრო ოპერაციები, რომელნიც „ისტორიული სამართლიანობის აღდგენას“ შეუწყობენ ხელს.

„ყარაბაღის პრობლემის“ საბოლოო მოგვარების საკითხი, დღეს გამარჯვებული აზერბაიჯანის პირობების გათვალისწინებით გადაწყდა, რამაც ბაქოსა და ანკარას მეტი სტიმული მისცა სამხედრო-პოლიტიკური წარმატება უფრო განამტკიცონ ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურების ხარჯზე. უკანასკნელ ხანს განახლდა თურქული სატრანსპორტო ავიაციის რეგულარული ფრენები აფშერონის მიმართულებით. თურქული მხარე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს განჯის, გაბალას და ლენქორანის ტერიტორიაზე თურქული სამხედრო ბაზების

გახსნის სურვილი არსებობდეს. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი 2021 წელს $2,7 მილიარდამდე გაიზრდება.

2021 წლის 15 იანვარს გადაწყდა, რომ ყარაბაღის დაზავების მონიტორინგის რუსულ-თურქული ერთობლივი ცენტრი, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ქალაქ აგდამში განთავსდება *(ეს ქაღაქი დაახლოებით 8 კმ-ის მანძილზეა დაზავების სასაზღვრო ხაზიდან)*. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოღლუს განცხადებით, აღნიშნულ ცენტრში პირველ ხანებში იმსახურებს 60 თურქი და 60 რუსი ჯარისკაცი.

2021 წლის 15 ივნისს აზერბაიჯანის რესპუბლიკა აღნიშნავს აზებაიჯანის ეროვნული განთავისუფლების დღეს და პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მოწვევით აღნიშნული დღესასწაულის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად, თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი ნატოს ბრიუსელის სამიტიდან, პირდაპირ ბაქოში გაემგზავრა. ერდოღანის ვიზიტი იმით გამოირჩეოდა, რომ ოკუპაციისგან განთავისუფლებულ ყარაბაღში კერძოდ ისტორიულ ქალაქ შუშაში უნდა ჩატარებულიყო ე.წ. საუკუნის მოვლენა, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის ახალი დოკუმენტის ხელმოწერა. 2021 წლის 7 მაისს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ბრძანებულებით, ქალაქი შუშა აზერბაიჯანის კულტურულ დედაქალაქად გამოცხადდა. აღნიშნულ, ისტორიულად მეტად მნიშვნელოვან ქალაქში აზერბაიჯანისა და თურქეთის ლიდერებმა ხელი მოაწერეს „შუშას დეკლარაციას“, რომელიც ითვალისწინებს ორი ქვეყნის დაახლოვების ახალ კურსს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ფარგლებში. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალები მოწოდებულნი არიან ერთიანი მოქმედებებისთვის საერთო ინტერესების დასაცავად, ერთმანეთის დახმარებისთვის ისეთ საკითხებში, რომლებიც დაფუძნებული იქნებიან ეროვნულ ინტერესებზე, როგორებიცაა სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. დეკლარაციაში ასევე მოხსენიებულია ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობაზე, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და არმიების ოპერატიული თავსებადობის ამაღლების მიზნით. დეკლარაციაში ხაზგასმით არის დაფიქსირებული მეტად მნიშვნელოვანი გზავნილი მთელი თურქული სამყაროსთვის და გამოთქმულია სურვილი გააქტიურონ მოქმედებები თურქული სამყაროს ინტეგრაციის და მათი სოლიდარობის განმტკიცების მიზნით. დეკლარაცია ასევე ყურადღებას ამახვილებს სატრანსპორტო დერეფნების მშენებლობაზე და პირველ რიგში ზანგეზურის მაგისტრალზე, რომელიც გააქტიურებს ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო-კომუნიკაციების ურთიერთობებს და დააჩქარებს ნახჭივან-ყარსის რკინიგზის მშენებლობას. ყოველივე მოწმობს იმას, რომ თურქეთსა და აზერბაიჯანს საერთო სტრატეგიული მიზნები გააჩნიათ და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მნიშვნელოვანი ხიდის ფუნქციის შესრულებას შესძლებენ. მასმედიის საშუალებების აზრით, ქალაქი შუშა თავისი ისტორიული დანიშნულებისა და გეოპოლიტიკური მდებარობის წყალობით, მეტად მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს მოცემულ სიტუაციაში და „შუშას დეკლარაცია“ რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების იმპულსს შესძენს ანკარა-ბაქოს სტრატეგიულ სამოკავშირეო ღერძს. 17 ივნისს ბაქოს საინფორმაციო სააგენტო „ტრენდ“-თან საუბარში, ამერიკელმა ექსპერტმა პიტერ ტეისმა განაცხადა, რომ „შუშას დეკლარაცია“ უაღრესად ფასეული ინსტრუმენტია რეგიონული უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ეკონომიკური ზრდის გაძლიერებისათვის, ამასთანავე ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონში. ამერიკელმა ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ისტორიაში „შუშას დეკლარაცია“ წარმოადგენს ქვაკუთხედს ქვეყნის დინამიკური დიპლომატიისა და უფრო ეფექტური საერთაშორისო ჩართვის საშუალებას ორმხრივსა და მრავალმხრივ ურთიერთობებში. ტეისმა დაამატა, რომ „შუშას დეკლარაცია“ არის სტრატეგიული შეთანხმება რომლის მიზანსაც წარმოადგენს ანკარასა და

ბაქოს შორის გეოპოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოება და წარმოქმნილი საფრთხეების შედეგების შემცირება. „შუშას დეკლარაციას“ დიდი კმაყოფილებითა და ქებით მიესალმა თურქული საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი დარჰან კიდირალი, რომელმაც აღნიშნა, რომ „შუშას დეკლარაცია“ შედგება ისეთი პუნქტებისაგან, რომლებიც მიმართულია არა მარტო ორი მოძმე ქვეყნის თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ, არამედ მთელი თურქული სამყაროს ერთიანობის შედუღაბებისაკენ. კიდირალიმ აღნიშნა, რომ თურქული საერთაშორისო აკადემია მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს დეკლარაციის პუნქტების რეალიზაციის საქმეში. 2021 წლის 15 ივნისს პრეზიდენტებმა ილჰამ ალიევმა და რეჯებ თაიფ ერდოღანმა ქალაქ შუშაში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას სამოკავშირეო ურთიერთობების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთს დახმარებას აღმოუჩენენ მესამე სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი მხარის ეროვნული დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის შექმნისა და თავდასხმის შემთხვევაში. დეკლარაციაზე ხელმოწერის ცერემონიის დროს ერდოღანმა გამოაცხადა, რომ შუშაში თურქეთი გახსნის თავის გენერალურ საკონსულოს, რაც კიდევ ერთხელ აანონსებს მსოფლიოს წინაშე, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა და ანკარა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას. შეიძლება ითქვას, რომ „შუშას დეკლარაცია“ თურქეთის კავკასიის რეგიონში პოზიციების გაძლიერების და დამკვიდრების კიდევ ერთი დოკუმენტურად დადასტურებული საშუალებაა.

თურქეთისა და სომხეთის ურთიერთობები

1991 წლის 16 დეკემბერს თურქეთმა სცნო მეზობელი ქვეყნის, სომხეთის დამოუკიდებლობა. სომხეთ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი 328 კმ-ს შეადგენს. სომხეთმა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში თავისი მრავალრიცხოვანი დიასპორის დახმარებით დაიწყო „სომეხთა გენოციდის“ ცნობის აღიარების დიპლომატია. 1990 წლის 23 აგვისტოს სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ სომხეთის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ მე-11 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სომხეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს ოსმალეთის თურქეთში და დასავლეთ სომხეთში 1915 წლის სომეხთა გენოციდის საერთაშორისო აღიარების საქმეს“. 1990 წლამდე „სომეხთა გენოციდი“ მხოლოდ ურუგვაის (1965 წ.) და კიპროსს (1975 წ.) ჰქონდათ აღიარებული და ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ საერთაშორისო საზრუნავსა და ძალისხმევას „სომეხთა გენოციდის“ ცნობის საკითხი წარმოადგენდა. როდესაც თურქეთმა დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო, მისი ერთ-ერთი მოთხოვნა „ყარსის ხელშეკრულების“ თანახმად აღიარებული საზღვრების ცნობა და ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა წარმოადგენდა, რაც თავისთავად სომხეთმა უარჰყო.

თურქეთ-სომხეთის „ურთიერთობების“ დაწყება ყარაბაღის კონფლიქტის ცხელ პერიოდს დაემთხვა, როდესაც სომხეთი ამ კონფლიქტში სამხედრო-ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს მთიანი ყარაბაღის სომხურ ძალებს. ამასთანავე, დღითიდღე ბუნებრივად იძაბება სომხეთის ურთიერთობა თურქეთის მოძმე აზერბაიჯანთან და მათ შორის აქტიური საომარი მოქმედებების დაწყებასაც ბევრი აღარაფერი უკლია. ყარაბაღის სომხური ძალების ზეწოლით, უამრავი ეთნიკური აზერბაიჯანელი განდევნილ იქნა თავისი საცხოვრისიდან და ამ ფაქტის გამო, თურქეთსა და სომხეთს

შორის ცივი და „მიუკარებელი“ მეზობლობა დამყარდა. სომხეთთან ფრთხილი და არამყარი პოლიტიკის გატარების მიუხედავად, თურქეთი მსოფლიო საზოგადოების გავლენით თუ „იძულებით“, აგრძელებდა სომხეთისთვის ე.წ. საერთაშორისო დახმარების გაწევას. მართალია, თურქეთი ამ გზით ცდილობდა ყარაბაღის კონფლიქტის შეკავებას, მაგრამ რუსეთის „წაყრუებით“ წაქეზებული სომხური ძალების შეჩერება ვერ მოხერხდა და მათ 1993 წლის დასაწყისში, მთიანი ყარაბაღიდან აიძულეს აზერბაიჯანელი მოსახლეობა მთლიანად დაეცალათ ტერიტორია. იმავე წლის აპრილში სომეხთა შეიარაღებულმა ძალებმა უშუალოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქები ქელბაჯარი, აგდამი, ყუბადლი, ლაჩინი, ფუზული, ჯებრაილი და სხ. დაიკავეს და ათიათასობით ადგილობრივი მოსახლეობა ლტოლვილად აქციეს.

ამის შემდეგ, თურქეთმა უარი განაცხადა სომხეთისთვის საერთაშორისო დახმარების გაწევაზე და საერთაშორისო კონფერენციებზე (ეუთო, გაერო) მხარს უჭერდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას და სომეხთა ძალების მიერ დაკავებული ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებას. 1993 წლიდან თურქეთი სომხეთთან წყვეტს ყოველგვარ ურთიერთობებს და ცდილობს შუამავლის როლი შეასრულოს კონფლიქტის მოგვარების საქმეში, მაგრამ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებში, რუსეთი ვეტოს უფლებით სარგებლობდა და ბლოკავდა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ყველა შესაძლებლობას *(სომხეთმა ჩუსეთს, თავის ტეჩიტოჩიაზე სამხედრო ბაზის განთავსების საშუაღება მისცა - გიუმჩი).*

1990-იანი წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეიქმნა. აზრბაიჯანისა და საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები თურქეთთან, ძირითადად საკვები პროდუქტითა და პირველი მოხმარების საგნებით შემოიფარგლებოდა. ამ მხრივ, სომხეთის მდგომარეობა ბევრად უარესი იყო და დიდ სიდუხჭირეს განიცდიდა, ვინაიდან მეზობელ თურქეთთან არავითარი შეხება არ ჰქონდა და მიზერული რაოდენობის საქონელი თუ შემოდიოდა, ისიც საქართველოს ან ირანის გავლით. საქართველოს ტერიტორიის მეშვეობით, თურქი ბიზნესმენების მცირე ნაწილი ახერხებდა სომხეთში საქმის წარმოებას, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო შედეგი მოჰქონდა ამას, რომ სხვა გზების ძიება გახდა საჭირო. გაუსაძლისი ეკონომიკური კრიზისის დაძლევის იმედით, სომხეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა გადაწყვიტა თურქეთთან ურთიერთობების დალაგებისა და საზღვრების გახსნის შესაძლებლობის გზები გამოენახა. სომხეთის პრეზიდენტმა 1997 წლის აპრილში სტამბოლის ყუმკაფის უბანში არსებულ სომხურ საპატრიარქოში გამოსვლისას აღნიშნა, რომ „თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობები აზერბაიჯანზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ჩვენ დღეისათვის აზერბაიჯანთან ომის მდგომარეობაში არ ვიმყოფებით. ამასთანავე, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი რომ არ დაიწყება, ამის გარანტიას გაძლევთ“. დამატებით, სომხეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გამოთქვა სურვილი საზღვრების გახსნის თაობაზე. სომხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობაში, თურქეთის ბიზნესის სამყაროში მრავალმა საქმიანმა პირმა სასარგებლო მარცვალი დაინახა და ალიჯანის სასაზღვრო კარიბჭის გახსნით, დიდი მოცულობის ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, მათი აზრით სომხეთზე თურქეთის გავლენის გაზრდისა და ყარაბაღის საკითხის შემსუბუქების შანსიც გამოჩნდებოდა. სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი თურქეთის მხარესთან საუბრებში ხშირად ახსენებდა ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ ფაქტის შესწავლისა და მისი დადგენის აუცილებლობას. 1997 წლის აპრილის ბოლოს, ტრაპიზონის პორტში „თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ მუშაობის გასაცნობად ჩამოვიდა

სომხეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენელთა ჯგუფი, პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანის ძმის, ტელმან ტერ-პეტროსიანის ხელმძღვანელობით *(პიჰადგ გახდავაჰთ თვითმხიდვეღი).* თუმცა, თურქეთსა და სომხეთს შორის საქმიანი დათბობისკენ წასული ურთიერთობა, სომხეთის რადიკალურ ეროვნულ ძალებს არ მოსწონებიათ და ტერ-პეტროსიანის მომხრეთა შევიწროვება დაუწყიათ.

1998 წლის 3 თებერვალს ლევონ ტერ-პეტროსიანმა პრეზიდენტობიდან გადადგომა მოითხოვა. გადადგომის მიზეზი, სომხეთის მთავრობაში განხეთქილება და უთანხმოება გახდა. სომხეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ქოჩარიანმა, თავდაცვის მინისტრმა ვაზგენ სარქისიანმა და შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების მინისტრმა სერჟ სარგსიანმა მხარი არ დაუჭირეს ტერ-პეტროსიანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას და 1992-1994 წლების საომარი მოქმედებების დროს დაკავებული ზოგიერთი დასახლებული პუნქტის აზერბაიჯანისთვის დაბრუნებას.

1998 წლის მარტის არჩევნებში სომხეთის ახალი პრეზიდენტი გახდა რობერტ ქოჩარიანი და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტური მდგომარეობა და თურქეთ-სომხეთის დაპირისპირება, ძველ ფაზაში დაბრუნდა. თურქეთსა და სომხეთს შორის არსებობს ისტორიული, დაუსრულებელი პრობლემა, რომელიც ეხება 1915 წლის მოვლენებს და მიეკუთვნება საერთაშორისო მასშტაბის მოუგვარებელი პროცესების რიცხვს. „სომეხთა გენოციდის“ თემას და მის წარმომშობ მიზეზებს ადრე ლექციებზე გავეცანით. შევაფასეთ აღნიშნული ორი ეთნოსის ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და დაპირისპირების ისტორიული პერიოდები და XIX საუკუნის ბოლო წლებში შექმნილი „დაშნაკების“ ტერორისტული ორგანიზაციის მიზნები და მოქმედებები, რომელიც მიმართული იყო ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მათი მთავარი მიზანი იყო ოსმალთა ბატონობისგან თავის დახსნა და ისტორიული სომხეთის ტერიტორიების გათავისუფლება, შეიარაღებული ბრძოლის ნებისმიერი მეთოდებით. სწორედ „დაშნაკური“ ტერორისტული მოძრაობის აღსაკვეთად ჩატარდა სადამსჯელო ოპერაციები პირველი მსოფლიო ომის წლებში ოსმალეთის ქალაქებში, რომელსაც სომეხი მოსახლეობის დაპატიმრება, დარბევა, გადასახლება და მრავალათასიანი მსხვერპლი მოჰყვა. ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ ჩატარებული სასტიკი ოპერაციების შედეგებს, საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, 1948 წელს „სომეხთა გენოციდის“ სახელი ეწოდა.

XX საუკუნეში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაფანტულ სომეხთა იმედები, რომ 1915 წელს მომხდარი მათი ეთნიკური მასობრივი დარბევის საკითხმა საერთაშორისო სტატუსი მიიღო, გამოიხატა იმაში, რომ ხალხის გონებაში ბრძოლისა და შურისძიების გრძნობა არ გამქრალა. ამ მიზნით, საზღვარგარეთ არსებული სომხური დიასპორის ჯგუფები, თავისი განსახლების ქვეყნებში აყალიბებენ მებრძოლ ორგანიზაციებსა და ჯგუფებს „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენის ლოზუნგით. 1975 წელს ლიბანში იქმნება ერთ-ერთი ასეთი „გასამხედროებული“ ორგანიზაცია ASALA *(სომხეთის განთავისუფღების სომხუჰი საიდუმღო აჰმია)*, რომლის ძირითადი მიზანია - აღადგინოს ისტორიული სომხეთი და „აიძულოს თურქეთის მთავრობა საჯაროდ აღიაროს თავისი პასუხისმგებლობა 1,5 მილიონი სომეხის განადგურებაში, გადაიხადოს რეპარაციები და დათმოს ისტორიული სომხეთის ტერიტორიები“. „ასალა“- ს დაგეგმილი შეიარაღებული აქციები გამიზნულია, რომ თურქეთი აიძულონ სცნოს სომეხი ხალხის გენოციდი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. პირველ რიგში, სამიზნედ არჩეული ჰქონდათ თურქული დიპლომატიური მისიები, დიპლომატები და მათი ოჯახის

წევრები. მათ მიზნებში შედიოდა, რომ თავდასხმები ასევე განახორციელონ იმ ქვეყნების ავიაკომპანიების ოფისებზე, რომლებიც თურქეთს უჭერენ მხარს. მართალია, „ასალა“- ს ორგანიზაცია ოფიციალურად 1975 წელს ბეირუთში შეიქმნა ადგილობრივი სომეხის აკოფ აკოფიანის მეთაურობით, მაგრამ 1970-იანი წლების დასაწყისიდან მებრძოლი ჯგუფები უკვე მოქმედებდნენ და 1973 წლის მარტში აშშ-ის კალიფორნიის შტატში, სანტა ბარბარაში, თურქეთის გენერალური კონსული და მისი მოადგილე მოკლეს. „ასალა“- ს სახელით 1975 წლის ოქტომბრის 22-ში პარიზში თურქეთის ელჩი და 24-ში ვენაშიც თურქეთის ელჩი გამოასალმეს სიცოცხლეს. 1975 წლიდან, თითქმის ოცი წლის მანძილზე მთლიანად „ასალა“- ს ორგანიზაციის მიერ მოკლულია 42, ხოლო დაჭრილია 15 თურქი დიპლომატი, მათი ოჯახის წევრთა ჩათვლით. 1993 წლის დეკემბერში თურქი დიპლომატებიდან „ასალა“- ს უკანასკნელი მსხვერპლი გახდა ბაღდადში თურქეთის საელჩოს ატაშე.

აღნიშნული შეიარაღებული დაჯგუფება, 1980 წლიდან აშშ-ის მთავრობამ ტერორისტულ ორგანიზაციად სცნო *(ჰამდენიმე წლის შემდეგ მოუხსნა ეს ტიტული)*. „ასალა“- ს მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტებიდან ყველაზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა 1982 წლის 7 აგვისტოს, ანკარის „ესენბოღა“- ს აეროპორტში, სადაც დაიღუპა 9 და დაშავდა 72 ადამიანი და 1983 წლის 15 ივლისს პარიზის „ორლი“- ს აეროპორტში - დაიღუპა 8 და დაშავდა 55 ადამიანი. „ასალა“- ს ტერორისტული აქტების ძირითადი დამფინანსებლები და მხარდამჭერები იყვნენ საზღვარგარეთ მცხოვრები მდიდარი და შეძლებული სომხები, რომლებიც აგრეთვე, დიდი მონდომებით მუშაობდნენ ე.წ. „სომხური გენოციდის“ აღიარების საქმეში თავისი განსახლების ქვეყნებში. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საფრანგეთის სომხური დიასპორა, რომელიც გარდა „სომხური გენოციდის“ ცნობისა, სხვადასხვა შეიარაღებულ სომხურ დაჯგუფებებსაც მფარველობდნენ. 1975 წლიდან მოყოლებული წელიწადი არ გავიდოდა *(ზოგჯერ წელიწადში ჰამდენჯერმე)*, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, განსაკუთრებით კი საფრანგეთში განთავსებულ თურქულ დიპლომატიურ მისიებზე თავდასხმა არ მომხდარიყო. აღნიშნული ტერაქტების შემდეგ დაპატიმრებული მებრძოლების სასამართლო პროცესებზეც, ხშირად მათ ინტერესებს იცავდნენ საფრანგეთში მცხოვრები სომხური წარმოშობის ადვოკატები. მათგან ყველაზე ავტორიტეტული იყო, საფრანგეთის ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე პატრიკ დევეჯიანი. პატრიკ დევეჯიანი - იურისტი, 1986 წლიდან 2017 წლამდე, ყველა მოწვევის საფრანგეთის პარლამენტის წევრი. 2002 წლიდან 2005 წლამდე მინისტრი *(ჯერ ადგილობრივი თვითმმართველობის, შემდეგ მრეწველობის)*. ნიკოლა სარკოზის უახლოესი თანაშემწე, ჯერ პრეზიდენტის არჩევნებისას მისი მხარდამჭერი, ხოლო სარკოზის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, დევეჯიანი მმართველი პარტიის „სახალხო მოძრაობის კავშირის“ გენერალური მდივანი და პრეზიდენტის სამსახურის (აპარატის) ხელმძღვანელი გახდა.

პატრიკ დევეჯიანი მჭიდროდ თანამშრომლობდა სომხურ თემთან, აქტიურად იბრძოდა სომხური დიასპორის წარმომადგენელთა უფლებებისთვის და „სომეხთა გენოციდის“ აღიარებისთვის. თურქული წყაროების მიხედვით, „ასალა“- ს მებრძოლების სასამართლო პროცესებზე ადვოკატად გამოდიოდა და ამასთანავე, ხშირად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში (*1990 წლიდან 2002 წლამდე საფრანგეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე)*. პატრიკ დევეჯიანი 1983 წლიდან 2020 წლის 29 მარტამდე იყო ჯერ ქალაქ ანტონის მერი, ხოლო შემდეგ ო-დე-სენის პრეფექტურის გამგებელი (*2020 წლის 29 მარტს გარდაიცვალა პარიზში კორონავირუსის შედეგად)*.

1981 წელს საფრანგეთში მცხოვრები სომეხი ახალგაზრდების მიერ შეიქმნა „ორლის ჯგუფი“, რომელთა მთავარი მიზანი იყო „ასალა“- ს ჯგუფის დაპატიმრებულთა გათავისუფლება და საფრანგეთის ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელება. მათ მიერ 1983 წლის 15 ივლისს პარიზის „ორლი“-ს აეროპორტში, თურქეთის ავიაკომპანიის ოფისის გვერდით განხორციელებული ტერაქტის შემდეგ დაკავებული სამი დამნაშავიდან ერთ-ერთს, ვარუჟან კარაპეტიანს ყველაზე მკაცრი სასჯელი, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. საფრანგეთის სომხური დიასპორა ძალზე აქტიურად მოქმედებდა ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ აღიარების საქმეში საფრანგეთის სამთავრობო წრეებთან. 1990-იან წლებში „სომეხთა გენოციდი“ უკვე აღიარეს რუსეთმა (1995), საბერძნეთმა (1996), კანადამ (1996), ლიბანმა (1997), ბელგიამ (1998).

1998 წლიდან, რობერტ ქოჩარიანის პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ, სომხეთის რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური კურსი უფრო მრავალფეროვანი და მომთხოვნი გახდა. „სომეხთა გენოციდის“ საკითხმა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება მიიღო და მისი საერთაშორისო აღიარების პროცესში, სომხეთის ახალმა ხელისუფლებამ, სომხური დიასპორების უმრავლესობასთან ახლო ურთიერთობები დაამყარა. აქედან გამომდინარე სომხეთ-დიასპორას ტანდემმა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები მოიტანა და სწორედ ამ პერიოდში მოხდა „სომეხთა გენოციდის“ აღიარება ვატიკანის (2000), იტალიის (2000), საფრანგეთის (2001), კანადის (2002), შვეიცარიის (2003) პარლამენტების მიერ. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის *(ოფიციალურ თურქეთის ყველაზე მსხვილ ეკონომიკურ პარტნიორს)* სომხური დიასპორის აქტიურობას, ვინაიდან საფრანგეთის შიდა-პოლიტიკურ სფეროში, დიდი გავლენა ჰქონდათ ეთნიკურ სომხებს. სომხური წარმოშობის საფრანგეთის ცნობილმა და ავტორიტეტულმა პირებმა, დიდი წვლილი შეიტანეს, რომ „სომეხთა გენოციდის“ საკითხი დღის წესრიგში დამდგარიყო. საფრანგეთში 1998 წლის 29 მაისს პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო „გენოციდის“ აღიარების პროექტი, მაგრამ ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო სენატმა პროექტი არ დაამტკიცა. *სომხური დიასპორის მხრიდან კრიტიკულმა განცხადებებმა იმატა და 2000 წლის 24 აპრილს „სომეხთა გენოციდის“ წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელშიც საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მონაწილეობდა, მას სომეხთა აქტივისტები ერთი წლის შემდეგ დაგეგმილ „არჩევნებში ხმების უკმარისობით“ დაემუქრნენ (წყარო: თურქული მასმედია).* სომხურ დიასპორასთან არსებული ორგანიზაციების, პრესის, სააგენტოების და ცნობილი პოლიტიკოსების გავლენით, მათი აქტიური მუშაობის შედეგად მიღწეულ იქნა, რომ 2000 წლის 8 ნოემბერს საფრანგეთის სენატმა მიიღო „სომეხთა გენოციდის“ აღიარების პროექტი. აღნიშნულ გადაწყვეტილებას თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მკაცრი და აღშფოთებული განცხადება მოჰყვა, რომელშიც დაგმობილია საფრანგეთის სენატის „ბედკრული და მცდარი ნაბიჯი“. თურქული მხარე, სენატის გადაწყვეტილებაში „ისტორიული ფაქტების დამახინჯებასა და მთელი ერისთვის ჩირქის მოცხების“ მცდელობას ხედავს. „თურქ ერს, თავისი ისტორიის არც ერთ პერიოდში გენოციდის მსგავსი რაიმე დანაშაული არ ჩაუდენია“. თურქეთის საგარეო უწყება იმედოვნებს:

„საფრანგეთის მხრიდან ველოდებით, რომ ევროპის პარლამენტისა და აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მაგალითზე, საფრანგეთის სენატის ამ შეცდომას ეროვნული კრება არ გაიმეორებს და ჩვენს ურთიერთობებს ჩრდილს არ მიაყენებს“. ამავე დროს, თურქულმა საქმიანმა მხარემ საფრანგეთის პროდუქციას ბოიკოტი გამოუცხადა, რაც საფრანგეთსა და თურქეთს შორის არსებულ ეკონომიკურ თანამშრომლობას აზარალებდა. თურქული საზოგადოებრივი აზრი იმდენად განეწყო ანტიფრანგულად, რომ

ქვეყანაში ფრანგული ენის ხმარებაც აიკრძალა.

თურქეთის სამთავრობო უწყებების მხრიდან წამოსული საკმაოდ ნერვიული და დამრიგებლური ტონის განცხადებების პარალელურად, თურქეთის მასმედია აღვივებდა მასების როგორც ანტიფრანგულ, ისევე ანტისომხურ მეტად ხმაურიან და თავაშვებულ კამპანიას. ამის ფონზე, საფრანგეთის სომხური დიასპორის ნაწილს ეჭვი შეეპარა, რომ პრეზიდენტმა სენატის მიერ წარდგენილი „სომეხთა გენოციდის“ აღიარების პროექტი უკან არ დააბრუნოს და ამ ნაწილმა დახმარებისთვის ცნობილ მომღერალს შარლ აზნავურს მიმართა დახმარებისთვის. 2000 წლის 13 დეკემბერს შარლ აზნავურის კონცერტს პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ესწრებოდა და იმ საღამოს შარლ აზნავურმა მიაღწია იმას, რომ პრეზიდენტმა სიტყვა მისცა მას, რომ აუცილებლად მოაწერდა ხელს მასთან წარდგენილ პროექტს *(გაზეთი „ჰუჩიეთი“ 19 იანვარი 2001 წ.).* 2001 წლის 18 იანვარს საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება: „საფრანგეთი სცნობს, 1915 წელს სომხებზე ზემოქმედებით ჩადენილ გენოციდს“. კანონის მიხედვით პარლამენტის გადაწყვეტილება პრეზიდენტს წარედგინება, რომელიც მან 15 დღის განმავლობაში ხელმოწერით უნდა დაამტკიცოს, ან უკან დააბრუნოს. 2001 წლის 30 იანვარს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ხელი მოაწერა და „სომეხთა გენოციდის“ აღიარება საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ კანონიერი გახდა.

ამ ფაქტის გამო, რა თქმა უნდა, თურქეთის მხარემ მტკიცე პროტესტი გამოთქვა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა თავისი პროტესტი საფრანგეთის ელჩს თურქეთში ბერნარ გარსიას სიტყვა-სიტყვით უკარნახა „საბოლოოდ, საფრანგეთმა ამ გადაწყვეტილებით უცხოელთა მხრიდან მტრობა დაიმსახურა და თავის ქვეყანაში ტერორის აღმავლობას შეუწყო ხელი“.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბიულენთ ეჯევითმა განაცხადა, რომ თურქეთ-საფრანგეთის თანამშრომლობას ეკონომიკური და პოლიტიკური მძიმე დარტყმა მიაყენეს. თურქეთის პრეზიდენტმა აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა კი, საფრანგეთის პარლამენტი კეთილგონიერების უქონლობაში დაადანაშაულა. თურქეთის ხელისუფლებამ საფრანგეთის გადაწყვეტილების საპირისპიროდ, აზერბაიჯანთან ურთიერთობები უფრო გაახშირა, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ფარუქ ლოღოღლუ მიავლინა ბაქოში და ყარაბაღის პრობლემის მოგვარების „მინსკის ჯგუფში“ საფრანგეთის როლის შემცირებაზე დაიწყო მუშაობა. პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე დღეში სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია საფრანგეთს. გადაწყვეტილების მიღებამ საფრანგეთ-სომხეთის ურთიერთობებს დიდად შეუწყო ხელი და საფრანგეთის პრესტიჟი სომხეთში კიდევ უფრო აამაღლა. ამის შემდეგ სომეხი ხალხი, რუსეთთან ერთად, საფრანგეთსაც „ისტორიულ მეგობარს“ უწოდებს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პარიზის მერიამ ბრძანება გასცა, რომ პარიზში „სომეხთა გენოციდის“ ამსახველი ხსოვნის ძეგლი დაედგათ. 2001 წლის 13 მარტს „პარი სენ-ჟერმენსა“ და „გალათასარაის“ შორის პარიზში გამართული უეფას ტურნირის საფეხბურთო მატჩის მსვლელობისას, ადგილობრივმა სომხებმა საპროტესტო გამოსვლები მოაწყეს. ამავე პერიოდს უკავშირდება 1983 წლის 15 ივლისს ორლის აეროპორტში მომხდარი ტერორისტული აქტის მთავარი დამნაშავის ვარუჟან კარაპეტიანის პატიმრობიდან გათავისუფლების ფაქტი. „სომეხთა გენოციდის“ აღსანიშნავი დღის, 24 აპრილის მოახლოვებასთან დაკავშირებით, საფრანგეთის პარლამენტის გადაწყვეტილებით, იგი 2001 წლის 22 აპრილს გათავისუფლებულ იქნა, იმავე დღეს გადაფრინდა ერევანში, სადაც მას „ეროვნული გმირის“ შესაფერისი დახვედრა მოუწყეს. „სომხეთის პრემიერ-

მინისტრმა ანდრანიკ მარქარიანმა პირადად მიულოცა და კმაყოფილებით აღნიშნა მისი გათავისუფლება. ვარუჟან კარაპეტიანმა 24 აპრილს მონაწილეობა მიიღო „გენოციდის“ მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ მრავალათასიან დამონსტრაციაში და სომეხი ხალხის მისდამი დამოკიდებულებით, ეროვნულ გმირად იგრძნო თავი“ *(წყარო: გაზეთი „მიღიეთი“ 25 აპრილი 2001 წ.).* აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის 2001 წლის მარტის არჩევნების წინა პერიოდში სომხური ლობის პოლიტიკური წონა გაიზარდა და დეპუტატობის კანდიდატთა გარკვეული ნაწილი მათ გავლენას განიცდიდა. არჩევნების შედეგად შექმნილი ახალი კაბინეტი „სომეხთა გენოციდის“ საკითხის გადაწყვეტაში, სხვა ქვეყნებს საფრანგეთის მაგალითს სთავაზობდა. საფრანგეთის ახალი ხელისუფლება თურქეთისთვის მძიმე „კოშმარად“ იქცა. ახალ კაბინეტში მოგვიანებით, ადგილობრივი დამოუკიდებლობის მინისტრად, „სომეხთა გენოციდის“ პროექტის მიღებაში ყველაზე თავდადებული პოლიტიკოსი პატრიკ დევეჯიანი დაინიშნა. ასევე, ევროკავშირთან ურთიერთობების წამყვანი მინისტრის პოსტზე დაინიშნა რენო დონადიუ, რომლის აზრითაც თურქეთი ევროპის ქვეყანა არ არის და ევროკავშირში მისი გაწევრიანების კიდევ ერთი შემაფერხებელი მიზეზი, „სომეხთა გენოციდის“ აღიარების უარყოფა გახლავთ.

ამ პერიოდში, თურქეთსა და საფრანგეთს შორის შექმნილი უკიდურესად დაძაბული ვითარების ფონზე, სომხური დიასპორის პოპულარობამ საფრანგეთში უმაღლეს წერტილს მიაღწია. 2001 წლის 11 სექტემბერის მოვლენებმა, მთელი მსოფლიოს დღის წესრიგი და პრიორიტეტები ერთბაშად შეცვალა, რომელიც საფრანგეთსაც შეეხო და სომხური ლობის მიერ გავრცელებული ანტითურქული ისტერია შეწყდა. თურქეთმა ისარგებლა ამ ცვლილებებით და წლის ბოლომდე საფრანგეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, ფრანგული ფირმებისთვის დაწესებული სამხედრო ემბარგო 2001 წლის 20 დეკემბერს ოფიციალურად გაუქმდა. თურქეთის მხარემ საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, სომხეთთან მდგომარეობის გაჯანსაღებისკენ აიღო გეზი, ვინაიდან ეკონომიკურად დასუსტებულ სომხეთს, ძალზე სურდა თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზება წინასწარი პირობების შესრულების გარეშე. თურქეთი მოითხოვდა, რომ სომხურმა მხარემ შეაკავოს სომხური დიასპორების აქტიური მცდელობები „გენოციდის“ ცნობის საკითხებში.

ამ მიზნით 2001 წლის 9 ივლისს ჟენევაში შეიქმნა „თურქეთისა და სომხეთის შემრიგებელი კომისია“, რომელშიც შევიდნენ თურქეთის, სომხეთის, აშშ-ის და რუსეთის 10 მაღალი რანგის ცნობილი ყოფილი პოლიტიკოსი. სხვადასხვა ქვეყნების სომხური დიასპორების ჯგუფები, აღნიშნული კომისიების ინიციატივების წინააღმდეგ გამოვიდნენ და განსაკუთრებით დაგმეს, იმ ფაქტების განხილვა ისტორიულ რაკურსში, რომელთაც ესენი უკვე მომხდარ მოვლენად თვლიდნენ. თურქეთის ხელისუფლებამ 2002 წლის იანვრიდან მოხსნა აკრძალვა სომხეთის მოქალაქეთა შესვლაზე თურქეთში და მიუხედავად ორ ქვეყანას შორის საზღვრის უმოქმედობისა, სომხეთის მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ, საქართველოს ტერიტორიიდან 30-დღიანი ვიზით შესულიყვნენ თურქეთში, სადაც მათი უმეტესობა ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, არალეგალურად რჩებოდა იქ სამუშაოდ *(თურქეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ჰეჯეფ ეჰდოღანმა მოგვიანებით განაცხადა, რომ „მათ არ შეუძლიათ თავი გაიტანონ თავის ქვეყანაში და ჩვენ კარი გავუღეთ მათ. ჩვენ შეგვეძლო მათი დეპორტირება, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ“).*

XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობების დაძაბვის კიდევ ერთი კრიზისული „სომხური საკითხი“

წარმოიშვა. საქმე ეხება ცნობილი სომეხი კომპოზიტორის და საეკლესიო მოღვაწის კომიტასის *(სოგომონ სოგომონიანი)* ძეგლის ინციდენტს. პარიზის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ადგილას, მდ. სენას ნაპირზე, კანადის მოედანზე გაიხსნა კომიტასის ექვსი მეტრი სიმაღლის, მეტად მშვენიერი, პომპეზური ძეგლი. საფრანგეთის ეროვნული კრებისა და ადგილობრივი გამგეობების მიერ „სომეხთა გენოციდის“ აღიარების გადაწყვეტილებების მიღების პარალელურად, ამ ფაქტს სომხური ლობის გააქტიურება მოჰყვა, „გენოციდის“ ხსოვნის სიმბოლოების უკვდავყოფისა და შექმნის მიზნით. კომიტასის ძეგლი 2003 წელს გაიხსნა და მის ტაბლოზე იგი მოხსენიებულია, როგორც „გენოციდის“ მსხვერპლი. თურქეთის მხარემ პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ კომიტასი, როგორც „დაშნაკთა“ პარტიის წევრობაში ეჭვმიტანილი, მართლაც აიყვანეს ოსმალეთის საიდუმლო პოლიციის თანამშრომლებმა 1915 წლის 24 აპრილს. მაგრამ ახლო მეგობრებმა უშუამდგომლეს მმართველი „ტრიუმვირატის“ შეფებთან, საკმაოდ ცნობილი კომპოზიტორი მალე გაათავისუფლეს და სტამბოლში დაბრუნდა *(ახის მოსაზრება, რომ მის გათავისუფლებაში დიდი წვლილი მიუძღვის აშშ-ის მაშინდელ ელჩს ოსმალეთში ჰენრი მორგენტაუს, რომელმაც პირდაპირ შინაგან საქმეთა მინისტრ თალაათ ფაშასთან მოაგვარა ეს საკითხი).* მხოლოდ 1919 წელს, უკვე ფსიქიურად დაავადებული კომიტასი პარიზს გაემგზავრა და 1935 წელს იქვე გარდაიცვალა. თურქეთის მხარე, კომიტასის 1915 წლის ოსმალეთში განვითარებული მოვლენების მსხვერპლად მოხსენიებას და ამ ნიშნით მისთვის პარიზში ძეგლის აგებას, სომხური ლობის მხრიდან თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობების კიდევ ერთხელ დაძაბვისა და თურქეთის ევროკავშირთან დაახლოვების ხელის შეშლის მცდელობად მიიჩნევს. 2003 წლიდან თურქეთში ახალი ხელისუფლების მმართველობის დაწყებასთან ერთად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უფრო დახვეწილი და კონკრეტული კურსით განვითარებას იწყებს, რაც კავკასიის რეგიონში ისტორიული ფაქტების სტრატეგიულ ჭრილში შეფასებასა და გამოყენებას გულისხმობს. კავკასიის რეგიონში ყველაზე რთულად ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ პრობლემა იდგა, რომელიც თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მეტად მნიშვნელოვან წინაღობას უქმნიდა და ამასთანავე, საერთაშორისო ფონიც მისთვის არასახარბიელოდ ყალიბდებოდა.

2004 – 2005 წლებიდან ნატო-სა და ევროკავშირის ახალი წევრებით დაკომპლექტებამ, ხელი შეუწყო ახალი ქვეყნების მიერ ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ ცნობის გავრცელებას, კერძოდ, სლოვაკეთმა (2004), ნიდერლანდებმა (2004), პოლონეთმა (2005), ლიეტუვამ (2005), ვენესუელამ (2005), ჩილემ (2007), ავსტრალიის შტატების უმეტესობამ (2007), დიდი ბრიტანეთის (უელსი, შოტლანდია, ჩრდ. ირლანდია - 2009)? თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეფ თაიფ ერდოღანის 2005 წლის აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის დროს, მოეწყო შეხვედრა აშშ-ის სომხური დიასპორის ხელმძღვანელებთან *(აშშ-ში ძლიერი სომხური დიასპორა არსებობს. ღღეისათვის ქვეყანაში 500 ათასამდე სომეხი ცხოვრობს, მათი 66% კალიფორნიის შტატში. ყველაზე ცნობილი მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციები: „სომხური საყოველთაო საქველმოქმედო საბჭო“; „ამერიკის სომხური ასამბლეა“; „ დაშნაკცუტიუნი“.).* აღნიშნულ შეხვედრაზე, როდესაც ამერიკელმა სომხებმა „სომეხთა გენოციდის“ აღიარება მოსთხოვეს ერდოღანს, მან მათ შესთავაზა: *თუქენებისა და სომხების მხრიდან მოეწვიათ ცნობილი, გამოცდილი, პროფესიონალი მეცნიერ-ისტორიკოსები. მათი სურვილის მიხედვით შეეძლოთ მოეწვიათ ნეიტრალური უცხოელი მეცნიერები, მოეძიათ ღღეს არსებული იმდროინდელი (1915 წლების) ყველა დოკუმენტაცია და სტატიები, შეესწავლათ მოთმინებით, აუჩქარებლად და ობიექტურად და ამის შემდეგ, ცნობილ მეცნიერთა დასკვნის მიხედვით დაედგინათ, თუ სინამდვილეში რა მოხდა 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში?.*

2005 წლის აპრილში თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეფ ერდოღანი სომხეთის პრეზიდენტს რობერტ ქოჩარიანს სთავაზობდა თურქეთისა და სომხეთის ისტორიკოსთა ერთობლივი კომისია შექმნილიყო, რომელიც განიხილავდა 1915 წლის მოვლენებს და საბოლოო დასკვნას გამოიტანდა ამ წლობით გადაუჭრელი საკითხის მოსაგვარებლად. თურქეთის დიდმა ეროვნულმა მეჯლისმა მოიწონა სომეხი და თურქი ისტორიკოსებისაგან შემდგარი ერთობლივი კომისიის შექმნის იდეა, რომელიც შეისწავლიდა ორივე ქვეყნის ეროვნულ არქივებში დაცულ მასალებს და თავისი ძიების შედეგებს გაუზიარებდა საერთაშორისო საზოგადოებას. მაგრამ 2005 წლის აპრილში სომხეთის პრეზიდენტი რ. ქოჩარიანი თავის საპასუხო წერილში აცნობებდა თურქეთის პრემიერ-მინისტრ რ. ერდოღანს: „მთავრობა პასუხისმგებელია ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაზე, ჩვენ კი არ გვაქვს უფლება, რომ ეს პასუხისმგებლობა ისტორიკოსებს დავაკისროთ. ამიტომ, ჩვენ გთავაზობდით და კვლავ გთავაზობთ, ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე დავამყაროთ ნორმალური ურთიერთობები ჩვენ ქვეყნებს შორის“. სომხეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვარდან ოსკანიანიც მომხრე იყო თურქეთთან ურთიერთობების დამყარებისა და ამტკიცებდა, რომ „თურქეთი არ აღიარებს „გენოციდს“, მაგრამ მისი ეს პოზიცია, არ უნდა უშლიდეს ხელს ჩვენი ურთიერთობების ნორმალიზებას“. მართლაც, 2005 წელს თურქეთმა გახსნა თავისი საჰაერო სივრცე და დაიწყო თვითმფრინავების მიმოსვლა ერევანსა და სტამბოლს შორის *(საქართველოს საჰაერო დეპეფნის მეშვეობით).* თურქეთსა და ევროკავშირს შორის 2005 წლის 3 ოქტომბერს დაწყებული აქტიური მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, თურქეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ ევროკავშირის მიერ წამოყენებული ე.წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ ითვალისწინებდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მიერ „სომეხთა გენოციდის“ აღიარებას. ამას დაემატა საფრანგეთის სომხური დიასპორის მრავალწლიანი მუშაობის შედეგი, როდესაც 2006 წელს საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ „1915 წელს თურქ-ოსმანებმა განახორციელეს გენოციდი და ამის არაღიარება ცხადდება დანაშაულად“. ამის შემდეგ თურქეთის იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა გიულმა 2007 წელს კვლავ მოუწოდა თურქ და სომეხ ისტორიკოსებს, კიდევ ყურადღებით შეესწავლათ 1915 წლის მოვლენები, მაგრამ სომხურმა მხარემ არ მიაქცია ყურადღება ამ მოწოდებას და დაეყრდნო 2007 წელს სომხეთში ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოითხოვს, აიძულონ თურქეთი სცნოს „გენოციდი“. ამავე პერიოდში, სომხური წარმოშობის ამერიკის მოქალაქეთა დიდი ძალისხმევა მიმართული იყო იქით, რომ აშშ-ის კონგრესს მიეღო რეზოლუცია სომეხთა გენოციდის აღიარების შესახებ. ხოლო ვაშინგტონის სომხური ლობის ეფექტურმა მუშაობამ შესძლო, რომ 2007 წელს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ, სპიკერის ნენსი პელოზის გავლენის წყალობით, ლამის მიიღო „სომეხთა გენოციდის“ ცნობის პროექტი *(მსგავსი მცდელობები მომავალში კიდევ გამეორდება და ქალბატონი ნენსი პელოზის ავტორიტეტი კიდევ არაერთხელ გამოვლინდება).* ამ სიტუაციაში, კონდოლიზა რაისმა და რობერტ გეიტსმა კონგრესს მიმართეს ღია წერილით და გააფრთხილეს, რომ „სომეხთა გენოციდის“ ოფიციალურმა აღიარებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს ამერიკულ სამხედრო ნაწილებს „ანტაგონისტური“ თურქეთის ტერიტორიაზე. აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, აშშ-ის მთავრობა დაინტერესებული იყო კავკასიის რეგიონში სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებით და ხელს უწყობდა თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დალაგებას.

2007 წლიდან შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში მიმდინარეობდა თურქეთ-სომხეთის მოლაპარაკებები, რასაც სომხური მხარე არ აფიშირებდა, ხოლო თურქული მასმედია საკმაოდ ხშირად აშუქებდა აღნიშნული „საიდუმლო“ შეხვედრების დღის წესრიგს. ზემოხსენებულმა სომეხმა დიპლომატმა ვარდან ოსკანიანმა მაშინ განაცხადა, რომ ამ მოლაპარაკებებში არაფერი უჩვეულო არ ძევს - ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური პრაქტიკაა *(აშშ-ში მიღებული განათლება, მაინც უფრო ღრმა აზროვნებას აყალიბებს*).

აქ მოგვიწევს ცოტა უჩვეულო დიპლომატიურ სტილზე გავამახვილოთ ყურადღება, ვინაიდან დიპლომატიის ისტორიაში ქვემოთ მოხსენიებული ფაქტი, „ფეხბურთის დიპლომატიის“ სახელით შევიდა. 2007 წლის 27 ნოემბერს დურბანში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გაიმართა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა. მე-5 შესარჩევ ჯგუფში ერთად მოხვდნენ სომხეთისა და თურქეთის ეროვნული ნაკრები გუნდები. კალენდრის მიხედვით ამ გუნდების პირველი შეხვედრა დაგეგმილი იყო 2008 წლის 6 სექტემბერს ერევანში. უეფა-ს წესის თანახმად, დიპლომატიური ურთიერთობების არ მქონე ქვეყნების შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე უნდა გამართულიყო. თურქეთ-სომხეთის ბერნის მორიგ მოლაპარაკებებზე კონსესუსი იქნა მიღწეული და ორივე მხარემ თავისი ქვეყნების მთავრობებს რჩევა მისცა, რომ უკეთეს შემთხვევას ვერც ინატრებდნენ, ქვეყნებს შორის დათბობის შანსის გამოჩენისთვის.

2008 წლის თებერვალში სომხეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, 13 თებერვალს სომხეთის პრეზიდენტად აირჩიეს სერჟ სარგსიანი. ამის შემდეგ, ორივე ქვეყნის დიპლომატიურმა ელიტამ იმუშავა პროექტებზე და გამოიკვეთა უშუალო დიალოგის ვარიანტი ქვეყნის პირველ პირებს შორის. 2008 წლის 9 აპრილს სერჟ სარგსიანი ოფიციალურად შეუდგა სომხეთის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას და მაისში ვიზიტით მოსკოვს ეწვია. მოსკოვში რუსეთის სომხურ დიასპორასთან შეხვედრისას გააჟღერა სურვილი, რომ საფეხბურთო მატჩზე ერევანში მოეწვია თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული *(პრეზიდენტად აირჩიეს 2007 წლის 22 ივლისს).* მოსკოვში, რუსეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან საუბარში სომხეთის პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, თურქეთთან მომავალ ურთიერთობებსაც შეეხო, რასაც დადებითი რეაქცია მოჰყვა, ძირითადად საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვისგან. იმავე 2008 წლის ზაფხულს, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, თურქეთმა თავისი გაკვეთილები გამოიტანა და 12 აგვისტოს პრემიერ-მინისტრ ერდოღანის მოსკოვში ვიზიტის დროს, თავის რუს კოლეგასთან ერთად, შემუშავდა თურქეთ-რუსეთის ე.წ. „კავკასიის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გეგმა“.

2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგებმა მთლიანად შეცვალეს სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური კონტექსტი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს 5-დღიანმა ომმა თურქეთის კავკასიის პოლიტიკა კი არ გააქტიურა, არამედ მისი რეანიმაცია მოახდინა. რუსეთის ავიაციის თავდასხმამ სტრატეგიულ ენერგოსადენებზე ნათლად დაანახა თურქეთს კავკასიაზე გამავალი ენერგეტიკული მარშრუტების დაცვის აუცილებლობა და მათი სტაბილურობის უზრუნველყოფის გარანტია. ვინაიდან რუსეთის აგრესიული განწყობა საქართველოს მიმართ არ განელებულა, თურქეთის მთავრობისთვის პრიორიტეტული გახდა, რეგიონში რუსეთის მოკავშირე სომხეთთან ურთიერთობების დამყარების დაჩქარება.

2008 წლის 6 სექტემბერს თურქეთის პრეზიდენტის აბდულა გიულის ერევანში ვიზიტი და საფეხბურთო მატჩზე დასწრება ისტორიული მომენტი გახდა, ორი ისტორიულად დაპირისპირებული სახელმწიფოს ცხოვრებაში. დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ (1993), ეს იყო თურქეთის

უმაღლესი დონის ხემძღვანელის პირველი ვიზიტი სომხეთში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახდა ინტენსიური დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგი, რომელიც შვეიცარიაში მიმდინარეობდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში. პრეზიდენტებმა და ორივე ქვეყნის მასმედიამ, დადებითად შეაფასეს ვიზიტი, რომელმაც საფუძველი შეუქმნა დიპლომატიური ურთიერთობების დათბობის პროცესს.

სერჟ სარგსიანი და აბდულა გიული

სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის საპასუხო განმეორებით ვიზიტს 2009 წლის ოქტომბერში პროგრესული შედეგი მოჰყვა, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობებისა და საზღვრის გახსნის შესახებ მომავალი მოლაპარაკებების დაწყების ასპექტში. თურქმა და სომეხმა ექსპერტებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი ანალიტიკური მიმოხილვა, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ ანკარის, ერევნისა და ვაშინგტონის ერთობლივი დაინტერესება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ თანამშრომლობაში, გადამწყვეტი სტიმული იქნება კომპრომისის მოძებნის საკითხში. დიპლომატიური ძალისხმევის შედეგი გახდა 2009 წლის 10 ოქტომბერს ციურიხის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ხელმოწერილი „სომხეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ოქმი“ და „ორმხრივი ურთიერთობების განვითარების ოქმი“. აღნიშნული დოკუმენტების ტექსტის თანახმად სომხეთი და თურქეთი ვალდებულებას კისრულობდნენ პატივი სცენ თანასწორობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობის, სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს და ასევე დაადასტურეს ორ ქვეყანას შორის არსებული საერთო საზღვრის ორმხრივად აღიარება. „ციურიხის პროტოკოლებად“ ცნობილ დოკუმენტებს ხელი მოაწერეს: სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ. აღნიშნული ხელმოწერის შუამავლები და დამსწრენი იყვნენ ეუთოს „მინსკის ჯგუფის“ წევრი სახელმწიფოების საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები: ჰილარი კლინტონი (აშშ), სერგი ლავროვი (რუსეთი) და ბერნარ კუშნერი (საფრანგეთი). მოწმეთა შორის ასევე იყო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საქმეთა ხელმძღვანელი ხავიერ სოლანა. სომხეთისა და თურქეთის პოლიტიკური დაახლოვებისა და ციურიხის

ხელმოწერების სასტიკი წინააღმდეგნი განსაკუთრებით იყვნენ აშშ-ის და საფრანგეთის სომხური დიასპორის წარმომადგენელთა უმრავლესობა, ხოლო იმ წუთებში, როდესაც ციურიხში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ერევანში პარლამენტის შენობის წინ 60-ათასიანი საპროტესტო მსვლელობა გაიმართა. სომხური პატრიოტული ძალები მთელ მსოფლიოში, გმობდნენ სომხეთის მხრიდან ამგვარ შემრიგებლურ პოზიციას, ვინაიდან მთავარი საკითხი, რასაც მთელი მსოფლიოს სომხური საზოგადოება მოითხოვს, არის და იქნება „სომეხთა გენოციდის“ აღიარება თურქეთის მხრიდან. არა და, დოკუმენტებზე ხელმოწერამდე მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოთხოვნები „გენოციდის“ ცნობასა და ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტის შესახებ არ განიხილება და ამჯერად მოლაპარაკებათა დღის წესრიგში არ შესულა. თუმცა, დოკუმენტში ცალკე მუხლად შევიდა ისტორიკოსთა ორმხრივი კომისიის შექმნის პუნქტი, რამაც სომხური დიასპორის რადიკალური ჯგუფების განსაკუთრებული რისხვა გამოიწვია - მათი აზრით, რაც უტყუარი ფაქტებით არის დადასტურებული, ის ისტორიული კომისიის „გამოძიებას“ არ საჭიროებს. სომხეთსა და საზღვარგარეთაც, ყველაზე აგრესიულად „დაშნაკური“ პარტიის მომხრენი აქტიურობდნენ და არ წყდებოდა საპროტესტო აქციები, ციურიხის პროტოკოლებზე ხელმომწერი სომხეთის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, „გენოციდის“ საკითხის ამგვარი „მიფუჩეჩებისა“ და „მოღალატეობრივი“ წაყრუების ბრალდებებით.

ციურიხის დოკუმენტზე ხელის მოწერის მეორე დღესვე აზერბაიჯანის ეროვნულმა პარლამენტმა მძაფრი ნეგატიური რეაქცია მოახდინა. აზერბაიჯანის მთავრობა თვლის, რომ თურქეთისა და სომხეთის ურთიერთობების ჰიპოტეტური ნორმალიზაცია ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების იგნორირებით, აზერბაიჯანის ეროვნული ინტერესების პირდაპირი შელახვაა. თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის მცდელობა, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპაციის გამო იქნა ჩაკეტილი, ოკუპაციიდან გათავისუფლების გარეშე, აზერბაიჯანის ხელისუფლების ოფიციალური შეფასებით, აგრესორის წახალისებაა. მანამდეც, თურქულ-სომხური დაახლოვების პროცესმა სათავე დაუდო თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების ერთგვარ გაცივებას, მითუმეტეს აზერბაიჯანული მხარე მუდამ ხაზს უსვამდა, რომ თურქულ-სომხური ურთიერთობები შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ ყარაბაღის პრობლემის მოგვარების შემდეგ. ციურიხის ოქმების ხელის მოწერამდე და შემდეგაც, თურქეთის ხელისუფლება არწმუნებდა აზერბაიჯანს, რომ თურქულ-სომხური რეგულირების პროცესი, მხოლოდ პოლიტიკური მანევრია და საზღვრები, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებამდე არ გაიხსნება.

თურქეთის მთავრობამ გაითვალისწინა, რომ კავკასიაში მოძმე და ენერგოსადენებით დაკავშირებულ პარტნიორთან ურთიერთობების გაცივებას, ამჯობინა უარი ეთქვა ციურიხის ოქმების რატიფიცირებაზე, ვიდრე პოლიტიკურად დაპირისპირებოდა სტრატეგიულ მოკავშირეს რეგიონში. ამ პერიოდიდან იწყება თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სტრატეგიული ურთიერთობების აღმავლობა, რომელიც 2010 წლის 16 აგვისტოსა და 21 დეკემბერშს ახალი სტრატეგიული თანამშრომლობის პარტნიორობის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა. სტრატეგიული პარტნიორობის ახალ ხარისხში გადასვლას დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თურქეთის, ასევე აზერბაიჯანისთვისაც *(ამაზე აქჩე უკვე ვისაუბჩეთ).*

არც სომხეთის და არც თურქეთის პარლამენტებს ციურიხის ოქმების რატიფიცირება არ მოუხდენიათ, ვინაიდან ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისა და ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ საკითხები იმ პერიოდში მოუგვარებელი დარჩა. თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი ყველა

გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ თურქეთის ეროვნული მეჯლისი არ დაამტკიცებდა „ციურიხის პროტოკოლების“ დოკუმენტს საზღვრების გახსნის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული საკითხი, მხოლოდ სომხეთის სამხედრო ძალებისგან ყარაბაღის გათავისუფლების შემდეგ გადაწყდება.

2017 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა გამოაცხადა, რომ მომავალ გაზაფხულს გააუქმებს 2009 წელს მიღებულ „ციურიხის პროტოკოლებს“ და მართლაც, 2018 წლის 1 მარტს სომხეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე სერჟ სარგსიანმა აღნიშნული ოქმები ანულირებულად გამოაცხადა.

2020 წლის 44-დღიანი ყარაბაღის ომის შედეგები თურქეთის სტრატეგიული გეგმების და ინტერესების გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს. საომარ მოქმედებებში თურქეთის სამხედრო დახმარებამ, აზერბაიჯანის გამარჯვება უზრუნველჰყო. თურქეთის აზერბაიჯანთან პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული მყარი კავშირები, საშუალებას იძლევა, რომ თურქეთმა მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტის მოგვარების საკითხებში. ოკუპირებული ტერიტორიების აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ დაბრუნება და ძალთა ბალანსის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა, თურქეთის ინტერესებშიც შედის, ვინაიდან აზერბაიჯანი მისი ტრადიციული სტრატეგიული მოკავშირეა. ასევე, აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფამ, შესაძლებელია თურქეთის პოზიციები გაამყაროს სომხეთის მიმართ *(ვინაიდან 2009 წლის სომხეთთან უთანხმობის დამყარებას, ყარაბაღის საკითხმა და ტერიტორიულმა პრობლემებმა შეუშალეს ხელი).*

2021 წლის 27 ივლისს ბაქოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე მუსტაფა შენთოფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის, თურქეთის და პაკისტანის პარლამენტების სპიკერთა სამმხრივ შეხვედრებში. მათ მიერ ხელმოწერილ იქნა „ბაქოს დეკლარაცია“. განჯაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მუსტაფა შენთოფმა განაცხადა, რომ ზანგეზურის დერეფნის გახსნა შექმნის მეტად მნიშვნელოვან სახმელეთო მაგისტრალებს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, ასევე თურქეთსა და აზიის ქვეყნებს შორის. ამჯერად, როდესაც დღის წესრიგში დადგა ნახჭევანის რკინიგზისა და საავტომობილო გზების მშენებლობის პერსპექტივა, რომელიც დააკავშირებს აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, ირანის *(და რუსეთისაც)* სატრანზიტო მაგისტრალებს ერთმანეთთან, რეგიონს საშუალება მიეცემა ახლებურად ჩამოყალიბდეს ურთიერთობები გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებაში. შენთოფმა დაასრულა სიტყვა: „დერეფანი უნდა გაიხსნას“. თურქეთი, გარდა ყარსი-ახალქალაქი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალისა, ზანგეზურის დერეფნით ნახჭევანზე გამავალი უფრო მოკლე გზით დაუკავშირდება აზერბაიჯანს და სომხეთს. შემდეგი პერსპექტივით რუსეთსა და აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებს.

თურქეთმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიაღწია თავის ძირითად მიზანს - მოახდინა ენერგეტიკული რესურსების დივერსიფიკაცია თავის ქვეყანაში და გაიმყარა სამხედრო გავლენა რეგიონში. რის შედეგადაც, თურქეთი იქცა ძლიერ რეგიონულ ძალად, რომლის ხელთ აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური პრობლემების მოგვარების მრავალი მექანიზმი.

ლ ე ქ ც ი ა 8

(თურქეთის ეკონომიკური და კულტურულ-იდეოლოგიური სტრატეგია ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებთან ურთიერთობებში. სინძიანის უიღურები)

1991 წლის განმავლობაში, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი უკვე მთელი ძალით მიმდინარეობდა, ბევრმა საბჭოთა რესპუბლიკამ ეროვნული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დაშლის შემდეგ, პირველმა სახელმწიფომ რომელმაც 1991 წლის 16 დეკემბერს აღიარა მათი დამოუკიდებლობა, იყო თურქეთის რესპუბლიკა. ახლად წარმოშობილ სუვერენულ სახელმწიფოებს არ გააჩნდათ დამოუკიდებელი ცხოვრების გამოცდილება და ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში აღმოჩდნენ. მაშინვე, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე გახდა თურქეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების სფერო. თურქეთის მთავრობამ დაინახა თავისი გავლენის გაზრდის შესაძლებლობა ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებში, პირველ რიგში კი, თურქულენოვანი სახელმწიფოების ბლოკის შექმნის ხარჯზე. ამისთვის, თურქეთის სახელმწიფოს გააჩნდა რესურსები, საერთაშორისო გამოცდილება, უფრო კონსოლიდირებული ელიტარული ნაწილი და სავსებით სერიოზულად შეეძლო შეექმნა თიურქულ სახელმწიფოთა ეკონომიკური და შესაძლებელია, პოლიტიკური ბლოკიც. ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებს თურქეთთან აკავშირებთ ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და კულტურული კავშირები, რაც თურქეთს საშუალებას აძლევდა საკუთარი „მოდელის“ დემონსტრირებით, როგორც „დასავლეთის ტიპის დემოკრატიის ელემენტებით შექმნილი სეკულარული პოლიტიკური სისტემის წარმატებული ფუნქციონირების“ სამაგალითო ძალას, რეგიონზე მოეპოვებინა გავლენა. თურქეთის იმდროინდელი პრეზიდენტის თურგუთ ოზალის ინიციატივით, 1992 წლის 30-31 ოქტომბერს ანკარაში ჩატარდა თურქულენოვან სახელმწიფოთა ხელმძღვანელების პირველი სამიტი, რომელმაც თურქეთისა და თურქულენოვანი ქვეყნების მომავალი თანამშრომლობის ფორმატი ჩამოაყალიბა. მასში მონაწილეობდნენ თურქულენოვანი სახელმწიფოების პრეზიდენტები: თურგუთ ოზალი (თურქეთი); აბულფაზ ელჩიბეი (აზერბაიჯანი); ნურსულტან ნაზარბაევი (ყაზახეთი); ისლამ ქარიმოვი (უზბეკეთი); საფარმურატ ნიაზოვი (თურქმენეთი) და ასკარ აკაევი (ყირგიზეთი). სამიტზე მათ განაცხადეს პოლიტიკური და ეკონომიკური ხედვების ერთიანობა, თანამშრომლობის სურვილი და ამგვარმა შეხვედრებმა შემდგომში სისტემური ხასიათი მიიღო. 1994 წლის 18-19 ოქტომბერს სტამბოლში გამართულ თურქულენოვან სახელმწიფოთა ლიდერების მეორე სამიტს უძღვებოდა პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, რომელიც სამიტის პარალელურად მიმდინარე თურქულენოვანი სახელმწიფოების „თურქული ყურულთაი (კონგრესი)“ - ის გახსნის ცერემონიალზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა *(სხუღიად თუჰქუღი ყუჰუღთაი 1993 წღის 21 მაჰტს შეიქმნა თუჰქეთის „ნაციონაღისტუჰი მოძჰაობის პაჰტიის“ ღიდეჰის აღფაჰსღან თუჰქეშის ინიციატივით, ჰომეღიც ითვაღისწინებდა თუჰქუღი სამყაჰოს ქვეყნების საზოგადოებჰივი ოჰგანიზაციების წაჰმომადგენეღთა ყჰიღობების გამაჰთვას „თუჰქუღენოვანი სამიტების“ პაჰაღეღუჰად)*. 1994 წლის 20 ოქტომბერს დემირელმა „ყურულთაის“ მონაწილეებს მიმართა, რომ „ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა, მამა-პაპანი, თქმულებანი და წეს-ჩვეულებები ერთი გვაქვს. ამიტომ ჩვენ ძმები ვართ და ამ უტყუარ ჭეშმარიტებას ვერავინ უარყოფს. თანაც ჩვენ, ადრიატიკის ზღვიდან ჩინეთის კედლამდე გადაჭიმულ თურქული სამყაროს წარსულ ცხოვრებაში ერთი მმართველი ძალაუფლების ქვეშ არცერთ დღეს არ გვიცხოვრია... მაგრამ ყველანი ძმები ვართ. ჩვენ დიდი ჭადრის ხის ტოტები ვართ“.

თურქეთი თავიდანვე, ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ, თავის თავს „უფროსი ძმის“ რანგში მოიაზრებდა და მრავალმხრივი დახმარების გეგმები შეიმუშავა, თუმცა პირველივე წლებში აღმოჩნდა, რომ თურქეთის

დაგროვებული ეკონომიკური პოტენციალი და მისი პროგრესული ტექნოლოგიები, მისგან ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებული ცენტრალური აზიის მთელ ეკონომიკურ პრობლემას ვერც გასწვდებოდა და ვერც უზარმაზარ გეოგრაფიულ სივრცეს აითვისებდა იოლად. ცენტრალური აზიის მთავრობები კი, ათეულ წლობით რუსი „უფროსი ძმის“ გავლენის სფეროდან ახლად გამოსული იყვნენ და ახალი „უფროსი ძმის“ გავლენის ქვეშ მოქცევა არ ეხატებოდათ გულზე. ნათელი იყო, რომ რეგიონში ახლად გამოჩენილი თურქეთი, რუსეთის პოლიტიკურსა და ჩინეთის ეკონომიკურ გავლენას კონკურენციას ვერ გაუწევდა. ამიტომ, თურქეთმა ძირითადად არჩია ე.წ. „რბილი ძალის“ პოლიტიკა, რომელიც შეადგენდა კულტურულ და საგანმანათებლო სფეროს, სამშენებლო პროექტებისა და სპეციალური სასწავლებლების დაფინანსებას, ადგილობრივი ახალგაზრდობის სასწავლებლად მიწვევას თურქეთში, კინემატოგრაფიის, ლიტერატურის, მუსიკის, ფერწერის, არქიტექტურის ხელოვნების დასახვეწად. აღნიშნულ პროგრამაში აქტიურად ჩაერთო 1992 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი საზოგადოება „თიკა“*(თურქული თანამშრომლობისა და აღორძინების სააგენტო. თურქულად - „TİKA“ Türk İşbirliği ve Kalkınma Ajansı“).* „თიკა“ ითვლება ცენტრალური აზიის რეგიონში თურქეთის საგარეოპოლიტიკური გავლენის მოპოვების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად, ანუ „რბილი ძალის“ გამტარებლად, რომლითაც ანკარამ შეძლო რეგიონში ეკონომიკისა და კულტურის სფეროში კარგა ხნით ფეხის მოკიდება.

ცენტრალური აზიის თურქულენოვანი სახელმწიფოების უმრავლესობა, დიდი რაოდენობით ფლობს მდიდარ ენერგეტიკულ რესურსებს *(სხვა სასარგებლო წიაღისეულიც საკმაოდ გააჩნია)* და ბუნებრივი სიმდიდრეების ტრანსპორტირება მსოფლიო ბაზარზე სატრანზიტო გზების საშუალებით არის შესაძლებელი, რომელზეც პრეტენზია სხვა ქვეყნებთან ერთად, თურქეთსაც გააჩნია მისი ევროპულ კონტინენტთან სიახლოვის გამო. თავისი სატრანზიტო პოტენციალის გამოყენებით თურქეთი, არა მარტო საკმაო ფინანსურ შემოსავალს მიიღებდა ენერგორესურსების ტრანსპორტირებით, არამედ თავის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესებსაც დაიკმაყოფილებდა. თურქეთის აქტიურმა პოლიტიკამ ცენტრალური აზიის რეგიონში და მისმა მცდელობამ, რომ რეგიონის ქვეყნები ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციებში, დააჩქარა ცენტრალური აზიის ქვეყნების საგარეოპოლიტიკური და საგარეოეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაცია და მათი საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებად ჩამოყალიბების პროცესი.

ყაზახეთი. ცენტრალური აზიის უდიდესი სახელმწიფო, რომელიც ევრაზიის სუბკონტინეტის ცენტრში მდებარეობს *(ფართობი: 2 725 ათასი კვ. კმ. საინტერესოა, რომ თურქეთმა მისი დამოუკიდებლობა სცნო 1991 წლის 16 დეკემბერს, ყაზახეთის პარლამენტის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 15 წუთში).*

ყაზახეთი თავისი მეტად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობით და მდიდარი ბუნებრივი წიაღისეულის მარაგით, მსოფლიოში გამორჩეულ ადგილს იკავებს. ნავთობის მარაგის (39,6 მლრდ ბარელი) მსოფლიოს საერთო მარაგის 3,2% ფლობს. ბუნებრივი აირის (1,9% ტრლნ კუბ. მ.) მსოფლიო მარაგის 1,7%. ურანის (842 200 ტ.) მსოფლიო მარაგის 14% და მსოფლიოში პირველ ადგილზეა ურანის მადანის ექსპორტით (წელიწადში 22 808 ტ.), რაც მსოფლიოში მოპოვებული ურანის 41,66% შეადგენს. ყაზახეთი სხვადასხვა ლითონების უზარმაზარ მარაგს ფლობს და დღემდე აღრიცხული ოქროს, თუთიის, ვოლფრამის, ბარიტის, ვერცხლის, ტყვიის, ქრომიტების, სპილენძის, მოლიბდენის საბადოებით, მოპოვებით და მათი ექსპორტით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების რიგებშია.

თურქეთსა და ყაზახეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 2 მარტს და ამ დღიდან ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში მრავალი ხელშეკრულება გაფორმდა, რომელთაც განსაზღვრეს ორმხრივი ურთიერთობების მყარი საფუძვლები.

თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის ფარგლებში, ყაზახეთმა პირველივე წლებიდან გამოიჩინა თავი აქტიურობით, როდესაც 1992 წელს ალმა-ატაში *(მაშინდელი ყაზახეთის დედაქალაქი)* თიურქული ხელოვნებისა და ენების გაერთიანებული ადმინისტრაცია *(ამჟამად უკვე „თიუჰქული აკადემია“)* შეიქმნა, ხოლო 1993 წლის 12 ივლისს, ასევე ალმა-ატაში ხელი მოეწერა თიურქული კულტურის საერთაშორისო ორგანიზაციის „TÜRKSOY” *(თიუჰქული კულტუჰის და ხელოვნების ეჰთობლივი სამმაჰთველო)* შექმნის შეთანხმებას. ეს ორგანიზაცია აერთიანებს თურქულენოვან ქვეყნებს და მისი ძირითადი დანიშნულებაა, თიურქული მოდგმის ხალხებს შორის თანამშრომლობა, მათი საერთო მატერიალური და კულტურული ძეგლების დაცვის, განვითარებისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის მიზნით. ორგანიზაციის შტაბ-ბინა ანკარაშია განთავსებული. 1996 წლიდან „თურქსოი“-მ იუნესკოსთან დაიწყო თანამშრომლობა *(სიტყვა **„თიუჰქული“** ყველა თუჰქული მოდგმის ეთნიკუჰი ჯგუფების გაეჰთიანებას ეწოდება).*

თურქეთსა და ყაზახეთს შორის დამყარებულ ეკონომიკური თანამშრომლობა ძირითადად სავაჭრო პროდუქციით შემოიფარგლება: ყაზახეთი თურქეთს აწვდის ნავთობს, ნავთობპროდუქტებს, სხვადასხვა ლითონებს, მარცვლეულს და სხვა ნედლეულს. თურქეთი კი, ყაზახეთს აწვდის ქსოვილს, ტანსაცმელს, მრეწველობის დანადგარებს, სამშენებლო მასალას.

თურქეთი კარგად იყენებს „რბილი ძალის“ პოლიტიკას და თურქულ-ყაზახური თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროში. ყველაზე წარმატებულ პროექტად მიჩნეულია ხოჯა აჰმედ იასავის სახელობის საერთაშორისო ყაზახურ-თურქული უნივერსიტეტის გახსნა თურქესტანში *(დაახსდა 1991 წელს. 1992 წლის 1 მაისს სულეიმან დემიჰელმა თავისი ვიზიტის დროს ალმა-ატაში, ნუჰსულტან ნაზაჰბაევთან ეჰთად ხელი მოაწეჰა მისთვის თუჰქულ-ყაზახუჰი უნივეჰსიტეტის სტატუსის მინიჭების აქტს. 1992 წლის 31 ოქტომბეჰს ანკაჰაში თუჰქეთისა და ყაზახეთის მთავჰობების მიეჰ გადაწყდა უნივეჰსიტეტს მინიჭებოდა მე-12 საუკუნის სუფისტი პოეტის ხოჯა აჰმედ იასავის სახელი).* უნივერსიტეტის განვითარების მიზნით, თურქეთის მთავრობამ გაიღო 60 მლნ დოლარი. დღეისათვის აღნიშნული უნივერსიტეტი ითვლება წარმატებულ თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლად, სოლიდური მეთოდოლოგიური და ექსპერიმენტული ბაზით, სადაც სწავლობს 15 ათასამდე სტუდენტი.

1997 წელს შეიქმნა საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდი “KATEV”, რომელიც კოორდინაციას უწევს ყაზახეთში არსებულ საგანმანათებლო დაწესებულებების მუშაობას. აღნიშნული ფონდი აკონტროლებს 28 თურქულ-ყაზახური ლიცეუმის, სულეიმან დემირელის სახელობის უნივერსიტეტის *(გაიხსნა 1998 წელს),* სულეიმან დემირელის სახელობის კოლეჯის, ჯამბულის ეკონომიკური კოლეჯის, დაწყებითი სკოლის „შახლან“- ის, საერთაშორისო სკოლის „ნურორდა“ - ს ფუნქციონირებას *(დღეისათვის ყაზახეთში, 700-მდე თუჰქეთის მოქალაქე სწავლობს და ათეულობით თუჰქი პედაგოგი ასწავლის).*

თურქეთსა და ყაზახეთს შორის ურთიერთობების დამყარების შემდეგ, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თანამშრომლობის პარალელურად, დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს სტრატეგიული პარტნიორული კონტაქტების განვითარების სფეროს, რაც ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის დამყარების აუცილებლობას ითვალისწინებდა. ამ მიმართულებით 1993 წლის 23 თებერვალს ალმა-ატაში დაიდო ორმხრივი შეთანხმება სამხედრო-საგანმანათებლო თანამშრომლობის შესახებ. თურქეთის მხარე აცნობიერებდა ყაზახეთის ახალგაზრდა სახელმწიფოს ეკონომიკურ სირთულეებს და თავის თავზე იღებდა ყაზახი სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო-ტექნიკური მომზადების პასუხისმგებლობას *(თუჰქეთი, ნატოს წევჰი ქვეყანა ძლიეჰი სამხედჰო პოტენციალით, ჰა თქმა უნდა, აქტიუჰად ჩაეჰთო აღნიშნულ მისიაში).* 1996 წლის 3 სექტემბერს ხელი მოეწერა მთავრობათაშორისო შეთანხმებას „ტექნიკური და თავდაცვით-სამრეწველო თანამშროლობის შესახებ“. ამის შემდეგ თურქულ-ყაზახური სამხედრო თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადადის და 1998 წლის 29 ივლისს

ხელი ეწერება ხელშეკრულებას „თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან ყაზახეთის რესპუბლიკის უსასყიდლო სამხედრო დახმარების შესახებ“, რაც გულისხმობდა თურქეთის მხრიდან 500 ათასი აშშ დოლარის უანგარო სამხედრო დახმარებას. მალევე, 1999 წლის 14 მაისს ახალი მთავრობათაშორისო შეთანხმების თანახმად „ყაზახეთის რესპუბლიკას უსასყიდლო სამხედრო დახმარება“ გამოეყო და თურქეთის რესპუბლიკა 700 ათასი აშშ დოლარის სამხედრო დახმარებას უფორმებს ყაზახეთს. 2002 წლის მაისში ასტანაში მოეწყო თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ჰუსეინ ქივრიკოღლუს და ყაზახეთის თავდაცვის მინისტრის მ. ალტინბაევის შეხვედრა, რომელზეც გაჟღერდა, რომ თურქეთის მხარე ამჯერად ყაზახეთის რესპუბლიკის სამხედრო უწყებას უსასყიდლოდ გამოუყოფს 1,5 მილიონ აშშ დოლარს. 2003 წლის მაისში ნურსულტან ნაზარბაევის ვიზიტის დროს თურქეთში, ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება 1,5 მილიონი აშშ დოლარის უსასყიდლო დახმარების გამოყოფის თაობაზე. 2003 წლის 23 მაისს ყაზახეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია: „ თურქეთის მხარის მიერ გამოყოფილი თანხა მოხმარდება ნატო-ს „მშვიდობიანი თანამშრომლობის“ პროგრამით გათვალისწინებულ კურსებზე და სამხედრო-საზღვაო სპეციალისტების მომზადების ცენტრში გაგზავნილი სამხედროების საჭიროებებს“. აღნიშნულ ინფორმაციაში მოყვანილი პირობების ფარგლებში, 2005 წლის 10 ივნისს ალმა-ატაში გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელზეც 24 მანქანა-ყველგანმავალი „Landrover 110” გადაეცა ყაზახეთის სამხედრო უწყებას.

აშკარაა, რეგიონში თავისი გავლენის გამყარების მნიშვნელოვან ასპექტად თურქეთს სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა მიაჩნია. თურქი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ მომზადებული კადრები (*1299 - თუჰქმენეთიდან, 401 - ყიჰგიზეთიდან, 426 - უზბეკეთიდან, 383 - ყაზახეთიდან)*, ხელს შეუწყობდნენ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ერთობლივი პროგრამების რეალიზაციას, რომელიც რეგიონში გააფართოვებდა თურქეთის არა მხოლოდ სამხედრო-ტექნიკური, არამედ პოლიტიკური გავლენის სფეროს.

ყაზახეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთთან მჭიდრო და მეგობრული თანამშრომლობის განვითარებას. ყაზახეთის დიპლომატიის წინაშე თავიდანვე იდგა მეტად სერიოზული ამოცანა, აამოქმედოს თურქეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პოტენციალი, როგორც ორმხრივი, ასევე ეუთოს, ითოს და სხვა ორგანიზაციების ფარგლებში. მსოფლიო ბაზარზე გასვლისათვის ყაზახეთის სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე მოქმედებს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების თურქეთის ტერიტორიით ტრანსპორტირების პროექტების რეალიზაცია.

2002 წლიდან, როდესაც თურქეთის სახელმწიფოს სათავეში მოვიდა AKP - ის „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ახალი ისლამურ-კონსერვატორთა ხელისუფლება, მათ თავი შეიკავეს თურქულენოვანი სახელმწიფოთა ლიდერების სამიტების გამართვის ტრადიციაზე, ვინაიდან 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, მსოფლიო გეოპოლიტიკური სპექტრი გარდაქმნების პერიოდს განიცდიდა და თურქეთი, თავისი საგარეოპოლიტიკური ვექტორების ახალი „სტრატეგიული სიღრმის“ კონცეფციაზე აგებულ განხორციელების სტადიას გადიოდა.

2003 წლის მარტიდან თურქეთის საზღვართან ერაყში, საომარი მოქმედებები დაიწყო და აშშ-ის მოკავშირე თურქეთი, კოალიციურ ძალებთან ერთად „ერაყის კრიზისს“ აგვარებდა. რეჯებ თაიფ ერდოღანის მთავრობის მეთაურად არჩევის შემდეგ (2003 წლის მარტი), თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსი როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ დონეზე, უფრო აქტიური და მრავალვექტორიანი გახდა. ახალმა მთავრობამ და საგარეო უწყებამ მეტი აქცენტი გაამახვილეს იმ მიმართულებით, რომელიც

საკუთარ რეალურ ინტერესებსა და შესაძლებლობებს ეფუძნებოდა. შექმნილი საერთაშორისო რეალობიდან გამომდინარე, თურქეთის მთავრობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 2001 წლიდან შეჩერებული თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერთა სამიტების აღდგენისათვის და 2006 წლის 17 ნოემბერს თურქეთის ხმელთაშუა ზღვისპირა ქალაქ ანტალიაში ჩატარდა თურქულენოვანი ქვეყნების მერვე სამიტი. პარალელურად გამართულ ყურულთაიზე პირველად მიიღეს მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების პირველმა პირებმა. ყურულთაიზე სიტყვით გამოსულმა ერდოღანმა წინადადება წამოაყენა, შექმნილიყო თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამეგობრობა, რომელიც მოამზადებდა ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებს და შესაძლებლობას მისცემდა მათ საერთაშორისო სარბიელზე ერთიანი პოზიციით გამოსულიყვნენ. ეკონომიკური გაერთიანების რეალიზაციის შემდეგ, თურქეთის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა თურქულენოვანი სახელმწიფოების პოლიტიკური კავშირის შექმნა და მისი გარდაქმნა საერთაშორისო პოლიტიკის მძლავრ ინსტრუმენტად. ამავე თურქულ სახელმწიფოთა ლიდერების მერვე სამიტზე, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულტან ნაზარბაევი წინადადებით გამოვიდა, შექმნილიყო თურქულენოვან სახელმწიფოთა საპარლამენტო ასამბლეა და უხუცესთა საბჭო, რასაც მხარი დაუჭირა თურქეთის პრემიერმა. ფაქტიურად, ყაზახეთმა წამოაყენა თურქულ სამყაროში „საზიარო ლიდერობის“ ვარიანტი, რაზეც თურქეთი დათანხმდა ყაზახეთის პრეტენზიებს. თურქეთი კარგად ხვდება, რომ ყაზახეთის მხარდაჭერის გარეშე, გაუჭირდება ეფექტური პოლიტიკის გატარება ცენტრალურ აზიაში და საერთოდ, ევრაზიის რეგიონში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყაზახეთის პირველი პრეზიდენტი ნურსულტან ნაზარბაევი თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერებს შორის ყველაზე მოქნილი დიპლომატიით გამოირჩეოდა *(ასეთ ფაქტებს კიდევ ახალითხელ შევხვდებით)*. მისი პრეზიდენტობის პერიოდში (1991 წლიდან), ყაზახეთს არ გააჩნია სერიოზული პრობლემები და კონფლიქტები, არა მარტო ცენტრალურაზიურ უშუალო მეზობლებთან და პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ სრული კომპლიმენტარული ურთიერთობა აქვს მსხვილ გეოპოლიტიკურ აქტორებთან - აშშ, ჩინეთი, რუსეთი. თურქეთთან კი, მეგობრული და ნათესაური კავშირების ფონზე დღითიდღე უმჯობესდება ორმხრივი თანამშრომლობა. ამის ნათელი დადასტურებაა 2009 წლის 23-24 ოქტომბრის ნურსულტან ნაზარბაევის ვიზიტი ანკარაში და ორ ქვეყანას შორის „სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების“ დადება. ამ პერიოდიდან ყაზახეთისა და თურქეთის ურთიერთობები მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე გადავიდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთმა 2003 წელს განცხადებით მიმართა ეუთო - ს, ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეობის სტატუსის თხოვნით. თურქეთის აქტიური მხარდაჭერით, 2009 წელს ყაზახეთი გახდა ეუთო - ს თავმჯდომარე-ქვეყანა, რაც ნ. ნაზარბაევის პოლიტიკურ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს *(პირველი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელმაც ასეთი მაღალი სტატუსი მოიხვეჭა).*

2009 წელი მიჩნეულია თურქული სამყაროს დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაერთიანების თარიღად. წლების განმავლობაში, ერთიანი თურქული საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისთვის აქტიურად იღვწოდნენ თურქეთის, აზერბაიჯანის და ყაზახეთის სახელმწიფო ლიდერები და აი, 2009 წლის 3 ოქტომბერს აზერბაიჯანის ქალაქ ნახჭევანში, თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერთა მეცხრე სამიტზე, თურქული სახელმწიფოების პრეზიდენტებმა: აზერბაიჯანის (ილჰამ ალიევი); თურქეთის (აბდულა გიული); ყაზახეთის (ნურსულტან ნაზარბაევი) და ყირგიზეთის (ყურმანბეკ ბაკიევი) ხელი მოაწერეს „ნახჭევანის დეკლარაციას“, რომლის თანახმადაც ოფიციალურად გამოცხადდა საერთაშორისო ორგანიზაცია „თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭო“- ს *(შემოკლებით „თუჰქუღი საბჭო“)* შექმნა. ამრიგად, ექვსი თურქულენოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოდან ოთხი მათგანი გაწევრიანდა ზემოხსენებულ „თურქულ

საბჭოში“. თურქმენეთის პრეზიდენტი ყურბანყული ბერდიმუჰამედოვი იძულებული გახდა უარი ეთქვა გაწევრიანებაზე, ნეიტრალური ქვეყნის *(გაეჩოს მიეჩ აღიარებული)* სტატუსის მიზეზით. უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა კი, ოფიციალური უარი განაცხადა ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე, უკანასკნელ წლებში თურქეთთან ცივი და საკმაოდ დაძაბული ურთიერთობების გამო *(ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი).* 2009 წლის 3 ოქტომბერს, ნახჭევანის დეკლარაციის თანახმად შექმნილი „თურქული თანამშრომლობის საბჭო“, თურქული სახელმწიფოების პირველ ნებაყოფლობით კავშირს წარმოადგენს ისტორიაში.

თურქეთისა და ყაზახეთის მჭიდრო თანამშრომლობას ახალი იმპულსი მისცა 2010 წლის 23-26 მაისს თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულის ოფიციალურმა ვიზიტმა ასტანაში, სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლების, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და ტურიზმის განვითარების სფეროში, პრეზიდენტების მიერ ხელი მოეწერა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შეთანხმებას. 2010 წელს თურქეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტები კიდევ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს: 2010 წლის 6 ივლისს ასტანაში ქალაქის დღის აღსანიშნავ ზეიმზე; 2010 წლის 16 სექტემბერს სტამბოლში თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერთა მეათე სამიტზე; 2010 წლის 1-2 დეკემბერს ეუთო-ს სამიტზე, რომელიც ასტანაში გაიმართა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2010 წლის 24 ივნისს ანკარაში ნურსულტან ნაზარბაევის ძეგლის გახსნის ცერემონიალი, რომელიც ქალაქის ცენტრალური „ახალგარდების პარკის“ შესასვლელში დაიდგა *(ძეგლი ბრინჯაოსგან არის ჩამოსხმული და 5 მეტრზე მაღალია).* ძეგლის გახსნას ესწრებოდნენ თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე მეჰმედ ალი შაჰინი და ქალაქ ანკარის მერი მელიჰ გიოქჩექი. ცერემონიალს უამრავი სტუმარი, ქალაქის მთელი ისტებლიშმენტი, მასმედია, დეპუტატები ესწრებოდნენ და აღინიშნა ნ. ნაზარბაევის უზარმაზარი წვლილის შესახებ თურქული სამყაროს განვითარების საქმეში, ასევე თურქეთი აღიარებს ყაზახეთის ლიდერი-ქვეყნის როლს ცენტრალურ აზიაში და თვლის თავის ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად რეგიონში *(თურქეთში აქვე არ ყოფილა პრეზიდენტი, რომ უცხო ქვეყნის პოლიტიკოს-ლიდერისთვის ძეგლი დაედგათ. ეს უნიკალური შემთხვევა ნაზარბაევის დიდი ავტორიტეტის გამოხატულება იყო).* აღინიშნა, რომ ნურსულტან ნაზარბაევი თურქეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს, თურქი ხალხი მისდამი ღრმა პატივისცემას გამოხატავს და მას „ყაზახების ათათურქს“ უწოდებს *(მანამდე ასტანაში ათათურქის ძეგლი დაიდგა).*

ნურსულტან ნაზარბაევი და ერჯებ თაიფ ერდოღანი

ნახჭევანში ხელმოწერილი „თურქული თანამშრომლობის საბჭოს“ გეოპოლიტიკური მიმართულება ძალზე მნიშვნელოვანი იყო პირველ რიგში, მისი დაფუძნების ინიციატორი ქვეყნის - თურქეთისთვის. ამ პერიოდიდან თურქეთის საგარეოპოლიტიკური ხედვა აგებული იყო: „მეზობლებთან ნული პრობლემის“, „ნეოოსმანიზმის“ და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის გადასაწყვეტად. ამასთანავე, თურქეთი ეთნიკურად მონათესავე თურქულ სამყაროსთან ურთიერთობებში ერთიანი ორგანიზაციის შექმნით, თავისი გავლენის გაძლიერების შესაძლებლობას ხედავდა. ამ მიზნით, 2009 წელს წარმოშობილი „თურქული საბჭოს“ სამიტები ყოველწლიურად ტარდებოდა: 2010 წლის 15-16 სექტემბერს სტამბოლში გაიმართა „თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერთა“ მეათე სამიტი, რომელიც ძველი აბრევიატურით უკანასკნელად ჩატარდა. მართლაც, 2011 წლის 21 ოქტომბერს ალმა-ატაში ჩატარებულ შეხვედრას, რომელზეც განხილული იყო თანამშრომლობა ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროში, „თურქული საბჭოს“ პირველი სამიტი ეწოდა *(ამ სამიტებს, ხოგოხც წესი სახელმწიფოთა მეთაუხები ესწხებიან).*

ორგანიზაციის მეორე სამიტი გაიმართა 2012 წლის 23 აგვისტოს ბიშკეკში და განიხილეს თანამშრომლობა განათლების, მეცნიერების და კულტურის სფეროებში. მესამე სამიტი გაიმართა 2013 წლის 16 აგვისტოს გაბალაში *(აზეხბაიჯანი)* და განიხილეს თანამშრომლობა სატვირთო გადაზიდვების დარგში. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 2014 წლის 5 ივნისს თურქეთის სამთავრობო კურორტზე ბოდრუმში ჩატარებული მეოთხე სამიტი, რომელზეც განიხილეს „თურქული სამყაროს ისტორიული მნიშვნელობის“ საკითხები: საერთაშორისო სარბიელზე თურქული დიასპორების გაძლიერებისა და მათი გავლენის სფეროების გაფართოების მიზნით, ვაშინგტონში, პარიზსა და ბერლინში, უნდა გაიხსნას რეგიონული ცენტრები. ასევე, ტურიზმის გეოგრაფიის განვითარების გაფართოების მიზნით, განიხილეს იმავე წლის სექტემბერში ისიყ-ყულის ტბაზე, ყირგიზეთში დაგეგმილი „მომთაბარეთა პირველი საერთაშორისო თამაშების“ ჩატარების მოსამზადებელი ღონისძიებები *(ბოდხუმში სტუმხის სტატუსით სამიტს ესწხებოდა თუხქმენეთის პხეზიდენტი ყუხბანყული ბეხდიმუხამედოვი).* „თურქული საბჭოს“ შემდეგი სამიტები ჩატარდა: მეხუთე - 2015 წლის 9 ნოემბერს ასტანაში; მეექვსე - 2018 წლის 9 თებერვალს ჩოლპონ-ატაში (ყირგიზეთი); მეშვიდე - 2020 წლის 15 ოქტომბერს ბაქოში *(ყახაბაღის ომის მიმდინახეობის პახადედუხად).* ყველაზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაქოს სამიტზე „თურქული თანამშრომლობის საბჭოს“ ორგანიზაციაში მიიღეს უზბეკეთი, რომელზეც ქვეყნის პრეზიდენტმა შავქათ მირზიოევმა აღნიშნა, რომ „ დიდი ბედნიერებაა თურქულ ოჯახში დაბრუნება“. „თურქული თანამშრომლობის საბჭოს“ ორგანიზაციის დამკვირვებელი-ქვეყნის, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ „თურქული საბჭოს“ ბუდაპეშტის ოფისი, ყველა ღონეს იხმარს შეიტანოს წვლილი და ხიდი გახდეს აღნიშნული ორგანიზაციის ევროპასთან დაახლოვების საქმეში. სამიტის დასრულებისას, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა „თურქული თანამშრომლობის საბჭოს“ საპატიო თავმჯდომარეს, ყაზახეთის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ნურსულტან ნაზარბაევს გადასცა „თურქული სამყაროს უმაღლესი ჯილდო“. ორგანიზაციის მომდევნო, მერვე სამიტი გაიმართა სტამბოლში 2021 წლის 12 ნოემბერს, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება: „თურქული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს“ გადაერქვას სახელი და ოფიციალურად ეწოდოს „თურქულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია“. სამიტზე რეჯებ თაიფ ერდოღანმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს გადასცა „თურქული სამყაროს უმაღლესი ჯილდო“ გასული წლის „ყარაბაღის მეორე ომში“ გამარჯვების აღსანიშნავად. აქვე, თურქმენისტანი მიღებულ იქნა ორგანიზაციის დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით.

2015 წლის 16 აპრილს ასტანაში ვიზიტის დროს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, თურქულ სამყაროში გაწეული უზარმაზარი შრომისა და უდიდესი ავტორიტეტის მოპოვების გამო, ნურსულტან ნაზარბაევს მეტად

პატივსაცემი და ღირსეული სახელი - „აქსაქალ“ *(უხუცესი, დაჰბაისეღი, მამასახღისი. ქაჰთუღი შესატყვისით, დაახღოვებით „ხევისბეჰი“)* უწოდა. თურქული სამყაროს ელიტამ, დიდი სიხარულით მიულოცა „აქსაქალს“ ეს მნიშვნელოვანი ტიტული.

ნურსულტან ნაზარბაევს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი თურქეთის რეგიონული უსაფრთხოებისა და საგარეოპოლიტიკური კურსის სტაბილურობის განსაზღვრის საკითხებში. საქმე იმაში გახლავთ, რომ 2015 წლის 24 ნოემბერს სირიის საზღვართან თურქეთის საჰაერო ძალების მიერ რუსული სუ-24 თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტმა, უკიდურესად დაძაბა თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები *(აღნიშნუღ საკითხს დეტაღუჰად განვიხიღავთ მოგვიანებით).*

ორივე ზემოხსენებულ ქვეყანასთან ყაზახეთს სერიოზული სტრატეგიული და მოკავშირეობის ვალდებულებებით დატვირთული ურთიერთობა აქვს, რაც მის ეროვნულ ინტერესებზე უარყოფითად აისახება. ამ შემთხვევაში, ნურსულტან ნაზარბაევმა თავის თავზე აიღო თურქეთისა და რუსეთის სახელმწიფო მეთაურების შერიგების პასუხისმგებლობა და მისი რჩევით, ერდოღანმა მობოდიშების წერილი გაუგზავნა პუტინს *(აღნიშნუღი წეჰიღი თუჰქუღიდან ჰუსუღად ანკაჰის ყაზახეთის საეღჩოში ითაჰგმნა. წეჰიღის ტექსტი გადაიგზავნა ნაზაჰბაევთან ასტანაში და მისი მოწონების შემდეგ გაფოჰმდა, ჰოგოჰც სახეღმწიფოს მეთაუჰის ოფიციაღუჰი გზავნიღი. წეჰიღი ამის შემდეგ ჩაბაჰდა აღჰესატს).* პუტინმა წერილის შინაარსი დადებითად მიიჩნია და ამის შემდეგ, ყაზახეთის პრეზიდენტმა პირადად თავის თავზე აიღო თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის ორგანიზაცია. 2016 წლის 5 აგვისტოს ნაზარბაევი ეწვია ანკარას, გამართა მოლაპარაკებები ერდოღანთან და 9 აგვისტოს მოხდა ერდოღანისა და პუტინის შეხვედრა სანკტ-პეტერბურგში *(ნაზაჰბაევს, მანამდე პუტინთან ჰქონდა ჰამდენიმე სატეღეფონო საუბაჰი).*

2018 წლის ოქტომბერში ნაზარბაევის მორიგი ვიზიტის დროს თურქეთში, ორივე მხარემ მზადყოფნა გამოთქვა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ციფრი მოკლევადიან პერსპექტივაში 5 მილიარდ დოლარამდე მიიყვანონ. 2019 წელს ორ ქვეყანას შორის ტვირთბრუნვის მოცულობამ 3,13 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. თურქეთში ყაზახეთის ელჩმა აბზალ საფარბეკულიმ აღნიშნა, რომ „ყაზახეთი - თურქული სამყაროს აღმოსავლეთი ფანჯარაა, ხოლო თურქეთი - მისი დასავლეთი ფანჯარა... და ამ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა გარდაუვალია“.

2019 წლის 20 მარტს ნურსულტან ნაზარბაევი გადადგა ყაზახეთის პრეზიდენტის თანამდებობიდან, მაგრამ შეინარჩუნა სახელმწიფო უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის, ქვეყნის საკონსტიტუციო საბჭოს წევრისა და პოლიტიკური პარტიის „ნურ ოტან“ (მამულის სხივი) თავმჯდომარის პოსტი.

დღეს ყაზახეთის პრეზიდენტია - კასიმ-ჟომარტ ტოკაევი.

უზბეკეთი. მდებარეობს ცენტრალური აზიის ცენტრალურ ნაწილში და რეგიონის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოა. თურქეთი, პირველი სახელმწიფოა, რომელმაც 1991 წლის 16 დეკემბერს უზბეკეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარა და 1992 წლის 4 მარტს დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა მასთან.

სასარგებლო წიაღისეულით უზბეკეთი საკმაოდ მდიდარი ქვეყანაა და ოქროს, ურანის, სპილენძის, ფოსფორიტების მარაგით, მსოფლიო ლიდერების ათეულში შედის. ოქროს და ურანის წარმოებით კი, მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ადგილს იკავებს. უკანაკსკნელ ხანს სახელმწიფოს გეოლოგიურმა სამმართველომ 1200-ზე მეტი ლიცენზია გასცა უცხოელ კომპანიებზე საძიებო სამუშაოების წარმოებისთვის.

ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა თურქეთი, რომელიც უზბეკეთის პერსპექტიულ აიდიმ-ჯეთიმტაუსა და სარიტაუს რაიონებში ოქროს და სხვა იშვიათი ლითონების გეოლოგიურ სადაზვერვო-საძიებო სამუშაოებს ატარებს. უზბეკეთი ასევე მდიდარია ენერგორესურსების მარაგით, ნავთობის, გაზის

კონდენსატის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის, ჰიდროენერგიის წარმოებით, საკუთარ მოთხოვნილებებს სრულიად იკმაყოფილებს და გარკვეული ნაწილის ექსპორტსაც ეწევა.

უზბეკეთის მაშინდელი პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვის პირველი ოფიციალური ვიზიტი ანკარაში, 1991 წლის დეკემბერში შედგა, რომელზეც ძალზე მნიშვნელოვან საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებს მოეწერა ხელი და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავდა. უზბეკეთის მთავრობა დიდ ინტერესს იჩენდა თურქეთის ეკონომიკური მიღწევების, საბაზრო ეკონომიკისა და რეფორმების „თურქული მოდელის“ მიმართ. 1992 წლიდან დაწყებული უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი აქტიურად მონაწილეობდა თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერთა სამიტებში. 1996 წლის 8 მაისს ტაშკენტში ხელი მოეწერა „უზბეკეთის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამარადისო მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას“, რომელშიც მზადყოფნა იყო გამოხატული, შექმნილიყო აუცილებელი ბაზა მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთების მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის, რომელიც დაფუძნებულია ორი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ენისა და ტრადიციების სიახლოვეზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში, გარდა ეკონომიკური, კულტურულ-ჰუმანური და განათლების სფეროში ახლო თანამშრომლობისა, დიდი ყურადღება გამახვილდა უზბეკეთის სტრატეგიული მდებარეობის უპირატესობაზე და სამხედრო-ტექნიკურ და სამხედრო სწავლების სფეროში დახმარების აღმოჩენის პერსპექტივებზე.

1998 წელს ისლამ ქარიმოვმა მონაწილეობა მიიღო თურქეთის განმათავისუფლებელ ომში გამარჯვების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში ანკარაში.

ამ დროისთვის ორ ქვეყანას შორის უკვე დაწყებული იყო ერთგვარი გაუცხოების პროცესი, რომელსაც თავის სერიოზული მიზეზები ჰქონდა. 80-იანი წლებიდან ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის შემდეგ, უზბეკეთის მოსაზღვრე რეგიონებში, განსაკუთრებით ფერგანაში, ავღანური „ტალიბანის“ მოქმედებით სხვადასხვა ისლამური დაჯგუფება წარმოიშვა, რომელნიც უცხოეთიდან იარაღდებოდნენ და „ისლამური ჯიჰადის“ ქადაგებით, უმუშევარ-უსაქმო ახალგაზრდებს თავისი გავლენის სფეროში აქცევდნენ. ყველაზე აქტიური იყო „ჰიზბ უთ-თაჰრირ“ *(თავისუფლების პარტია)*, რომელიც სალაფიტური მიმართულებით და „ალ ყაიდას“- თან ურთიერთობებით გამოირჩეოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისლამური ტერორისტული ჯგუფები ყველაზე აქტიურად უზბეკეთში მოქმედებდნენ და ადგილობრივი ხელისუფლების მკაცრ კონტროლს არ ეპუებოდნენ. უზბეკეთში დისიდენტური მოძრაობაც აღმავლობას განიცდიდა.

1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ისლამ ქარიმოვის ერთადერთი მეტოქე იყო ცნობილი პოეტი, დეპუტატი და დისიდენტი მუჰამად სალიჰი. არჩევნების შემდეგ საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ქარიმოვის გამარჯვებაში ეჭვი შეიტანა და სალიჰის მომხრე სტუდენტობამ საპროტესტო გამოსვლები დაიწყო, რაც ხელისუფლებამ ცეცხლით ჩაახშო. დემონსტრანტები დაარბიეს, ოპოზიციური გაზეთები დახურეს და ოპოზიციის ლიდერები დააპატიმრეს. 1993 წელს მუჰამად სალიჰი გაასამართლეს „სახელმწიფო ღალატის“ მუხლით, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებრიობის ზეწოლით იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს ტაშკენტიდან გაუსვლელობის პირობით. სალიჰმა მეგობრების დახმარებით მოახერხა ჯერ ბაქოში გაქცეულიყო, იქიდან კი სტამბოლში გადავიდა. უზბეკეთის მთავრობამ მოითხოვა სალიჰის გადმოცემა, როგორც ქვეყნის მოღალატის და ოპოზიციის ლიდერის, მაგრამ თურქეთი თავს იკავებდა ორი მიზეზის გამო: 1. სალიჰი, გაეროს პოლიტიკური დევნილის სტატუსით სარგებლობდა და 2. თურქეთი ევროკავშირის „კოპენჰაგენის კრიტერიუმებით“ მოქმედებს და ცდილობს ადამიანის უფლებები არ დაარღვიოს, რათა არ გახდეს საერთაშორისო

ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების კრიტიკის სამიზნე. 1994 წელს, როდესაც თურქეთის მთავრობამ უზბეკეთის ოპოზიციური პარტიის „ერკ“-ის ლიდერს მუჰამედ სალიჰს, ოფიციალურად პოლიტიკური თავშესაფარი მისცა, უზბეკეთმა თავისი ელჩიც კი გაიწვია ანკარიდან. უზბეკეთი ადანაშაულებდა თურქეთის მხარეს იქაურ სასწავლებლებში მოსწავლე უზბეკი ახალგაზრდების გადაბირების მცდელობაში. რა თქმა უნდა, თურქეთისა და უზბეკეთის ურთიერთობები თანდათან იძაბება, იმის გამო რომ უზბეკეთის აზრით, თურქეთის ტერიტორიას თავს აფარებენ ამ ქვეყნის ოპოზიციური ძალები, რომელნიც სარგებლობენ თურქეთის გავლენიანი პოლიტიკური წრეების მხარდაჭერით და ხშირად აკრიტიკებენ უზბეკეთის მთავრობის პოლიტიკურ ნაბიჯებს. ამასთან დაკავშირებით, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადებაც გააკეთა, რომ „თურქეთი არ დაუშვებს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართული იქნება მოძმე უზბეკეთის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, თურქეთი სამართლებრივი სახელმწიფოა და ისინი ვინც არ არღვევენ თურქულ კანონებს, შეუძლიათ დარჩნენ მის ტერიტორიაზე იმდენი ხნით, რამდენითაც მოესურვებათ“. 1999 წლის თებერვალში ტაშკენტში ტერორისტების მიერ მოწყობილი აფეთქებების შემდეგ, უზბეკეთის მთავრობამ მუჰამად სალიჰი დაადანაშაულა თანამონაწილეობის ბრალდებით და სასამართლომ დაუსწრებლად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უზბეკეთის მთავრობამ თურქეთის სპეცსამსახურებს ბრალი დასდო უზბეკეთის შინაურ საქმეებში ჩარევაში, პრეზიდენტ ქარიმოვის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. 90-იანი წლების ბოლოს, უზბეკეთის ხელისუფლებამ პირდაპირ დაადანაშაულა ზოგიერთი თურქული ორგანიზაციები და საქველმოქმედო ფონდები, უზბეკეთის ისლამური მოძრაობის ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებაში. თურქეთზე, უზბეკეთის ზეწოლის შედეგად, მუჰამად სალიჰმა დატოვა სტამბოლი.

ამავე პერიოდში უზბეკეთის მთავრობის განკარგულებით, ქვეყანაში დაიწყო „ფეთჰულა გიულენის სკოლებისა და სასწავლებლების“ დახურვა *(გიულენის სასწავლო დაწესებულებები: უნივერსიტეტები, კოლეჯები, ლიცეუმები, დაწყებითი და საშუალო სკოლები გახსნილია მსოფლიოს 140-მდე სახელმწიფოში და მათი მთავარი დანიშნულებაა, ადგილობრივ ახალგაზრდობას მაღალი ტექნოლოგიური მოწყობილობით აღჭურვილი სასწავლო ცენტრებისა და კაბინეტების საშუალებით, მიაწოდონ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი ცოდნის საფუძვლები).* თურქეთსა და უზბეკეთს შორის გაცივებულ ურთიერთობათა დათბობის მიზნით, 2000 წლის ოქტომბერში ტაშკენტს ეწვია თურქეთის იმდროინდელი პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი, რომელმაც უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვთან მოლაპარაკებისას მიაღწია, რომ ხელი მოეწერათ „უზბეკეთის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის“ ერთობლივ განცხადებაზე, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ „გმობენ და ეწინააღმდეგებიან ექტრემიზმის, საერთაშორისო ტერორიზმის ყოველგვარი ფორმით გამოვლინებას და ასევე, იბრძვიან ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელყოფის წინააღმდეგ“.

მეოცე საუკუნის ბოლოს და ახალი საუკუნის დაწყებისას თურქეთი მაინც თანამშრომლობდა უზბეკეთის ოპოზიციურ ძალებთან, რაც თავისთავად ხელს უშლიდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობების ნორმალურ განვითარებას. უზბეკეთის ლიდერის ეკონომიკური ინტერესები უფრო მეტად რუსეთთან იყო დაკავშირებული, რასაც პოლიტიკური მიმართულებაც დაემატა. თურქეთსა და უზბეკეთს შორის ურთიერთობების გაცივება დაეტყო მთლიანად ცენტრალური აზიის რეგიონს და ურთიერთობებსაც, ჩვეული თურქულენოვანი ქვეყნების ლიდერთა სამიტები ან გადაიდებოდა გაურკვეველი ვადით, ან და სულაც უქმდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ სფეროში ურთიერთობები მინიმუმამდე იყო დაყვანილი, თურქული ბიზნეს-ფირმები უზბეკეთის ტერიტორიაზე, კვლავ აგრძელებდნენ თავის საქმიანობას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთსა და

უზბეკეთს შორის დამყარდა პოლიტიკური უძრაობის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი.

2005 წლის 13 მაისს მომხდარ ანდიჟანის საქვეყნოდ ცნობილ ხოცვა-ჟლეტაში, საპროტესტო აქციებში მონაწილეობდა ათეულ ათასობით მოქალაქე, რომელთაც ქვეყნის შსს საპატრულო პოსტი აიღეს, განაიარაღეს დაცვის პოლიცია და თვითონ შეიარაღებულნი დაუპირისპირდნენ სახელისუფლო ძალებს. უზბეკეთის მთავრობამ გაძლიერებული სამხედრო-პოლიციელთა ძალებით ასეულობით საკუთარი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა *(უზბეკეთის ოფიციაღური მონაცემებით დაიღუპა 187 ადამიანი. უზბეკეთის „ადამიანთა უფღებების დაცვის“ საზოგადოების მონაცემებით 270 ადამიანი. დასავღეთის ზოგიეჰთი სამაჰთაღდამცავის ვაჰაუდით 800 ადამიანზე მეტი მსხვეჰპღი იყო*). აშშ-მა და მსოფლიო საზოგადოებამ მოითხოვა ანდიჟანის მოვლენების დამოუკიდებელი გამოძიება და უზბეკეთის მთავრობა დაადანაშაულა შეიარაღებული მომიტინგეების წინააღმდეგ „განურჩეველი ძალის გამოყენების“ გამო, რასაც უზბეკეთის ხელისუფლებამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა უწოდა. 2005 წლის 23 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე განხილულ იქნა ანდიჟანის ტრაგედიის ფაქტები და მიიღო რეზოლუცია, რომელიც უარყოფდა უზბეკეთის მთავრობის „ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის“ ახირებულ პოზიციას *(ჰეზოღუციას მხაჰი დაუჭიჰა 74 ქვეყანამ. 58-მა თავი შეიკავა. ხოღო 39 ქვეყანა ჰეზოღუციის წინააღმდეგ წავიდა. მათ შოჰის: ყაზახეთი, ყიჰგიზეთი, თუჰქმენეთი, ჰუსეთი, ჩინეთი, კუბა, ვენესუეღა, აჰაბუღი ქვეყნები... და თვით უზბეკეთი)*. საგულისხმოა, რომ პირველი ქვეყანა თურქეთი იყო, რომელმაც გაეროს ტრიბუნიდან ხმამაღლა დაგმო ადამიანის უფლებების სასტიკად შელახვის ფაქტები უზბეკეთში. საპასუხოდ, უზბეკეთის პრეზიდენტმა უარი განაცხადა 2006 წლის თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერთა სამიტში მონაწილეობაზე და კიდევ უარესი, 2007 წელს ნება არ დართო თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულს უზბეკეთში ჩასვლაზე. უზბეკეთის პრეზიდენტმა შეწყვიტა ყოველგვარი პოლიტიკური, საგანმანათებლო და სამხედრო ურთიერთობები თურქეთთან. უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი, ასევე მტრულად შეხვდა 2009 წლის 3 ოქტომბერს ნახჭევანსი შექმნილ „თურქული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს“, რომელშიც იგი ხედავდა პანთურქული ნაციონალიზმის აღზევებისა და მისი შემდგომი განვითარების საფრთხეს.

უზბეკეთმა, ამ პერიოდიდან გააღრმავა სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან, ხელი მოაწერა მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას და დაუთმო თავისი ტერიტორია რუსეთის სამხედრო ბაზებისა და ობიექტების მშენებლობისთვის. ამრიგად, უზბეკეთის ხელისუფლებამ თავისი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მთლიანად რუსეთის სამხედრო ძალასთან დაახლოვების პრიორიტეტებს მიანდო.

ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა კომპლექსის გამო, უზბეკეთსა და თურქეთს შორის პოლიტიკურ სფეროსთან დაკავშირებული ყველა ურთიერთობა 2010 წლისათვის მინიმუმამდე დავიდა. მიუხედავად ასეთი პილიტიკური ფონისა, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მაინც ვითარდებოდა და თურქული ფირმები აგრძელებდნენ თავის საქმიანობას. ბიზნეს-საქმიანობასთან ერთად, საკმაოდ წარმატებულად მოქმედებდა თურქული ისტორიული სერიალების სახით გავრცელებული იდეოლოგიური ექსპანსია, რაც უზბეკეთის მთავრობამ საფრთხედ აღიქვა და 2011 წლიდან დაიწყო თურქული სერიალების აკრძალვისა და თურქული სავაჭრო დაწესებულებების დახურვის ოპერაციები. 2011 წლის მარტში უზბეკეთის მთავრობის გადაწყვეტილებით ერთდროულად დაიკეტა 50 თურქული სავაჭრო დაწესებულება. მათ დაბრალდათ ქვეყანაში ისლამური იატაკქვეშა ორგანიზაციების დაფინანსება და მათ ხელმძღვანელებს წაუყენეს სხვადასხვა სახის ბრალდება. ტელეგადაცემაში გაახმოვანეს, რომ თურქული დაწესებულებების ნაწილი, რომელიც რესპუბლიკაში მოქმედებდა, როგორებიცაა „გიუნეშ“, თურქუაზ“, „ქაინაკ“ და თურქული საზოგადოებრივი

კვების ქსელები, „ეწეოდნენ რა ლიტერატურის გავრცელებას, რომელიც პროპაგანდას უწევს რელიგიურ მოღვაწეობას“.

უზბეკეთმა განსაკუთრებით გაამკაცრა ზეწოლა თურქ ბიზნესმენებზე, ჩაატარა რა რეიდებისა და სასამართლო პროცესების სერია და ამტკიცებდა, რომ უზბეკეთში მოქმედი თურქული კომპანიები, აკრძალული ისლამური მოძრაობისა და რელიგიური ექსტრემისტების თავშესაფარს წარმოადგენენ.

აჰმედ დავუთოღლუს წარმატებული ნაბიჯებისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურების ფონზე, როდესაც სირიის კრიზისს დაემატა ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ აგრესიული წინსვლა, ასევე 2014 წლიდან ავღანეთში დასავლეთიოს ქვეყნების სამხედრო კონტინგენტის შემცირებით, უზბეკეთის სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებზე სასაუბროდ „ნატო“-ს წევრი თურქეთიდან სურვილის გამოვლენამ, წარმოშვა კონსულტაციების გამართვისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის პრეცედენტი. 13 წლის დუმილისა და „ბუტიაობის“ შემდეგ, 2014 წლის 11-12 ივლისს უზბეკეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავუთოღლუ. იგი მიიღო ქვეყნის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა და შეხვედრაზე მათ გამოხატეს სურვილი თურქეთსა და უზბეკეთს შორის აღადგინონ გაყინული ურთიერთობები, გადადგან პროგრესული ნაბიჯები, რომლებსაც მომავალში გააგრძელებენ. ა. დავუთოღლუ ასევე შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულაზიზ ქამილოვს და საგარეო-ეკონომიკური კავშირების მინისტრ ელიარ განიევს. თავისი ვიზიტის ფარგლებში ა. დავუთოღლუ შეხვდა უზბეკეთში მომუშავე თურქ ბიზნესმენებს და განუცხადა მათ, რომ „ორმხრივ ურთიერთობებში უძრაობის პერიოდი დასრულდა და ახალი ერა იწყება. უეჭველად უნდა გადაილახოს მოუგვარებელი პრობლემები პოლიტიკის, ვაჭრობისა და ეკონომიკის, რელიგიის, კულტურის, ტურიზმის სფეროებში, რაც გააუბჯობესებს თურქულ-უზბეკურ ურთიერთობებს“. აჰმედ დავუთოღლუს ვიზიტმა თითქოს გამოავლინა ორივე ქვეყნის მზაობა იმ აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია მათ ეროვნულ ინტერესებთან.

2016 წლის 2 სექტემბერს გარდაიცვალა უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი. აჰმედ დავუთოღლუს 2014 წლის ივლისის ვიზიტმა, დიდად ვერ შეცვალა თურქეთ-უზბეკეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების სურათი და ქარიმოვის სიკვდილს შეეძლო, შანსი გაეჩინა უზბეკეთის ახალ ხელისუფლებასთან საქმიანი დიალოგის დაწყებისათვის. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა, თავისი 2016 წლის 16-17 ნოემბრის პაკისტანის ვიზიტიდან სამარყანდში გამოიარა, სადაც პატივი მიაგო და მოინახულა ისლამ ქარიმოვის საფლავი. 18 ნოემბერს სამარყანდში ერდოღანის შეხვედრა გაიმართა უზბეკეთის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელ შავქათ მირზიოევთან, რომელზეც მან გამარჯვება უსურვა მირზიოევს საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც დეკემბერს იმართებოდა *(ეიდოღანმა კაიგად გათვაღა და მიიზიოევი მაითღაც გახდა უზბეკეთის პიეზიდენტი).* სამარყანდში მათ ძირითადად ტურიზმის განვითარებაზე ისაუბრეს. ისინი, როგორც პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ 2017 წლის 14 მაისს პეკინში, სადაც იმართებოდა ჩინეთის მიერ ორგანიზებული ფორუმი „ერთი სარტყელი - ერთი გზა“. შეხვედრაზე მათ აღნიშნეს, რომ თურქეთსა და უზბეკეთს გააჩნიათ უზარმაზარი, ჯერ კიდევ პოტენციალი, რომელიც შეუძლიათ აამოქმედონ და განავითარონ ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონიმიკური და საინვესტიციო თანამშრომლობა, ხელი შეუწყონ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას.

ორ მონათესავე ქვეყანას შორის ურთიერთობის გამწვავების გამო, სახელმწიფოს პირველი პირების ვიზიტების 18 წლიანი შესვენების შემდეგ, 2017 წლის 25-26 ოქტომბერს შედგა უზბეკეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი თურქეთში. *(1999 წლის შემდეგ, უზბეკეთის პიეზიდენტი აღაი სწვევია თუიქეთს).* ამჯერად, პრეზიდენტ ერდოღანის ოფიციალური მიწვევით, პრეზიდენტი შავქათ მირზიოევი, მთავრობის წევრთა და სპეციალისტების

დიდი ამალის თანხლებით, პირველად ჩავიდა თურქეთის რესპუბლიკაში. ათათურქის მავზოლეუმისა და მემორიალური კომპლექსის მონახულების შემდეგ, უზბეკეთის პრეზიდენტი გამორჩეულად საზეიმოდ და უმაღლეს დონეზე მიიღეს ანკარაში. პრეზიდენტის სასახლის წინ გაწყობილ საპატიო ყარაულითა და თვით სასახლეში შუა საუკუნეების ოსმალთა სამხედრო კამუფლიაჟით გამოწყობილ მეომრებით მიღებული მეგობარი ქვეყნის პირველი პირის ვიზიტი, ფართოდ გააშუქეს თურქეთის მასმედიის წყაროებმა. ანალიტიკოსების აზრით, შავქათ მირზიოევის ვიზიტი ძალზე ნაყოფიერი გამოდგა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ასეთი დიდი პაუზის შემდეგ. ანკარაში, თურქეთისა და უზბეკეთის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ხელმოწერილ იქნა 22 კონტრაქტი, პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, სატრანსპორტო-კომუნიკაციის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ტურიზმის, მეცნიერების, ტექნიკის, განათლების და სხვა სფეროებში. აღდგენილ იქნენ ძველი ეკონომიკური კავშირები და ხელი მოეწერა კონტრაქტებს მსხვილ კომპანიებს შორის, რის შედეგადაც გამოცოცხლდა სატრანსპორტო დერეფნები, ხოლო ეკონომიკის განახლებამ გაზარდა საქონელბრუნვა. ასევე გადაწყდა, რომ თურქეთის და უზბეკეთის ქალაქები ერთმანეთს დაუკავშირდებიან საჰაერო მიმოსვლით. პრეზიდენტებმა შავქათ მირზიოევმა და რეჯებ თაიფ ერდოღანმა თანამშრომლობის თითქმის ყველა სფერო განიხილეს, შეაფასეს რეგიონული და საერთაშორისო პრობლემები და ბოლოს სახელმწიფო მეთაურებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას.

2018 წლის 29-30 აპრილს შედგა თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის ვიზიტი უზბეკეთში. ტაშკენტში თურქეთის პრეზიდენტს მეტად პომპეზური და ხალხმრავალი შეხვედრა მოუწყეს. თურქეთის პრეზიდენტს ამ ვიზიტის დროს თან ახლდა 150 თურქი მეწარმისგან შემდგარი დიდი დელეგაცია. ორივე ქვეყნის ლიდერებმა მონაწილეობა მიიღეს უზბეკეთისა და თურქეთის წამყვანი ბანკების, კომპანიებისა და ფირმების ბიზნეს-ფორუმში. 30 აპრილს უზბეკეთმა განაცხადა, რომ სურვილი აქვს მიუერთდეს "თურქულ საბჭოს" *(ახის მოსაზრება, რომ 2017 წელს ანკარაში ვიზიტის დროს დაითანხმა ერდოღანმა მირზიოევი)* და 2019 წელს მიიღებს მონაწილეობას ორგანიზაციის სამიტში, რომელიც გაიმართება ყირგიზეთში. უზბეკეთმა 2019 წლის 12 სექტემბერს ოფიციალური განცხადება შეიტანა გაწევრიანების თაობაზე და 2020 წლის 15 ოქტომბერს ბაქოში ორდღიანი სამიტის დღეებში მიღებულ იქნა აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის რიგებში. ამრიგად, 2020 წლიდან უზბეკეთის რესპუბლიკა ოფიციალურად გახდა „თურქული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოს" სრულუფლებიანი წევრი.

თურქეთი, რომელიც ცენტრალურ აზიაში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამოდის, რეგიონის ყველაზე მყარ და ძლიერ პარტნიორად ყაზახეთსა და უზბეკეთს მოიაზრებს. უზბეკეთი კი, ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანაა მოსახლეობის მხრივ და აღნიშნული რეგიონის ცენტრშია განთავსებული, რაც ვაჭრობისა და ბიზნესის თვალსაზრისით საუკეთესო პარტნიორ ქვეყნად გამოდგება. ამასთანავე, გააჩნია ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგი, ეძებს სატრანსპორტო გზებს ევროპის მიმართულებით და თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა უზბეკეთისთვის ყველაზე მოხერხებული მარშრუტია. ბუნებრივია, თურქეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას, უზბეკეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს *(თუმცა ხუსეთის ფაქტორი მუდმივ მოქმედებაშია).*

დღეისათვის თურქეთისა და უზბეკეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად საქონელბრუნვის მოცულობამ 2019 წლის ბოლოსთვის 2,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22,7% - ით ჭარბობს 2018 წლის მოცულობას.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ რეგიონში თურქეთის ყველაზე სანდო სტრატეგიულ პარტნიორებად ყაზახეთი და უზბეკეთი ითვლებიან *(კავკასიაში აზერბაიჯანი).* ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის წარმატებულ ბრძოლაში

სომხეთის წინააღმდეგ, დიდი წვლილი შეიტანა თურქეთმა, რომლის დახმარებითაც აზერბაიჯანულმა არმიამ შესაბამისი სამხედრო მომზადება გაიარა, ერთობლივმა საველე წვრთნებმა, შეიარაღების მიწოდებამ და უპილოტო საფრენი აპარატების „ბაირაქტარის“ მოქმედებამ, გამოავლინა თურქული სოლიდარობის მნიშვნელობა და თურქულ საზოგადოებაში კვლავ წარმოიშვა, ერთიანი თურქული შეიარაღებული ძალების, ანუ „თურანული არმიის“ შექმნის იდეა.

თურქულმა გაზეთმა „თურქიე“- მ 2020 წლის 27 ოქტომბერს გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელშიც ექსპერტებმა გამოთქვეს ასეთი არმიის შექმნის შესაძლებლობის იდეა, რომ იგი შეიქმნება თურქეთის მეთაურობით და შეეძლება ტონი მისცეს ყველა რეგიონული თუ გლობალური საკითხების გადაწყვეტას. პროფესორი ჯემალეთთინ თაშქირანი აღნიშნავს, რომ „თურქეთის დახმარებით აზერბაიჯანმა მოკლე ხანში პრაქტიკულად დაიბრუნა თითქმის ყველა დაკარგული ტერიტორიები. ამან გამოიწვია სიხარული მთელ თურქულ სამყაროში. ვფიქრობ, რომ თურქეთის მხარდაჭერა ცვლის ბალანსს რეგიონში. მივა ეს თურანის არმიამდე? ვიმედოვნებ, კი.“

ზემოხსენებული თურქული გაზეთი ულტრა - ნაციონალისტურ და ისლამისტურ იდეებს ქადაგებს, ხოლო „პანთურქიზმი“, „თურანიზმი“ და მსგავსი მიმდინარეობები გარკვეული წრეებისა და იდეოლოგების ლექსიკის ნაწილია. საქმე იმაში გახლავთ, რომ თურქეთის თავდაცვის მინისტრი ჰულუსი აქარი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პაკისტანში, ყაზახეთსა და უზბეკეთში. 28 ოქტომბერს ყაზახეთში სამხედრო-სტრატეგიული მოლაპარაკებების შემდეგ, უზბეკეთს ეწვია და თავის კოლეგა ბაჰადორ ყურბანოვთან საქმიანი შეხვედრების შემდეგ, ხელი მოაწერეს თურქეთსა და უზბეკეთს შორის სამხედრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმებას. თურქი სტუმარი მიიღო ქვეყნის პრეზიდენტმა შავქათ მირზიოევმა. ჰულუსი აქარმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ „თურქეთსა და უზბეკეთს აკავშირებს სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც დაფუძნებულია მეგობრობისა და ძმობის ისტორიულ კავშირზე. ჩვენ მივილტვით, განვავითაროთ ურთიერთობები ყველა სფეროში. ეს მოიცავს სოციალურ, პოლიტიკურ ასპექტებს და რა თქმა უნდა, თავდაცვითი სახის ურთიერთქმედებებს“.

ზემოხსენებულმა გაზეთმა *(„თუჰქიე“)* ჰულუსი აქარის ვიზიტი ყაზახეთსა და უზბეკეთში შეაფასა, როგორც თურქული სახელმწიფოების ერთიანი არმიის, ანუ „თურანული არმიის“ შექმნისაკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი. ყაზახეთსაც და უზბეკეთსაც რეგიონში მოქმედ ძლიერ აქტორებად პირველ რიგში რუსეთი, ჩინეთი, აშშ და შემდეგ, თურქეთი მიაჩნიათ. ამიტომ რეგიონის გეოპოლიტიკური სივრცის გათვალისწინებით, უახლოეს პერსპექტივაში „თურანის არმიის“ წარმოშობის შესაძლებლობის მცდელობაც კი, ნაკლებად მოსალოდნელია. თურქეთი, რა თქმა უნდა ცდილობს თურქულ სამყაროზე დომინანტი ძალის დონეს მიაღწიოს, მაგრამ სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა არის ინტეგრაციის წერტილი, რომელიც აგვირგვინებს პოლიტიკურ ინტეგრაციას. პოლიტიკური ბაზა კი, „თურქული არმიის“ შესაქმნელად ჯერ არ მომზადებულა. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თურქეთი რეგიონში აქტიურ პოლიტიკას ატარებს „პანთურქიზმის“ იდეების გასატარებლად. აღნიშნული იდეები თურქეთში საკმაოდ პოპულარულია, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის „ნაციონალისტური მოძრაობის პარტიას“, რომელიც მმართველი პარტიის AKP - ის მოკავშირე პოლიტიკური ძალაა ქვეყანაში.

და მაინც, თურქეთის მხარდაჭერით აზერბაიჯანის მიერ მოპოვებული გამარჯვება ყარაბაღის ომში, აზერბაიჯანის ისტორიული მიღწევაა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმატება, რაც თავისთავად, გამოყენებული იქნება ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებისათვის „თურქულ სამყაროში“ ყველა შესაძლებელი მიმართულებით. სავარაუდოდ, თურქეთი ამ წარმატებას გამოიყენებს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირების აქტივიზაციისთვის ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობებში. *ამას*

მომავალი გვიჩვენებს.

ყირგიზეთი. ყირგიზეთის რესპუბლიკა მდებარეობს ცენტრალური აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და რეგიონის თურქულენოვანი სახელმწიფოებიდან ყველაზე პატარა ფართობი (*199 951 კვ.კმ.)* უკავია. თურქეთმა ყირგიზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო 1991 წლის 16 დეკემბერს. 1992 წლის აპრილში ბიშკეკში გაიხსნა თურქეთის საელჩო. ყირგიზეთი სასარგებლო წიაღისეულის დიდი მარაგით არ გამოირჩევა და ენერგორესურსებით, სხვა თურქულენოვან სახელმწიფოებს ვერ შეედრება. ამ მხრივ ყირგიზეთი, თითქოს თურქეთის ინტერესებისთვის ნაკლებად მიმზიდველი პარტნიორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თურქეთის ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობდა ყირგიზ კოლეგებთან და დღესაც საკმაოდ წარმატებული ურთიერთობები აქვს მათთან დამყარებული. ყირგიზეთმა თავისი ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო ვერ მიიზიდა თურქული ბიზნესი და საქმიანი წრეები, რათა გაეუმჯობესებინა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა. ყირგიზეთი ვერ შედგა, როგორც ეკონომიკურად გამართული სახელმწიფო, თავის სპეციფიური (მომთაბარული) მენტალიტეტით და აქედან გამომდინარე სუსტმა სახელმწიფო ხელისუფლებამ ქვეყანა მიიყვანა ნაკლებად ეფექტურ სახელმწიფო მართვამდე და რეგიონში გამორჩეულად, ხშირ სამთავრობო ცვლილებებამდე. შექმნილ სიტუაციაში, სრულიად ბუნებრივია, რომ თურქეთმა ზემოთ მოყვანილი ფაქტორების ძალით, მიიღო უპირატესობა ყირგიზეთში თავისი პოლიტიკის გასატარებლად. ეკონომიკურ პოლიტიკაში თუ არა, სამაგიეროდ სხვა სფეროში, განსაკუთრებით ჰუმანიტარულში - კულტურა, განათლება, რელიგია და შედარებით ნაკლებად, პოლიტიკურსა და სამხედრო მიმართულების თანამშრომლობა, საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. კულტურულ ასპექტში თანამშრომლობა გამოიხატა ყირგიზეთის გაწევრიანებაში „თურქსოი“-ს ორგანიზაციაში, რის შედეგადაც თურქული საგანმანათებლო დაწესებულებები, ყირგიზეთის განათლების სისტემაში დიდ დახმარებას უწევენ საქმის წარმოებისა და სწავლების მეთოდების ყირგიზულ ენაზე დანერგვაში. ყირგიზეთი, საბჭოთა სისტემიდან, ეროვნული მენტალობის ჩამოყალიბების პროცესში თავისი განვითარების რთულ ეტაპს გადის და ამაში თურქეთს გარკვეული წვლილი შეაქვს, რითაც თავის გავლენას ავრცელებს ყირგიზეთის სახელმწიფოზე. თანამშრომლობის პოლიტიკური მხარე გამოხატულია 2009 წელს შექმნილ ორგანიზაციაში „თურქული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭო“, რომელშიც ყირგიზეთი თანდათან ინტეგრირებულ იქნა თურქეთის ეგიდით მოქმედ ყველა თურქულ ორგანიზაციაში. ყირგიზეთის სახელმწიფო ლიდერები, დაწყებული პირველი პრეზიდენტიდან (ასკარ აკაევი), მუდამ ლოიალურად იყვნენ განწყობილი თურქი ლიდერების მიმართ და ყველანაირად უჭერდნენ მხარს მათ რჩევებსა თუ წამოწყებებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქვეყნის მე-4 პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი, რომელიც 2012 წლის იანვარში ინაუგურაციის შემდეგ, ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ როგორც ყირგიზეთის პრეზიდენტი, პირველი ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვია. მას განსაკუთრებით პომპეზური დახვედრა მოუწყვეს. თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის სხდომაზე თურქულ ენაზე გამოვიდა, რაც მანამდე, არცერთ შუა აზიის პოსტსაბჭოთა თურქულენოვანი ქვეყნის ლიდერს არ გაუკეთებია (*თუჰქუღის ახცოდნის გამო. თუჰქუღენოვან სამიტებზე სხვა ღიდეჰების გამოსვღებს თახჯიმანი თახგმნიდა*). ალმაზბეკ ატამბაევმა თავისი გამოსვლა მეჯლისში ასე დაასრულა: „ყირგიზეთი თურქეთიდან შორსაა ტერიტორიულად, მაგრამ ყოველმა ყირგიზმა იცის, რომ ყირგიზისთვის თურქეთი - ვარსკვლავია, დედა-სამშობლოა, რომელიც გზას გვინათებს“. ყირგიზეთის პრეზიდენტს ბილკენტის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება მიანიჭეს. მას ასევე შეხვედრები ჰქონდა პრეზიდენტ აბდულა გიულთან და პრემიერ-მინისტრ რეჯებ თაიფ ერდოღანთან. ექსპერტების ინფორმაციით, ატამბაევს თურქეთში საკუთარი ბიზნესი აქვს და საპრეზიდენტო უფლებებს თავისი ბიზნესის განვითარებაში იყენებს. 1997 წლიდან კერძო სტრუქტურებში

მუშაობდა და 2004 წლამდე სამრეწველო ჯგუფის „ფორუმის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. 2004 წელს ყირგიზეთის „ტოპ-მდიდართა“ ასეულში შევიდა. 2005 წლის „ტიტების რევოლუციის“ შემდეგ, მინისტრის თანამდებობებზე მუშაობდა და 2007 წელს 7 თვით ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრიც იყო. 2011 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და დეკემბრის ბოლოს მისი, როგორც პრეზიდენტის ოფიციალური ინაუგურაცია შედგა. *(ინაუგურაციას ესწრებოდნენ თურქეთის და საქართველოს პრეზიდენტები: აბდულა გიული და მიხეილ სააკაშვილი. მეზობელი ქვეყნების პრემიერ-მინისტრები. საზღვარგარეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მთლიანად ათასამდე სტუმარი).* ალმაზბეკ ატამბაევის მორიგი ოფიციალური ვიზიტი თურქეთში 2014 წლის ივნისში შედგა. ვიზიტის ფარგლებში ანკარაში დაიდგა გამოჩენილი ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აიტმატოვის ბიუსტი *(2019 წლის დეკემბერში უკვე ძეგლი გაიხსნა)* და თურქეთის საკურორტო ქალაქ ბოდრუმში ჩატარდა „თურქული საბჭოს“ მე-4 სამიტი. აღნიშნულ სამიტზე თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერებმა ერთხმად მიიღეს „ბოდრუმის დეკლარაცია“, რომლის ძალითაც ალმაზბეკ ატამბაევმა მიაღწია იმას, რომ თურქეთმა 15 მილიონი აშშ დოლარი გამოჰყო ყირგიზეთის ეროვნული მუზეუმის რეკონსტრუქციისათვის და ამავე დროს, ატამბაევმა შეახსენა რომ ქვეყანაში რეფორმები უნდა ჩატარდეს რელიგიურ სფეროში, რისთვისაც თურქეთი დაპირდა 10 მილიონი დოლარის გამოყოფას. ბიშკეკში სწრაფი ტემპებით მიდის მთავარი მეჩეთის მშენებლობა.

ალმაზბეკ ატამბაევის საპრეზიდენტო ვადა, ყირგიზეთში აღინიშნება სკანდალური ფაქტებითა და კანონდარღვევებით. მისი გარემოცვიდან პერსონალიები სახელმწიფო სტრუქტურებში ჩინოვნიკებად ინიშნებოდნენ *(მისი პირადი მძღოლი მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა და 6 წელიწადში ყირგიზეთის 100 უმდიდრეს პირთა სიაში მოხვდა).* 2016 წელს ატამბაევს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა სურდა, რასაც სამოქალაქო საზოგადოების, სამართალდამცავების, ჟურნალისტების და ოპოზიციური ძალების მხრიდან, ხელისუფლების უზურპაციის მცდელობა ეწოდა. მოკლედ, ატამბაევის საპრეზიდენტო მოღვაწეობა, საზოგადოების მხრიდან დანაშაულებრივად იქნა მიჩნეული, გენერალურმა პროკურატურამ აღძრა საქმე „კორუფციის“, „თანამდებობის ბოროტად გამოყენების“, „უკანონო გამდიდრების“ ბრალეულობებით და 2019 წლის 27 ივნისს მას მოეხსნა ექსპრეზიდენტის წოდება და ხელშეუხებლობის უფლებები. მისი დაპატიმრება ძალით განხორციელდა *(თვითონ ახ აპირებდა კანონმდებლობას დამოჩიდეებოდა)* და მისი აყვანის პერიპეტიებში, ერთი სპეცრაზმელი დაიღუპა, ხოლო 136 ადამიანი დაშავდა. 2020 წლის 23 ივნისს ატამბაევს მიუსაჯეს 11 წლით პატიმრობა - კორუფციის მუხლით და პრეზიდენტის განკარგულებით მკვლელი რომ გამოაშვებინა ციხიდან.

2020 წლის 6 ოქტომბერს მასიური არეულობების დროს, ალმაზბეკ ატამბაევი მომიტინგეებმა ციხიდან გამოაშვებინეს, მაგრამ მისი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების გამო, 10 ოქტომბერს დააკავეს და ამჯერად ისევ ციხეში იმყოფება. ალმაზბეკ ატამბაევის პრეზიდენტობის წლებში, თურქეთსა და ყირგიზეთს შორის ურთიერთობები ძირითადად, ატამბაევის ბიზნესის წახალისებისა და თურქეთის მხრიდან „უფროსი ძმის“ პოზიციიდან, სიმშვიდისა და ნდობის შენარჩუნების „რბილი ძალის“ პოლიტიკა ტარდებოდა.

ყირგიზეთსა და თურქეთს შორის თანამშრომლობას, შემდგომი გაღრმავების მიზნით ახალი იმპულსი შესძინა 2018 წლის 8-11 აპრილს ყირგიზეთის პრეზიდენტ სოორონბაი ჟეენბეკოვის ოფიციალურმა ვიზიტმა თურქეთის რესპუბლიკაში. ანკარაში შეხვედრისას ორივე ქვეყნის პრეზიდენტი შეთანხმდა გააღრმავონ თანამშრომლობა ჯანდაცვის, ტრანსპორტის, სამთამადნო მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის დარგებში და უახლოეს მომავალში ორ ქვეყანას შორის ტვირთბრუნვის მოცულობა გაიზარდოს 1 მილიარდ აშშ დოლარის დონემდე

(2017 წელს ტვირთბრუნვა შეადგენდა 356,1 მლნ დოლარს. 2018 წელს - 394,5 მლნ დოლარს). თურქეთის პრეზიდენტის საპასუხო ოფიციალური ვიზიტი ყირგიზეთში 2018 წლის 1-3 სექტემბერს გაიმართა. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ამავე დღეებში მონაწილეობა მიიღო თურქული სახელმწიფოების ლიდერთა საბჭოს მე-6 სამიტში, რომელიც გაიმართა ყირგიზეთის ქალაქ ჩოლპონ-ატაში.

აღნიშნული ოფიციალური ვიზიტის დროს ერდოღანმა თავის ყირგიზ კოლეგას სთხოვა ქვეყნიდან გაეძევებინათ ე.წ. „გიულენისტები“, ანუ ფეთჰულა გიულენის საერთაშორისო ფონდის მიერ გახსნილი სასწავლებლების თურქი პედაგოგები, თანამშრომლები და პერსონალი, რომელნიც 2016 წლის 15 ივლისის გადატრიალების მცდელობის შემდეგ, თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებით გამოცხადებულნი არიან „ტერორისტებად“ *(აღნიშნული ე.წ. „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის“ შესახებ მომავალ ლექციებზე ცალკე გვექნება საუბარი).* ამჯერად, თურქეთის მხარემ ყირგიზეთს გადასცა ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციის წევრთა 130 პირის სია, რომელთა ექსტრადიციაც ყირგიზეთის ხელისუფლებას უნდა მოეხდინა. ყირგიზეთში „გიულენის ფონდის“ მიერ დაარსებული თურქულ-ყირგიზული ბიშკეკის საერთაშორისო უნივერსიტეტი „მანას“ მოქმედებს 1997 წლიდან. 1996 წელს გაიხსნა საერთაშორისო უნივერსიტეტი „ალა-ტოო ათათურქი“, წარმატებით მუშაობს 16 ლიცეუმი, სპეციალური „სილკ-როუდის“ საერთაშორისო კოლეჯები, საშუალო სკოლები. ყველა მათგანში მაღალი სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სწავლება მიმდინარეობს და ყირგიზეთის დღევანდელი მთავრობის ელიტარული ნაწილი, ძირითადად ზემოხსენებული სასწავლებლების კედლებში აღზრდილი კადრებით არის დაკომპლექტებული.

თურქეთის მხარემ 2016 წელს „გადატრიალების მცდელობის“ შემდეგ, მალევე მოითხოვა გიულენის სასწავლებლების დახურვა*(ძირითადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში)*, პერსონალის დაკავება და მათი ექსტრადირება. თურქეთი, განსაკუთრებით მკაცრად მოითხოვდა, რომ ყირგიზეთის მხარეს განეხორციელებინა სასაწავლებლების დახურვისა და პერსონალის ქვეყნიდან გაძევების პროცედურები. საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუდ ჩავუშოღლუ ორჯერ აფრთხილებდა ყირგიზეთის მთავრობას, რომ „გიულენისტები“ მათ სახელმწიფო გადატრიალებას მოუწყობენ და სასწრაფოდ აღკვეთონ მათი არსებობა, თუ არა და ქვეყნებს შორის ურთიერთობები შეიცვლება. ამის პარალელურად, ყირგიზეთის ელჩი თურქეთში ყუბანიჩბეკ ონურალიევი, თურქეთის რელიგიური კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრისას მას 5 მლნ დოლარის გამოყოფას თხოვდა ყირგიზული რელიგიური ფონდის „იმან“-ის ხარჯებისთვის. ამაზე თურქულმა მხარემ განუცხადა, რომ ამდენივე თანხა ადრე უკვე გამოყოფილი იყო და ამჯერად წყვეტს დაფინანსებას. ამ ფაქტმა ყირგიზეთის საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მათი აზრით ფინანსურ დახმარებაზე ამგვარი თხოვნები, სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობის სისუსტეს ამტკიცებს, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება ქვეყნის იმიჯზე. ამჟამად თურქეთის დაჟინებული მოთხოვნით, ყირგიზეთის მთავრობას დაეკისრა „გიულენის“ სკოლების ნაცვლად ქვეყანაში ახალი თურქული ფონდის „მაარიფ“-ის კერძო სასწავლო დაწესებულებები გახსნან. ყირგიზეთის განათლების სამინისტროსა და ფონდ „მაარიფ“-ის ხელმძღვანელებს შორის 2020 წლის 10 იანვარს ხელი მოეწერა შეთანხმებას, ყირგიზეთში კერძო სასწავლებელების გახსნის შესახებ. სამინისტროს განცხადებით „სკოლების გახსნა კიდევ ერთ დიდ წვლილს შეიტანს განათლების სფეროში ყირგიზეთ-თურქეთის ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებაში“. „მაარიფ“ ფონდი თურქეთის განათლების სამინისტროსგან დამოუკიდებლად მუშაობს და ერთადერთი სტრუქტურაა, რომელსაც უფლება აქვს საზღვარგარეთ სასწავლო დაწესებულებები გახსნას თურქეთის რესპუბლიკის სახელით. „მაარიფი“ ხსნის საბავშვო ბაღებს, სკოლებს და უნივერსიტეტებს სხვასხვა ქვეყანაში. დღეისათვის მისი სკოლები მუშაობენ 21 სახელმწიფოში. არაოფიციალური

მონაცემებით, ფონდმა „მაარიფ“- მა მოახდინა სასწავლო დაწესებულებების პრივატიზაცია, რომლებიც ადრე „გიულენისტების“ ორგანიზაციას ეკუთვნოდა. 2021 წლის 11 იანვარს ყირგიზეთში არჩეულ იქნა ახალი პრეზიდენტი, სადირ ჟაპაროვი. ოპოზიციონერმა ჟაპაროვმა ატამბაევის პრეზიდენტობის დროს 3,5 წელი ციხეში გაატარა და განთავისუფლებიდან 97 დღის შემდეგ ქვეყნის პირველი პირი გახდა. ერთ-ერთმა პირველმა თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა მიულოცა პრეზიდენტად არჩევა და ერთად მუშაობა შესთავაზა, რათა მოძმე ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ახალ მწვერვალებზე აიყვანონ. სადირ ჟაპაროვმა საპასუხო წერილში ძვირფასი ძმა უწოდა ერდოღანს და გაიზიარა რა მისი სურვილი ერთად იმუშაონ ქვეყნებს შორის ურთიერთობების შემდგომი გაუმჯობესებითვის, აღუთქვა რომ ყველა საჭირო ძალისხმევას გამოიყენებს ამ გზაზე.

ყირგიზეთის ახალი პრეზიდენტი 28 იანვრის ინაუგურაციის შემდეგ, თავის პირველ ვიზიტს რუსეთში გეგმავდა. სადირ ჟაპაროვი აპირებს რეფერენდუმი ჩაატაროს ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზნით, რაც გულისხმობს პრეზიდენტის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას. სადირ ჟაპაროვს უცხოური მასმედია ზედმეტად ნაციონალისტად მოიხსენიებს და „ყირგიზ რობინ ჰუდს ან ტრამპსაც“ უწოდებენ. იგი მომხრეა ეროვნული წიაღისეულის წარმოება უცხოური ფირმებისგან დაიხსნას და მისი ნაციონალიზაცია გამოაცხადოს.

თურქმენეთი. თურქმენეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა თურქეთმა პირველმა სცნო 1991 წლის 16 დეკემბერს, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები თურქეთსა და თურქმენეთს შორის 1992 წლის 29 თებერვალს დამყარდა. ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობებში თავისი მრავალმხრივი გეგმების განვითარებისა და განხორციელების მიზნით, თურქეთი მუდამ სარგებლობს ეთნიკურ-რელიგიური და კულტურულ-ისტორიული სიახლოვის ფაქტორით. იგივე ფაქტორის გამოყენებით თურქეთმა, კოსსპონსორის სახელით მხარი დაუჭირა რეზოლუციას თურქმენეთი გამხდარიყო მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე სახელმწიფო, რომელიც 1995 წლის 12 დეკემბერს დაამტკიცეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე *(12 დეკემბერი ეროვნულ დღესასწაულად ითვლება და ყოველწლიურად იმახითება თურქმენეთში).* თურქმენეთის პირველი პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი 1992 წლიდან აქტიურად ჩაერთი თურქულენოვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა სამიტებში და ყველაზე თბილი ურთიერთობები დაამყარა თურქეთთან, ვინაიდან თურქეთის ხელისუფლება *(თურგუთ ოზალი, სულეიმან დემირელი)* თურქმენეთის მდიდარი ენერგორესურსების ევროპისკენ ტრანზიტს, თურქეთის საშუალებით მოიაზრებდა და თურქმენეთის ეკონომიკის გაჯანსაღებაში დიდი ინვესტიციების ჩადებას გეგმავდა. თავისთავად, თურქეთისკენ მიმავალი ნავთობის ტრანსპორტირება აზებაიჯანის გარეშე ვერ მოხდებოდა და 1995 წლიდან თურქმენეთი გახდა აზერბაიჯანის ძირითადი სავაჭრო და სათბობ-ენერგეტიკული პარტნიორი. 1997 წლიდან კასპიის ზღვის ნავთობის საბადოების კასპიისპირა ქვეყნებს შორის განაწილების გამო აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა. საქმე იმაში გახლდათ, რომ თურქმენეთმა პრეტენზია განაცხადა კასპიის ზღვის ფსკერზე აზერბაიჯანის ტერიტორიული წყლების საზღვარზე სადავო ნავთობის და გაზის კონდენსატის *(150 მლნ ბარელის მარაგით)* საბადოზე და დაადანაშაულა აზერბაიჯანი მის არაკანონიერ ექსპლოატაციაში. თურქმენეთის მხარე საბადოს „სერდარს“ უწოდებდა, ხოლო აზერბაიჯანში იგივე საბადოს „ქიაფაზ“ ერქვა. 1997 წლის ზაფხულიდან ორ ქვეყანას შორის დაიწყო დიდი დიპლომატიური ბრძოლა ნავთობის საბადოს კუთვნილების თაობაზე. ორივე ქვეყნის ლიდერი საფარმურატ ნიაზოვი და ჰაიდარ ალიევი, ძალზე მტრულად იყვნენ განწყობილნი და სადმე თუ გადაეყრებოდნენ, ერთმანეთის მიმართ მხოლოდ შეურაცხმყოფელ ლექსიკას ხმარობდნენ. თურქეთი შეეცადა მომრიგებლის როლი შეესრულებინა, თუმცა თურქეთში იმ დროს საკმაოდ დაძაბული შიდაპოლიტიკური მდგომარეობა იყო ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ ჩატარებული „სამთავრობო გადატრიალების“ გამო. თურქეთი თავიდანვე დაინტერესებული იყო თურქმენეთის გაზის ტრანსპორტირებით და ყოველნაირად ცდილობდა აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის სადავო საკითხი მალე გადაწყვეტილიყო, ვინაიდან არსებობდა პროექტი - კასპიის ზღვის ფსკერზე 300 -კილომეტრიანი „ტრანსკასპიური“ გაზსადენი გაყვანილიყო, რომელიც თურქმენულ გაზს, აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის გაზსადენთან

მიიყვანდა და იქიდან შაჰ-დენიზ-თბილისი-ერზურუმის გაზსადენით თურქეთისკენ და ევროპისკენ გადაამისამართებდა. ბოლოს, აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის შუამავლობით, როგორც იქნა 1999 წელს სტამბოლის უმაღლესი დონის სამიტის დასრულების შემდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნიაზოვსა და ალიევს შორის სადავო საკითხებზე მომხდარიყო შეთანხმების ოქმზე ხელმოწერა, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების მონაწილეობით. გარანტად აშშ-ის პრეზიდენტი კლინტონი დადგა. ოქმს ხელი მოეწერა, მაგრამ საკითხი არ გადაწყვეტილა და ისევ სადავოდ დარჩა კასპიის ზღვის ფსკერზე არსებული საბადო.

2000-იან წლებში, როდესაც „ნაბუქოს“ გაზსადენის *(3 300 კმ სიგრძით)* პროექტი წარმოიშვა, სწორედ მას უნდა მიერთებოდა ზემოხსენებული თურქმენეთის გაზი შაჰ-დენიზ-თბილისი-ერზურუმის ხაზთან დაკავშირების პერსპექტივით. ‘ნაბუქო“ მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი იყო, რომელიც უზრუნველყოფდა კასპიის გაზის ევროპის კონტინენტზე ტრანსპორტირებას *(„ნაბუქოს“ პროექტის ჩასაშლელად ხუსეთმა ყოველი ღონე იხმარა და სამწუხაროდ, მგონი მიაღწია კიდეც)*.

სულ ახლახანს, 2021 წლის 27 იანვარს აშხაბადში თურქმენეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოაწერეს ხელი ურთიერთგაგების მემორანდუმს კასპიის სადავო საბადოს ერთობლივი ძიების, ამუშავების და მისი ათვისების შესახებ. საბადოს, რომელიც სამი ათეული წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის დაპირისპირების საბაბს წარმოადგენდა.ადრე ამ ნავთობისა და გაზის საბადოს თურქმენეთში „სერდარს“ უწოდებდნენ, ამჯერად კი მას „დოსთლუკ“ ეწოდება, რაც თურქმენულადაც და აზერბაიჯანულადაც „მეგობრობას“ ნიშნავს. ძირითადად აღნიშნული დაპირისპირება უშლიდა ხელს, რომ განხორციელებულიყო „ტრანსკასპიური მილსადენის“ პროექტი, რომელსაც როგორც ეკონომიკური, ასევე გეოპოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია ევროკავშირის, თურქეთის, ცენტრალური აზიის და ირანისთვის.

თურქეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ბაქოსა და აშხაბადს შორის პოზიციების დაახლოვებაში. ანკარას სურს ეს მხარეები გააერთიანოს თურქული თანამშრომლობის ეგიდით. თურქეთი ძალზე დაინტერესებულია „ტრანსკასპიური მილსადენის“ აშენებით და ამოქმედებით. მას შეუძლია მთლიანად დაფაროს თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილის მოთხოვნილება გაზზე, შეამციროს რუსეთის გაზზე დამოკიდებულება და მისი ტრანზიტი მოახდინოს ევროპაში. ამას გარდა, თურქეთი ირანის გაზის ნაცვლად, უფრო დიდი სიამოვნებით მოძმე თურქმენეთის გაზს მიიღებდა. 2021 წლის 23 თებერვალს ანკარას ეწვია თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რაშიდ მერედოვი, რომელიც შეხვდა კოლეგა მევლუთ ჩავუშოღლუს და შემდეგ პრეზიდენტ რეჯებ ერდოღანსაც. თურქეთისა და თურქმენეთის საგარეო უწყებებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამის ხელმოწერის შემდეგ, უკვე სამმხრივი შეხვედრა გაიმართა რაშიდ მერედოვს, მევლუთ ჩავუშოღლუს და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეიხუნ ბაირამოვს შორის, რომელთაც ხელი მოაწერეს დოკუმენტს, ტრანზიტული პროექტების რეალიზაციისა და კასპიისპირა პორტებს თურქმენბაშისა (თურქმენეთი) და ალიათს (აზერბაიჯანი) შორის ეფექტური მიმოსვლის მნიშვნელობის შესახებ. სამივე მხარემ დიდი სიამოვნებით აღნიშნა, რომ „დოსთლუქის“ საბადოს ექსპლუატაციის თაობაზე მნიშვნელოვანი და დროული შეთანხმების ხელმოწერის შესახებ. აღნიშნული საბადოს ამუშავების პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა „ლუკოილის“ კომპანიის ხელმძღვანელმა ვაგიფ ალექპეროვმა თურქმენეთის პრეზიდენტ ყურბანყული ბერდიმუჰამედოვთან შეხვედრის დროს.

მან განაცხადა, რომ პროექტის წარმატებული რეალიზაციის მიზნით „მაქსიმალურად ჩაერთვებიან ეკონომიკის თვალსაზრისით მოწინავე და მიზანმიმართული ტექნოლოგიები. თანაც პარალელურად ჩატარდება ახალი საბადოების საძიებო სამუშაოები“. თურქეთი და მისი პრეზიდენტი ერდოღანი მონათესავე კასპიისპირა ქვეყნებთან *(აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი)* თავისი ეთნო-ენობრივი და კულტურულ-ისტორიული სიახლოვის გამოყენებით, მაქსიმალურ შესაძლებლობებს იყენებს რეგიონში თავისი

ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური გავლენის გასამყარებლად. მაგრამ რეგიონში რუსეთის, ჩინეთის და ირანის საკუთარ მრავალგანზომილებიან ინტერესებს თუ გავითვალისწინებთ, თურქეთის კასპიის ზღვის „თიურქულ“ ტბად გადაქცევის მცდელობები, რეალურ პერსპექტივაში ძნელად მოიაზრება. საერთოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქმენეთი ძალიან მალე მოექცა თურქეთის პოლიტიკური წრეებისა და ასევე თურქი მეწარმეების ინტერესთა არეალში. თურქეთისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად ძირითადად ენერგეტიკული სფერო მოიაზრებოდა, მაგრამ მისი რეალიზაცია ვერ განხორციელდა 1991-2006 წლებში. ამის მთავარი მიზეზი თურქმენეთის თვითიზოლაციაში ყოფნა იყო (*1994 წლიდან პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკური კურსი სრული იზოლაციონიზმით ხასიათდებოდა),* რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა საფარმურატ ნიაზოვის (თურქმენბაში) მმართველობის პერიოდში 2000 წლების დასაწყისში. საფარმურატ ნიაზოვი ქვეყნის მეჯლისის 1993 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მსოფლიოს ყველა თურქმენთა მეთაურად გამოცხადდა - „დიდი თურქმენბაში“, ხოლო 1999 წლის დეკემბერში თურქმენეთის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებით თურქმენბაში, სამუდამო პრეზიდენტად იქნა აღიარებული. თურქმენბაშის მოღვაწეობის პერიოდი, გამორჩეულად აბსოლუტური დიქტატურის ძალაუფლებისა და დიდი მასშტაბის პიროვნების კულტის ბატონობის რეჟიმს წარმოადგენდა. ქვეყნის დედაქალაქ აშხაბადში აგებულია 83 მ. სიმაღლის „ნეიტრალიტეტის თაღი“, რომლის მწვერვალზეც აღმართულია თურქმენბაშის უზარმაზარი ოქროს ფიგურა *(გაიხსნა 1998 წელს და აგებულია თუსქული ფირმის „პოლიმექსის“ მიერ).* აშხაბადის ეროვნულ პარკში აგებულია 118 მ. სიმაღლის „თურქმენეთის დამოუკიდებლობის მონუმენტი“ და მონუმენტისკენ მიმავალი ხეივნის თავში დგას თურქმენბაშის მოოქროვილი ძეგლი. საფარმურატ ნიაზოვი (თურქმენბაში) ავტორია დიდი ეპოსის, სახელად „რუჰნამე“ (სულიერი წიგნი), რომელშიც აღწერილია თურქმენთა ტრადიციები, ჩვევები, ისტორიული მოვლენები და იგი შექმნილია, როგორც თურქმენი ხალხის მთავარი წიგნი, მათი წიგნი-გზამკვლევი. სანამ თურქმენბაში ცოცხალი იყო აღნიშნული წიგნი აუცილებლად ისწავლებოდა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩასაბარებელ საგნად ითვლებოდა და შემდეგ უნივერსიტეტებში ძირფესვიანად შეისწავლებოდა ყველა ფაკულტეტზე.

თურქმენბაშის აბსოლუტიზმის შედეგად, 2002 წლიდან კვირის დღეებს მისი ოჯახის წევრების საკუთარი სახელები ეწოდებოდათ, წელიწადის თვეების სახელებიც შეიცვალა ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების სახელების მიხედვით.

2006 წელს გარდაიცვალა პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი და საინტერესოა, რომ მის დასაფლავებას მხოლოდ თურქეთიდან დაესწრო პრეზიდენტიც *(აბდულა გიული)* და პრემიერ-მინისტრიც *(ჰეჯებ თაიფ ეჰდოღანი).* მეზობელი ქვეყნებიდან რამდენიმე პრემიერ-მინისტრი *(ყაზახეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, უკრაინის, რუსეთის)* დაესწრო.

2007 წლიდან ყურბანყული ბერდიმუჰამედოვის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთ-თურქმენეთის ეკონომიკური ურთიერთობები ახალ ეტაპზე გადავიდა. წინა წლებში თურქეთის ექსპორტი თურქმენეთში ძირითადად ლითონებს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას, ელექტრონიკას, საკვებ პროდუქტებს, საშენ მასალებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მედიკამენტებს შეადგენდა. თურქმენეთი კი, თურქეთს ძირითადად საფეიქრო და ქიმიურ პროდუქციას, სასოფლო-სამეურნეო საქონელს აწვდიდა.

ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ თურქმენეთში გააქტიურდა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ტრანსფორმაციის გზები. ქვეყანაში დაიწყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რამაც ხელი შეუწყო თურქეთსა და თურქმენეთს შორის კონტაქტების გაფართოვებას და მათ აქტიურ რეალიზებას. თურქმენეთში, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებში, აქტიურად მუშაობენ თურქი მენარდე-მეწარმენი, რომლებიც მონაწილეობენ

მსხვილმასშტაბიან პროექტებში. 2007 წელს თურქეთის ფირმა „Polimeks inşaat“- მა დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი ტურისტული ზონის „ავაზა“- ს მშენებლობა ქ. თურქმენბაშიში *(ყოფ. კჰასნოვოდსკი).* აღნიშნულ ფირმას აშენებული აქვს ქალაქ თურქმენბაშის აეროპორტი, „ნეიტრალიტეტის თაღი“ აშხაბადში, ტელერადიომაუწყებლობის ცენტრი „თურქმენისტან“, დედაქალაქის კულტურულ-გასართობი კომპლექსი „ალემ“. 2013 წელს ფირმა Polimeks inşaat“- მა მიიღო ყველაზე მსხვილი კონტრაქტი საზღვარგარეთიდან, კერძოდ აშხაბადის აეროპორტის მშენებლობის შეკვეთა, რომლის ღირებულებაც შეადგენდა $ 2,2 მლრდ-ს. თურქეთის სხვადასხვა ფირმებს აშენებული აქვთ რკინიგზის ხაზები, მრავალი შენობა, ცემენტის ქარხნები და სხვა დანიშნულების ნაგებობები.

2007 წლიდან დაწყებული ყურბანყული ბერდიმუჰამედოვის ყოველწლიური ვიზიტები ანკარაში მუდამ გამოირჩეოდა თბილი და ძმური მიღებით, თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული ხაზს უსვამდა ორი მეგობარი ხალხის საერთო ენის, რწმენის, ისტორიის, კულტურის და ფასეულობების მნიშვნელობას და თურქეთის ინტერესების თანხვედრას თურქმენეთის მომავალი ეკონომიკური განვითარების საქმეში. აღსანიშნავია, რომ თუ 2006 წელს თურქეთ-თურქმენეთის სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობა $ 471,249 მლნ-ს შეადგენდა, უკვე 2010 წელს ამ მოცულობამ $ 1,5 მლრდ-ს გადააჭარბა.

თურქმენეთი ბუნებრივი აირის მარაგით მსოფლიოში მეოთხე ადგილს იკავებს რუსეთის, ირანისა და ყატარის შემდეგ და მიუხედავად ამისა მან გაზარდა გაზის ექსპორტი ჩინეთის, ირანის და რუსეთის მიმართულებით. ნავთობგაზის მრეწველობის განვითარების პროგრამის მიხედვით, თურქმენეთი 2030 წლისათვის ბუნებრივი აირის მოპოვების დონეს 230 მლრდ კუბ. მეტრამდე გეგმავს, რომლის დიდი ნაწილიც ექსპორტისთვის არის განკუთვნილი. 2011 წელს დიდი ბრიტანეთის ფირმა “Gaffney...” მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი აუდიტის შედეგად, თურქმენეთის „ჰალკინიშის“ გაზის საბადო „სამხრეთ ელოტონ-ოსმანის“ რესურსების მარაგი 26,2 ტრლნ. კუბ. მეტრ გაზს შეიცავს, რაც მსოფლიოში არსებული გაზის საბადოებს შორის სიდიდით მეორეა.

ყურბანყული ბერდიმუჰამედოვი 2007 წლის 14 თებერვლიდან თურქმენეთის პრეზიდენტია და ალბათ კიდევ დიდხანს იქნება. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ განაცხადა, რომ გააგრძელებს საფარმურატ ნიაზოვის პოლიტიკას და „მის ტრადიციებს გაჰყვება“. შემდგომში ყ. ბერდიმუჰამედოვმა გაატარა თურქმენისტანის მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაციისა და საშინაო მდგომარეობის შემსუბუქების პოლიტიკა. გაუქმდა საფარმურატ ნიაზოვის მიერ შემოღებული კალენდარი, დაუბრუნდა ჩვეულებრივ გრიგორიანულს და კვირის დღეებს დაუბრუნა ძველი ჩვეულებრივი სახელები. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ამოღებულ იქნა „რუჰნამეს“ სწავლება, სკოლებში აღდგა ფიზკულტურისა და უცხო ენების გაკვეთილები, მოიხსნა აკრძალვები ოპერაზე, ბალეტსა და ცირკზე. ყურბანყული ბერდიმუჰამედოვის განკარგულებით გატარდა ცვლილებები ყოფილი პრეზიდენტის პიროვნების კულტის გავლენის წინააღმდეგ. თურქმენბაშის სახელი ამოღებულ იქნა ჰიმნისა და ფიცის დადების ტექსტებიდან და მათ მაგივრად გაჩნდა სიტყვა „პრეზიდენტი“. ბიბლიოთეკებიდან ამოღებულ იქნა თურქმენბაშის „რუჰნამეს“ და იგი ჩაანაცვლეს ყურბანყული ბერდიმუჰამედოვის წიგნებით. მოხსნეს ყოფილი პრეზიდენტის ძეგლები და „ნეიტრალიტეტის თაღის“ თავზე არსებული თურქმენბაშის მოოქროვილი ძეგლი. ამასთანავე, 2015 წელს დედაქალაქ აშხაბადში დაიდგა 21 მეტრი სიმაღლის მხედარის მონუმენტი „არკადაღ“ (მფარველი), რომელიც შესრულებულია ბრინჯაოსგან, 24-კარატიანი ოქროს ფილებით - იგი წარმოადგენს ყურბანყული ბერდიმუჰამედოვს ამხედრებულს „ახალთექინის” ჯიშის ცხენზე. პრეზიდენტი ბერდიმუჰამედოვი ატარებს „არკადაღ“ ტიტულს და 2019 წლის 26 სექტემბერს პარლამენტმა მას მიანიჭა „ხალხის საპატიო უხუცესი“- ს წოდება. ასევე ატარებს „მსოფლიო თურქმენთა ჰუმანიტარული ასოციაციის პრეზიდენტის“ ტიტულს.

ხელმძღვანელობს თურქმენეთის უშიშროების სახელმწიფო საბჭოს. აქვს არმიის გენერალის წოდება. ორჯერ (2011 და 2017 წელს) მიენიჭა „თურქმენისტანის გმირის“ წოდება. ყურბანყული ბერდიმუჰამედოვს დაწერილი აქვს 53 წიგნი, მრავალი სიმღერა (თვითონვე ასრულებს) და უკანასკნელი მისი დიდი ნაშრომი „თურქმენი ხალხის სულიერი სამყარო“ შედგება 12 თავისაგან და დევიზად გაჰყვება „თურქმენისტანი - ნეიტრალიტეტის სამშობლო“.

ამგვარად, თურქმენეთში ღრმად არის გამჯდარი ისტორიულ-ტრადიციული მენტალიტეტი, რომელსაც დროთა, რეჟიმთა და ქვეყნის ხელმძღვანელთა ცვლა, ვერაფერს აკლებს *(ვეჰც ვეჰაფეჰს იტყვი - „მუდმივი ნეიტჰაღიტეტის ქვეყანაა“).*

ტაჯიკეთი. ტაჯიკეთი ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ტერიტორიით ყველაზე მცირე და ერთადერთი არათურქულენოვანი სახელმწიფოა. თურქეთმა ტაჯიკეთის დამოუკიდებლობა სცნო 1991 წლის 16 დეკემბერს, ხოლო 1992 წლის 29 იანვარს დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები. თურქეთსა და ტაჯიკეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 2020 წლამდე განხორციელდა ტაჯიკეთის პრეზიდენტის ემომალი რაჰმონის ვიზიტები თურქეთში (1996, 1998, 1999, 2006, 2009, 2010, 2012 წ.წ.) და თურქეთის პრეზიდენტების ვიზიტები ტაჯიკეთში (1995 - სულეიმან დემირელი, 2001 - აჰმედ ნეჯდეთ სეზერი, 2009 - აბდულა გიული, 2019 - რეჯებ თაიფ ერდოღანი). რეგულარულად ხდება ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების პოლიტიკური კონსულტაციები. 2019 წლის 5 მარტს დუშანბეში ჩატარდა ამ კონსულტაციების მე-5 რაუნდი. თურქეთ-ტაჯიკეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტაჯიკურ-თურქული მთავრობათაშორისო კომისია ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში. გასული წლების განმავლობაში ანკარასა დ დუშანბეში აღნიშნული კომისიის ათი სხდომა გაიმართა *(ბოღო სხდომა 2019 წღის 5-6 აგვისტოს ანკაჰაში გაიმაჰთა).* დღეისათვის ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილია 65 მემორანდუმი და სხვა დოკუმენტაცია. 2018 წელს ქვეყნებს შორის ტვირთბრუნვის მოცულობამ 401,43 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ტაჯიკეთში აქტიურად მუშაობს და ორმხრივ ჰუმანიტარულ ურთიერთობებს კურირებს „თურქული თანამშრომლობისა და აღორძინების სააგენტო“ (TIKA), რომლის მეშვეობითაც ტაჯიკეთში მოქმედებს 6 თურქულ-ტაჯიკური ლიცეუმი, ერთი საერთაშორისო სკოლა. ორი ქვეყნის საერთო ისტორიულ და კულტურულ კავშირებზე მეტყველებს მე-13 საუკუნის ცნობილი სუფისტი პოეტის, მევლანა ჯალალედდინ რუმის *(სპაჰსუღად წეჰდა)* საიუბილეო დღეები, რომელიც 2012 წლის 16 დეკემბერს თურქეთის ქალაქ კონიაში *(ჯაღაღედდინ ჰუმის მშობღიუჰი ქაღაქი)* ჩატარდა და ტაჯიკეთის პრეზიდენტი ემომალი რაჰმონი დაესწრო. იგი კონიის მევლანას უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად მიიღეს და იქვე უნივერსიტეტის ტაჯიკეთიდან მოსწავლე სტუდენტებს გაესაუბრა. ტაჯიკეთის პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო კონიასა და დუშანბეს დაძმობილებულ ქალაქებად გამოცხადების ცერემონიალში. საგულისხმოა, რომ ტაჯიკეთის პრეზიდენტი 2012 წლიდან თურქეთს აღარ სწვევია. საქმე იმაში გახლავთ, რომ ემომალი რაჰმონს ტაჯიკეთის ოპოზიციური ძალები დიქტატორად, ავტორიტარული მმართველობის და პიროვნების კულტის გამტარებლად მოიხსენიებენ. ტაჯიკეთის ყველა ქალაქისა თუ ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ქუჩებსა და პარკებში, ხეხილის ბაღებსა თუ ვენახების კიდეებში, გამოფენილია პრეზიდენტის უზარმაზარი პორტრეტები და მისი გამონათქვამების ტექსტები. 2016 წლიდან კონსტიტუციაში შეიცვალა პრეზიდენტის არჩევნების რაოდენობის განმსაზღვრელი მუხლი. ქვეყანა მიიყვანა მძიმე სოციალ-ეკონომიკურ სიტუაციამდე, ხელს უწყობს უმუშევრობის, კორუფციისა და ნეპოტიზმის განვითარებას *(მისი ქაღიშვიღი ოზოდა, 2016 წღიდან პჰეზიდენტის კანცეღაჰიის ხეღმძღვანეღია. მანამდე საგაჰეო საქმეთა მინისტჩის პიჩველი მოადგიღე იყო. მისი ვაჟი ჩუსტამი კი, კანონის თანახმად მის მემკვიდჩეღ აჩის დამტკიცებული).*

სასტიკად იდევნება ოპოზიციური ძალები და ბევრი მათგანი ქვეყნიდან გარბის. ყველაზე მოტივირებული ოპოზიციური მოძრაობა არის „ჯგუფი 24“, რომელიც პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს, მისი ლიდერი უმარალი კუვატოვი 2014 წლიდან თურქეთს აფარებდა თავს და მიუხედავად ტაჯიკეთის მთავრობის მხრიდან მისი ექსტრადიციის მოთხოვნისა, თურქეთი თავს არიდებდა შესრულებას *(2015 წლის 5 მარტს კუვატოვი სტამბოლში მოკლეს მეუღლისა და მცირეწლოვანი შვილების თვალწინ).* შემჩნეულია, რომ ტაჯიკეთის პრეზიდენტი მოსკოვის გარდა, თავს არიდებს უცხოეთში ვიზიტებს.

თურქეთი ტაჯიკეთიდან ძირითადად პირველადი ალიუმინის, ნედლი ბამბის, ტყავის იმპორტს აწარმოებს. ხოლო ტაჯიკეთში თურქეთიდან სხვადასხვა სახეობის საკვების, ლითონის ნაკეთობის, ტანსაცმელის და ქიმიკატების ექსპორტს ეწევა. თურქი ბიზნესმენები ტაჯიკეთში ინვესტიციებს დებენ ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, მეტალურგიის სფეროში. ტაჯიკეთში მუშაობენ ათობით თურქული კომპანია სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, უალკოჰოლო სასმელების წარმოების, ქიმიური მრეწველობის, აგრეთვე შექმნეს ტაჯიკურ-თურქული საწარმო, “AKIA” ფირმის სამგზავრო ავტობუსების აწყობის გარანტიით.

თურქეთმა დღევანდლამდე ტაჯიკეთს ფინანსური მხარდაჭერა და უანგარო დახმარება აღმოუჩინა 90 მლნ აშშ. დოლარის ფარგლებში *(ექსიმბანკის კრედიტის, TIKA-ს და სხვა ორგანიზაციების დახმარების ჩათვლით).*

2019 წლის 14 ივნისს დუშანბეში გაიმართა „აზიაში ურთიერთქმედებისა და ნდობის ღონისძიებების კონფერენციის“ სამიტი, რომელშიც მონაწილეობდნენ აზიის სახელმწიფოთა ლიდერები. სამიტის ფარგლებში ტაჯიკეთის პრეზიდენტი შეხვდა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს და მათ შორის საუბარი გაიმართა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე. თურქეთის პრეზიდენტს ახლდნენ საგარეო საქმეთა და ხაზინისა და ფინანსთა მინისტრები.

2019 წლის 9 დეკემბერს სტამბოლში გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაცია „აზიის გული/სტამბოლის პროცესი“- ს მე-8 მინისტრთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთაშპორისო ორგანიზაციებმა და ორგანიზაცია „აზიის გული/სტამბოლის პროცესი“- ს მონაწილე ქვეყნებმა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ტაჯიკეთის რესპუბლიკის დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრის სიროჯიდინ მუჰრიდდინის მეთაურობით. გამართული დისკუსიის შედეგად კონფერენციამ მიიღო „სტამბოლის დეკლარაცია“, რომლის საფუძველზეც „აზიის გული/ სტამბოლის პროცესი“- ს ორგანიზაციის თანათავმჯდომარეობის უფლება 2020 წელს გადაეცა ტაჯიკეთის რესპუბლიკას. ტაჯიკეთის ინიციატივაა ერთხმად დაუჭირეს მხარი კონფერენციის მონაწილეებმა. 2020 წლის 1 აგვისტოს შედგა სატელეფონო საუბარი ტაჯიკეთის პრეზიდენტ ემომალი რაჰმონსა და თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანს შორის. საუბარში მხარეებმა განიხილეს კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის და ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენის საკითხები. პრეზიდენტებმა ორივე ქვეყნის ხალხს მიულოცეს ყურბან-ბაირამის დღესასწაული და ემომალი რაჰმონმა ხაზი გაუსვა, რომ ეს წმიდა დღესასწაული ქადაგებს ერთობის, ჰუმანიზმისა და ურთიერთნდობის იდეებს.

თურქეთს ცენტრალურ აზიაში, თავისი საგარეო-პოლიტიკური ვექტორი პირველ რიგში თურქულენოვან სახელმწიფოებზე ჰქონდა მიმართული და ისტორიულ-გეოპოლიტიკურ საფუძველს ეყრდნობოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ტაჯიკეთი პოლიტიკურ სფეროში „თიურქული სამყაროს“ ნაწილს არ წარმოადგენდა და საერთო კონსტრუქციიდან ამოვარდნილად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსი ტაჯიკეთის მიმართ, თავიდანვე ეკონომიკური დივიდენდების მოპოვებაზე იყო ორიენტირებული. ამასთანავე, ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა ლიდერები, ძირითადად საბჭოთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობიდან მოდიან და რუსეთის ფაქტორს მათი პოლიტიკური და

ეკონომიკური განვითარების ნიუანსებში, ჯერ კიდევ შესამჩნევი გავლენა გააჩნია. ჩინეთიც, თავისი „აბრეშუმის გზით“ („ერთი სარტყელი - ერთი გზა) და მძლავრი ეკონომიკური ბერკეტებით, თურქეთის „ისტორიულ-კულტურული“ გავლენის სფეროში იმდენად შეიჭრა, რომ თურქეთი თავისი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის „პოტენციით“ ვერ გაუწევს პაექრობას.

ამრიგად, ცენტრალური აზიის რეგიონში თურქეთის იმედები, ისტორიული ძმობისა და ერთიანი კულტურულ-რელიგიური ნათესაობის უპირატესობაზე დაყრდნობით, თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები განეხორციელებინა, რუსეთის ასწლოვანმა „მფარველობამ“ რეგიონზე და ჩინეთის სწრაფმა ეკონომიკურმა „ინტერვენციამ“, თურქეთს „თურქული სახელმწიფოების საბჭო“-ს სამიტები, საგანმანათებლო სისტემა და TIKA - ს ჰუმანიტარული ღონისძიებების სერიალები დაუტოვა.

უიღურები. უიღურები თურქული მოდგმისა და თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფია. უიღურების განსახლების ძირითადი ადგილი ჩინეთის სინძიან-უიღურის ავტონომიური რაიონია. მათი უმეტესობა ისლამის სუნიტურ მიმართულებას აღიარებს. უიღურთა რაოდენობა დღეისათვის ჩინეთში შეადგენს 12,5 მილიონს. სხვა ქვეყნებში მათი რაოდენობა ასეთია: ყაზახეთი -275 ათასი; უზბეკეთი - 75 ათასი; ყირგიზეთი - 61 ათასი; თურქეთი - 60 ათასი; საუდის არაბეთი - 50 ათასი; ავსტრალია - 5-10 ათასი; რუსეთი - 4 ათასი; აშშ - 1800; კანადა - 1500; თურქმენეთი - 1200; პაკისტანი - 1100 ოჯახი; იაპონია - 1000; გერმანია - 800.

სხვადასხვა წყაროების თანახმად, 2014-2017 წლებში “ისლამური სახელმწიფოს“ არმიის რიგებში იბრძოდა დაახლოებით 5 ათასი უიღურელი ჯიჰადისტი და მათი დიდი ნაწილი დღესაც შემორჩენილია სირიის ტერიტორიაზე მოქმედ „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ და „თურქისტანის ისლამური არმიის“ რიგებში, რომლებიც ოპოზიციურ „სირიის გათავისუფლების“ არმიასთან ერთად იბრძვიან ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ ბოლო ხანს, თურქეთის გეოპოლიტიკურ ინტერესთა სფეროში მოქცეული ცენტრალური აზიის თურქულენოვანი სახელმწიფოების მიმართ შექმნილ ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების ჯაჭვში, ჩინეთის უიღურებიც მოექცნენ. თურქეთის ხელისუფლება დიდ ინტერესს იჩენს უიღურთა მიმართ, ვინაიდან მათ ისტორიულ მფარველად მიაჩნია თავი. მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში მომხდარ ცვლილებებთან ერთად, თურქეთს გაუჩნდა კიდევ ერთი მიმართულება, სადაც შეეძლო მზრუნველობის ელემენტი გამოევლინა. კერძოდ, 1992 წელს სტამბოლში შეიქმნა პირველი უიღურული ორგანიზაცია, რომელმაც გააერთიანა უიღურთა თემების დიდი ნაწილი. ორგანიზაციას ეწოდა „აღმოსავლეთ თურქისტანის ეროვნული კონგრესი“. ექვსი წლის შემდეგ, 1998 წლის დეკემბერში იმავე სტამბოლში გაიმართა ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდა 40-ზე მეტი უიღური ლიდერი და დაახლოვებით 300 უიღურთა თემის წარმომადგენელი 18 ქვეყნიდან. ყრილობაზე ზემოხსენებულ ორგანიზაციას ეწოდა „აღმოსავლეთ თურქისტანის ეროვნული ცენტრი“. აღნიშნული ცენტრის შტაბ-ბინა სტამბოლში განთავსდა, მაგრამ ჩინეთის სერიოზული ზეწოლის შედეგად, ცენტრმა მიუნხენში გადაინაცვლა. 2004 წლის 16 აპრილს ორგანიზაციას ეწოდა - მსოფლიო უიღურთა კონგრესი. კონგრესის ძირითადი იდეოლოგია უიღურული ნაციონალიზმია. ისტორიულად უიღურული ნაციონალიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული პანთურქულ იდეოლოგიასთან და მიზნად აქვს დასახული მიაღწიოს სინძიან უიღურული ავტონომიური რაიონის ჭეშმარიტ ავტონომიას ჩინეთის ფარგლებში. ორგანიზაციას გახსნილი აქვს წარმომადგენლობები ავსტრალიაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, თურქეთში, ბელგიაში, კანადაში, ნიდერლანდებში, ყირგიზეთში, შვედეთში და სხვა ქვეყნებში.

ქვემოთ მოგვყავს უკანასკნელ წლებში მსოფლიო ინფორმაციულ წყაროებში ასახული მასალები უიღურ-თურქების მდგომარეობისა და თურქეთის ხელისუფლების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები, ეთნიკურად

თურქული მოდგმის ხალხის დახმარებისა და მათი ბედით დაინტერესების ნიუანსები.

(თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი - 21.07.2015)

9 ივლისს ანკარაში, თავის რეზიდენციაში გამართულ ვახშამზე (რამადანის თვე დამთავრდა და საზეიმო „იფთარი“ გაიმართა) ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩებს მიმართა „თურქეთი მხარს უჭერს თურქ-უიღურებს ჩინეთში“. ასევე დაამატა, რომ ივლისის ბოლოს დაგეგმილ თავის ვიზიტზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, იგი თავის ჩინელ კოლეგასთან აპირებს განიხილოს საკითხი მუსლიმი უიღური უმცირესობის მძიმე მდგომარეობის შესახებ სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონში (თურქი ისტორიკოსები და თვით თურქები, ჩინეთის ამ რეგიონს „აღმოსავლეთ თურქისტანს“ უწოდებენ).

უკანასკნელ ხანს თურქული პრესის ზოგიერთ გამოცემებში გავრცელებულ გადაუმოწმებელ ინფორმაციებში აღნიშნულია, რომ ჩინეთში უიღურებს აკრძალული აქვთ მარხვის შენახვა რამადანის წმინდა თვეში და თანაც, აიძულებენ მათ ალკოჰოლის მიღებას. აღნიშნულმა ინფორმაციამ თურქი ისლამისტებისა და ნაციონალისტების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც უიღურებს თვლიან თურქული წარმოშობის მოძმე ეთნოსად. ერდოღანის ვიზიტი ჩინეთში 2015 წლის 28 ივლისს იწყებოდა და მანამდე გავრცელდა ჩინეთის სააგენტოების ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს თურქეთი ხელს უწყობს უიღურების მონაწილეობას სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების მხარეს ბრძოლაში.

The Financial Times - ის ინფორმაციით, ჩინეთის ძალოვანმა სტრუქტურებმა ბრალი დასდეს თურქ დიპლომატებს, რომ ისინი უიღურებს „ყალბ პასპორტებს“ უფორმებენ, რომელთაც შემდეგ ისინი თითქოს „ყიდიან“ ჯიჰადისტურ ჯგუფებზე სირიაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის გაადვილების მიზნით. მართალია, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა თანჟუ ბილგიჩმა 16 ივლისს ამ განცხადებებს „სასაცილო“ უწოდა, მაგრამ ჩინეთსა და ევრაზიის სხვა ქვეყნებს საფრთხის გარკვეული საფუძვლები გააჩნიათ: ცენტრალური აზიისა და კავკასიის მუსლიმი მებრძოლები სირიელ ჯიჰადისტებს უერთდებიან, იყენებენ რა თურქეთის ტერიტორიას, როგორც სატრანზიტო ქვეყანას. ჩინეთის ხელისუფლება, ზოგიერთი უიღურის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევისას, თურქეთის როლს ეჭვის თვალით უყურებს, რაც თურქეთისა და ჩინეთის ურთიერთობებში უნდობლობის მიზეზს ქმნის.

P.S. *ერდოღანის ვიზიტის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (2015 წლის 28-29 ივლისი), პრეზიდენტების შეხვედრაზე ძირითადი საუბარი ჩინეთის მხრიდან მრავალმილიონიან საინვესტიციო პროექტებს ეხებოდა და ერდოღანის მხრიდან, უიღურების უფლებების თაობაზე, საკითხი არც წამოჭრილა.*

(13.08.2018) „გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მილიონამდე უიღური გასამართლებისა და გამოძიების გარეშე მოთავსებული არიან ე.წ. „გამოსასწორებელ ბანაკებში“. მართალია, ჩინეთის მთავრობა უარყოფს მსგავსი დაწესებულების არსებობას, მაგრამ უამრავი თვითმხილველი ამტკიცებს საპირისპიროს. ზემოხსენებული გაეროს კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარემ გაი მაკდუგალმა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ „ჩვენს ღრმა შეშფოთებას იწვევს მრავალრიცხოვანი სანდო წერილები, რომლებშიც აღწერილია, რომ რელიგიურ ექსტრემიზმთან ბრძოლისა და სოციალური სტაბილურობის დაცვის საბაბით, ჩინეთმა სინძიან-უიღურის ავტონომიური რაიონი, სამხედრო ტყვეთა უზარმაზარი ბანაკის მსგავს ტერიტორიად“ გადააქცია. მისი სიტყვები დაადასტურა ამავე კომიტეტის წევრმა იემელე მინტ მოჰამედმა, რომელმაც განცხადა, რომ „უკანონოდ იქნა დაკავებული მილიონამდე ადამიანი“. ამას წინ უსწრებდა გაეროს საინფორმაციო ცნობა, რომელშიც მოხსენიებულია „მსოფლიო უიღურთა კონგრესის“ განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „2018 წლის აგვისტოს მონაცემებით, „გამოსასწორებელ ბანაკებში“ იმყოფება

3 მილიონამდე ადამიანი, რომელთაც „ინდოკტრინაცია უტარდებათ“ და „არ აქვთ ადვოკატებთან, ან ნათესავებთან კონტაქტის“ საშუალება“.

(ანკარა. თევფიკ დურულ - 26.12.2019) წარმავალი წლის მსოფლიოს დღის წესრიგის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად რჩება, ჩინეთის სინძიან-უიღურის ავტონომიური რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ განსაკუთრებულ „გამოსასწორებელ ბანაკებში“ განთავსებული თურქი-უიღურების მდგომარეობა. მიმდინარე წელი აღინიშნებოდა ჩინეთის ხელისუფლების მიერ არა მარტო ისტორიული მეჩეთების ნგრევა, არამედ მუსლიმანთა ასიმილაცია და რელიგიური წიგნების უარყოფა კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისად. გაეროს მონაცემებით, სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონში, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ბანაკებში განთავსებულია არანაკლებ მილიონი თურქი-უიღური. ჩინეთის ხელისუფლება ამ ბანაკებს „პროფესიული გადამზადების ცენტრებს“ უწოდებს, მაგრამ მსოფლიო საზოგადოება მათ იცნობს, როგორც „გამოსასწორებელ ბანაკებს“. ჩინეთი ამტკიცებს, რომ ამ ბანაკებში მუსლიმებს ჩინურ ენასა და კულტურას ასწავლიან, აგრეთვე პროფესიული მომზადების კურსებს უტარებენ.

<u>თურქეთის რეაქცია</u> - თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ შეშფოთება გამოთქვა ჩინეთის ხელისუფლების მიმართ, სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონში მცხოვრები ეთნიკური უიღურებისა და სხვა მუსლიმური უმცირესობების უფლებების შელახვის გამო. ადამიანის უფლებების დაცვის გაეროს საბჭოს ჟენევის მე-40 სესიაზე გამოსვლისას, ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ „გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნული თურქი-უიღურებისა და სხვა მუსლიმური ჯგუფების უფლებათა დარღვევის ფაქტები, დიდ აღშფოთებას იწვევს“.

<u>მსოფლიო საზოგადოების რეაქცია</u> - 11 ივლისს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 22 წევრმა-სახელმწიფომ ხელი მოაწერეს ერთობლივ წერილს, რომელშიც გაკრიტიკებულია ჩინეთის დამოკიდებულება სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონში მცხოვრები უიღური თურქებისა და სხვა ეთნიკური უმცირესობის მიმართ. 2019 წლის სექტემბერში კი, Human Rights Watch, Amnesty International, The International Commission of Jurists და ასევე, მსოფლიო უიღურთა კონგრესმა, გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიო გუტერიშს ერთობლივი მიმართვა გაუგზავნეს თხოვნით, რათა მან დაგმოს ჩინეთის ხელისუფლების ქმედება, სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონში ეთნიკური უიღურებისთვის ე.წ. გამოსასწორებელი ბანაკების გახსნის გამო. გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არაერთხელ მოუწოდებდნენ ჩინეთს, რომ გახსნან აღნიშნული ბანაკები მონიტორინგისათვის. თავის მხრივ ჩინეთი აქტიურ პროპაგანდას ეწევა, რათა ეჭვქვეშ დააყენოს და უარყოს უიღურების თურქული წარმომავლობის ფაქტი.

(29.07.2020) The Daily Telegraph (პოპულარული ინგლისური გაზეთი, ზოგჯერ უბრალოდ Telegraph) იუწყება, რომ თურქეთის არამყარი ეკონომიკა და ევროპასთან გაუარესებული ურთიერთობები ხელს უწყობენ ჩინეთისა და თურქეთის დაახლოვებას, რომელიც უფრო ზრდის ჩინეთის კორპორაციების მიერ თურქეთში მილიარდობით დოლარის განხორციელებული ინვესტიციების როლს, რაც თავის მხრივ თურქეთს დამოკიდებულს ხდის ჩინეთზე. როგორც თურქეთში მცხოვრები უიღური აქტივისტი ისმაილ ჯენგიზი Telegraph - ს აცნობებს, „პეკინის ინვესტიციები ძვირად უჯდებათ უიღურებს. იმდენად დიდი ფულია ჩადებული, რომ ჩვენმა ბედმა უკანა პლანზე გადაიწია“. საქმე იმაშია, რომ თურქეთში 60 ათასამდე უიღური ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობაც ჩინურ „ბანაკებში“ მოხვედრის საშიშროებას გამოექცა თურქეთში და ახლა ისინი შიშობენ, რომ ჩინეთის მოთხოვნით, თურქეთმა მათი უკან ექსტრადიცია არ მოახდინოს. The Telegraph - ის განცხადებით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც თურქეთს შეფარებული უიღურები, ისეთ ქვეყნებში გაუშვიათ, საიდანაც ჩინეთს არ გაუჭირდებოდა მათი ექსტრადირება.

(Milli gazete. 11.10.2020) „მომავლის პარტიის“ გენერალურმა თავმჯდომარემ აჰმედ დავუთოღლუმ, თავისი პარტიის კონგრესზე მერსინში, მწვავე განცხადებები გააჟღერა. დავუთოღლუმ გააკრიტიკა თურქეთის პრეზიდენტი და მმართველი პარტიის თავმჯდომარე რეჯებ თაიფ ერდოღანი, ასევე ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის გენერალური თავმჯდომარე დევლეთ ბაჰჩელი (ეროვნულ მეჯლისში მათ ერთიანი ფრაქცია აქვთ შექმნილი), რომელთაც მიმართა: „რამდენად გაყიდეთ აღმოსავლეთ თურქისტანი? უიღურების სიცოცხლეს რა ფასი აქვს თქვენ დავთრებში? გამოდით, თუ სახე შეგრჩათ თავი იმართლეთ.“ აჰმედ დავუთოღლუმ ასევე შეახსენა მათ, „აღმოსავლეთ თურქისტანში მცხოვრები ჩვენი მოძმეების მძიმე მდგომარეობის შესახებ, მსოფლიოს ქვეყნებმა ჩინეთს საპროტესტო წერილი გაუგზავნეს, რომელსაც გაეროს 39 სახელმწიფოს წარმომადგენელი აწერს ხელს, მაგრამ თურქეთის ხელმოწერა არ არსებობს. თქვენ ამით ყველაზე დიდი სირცხვილი ჩაიდინეთ და ისტორიაში, ასე სამარცხვინოდ შეხვალთ, რომლებიც ეკონომიკური გამორჩენის გამო ხართ გაჩუმებული ჩინეთის მიმართ? სად არის ტანჯულთა მფარველის - ერდოღანის ხმა, ან ბაჰჩელის საზღვარგარეთ მცხოვრებ თურქებზე მზრუნველობა? რამდენად გაყიდეთ აღმოსავლეთ თურქისტანი?“.

ლ ე ქ ც ი ა 9

(თურქეთ-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობა და მათი ურთიერთობების გეოპოლიტიკური ასპექტები: ახლო აღმოსავლეთი, კავკასია)

2016-2021 წლების მონაკვეთში მსოფლიოში განვითარებული გლობალური კონიუნქტურით შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთს დიდი სურვილი გაუჩნდა აქტიურად ჩაერთოს მსოფლიოს ახალი სისტემის შექმნაში. მეორეს მხრივ, ამავე პერიოდში თურქეთის ხელისუფლება *(პირველ ხიგში პრეზიდენტი ერდოღანი)* აკრიტიკებს მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორებისა და ინსტიტუტების მოქმედებებს, რაც ასევე ადასტურებს თურქეთის სურვილს, დაიკავოს თავისი ადგილი ტრანსფორმაციის ჩამოყალიბების პროცესში მყოფ გეოპოლიტიკური ბალანსის სისტემაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა სწრაფად სცნო პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, მაგრამ რუსეთის ფედერაციასთანაც გამოიჩინა ინიციატივა ორმხრივი ურთიერთობების სწრაფი დამყარების სურვილით. 1992 წლის მაისში თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი ეწვია მოსკოვს და რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან ერთად 25 მაისს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „რუსეთის ფედერაციასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობების ძირითადი პრინციპების შესახებ“, რომელიც დღემდე ითვლება ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების საბაზო დეკლარაციად *(ხუსეთის პრეზიდენტის საპასუხო ვიზიტი სტამბოღში გაიმართა 1993 წლის ივნისში)*. იმავე 1992 წელს შეიქმნა რუსეთ-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი შერეული კომისია. საგულისხმოა, რომ 1992 წლიდანვე რუსეთსა და თურქეთს შორის მიღწეულ იქნა სამხედრო-ტექნიკური შეთანხმება, რომლის თანახმადაც თურქეთმა *(პირველმა ნატო-ს აღიანსის ქვეყნებიდან)* რუსეთისგან შეიძინა 110 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი, სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები მი-8 და მი-17, საბრძოლო მანქანები, ღამის დაზვერვის ხელსაწყოები და სხვა ტექნიკა, მთლიანად 110 მლნ აშშ დოლარის ღირებულების. 1994 წლის აპრილში რუსეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს მთავრობათაშორისო შეთანხმებას სამხედრო-ტექნიკურსა და სამხედრო-სამრეწველო დარგში თანამშრომლობის შესახებ. 1996-1997 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის ხელი მოეწერა ენერგეტიკის დარგში და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის შეთანხმებას.

მიუხედავად სამხედრო-ტექნიკურ სფეროში დიალოგის წარმოშობისა, 1990-იან წლებში სომხეთ-აზერბაიჯანის „ყარაბაღის კონფლიქტისა“ და ჩეჩნეთის ომის გამო, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები საკმაოდ დაძაბულად ვითარდებოდა. 1992 წელს სომხეთის ნახჭევანში შეჭრას *(უშუალოდ თურქეთის საზღვართან)* თურქეთის მხრიდან მეტად აგრესიული განცხადებები მოჰყვა: ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიქმეთ ჩეთინმა სომხები გააფრთხილა, რომ შეეწყვიტათ ესკალაცია საზღვრების სიახლოვეს; ხოლო პრეზიდენტი თურგუთ ოზალი, ნახჭევანში თურქული სამხედრო ნაწილების გაგზავნით დაიმუქრა. ამის საპასუხოდ, დსთ-ის გაერთიანებული სამხედრო ძალების მეთაური შაპოშნიკოვი, თურქებს „მესამე მსოფლიო ომის დაწყებას“ შეჰპირდა.

1994 წელს „ჩეჩნეთის ომის“ დაწყებისთანავე, რუსეთის ჯარების მიერ ბარბაროსული დაბომბვებისა და უამრავი მშვიდობიანი მოქალაქეების განადგურების საპასუხოდ, თურქეთის მრავალ ქალაქში მიმდინარეობდა კავკასიური წარმოშობის ადგილობრივ მოქალაქეთა საპროტესტო აქციები რუსული აგრესიის წინააღმდეგ. თურქეთის მთავრობა პროტესტებს ვერ აკონტროლებდა და თანაუგრძნობდა კიდეც, რაც რუსეთის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. 1999 წელს „ჩეჩნეთის მეორე ომის“ მსვლელობის

დროს, როდესაც 1999 წლის 4-6 ნოემბერს მოსკოვში თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბიულენთ ეჯევითი ვიზიტით იმყოფებოდა, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა არ ისურვა მასთან შეხვედრა *(ახის მოსაზრება, რომ „ჩეჩნეთის ომის“ მიმართ თურქეთის პოზიციის გამო)*, რაც ორმხრივ ურთიერთობებში სერიოზული პრობლემების მაჩვენებელია. ამავე დროს, ცენტრალური აზიისა და რუსეთის ვოლგისპირა რეგიონებში თიურქული ეთნიკური ჯგუფების ხალხი ცხოვრობს, რომლებთანაც თურქეთი ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა, რაც რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას არ მოსწონდა. ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, რუსეთის ლიდერთა საგარეოპოლიტიკური აზროვნება არ შეცვლილა. მათივე ვარაუდით, თურქეთთან ურთიერთობების პოზიტიური ცვლილებები, მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ლიდერთა თაობათა ცვლის შედეგად მოხდა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტებს მოჰყვა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ გამოცხადება, რამაც ერთის მხრივ, თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა როგორც რეგიონული ძალისა, დიდად გაზარდა. მეორეს მხრივ კი, ახლებურად წარმოჩინდა თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები, რომელთაც ერთობლივად შეეძლოდ ცენტრალური აზიისა და მისი მიმდებარე ავღანეთის სტრატეგიული სივრცის გაკონტროლება. სწორედ ამ პერიოდში, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისმაილ ჯემმა წამოაყენა სტრატეგიული სამკუთხედის „მოსკოვი-ანკარა-ცენტრალური აზია“, რომელსაც შეეძლო ემოქმედა რეგიონული პლატფორმის როლში რეგიონული პრობლემების მოგვარების მიზნით. ისმაილ ჯემის აღნიშნული წინადადება შემდგომში გაჟღერდა მის „მოქმედების გეგმაში“ ევრაზიის რეგიონში. 2001 წლის 16 ნოემბერს ნიუ-იორკში, თურქეთისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ისმაილ ჯემმა და იგორ ივანოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ორმხრივი თანამშრომლობიდან - მრავალასპექტიან პარტნიორულ ურთიერთობამდე“. არსებითად, ეს დოკუმენტი სხვა არა არის რა, თუ არა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თურქეთისა და რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მოქმედებების კოორდინაციას კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ანუ ევრაზიის ვრცელ ტერიტორიაზე. თურქეთში ევრაზიის კონცეფცია ძალზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პოლიტიკურ დისკუსიებში და მიჩნეულია, როგორც ერთ-ერთი ძირითადი კონცეფცია, რომელიც ასახავს ქვეყნის გეოპოლიტიკურ სტრატეგიას, მის საერთაშორისო მდგომარეობას და ეროვნულ უსაფრთხოებას. თურქეთში ევრაზიას სპეციფიკური განმარტებაც გააჩნია, როგორც რეგიონთა ჯგუფი სადაც ცხოვრობენ თიურქული ეთნოსის წარმომადგენლები: თურქეთი, ბალკანეთი, კავკასიის ნაწილი, ცენტრალური აზიის სახელმწიფოები, რუსეთის ვოლგისპირეთი, ჩრდილოეთ ავღანეთი და ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთი. რეგიონის აღნიშნული განსაზღვრება, თავისთავად თურქეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. ზემოხსენებული „მოქმედების გეგმის“ თანახმად შეიქმნა ახალი მექანიზმი კონსულტაციებისთვის - მაღალი დონის გაერთიანებული სამუშაო ჯგუფი, რომელშიც საგარეო საქმეთა მინისტრებიც შედიან.

2003 წლის ერაყის „სამშვიდობო ოპერაციის“ შედეგად, რომელშიც თურქეთის მეჯლისის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, უარი ეთქვათ აშშ-ის სამხედრო ნაწილების განლაგებაზე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, საკმაოდ დაძაბა თურქეთის ურთიერთობები აშშ-თან და თანაც, ამას მალე მოჰყვა ევროკავშირის მხრიდან თურქეთის იმედების გაწბილების „სერიალი“.

შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, თურქეთის ახალი ხელისუფლება და რუსეთის მთავრობა ევრაზიის რეგიონში გააქტიურების აუცილებლობის გათვალისწინებით, გეოსტრატეგიული მოტივაციების შეჯერების დონემდე მივიდნენ, რაც ნათლად გამოვლინდა რუსეთის პრეზიდენტის პუტინის 2004 წლის 5-6 დეკემბრის თურქეთში ვიზიტის დღეებში *(ეს იყო მისი პირველი ვიზიტი თურქეთში).* პუტინის მოლაპარაკებები პრეზიდენტ

აჰმედ ნეჯდეთ სეზერთან და პრემიერ-მინისტრ რეჯებ ერდოღანთან დასრულდა მეგობრობის გაღრმავებისა და მრავალმხრივი პარტნიორობის ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაციის ხელმოწერით. ასევე, ხელი მოეწერა რუსულ „გაზპრომსა“ და თურქულ ნავთობგაზის კორპორაციის „ბოტაშს“ შორის მემორანდუმს თანამშრომლობის განვითარების შესახებ. უკვე 2005 წლის 17 ნოემბერს პუტინი მონაწილეობდა გაზსადენის „ცისფერი ნაკადის“ გახსნის ცერემონიალზე თურქეთის შავიზღვისპირა ქალაქ სამსუნში *(გაზსადენის მშენებლობა 2003 წელს დაიწყო).* შემდგომ წლებში ორ ქვეყანას შორის გააქტიურდა პოლიტიკური კონტაქტები და საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის დაიწყო რეგულარული კონსულტაციები ორმხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებზე, მაგრამ ძირითადი აქცენტი აღებული იყო ენერგეტიკული სადენებისა და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების გააქტიურებისკენ. „ცისფერი ნაკადის“ მთლიანი დატვირთვით ამოქმედება ვერ მოხერხდა ადრესატი ქვეყნების სიმცირის გამო, 2006 წელს პროექტით გათვალისწინებულ 16 მლრდ კუბ. მეტრი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ნაცვლად, ნახევარიც კი არ გატარებულა. ამიტომ რუსეთი ცდილობდა ქვეყნების რიცხვი გაეზარდა, რომლებიც რუსულ გაზზე იქნებოდნენ მიბმული: ისრაელი, საბერძნეთი, იტალია...

ამავე, 2006 წელს ამუშავდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი, რომლებმაც რუსეთის გაანჩხლება გამოიწვიეს და დაურღვიეს ენერგეტიკულ სფეროში ბატონობის განცხრომით ცხოვრება. საქართველოს ტერიტორიით გამავალმა ენერგეტიკულმა მილსადენებმა შეამცირეს რუსეთის ზეწოლა რეგიონზე და დასავლეთის მიმართულებითაც, ვინაიდან ორივე მნიშვნელოვანი ენერგოობიექტი რუსეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად მოქმედებს.

2008 წლიდან რუსეთმა, თურქეთთან სამხედრო სფეროში ფართო თანამშრომლობის ფარგლებში ახალი ტექნოლოგიებისა და თურქეთის სამხედრო ძალებისათვის სარაკეტო სისტემების მიწოდება დაგეგმა. 2008 წლის ივნისში რუსეთის ფლოტის ადმირალის ვ. ვისოცკის თურქეთში ვიზიტის დროს, მხარეები შეთანხმდნენ შავი ზღვის აკვატორიაში რუსი და თურქი მეზღვაურების ერთობლივი მოქმედებების კოორდინაციით, რეგიონში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემების გაზრდას შეუწყობენ ხელს. ამრიგად, რუსეთსა და თურქეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობით გამოვლენილი ძალისხმევა, მათი რეგიონული გეოპოლიტიკური ინტერესებიდან და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ერთმანეთის პოზიციების დაახლოვების შესაძლებლობაზე მიუთითებს. ზემოთქმულის მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის აგრესიის შედეგად, მის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და ათასობით ქართველი მოქალაქის საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან აყრისა და გაძევების ფაქტი. ასევე, რუსეთის საჰაერო და სახმელეთო ძალების მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ობიექტების და მშვიდობიან მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების განადგურების უამრავი შემთხვევა. ამ სიტუაციაში, საქართველოს მეგობარი ქვეყნის, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების საშუალებით ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი, ბოსფორის სრუტის გავლით საქართველოსთვის უნდა მიეწოდებინათ. თურქეთის მხარემ, ნატო-ს მოკავშირე თავის სტრატეგიულ პარტნიორს უარი განუცხადა ტვირთის გატარებაზე, თითქოსდა სამხედრო გემის წყალწყვის შეუსაბამობაზე მონტრიოს კონვენციის პირობების თანახმად. ყველაფერი გადაწყვიტა პირადად ერდოღანის განკარგულებამ, რომლის უკანაც იდგა პუტინის თხოვნა - შესაძლებლობის ფარგლებში დაეყოვნებინათ ამერიკული დახმარება საქართველოსთვის. ცნობილია, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა რადიკალურად შეცვალა კავკასიის ადრინდელი პოლიტიკური კონსტრუქცია, რომელშიც თურქეთს, როგორც ნატო-ს წევრ ქვეყანას და აშშ-ის მოკავშირეს, დასავლეთის პოლიტიკური მტკიცე პოზიცია უნდა გაეზიარებინა და დაეგმო

რუსეთის აგრესია. სამწუხაროდ, 2008 წლის „ხუთდღიანმა ომმა“ ნათლად გვიჩვენა, რომ მსხვილი საერთაშორისო „მოთამაშეებისთვის“ მთავარი სამართალი კი არა, თავისი ინტერესების დაცვა და გატარებაა, ისე როგორც თვითონ აწყობთ.

ადრეც შევეხეთ და ახლაც ვიმეორებ, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი უკვე მოსკოვში იყო და თავის კოლეგა პუტინს „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმა“ წარუდგინა, რომლის თანახმადაც, კავკასიაში კონფლიქტებისა და დაპირისპირების მოგვარების გარანტიორები რეგიონის მთავარი მოთამაშეები, რუსეთი და თურქეთი იქნებიან. მეტად საგულისხმოა, რომ 2008 წლის ივლისში *(ომის დაწყებამდე)* რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგი ლავროვი ოფიციალური და სამუშაო ვიზიტით თურქეთს ეწვია და იმავე წლის სექტემბერში *(ომის შემდეგ)* ახალი სამუშაო, საქმიანი ვიზიტით კვლავ ანკარაში ჩავიდა და შეხვდა თავის კოლეგა ალი ბაბაჯანს *(თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღი ბაბაჯანმა ომის დაწყების მეორე დღეს, 9 აგვისტოს ღამით ღავროვს დაუოეკა და შეუქო ოუსეთის �მიის მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე).*

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ახლებურად დააყენა თურქეთ-რუსეთის კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ხედვა, მათი მიდგომები რეგიონში მიმდინარე პროცესების მიმართ, ენერგომატარებლების დარეგულირება, კონფლიქტების მოგვარების საკითხები ან და მათი ესკალაციის ნიუანსები *(ომდეებიც მომავაღში გამოჩნდება).*

2009 წლის 12-15 თებერვალს თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით მოსკოვს ეწვია, სადაც ხელი მიეწერა ერთობლივ დეკლარაციას „რუსეთის ფედერაციასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობების ახალი ეტაპისკენ გადასვლას „მეგობრობის და მრავალგანზომილებიანი პარტნიორობის შემდგომი გაღრმავებისაკენ“. აღნიშნულ დოკუმენტში ფიქსირდებოდა, რომ „რუსეთსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა არა მარტო ორი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, არამედ ასევე შეაქვს წვლილი მშვიდობის, უსაფრთხოების, სტაბილურობის და განვითარების განმტკიცებაში ევრაზიის რეგიონში. მეტად მნიშვნელოვანი იყო, მხარეების შეხედულებების თანხვედრა მონტრიოს კონვენციის პირობების შენარჩუნების საკითხში.

2009 წლის 6-7 აგვისტოს თურქეთში ოფიციალური ვიზიტი ჰქონდა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვ. პუტინს, რომელიც შეხვდა თავის კოლეგა რეჯებ ერდოღანს და პრეზიდენტ აბდულა გიულს. შეხვედრებზე დაიგეგმა „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის გაყვანა შავი ზღვის ფსკერზე და სავარაუდოდ, თურქეთში რუსეთის მიერ „ატომური ელექტროსადგურის“ (აეს) აშენება.

ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა რუსეთის პრეზიდენტის დ. მედვედევის 2010 წლის 11-12 მაისის ვიზიტს თურქეთში. ვიზიტის დღეებში ხელი მოეწერა 20-მდე საკმაოდ ფართო სპექტრის მნიშვნელოვან შეთანხმებას, რომელსაც თურქულმა პრესამ თავის ფურცლებზე ძალიან მრავალფეროვანი სათაურები მიუძღვნა. კერძოდ: „რუსეთთან ისტორიული გარღვევა“ (გაზეთი „ზამან“); „გრანდიოზული შეთანხმება“ (გაზეთი „ჰურიეთი“); „თურქეთი და რუსეთი სიტყვით კი არა, საქმით არიან სტრატეგიული პარტნიორები“ (გაზეთი „ჰაბერ თურქ“); „მეგობრობა საზღვრებს გარეშე“ (გაზეთი „საბაჰ“). ყველაზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია შეთანხმებამ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მერსინთან ახლოს, რომელიც 20 მლრდ აშშ დოლარი დაჯდება და კომპანია რომელიც ააგებს პირველ თურქულ აეს-ს და 100%-ით დააფინანსებს, რუსულ მხარეს ეკუთვნის. ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყვა სავიზო რეჟიმის გაუქმების შეთანხმების დადებას, რომელსაც თურქეთსა და რუსეთს შორის ახალი ეტაპის დაწყებასა და ორმხრივ ურთიერთობებში სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე გასვლას უწოდებენ. თურქეთ-რუსეთის დაახლოვების კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი დაერქვა 2010 წელს შექმნილ „მაღალი დონის

თანამშრომლობის საბჭოს“, რომლის ფარგლებშიც დაარსდა სტრატეგიული დაგეგმარების ერთობლივი ჯგუფი „საერთაშორისო საქმეებში რუსულ-თურქული ურთიერთქმედების ძირითადი საკითხების განხილვის მიზნით“. აღნიშნული ჯგუფის მუშაობა საგარეო საქმეთა სამინისტროების დაქვემდებარების ჩარჩოებში ჩატარდება რეგულარულად და მასში დელეგირებულ თანამშრომელთა ჯგუფებს, შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უხელმძღვანელებს.

რუსეთისა და თურქეთის საზოგადოებრივ წრეებში დიდი ყურადღება ექცეოდა ისტორიის საკითხებსა და მათი თანამედროვე შეფასების მნიშვნელობას. ორივე მხარე აქტიურად ცდილობდა მეცნიერთა ჩართვას აღნიშნული საკითხების შესწავლისა და მათი პრაქტიკული ღირებულებების განსაზღვრის საქმეში. ამ მიმართულებით, საგარეო საქმეთა სამინისტროების ძალისხმევით და ზემოხსენებული „მაღალი დონის თანამშრომლობის საბჭოს“ ინიციატივით გაიმართა პირველი ორმხრივი შეხვედრა „საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი“- ს ეგიდით, რომელიც ჩატარდა 2010 წლის 28-29 სექტემბერს სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ რუსეთის საელჩო თურქეთში და თურქეთის გენერალური საკონსულო ს-პეტერბურგში. სემინარის ძირითადი თემა იყო „რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ათათურქიდან დღევანდლამდე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა და თურქეთიდან მოწვეულმა მეცნიერებმა.

საინტერესო გამოდგა მომდევნო შეხვედრა, რომელიც 2011 წლის 24-25 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ „მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში“ (მგიმო) ჩატარდა და იგი, როგორც საერთაშორისო კონფერენცია „რუსეთი - თურქეთი: ერთად XXI საუკუნეში“ გაიმართა. საინტერესოა სამი პლენარული სხდომის თემატიკაც: 1. „მოსკოვი-ანკარა: ახალი საგარეო პოლიტიკა, ახალი დიპლომატია“; 2. „ენერგეტიკული თანამშრომლობა, როგორც რუსეთისა და თურქეთის სტრატეგიული პარტნიორობის ღერძი XXI საუკუნეში“; 3. ევრაზიული დიალოგი: რუსეთი-თურქეთი-ისტორიულ-კულტურული გამოცდილება მომავალში ურთიერთობებისა და პერსპექტივების თვალსაზრისით“.

2011 წლის 23 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა მორიგი შეხვედრა „თანამშრომლობის საბჭოს“ ეგიდით და მასზე განხილულ იქნა მახლობელი აღმოსავლეთის საკითხები, კერძოდ კი „არაბული გაზაფხულის“ გავლენის სფეროები და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა.

2012 წლის იანვარში მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე უკვე საგარეო საქმეთა მინისტრები მონაწილეობდნენ, რომელზეც საბოლოოდ განიხილეს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის საკითხი.

რუსეთსა და თურქეთს შორის ასეთი დაახლოვების, ხშირი შეხვედრების დროს თანამშრომლობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბრების ფონზე, 2012 წლის 10 ოქტომბერს ხდება მოულოდნელი ინციდენტი, როდესაც თურქეთის საჰაერო ძალებმა აიძულეს მოსკოვიდან მომავალი სირიის კუთვნილი თვითმფრინავი დაესვათ ანკარის აეროპორტში. თვითმფრინავის 35 მგზავრიდან 17 (ბავშვების ჩათვლით) რუსეთის მოქალაქე იყო. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ერდოღანის განცხადებით, თვითმფრინავს გადაჰქონდა სამხედრო ტვირთი და ანკარაში სირიის თვითმფრინავის გაჩხრეკვისას მასში აღმოჩნდა რადიოლოკაციური სისტემის კომპონენტები. ამის საპასუხოდ, რუსეთის მხარემ აღნიშნა, რომ საქმე ეხება ელექტროტექნიკურ მოწყობილობას, რომლის ტრანსპორტირებაც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო კონვენციებს სამოქალაქო ავიაციის სფეროში.

აქ საინტერესო ის არის, რომ დეკემბერში ანკარაში დაგეგმილი იყო რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ოფიციალური ვიზიტი და პარალელურად „უმაღლესი დონის რუსულ-თურქული თანამშრომლობის საბჭოს“ *(ხომეღიც შეიქმნა 2010 წელს)* მესამე შეხვედრა. რატომ დასჭირდა თურქეთის მხარეს,

რომელიც რუსეთთან „სტრატეგიულ პარტნიორობას“ ხშირად დეკლარირებს და თანაც, მომავალ შეხვედრაზე მხარეებს ძალზე მნიშვნელოვან დოკუმენტებზე უნდა მოეწერათ ხელი.

2012 წელს სირიაში, უკვე მთელი ძალით მიმდინარეობდა 2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ გავლენით დაწყებული სამოქალაქო ომი, რომელშიც რუსეთი ჯერჯერობით უშუალოდ ჩაბმული არ იყო, მაგრამ ძალიან უფრთხილდებოდა ხმელთაშუა ზღვის სირიის პორტ ტარტუსში არსებულ რუსულ სამხედრო-საზღვაო ბაზას *(ყოფილი საბჭოთა ბაზა გახსნილია 1971 წლიდან)* და ყოველნაირად აძლიერებდა მას ახალი სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობით. ახლაც, სირიის თვითმფრინავში აღმოჩენილი სამხედრო დანიშნულების ტვირთი, სწორედ ტარტუსის საზღვაო ბაზისთვის იყო განკუთვნილი, ვინაიდან რუსეთი ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების მომხრე და საჭიროების შემთხვევაში მისი ერთგული დამცველიც იქნებოდა.

საქმე იმაში გახლდათ, რომ სირიის სამოქალაქო ომში თურქეთმა თავიდანვე სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ მებრძოლი შეიარაღებული ოპოზიციის მხარე დაიჭირა, იმდენად რომ 2011 წლის 23 აგვისტოს თურქეთის მთავრობის მატერიალური მხარდაჭერით, სტამბოლში გაიხსნა აღნიშნული ოპოზიციური შეიარაღებული ძალების სამხედრო შტაბი. თურქეთს სირიაში თავისი „ისტორიული ინტერესები“ *(ტეიტოხიული, ქუთების საკითხი, ნავთობი)* ჰქონდა და ბაშარ ასადის დამხობას ყველანაირად შეუწყობდა ხელს. როგორც ხედავთ, ბოლო ხანს „სტრატეგიულად შეხმატკბილებული“ რუსეთი და თურქეთი, ე.წ. „სირიის სამოქალაქო ომის“ სხვადასხვა ფრონტზე აღმოჩნდნენ *(სავარაუდოა, რომ 10 ოქტომბრის თვითმფრინავის ინციდენტიც ამ დაპირისპირებამ გამოიწვია).* სირიაში და საერთოდ რეგიონში, რუსეთსა და თურქეთს ძალზე რადიკალურად განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ე.წ. „ქურთების საკითხის“ მიმართ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი ეხმარებოდა და აიარაღებდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედ „ქურთთა მუშათა პარტიის“ (PKK) შეიარაღებულ ბრძოლას თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ *(თუქეთის მთავრობას „ქუთთა მუშათა პარტია“ ოფიციალურად ტეროორისტულ ორგანიზაციად აქვთ გამოცხადებული, რასაც მხარს უჭერს და ტეროორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული ასევე, გერმანიაში, აშშ - ში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში. ხოლო მისი მოქმედება აკრძალულია ასევე ზელანდიაში, ფილიპინებზე, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, მოლდოვაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთში).* ახლა კი, სირიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთები და მათი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ორგანიზაცია „დემოკრატიული კავშირის *ფრონტი“(ქუთთა მუშათა პარტიის იდეოლოგიური მოკავშირე და თანამოაზრე),* ზედ თურქეთის საზღვარზე საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ და ბაშარ ასადს მათი გამოყენება ჰქონდა ჩაფიქრებული თურქეთის შემოტევების აღსაკვეცად. რუსეთი, ქურთებს ისედაც უწევდა დახმარებას და ახლა ბაშარ ასადის მომხრე ქურთებთან საკმაოდ მეგობრულ დამოკიდებულებას ავლენდა. სირიაში განვითარებული მეტად კრიზისული მდგომარეობისა და გამძაფრებული საომარი მდგომარეობის სიტუაციაში, რუსეთისა და თურქეთის, სხვადასხვა მხარეს „ჩართვის“ შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ახლა კი, დროებით უკან დავბრუნდეთ.

2012 წლის 3 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი, ვიზიტით თურქეთს ეწვია და მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის „უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭოს“ მესამე სხდომაში. ასევე შეხვდა პრემიერ-მინისტრ ერდოღანს და მხარეებმა განიხილეს ატომური ელექტროსადგურ „აქკუიუს“ მშენებლობის პროექტი, შეიქმნა პროექტის განხორციელების მეთვალყურეთა ერთობლივი ჯგუფი და მშენებლობის ღირებულება 22 მლრდ აშშ დოლარით შეფასდა. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა 11 სხვადასხვა სახის შეთანხმებას.

2013 წლის 20-21 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის მიწვევით თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოღანი სანქტ-პეტერბურგს ეწვია „უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭოს“ მე-4 სამიტში მონაწილეობის

მისაღებად. სამიტის დასრულების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ერდოღანმა პირდაპირ მიმართა პუტინს, რეკომენდაცია გაეწია თურქეთისთვის, რომ იგი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრად მიეღოთ *(ევროკავშირში შესვლის შანსი თითქმის აღარ ჰქონდა).*

რუსეთის პრეზიდენტის შემდეგი სახელმწიფო ვიზიტი თურქეთში შედგა 2014 წლის 1 დეკემბერს. ანკარაში პუტინი შეხვდა თურქეთის ახლადარჩეულ პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანს *(2014 წლის აგვისტოდან პრეზიდენტი)* და მონაწილეობა მიიღო „უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭოს“ მეხუთე სამიტში. ანკარაში, რუსეთის პრეზიდენტმა ევროკავშირთან უთანხმოების გამო, უარი თქვა ევროპისკენ მიმართული გაზსადენის „სამხრეთის ნაკადის“ *(შავი ზღვის ფსკერზე გაყვანილი ანაპიდან ვარნამდე)* მშენებლობაზე, გადაწყვიტა იგი თურქეთის ტერიტორიით გაეყვანა ევროპისკენ და გაზსადენს დაერქვა „თურქეთის ნაკადი“ *(შავი ზღვის ფსკერზე 910 კილომეტრის სიგრძის მილი ანაპიდან თურქეთის დასავლეთ სანაპიროს ქალაქამდე)*. პრეზიდენტებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების გარდა, განიხილეს სირიაში შექმნილი მძიმე სიტუაცია *(„ისლამური სახელმწიფო“ უკვე სირიაში იყო).* ენერგეტიკულ სფეროში საერთაშორისო მნიშვნელობის წარმატებული ნაბიჯების ფონზე, რუსეთსა და თურქეთს შორის პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური ურთიერთობები უფრო მყარდებოდა, რაც გამოიკვეთა 2015 წლის 16 ნოემბერს პუტინის სამუშაო ვიზიტის დროს ანტალიაში, სადაც ის „დიდი ოცეულის“ სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა შეხვედრებში იღებდა მონაწილეობას. აღნიშნული სამიტის ფარგლებში, ანტალიაში შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტები, სადაც შეთანხმდნენ, რომ ამავე წლის 15 დეკემბერს სანქტ-პეტერბურგში შედგებოდა მათი მორიგი შეხვედრა.

2015 წლის 24 ნოემბერს კი, სირიისა და თურქეთის საზღვარზე თურქული F-16 თვითმფრინავის მიერ ჩამოგდებულ იქნა რუსული ბომბდამშენი სუ-24, რამაც ორივე მხარე მიიყვანა ურთიერთობათა კრიზისამდე - შეწყდა პოლიტიკური კონტაქტები და ეკონომიკური თანამშრომლობა. აღნიშნული ინციდენტის გამო, ჩაიშალა 25 ნოემბერს სტამბოლში დაგეგმილი რუსეთ-თურქეთის სტრატეგიული დაგეგმარების ერთობლივი ჯგუფის მეხუთე შეხვედრა, რომელზეც ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს უნდა ეხელმძღვანელათ. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთი სირიის სამოქალაქო ომის მსვლელობისას აქტიურად ეხმარებოდა ბაშარ ასადის რეჟიმს ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, რაც რუსეთისთვის დიდ მნიშვნელობას ატარებდა - ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გავლენის შენარჩუნებისა და საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების შემდგომი გამყარების გარანტიის შენარჩუნებაში.

როდესაც 2014 წლის ზაფხულიდან „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულ ჯიჰადისტთა ძალებმა სირიის ტერიტორიის დაპყრობას მიჰყვეს ხელი *(ეხაყის ჩრდილოეთი უკვე დაკავებული ჰქონდათ)*, დასავლეთის კოალიციური ძალები ჩაებნენ აღნიშნულ კონფლიქტში, ცალკე „ჯიჰადისტების“ წინააღმდეგ საბრძოლველად, ცალკე ბაშარ ასადის რეჟიმის დასამხობად. ამ პერიოდში, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლთა პარალელურად, ბაშარ ასადის სამთავრობო ძალების, ანუ სირიის ეროვნული არმიის წინააღმდეგ, სირიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილშიც მეტად წარმატებით იბრძოდა თურქეთის მთავრობის მიერ შეიარაღებულ - დაფინანსებული ადგილობრივი გაერთიანებული ტერორისტული დაჯგუფება „ჯაიშ ალ-ფათჰი“. აღნიშნული დაჯგუფების გამარჯვებებმა სირიის სამთავრობო ძალებთან, განაპირობა ბაშარ ასადის მიერ რუსეთის მოწვევა დასახმარებლად. სწორედ ამ მეტად კრიტიკულ სიტუაციაში, სირიის მთავრობის ოფიციალური მოწვევით, 2015 წლის 30 სექტემბერს რუსეთს მიეცა საშუალება, რომ მისი საჰაერო ძალები უშუალოდ ჩართულიყვნენ კონფლიქტში სირიის პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების გადარჩენის მიზნით. ამ დროს, რადგან თურქეთის სამხედრო ავიაცია კოალიციის

ძალებთან ერთად ჯიჰადისტებსაც ებრძოდა და სირიის სახელისუფლო ძალებსაც, რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირების ბუნებრივი მიზეზები უკვე გამოიკვეთა. რუსეთმა თავისი სამხედრო ავიაცია განალაგა თურქეთის საზღვრიდან საკმაო სიახლოვეს, შექმნა ხმეიმიმის სამხედრო-საჰაერო ბაზა (ხმელთაშუა ზღვის პორტ ლატაკიასთან) და საბრძოლო გაფრენებს ახორციელებდა თურქეთის საზღვრის უშუალო სიახლოვეს, სადაც პერიოდულად, თვითმფრინავის მანევრირების დროს არღვევდა თურქეთის სახელმწიფო საზღვარს. მიუხედავად, თურქეთის მხარის არაერთი გაფრთხილებისა, რუსეთი მაინც აგრძელებდა თავისი საბრძოლო მოქმედებების შესრულებას, რამაც გამოიწვია ზემოხსენებული 24 ნოემბრის სამხედრო ინციდენტი და უკიდურესად დაძაბა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები *(პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ რუსეთის მხარემ 10-ზე მეტი გაფრთხილების იგნორირება მოახდინა და „ანკარას ჰქონდა უფლება ეპასუხა ასეთ ქმედებაზე“. რუსეთის პრეზიდენტმა უარყო რუსული თვითმფრინავის მიერ თურქეთის საზღვრის დარღვევა და მომხდარ ფაქტს „ტერორიზმის დამქაშების მიერ ზურგში დარტყმა“ უწოდა).* რუსეთმა თურქეთთან შეწყვიტა ყოველგვარი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, გააუქმა ყველა პროექტები, შეაჩერა დაგეგმილი კულტურული და სამეცნიერო ღონისძიებები, დააწესა სანქციები თურქულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. 3 დეკემბერს პრეზიდენტი პუტინი გამოვიდა რუსეთის დუმის პარლამენტართა წინაშე და თურქეთი დაადანაშაულა „ტერორისტებთან გარიგებაში“, ხოლო რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს მხოლოდ იმიტომ, რომ კონტრაბანდისტების გზები დაეცვათ. პუტინმა განაცხადა, რომ თურქეთის ხელისუფლება თანამშრომლობს „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტებთან, მათგან ყიდულობს და შემოაქვს სირიის დაპყრობილ ტერიტორიაზე არსებული საბადოებიდან მოპოვებული ნავთობი, ხოლო ამ დანაშაულებრივ ბიზნესში ჩართულია პრეზიდენტ ერდოღანის ოჯახი. თურქეთის პრეზიდენტმა თავის მხრივ დაადანაშაულა რუსეთი და მისი პრეზიდენტი, რომელიც მისი თქმით, ტერორისტებს (PKK) აიარაღებს და პარტნიორი ქვეყნის, თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, დანაშაულებრივ ქმედებას აღვივებსო.

2015 წლის დასასრულსა და 2016 დასაწყისში თურქეთის და რუსეთის მასმედია ერთმანეთის შეურაცხმყოფელ ლექსიკას არ ერიდებოდა, თვით პოლიტიკური მიმომხილველები და ექსპერტები ისტორიულ წარსულში მომხდარი ომების პერიპეტიებს იხსენებდნენ. განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა 2016 წლის თებერვალში, როცა ორივე მხარეს ინტენსიურად გაისმოდა შესაძლებელი ომის მოწოდებები და დიპლომატიური ურთიერთობების გადახედვის ხმებიც დაირხა *(2016 წლის 6 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა სიხიელი ქურთების დიპლომატიური მისია, რაც თურქეთისთვის პოლიტიკურ და დიპლომატიურ „სიღის გაწვნას“ უდრიდა).*

თურქეთი, რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობების შეჩერებისა და ეკონომიკურად მეტად მძიმე მდგომარეობის შექმნის პირობებში, მეტად რთულ და გაუსაძლის სიტუაციაში აღმოჩნდა, რამაც აიძულა რუსეთთან კავშირების აღდგენის გზების ძიება დაეწყო. ენერგეტიკულ სფეროში მილიარდობით ზარალის გარდა, ბიუჯეტში დიდი დანაკარგები იყო მოსალოდნელი გაზაფხულის დადგომასთან ერთად: ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი ჩავარდნილი იყო („პომიდორის კრიზისი“), საკურორტო სეზონის მოახლოვებაც სავალალო შედეგებს მოიტანდა *(მარტო 2015 წლის მონაცემებით, 5 მილიონზე მეტი რუსი ტურისტის მონაგარმა თურქეთის ბიუჯეტი 36 მილიარდი დოლარით შეავსო).* ამჯერად, ერდოღანის „მონანიების წერილის“ ადრესატამდე, ანუ პუტინამდე მიღწევაში მონაწილეობდნენ ძველი მეგობრები: ყაზახეთის პოპულარული პრეზიდენტი ნურსულტან ნაზარბაევი და თურქი საქმოსანი, ადრე დემირელთან დაახლოებული პოლიტიკური ფიგურა ჯავით ჩაღლარი *(იგი 2017 წლის 25 მაისს კრემლის სასახლის დიდ დარბაზში პუტინმა „მეგობრობის ორდენით“ დააჯილდოვა, რუსეთთან თანამშრომლობაში დიდი წვლილის გამო).* აღნიშნულმა წერილმა თავისი ნაყოფი გამოიღო და 2016 წლის 15 ივლისის „გადატრიალების“ მცდელობის შემდეგ, ნ. ნაზარბაევის 2016 წლის 5 აგვისტოს

თურქეთში ვიზიტისას, ყაზახეთის პრეზიდენტის ჩარევით მოგვარდა პუტინისა და ერდოღანის შეხვედრა, რომელიც უკვე 2016 წლის 9 აგვისტოს სანქტ-პეტერბურგში გაიმართა. აღნიშნული შეხვედრიდან ორიოდე კვირაში, 24 აგვისტოს, რეჯებ ერდოღანის ბრძანებით დაიწყო სამხედრო-სადამსჯელო ოპერაცია „ევფრატის ფარი“ სირიელი ქურთების წინააღმდეგ. აშკარაა, რომ 9 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტის თანხმობა იქნა გაცემული *(ხუსეთმა, ხოგოხც სჩვევია, თავისი „ეროვნული ინტერესების“ დაკმაყოფილებისთვის, მათ იმედზე მინდობილი ქურთები გასწირეს).*

თურქეთსა და რუსეთს შორის „თვითმფრინავის კრიზისის“ გამო შექმნილი დაძაბული მდგომარეობა, გარკვეულ წილად განიტვირთა 2016 წლის 10 ოქტომბერს, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი სტამბოლში ჩავიდა მსოფლიო ენერგეტიკული კონგრესის სესიაში მონაწილეობის მისაღებად და იქვე მოლაპარაკებები გამართა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან. პრეზიდენტების შეხვედრის დროს ხელი მოეწერა მთავრობათაშორის შეთანხმებას, გაზსადენის „თურქული ნაკადის“ ორი ტოტის მშენებლობისა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აეს „აქკუიუს“ მშენებლობის პროექტის რეალიზაციის დაჩქარების შესახებ. აქვე გაჟღერდა „როსკოსმოსის“ მზადყოფნის შესახებ, რომ მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, თურქული კოსმოსური თანამგზავრების შექმნისა და გაშვების მომზადებაში. და კიდევ ერთი, მოიხსნა აკრძალვა თურქული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაშვების თაობაზე.

ახლა რაც შეეხება „გადატრიალებას“. 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში მოეწყო „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობა სამხედროების მიერ *(თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში ქვეყანაში 4 სამხედრო გადატრიალება მოხდა, რის შედეგადაც მთავრობა გადაყენებული იქნა და 2 მათგანის შედეგად ხელისუფლებაში სამხედროები მოვიდნენ).* ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, უაღრესად დაიძაბა შიდაპოლიტიკური ვითარება ქვეყანაში, რასაც მოჰყვა მოქალაქეთა მასიური დევნა, ათასობით ადამიანის დაპატიმრება და ათიათასობით პიროვნების სამსახურებიდან დათხოვნა. თურქეთის მთავრობამ *(პირადად ერდოღანის დაჟინებით)* გადატრიალების მთავარ დამკვეთად და სულის ჩამდგმელად დაასახელა 1999 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მუსლიმი მოღვაწე ფეთჰულა გიულენი. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურმა აშშ-ის მთავრობას მოსთხოვა ფეთჰულა გიულენის, როგორც „სახელმწიფო დამნაშავის“ გადაცემა თურქეთის სამართალდამცავი ორგანოებისთვის, რაზეც აშშ-ის მთავრობამ, დამადასტურებელი მასალის არასრულყოფილად ცნობის გამო, უარი განაცხადა ისლამის ცნობილი მეცნიერის თურქეთში ექსტრადიციაზე. ამ პერიოდიდან დაიძაბა მდგომარეობა ნატოს ორი წევრი-ქვეყნის ურთიერთობებში, რაც შემდგომში „სირიის კრიზისის“ ფარგლებშიც გავრცელდა, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ ძალების სირიის ტერიტორიიდან განდევნაში, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობამ, ყველაზე დიდი თავდადება და გმირობა ადგილობრივი ქურთების შეიარაღებული გაერთიანების - „სირიის დამოკრატიული ძალების“ მებრძოლების ქმედებებს უწოდა.

(*„ისლამური სახელმწიფოს“, „სირიის კრიზისის“, „ქურთების საკითხის“ და სხვა ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პრობლემებზე, კონკრეტული საუბარი გვექნება ახლო მომავალში, მე-11 ლექციაზე. თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობების დაძაბვის მიზეზებზე, უფრო კონკრეტულად მე-12 ლექციაზე ვისაუბრებთ)* 2016-2017 წლებიდან ახლო აღმოსავლეთის ვრცელ რეგიონში განვითარებული მოვლენები, „სირიის კრიზისის“ ცხელ და დიდი საფრთხეების შემცველ ბრძოლის ველად გადაქცევა, ლიბიის სამოქალაქო ომის თანდათანობით გაღვივება, „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას განუზომლად ზრდის და უზარმაზარი ფეთქებადსაშიში სივრცე, მსოფლიო პოლიტიკის გავლენიანი მოთამაშეების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა. აღნიშნული მოვლენების ესკალაციამ,

თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობებში ახალი და დაძაბული სტრატეგიული ინტერესები წარმოშვა.

2017 წლის 28 სექტემბერს პუტინის მორიგი სამუშაო ვიზიტი თურქეთში, თავის კოლეგა ერდოღანთან მეტად სერიოზულ, საომარი მდგომარეობის განხილვისა და შეიარაღებულ „ტერორისტთა ჯგუფების“ გადაადგილების კორექტირების რეჟიმში გაიმართა. მოლაპარაკებების ძირითადი თემები, სირიის იდლიბის რეგიონში დეესკალაციის ზონების კონტროლსა და ერაყის ქურთისტანში ჩატარებული „ქურდისტანის დამოუკიდებლობის“ რეფერენდუმის საკითხებს ეხებოდა. ასევე, სერიოზულად განიხილეს, ჯერ კიდევ 2017 წლის ზაფხულში ხელმოწერილი კონტრაქტის შესრულების მიმდინარეობის რეჟიმი, რომელიც ეხებოდა რუსეთის მიერ ს-400 სარაკეტო სისტემების მიწოდების საკითხებს.

2017 წლის დეკემბერში „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებული ძალების, ანუ „ჯიჰადისტების“ წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციური ძალების სარდლობამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რიგრიგობით განაცხადეს, რომ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები დამარცხებულ არიან და მათი ნაწილები სირიის და ერაყის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებიან.

2018 წლის 5 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბრძანება გასცა, რომ ამერიკელ სამხედრო ნაწილებს დაეწყოთ სირიის ტერიტორიიდან გასვლა.

2018 წლის 3 აპრილს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი თურქეთს ეწვია პრეზიდენტ ერდოღანის მიწვევით „რუსეთ-თურქეთის უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭოს“ სამიტზე და ამასთანავე, მონაწილეობა მიიღო ატომური ელექტროსადგურის „აქკუიუს“ ფუნდამენტის ჩადგმის ცერემონიალში. დახურულ შეხვედრაზე კი, განიხილეს სირიაში შექმნილი მეტად მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის გზები.

საქმე იმაში გახლავთ, რომ სირიაში მრავაწლიანი კონფლიქტის მიმდინარეობის შედეგად, ამ ქვეყანას კოლოსალური ზიანი მიადგა. იმისთვის, რომ გაირკვეს ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის საკითხი, აღკვეთილ იქნას ტერორისტული ჯგუფების თარეში, აღდგეს ქვეყნის დანგრეული ეკონომიკა, დაძლეულ იქნას ჰუმანიტარული კოლაფსი, „სირიის კრიზისში“ ჩართულ რეგიონულ და გლობალურ აქტორებს ერთობლივი ძალისხმევის გააქტიურება მოუწევთ. ასეთი ნაბიჯი გადაიდგა 2017 წლის იანვარში, როდესაც თურქეთის, რუსეთის და ირანის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს ე.წ. „ასტანის ფორმატის“ მოლაპარაკებების პროცედურა *(ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულტან ნაზარბაევმა, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრი-სახელმწიფოს პრეზიდენტმა, მზადყოფნა გამოთქვა, რომ სირიაში დაპირისპირებული მხარეებისათვის შეეთავაზებინა თავისი ტერიტორია, ედაქარაქ ასტანის სახით, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებების გამართვის მიზნით).* „ასტანის პროცესი“, კონფლიქტის დიპლომატიური დიალოგის საშუალებით მოგვარების საქმეში, გაეროს და მრავალრიცხოვანი მსოფლიო ლიდერების მიერ დადებითად არის შეფასებული.

ასტანის ფორმატის პირველი შეხვედრა შედგა 2017 წლის 23-24 იანვარს, რომელშიც თურქეთის, რუსეთის და ირანის ხელშეწყობით შედგა პირველი არაპირდაპირი მოლაპარაკებები სირიის მთავრობასა და შეიარაღებულ ოპოზიციას შორის. მასში, გაეროს დელეგაცია შუამავლად, ხოლო აშშ-ის დელეგაცია დამკვირვებლის სახით მონაწილეობდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოლაპარაკებებში ერთად მონაწილეობდა, როგორც სირიის მთავრობა, ასევე შეიარაღებული ოპოზიცია. სამივე ქვეყანა შეთანხმდა სირიაში ცეცხლის შეწყვეტის სამმხრივი კონტროლის მექანიზმის შექმნაზე; მზადყოფნა გამოთქვეს „ისლამურ სახელმწიფოს“(აისის) და „ჯაბჰათ ან-ნუსრას“ წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობაზე; მოილაპარაკეს რომ „ასტანის მოედანზე“ შეხვედრები კონკრეტულ საკითხებზე მოაწყონ *(2017 წლის*

განმავლობაში ასტანის ფორმატით, სულ 8 შეხვედრა მოეწყო).

მეორე შეხვედრა ასტანაში, 2017 წლის 15-16 თებერვალს მოეწყო. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ გარანტიორი ქვეყნები - თურქეთი, რუსეთი, ირანი. ასევე, სირიის მთავრობისა და სირიის შეიარაღებული ოპოზიციის წარმომადგენლები. დამკვირვებლის სახით ესწრებოდნენ გაეროს, აშშ-ის და იორდანიის დელეგატები. 2017 წლის 14-15 მარტს გამართულ მესამე შეხვედრას ესწრებოდნენ თურქეთის, რუსეთის, ირანის და ასევე, სირიის მთავრობის დელეგაცია. დამკვირვებლებად კვლავ გაერო, აშშ და იორდანია იყვნენ წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ ერთიანი რუკა, რომელზეც აღნიშნული იქნებოდნენ ტერორისტული ჯგუფების „ისლამური სახელმწიფოს“ და „ჯაბჰათ ან-ნუსრას“ პოზიციები და შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების დისლოკაციის ადგილები. 2017 წლის 3-4 მაისის ასტანის მეოთხე შეხვედრას, იგივე მონაწილენი და დამკვირვებლები ესწრებოდნენ. საგულისხმოა, რომ ამ შეხვედრაზე გარანტიორმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს, სირიაში დეესკალაციის ზონების შექმნის მემორანდუმს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დეესკალაციის ზონები უნდა შექმნილიყო იდლიბის, ჰომსის, აღმოსავლეთ გუტას (დამასკოსთან) პროვინციებში, აგრეთვე დერაასა და კუნეიტრაში, სირიის არაბულ რესპუბლიკაში ძალადობისა და დაძაბულობის შეკავების, ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესებისა და კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით. ასტანის ფორმატის მონაწილე სამივე გარანტიორმა ქვეყანამ გამოთქვეს რწმენა, რომ სირიის კონფლიქტის მოგვარება, მხოლოდ პოლიტიკური გზით არის შესაძლებელი.

2018 წლის 15-16 მაისს „ასტანის ფორმატის“ მეცხრე შეხვედრა გაიმართა, რომელზეც გარანტიორმა ქვეყნებმა განიხილეს დეესკალაციის ზონებში არსებული სიტუაცია. აღნიშნულ ზონებში მთავარი დაპირისპირება „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) მებრძოლთაგან დარჩენილ ძალებსა და სირიის სამთავრობო არმიას შორის იჩენს თავს, ვინაიდან „აისის“ ყოფილი ჯიჰადისტები, თურქეთის მიერ მხარდაჭერილი სირიის შეიარაღებული ოპოზიციური ძალების რიგებს, თანდათან ავსებენ. ასეთი მდგომარეობა, პირდაპირ ეწინააღმდეგება ასტანის ფორმატში არსებულ შეთანხმებას და ერთმანეთს უპირისპირებს თურქეთისა და რუსეთის „სირიის კრიზისის“ მოგვარების „გარანტიორობას“. მხარეებმა განიხილეს იდლიბში, ჰომსში, აღმოსავლეთ გუტასა და სირიის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობა და შექმნეს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ სირიის კონფლიქტში მეომარ მხარეთა დაკავებული პირების ერთმანეთში გაცვლას. მხარეები შეთანხმდნენ გარანტიორი ქვეყნების შემდეგი შეხვედრა გაიმართოს ივლისის თვეში სოჭში.

2018 წლის იანვარ-თებერვალში, როდესაც სირიის სამთავრობო არმია იდლიბის მხარეში ოპოზიციურ ძალებს უტევდა, სრულიად მოულოდნელად მათ წინაშე „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტები აღმოჩნდნენ, რამაც არივ-დარია მდგომარეობა. საქმე იმაში გახლდათ რომ ჯიჰადისტები ერთდროულად სამთავრობო არმიასაც და ოპოზიციურ ძალებსაც ებრძოდნენ. „ისლამური სახელმწიფო“ ოფიციალურად კი დამარცხდა, მაგრამ როგორც ჩანს, კვლავ ინარჩუნებს მოულოდნელი გამოხდომების უნარსა და ძალას. „ჯიჰადისტების“ მიერ წლობით დაპყრობილ ტერიტორიებზე, სადაც უდაბნოს მსგავსი ადგილმდებარეობა და გამოქვაბულების ინფრასტრუქტურა აძლევდა მათ დარჩენილ მეომრებს იმის საშუალებას, რომ თავი შეეფარებინათ სირია-ერაყის საზღვრისპირა ადგილებში და აქედან თავდასხმები განეხორციელებინათ სამთავრობო და მათ მოკავშირე ძალებზე. ისინი ამავე გზით ებრძოდნენ თავის ყველაზე მრისხანე მტერს, ადგილობრივი ქურთების „დემოკრატიული ძალების“ რაზმებს. ასევე, ჯიჰადისტთა დანატოვარი შეიარაღებული ჯგუფების „მიძინებული მიწისქვეშა ბანაკები“ დიდ პრობლემას წარმოადგენენ მათგან უკვე განთავისუფლებულ ტერიტორიებზეც. სხვათა შორის „აისის“ მსგავსი ანკლავები, დამასკოს სამხრეთ და დერაას

სამხრეთ-დასავლეთ რაიონებშიც არსებობენ, სადაც სხვა ტერორისტულ ჯგუფებთან ერთად მოქმედებენ. სირიის ტერიტორიაზე მებრძოლი ტერორისტული დაჯგუფებები, სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან, რაც მათ ბუნებრივად, თურქეთის შორსმიმავალი „ნეოოსმანური“ გეგმების გამტარებლებად და მოკავშირეებად წარმოაჩენს. ამიტომ, „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებულ ჯიჰადისტთა ჯგუფების განადგურებისა და მათი ოფიციალურად დამარცხებულად გამოცხადების ფაქტმა, „სირიის კრიზისში“ ჩართული სახელმწიფოების რეგიონში დარჩენის კანონზომიერებისა და შესაბამისობის საკითხი დააყენა. მაგრამ ვინაიდან სირიასა და ერაყში, ეგვიპტესა და ლიბიაში, ჯერ კიდევ მოქმედებდნენ ყველანაირი ჯურის ტერორისტული დაჯგუფებები, ზოგიერთი სახელმწიფო თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებისა და გეოეკონომიკური მიზნების განხორციელებითვის, მდგომარეობის ესკალაციის გზით წავიდა. ყველაზე დიდი და ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანები ჰქონდათ დასახული თურქეთს, რუსეთს და ირანს *(აშშ-მა და ევროკავშირის ქვეყნებმა კოალიციური ძალების შეიარაღებული დაჯგუფებების ძირითადი კონტინგენტი რეგიონიდან გაიყვანეს).* სწორედ ამიტომ იძაბება მდგომარეობა პერიოდულად აღნიშნულ ქვეყნებს შორის, სწორედ ამიტომ იქნა შემოღებული „ასტანის ფორმატი“, მაგრამ მდგომარეობის დარეგულირებისა და სიტუაციის განტვირთვის მცდელობებს მხოლოდ დროებითი, მოკლევადიანი, სიტყვიერი შეთანხმებები თუ მოსდევს. განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს რეგიონში „მრავალგანზომილებიანი“ თურქულ-რუსული ურთიერთობები, რომელშიც „იდლიბის საკითხი“ მთავარ გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება წლების განმავლობაში. „სირიის კრიზისის“ დაწყებისთანავე თურქეთს მიაშურა სირიელი ლტოლვილების დაუსრულებელმა ნაკადმა *(პირველი ნაკადი 2011 წლის აპრილში)*, რომელნიც თურქეთის მთავრობის ძალისხმევით განთავსდნენ სირია-თურქეთის საზღვართან ახლოს - ჰათაის, მარდინის, გაზიანტების, შანლიურფას, ქაჰრამანმარაშის, ოსმანიეს, ადიამანის ვილაიეთების ტერიტორიებზე. თურქული წყაროების თანახმად, დღეისათვის სირიელ ლტოლვილთა რაოდენობა თურქეთის ტერიტორიაზე 3,6 მილიონ ადამიანს შეადგენს. თურქეთი, რომელიც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგია და მისი დამხობის მომხრე, მის ტერიტორიაზე ლტოლვილებთან ერთად, ბევრი სირიის ხელისუფლების დევნილი იყო, რომელნიც თურქეთოს ტერიტორიაზე ქმნიდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს, რაშიც თურქული სპეცსამსახურები დახმარებას უწევდნენ მათ სამხედრო მომზადების საქმეში, ფინანსურად, მატერიალურად და იარაღითაც. ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ შექმნილი „სირიის თავისუფალი არმიის“ სახელით ცნობილი ოპოზიციური ძალები, თურქეთის წახალისებით და წაქეზებით, ჯიჰადისტურ ჯგუფებთან ერთად, აქტიურად ებრძვიან სირიის სახელისუფლო რეგულარული არმიის ნაწილებს. რუსეთის მთავრობა დიდ ძალებს უყრის თავს ბაშარ ასადის რეჟიმის გადარჩენის მიზნით. ამრიგად, „სირიის კრიზისში“ თურქეთისა და რუსეთის ინტერესები სრულიად საპირისპირო მიზნებს ემსახურება.

ამას გარდა, თურქეთისა და სირიის საზღვრის ორივე მხარეს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენს ეთნიკური ქურთები, რომელთაც ერთმანეთთან ნათესაური კავშირები აახლოვებს. თურქეთისთვის ყველაზე დიდ ისტორიულ საფრთხეს წარმოადგენს თურქული სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც უკიდურესად მწვავე, მტრულ დაპირისპირებაში გამოიხატება თავისი იდეოლოგიური საფუძვლებით. საქმე იმაში გახლავთ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთების პოლიტიკურ იდეოლოგიას მარქსისტულ-სოციალისტური მრწამსი წარმოადგენს, რომელიც ჩამოყალიბებულია „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK სახით და მათი არსებობის მთავარ მიზანს, თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გახლავთ. თურქეთში და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში „ქურთთა მუშათა პარტია“ PKK ტერორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული. თურქეთისთვის, ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სირიის ტერიტორიაზე

მცხოვრები ქურთები, იგივე მარქსისტულ-სოციალისტური იდეოლოგიის მიმდევრები არიან, ახლოს თანამშრომლობენ თურქეთში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციის, „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK მებრძოლებთან და ერთიან ბრძოლას ეწევიან თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. სწორედ ეს მიზეზი გახლავთ, რომ თურქეთი თავისი სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საჭიროდ თვლის მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა სირიის ტერიტორიაზე, თურქეთის საზღვრის გასწვრივ მოქმედი სირიელ ქურთთა პოლიტიკურ პარტიად აღიარებული „დემოკრატიული კავშირი“ და მისი ხშირი კონტაქტები თურქეთში მოქმედ „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK ტერორისტულ ორგანიზაციასთან, თურქეთმა გაანეიტრალოს. პრეზიდენტ ერდოღანის ბრძანებით, თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა სამი დიდი სამხედრო ოპერაცია (2016, 2018, 2019) ჩაატარეს სირიის ტერიტორიაზე, რათა ქურთთა დასახლებული რაიონებიდან განედევნათ ეთნიკური ქურთები *(ეიდოღანი მათ პოლიტიკუი გაეითიანებას, ტეიოიისტუდ ოიგანიზაციად მიიჩნევს)* და შეექმნათ „უსაფრთხოების ზონა“ 480 კმ-ის სიგრძით და 32 კმ-ის სიგანით (დღეისათვის 140 კმ. სიგრძე უკავია), ქურთების გარეშე. რუსეთი, ისტორიულად ქურთებს უჭერს მხარს *(საბჭოთა კავშიი თუიქეთში მცხოვიებ ქუით-მაიქსისტებს ყოველმხიივ ეხმაიებოდა)* და სირიაში დაწყებული სამოქალაქო ომით, საუკეთესო შემთხვევა შეიქმნა, რუსეთს კვლავ გაემხნევებინა ადგილობრივი ქურთები, რათა თურქეთის ქურთებთან უფრო მჭიდრო კავშირები დაემყარებინათ, მითუმეტეს „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტებთან წარმატებულ ბრძოლაში, სირიელ ქურთებს ამერიკელები ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს, ამხნევებდნენ, დახმარებას უწევდნენ სამხედრო სპეციალისტებით და იარაღსაც აწვდიდნენ. რუსეთმა, სირიელ ქურთებს მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა, სირიელი ქურთების ავტონომიის საკითხიც განიხილა სირიის ხელისუფლებასთან, რაც თურქეთისთვის დიდი პოლიტიკური ლახვარი, ხოლო ქურთებისთვის დიდი სტიმული იქნებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში

ამრიგად, „სირიის კრიზისში“ ქურთების პრობლემას რუსეთი და თურქეთი სრულიად საპირისპირო პოზიციიდან განიხილავენ.

„სირიის კრიზისის“ ყველაზე დიდი პრობლემა იდლიბის საკითხი გახდა. 2018 წლის სექტემბერში, სირიაში ერთმანეთთან დაპირისპირებულმა ყველა შეიარაღებულმა ძალამ თავი მოიყარა სწორედ იდლიბის მისადგომებთან. სამოქალაქო ომის დაწყებიდან, ანუ 2011 წლიდან გადაკეტილია სირიის მთავარი სახელმწიფო ტრასა M-5, რომელიც სირიის ორ მთავარ ქალაქს დამასკოსა და ალეპოს აკავშირებდა. სწორედ იდლიბის პროვინციაზე *(ალაბუდად - მუჰაფაზა)* გადის აღნიშნული ტრასა და მისი გათავისუფლება, სირიის სამთავრობო არმიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. იდლიბის სამხრეთ ნაწილსა და ლატაკიის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც განთავსებულია რუსეთის ავიაბაზა „ხმეიმიმი“ მიმდინარეობდა ლოკალური საბრძოლო შეტაკებები ტერორისტული ორგანიზაციის „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ კონტროლის ქვეშ მებრძოლი სამხედრო დაჯგუფებებსა და სახელისუფლო, სირიის არაბულ არმიას შორის. სირიის საჰაერო ძალებმა, რუსეთის ავიაციის დახმარებით განახორციელეს საჰაერო თავდასხმების მთელი სერია იარაღის საწყობებსა და ოპოზიციის მებრძოლთა საკვანძო ობიექტებზე. 2018 წლის 17 სექტემბერს სოჭში შეხვედრისას პუტინმა და ერდოღანმა დათქვეს თურქეთის მიერ მხარდამჭერ ოპოზიციის ძალებსა და რუსეთის მიერ მხარდამჭერ სახელისუფლო სირიის არაბულ არმიას შორის იდლიბის დეესკალაციის ზონაში შექმნილიყო 15-20 კილომეტრის სიგანის დემილიტარიზებული ზონა. მძიმე სამხედრო ტექნიკის ყველა სახეობა, ტანკებისა და არტილერიის ჩათვლით, გაყვანილ უნდა ყოფილიყო 10 ოქტომბრამდე, ხოლო თვით დემილიტარიზებული ზონა უნდა შექმნილიყო 15 ოქტომბრისთვის *(უფიო სწოიად, ეიდოღანმა სიტყვა მისცა პუტინს, იომ თავის თავზე აიღებდა იდლიბის ია ონის შეიაიაღებული ჯგუფებისგან გათავისუფლების საქმეს).* რა

თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელი იყო, ისეთი რადიკალური ისლამური დაჯგუფება, როგორიც „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი“ იყო, მშვიდობიანად დამორჩილებულიყო, საბრძოლო სცენარის ამოქმედების გარეშე? რა თქმა უნდა, არავითარი „დემილიტარიზებული ზონა“ იდლიბში არ შექმნილა, პირიქით, თურქეთმა იდლიბის რეგიონში გააძლიერა თავისი ყოფნის სტატუსი - მან მთელ მონაკვეთზე 12 სამხედრო-საკონტროლო პუნქტი გახსნა გამაგრებული გარნიზონით და ამავე დროს, იდლიბის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყვნენ თურქეთის მოკავშირე საბრძოლო დაჯგუფებები. ყოველივე რა თქმა უნდა, რუსეთ-თურქეთის მორიგი მძაფრი დაპირისპირების საბაბად იქცა. თურქეთის პრეზიდენტმა ვერ შეასრულა რუსეთის პრეზიდენტისთვის მიცემული დანაპირები და ახსნა იმით, რომ იდლიბის მიმდებარე ანკლავში იმ პერიოდში თავმოყრილი იყო მთელი სირიის ტერიტორიიდან მილიონზე მეტი დევნილი და ამას გარდა, დაახლოვებით ამდენივე ასადის რეჟიმით უკმაყოფილო ადგილობრივი მოსახლეობა. ამ დროს, აღნიშნული ტერიტორიის სახელისუფლო ძალების მიერ დაკავების შემთხვევაში, ხალხის ასეთი დიდი მასა თურქეთს მიაწყდებოდა ლტოლვილების სახით, რაც თურქეთში დიდ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კრიზისს გამოიწვევდა. მისასალმებელია, რომ თურქეთი მუდამ პოულობს გამამართლებელ საბუთს, რათა თავისი რეგიონული ინტერესები გაამყაროს. თურქეთი თავისებურად ხედავს „სირიის კრიზისის“ მოგვარების სქემას: მთავარი მიზანია სირიის ქცევა თურქეთის მორჩილ მეზობელ ქვეყნად; ქურთული შეიარაღებული ფორმირებების ნეიტრალიზაცია და „უსაფრთხოების ზონის“ დამყარება თურქეთ-სირიის საზღვარზე, იქიდან ქურთი მოსახლეობის საბოლოო განდევნის მოთხოვნით; ბაშარ ასადის მთავრობის შეცვლა *(სასუხვეღია „ძმები მუსღიმების“ ისღამუხი ხადიკაღუხი მოძხაობის ღიდეხებით)* და სირიის ენერგორესურსების თურქეთში ტრანსპორტირების სტაბილური გზების ორგანიზება.

რუსეთის გეგმები სირიის საკითხის მოგვარების შემდეგ ასე გამოიყურება: ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ტარტუსსა და ლატაკიაში რუსეთის სამხედრო-საზღვაო გამაგრებული ბაზების ფუნქციონირება, ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში თავის გავლენის გაზრდისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშის იმიჯის შექმნისა; იგივე მიზნებისთვის, ხმეიმიმში *(ხმეღთაშუა ზღვის პიხას, თუხქეთის საზღვხიდან 30 კმ)* სამხედრო ავიაბაზა გამანადგურებელი და ბომბდამშენი ავიაციისთვის; სირიისა და თურქეთის საზღვარზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, ალ-ქამიშლის *(ჩხდ. სიხია, თუხქეთის საზღვახთან 20 კმ)* შვეულმფრენების ავიაბაზა; სირიის ცენტრალური, სტრატეგიული ავტომაგისტრალის M-5 გაკონტროლების მიზნით, შაირათის და თიასის (იდლიბის და ჰამას პროვინციები) შვეულმფრენების კოორდინაციის საველე აეროდრომები.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში რუსეთისა და თურქეთის ინტერესები დიამეტრულად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, სირიაში მათი პოზიციები მოლაპარაკებების მაგიდაზე განიხილებოდნენ და მხარეები, ერთმანეთის სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილების გზებს ეძებდნენ. „ასტანის ფორმატი“ სამეულის გარანტიებს კი აწესებდა, მაგრამ თურქეთ-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებს, შესაბამისად ვერ აწესრიგებდა. ასე წარმოიშვა კომპრომისული - სოჭის შეთანხმებები, რომლებსაც უნდა გაეყინათ იდლიბის ანკლავის არსებული მდგომარეობა. იდლიბში რუსეთმა და თურქეთმა გადაინაწილეს რეგიონი, როდესაც ალეპო-ლატაკიის ავტოტრასის M-4 და მთავარი M-5 ავტომაგისტრალის გასაყარზე მდებარე პუნქტი სარაყიბი რუსეთისა და სირიის სამთავრობო ძალებს დაეთმოთ *(შემდეგ სახაყიბი ოპოზიციის ძაღებმა ჩაიგდეს ხელში)*, ხოლო იდლიბის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი თურქეთის სამხედროებმა და მისმა მოკავშირე დაჯგუფებებმა დაიკავეს.

2018 წელს აშშ-ის ძალებმა დატოვეს სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც სირიელი ქურთების „დემოკრატიული ძალების“

შეიარაღებული ჯგუფები აშშ-ის და კოალიციის შენაერთებს მოკავშირეობას უწევდნენ, თანაც დიდი წარმატებით იბრძოდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების წინააღმდეგ.

2019 წლის ოქტომბერში აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ერდოღანის ზეწოლით, იძულებული გახდა გაეწყვიტა სირიელ ქურთებთან კავშირები და ამით ერდოღანს საშუალება მისცა ჩრდილიეთ სირიაში შეჭრილიყო, რათა დაეწყო დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელება - „ტერორისტებად“ წოდებული ადგილობრივი ეთნიკური ქურთების, საკუთარი მიწა-წყლიდან სამუდამოდ განდევნა. ერდოღანის ამბიციებს ხელი შეუწყო 2019 წლის 22 ოქტომბერს სოჭში გამართულმა 6-საათიანმა მოლაპარაკებებმა, სადაც ერდოღანმა და პუტინმა ხელი მოაწერეს „რუსულ-თურქულ მემორანდუმს“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ქურთების შეიარაღებული ჯგუფები, რომელთაც „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებაში და საკუთარი ტერიტორიის გათავისუფლებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს, დატოვებენ სირია-თურქეთის საზღვრიდან 30 კმ-ის სიგანის ტერიტორიას და იმავე „მემორანდუმის“ ძალით რუსულ-თურქული ერთობლივი პოლიციური პატრული დაიცავს საზღვარს ყობანიდან ალ-ქამიშლიმდე და სწორედ ალ-ქამიშლის ტერიტორიაზე, სადაც აშშ-ის სამხედრო კონტინგენტმა დატოვა თავისი საჰაერო ბაზა, 2019 წლის 14 ნოემბრიდან რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებით გაიხსნა რუსეთის ავიაბაზა შვეულმფრენების განთავსებისთვის, ამ რაიონში რუსული სამხედრო პოლიციის საქმიანობაში ხელის შეწყობის მიზნით. ამგვარად, რუსეთისა და თურქეთის ინტერესთა დაპირისპირება სირიის იდლიბის რეგიონსა და ჩრდილოეთ ნაწილის დიდ მონაკვეთში „იძულებითი სტაბილურობის“ შენარჩუნებით ინიღბება. 2019 წელს რუსეთ-თურქეთის ინტერესთა დაჯახების კიდევ ერთი საბაბი ლიბიის სამოქალაქო ომი გახდა, რომელმაც რუსეთიცა და თურქეთიც ბარიკადების სხვადასხვა მხარეს განათავსა. 2011 წელს დაწყებული „არაბული გაზაფხული“ ლიბიაში რევოლუციაში გადაიზარდა და მუამარ კადაფი, რომელიც 42 წელი ლიბიას დიქტატორულად მართავდა, ხალხის აჯანყებულ მასებს ემსხვერპლა - 2011 წლის 20 ოქტომბერს თავის მშობლიურ ქალაქ სიირტში მოკლულ იქნა. ლიბიის ეროვნული სიმდიდრე ნავთობის უზარმაზარი მარაგით გამოიხატება და რევოლუციური არეულობების შედეგად, ნავთობის საბადოების გადანაწილებისთვის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის შეიარაღებული ბრძოლები დაიწყო, რომელიც სამოქალაქო ომის სახით გაგრძელდა და მასში რადიკალური, ჯიჰადისტური ძალები ჩაერთვნენ, „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებთან ერთად. სამოქალაქო ომმა დიდი ქაოსი გამოიწვია და 2014 წელს ლიბიაში წესრიგის დამყარების მიზნით, დაბრუნდა ცნობილი სამხედრო მოღვაწე ხალიფა ჰაფთარი*(მუამარ კადაფის თანამებრძოლი და 1988 წლიდან მისგან ათვაღწუნებული სარდალი)*, რომელიც ქვეყნიდან გაიქცა, აშშ-ის ვირჯინიის შტატში ამერიკელი კომანდოსების ჯგუფთან 20 წელი დაჰყო და ბუნებრივია, შესაბამისი გამოცდილებაც მიიღო *(1977-78 წლებში ხალიფა ჰაფთარმა მოსკოვში ოფიცერთა უმაღლესი სკოლა დაამთავრა, ხოლო 1983 წელს მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის კურსები გაიარა. ჩუსუდ ენას კარგად ფლობს).* ხალიფა ჰაფთარს ძველმა თანამებრძოლებმა დაუჭირეს მხარი და მან ძირითადად ისლამური ძალების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. ქვეყანა საბოლოოდ ორ მოქიშპე ბანაკად ჩამოყალიბდა: ჰაფთარის წინააღმდეგ მებრძოლი ძალა „ალ-ყაიდას“ ძველი ჯიჰადისტების, ბერბერთა ტომების და „ძმები მუსლიმების“ ისლამურ კოალიციას წარმოადგენს; ჰაფთარის არმია კი, ძირითადად კადაფის ყოფილი მებრძოლების, ფედერალიზაციის მომხრეთა და აღმოსავლეთ ლიბიის ავტონომიის შექმნის მსურველთაგან შედგება. ლიბიაში სამოქალაქო დაპირისპირების შეჩერების მიზნით, 2015 წელს ჩაერია გაერო, რომლის ინიციატივითაც დაწყებული სამშვიდობო პროცესი დეკემბერში არჩევნებით დასრულდა: დასავლეთში, ტრიპოლიტანიაში (ტრიპოლი) ხელისუფლებაში მოვიდა „ეროვნული თანხმობის მთავრობა“ ფაიზ ას-სარაჯის მეთაურობით, ხოლო აღმოსავლეთში - კირენაიკაში (ტობრუკი) ლიბიის პარლამენტი

(წარმომადგენელთა პალატა) აკილა სალაჰ ისას მეთაურობით. თურქეთსაც და რუსეთსაც ლიბიის ნავთობის საბადოების და მისი ექსპლოატაციის ეკონომიკური მიზიდულობის გარდა, მათთვის გეოპოლიტიკური ინტერესებიც მეტად მნიშვნელოვან საბაბს წარმოადგენს, დიდი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ჩრდილოეთ აფრიკის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გავლენის სფეროში მოქცევის შესაძლებლობაში. ხალიფა ჰაფთარმა შექმნა „ლიბიის ეროვნული არმია“ და 2016 წელს მას წარმომადგენელთა პალატამ ფელდმარშალის სამხედრო წოდება მიანიჭა. ხალიფა ჰაფთარი 2016 წლის ნოემბერში მოსკოვს ეწვია, სადაც შეხვედრები ჰქონდა რუსეთის თავდაცვის მინისტრთან *(ს. შოიგუ)* და საგარეო საქმეთა მინისტრთან *(ს. ლავროვი).* ჰაფთარის არმიას ფინანსებით და იარაღით ეხმარებიან ეგვიპტე, გაერთიანებული არაბთა ემირატები, საუდის არაბეთი და რუსეთი. სარაჯის მომხრე ისლამისტები კი, ეყრდნობიან ყატარსა და თურქეთს, რომლებიც ყოველმხრივ მხარს უჭერენ მათ, იარაღს და მებრძოლებსაც აწვდიან. 2019 წლის 4 აპრილს ხალიფა ჰაფთარმა წამოიწყო გადამწყვეტი ბრძოლა ტრიპოლიტანიის დაპყრობის, დედაქალაქ ტრიპოლის შტურმით აღებისა და მისი მეთაურობით ერთიანი ლიბიის სახელმწიფოს შექმნის მიზნით. მიუხედავად პირველი წარმატებებისა და დედაქალაქ ტრიპოლის გარეუბნებამდე მიღწევისა *(აეროდრომი მისუხატა აღებული ჰქონდა)*, სარაჯის მხარეს დიდი სამხედრო დახმარება აღმოუჩინა თურქეთმა და ჰაფთარის ძალებმა თანდათან დაკარგეს მოპოვებული პოზიციები. ორივე მხარეს იბრძოდნენ რუსული *(ვაგნერის ჯგუფის მონაწილეობით, ხუსეთი მხარს უჭერდა ჰაფთარის ძალებს)* და თურქული ძალები *(უპილოტო საფრენი აპარატები „დრონები“ და სირიის ფრონტიდან შეგზავნილი ისლამური ჯიჰადისტების ჯგუფები)*. 2019 წლის 27 ნოემბერს კი, ფაიზ ას-სარაჯსა და რეჯებ თაიფ ერდოღანს შორის ტრიპოლიში ხელი მოეწერა მთელ რიგ ეკონომიკურ შეთანხმებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თურქეთის ენერგეტიკულ ინტერესებს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში *(ლიბია-თურქეთის სასაზღვრო მონაკვეთის დაფიქსირებით, ხმელთაშუა ზღვაში საძიებო სამუშაოების დაწყება)* და სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც თურქეთს საშუალებას აძლევს, სარაჯის მოთხოვნით, ლიბიაში თავისი სამხედრო კონტინგენტი შეიყვანოს და ამასთანავე, ლიბიის ოფიციალური მხარდაჭერის გარეშე, თურქეთი ვერ დაიცავს თავის სტრატეგიულ ინტერესებს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში *(ამიტომ, თურქეთი ყოველნაირად ეცდება სარაჯის ხელისუფლების დაცვისა და შენარჩუნებისთვის).*

2020 წლის დასაწყისში იდლიბის პროვინციაში უკიდურესად დაიძაბა მდგომარეობა. სირიის ეროვნულმა არმიამ, რუსული ავიაციის მხარდაჭერით იდლიბის რაიონში ჩაატარა მასირებული შეტევა, რის შედეგადაც მთლიანად დებლოკირებულ იქნა მთავარი ავტომაგისტრალი M-5 დამასკო-ალეპო და სირიის სამთავრობო ძალებმა გაათავისუფლეს საკვანძო ქალაქი სარაყიბი და ოპოზიციური ძალებისგან გაწმინდეს ალეპოს გარეუბნები. სირიის არმიის ასეთმა აქტიურმა წინსვლამ თურქეთის მხარის მწვავე რეაქცია გამოიწვია, რასაც მოჰყვა იდლიბის რაიონში თურქული არმიის ნაწილების შესვლა. 27 თებერვალს რუსეთის ავიაციამ განახორციელა დარტყმები ოპოზიციონერთა ძალების საყრდენ პუნქტზე, სადაც თურქი სამხედროებიც იყვნენ განთავსებული და შედეგად, 36 თურქი სამხედრო დაიღუპა. საპასუხოდ თურქული არმიის ნაწილებმა დაბომბეს სირიის არმიის დისლოკაციის წერტილები, უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით. 2020 წლის თებერვალში რუსეთსა და თურქეთს შორის სამხედრო დაპირიპირების ესკალაციის დიდი ალბათობა იყო და თურქეთის ხელისუფლებამ სცადა ნატოს ჩართვა მხარდაჭერის იმედით, მაგრამ ვერ მიაღწია. თურქეთი იძულებული გახდა 2020 წლის 5 მარტს მოსკოვში ერდოღანისა და პუტინის დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად, ხელი მოეწერა „დაზავებაზე“ და მხარეები შეთანხმდნენ სირიაში ახალი უსაფრთხოების ზონების შექმნაზე, სადაც რუსულ-თურქული სამხედრო-პოლიციური ჯგუფები ერთობლივ

პატრულირებას გაუწევდნენ სირია-თურქეთის საზღვრის მონაკვეთს და „უსაფრთხოების ზონას“.

2020 წლის ზაფხულში თურქეთისა და რუსეთის ლიდერებს პანდემიის რეჟიმის გამო, მხოლოდ სატელეფონო კავშირები ჰქონდათ ერთმანეთთან. ამავე წლის 23 აგვისტოს მოსკოვში შედგა შეხვედრები, რომელზეც თურქეთის მხარემ გამოთქვა სურვილი, რუსეთისგან C-400 სარაკეტო კომპლექსების მეორე პარტიის შეძენის თაობაზე და შესაბამის კონტრაქტს მოეწერა ხელი.

2020 წლის შემოდგომაზე რუსეთსა და თურქეთს შორის ახალი დაპირისპირების წყარო გაჩნდა - 27 სექტემბერს დაიწყო ყარაბაღის მე-2 ომი. წლების განმავლობაში აზერბაიჯანის მზადება თურქეთის სამხედრო სპეციალისტების ხელმძღვანელობით, რუსეთის ყურადღების ქვეშ მიმდინარეობდა, მაგრამ სირიასა და ლიბიაში მწვავე შეტაკებებისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში დაძაბულობის ესკალაციის ფონზე, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომის დაწყება ყველასთვის მოულოდნელობის ელფერს ატარებდა. როდესაც მსოფლიო ქვეყნების ყურადღება ყარაბაღში აზერბაიჯანული და სომხური არმიების შეტაკებებისკენ იყო მიპყრობილი, სირიის იდლიბის რაიონში *(თურქეთის საზღვრიდან 9 კილომეტრში),* თურქეთის მომხრე ოპოზიციის „სირიის თავისუფალი არმიის“ სამხედრო-საწვრთნელ ბანაკზე განხორციელდა საჰაერო თავდასხმა, რომელსაც 78 ადამიანი შეეწირა და 90 დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, შეტევა განხორციელდა რუსეთის ავიაბაზიდან „ხმეიმიმი“, რომელიც მდებარეობს ლატაკიის ნავსადგურთან ახლოს. შეტევის სამიზნე, სწორედ სირიაში თურქეთის სამხედრო ოპერაციების რაიონია არჩეული, რაც თავისთავად მიუთითებს რუსეთის მიერ თურქეთის შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილის დაბომბვის ფაქტზე (26.10.2020). საგულისხმოა, რომ რუსეთის აღნიშნული შეტევა დაემთხვა ყარაბაღის კონფლიქტში, თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანის გამოკვეთილი მხარდაჭერის აღიარებას და შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა მსგავსი სვლებით მიუთითა სირიის ფაქტორის მნიშვნელობაზე ყარაბაღში გაღვივებული ომის საპირწონედ. ცხადია, რომ რუსეთი არ აპირებს თურქეთის შემოშვებას თავის „უკანა ეზოში“ *(როგორც რუსეთი კავკასიას უწოდებს)* და არ მოითმენს მისი პოზიციების გამყარებას კავკასიაში. სწორედ ამას ემსახურებოდა რუსეთის შეტევა თურქეთის მიერ მხარდაჭერილ ოპოზიციის ძალებზე სირიაში, როგორც წკიპურტი უთავაზო გათამამებულ პარტნიორს. ყარაბაღის ომის შედეგებზე ადრე ვისაუბრეთ და ახლაც შემიძლია დავამატო, რომ ყარაბაღის კონფლიქტის გაღვივებას დაელოდა რუსეთი და როდესაც დარწმუნდა თურქეთის მხრიდან გათამამებული, თავდაჯერებული ამბიციების გამოვლენას, მაშინ ჩაერთო ამ კონფლიქტში და კავკასიის გეოპოლიტიკური სურათიც შეცვლილად შემოგვთავაზა. საბოლოოდ, სომხეთის და ყარაბაღის ტერიტორიაზე, რუსი „მშვიდობიმყოფელები“ ჩადგებიან, თურქები კი დამკვირვებლებად და კონტროლიორებად იმსახურებენ.

ამრიგად, მიუხედავად სერიოზული გეოპოლიტიკური განსხვავებული აზრისა და სამ საომარ კონფლიქტში *(სირია, ლიბია, ყარაბაღი)* ბარიკადების მოპირდაპირე მხარეს დგომისა, მაინც ინარჩუნებენ თანამშრომლობის საკმაოდ მაღალ და სტაბილურ მდგომარეობას. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობა ახერხებს ეკონომიკურ თანამშრომლობაში დაინახოს სტრატეგიული მარცვალი, რომელიც მომავლის იმედს უფრო ინარჩუნებს: აეს „აქკუიუს“ მნიშვნელობა; გაზსადენი „თურქული ნაკადი“; C-400 კომპლექსი; ტურიზმი; თურქული სამშენებლო კომპანიები. მაგრამ ორივე ქვეყნის საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები ყალიბდება მათი ჩართვით აქტიური საომარი მოქმედებების დროს, რომელსაც ახლავს მოულოდნელი შეტაკებების რისკი, „თვითმფრინავების კრიზისები“, ემოციური რეაქციები და უბრალოდ, ბოლომდე გაუთვლელი კონტროლირებადი ფაქტორები, რომელიც ხშირად მატულობს და შეუძლიათ ესკალაციები წარმოშვან. თურქეთისა და რუსეთის ინტერესების სფეროს (და შესაძლოა დაპირისპირების გამწვავებას),

მოსალოდნელია დაემატოს ავღანეთის პრობლემა. აშშ-ის და ნატოს ძალების ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, თურქეთის გეგმები ქაბულის აეროპორტის დაცვა-გაკონტროლებისა და ცენტრალური აზიის თურქულენოვანი ქვეყნების საზღვართან უშუალო დაახლოვების შესაძლებლობები, თურქეთის „ნეოოსმანური“ და „თურანული“ ამბიციების აღზევებას გამოიწვევს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის „სამხრეთი უბის“ სტრატეგიულ ინტერესებს და ცენტრალური აზიის „თიურქულ“ სახელმწიფოებთან გაფორმებულ „კოლექტიური უსაფრთხოების“ ხელშეკრულებას. რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები უზბეკეთისა და ტაჯიკეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ავღანეთის საზღვრებთან სამხედრო წვრთნებს გადიან. ჯერჯერობით ტალიბები, რომლებიც ავღანეთის ტერიტორიის 90%-მდე აკონტროლებენ, კონსულტაციებს რუსეთთან გადიან, ხოლო თურქეთის არმიის ნაწილების ავღანეთში დამკიდრებას არ მიესალმებიან. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებმა არაერთხელ გვიკარნახა, რომ ადრე თუ გვიან თურქეთის და რუსეთის ინტერესები, „სადმე ან რომელიმე მონაკვეთზე“ ერთმანეთს სერიოზულად შეეჯახებიან.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი დაკავშირებულია თურქეთის ეკონომიკის მომავალ ფინანსურ კოლაფსთან. სიტუაცია დღითიდღე უარესდება და ანალიტიკოსები პროგნოზირებენ, რომ თურქეთი საგარეო ფინანსური დახმარების გარეშე დიდხანს ვერ გასტანს. თურქეთის მოთხოვნილებათა სრულ მასშტაბებს რუსეთი ვერ დააკმაყოფილებს, მსოფლიო სავალუტო ფონდს ერდოღანი დახმარებას ვერ მოსთხოვს და მოუწევს დახმარებისთვის დასავლეთის ქვეყნებს მიმართოს.

და ბოლოს. ჯო ბაიდენის განცხადება, რომ მისი ადმინისტრაცია ერდოღანთან უფრო მკაცრ დიალოგს დაიწყებს ვიდრე წინა მთავრობა და თურქეთი თავის პოლიტიკაში, რუსეთს არ უნდა ენდობოდეს. ხოლო ხსენებული სიტყვები საკმარისია იმისთვის, რომ მომავალს დაველოდოთ და ყურადღებით მივადევნოთ თვალი. თურქეთი და რუსეთი, ორივე ისტორიის თანამედროვე გაკვეთილს გადიან.

ლ ე ქ ც ი ა 10

(თურქეთის საგარეო პოლიტიკის თავისებურებანი ბალკანეთის ქვეყნებთან ურთიერთობებში. კიპროსის საკითხი და თურქეთ-საბერძნეთის რეგიონული პრობლემები)

ბალკანეთი, თურქეთის გეოგრაფიულ, ისტორიულ-კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესს წარმოადგენს. იგი თურქეთისთვის ხიდის როლს ასრულებს კონტინენტურ ევროპასთან დასაკავშირებლად. ისტორიის მანძილზე, ოსმალეთის იმპერია საკმაოდ დიდი ხნით ფლობდა ბალკანეთის სახევარკუნძულს *(1389 წლის კოსოვოს ბრძოლიდან დაწყებული 1912-1913 წლების ბალკანეთის ომებამდე)* და ბალკანელ ხალხს მრავალი ბრძოლა გადაუტანიათ ოსმალეთის ბატონობიდან თავის დახსნის მიზნით. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბალკანეთის გეოგრაფია, რომლის შემდეგაც ბულგარეთი, რუმინეთი, ალბანეთი და საბერძნეთი ცალკე სახელმწიფოებად მოგვევლინენ. ასევე 1918 წლიდან წარმოიშვა სერბეთის, ხორვატიის და სლოვენიის ერთიანი სამეფო, რომელსაც 1929 წლიდან იუგოსლავია *(სამხრეთ სლავია)* ეწოდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და სოციალისტური ბანაკის წარმოშობის შემდეგ შეიქმნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რომელშიც ცალკე რესუბლიკებად შევიდნენ სერბეთი *(ჩეხოგოხესთან ერთად)*, სლოვენია, ხორვატია, ბოსნია-ჰერცეგოვინა და მაკედონია. „ცივი ომის“ პერიოდში თურქეთს, ბალკანეთის რეგიონთან ერთის მხრივ, „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებთან: ალბანეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, იუგოსლავიის ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან რთული ურთიერთობები უწევდა და მეორეს მხრივ, ნატოს წევრ მეზობელ საბერძნეთთან, რომელთანაც დაძაბული მდგომარეობა მუდამ შენარჩუნებული ჰქონდა კიპროსისა და ეგეოსის ზღვის კუნძულების პრობლემებთან დაკავშირებით, „გულღია“ ურთიერთობები ვერ მყარდებოდა. „ცივი ომის“ წლებში ალბანეთი, თავისი „ზესოციალისტური“ პოლიტიკის გამო, ევროპის იზოლირებულ ქვეყნად ჩამოყალიბდა, მაგრამ სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, ბალკანეთის ქვეყნებს შორის გამორჩეულად, თურქეთის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია *(1990 წელს ევროპაში, მუსლიმი მოსახლეობის ხაოდენობით თუხქეთის შემდეგ, აღბანეთი მეოხე ქვეყანა იყო)*, რაც გამოიხატა თურქეთის მხრიდან ალბანეთისთვის, დიპლომატიური, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური დახმარების უზრუნველყოფით. ბულგარეთში, სადაც მოსახლეობის დაახლოვებით 10 % თურქული ეთნოსის წარმომადგენელი იყო, კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, მიმდინარეობდა მათი „გაბულგარელება“ და გვარების სლავური დაბოლოებით გადაკეთება *(სულეიმანოვი, უზუნოვი, გიუზელევი, გიაუხოვი, სელიმსკი, შაღამანოვი და სხ.)*. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მრავალგზის ევროპის ჩემპიონი ძალოსნობაში ნაიმ სულეიმანოვი 1985 და 1986 წლებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ბულგარეთის სახელით. 1986 წელს მელბურნში მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას, იგი არ დაბრუნდა ბულგარეთის სპორტული დელეგაციის საცხოვრებელში, თურქეთში გაიქცა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენის საერთაშორისო სარბიელზე სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლის ნებართვა, ბულგარეთის „ძალოსნობის სპორტულ ფედერაციას“ უნდა გაეცა, რაზეც ბულგარეთის მხარე უარს აცხადებდა. ბულგარეთის მხარემ ვერაფერი დაუპირისპირა აღნიშნულ ფაქტს და თურქეთის სახელმწიფოსგან მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი დოლარი მოითხოვა, რაც მიიღო კიდეც და ნაიმ სულეიმანოვი, უკვე სულეიმანოღლუს სახელით და თურქული დროშის ქვეშ, კიდევ ხუთჯერ გახდა მსოფლიო და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

ბულგარეთში მცხოვრები თურქების ასიმილირების პროცესთან დაკავშირებით, რომელსაც ბულგარეთის კომპარტიის ლიდერი ტოდორ ჟივკოვი ხელმძღვანელობდა, 1989 წელს გამოიწვია ეთნიკური თურქებისა და

მუსლიმების გადასახლება თურქეთში *(დაახლოვებით 320 ათასმა მოქალაქემ დატოვა ბულგარეთი)*. 1990 წლიდან ბულგარეთის ხელისუფლებაში ჟელიუ ჟელევის მოსვლისა და ძველი კომუნისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ, თურქეთსა და ბულგარეთს შორის ურთიერთობებში ახალი ხანა დაიწყო და გადასახლებულ თურქებს ბულგარეთში დაბრუნების უფლება მისცეს *(ბევრმა უარი თქვა დაბრუნებაზე და თურქეთში დარჩა)*. 1991 წელს ბულგარეთში, ადგილობრივმა თურქებმა საკუთარი პოლიტიკური პარტია შექმნეს „მოძრაობა უფლებებისა და თავისუფლებისთვის“, რომელთაც ბულგარეთის სახალხო კრებაში თავისი დეპუტატებიც გაიყვანეს. საინტერესოა, რომ ბულგარეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, აღნიშნული პარტია ევროპარლამენტის არჩევნებშიც მონაწილეობს და 2014 წელს ევროპარლამენტში ბულგარეთისთვის გამოყოფილი 17 სადეპუტატო ადგილიდან, 4 მათ ეკუთვნით *(თურქები, მაინც ზიან ევროპარლამენტში)*. ორ ქვეყანას შორის ურთიერთ ნდობისა და უსაფრთხოების გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს, 1992 წელს თურქეთ-ბულგარეთის საზღვრიდან შეიარაღებული ძალების ორმხრივი გაყვანა. იმავე წელს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა „მეგობრობის, კეთილმეზობლობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების“ ხელშეკრულებას. ბულგარეთის „ნატო“- ში გაწევრიანების საკითხებში, ნატოს წევრი ქვეყნებიდან, ყველაზე მეტად მხარს, თურქეთი უჭერდა. ეკონომიკის სფეროში, თურქული ინვესტორების და ბიზნესმენების აქტივობით, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა გაფართოვდა. თუმცა, 1994 წელს ბულგარეთში ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში „სოციალისტების“ გამარჯვების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის თითქმის 4-წლიანი „თაფლობის თვე“ დასრულდა. 1994-1997 წლების პერიოდში თურქეთ-ბულგარეთის ურთიერთობებში უძრაობის პერიოდი დადგა, მაგრამ 1997 წლის არჩევნებში “სოციალისტები“ დამარცხდნენ და ორ ქვეყანას შორის ადრინდელი თანამშრომლობის აღდგენის საშუალება გაჩნდა, თუმცა 1990-1994 წლების დონეს ვერ მიაღწია *(ამავე პერიოდში ძაღზე გააქტიურდა ბულგარეთ-საბერძნეთის ურთიერთობები, რამაც უარყოფითი დაღი დაამჩნია თურქეთთან თანამშრომლობის აღდგენის პროცესს)*. საგულისხმოა, რომ 1997 წლის ნოემბერში ბულგარეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი *(თურქული წინა ვიზიტი მხოლოდ 19 წლის წინ განხორციელდა)*, რომელმაც თურქეთის მხრიდან ბულგარეთის მიმართ ღია და გახსნილი საგარეო პოლიტიკის გონივრულად წარმართვა დააანონსა.

ამავე პერიოდიდან, ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის მხრიდანაც, საერთაშორისო ლექსიკაში თანდათან დამკვიდრდა ბალკანეთის რეგიონის გეოგრაფიულ მხარეებად დაყოფის ტერმინოლოგია: ბულგარეთი-რუმინეთი (მოლდოვაც) - აღმოსავლეთ ბალკანეთად, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები და ალბანეთი - დასავლეთ ბალკანეთად, ხოლო საბერძნეთი - სამხრეთ ბალკანეთად მოიხსენებიან.

2003 წლიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები აჰმედ დავუთოღლუს „სტრატეგიული სიღრმის“ საფუძვლებშია ჩადებული, რომ ბალკანეთის მიმართ თურქეთმა, ძირითადად ორ ასპექტს უნდა მიაქციოს ყურადღება: პირველი, აქტიურად ჩაერთოს მუსლიმური უმცირესობების, რომლებიც „ოსმალურ მემკვიდრეობას“ წარმოადგენენ, მათი პრობლემების მოგვარების საქმეში; და მეორე, არ დაუშვას რაიმე „ბალკანური ბლოკის“ შექმნა, რომელიც მიმართული იქნება თურქეთის წინააღმდეგ. სწორედ ბულგარეთთან ურთიერთობაში თურქეთს, ყველაზე რთული საკითხი ეხება ბულგარეთში მცხოვრები თურქული უმცირესობის მდგომარეობას. თურქეთის საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტს ბალკანეთში წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის თურქულ და მუსლიმურ ჯგუფებზე ორიენტირებული თურქეთის ინტერესების განხორციელება. *ცნობისათვის: ბალკანეთის რეგიონში, ქვეყნების მიხედვით მუსლიმური მოსახლეობა დაახლოვებით შეადგენს: ალბანეთი - 70%; კოსოვო - 60%; ბოსნია-ჰერცეგოვინა - 44%; მაკედონია - 33%; ჩერნოგორე – 17%; ბულგარეთი - 9%; სერბეთი - 3%; დანარჩენებში 1% - დან - 2% - მდე.*

„ცივი ომის“ დასრულებისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ყველა რესპუბლიკამ დაიწყო დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და თურქეთმა პირველმა, 1992 წლის 6 თებერვალს ყველა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ერთდროულად აღიარა *(მათ შორის ბოსნია-ჰერცეგოვინაც, რომელსაც ჯერ ოფიციალურად არ ჰქონდა გამოცხადებული დამოუკიდებლობა).* თურქეთმა 1992 წლის 26 აგვისტოს, ასევე ერთდროულად ყველა რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა.

იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკებიდან ოფიციალურად დამოუკიდებლობა, პირველ რიგში გამოაცხადეს *(1991 წლის 25 ივნისს)* ევროპულ ცივილიზაციასთან, ანუ დასავლეთ სამყაროსთან მენტალობით ახლო მდგომმა სლოვენიამ და ხორვატიამ. შემდეგი რესპუბლიკა იყო მაკედონია, რომელმაც 1991 წლის 8 სექტემბერს ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1945 წელს სოციალისტური იუგოსლავიის ფედერაციის შექმნიდანვე სახელმწიფოს მეთაურის იოსეპ ბროზ ტიტოს *(წარმოშობით ხორვატი)* გადაწყვეტილებით, სერბეთი, ქვეყნის წამყვან რესპუბლიკად, ხოლო დედაქალაქად ბელგრადი ითვლებოდა. საერთოდ სერბეთი ოფიციალურად, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობიდან დამოუკიდებლად გამოცხადდა ბერლინის კონგრესის შედეგად, 1878 წლის 13 ივლისს.

ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობის გამოცხადებას 1992 წლის 6 აპრილს, მაშინვე მოჰყვა საომარი მოქმედებები, რომელსაც შემდგომში „ბოსნიის ომი“ ეწოდა. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერალურ რესპუბლიკას 1991 წელს გამოეყვნენ სლოვენიის, ხორვატიის, მაკედონიის რესპუბლიკები და ახლა, როდესაც ჯერი ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე მიდგა, ბოსნიაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების *(ბოსნიის ტერიტორიაზე ცხოვრობენ: ბოსნიელები - 44%, ძირითადად მუსლიმები; სერბები - 31%, ძირითადად მართლმადიდებლები; ხორვატები - 17%, ძირითადად კათოლიკეები)* ინტერესები ერთმანეთს გადაეხლართა, ვინაიდან ყველას თავისი ტერიტორიული წილის მიღება სურდა. მანამდე 1992 წლის 29 თებერვალს ბოსნიაში ჩატარდა რეფერენდუმი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზნით, რომელშიც ბოსნიის სერბებმა მონაწილეობა არ მიიღეს და ბოსნიის ტერიტორიაზე საკუთარი სერბეთის რესპუბლიკის *(Republika Srpska)* შექმნა გამოაცხადეს. ბოსნიის, ძირითადად მუსლიმი მოსახლეობის *(მუსლიმი სლავები, ბოშნაკად იწოდებიან)* მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გაჩაღდა ომი, ბოსნია-ჰერცეგოვინის რესპუბლიკის არმიას *(ძირითადად მუსლიმური),* ხორვატიის თავდაცვის საბჭოსა და ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს შორის. ამ სიტუაციაში, 1992 წლის აპრილში სერბეთმა და ჩერნოგორემ ფედერაცია შექმნეს და ისევ იუგოსლავიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელი შეინარჩუნეს.

ბოსნია-ჰერცეგოვინა, მხოლოდ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კი არა, თავისი დიდი განსაცდელის, ომისა და ეთნიკურ-რელიგიური წმენდის გამო, „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულების მთავარი განმსაზღვრელი ვექტორი გახდა. თურქეთი მაშინვე ჩაერთო „ბოსნიის ომის“ მოგვარების პერიპეტიებში, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციების მაგიდაზე, ბრძოლის ველზე საერთაშორისო ძალებთან მხარდამხარ, საერთაშორისო დიპლომატიურ და სამხედრო ინიციატივებში, ყველგან ბოსნია-ჰერცეგოვინის მხარდამჭერ და მხურვალე აქტიურ პოლიტიკას ავლენდა. საკმაო პერიოდის მანძილზე, ბალკანეთის მიმართ საგარეო პოლიტიკის წარმოებაში, თურქეთის ყოველდღიური გამოთქმა გახდა „ბოსნია-ჰერცეგოვინა და დანარჩენები“.

1992 წლიდან მოყოლებული, ბოსნიაში განვითარებული სისხლისღვრისა და ეთნიკურ-რელიგიური წმენდის შეჩერების მიზნით ყველა საერთაშორისო ორგანიზაციებში: გაერო, ნატო, ეუთო, ევროსაბჭო, ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია და სხვა შეკრებებზე მოუწოდებდა ბოსნიელი ხალხის დაცვისა და დახმარებისაკენ. აქტიურად მონაწილეობდა გაეროს სამშვიდობო

ძალებთან (*UNPROFOR, IFOR, SFOR)* ერთად სახმელეთო ოპერაციებში 1500 ჯარისკაცით, ხოლო ნატოს მიერ ბოსნიელი სერბების ავიაბაზებზე „მოფიქრებული ძალა“- ს ფარგლებში საჰაერო დარტყმების ოპერაციებში, თურქულმა თვითმფრინავებმა 78 საბრძოლო გაფრენა განახორციელეს. „ბოსნიის ომის“ ყველაზე სისხლიანი ფურცელი დაიწერა 1995 წლის 11 ივლისს, როდესაც ბოსნიელი სერბების არმიის ჯარისკაცებმა გენერალ რატკო მლადიჩის მეთაურობით, სრებრენიცაში ამოწყვიტეს 8 ათასზე მეტი მუსლიმი მამაკაცი (10-დან 70 წლამდე). „სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტა“ მიჩნეულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლიან დანაშაულად და 2007 წლის იანვრიდან საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მას „გენოციდის“ სახელით მოიხსენიებენ. 2009 წლის იანვარში კი, ევროპარლამენტმა 11 ივლისი სრებრენიცაში გენოციდის ხსოვნის დღედ გამოაცხადა.

აღნიშნული მოვლენების შემდეგ, ნატომ შეიმუშავა სამოქმედო პროგრამა, რომელიც გულისხმობდა სერბების სამიზნეების დაბომბვას და სერბების არმიის შენაერთების ბოსნიელთა სხვა „უსაფრთხოების ზონებზე“ თავდასხმის შემთხვევაში, ნატო მათ ძალის გამოყენებით დაემუქრა. შემდგომში, ბოსნიელთა მთავრობის მეთაურის ალია იზეტბეგოვიჩის განცხადების - სრებრენიცას მასიურ ხოცვა-ჟლეტასა და სარაევოს ბაზარში განხორციელებული აფეთქებების შედეგად ბოსნიელთა დიდი მსხვერპლის გაღების შესახებ, დაიწყო სერბეთის რესპუბლიკის (ბოსნიაში) მასიური დაბომბვები, რომელშიც ნატოს ძალების დახმარებით ადგილობრივმა ხორვატებმა და ბოშნაკებმა მთელი რიგი წარმატებული ოპერაციები ჩაატარეს, რამაც საფუძველი შეუქმნა „დეიტონის შეთანხმების“ ხელმოწერას.

თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი 1995 წლის 22 ივლისს შუამავლის როლში მოგვევლინა ბოსნიელებისა და ხორვატების მოლაპარაკებებში, რომლის შედეგადაც აღნიშნული ორი მხარე, ერთიანი ფრონტით გამოვიდა სერბების შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. ბოსნიის ომის წლებში თურქეთის მხარემ 150 ათასამდე ბოსნიელი ლტოლვილი შეიფარა, ასეულობით დაჭრილს სტამბოლში უმკურნალა და ათასობით ტონა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო საშუალებების დახმარება მიაწოდა. თურქი ხალხი ძალზე თბილად იყო განწყობილი ბოსნიელი მუსლიმების მიმართ და დიდ ყურადღებას იჩენდა მათ მიმართ. 1995 წელს ტრაპიზონის ახალ რაიონში (ბეშირლი), ზღვის პირას ახლად გაშენებულ გართობისა და დასვენების პარკს „Saray – Bosna Parkı“(*თუჰქები - სარაევოს, სარაი-ბოსნას უწოდებენ, ანუ ბოსნიის სასახლე)* სახელი ეწოდა *(პირადად ვმონაწილეობდი ცერემონიაზე*).

სრებრენიცაში დატრიალებული სასაკლაოს მთავარი ჯალათი რატკო მლადიჩი, მაშინვე საერთაშორისო დამნაშავედ გამოცხადდა და ძირითადად სერბეთს აფარებდა თავს *(პირადად სერბეთის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი მფარველობდა).*

2000 წელს მილოშევიჩის გადაყენების შემდეგ მლადიჩი გაუჩინარდა და მისი ადგილსამყოფელი ოფიციალურად ცნობილი არ იყო *(WikiLeaks-ის ცნობით ჰუსეთის უფს- მა იცოდა მლადიჩის მისამართი, მაგრამ მალავდა ამ ინფორმაციას).* საბოლოოდ, რატკო მლადიჩი 2011 წლის 26 მაისს დააკავეს სერბეთში და 2017 წლის 22 ნოემბერს ჰაგის ტრიბუნალმა მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა *(ჰუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2017 წლის 24 ნოემბერს ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ათასობით უდანაშაულო ადამიანის მკვლელისთვის, სამუდამო პატიმრობის განაჩენს „წინასწარშეთითხნილი და პოლიტიზებული“ უწოდა).*

ბოსნიის ომი, რომელიც 3 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა, ძირითადად აშშ-ის ძალისხმევით, 1995 წლის 21 ნოემბერს აშშ-ის ოჰაიოს შტატში დეიტონის სამხედრო ბაზაზე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა. იმავე წლის 14 დეკემბერს პარიზში ბოსნიის პრეზიდენტმა ალია იზეტბეგოვიჩმა, ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა და სერბეთის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა ხელი

მოაწერეს ისტორიულ დოკუმენტს „დეიტონის შეთანხმებას“, რომლის თანახმადაც ბოსნია-ჰერცეგოვინის სახელმწიფოს 51%, ბოსნია-ჰერცეგოვინის ფედერაციული სახელმწიფოს განკარგულებაში გადავიდა *(დედაქალაქი - სარაევო)*, ხოლო მისი 49% სერბეთის რესპუბლიკის (Republika Srpska) განკარგულებაში *(დედაქალაქი - ბანია ლუკა)*. ბოსნია-ჰერცეგოვინის სახელმწიფოს უხელმძღვანელებს პრეზიდიუმი, რომელშიც აირჩევა ქვეყნის 3 ეთნიკური ჯგუფის (ბოსნიელი, ხორვატი, სერბი) წარმომადგენელი და რიგრიგობით, თითო წლით ოფიციალურად, ყველა დონეზე შეასრულებენ პრეზიდენტის მოვალეობას.

ნატოს საერთაშორისო კოალიციის შეიარაღებულ ძალებთან ერთად თურქეთის მონაწილეობა ბალკანეთის რეგიონში შექმნილი ეთნიკური, თუ რელიგიური კონფლიქტების აღკვეთისა და მოგვარების საკითხებში, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ, რათა თურქეთს რეგიონში აქტიური აქტორის იმიჯი მოეპოვებინა. მომდევნო პერიოდში ბალკანეთში წარმოიშვა კიდევ ერთი სერიოზული კრიზისული სიტუაცია, რომელსაც „კოსოვოს პრობლემა“ ჰქვია. 1998 წელს გამწვავდა კონფლიქტი სერბეთის ავტონომიურ მხარე კოსოვოში *(კოსოვოს და მეტოხიის ავტონომიური ოლქი)*, სადაც ადგილობრივი ალბანური მოსახლეობა დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით აუჯანყდა სერბიულ მმართველობას, რომელიც სერბი პოლიციელებისა და „კოსოვოს განთავისუფლების არმიას“ შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა და ფაქტიურად სამოქალაქო ომი დაიწყო *(„კოსოვოს განთავისუფლების ახმია“ ოფიციალურად შეიქმნა 1998 წლის 28 თებერვალს, როდესაც კოსოვოში ბრძოლები დაიწყო. მათ მომზადებაში თურქეთმა დახმარება გაუწია კოსოვოელ აღბანელებს, როდესაც თურქეთის ეროვნული დაზვერვის სამმართველო, კოსოვოს განთავისუფლების ახმიის მებრძოლებს წვრთნებს უტარებდა იზმირში)*.

ძალადობის ესკალაციის აღკვეთის მიზნით, აღნიშნული კრიზისის დარეგულირების მცდელობაში ჩაერთო გაერო, ევროკავშირი, ეუთო და საკონტაქტო ჯგუფი, რომელთაც 1999 წლის თებერვალში პარიზის ახლოს (რამბუიეში), სერბები და კოსოვოელი ალბანელები სამშვიდობო გეგმაზე დაითანხმეს. მოგვიანებით სერბებმა კოსოვოს ავტონომიის უფლებების გაზრდისა და ნატოს შეიარაღებული ძალების კონტინგენტის განთავსებაზე უარი თქვეს, რამაც ნატოს ბლოკის მხრიდან საბრძოლო მოქმედებების დაწყებას შეუწყო ხელი.

ცნობისათვის: *კოსოვო - ისტორიული სერბეთის ნაწილია, სადაც 1389 წელს გაიმართა ცნობილი „კოსოვოს ომი“. თვით გეოგრაფიული დასახელება „კოსოვო“ სლავური ტოპონიმია და დღესაც კოსოვოს სახელით მრავალი დასახლებული პუნქტი არსებობს: ბულგარეთში - 4; პოლონეთში - 6; რუსეთში - 9. ასევე ბელარუსსა და უკრაინაში. აღბანელები იქ მე-15 საუკუნის ბოლოდან გაჩნდნენ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის ოფიციალურად დაწყებამდე, როდესაც იტალია შეიჭრა აღბანეთში (1939 წლის 7 აპრილი), ბევრმა აღბანელმა მაშინდელი იუგოსლავიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს (სერბეთი, მაკედონია) შეაფარა თავი.*

1999 წლის 24 მარტს ნატოს ძალებმა დაიწყეს იუგოსლავიის საჰაერო თავდაცვითი ძალების წინააღმდეგ მასირებული ავიადარტყმები, რამაც უზარმაზარი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია იუგოსლავიის (სერბეთის) სამხედრო, სტრატეგიული, სამრეწველო და სახალხო მეურნეობის ობიექტების დაბომბვის შედეგად. მთლიანად განადგურდა იუგოსლავიის სამხედრო-სამრეწველო ინფრასტრუქტურა. თურქეთმა, როგორც ნატოს ალიანსის წევრმა-ქვეყანამ აქტიურად დაუჭირა მხარი იუგოსლავიის (სერბეთის) დაბომბვებს, რომელშიც თვრამეტმა თურქულმა ავიაგამანადგურებელმა მიიღო მონაწილეობა.

ნატოს ძალების სამხედრო ოპერაცია დასრულდა 1999 წლის 10 ივნისს. მაკედონიის ქალაქ კუმანოვოში (სერბეთის საზღვართან ახლოს) ხელი მოეწერა სამხედრო-ტექნიკურ შეთანხმებას ნატოს და იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, რომლის თანახმადაც, კოსოვოს

ტერიტორიიდან დაიწყო იუგოსლავიის ჯარების გაყვანა. იმავე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1244, რომლის საფუძველზეც კოსოვოში გაეროს ეგიდით განთავსდა საერთაშორისო სამოქალაქო ჯგუფები და საერთაშორისო უსაფრთხოების ძალები (KFOR) ნატოს კონტინგენტის მონაწილეობით; სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 40 ათასს, მათ შორის თურქეთის სამხედრო ძალები კოსოვოში, 3 ათას მოსამსახურეს შეადგენდა. კოსოვოში ომის დასრულების შემდეგ, თურქეთი ყოველნაირად უწყობდა ხელს კოსოვოს სტაბილურობისა და უსაფრთხოების გამყარებაში, თავის საერთაშოირისო მისიებში აქტიური მონაწილეობის საშუალებით. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვომ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა სერბეთისგან. მეორე დღეს, 18 თებერვალს თურქეთმა ერთ-ერთმა პირველმა სცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა *(იმავე დღეს სცნეს აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, აღბანეთმა. დღეისათვის კოსოვოს დამოუკიდებლობა სცნო მსოფლიოს 98 სახელმწიფომ).*

თურქეთის მმართველმა „სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ“ AKP ოპერატიულად მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოს სასწრაფოდ ცნობაზე, ვინაიდან თურქეთში 6 მლნ - მდე ეთნიკური ალბანელი ცხოვრობს და ისინი მთავრობასა და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მრავლად არიან, თანაც თურქეთის როგორც საშინაო, ისევე საგარეო პოლიტიკაზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლიათ. თურქეთი მჭიდროდ თანამშრომლობს კოსოვოსთან და პოლიტიკურ მხარდაჭერას არ აკლებს კოსოვოს რესპუბლიკას ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილში. თურქეთი ეკონომიკურ სფეროშიც დიდ დახმარებას უწევს კოსოვოს და კოსოვოში ეთნიკური თურქები 20 ათასზე მეტნი ცხოვრობენ. ისინი თურქული ინვესტიციებით კოსოვოში საკმაოდ სასარგებლო საქმიანობას ეწევიან მეტად მნიშვნელოვანი ავტომაგისტრალებისა და პრიშტინას აეროპორტის მშენებლობაში. საგულისხმოა, რომ 2010-იან წლებში თურქეთის მთავრობამ კოსოვოს რესპუბლიკას სთხოვა სასკოლო სახელმძღვანელოებში შეეტანათ შესწორებები ოსმალეთის პერიოდის შესახებ. კოსოვოს ხელისუფლებამ განიხილა თურქეთის თხოვნა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსში შესაბამისი შესწორებები განეხორციელებინათ. 2013 წლის ოქტომბერში თავისი ოფიციალური ვიზიტის დროს კოსოვოში, თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქებსა და კოსოვარებს *(კოსოვოში მცხოვრებ აღბანეღებს ასე უწოდებენ თურქეთში)* აერთიანებს ერთიანი ისტორია, კულტურა, ცივილიზაცია, და საერთოდ ეს ორი ერი, მოძმე ხალხია. შემდეგ კი დაამატა, რომ საერთოდ „თურქეთი - კოსოვოა, ხოლო კოსოვო - თურქეთი“. რეჯებ თაიფ ერდოღანს *(პრემიერს, გინდ პრეზიდენტს)* ხშირად უყვარს პოპულისტური განცხადებები.

1990-იანი წლების ბოლოს, ყოფილი იუგოსლავიის ცენტრალური რესპუბლიკის, სერბეთის ავტონომიურ ოლქში კოსოვოში, ალბანელების მიერ წამოწყებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის *(ომეღიც წარმატებით დასრულდა და ოეგიონში საერთაშორისო სამშვიდობო ძაღები განთავსდნენ)*, მალე გავრცელდა ალბანელებით დასახლებული მეზობელი მაკედონიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებშიც, სადაც კოსოვოს მაგალითზე 2001 წელს შეიქმნა ალბანელთა „ეროვნული განთავისუფლების არმია“ (მაკედონიაში მდგომარეობა დაძაბა კოსოვოდან 200 ათასი დევნილის გადმოსვლამ). მართალია, დაპირისპირება მძაფრ ბრძოლებში არ გადაზრდილა და დასავლეთის შუამავლობით სიტუაცია დროებით დაშოშმინდა. მაკედონიის მთავრობამ გააუმჯობესა მაკედონიის ალბანელთა სტატუსი და ალბანელებით დასახლებულ რაიონებს თვითმმართველობის საკმაოდ მაღალი რეიტინგი შეუქმნა, თუმცა კონფლიქტი ბოლომდე არ გადაწყვეტილა და პრობლემებიც არ ამოწურულა, ვინაიდან „დიდი ალბანეთის“ შექმნის მეგა-პროგრამა, ალბანელ ნაციონალისტებს კვლავ გეგმაში აქვთ. 2008 წელს, კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების

შემდეგ, მაკედონიის ალბანელთა ლიდერმა ალი ახმედიმ განაცხადა, რომ „ეროვნული განთავისუფლების არმია“ განაახლებს თავის მოქმედებებს, რამაც აიძულა მაკედონიის მთავრობა 2008 წლის ოქტომბერში ეცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა. და კიდევ, ალბანელებმა მიაღწიეს, რომ 2019 წლის იანვრიდან ალბანური ენა, მეორე სახელმწიფო ენად იქნა აღიარებული მაკედონიაში. ბალკანეთის რეგიონში, კერძოდ სერბეთის სამხრეთით *(ჩეხნოგორეს ესაზღვრება)*, კიდევ ერთი მუსლიმებით დასახლებული რაიონი არსებობს, რომელიც თურქეთის საგარეო-პოლიტიკური ინტერესების არეალშია მოქცეული. ოსმალეთის ბატონობის შემდეგ დარჩენილი ადმინისტრაციული ერთეული სანჯაყი *(1913 წლამდე ოსმალეთის ხელში იყო)*, ახლაც ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობაში “სანჯაყ“ - ის სახელით შემორჩა, თუმცა ადმინისტრაციული ცენტრის (ნოვი პაზარ) გავლენით სლავურად „ნოვოპაზარსკი სანჯაკ“ ეწოდება. სერბები დღესაც, ძველი სლავური სახელით -„რაშკა“, მოიხსენიებენ. ნოვოპაზარსკი სანჯაყის, ანუ რაშკას მოსახლეობის 52% - სლავი მუსლიმია (მათგან 45% - ბოშნაკი), 36% - სერბი, 7% - ჩერნოგორიელი. დანარჩენი - ალბანელი, ბოშა და სხ.

თურქეთი, ბალკანეთის რეგიონის ცენტრალურ და სტრატეგიულ ძალად სერბეთს განიხილავს და მიუხედავად ისტორიული, კულტურული, ეთნიკური და რელიგიური სახის შეუთავსებლობისა, მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის პოლიტიკურ გამოცდილებას და გეოგრაფიულ მდებარეობას. ამიტომ ძალზე დიდი გამოძახილი ჰქონდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ ერდოღანის ვიზიტს სერბეთში 2010 წლის ივლისში. სერბეთში ჩასვლამდე, 11 ივლისს ერდოღანი ეწვია სრებრენიცას, სადაც აღინიშნებოდა „ბოსნიის ომის“ ტრაგიკული დღე, როდესაც 1995 წლის 11 ივლისს სერბიის შეიარაღებულმა ძალებმა 8 ათასი მუსლიმი მამაკაცი (ბავშვების ჩათვლით) ამოხოცეს. ერდოღანმა თბილად გაიხსენა ბოსნიის პირველი პრეზიდენტი ალია იზეტბეგოვიჩი და აღნიშნა, რომ როდესაც ანკარაში მოინახულა მომაკვდავი იზეტბეგოვიჩი, მან სთხოვა ერდოღანს, მიეხედა ბოსნიელებისა და ბალკანელი მუსლიმებისათვის, როგორც მათ მფარველსა და დამცველს.

ეჰდოღანი აღია იზეტბეგოვიჩის საფლავთან

12 ივლისს ერდოღანმა ბელგრადში თავის კოლეგა მირკო ცვეტკოვიჩთან მეტად სასარგებლო მოლაპარაკებების შემდეგ, სერბეთის პრეზიდენტ ბორის ტადიჩის თანხლებით, ნოვოპაზარსკი სანჯაყს მიაშურა, მოინახულა იქაური თურქული კულტურის სახლი და შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და რელიგიურ მსახურებს. სერბეთის პრეზიდენტის განცხადებით, თურქეთი და სერბეთი სტრატეგიულ ურთიერთობებს ამყარებენ და მიზნად ისახავენ საფუძველი ჩაუყარონ ერთობლივი ტრანსევროპული დერეფნებისა და რეგიონული ტრასების მშენებლობას სანჯაყის ტერიტორიის

გამოყენებით. მანვე აღნიშნა, რომ ნოვი-პაზარში იწყება მსხვილი კულტურული ცენტრის მშენებლობა, რომელიც „შეისწავლის ისლამურ და თურქულ ისტორიასა და კულტურას, რაც კიდევ ერთხელ გამოავლენს სერბიული საზოგადოების მულტიეთნიკურსა და პოლიკონფესიურ განწყობას“. სერბეთის მაშინდელი პრეზიდენტის ბორის ტადიჩის განცხადების და ისლამის მიმართ ტოლერანტული განწყობის დამადასტურებლად, სამაგალითო ნიმუშად გამოდგება სერბეთის მთავარი მუფტის მუამერ ზუკორლიჩის ცნობილი პიროვნება. მუფტი მუამარ ზუკორლიჩი, რომელიც 2016 წლიდან სერბეთის ეროვნული კრების ვიცე-პრეზიდენტია, ამავე დროს გახლავთ სანჯაყის პირველი ისლამური გაზეთის „ისლამის ხმა“ ფუძემდებელი და რედაქტორი. ნოვი-პაზარის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრეზიდენტი, მისი დამაარსებელი და პირველი რექტორი. მუფტი მუამარ ზუკორლიჩი ბოსნია-ჰარეცეგოვინის ისლამური საზოგადოების წევრია, რომელმაც გადაწყვიტა სერბეთში (ნოვი-პაზარიდან 30 კმ-ში) ააგოს ისლამური ცენტრი, ევროპაში ყველაზე დიდი მეჩეთით. ისლამური ცენტრის შენობა, რომლის ფუძეშიც პირველი ქვა 2013 წელს თვით მუფთი ზუკორლიჩმა ჩადო, აღნიშნული მეჩეთის გარდა შედგება საბავშვო ბაღის, ყურანის შემსწავლელი სკოლის, ბოსნიური კულტურული ცენტრის და 500-ადგილიანი რესტორნისგან. პროექტის თანახმად, მეჩეთს 15 თაღი ექნება *(მთავარი თაღის დიამეტრი 12 მეტრი)*, 6 მინარეთის *(ოთხი მათგანის სიმაღლე 45 მ., ხოლო ოჩის 99 მ. სიმაღლე იქნება - 99 აღაჰის სახელების ჩიცხოვნობის სიმბოლო)*. კომპლექსის მშენებლობას აფინანსებენ დასავლეთ ევროპაში მცხოვრები „ბოშნაკები“ და თურქეთის ბალკანური წარმოშობის საქმიანი წრეები. პირველივე წელს ისლამური ცენტრის მშენებლობას ქველმოქმედებმა უკვე 650 ათასი ევრო შესწირეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანამდეც ევროპაში ყველაზე მაღალმინარეთებიანი მეჩეთი, ასევე სერბეთში იქნა აშენებული სოფ. დელიმეჯეში *(მისი მინარეთების სიმაღლე 77 მეტრია)*.

თურქეთი დღეისათვის, ბალკანეთში „ახალ პრაგმატიზმზე“ საუბრობს და მეჩეთების მშენებლობისა და რესტავრაციის ხელის შეწყობაში, კულტურული ძეგლების ქსელების განვითარებას, ტურისტების მოზიდვასა და ბალკანეთის ქვეყნების ბიუჯეტის შევსების საშუალებას გულისხმობს. რა თქმა უნდა ევროკავშირი სკეპტიკურად უყურებს მსგავს არგუმენტაციას და ევროპის მხრიდან უფრო საფრთხეს ხედავენ, თურქეთის მიერ პოლიტიკური ისლამის შეტანას ევროპაში, ბალკანეთის მეშვეობით. ამასთან ერთად, თურქეთი აქტიურად ამყარებს ახლო ურთიერთობებს არა მარტო ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, არამედ ბალკანეთის მთავარ აქტორთან სერბეთთანაც, რომელიც ეკონომიკური სარგებლისა და კეთილდღეობის სანაცვლოდ, ისტორიული წარსულის ფურცლების „დახურვაზეც“ მიდის.

2018 წლის აპრილში პრეზიდენტ ერდოღანის გრანდიოზული ვიზიტი სერბეთში (*8 მინისტრი და 200-მდე ბიზნესმენი ახლდა)* დიდი პომპეზურობით ჩატარდა, სადაც აქტიური სავაჭრო ურთიერთობებისა და ინვესტიციების გაღრმავების გარდა, მთავარი თემა გაზსადენის „თურქული ნაკადის“ სერბიამდე მიყვანის საკითხის გადაწყვეტა გახდა. მაშინ ერდოღანმა განაცხადა: „თურქეთი და სერბეთი - ორი საკვანძო ქვეყანაა ბალკანეთში. როგორც თურქეთი არის მშვიდობისა და სტაბილურობის გასაღები თავის უშუალო გარემოცვაში, ასეთივე როლს ასრულებს სერბეთი ბალკანეთის რეგიონში, რომელიც წარმოადგენს მულტიკულტურულ და დინამიურ სტრუქტურას, თანაც განთავსებულია იმ პოზიციაში, რომელიც რეგიონისკენ მიმავალ გზას ხსნის“. სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა კი მანამდე განაცხადა, რომ „თურქული ნაკადი“ ძალზე მნიშვნელოვან ინვესტიციას წარმოადგენს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის. ამავე დღეებში ერდოღანი მიწვეულ იქნა სერბეთის ქალაქ ნოვი-პაზარში (რომელსაც „სერბეთის სტამბოლს“ უწოდებენ), სადაც ქალაქის ხელმძღვანელობამ თურქეთის პრეზიდენტი ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანის საპასუხოდ, ქალაქის საპატიო

მოქალაქედ გამოაცხადა. საერთოდ, ერდოღანის აღნიშნული ვიზიტი სერბეთში, ბალკანეთის მუსლიმების მიერ აღქმულ იქნა, როგორც გრანდიოზული ისტორიული მოვლენა - რეგიონში ისლამის მხარდაჭერისა და დაცვის გარანტიების სიგნალი და ასევე, შიდა კონფლიქტების გამწვავების შემთხვევებში, სანდო მომრიგებლის სტატუსი. თურქეთის ასეთი მზარდი ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური გავლენა, სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს ევროკავშირში და მთლიანად, დასავლეთ სამყაროში. ერდოღანის შემდეგი ვიზიტი სერბეთში 2019 წლის ოქტომბერში შედგა და პრეზიდენტი ალექსანდრე ვუჩიჩი თვითმფრინავის ტრაპთან წითელ ხალიჩაზე პირზე კოცნით *(ევჩოპუღად ღოყა-ღოყაზე)* დახვდა ძვირფას სტუმარს. თურქეთის დელეგაცია ამჯერადაც 200-მდე ბიზნესმენს ითვლიდა და ერთბაშად რამდენიმე საწარმო გაიხსნა, რომელიც თურქული ინვესტიციებით აშენდა სერბეთში. ამჯერად პრეზიდენტებმა ძირითადად პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში თანამშრომლობა განიხილეს. ერდოღანმა პირდაპირ განაცხადა, რომ მას კოსოვოს საკითხში სრულიად აწყობს ნებისმიერი შეთანხმება, რომელსაც აღიარებენ ბელგრადი და პრიშტინა. არ დაუჭირა მხარი ბოსნიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის იდეას, ბოსნია-ჰერცეგოვინის ახლებურად სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ. ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი მხარს უჭერს დეიტონის შეთანხმების გადაწყვეტილებებს. ერდოღანის ასეთი პოზიცია, რეგიონში ვუჩიჩის ავტორიტეტს საკმაოდ ამყარებს და აქვე, ორ სახელმწიფოს შორის დაიდო სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება. სერბეთის პრეზიდენტი არც მალავდა თავის კმაყოფილებას თურქული შეიარაღების დაკვეთის გაფორმების გამო. ალექსანდრე ვუჩიჩი დიდი ხანია ცდილობს იარაღის შეძენის წყაროების დივერსიფიცირებას. ერთი კი ნათელია, რომ თურქეთიდან სერბეთის მიერ იარაღის შესყიდვა, ნამდვილად იმოქმედებს ბალკანეთის სამხედრო პასიანსზე.

ამჯერად, ერდოღანმა კიდევ უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა და თავისი სერბეთის ვიზიტი „სამმხრივ შეხვედრაში“ გარდასახა - ერთ მაგიდასთან თავის გვერდზე მოისვა ალექსანდრე ვუჩიჩი და ბოსნია-ჰარცეგოვინის პრეზიდიუმის წევრები: შეფიკ ჯაფეროვიჩი (ბოშნაკი), ჟელკო კომშიჩი (ხორვატი) და მილორად დოდიკი (სერბი). შეხვედრა მდინარე სავაზე ხიდის მშენებლობის დაწყებას მიეძღვნა, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის ბელგრად-სარაევოს 290 კილომეტრიანი ტრასის ნაწილი იქნება და ბოსნიის „სერბეთის რესპუბლიკის“ დედაქალაქ ბანია-ლუკას მიუერთდება. ამრიგად თურქული კაპიტალი, ორი სახელმწიფოს - ბოსნია-ჰარცეგოვინის *(სახაევო)* და სერბეთის *(ბეღგხადი)* დედაქალაქების გარდა, კიდევ ორ ანტაგონისტურ შიდა მხარეს - ბოსნია-ჰერცეგოვინის ფედერაციასა და სერბეთის რესპუბლიკას (Republika Srpska) ერთმანეთთან დააკავშირებს. ამავე ვიზიტის ფარგლებში, კიდევ ერთი ეფექტური ნაბიჯი გადაიდგა, სერბეთის „სანჯაყის“, ანუ ნოვოპაზარსკის ოლქის ცენტრში, ნოვი-პაზარში გაიხსნა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულო.

თურქეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული გავლენის ინტენსივობაზე ბალკანეთის მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში, უფრო და უფრო ბევრი ფაქტორი მოქმედებს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ერდოღანის 2020 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, სტამბოლის „აია - სოფიას“ მუზეუმის ისევ მეჩეთად ამოქმედების აუცილებლობის შესახებ, რითაც თურქეთის პრეზიდენტს ეჭვგარეშეა, ისლამური სამყაროსთვის თავისი ძლიერების დემონსტრირება სურდა. ერდოღანმა განმარტა, რომ „აია - სოფიას მეჩეთის აღორძინება მთელი მსოფლიოს მუსლიმთა ნების გამოხატულებაა და წარმოადგენს ნაბიჯს დიდი თურქეთის აღდგენისაკენ“. მეორე დღეს 11 ივლისს, თურქეთის პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა დაამთხვია 1995 წლის „სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტის“ დღეს და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თურქეთის ისტორიულ და ცივილიზებულ მისიას ბალკანეთში, აღნიშნა რა „ჩვენ მუდამ გვემახსოვრება ჩვენი ძმებისა

და დების მიმართ მოწყობილი გენოციდი“. ბოსნიელი მუსლიმების მიმართ განსაკუთრებული განწყობის გამოხატვის უფრო მეტი ეფექტისათვის, 2020 წლის 13 ივლისს „აია - სოფიას“ მეჩეთის მთავარ იმამად დაინიშნა ბოსნიელი ფარუჰ მუსტერი, რაც კიდევ ერთ უეჭველ ფაქტად გამოდგება - ბალკანეთის ქვეყნების მიმართ რეჯებ ერდოღანის განსაკუთრებული ინტერესებისა და გეოპოლიტიკური ამბიციების დასამოწმებლად.

2021 წლის 1 იანვარს სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ვუჩიჩმა სერბეთ-ბულგარეთის საზღვარზე გახსნა გაზსადენ „ბალკანეთის ნაკადის“ ონკანი, რომელიც მიერთებულია „თურქულ ნაკადთან“ და ამ გზით სერბეთმა ბუნებრივი აირი მიიღო. პრეზიდენტის განცხადებით „ეს დიდი დღეა სერბეთისთვის“. ამრიგად, „თურქული ნაკადის“ საშუალებით 2021 წელს ბუნებრივ აირს უკვე იღებენ ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი და ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხოლო მეორე ეტაპზე აღნიშნული გაზსადენის გაგრძელებული ვარიანტი მიაღწევს უნგრეთს, სლოვაკეთს და საბოლოო პუნქტს, ავსტრიის ბაუმგარტენს. თურქეთის პრეზიდენტი „თურქული ნაკადის“ გაზსადენის საშუალებით დასავლეთ ბალკანეთის რეგიონზე კიდევ უფრო გაამყარებს თავის გავლენას, რაც მომავალში გზას გაუხსნის ცენტრალური ევროპის ქვეყნებისკენ. რეჯებ თაიფ ერდოღანი მაქსიმალურად იყენებს შექმნილ მომენტებს, რათა ბალკანეთის რეგიონში ყველა მიმართულება და ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურა ჩართოს თავისი ინტერესების სფეროში. *მაგალითად, 2021 წლის 16 მარტს ბოსნია-ჰარცეგოვინის იმდროინდელი პრეზიდენტი მილორად დოდიკი (სერბი) ეწვია თურქეთს და მას პრეზიდენტის კომპლექსის კარიბჭესთან, ოფიციალური ცერემონიალის ფარგლებში, საპატიო ყარაულის და 21 საარტილერიო ზალპის თანხლებით პირადად პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი დახვდა. მილორად დოდიკს თან ახლდნენ და ცერემონიალში მონაწილეობდნენ ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდიუმის წევრები: ჟელკო კომშიჩი (ხორვატი) და შეფიკ ჯაფეროვიჩი (ბოსნიელი).* ყოველივე ზემოთქმული იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს დღეს თურქეთი ბოსნიის მოსახლეობის რელიგიურ მიმართულებას, იქ მოქმედი მუსლიმური საზოგადოებების მუშაობას, ბოსნია-ჰერცეგოვინის დღევანდელი პოლიტიკური წყობილების სპეციფიკას და დინამიკას, რაც თურქეთის ბალკანური პოლიტიკის მომავალი განვითარების ერთ-ერთ წინაპირობად განიხილება.

ბალკანეთი, რა თქმა უნდა, ისტორიულად და გეოგრაფიულად თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ რეგიონს წარმოადგენდა: იუგოსლავიის დაშლის, „ბოსნიის ომის“ დაწყებისა და დამთავრების, „კოსოვოს პრობლემის“ მოგვარების ოპერაციებში, თურქეთი ნატოს ეგიდით მოქმედებდა, თუმცა საკუთარი ეროვნული ინტერესების აფიშირებას ერიდებოდა. თურქეთის საგარეო პოლიტიკის აქტივიზაცია და გეოსტრატეგიული ინტერესების წინ წამოწევა, „ისტორიული მემკვიდრეობისა“ და „მდიდარი გამოცდილების“ კონცეპტუალური მტკიცებულებების პედალირება აჰმედ დავუთოღლუს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ (2009 წლის 1 მაისი) საერთაშორისო ურთიერთობების ყოველდღიურ ლექსიკაში დამკვიდრდა. აჰმედ დავუთოღლუ, თავისი ცნობილი ნაშრომის ფურცლებზე, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ვექტორის, კერძოდ ბალკანეთის მიმართულების თეორიულ დასაბუთებას იძლევა, აღნიშნავს რა, რომ თურქეთის პოლიტიკური გავლენა ბალკანეთზე ეყრდნობა იმ მუსლიმურ საზოგადოებებს, რომლებიც რეგიონს შემორჩნენ ოსმალეთის დროიდან, ანუ „ისტორიულ მემკვიდრეობას“ წარმოადგენენ და თანამედროვე თურქეთს, უნიკალურ შესაძლებლობებს უქმნიან ბალკანეთში. მისივე აზრით, თურქეთის მთავრობის ამოცანად უნდა იქცეს ეთნო-კონფეციური უმცირესობების საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვა. აჰმედ დავუთოღლუს, შეცდომად მიაჩნდა წინა მთავრობების ბალკანეთთან წარმოებული პოლიტიკა, რომელიც მოუწოდებდა ბალკანელ მუსლიმებს თურქეთში მიგრაციისკენ. ამჯერად, თურქებისა და მუსლიმი მოსახლეობის სიმრავლე რეგიონში პოზიტიურ

ასპექტად განიხილება, რომელიც თურქეთს ახალ შესაძლებლობებს უქმნის და საფუძველს უმყარებს ბალკანეთში თავისი გავლენის განმტკიცების პროცესში. დავუთოღლუს პოსტულატებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს თურქეთის სტრატეგია ბალკანეთის რეგიონში. აჰმედ დავუთოღლუს მთავრობაში მოსვლისთანავე, დამკვიდრდა ტრადიცია თურქეთის მთავრობისა და მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელთა, სამხედრო პირთა და პარლამენტართა ხშირი ვიზიტები ბალკანეთის ქვეყნებში.

2009-2011 წლებში პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოღანმა, პრეზიდენტმა აბდულა გიულმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ, მეჯლისის სპიკერმა ჯემილ ჩიჩექმა და სხვა თანამდებობის პირებმა ოფიციალური ვიზიტებით მოიარეს თითქმის მთელი ბალკანეთის ქვეყნები. თურქეთის საგარეო პოლიტიკის არქიტექტორის აჰმედ დავუთოღლუს რჩევით, ერდოღანის მთავრობის მიერ მიღწეულ იქნა სავიზო რეჟიმების გაუქმება ალბანეთთან, მაკედონიასთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, ჩერნოგორესთან, ხორვატიასთან, რამაც გააადვილა თურქეთის პოლიტიკის გატარება რეგიონში, რომელშიც პირველ რიგში ყურადღება მიექცა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

დავუთოღლუს ბალკანური სტრატეგიის კიდევ ერთი წარმატება იყო, მისი აქტიური ჩართვა კონფლიქტური პროცესების მოგვარებაში. თავისი ტურნეს დროს სერბიაში, ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში, დავუთოღლუ მოხერხებულად ჩაერთო სამშვიდობო მოლაპარაკებებში მათ შორის და რეგულარული სამმხრივი შეხვედრების ინიცირებას მიაღწია თურქეთის შუამდგომლობით. აღნიშნულმა მოლაპარაკებებმა მუდმივი სახე მიიღო და დავუთოღლუს გამარჯვებად შეიძლება მივიჩნიოთ, ბოსნია-ჰარცეგოვინის დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა ბელგრადში. ასევე გააქტიურდა თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტები რეგიონის ქვეყნებთან. ძირითადი მიმართულება ითვალისწინებდა რეგიონის სახელმწიფოების ჩართვას ნატოს პროგრამებში, მოქმედებების საერთო სტრატეგიის შემუშავება რეგიონში და ადგილობრივი შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია ნატოს სტანდარტების შესაბამისად, თურქი ინსტრუქტორების მონაწილეობით. ამავე დროს თურქეთის სამხედრო სასწავლებლებში დაიწყო სერბულ-ხორვატული და ალბანური ენების სასწავლო კურსები, რაც თავისთავად ადასტურებდა თურქეთის საგარეო პოლიტიკისთვის ამ მიმართულების პრიორიტეტს. ამავე პერიოდში განხილულ იქნა ბალკანელი ოფიცრების სწავლების შესაძლებლობა თურქულ სამხედრო სასწავლებლებში. 2010 წლის ოქტომბერში კი, ხელი მოეწერა კოსოვოში შექმნილი ადგილობრივი მილიციის ქვედანაყოფების *(კოსოვოს თუჰქებით დაკომპლექტებული)* მომზადების შეთანხმებას, თურქი სამხედრო და პოლიციელი მრჩევლების მიერ. თურქეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პროექტი შემუშავდა მაკედონიასთან, ალბანეთთან, კოსოვოსთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან, რეგიონის ერთობლივი ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნის თაობაზე. თურქეთის ბალკანური სტრატეგიის მეტად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა რეგიონში ერთობლივი უნივერსიტეტების და სკოლების შექმნა, სტუდენტებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების გაცვლითი პროგრამები.

ბალკანეთის რეგიონში, ასევე დიდი აქტიურობით გამოირჩევა, ჩვენს მიერ ადრე ნახსენები TIKA (თურქული თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო), რომელმაც დიდი მასშტაბის მუშაობა ჩაატარა თურქულ სამყაროსთან ერთობლივი პროექტების განხორციელებაში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის სფეროში (სამედიცინო და სოციალური დაწესებულებების მშენებლობა კოსოვოში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ალბანეთში). TIKA - ს ინიციატივით გამოიყო დაფინანსება ოსმალეთის არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციისთვის ალბანეთის, მაკედონიის, კოსოვოს, ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიებზე, რომელნიც დაზიანდნენ 1990-იანი წლების საომარი მოქმედებების დროს.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის აქტივიზაცია და თურქი დიპლომატების განსაკუთრებული ყურადღება ბალკანეთის მიმართ გასაკვირიც არ არის. თურქეთის სამეცნიერო წრეები, ისტორიკოსები, ფოლკლორისტები, ენათმეცნიერები, მეცნიერ-ანალიტიკოსები, ინტენსიურად მუშაობენ ბალკანეთის წარსულის შესწავლაზე, მის გათანამედროვეობაზე და მომავალზეც. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბალკანეთი ოსმალეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ, ისტორიულად დიდი მუსლიმური ოჯახის წევრი გახდა. ზოგიერთი *(საკმაო ხაოდენობის)* თურქის წარმოდგენაში, ბალკანეთი დღესაც დარჩა როგორც „მუსლიმური სამყაროს განუყოფელი ნაწილი“ და თურქეთის ვალია, გაუფრთხილდეს ამ „ისტორიულ მონაპოვარს“. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 2016 წელს TIKA - ს მიერ გამოცემული მეტად სერიოზული ხუთტომეული „ისლამი ბალკანეთში“. ყოველი ტომი შეიცავს თურქი და ბალკანეთის ქვეყნების ავტორების ათეულობით სტატიას (თურქულ და ინგლისურ ენაზე). კვლევების თემატიკა საკმაოდ ვრცელია და მოიცავს ისლამის ისტორიისა და კულტურის ასპექტებს ბალკანეთში ოსმანთა პერიოდიდან დღევანდლამდე. თურქი ისტორიკოსები ხშირად ცდილობენ ხაზი გაუსვან თურქების განსახლების ისტორიულ ბუნებრივ წინაპირობებს ბალკანეთის რეგიონში და ამ საკითხის განხილვას ბალკანეთის ისლამიზაციასთან კომპლექსში. თურქეთის მთავრობა ხელს უწყობს ბალკანეთის ქვეყნებში სხვადასხვა პროექტებს ამ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და აქტუალიზაციის მიზნით. ბალკანეთში კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და რესტავრაციის აუცილებლობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის „უცვლელი პრიორიტეტია“.

თურქეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის ბალანსი ბალკანეთის რეგიონში, ორი სრულიად განსხვავებული წონითა და ზომით გამოიხატება. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ყოველწლიურად დადებითი და პროგრესული სტრატეგიული ნაბიჯების შედეგიანი პოლიტიკური მიღწევების ფონზე, სამხრეთ ბალკანეთში, კერძოდ საბერძნეთთან უარყოფითი და დაძაბული ვითარების პერმანენტული გამწვავება. 1970-იანი წლებიდან *(კიპროსის კონფლიქტი 1974 წელს)* მოყოლებული, ნატოს ბლოკის ორი წევრის - თურქეთისა და საბერძნეთის ურთიერთობები, აშშ-ის და დასავლეთის ქვეყნების მცდელობის მიუხედავად, ვერ ვითარდებოდა სამეზობლოს კატეგორიაში. აღნიშნულ ქვეყნებს შორის წარმოშობილი სადავო საკითხების კომპლექსი *(ეგეოსის ზღვის სანაპიროს პრობლემები და კუნძულები, კიპროსის საკითხი, საჰაერო სივრცის სამართლებრივი ფლობა)* მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობების მოწესრიგებას. სწორედ ზემოხსენებული პრობლემების დაძაბვა, მუდამ ქმნიდა კრიზისულ სიტუაციას ორ ქვეყანას შორის და ორჯერ (1987 და 1996 წლებში) მიუახლოვდა თითქმის საომარი მოქმედებების საწყის მდგომარეობას. საინტერესოა, რომ თურქეთსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობების დათბობის ბიძგი, 1999 წლის 17 აგვისტოს თურქეთის იზმითის რეგიონში მომხდარი მეტად ძლიერი (*7,6 ბალი და 45 წამი გრძელდებოდა)* მიწისძვრა გახდა. მიწისძვრას ათასობით *(ზოგიერთი წყაროს მიხედვით 35 ათასი)* მსხვერპლი მოჰყვა და 300 ათასზე მეტი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, ხოლო მატერიალური ზარალი 3 მილიარდი აშშ დოლარით შეფასდა. დიდი ნგრევა გამოიწვია სტამბოლშიც, სადაც მრავალი შენობა დაინგრა და ათეულობით ადამიანი დაიღუპა. საბერძნეთი იყო პირველი უცხო სახელმწიფო, რომელმაც გამოთქვა სურვილი დახმარებოდა თურქეთს. მიწისძვრის ფაქტიდან რამდენიმე საათში საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთში გაგზავნა დამხმარე ჯგუფი. 1999 წლის 17 სექტემბერს და 19 ნოემბერს საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტრომ გაგზავნა მაშველთა ჯგუფი 24 მაშველისა და 2 გაწვრთნილი ძაღლის შემადგენლობით. საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე გაგზავნა 11-კაციანი სამედიცინო ბრიგადა, ათასი კარავი, მობილური ჰოსპიტალები, სასწრაფო დახმარების მანქანები, მედიკამენტები, წყალი, ტანსაცმელი, საკვები, საბნები. საბერძნეთის თავდაცვის სამინისტრომ

მოამზადა სამი სატრანპორტო თვითმფრინავი C – 130 ბერძნული მაშველთა გუნდისა და სამედიცინო მოწყობილობების გადასაზიდად. 1999 წლის 18 აგვისტოს საბერძნეთის ჯანდაცვის სამინისტრომ შექმნა სამი განყოფილება სისხლის ჩაბარების მიზნით და იმავე დღეს ათენის ეროვნული უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა დახმარება. 19 აგვისტოს საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ათენში, თესალონიკსა და კომოტინიში გახსნა მიმღები პუნქტები, რომელთა მიზანიც იყო მოქალაქეთა მიერ სტიქიური დახმარების შეგროვება. 19 აგვისტოს შემდეგ კომოტინისა და ქსანტის საავადმყოფოებმა გახსნეს სისხლის ჩაბარების საკუთარი განყოფილებები, ხოლო საბერძნეთის ეკლესიამ საჭირო ნივთების შეგროვების ინიციატივა აიღო თავის თავზე. 1999 წლის 24 აგვისტოს საბერძნეთის 5 უმსხვილესი მუნიციპალიტეტის მიერ *(ათენი, თესალონიკი, პიჩეოსი, პატჩა, იჩაკლიონი)* გაიგზავნა ერთობლივი დახმარების კოლონა. საბერძნეთის წითელი ჯვრის ორგანიზაციამ, ათენის ექიმთა ასოციაციამ და საბერძნეთის ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრებს გარეშე“ თურქეთში გაგზავნეს დახმარებისა და ეკიპირებული ჯგუფები. საბერძნეთის ამგვარ რეაქციას, თურქეთში ძალზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა და თურქული გაზეთების სათაურებიც მოწმობენ მასების განწყობასა და დამოკიდებულებას, მაგალითად „მეგობრობის დროა“, „შავი დღეების მეგობრული ხელები“, „დახმარება მოდის მეზობლებისგან - ყველაზე მეტი საბერძნეთიდან“. ყოველ დღე გაზეთები აქვეყნებდნენ და ტელეარხებიც გამუდმებით გადმოსცემდნენ უბრალო მოქალაქეების ემოციურ მიმართვებსა და განცხადებებს, სადაც ძირითადად ისმოდა „კეთილი მეზობელი“, „ნამდვილი მეგობარი“, „გულიანი“ და ა.შ. ორივე ქვეყნის თანამდებობის პირები ეფექტურად იყენებდნენ ორი ხალხის ემოციურ განწყობას და ყოველ მომენტში ხაზს უსვამდნენ, რომ დადგა დრო ახალი ურთიერთგაგებისა. როდესაც ათენის მერი ჩამოვიდა მიწისძვრის ადგილის დასათვალიერებლად, მას თვითმფრინავთან დახვდა სტამბოლის მერი. როდესაც საბერძნეთის მთავარი ადმირალი იოანიდისი, თურქეთის მთავარი ადმირალის დერვიშოღლუს პენსიაზე გაცილების ცერემონიალზე ჩამოვიდა, მას რამდენიმე წუთის განმავლობაში ტაშს უკრავდნენ ცერემონიალის მონაწილენი.

ბუნებამ თავისი ძალა გამოაჩინა და თურქეთის მიწისძვრიდან თვეც არ იყო გასული, 1999 წლის 7 სექტემბერს ათენში 5,9 - ბალიანი დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. მართალია მსხვერპლი სულ 143 ადამიანი და 12 ათასამდე დაშავებული იყო, მაგრამ მიწისძვრას ათენის ჩრდილოეთ და დასავლეთ გარეუბნებში შენობებისა და ინფრასტრუქტურის სერიოზული ნგრევა მოჰყვა. ამჯერად უკვე თურქეთის მხარემ გამოავლინა კეთილი ნება და დახმარების სურვილი. პირველი დახმარება სწორედ თურქეთმა აღმოუჩინა, როდესაც მიწისძვრიდან სულ 13 საათის შემდეგ, თურქეთის სამხედრო თვითმფრინავმა ადგილზე ჩაიყვანა პირველი 20 -კაციანი მაშველთა ჯგუფი. საბერძნეთის საელჩოსა და საკონსულოების ტელეფონები გადატვირთული იყო თურქების უწყვეტი ზარებით, რომლებსაც აინტერესებდათ, სასწრაფოდ სად შეიძლებოდა სისხლის ჩაბარება. იყო ასეთი ფაქტიც, რომ საბერძნეთის ელჩს კარატისს დაუკავშირდა თურქი მოქალაქე, რომელიც სთავაზობდა საკუთარ თირკმელს ვინმე „გაჭირვებული ბერძენისთვის“.

აი, ამ პერიოდს ეწოდა „მიწისძვრის დიპლომატია“, რომელმაც გამოავლინა ურთიერთ თანაგრძნობის სპონტანური მისწრაფება და რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. სხვათა შორის, უცხოეთის მესმედია და გარკვეული პოლიტიკური წრეებიც გაკვირვებას ვერ ფარავდნენ ამ ორი, ისტორიულად და გეოპოლიტიკური თვალსაზრისითაც დაპირისპირებული ქვეყნების ასეთი დაახლოვების პრეცედენტზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის (1999 – 2004 წლები) თურქეთისა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის საქმიანი და რეალური პოლიტიკური ურთიერთობები ყალიბდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს: ისმაილ ჯემს, რომელიც

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო 1997 – 2002 წლებში და გიორგიოს პაპანდრეუს, რომელიც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო 1999 - 2004 წლებში *(თუმცა შემდეგაც: 2009 – 2010 წლებში საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 2009 – 2011 წლებში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი).* ამ პერიოდში ასევე მნიშვნელოვანი იყო თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის გააქტიურება, რომელშიც გიორგიოს პაპანდრეუ მხარს უჭერდა თურქეთს. მართალია, 2004 წლის კიპროსის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის ირგვლივ განხორციელებულმა პერიპეტიებმა *(ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი),* თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობაზეც უარყოფითად იმოქმედა და შეაყოვნა დადებითი პროცესი. 2010 წლის 14 მაისს თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ თაიფ ერდოღანი 10 მინისტრისა და 300-ზე მეტი ბიზნესმენის თანხლებით ოფიციალურად ეწვია ათენს. რეჯებ თაიფ ერდოღანის და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის გიორგიოს პაპანდრეუს პირისპირ შეხვედრა 1,5 საათს გაგრძელდა. ორდღიანი ვიზიტის დროს, თურქეთსა და საბერძნეთს შორის ხელი მოეწერა 21 სამთავრობათაშორისო მრავალი მიმართულების და სპექტრის შეთანხმებას. აღნიშნული მოლაპარაკებებისა და მასზე მიღებული შეთანხმებების საფუძველზე, 2010 წლიდან საგრძნობლად იმატა თურქი ეროვნების არალეგალი მიგრანტების რაოდენობამ, რის გამოც ოქტომბრის თვეში, საბერძნეთის სამოქალაქო დაცვის სამინისტრომ თხოვნით მიმართა ევროკავშირს, მიავლინონ სასაზღვრო პატრული საბერძნეთ-თურქეთის საზღვარზე, მრავალრიცხოვანი არალეგალი მიგრანტებისგან დაცვის მიზნით. 2010 წლის 2 ნოემბერს Frontex - ის 175 სპეციალისტისგან შემდგარი რაზმი განთავსდა საბერძნეთ-თურქეთის საზღვართან მდებარე ქალაქ ორესტიასში. ათენში გამართული მოლაპარაკებების შედეგად გამოიკვეთა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების დათბობის ელემენტები, რაზეც მეტყველებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმედ დავუთოღლუს განცხადება, რომ თურქეთის მთავრობა აქტიურად მუშაობს ორი ქვეყნის ურთიერთობებში შეიქმნას „ფსიქოლოგიური ცვლილებების ატმოსფერო“. დავუთოღლუს თავის გახმაურებულ კონცეფციაში - „მეზობლებთან ნული პრობლემა“, საბერძნეთის მიმართ თავისი ხედვები ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 1. ორ ქვეყანას შორის უნდა შემცირდეს ისტორიული დაპირისპირების სიმწვავე და გათვალისწინებულ იქნას თურქეთის და საბერძნეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გამყოფ ზღვარს და ამასთანავე შემაერთებელ ხაზს წარმოადგენს; 2. თურქეთი და საბერძნეთი, როგორც საკვანძო სახელმწიფოები განლაგებულნი არიან ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების შეხების წერტილზე და შეუძლიათ ახალი ფორმის თანამშრომლობის გზამკვლევები გახდნენ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში; 3. თურქეთი და საბერძნეთი, რომლებიც მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას ფლობენ, შეუძლიათ გახდნენ კონფესიათაშორისი დიალოგის სამაგალითო სუბიექტები, რომელთაც შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ რელიგიებს შორის დიალოგის განვითარებაში, არამარტო რეგიონული, არამედ გლობალური მასშტაბითაც; 4. აუცილებელია მობილიზებულ იქნას ყოველნაირი ინტელექტუალური რესურსი, მოძველებული პრობლემების გადაწყვეტის გზაზე და წარსულის ამ ნეგატიური მემკვიდრეობის დაძლევისთვის, მაქსიმალურად წახალისდეს ორ ხალხს შუა კანტაქტების განვითარება.

აჰმედ დავუთოღლუს მიაჩნდა, რომ არსებული პრობლემების მოგვარება მხოლოდ სამშვიდობო საშუალებებით შეიძლება იქნას მიღწეული, რაზეც ორივე სახელმწიფო ისტორიულად პასუხისმგებელია მომავალი თაობების წინაშე.

თურქეთის საგარეოპოლიტიკური სტრატეგია „მეზობლებთან ნული პრობლემები“ და მისი მისწრაფება რეგიონში თავისი პოზიციების გაძლიერებისკენ, მოითხოვს ახალი მიდგომების შემუშავებას თურქულ-ბერძნულ ურთიერთობებში. მაგრამ ის მოუგვარებელი და საკამათო

პრობლემების მძიმე ტვირთი კვლავ რჩება თურქეთსა და საბერძნეთს შორის დაპირისპირების საბაბი. თურქეთ-საბერძნეთის ურთიერთობების ყველაზე მტკივნეულ წერტილს წარმოადგენს კიპროსის საკითხი თავისი ოკუპირებული ჩრდილოეთ ნაწილით და მასზე განთავსებული არაღიარებული „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკა“.

ასევე, პერიოდულად მწვავდება ეგეოსის პრობლემა: ტერიტორიული წყლების საზღვრების დადგენა, კონტინენტური შელფის განსაზღვრა და საჰაერო სივრცის ფართობის გამოყენების უფლება ეგეოსის ზღვის აკვატორიაში. მეტად დიდი დაპირისპირების მიზეზი ხდება, რომ ეგეოსის ზღვის ყველა დიდი დასახლებული კუნძული საბერძნეთის სახელმწიფო კუთვნილებაა და მხოლოდ ორი კუნძული იმბროსი *(თუჰქ. გიოქჩეადა)* და ტენედოსი *(თუჰქ. ბოზჯაადა)* შედის თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში. ამასთან ერთად ბერძნული დიდი კუნძულები *(ღემნოსი, ღესბოსი, ხიოსი, სამოსი, ჰოდოსი და დოდეკანოსის არქიპელაგის კუნძულები)*, უშუალო სიახლოვეს (*2-4 კმ. მანძილზე)* არიან განლაგებულნი თურქეთის მატერიკული საზღვრიდან.

1923 წლის ლოზანის შეთანხმების თანახმად, ეგეოსის ზღვაში ტერიტორიული წყლების სიგანე 3 საზღვაო მილით დადგინდა. 1982 წელს გაერომ მიიღო ახალი კონვენცია და ტერიტორიული წყლების მაქსიმალური სიგანე 12 საზღვაო მილით განისაზღვრა, რის საფუძველზეც საბერძნეთის პარლამენტმა 1995 წლის 31 მაისს მიიღო გადაწყვეტილება საბერძნეთის ტერიტორიული წყლების სიგანის გაზრდა 12 საზღვაო მილამდე, რაც თურქეთის სახმელეთო ნაპირებს, ანუ სახელმწიფო საზღვრებს არღვევდა. თურქეთმა 1995 წლის 8 ივნისს, საბერძნეთის გადაწყვეტილება “Casus belli” (ომის დაწყება) საბაბად მიიჩნია, უარი განაცხადა გაეროს კონვენციის ხელმოწერაზე და მოითხოვა, რომ ეგეოსის ზღვაში საზღვრების საკითხი სამართლიანობის პრინციპებს ეყრდნობოდეს. ასევე დიდ დავას იწვევს არსებული პრობლემა, რომელიც ეხება საჰაერო სივრცის ფართობს და განისაზღვრება ქვეყნის ტერიტორიული წყლების ფართობის მიხედვით. საბერძნეთის მიერ ეგეოსის ზღვაში ტერიტორიული წყლის ფართობის 12 საზღვაო მილით გაზრდის შემთხვევაში, თურქული ტერიტორიული წყლებიც საბერძნეთის კონტროლის დაქვემდებარებაში აღმოჩნდება, რის გამოც თურქეთი ვერ შეასრულებს ეგეოსის ზღვის საჰაერო სივრცეში თავის სამხედრო ფრენებსა და წვრთნებს, რომ არაფერი ვთქვათ ზარალის მიყენებაზე თევზჭერის სექტორში. კონტინენტალური შელფი არის მატერიკის წყალქვეშა გაგრძელებული ნაწილი, რომელიც ხასიათდება ხმელეთის ბუნებრივი გეოლოგიური ქარგით. აღნიშნული ტერიტორიული შელფის მფლობელ ქვეყანას უფლება აქვს შელფზე აწარმოოს ბუნებრივი რესურსების ძიება და მოპოვება. საბერძნეთი ეგეოსის ზღვის მთლიან შელფს ცალმხრივად თავის ტერიტორიად თვლის და ამტკიცებს, რომ თურქეთის ნაპირებთან ახლო მდებარე საბერძნეთის კუნძულების საზღვარს „არქიპელაგის წყლებს“ უწოდებს, რის გამოც თურქეთი უფლებას კარგავს თავის ნაპირებთან ახლო მდებარე კუნძულების დასავლეთით არსებულ ტერიტორიულ წყლებზე. თურქეთის თეზისების მიხედვით, ორი ქვეყნის ტერიტორიული შელფის ნაწილების საზღვრები უნდა დადგინდეს ბუნებრივი კონცხების საფუძველზე. სწორედ ამ საჩოთირო საქმეში დაპირისპირებული მოსაზრებები ქმნიან წინააღმდეგობებს ეგეოსის ზღვაში *(და ახამახტო ეგეოსის ზღვაში)* გეოლოგიური ძიების ჩატარების მეტად საპასუხისმგებლო ღონისძიებებში.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე ნახშირწყალბადის მდიდარი საბადოების აღმოჩენა, რამაც ხელი შეუწყო რეგიონის ქვეყნებს ერთმანეთთან შეთანხმებები გაეფორმებინათ „განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის“ (გეზ) შექმნის შესახებ. 2003 წელს კუნძულ კიპროსის ბერძნულმა სათვისტომომ ასეთი შეთანხმება დადო ეგვიპტესთან, 2007 წელს (უკვე სამხრეთ კიპროსის რესუბლიკამ) - ლიბანთან, 2010 წელს - ისრაელთან.

2003 წელს კიპროსის მთავრობამ ბუნებრივი აირის საბადოების საძიებო სამუშაოები ჩაატარა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ „გეზ“ - ის საზღვრებში და მოლაპარაკებები გამართა იმ კომპანიებთან, რომლებიც მზად იყვნენ დაეწყოთ გაზის მოპოვება. თურქეთი, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი საზღვაო საზღვრები ემთხვევა კიპროსის „განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის“ (გეზ) ტერიტორიას და ბუნებრივი აირის საბადოების ნაწილსაც შეიცავს, ერდოღანს აძლევს საშუალებას მოითხოვოს, რომ ჩრდილოეთ კიპროსის მცხოვრებმა თურქ-კიპრიოტებმა, მიიღონ მოპოვებული გაზის ნაწილი.

დღეისათვის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის კონტინენტურ შელფზე აღმოჩენილი ბუნებრივი აირის, ანუ გაზის ძალიან დიდი მარაგი, გადანაწილებულია 4 ცნობილ საბადოზე: კიპროსის „აფროდიტე“ (127 მლრდ კუბ.მ.); ეგვიპტის „ზოჰრი“ (850 მლრდ კუბ.მ.); ისრაელი „ლევიათანი“ (620 მლრდ კუბ.მ.) და „თამარი“ (200 მლრდ კუბ.მ.). ისრაელის მარაგს ედავება ლიბანი, რომლის შელფზეც აღწევს ბუნებრივი აირის საბადო და ისიც ჩართულია მარაგის განაწილების პერიპეტიებში. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ბუნებრივი აირის საბადოების მფლობელებს შორის გამოიკვეთა სახელმწიფოთა 3 სამკუთხედი: კიპროსი - საბერძნეთი - ისრაელი; კიპროსი - საბერძნეთი - ლიბანი; კიპროსი - საბერძნეთი - ეგვიპტე. ამ ჯგუფების მონაწილე ქვეყნებმა ერთმანეთთან დადეს ხელშეკრულება საზღვაო საზღვრის დადგენის თაობაზე და ამრიგად, გაინაწილეს კუნძულის გარშემო არსებული შელფის უდიდესი ნაწილი. ფაქტიურად თურქეთი, ყველა მათგანს მარტო უპირისპირდება და არ სცნობს მათ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს. თურქეთს პრეტენზია აქვს აღნიშნული რეგიონის ნახშირწყალბადის საბადოებზე და ატარებს საძიებო სამუშაოებს ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაცემული ნებართვის თანახმად *(ოოგოოც ვიცით, ჩოდიდოეთ კიპოოსის თუოქუდი ოესპუბდიკა, სუვეოენუდ სახედმწიფოდ მხოდოდ თუოქეთის მიეი აოის ცნობიდი).*

თურქეთისა და საბერძნეთის დაპირისპირების მრავალი მიზეზი არსებობს: კიპროსის პრობლემის მოგვარების; ეგეოსის ზღვის კუნძულების კუთვნილების; ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ნახშირწყალბადის მდიდარი საბადოების აღმოჩენის და მისი სარგებლობის; თურქეთის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები. 2016 წლის 29 სექტემბერს მეჯლისში გამოსვლისას თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა ლოზანის ხელშეკრულების კრიტიკა წამოიწყო. მან განაცხადა, რომ „ჩვენ გავაჩუქეთ კუნძულები ეგეოსის ზღვაში. კუნძულები, რომლის აქეთ ნაპირიდან რომ გავძახოთ, კუნძულის იქით ნაპირზე ჩვენივე ხმას გავიგებთო“. ჩვენ ლოზანა გავითამაშეთ. ახლა რა მოუვა კონტინენტალურ შელფს? რა მოუვა საჰაერო სივრცეს და მიწას? ჩვენ ჯერ კიდევ ვიბრძვით ამისთვის...“ აღნიშნულ განცხადებას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ათენში. საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყარომ აღნიშნა, რომ „ყველამ უნდა სცეს პატივი ლოზანის ხელშეკრულებას. ეს ცივილიზებული მსოფლიოს რეალობაა, რომელსაც ვერავინ, მათ შორის ანკარაც, იგნორირებას ვერ მოუხერხებს“. 2016 წლის 16 ოქტომბერს, რიზეს უნივერსიტეტის *(ოეჯებ თაიფ ეოდოღანის სახედობის)* სასწავლო წლის გახსნის ცერემონიალზე, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ჩვენ ვერ გავავლებთ საზღვრებს ჩვენს გულებში და თურქეთს არ შეუძლია დაივიწყოს თავისი ნათესავები დასავლეთ თრაკიაში, კიპროსზე, ყირიმში და კიდევ სადმე“... *(აღნიშნუდ გამოსვდაში აღნიშნა ეოდოღანმა ოიზეს და ბათუმის ეოთმანეთისგან დაშოოების სინანუდი და „განა ოიზესა და ბათუმს შოოის საზღვოის გავდება შეიძდება?“).* საბერძნეთმა ერდოღანის აღნიშნული გამოსვლა ნეოოსმანიზმის ნარატივსა და რომანტიკულ ირრედენტიზმზე დაფუძნებულად მიიჩნია და 17 ოქტომბერს საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა: „თრაკია - ბერძნული, დემოკრატიული და ევროპული ქვეყანაა. სხვა ნებისმიერი აზრი მიუღებელი და სახიფათოა“.

ადრე, 2016 წლის 15 ივლისის „სკანდალური“ სახელმწიფო გადატრიალების

წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, თურქეთის რამდენიმე სამხედრო მოსამსახურემ საბერძნეთს მიმართა პოლიტიკური თავშესაფარის მიღების თხოვნით, თურქეთმა კი, მათი ექსტრადიცია მოითხოვა. ასევე, თურქეთის საელჩოს ორი სამხედრო ატაშე ათენიდან, იტალიაში გაიქცა. 2016 წლის 25 აგვისტოს თურქეთის შვიდმა მოქალაქემ მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი საბერძნეთში. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, თურქეთის მთავრობამ მკაცრი რეპრესიები წამოიწყო ყველა ეჭვმიტანილის მიმართ და თურქეთის უამრავი მოქალაქე იქნა დაპატიმრებული, სამსახურიდან დათხოვნილი... ვისაც კი როგორ შეეძლო საზღვარგარეთ გარბოდა სახვადასხვა ქვეყნებში. 2016 წლის განმავლობაში საბერძნეთის მხარეს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა თურქეთის 995 მოქალაქემ , ხოლო 2017 წელს 1800-ზე მეტმა. ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური დევნის შედეგად, 2016 წლის ქურთული მიმართულების „ხალხთა დემოკრატიული პარტიის“ HDP 13 დეპუტატი დაპატიმრებულ იქნა და მათი ნაწილი მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთების შემდეგ, 2017 წლის 4 იანვარს გაათავისუფლეს. ერთ-ერთი მათგანი ლეილა ბირლიქი 2018 წლის 22 აგვისტოს ედირნედან საბერძნეთში გადავიდა და საზღვრის დარღვევის ბრალდებით ბერძნული მხარის მიერ დაკავებულ იქნა. 25 აგვისტოს გაათავისუფლეს და მან საბერძნეთის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარის თხოვნით მიმართა, რომელიც დააკმაყოფილეს.

2017 წლის 27 მარტს თურქული გაზეთის „ზამან“-ის ინგლისური ვერსიის მთავარმა რედაქტორმა აბდულა ბოზქურთმა თავის აკკაუნტში ტვიტ-გაფრთხილება გამოაქვეყნა, რომ საბერძნეთში ძალზე გახშირდა თურქული სპეცსამსახურების საიდუმლო ოპერაციები. 2017 წლის 16 აგვისტოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ ეროვნულ მეჯლისში გამოსვლისას აღნიშნა, რომ „ეგეოსის ზღვაში თურქეთისა და საბერძნეთის ერთმანეთთან დამოკიდებული პრობლემებია დარჩენილი, მათ შორის რამდენომე კუნძულის სუვერენიტეტის საკითხი“.

2017 წლის დეკემბერში რეჯებ თაიფ ერდოღანი გახდა თურქეთის პირველი პრეზიდენტი, რომელიც ვიზიტით ეწვია საბერძნეთს 65 წლის შემდეგ. ოპოზიციური „რესპუბლიკური სახალხო პარტიის“ *(1923 წელს ათათუჰქის მიეჰ დაახსებული პარტია)* ლიდერმა ქემალ ქილიჩდაროღლუმ გააკრიტიკა პრეზიდენტი მისი „უუნარობის“ გამო, რომელმაც თავისი საბერძნეთში ვიზიტის დროს არ წამოჭრა საკითხი „თვრამეტი ოკუპირებული კუნძულის“ შესახებ. ოპოზიციურმა პარტიამ ეგეოსის ზღვის კიდევ 156 კუნძულის და რიფების თურქული დასახელებები გაიხსენა და ისინი თურქულ ტერიტორიებად გამოაცხადა. საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა პანოს კამენოსმა თურქ ოპოზიციონერებს შეუთვალა „მოდით და დაიკავეთ“, რაზეც ქილიჩდაროღლუმ უპასუხა, რომ თურქეთი მოვა და წაიღებს ყველა კუნძულს. დაპირისპირება ქვეყნებს შორის უფრო მძაფრდებოდა და 2018 წლის 10 აპრილს ბერძენმა სამხედროებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გაუხსნეს თურქულ შვეულმფრენს, რომელიც გვიან ღამით ჩამქრალი სანავიგაციო ნათურებით, ძალიან დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდა. 2018 წლის 16 აპრილს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა განაცხადა, რომ 15 აპრილს საბერძნეთის მოქალაქეებმა ბერძნული დროშა აღმართეს ეგეოსის ზღვის უკაცრიელ კლდოვან კუნძულზე, მაგრამ თურქეთის სანაპირო დაცვამ დროშა ჩამოხსნა. ამასთან, თურქეთის პრემიერმა მოუწოდა საბერძნეთის მთავრობას, რომ თავი შეიკავონ „პროვოკაციული ნაბიჯებისგან“ ეგეოსის ზღვის „სადავო რაიონებში“. საბერძნეთის მთავრობამ უპასუხა, რომ არ არსებობს არავითარი მტკიცებულება „საბერძნეთის მიერ ტერიტორიის დარღვევის“ შესახებ და თურქეთის მხარის პრეტენზიას „სრულიად პროვოკაციული და წინასწარგამიზნული“ ფუჭი დემაგოგია უწოდა.

2018 წლის სექტემბერში თურქეთის სოფლის და სატყეო მეურნეობის სამინისტრომ გააფრთხილა თურქი მეთევზეები, რომ თავი შეიკავონ საბერძნეთის ტერიტორიულ წყლებში თევზჭერისა და ნაოსნობისგან,

ვინაიდან თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაერთი გაფრთხილება და საჩივარი მიიღო საბერძნეთის მთავრობისაგან, თურქული თევზსაჭერი ნავების მიერ საბერძნეთის სახელმწიფო საზღვრის მრავალჯერ დარღვევის შესახებ. ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაძაბულობა ყოველწლიურად მწვავდებოდა და 2019 წელს განსაკუთრებით გამოიხატა თურქული თვითმფრინავების მიერ თითქმის ყოველდღიურად საბერძნეთის საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები, თანაც ხშირად დაბალ სიმაღლეზე ფრენდნენ საბერძნეთის დასახლებული კუნძულების თავზე. საბერძნეთი სისტემატურად გმობს აღნიშნულ ფაქტებს და გამოხატავს პროტესტს, როგორც ორმხრივ ურთიერთობებში, ასევე კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, თურქული თვითმფრინავების ეგეოსის ზღვის სივრცეში ფრენები საბერძნეთის მხარეს თუ „საფრთხედ“ მიაჩნია, ეს არ შეესაბამება ნატოს ალიანსის წევრთა დამოკიდებულებას და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. 2019 წლის 27 მარტს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა იზმირში სიტყვით გამოსვლის დროს, თავის პოლიტიკურ მოკავშირე „რუხი მგლების“ ლიდერ დევლეთ ბაჰჩელისთან ერთად, აუგად მოიხსენია სმირნას *(იზმიხის ბეჰძნული სახელი)* ისტორიული წარსული. ამან საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი გამოიწვია, რომელმაც უპასუხა: „საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტალიზაციით გატაცება და ისტორიული ტერმინების პოპულიზმის მიზნით გამოყენება, მეზობელ ქვეყნებს შეურაცხყოფს“. კიდევ უფრო გამომწვევი სიტყვები გააჟღერა თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა, რომელმაც 2019 წლის 22 მარტს განაცხადა, რომ „თურქეთი აკონტროლებს ზღვებსა და ზღვის ფსკერსაც კი, - ეგეოსის, შავი და ხმელთაშუა ზღვების აღმოსავლეთს, კიპროსის ჩათვლით“.

2019 წლის 27 ნოემბერს თურქეთმა და ლიბიამ დადეს ხელშეკრულება, ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში ორ ქვეყანას შორის საზღვრების დადგენის შესახებ. საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოს დენდიასმა თურქულ-ლიბიურ შეთანხმებას „საერთაშორისო სამართლის აღმაშფოთებელი დარღვევა“ უწოდა და 6 დეკემბერს ლიბიის ელჩი დაითხოვეს ქვეყნიდან. საბერძნეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ორი წერილით მიმართა, რომელშიც თავისი პროტესტი გამოთქვა და მოითხოვა საკითხი უშიშროების საბჭოს განეხილა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და მოუწოდა თურქეთსა და საბერძნეთს დიალოგის საშუალებით გადაეწყვიტათ საკითხი.

თურქეთსა და საბერძნეთს შორის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში *(ხოდესაც მათ შოხის თითქმის შეწყვეტილი იყო უხთიეხთობები)* დაგროვდა მრავალი პრეტენზია და ერთ-ერთ მთავარ პრობლემას კიპროსის საკითხს, დაემატა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის კონტინენტური შელფისა და ხმელთაშუა ზღვის საზღვაო საზღვრებისა და ზონების გამიჯვნის ცალმხრივი გადაწყვეტილება ლიბიასთან ხელმოწერილი მემორანდუმის სახით (*2019 წლის 27 ნოემბეხს ლიბიის ლედაქალაქ ტხიპოლიში თუხქეთის პხეზიდენტ ხეჯებ თაიფ ეხდოღანსა და „ლიბიის ეხოვნული თანხმობის“ მთავხობის თავმჯდომახე ფაიზ სახაჯს შოხის).* მემორანდუმი ითვალისწინებდა თურქეთსა და ლიბიას შორის ხმელთაშუა ზღვის აკვატორიის გაყოფას და მათ საერთო კონტინენტური წყლების საზღვრის დელიმიტიზაციას, რომელშიც თურქეთი თავის „განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონად“ თვლის თითქმის მთელი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიას ლიბიის ეკონომიკურ ზონის საზღვრამდე, რაც იწვევს საბერძნეთის კუნძულ კრეტას კუთვნილი შელფისა და საერთაშორისო წყლების საზღვრების დარღვევას.

თურქეთი ძალზე შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ 2019 წელს შეიქმნა აღმოსავლეთ-ხმელთაშუა ზღვის ფორუმი შტაბ-ბინით ქაიროში და მისი წევრები არიან ეგვიპტე, იტალია, საბერძნეთი, კიპროსი, ისრაელი, იორდანია, პალესტინა. ფორუმს მხარს უჭერენ სპარსეთის ყურის მონარქიები *(თუხქეთის*

მოკავშირე ყატარის გარდა) და არაბული სახელმწიფოების ისრაელთან დაახლოვების ფონზე, წარმოიშვა მათი ერთობლივი ენერგეტიკული პროექტების გეგმები. საუდის არაბეთის, ბაჰრეინის და გაერთიანებული არაბული ემირატების წარმომადგენლები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის დაპირისპირებაში (თურქეთ-საბერძნეთი) საბერძნეთს უჭერენ მხარს. თურქეთის ამბიციების დაშოშმინების მიზნით, გასულ წელს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში საუდის არაბეთმა ერთობლივი სამხედრო წვრთნები ჩაატარა საბერძნეთთან ერთად, შემდეგ საბერძნეთისა და კიპროსის გაერთიანებულმა ძალებმა მანევრები ჩაატარეს ისრაელთან ერთად, ხოლო გასული წლის ბოლოს ჩატარდა სასწავლო წვრთნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბერძნეთის, კიპროსის, ეგვიპტის, გაერთიანებული ემირატების და საფრანგეთის სამხედრო ნაწილებმა.

2020 წელი თურქეთსა და საბერძნეთს შორის ურთიერთობები, აღინიშნა არსებული მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვით, რომელიც ეხება ლტოლვილთა მიგრაციის პრობლემებს, საბერძნეთის შელფზე თურქეთის საძიებო მცდელობებს, აია-სოფიას მეჩეთად გადაკეთების ფაქტს, კიპროსის საზღვაო პერიმეტრზე უკანონო ქმედებებს.

თურქეთი ადრეც უქმნიდა საბერძნეთს სირთულეებს სირიელი ლტოლვილების სახით, როდესაც მიგრანტთა დიდ მასებს გზას უხსნიდა საბერძნეთის საზღვრისაკენ, მათი ევროპისკენ გადაგზავნის მიზნით. 2020 წლის თებერვალში ერდოღანის განკარგულებით გაიხსნა თურქეთის საზღვრები საბერძნეთთან და ბულგარეთთან, სირიელი ლტოლვილების ნაკადისთვის, რამაც საბერძნეთი აიძულა აღემართა წინაღობები და გაემკაცრებინა სასაზღვრო კონტროლი. მანამდე, რამდენიმე კვირის მანძილზე თურქულ-ბერძნული საზღვარი ათეულ ათასობით არალეგალმა მიგრანტმა გადაკვეთა, რაც ათენის ხელისუფლებამ თავისი ეროვნული უშიშროების სერიოზულ საფრთხედ მიიჩნია.

ერდოღანის სურვილი, აია-სოფიას ისტორიული საკათედრო ტაძრის (*537 წლიდან ტაძარი, 1453 წლიდან მეჩეთი, 1935 წლიდან მუზეუმი*) მეჩეთად გადაკეთების ფაქტი, ორ ქვეყანას შორის კიდევ ერთი დაძაბულობის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ბერძნებისთვის, აია-სოფიას კედლებში კვლავ მუსლიმური რიტუალების აღდგენა, მათი რელიგიური რწმენისა და ბიზანტიური კულტურის თვალსაჩინო არქიტექტურული ძეგლის დაკნინების პრეცედენტად მიიჩნევა *(იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული)*. ერდოღანმა კი, 2020 წლის 24 ივლისი *(ლოზანის კონფერენციის ხელმოწერის 97-ე წლისთავი)* თურქეთისა და მუსლიმური სამყაროს ღირსშესანიშნავ ისტორიულ დღედ გამოაცხადა - ამ დღეს, აია-სოფიას მეჩეთში პარასკევის საზეიმო ნამაზი (წირვა) გაიმართა.

2020 წლის 1 ივნისს თურქებმა დაიწყეს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები საბერძნეთის კონტინენტალურ შელფზე ხმელთაშუა ზღვის რაიონში, რასაც მოჰყვა თურქი ელჩის გამოძახება საგარეო საქმეთა სამინისტროში. საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა ნიკოს პანაიოტოპულოსმა განაცხადა, რომ საბერძნეთი მზადაა თურქეთის მსგავს აგრესიულ მოქმედებებს პასუხი გასცეს. მან დაამატა, რომ „საბერძნეთის ხელისუფლება ემზადება ნებისმიერი სცენარისთვის, მაქსიმალურად შესაძლებელი ფორმით დაიცვას თავისი სუვერენული უფლებები,“.

2020 წლის აგვისტოში თურქეთმა დაიწყო საძიებო სამუშაოები საბერძნეთის სადავო კუნძულებთან კარპატოსის, როდოსის და კასტელორიზოს სანაპირო წყლებში, სადაც თურქული და ბერძნული გემების მცირე შეხლა-შემოხლა მოხდა, ხოლო ცაში ორივე მხარის თვითმფრინავები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთის დაშინებაში და მიუხედავად ამგვარი დაძაბულობისა, თურქული გემი „ორუჩ რეისი“, ორი კვირის განმავლობაში კიდევ აგრძელებდა თავის „არაკანონიერ“ ულიმიტო საძიებო სამუშაოებს. თურქეთის ამგვარი აქტივიზაციის საპასუხოდ, საბერძნეთმა და ეგვიპტემ შექმნეს თავისი საკუთარი ექსკლუზიური ეკონომიკური ზონა, რომელსაც ხელი

მოეწერა 2020 წლის 6 აგვისტოს და საბერძნეთის მხარემ განაცხადა, რომ ეგვიპტესთან ხელმოწერილი აღნიშნული შეთანხმება, თურქეთსა და ლიბიას შორის 2019 წელს დადებულ არაკანონიერ გარიგებას ანეიტრალებს, ანუ აუქმებს.

BBC - ის გამოკითხვის თანახმად, თურქი და ბერძენი ექსპერტები არ მალავენ, რომ უკანასკნელ ხანს აჟიტირებული და გახმაურებული „გაზის კონფლიქტი“, მათი დაპირისპირების მხოლოდ ერთი მხარეა, ხოლო კრიზისის მეორე და მთავარი მხარე - საზღვრების გარშემო შექმნილი დავა, საზღვაო სამართლის სხვადასხვა კუთხით შეფასება, ტერიტორიული პრეტენზიების „ეროვნული ინტერესების“ ეგიდით აპელირება და ახალი გეოპოლიტიკური რეალიებია.

2021 წლის იანვარში თურქეთმა და საბერძნეთმა, თითქმის დაასრულეს ხუთწლიანი მტრული დაპირისპირების პერიოდი და სტამბოლში განაახლეს მოლაპარაკებები, რათა რეალობების გათვალისწინებით, მოიძებნოს გარკვეული პოზიტიური სქემა ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით. 2021 წლის 16 მარტს ათენში შედგა ორი ქვეყნის დიპლომატების შეხვედრა და 14 აპრილს ანკარაში დაიგეგმა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნიკოს დენდიასის ვიზიტი.

15 აპრილს ანკარაში, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოღლუსა და მისი ბერძენი კოლეგის ნიკოს დენდიასის შეხვედრაზე, მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება და ერთმანეთის დადანაშაულება. კამათი გამოიწვია ჩავუშოღლუს განცხადებამ, რომ დასავლეთ თრაკიაში მცხოვრები თურქული ეთნიკური უმცირესობა ზეწოლას განიცდის საბერძნეთის ხელისუფლების მხრიდან, ხოლო დენდიასმა უპასუხა, რომ საბერძნეთში არ არის თურქული უმცირესობა და იქ მხოლოდ მუსლიმური უმცირესობა ცხოვრობს. ამას გარდა, ბერძენმა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თურქეთის მთავრობა არღვევს საბერძნეთის სუვერენულ უფლებებს და ასევე რეგულარულად იმუქრებიან ომით იმ შემთხვევაში, თუ იგი გააფართოვებს თავისი ტერიტორიული წყლების აკვატორიას ეგეოსის ზღვაში. ჩავუშოღლუმ უპასუხა, რომ თავის გამოსვლაში მას არ დაუდანაშაულებია საბერძნეთი და თურქეთის მოქმედებები მხოლოდ თურქი-კიპრიოტებისა და საბერძნეთის თურქი უმცირესობის უფლებების დაცვას ემსახურება.

ევროკავშირის ქვეყნები მიესალმებიან თურქეთ-საბერძნეთის მოლაპარაკებებს და ევროკავშირის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზადყოფნა თურქეთთან გააფართოვონ თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, თუ თურქეთის მხრიდან რეგიონში შექმნილი რთული მდგომარეობის დეესკალაციის პროცესი გაგრძელდება და თურქეთი კონსტრუქციულად იმოქმედებს. ანკარის შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს კიპროსის საკითხიც და შეთანხმდნენ მომავალი მოლაპარაკებების გამართვაზე გაეროს ეგიდით.

თურქეთსა და საბერძნეთს შორის დაძაბული ურთიერთობების ყველაზე სერიოზული მიზეზი გახლავთ კიპროსის საკითხი. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის პრობლემა XX საუკუნეში დარჩა მოუგვარებელი და კუნძულზე ორი დაპირისპირებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები დღემდე ქიშპობისა და მტრული განწყობის რეჟიმში ცხოვრობენ. თურქეთი 1974 წელს შეიჭრა კიპროსზე თავისი „სამშვიდობო ოპერაციით“ და მისი ჩრდილოეთ ნაწილი დაიკავა. კიპროსის ომის შედეგად, კუნძული ორ ნაწილად გაიყო, სადაც კუნძულზე მცხოვრები თურქები ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ, ხოლო ბერძნები სამხრეთ ნაწილში - კიპროსის რესპუბლიკაში. მას შემდეგ თურქეთს ოკუპირებული აქვს კუნძულის ტერიტორიის დაახლოვებით 37%. 1983 წლის 15 ნოემბერს თურქეთის კარნახითა და მხარდაჭერით შეიქმნა „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკა“ (Kuzey Kıbrıs Türk Cumhuriyeti – KKTC), რომლის „დამოუკიდებლობა“ მხოლოდ თურქეთს აქვს აღიარებული. აღნიშნული „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“ – (ჩკთრ) ფინანსურად და ეკონომიკურად მთლიანად თურქეთის სახელმწიფო

ბიუჯეტზეა დამოკიდებული, ისევე როგორც თურქი-კიპრიოტების ელიტა, მთლიანად თურქეთის მმართველი წრეებიდან იმართება. თურქეთი XXI საუკუნეშიც ინარჩუნებს თავის გავლენას „თურქული რესპუბლიკის“- ჩკთრ - ის პოლიტიკაზე და ჩრდილოეთ კიპროსის ინტერესებს მტკიცედ იცავს ყველა საერთაშორისო მაღალ ინსტანციებში.

კუნძულის ორად გაყოფის შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩარევითა და მოწოდებებით, კუნძულის ადგილობრივი თემის წარმომადგენლები: ბერძენი-კიპრიოტები და თურქი-კიპრიოტები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ერთმანეთთან, მაგრამ თითქმის 25 წლის მანძილზე ვერ შეძლეს მიეღწიათ რაიმე შეთანხმებისთვის მათი მომავალი პოლიტიკური ასოციაციის შესახებ. მაგრამ 2000 წლისთვისაც, როდესაც გამოიკვეთა კიპროსის ბერძნული ნაწილის (კიპროსის რესპუბლიკა) შესაძლო მიღება ევროკავშირის წევრად, თურქეთი აღაშფოთა ამ ფაქტმა და გამოთქვა პროტესტი, კიპროსის ბერძნული ნაწილის ევროკავშირში მიღების თაობაზე თურქი-კიპრიოტების მონაწილეობის გარეშე, რომელნიც კუნძულის ისეთივე სრულუფლებიანი მაცხოვრებლები არიან. თურქების აზრით, ევროკავშირის წევრი ვერ გახდება კუნძულის ერთი ნაწილი, მეორე ნაწილის თანხმობის გარეშე. კიპროსის ევროკავშირის წევრად მიღების გარდა, დღის წესრიგში დადგა საკითხი - კიპროსის ორივე ნაწილის გაერთიანების შესახებ, ანუ კიპროსის გაერთიანებული ერთიანი სახელმწიფოს მიღებით ევროპული სახელმწიფოების გაერთიანებაში. კუნძულის ორივე თემი, ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით განწყობილი იყო გაერთიანებისთვის, რაც შესაძლებლობას იძლეოდა ნელ-ნელა დავიწყებულიყო წინა დაპირისპირება და კონფლიქტები, რაც უსაფრთხოებასა და ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებდა. 2001 წლის 4 იანვარს დაიწყო პირდაპირი მოლაპარაკებები კიპროსის ბერძნული და თურქული თემების ლიდერებს შორის. შეხვედრებზე გადაწყდა, რომ 2002 წლის ივნისისთვის გაერთიანებული კიპროსის შექმნის დოკუმენტის ძირითადი პირობები შეთანხმებული, დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნება. მაგრამ მოლაპარაკებათა 50 რაუნდის შემდეგ, შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა. ამის შემდეგ, კიპროსის ორივე თემის მოლაპარაკებებზე შეთანხმების მიღწევის ინიციატივა თავის თავზე პირადად აიღო გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა. კოფი ანანის მიერ შედგენილი გეგმა გულისხმობდა ერთიანი კიპროსის სახელმწიფოს შექმნას. გაერთიანებული კიპროსი თავისი სახელმწიფო წყობით შვეიცარიის კონფედერაციის მოდელის მაგალითზე უნდა ყოფილიყო მორგებული, ე.ი. კიპროსი ორი თავისუფალი კონფედერაციის - ბერძენი-კიპრიოტების და თურქი-კიპრიოტების სახელმწიფო უნდა გამხდარიყო. ბერძნული და თურქული თემის წარმომადგენელი კიპროსის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო რიგრიგობით *(ბოსნია-ჰერცეგოვინის მსგავსად).* კოფი ანანის გეგმა ასევე ითვალისწინებდა ფედერალური კონსტიტუციის შექმნას, ორივესთვის ცალ-ცალკე კონსტიტუციის, რიგი ფედერალური და კონსტიტუციური კანონებისა და გაერთიანებული კიპროსის დროშისა და ეროვნული ჰიმნის შექმნის წინადადებით. დაშვებული იყო როგორც თურქეთის, ასევე საბერძნეთის მუდმივი სამხედრო ნაწილების განთავსება, ოღონდ კონტინგენტის მნიშვნელოვანი შემცირებით. კოფი ანანის გეგმით გათვალისწინებული ქვეყნის გაერთიანების პროცედურა უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმის სახით ორივე თემში - თურქულ და ბერძნულ მოსახლეობაში. მათი არჩევანის მიხედვით მოხდებოდა კიპროსის გაერთიანება და ერთიანი კიპროსის სახელმწიფოს გაწევრიანება ევროკავშირში.

კოფი ანანის გეგმა ორივე მხარეს წარედგინა 2002 წლის ნოემბერში და მომავალი მოლაპარაკებების საფუძველს წარმოადგენდა 2004 წლამდე. მოლაპარაკებები დაიწყო 2004 წლის 19 თებერვალს იმ პირობით, რომ მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა წინააღმდეგობა უნდა აღმოფხვრილიყო 2004 წლის 1 მაისამდე *(ამ დღეს დანიშნული იყო კიპროსის სახელმწიფოს ოფიციალური გაწევრიანება ევროკავშირში).* 2004 წლის 24-31 მარტს

შვეიცარიაში გაიმართა მორიგი მოლაპარაკებები, სადაც დამტკიცდა გეგმის საბოლოო ვარიანტი და რეფერენდუმის ჩატარების თარიღი - 2004 წლის 24 აპრილი.

2004 წლის 24 აპრილს კიპროსზე, კოფი ანანის გეგმის საფუძველზე კიპროსის გაერთიანების გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი, რომელშიც ორივე თემის მოსახლეობამ მიიღო მონაწილეობა. თურქული თემის წარმომადგენლების 64,9% - მა მხარი დაუჭირა კუნძულის გაერთიანების გაეროს გეგმას. ამავე დროს, ბერძნული თემის მოსახლეობის 75,8% - მა უარყო აღნიშნული გეგმა გაყოფილი კუნძულის გაერთიანების შესახებ. კოფი ანანის გეგმის წინააღმდეგ იყო განწყობილი კიპროსის პრეზიდენტი ტასოს პაპადოპულოსი, რომელიც თვლიდა, რომ გეგმის პირვანდელ ვარიანტში, მოლაპარაკებების მიმდინარეობისას შეტანილ იქნა რამდენიმე ცვლილება, რომელიც თურქული მხარის სასარგებლოდ *(მისი აზჩით, გაეჩო დათმობებზე წავიდა აშშ-ის ზეწოღის გამო)* წყვეტდა ზოგიერთ საკითხს. კოფი ანანის მიერ შემუშავებული გეგმის პირვანდელი ვარიანტი, სავსებით მისაღები იყო ბერძენ-კიპრიოტებისათვის. ძირითადი დებულებები ასე გამოიყურებოდა:

1. კიპროსი ყალიბდებოდა ერთიან სახელმწიფოდ, რომელიც შედგებოდა ორი თანასწორუფლებიანი ფედერაციისგან;

2. კიპროსი იქმნებოდა ერთიან საერთაშორისო ერთეულად, სადაც ყველა მის მოქალაქეს ეძლეოდა კიპროსის მოქალაქეობა;

3. ტარდებოდა თემების საცხოვრებელი ტერიტორიული ზონების კორექტირება.

   განზრახული იყო თურქული ზონის შემცირება 36%-დან 28,5%-მდე;

4. 85 000 ბერძენი-კიპრიოტის დაბრუნება თავის საცხოვრისში, რომელიც კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს;

5. 1974 წლის მოვლენებისას თავისი საცხოვრისის დაკარგულთათვის კომპენსაციის ანაზღაურება;

6. ერთიანი კიპროსის შესვლა ევროკავშირში და შემდგომში განსაკუთრბული ურთიერთობების განვითარება საბერძნეთთან და თურქეთთან;

7. ორპალატიანი პარლამენტის არჩევნები, სადაც 48 დეპუტატის ადგილი იქნება;

8. საპრეზიდენტო საბჭოს შექმნა, რომელიც ექვსი წევრისგან შედგება, კიპროსის ორივე თემის მოსახლეობის რიცხოვნობის პროპორციულად, საბჭოს თავმჯდომარის 10-თვიანი როტაციით;

9. კიპროსის დემილიტარიზაცია შეიარაღების შემოტანის სრული ემბარგოს შემოღებით;

10. ადამიანის და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მუდმივი მონიტორინგი.

ბერძენი-კიპრიოტების უკმაყოფილება გამოიწვია გეგმის ახალი რედაქციის შემდეგმა პუნქტებმა: 1) თემების უსაფრთხოების არასრულყოფილი გარანტიები; 2) გეგმის განხორციელების ზუსტი მექანიზმის უქონლობა; 3) კიპროსზე თურქული სამხედროების განლაგების შენარჩუნება; 4) თურქეთიდან ყველა გადმოსახლებულის ცხოვრების უფლებების მინიჭება; 5) ქვოტების დადგენა, რომელიც ზღუდავს იმ ბერძენი-კიპრიოტების რიცხვს, რომელთაც უფლება ეძლეოდათ დაბრუნებულიყვნენ კუნძულის ჩრდილოეთში და დაებრუნებინათ თავისი კერძო-საკუთრება, რომელიც დაკარგეს თურქული ჯარების შემოსვლის შემდეგ. კიპროსის პრეზიდენტმა ტასოს პაპადოპულოსმა თავის სპეციალურ მიმართვაში განაცხადა, რომ გაეროს გეგმა, კუნძულის ორად გაყოფას არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით, აკანონებს კიდეც. იგი ასევე აღნიშნული გეგმის პუნქტს, რომელიც თურქულ ჯარებს კიპროსზე ყოფნის უფლებას უხანგრძლივებს, არა თუ ცუდს, არამედ არასიცოცხლისუნარიანს უწოდებს. კოფი ანანის გეგმის წინააღმდეგ გამოდიოდა ჩკთრ - ის პრეზიდენტი რაუფ დენქთაშიც, რომელიც იწუნებდა გეგმაში ჩადებულ დებულებას: „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის“ ტერიტორიების ძლიერ შემცირებისა და „ასი ათასი თურქი-კიპრიოტის კუნძულიდან გაძევების“ მოთხოვნას *(მხედველობაშია 1974 წლის შემდეგ თურქეთიდან ჩრდილოეთ კიპროსზე საცხოვრებლად გადმოსული თურქების უკან დაბრუნების პირობა).* რაუფ დენქთაშმა უარი განაცხადა არსებული გეგმით გათვალისწინებული „კუნძულის გაერთიანების“ შესაძლებლობაზე და მოუწოდა თურქ-კიპრიოტებს არ მიეღოთ მონაწილეობა რეფერენდუმში.

2004 წლის 1 მაისს კიპროსი გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი და ამ მომენტისთვის კუნძული კვლავ ორ ნაწილად დარჩა გაყოფილი. ამგვარად, ევროკავშირის ყველა კანონი და წევრობით გათვალისწინებული პრივილეგიები ვრცელდებოდა მხოლოდ ბერძნულ სექტორზე. თურქეთი არ ცნობდა კიპროსის რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობას და მას მხოლოდ „სამხრეთ კიპროსის ბერძნულ მმართველობას“ („Güney Kıbrıs Rum Yönetimi“) უწოდებდა. რადგან ევროკავშირი ოფიციალურ დონეზე არ ცნობდა ჩკთრ - ს, კიპროსის თურქული თემიც თურქეთის დიქტატით მოქმედებდა, არ ცნობდა კიპროსის ბერძნულ მთავრობას, მითუმეტეს, როდესაც მის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 35-ათასიანი თურქული ჯარი, როგორც მისი უსაფრთხოების გარანტი.

2005 წლიდან ევროკავშირმა თურქეთთან დაიწყო ოფიციალური საუბარი, მისი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე. შეხვედრების დროს განხილულ საკითხებს შორის, ერთ-ერთი მთავარი პირობა კიპროსის პრობლემის მოგვარება და კიპროსის რესპუბლიკასთან, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან, დიპლომატიური და საბაჟო ურთიერთობების დამყარება იყო. ევროკავშირი ასევე ითხოვდა თურქეთისა და ჩრდილოეთ კიპროსის კონტროლის ქვეშ არსებული აეროპორტებისა და ფამაგუსტას საზღვაო პორტის გახსნას, კიპროსის რესპუბლიკის თვითმფრინავებისა და გემების მიერ თავისუფლად სარგებლობის მიზნით. თურქეთი კიპროსის რესპუბლიკის აღიარების სანაცვლოდ, ევროკავშირის მხრიდან ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის იზოლაციის მოხსნას ითხოვდა და ამასთანავე, ჩკთრ - ისთვის ევროკავშირის მხრიდან შესაბამის ეკონომიკურ დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთი, არც აეროპორტებსა და პორტებს გახსნიდა და კიპროსის პრობლემის ბოლომდე გადაწყვეტის გარეშე, არ აპირებდა კიპროსის რესპუბლიკის, ანუ სამხრეთ კიპროსის ბერძნული სექტორის ოფიციალურად აღიარებას.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პირობებში, გარდა კიპროსის საკითხის მოგვარების აუცილებლობისა, ასევე მეტად სერიოზულ და გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა „ქურთების საკითხი“, „სომხების გენოციდის ცნობა“, სამხედროების ელიტარული მდგომარეობა და დემოკრატიული ინსტიტუტების მუშაობა. აღნიშნული პირობების შესრულების პროცესები, გარკვეულ რისკებსა და სახელმწიფოს სტრატეგიული

პრიორიტეტების გარკვეულ ცვლილებებს შეიცავს, რაც სავარაუდოდ თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმატებულ სვლას ნაწილობრივ შეაფერხებს. შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, 2006 წლის დეკემბერში ევროკავშირმა თურქეთის გაწევრიანებისთვის დაწყებული „დიალოგი“ შეაჩერა.

2008 წელს კიპროსის რესპუბლიკის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დიმიტრის ქრისტოფიასმა, შეუსრულა ამომრჩევლებს წინასაარჩევნოდ მიცემული მთავარი დაპირება და განაახლა კუნძულის პრობლემების მოგვარების საკითხების განხილვა. ქრისტოფიასმა ინაუგურაციის დროს სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „კიპროსის პრობლემის გადაწყვეტა მთავრობის მთავარი პრიორიტეტი იქნება, რომელმაც უნდა გააერთიანოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორია, ხალხი, ინსტიტუტები და ეკონომიკა, ორზონიანი, ორთემიანი ფედერაციის ფარგლებში. გაერთიანება უნდა ეყრდნობოდეს გაეროს რეზოლუციებს კიპროსის შესახებ, შეესაბამებოდეს საერთაშორისო კანონმდებლობას და ევროკავშირის კანონებს.

2008 წლის 21 მარტს დიმიტრის ქრისტოფიასი შეხვდა ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის მეთაურს მეჰმეთ ალი თალათს (*2004 წელს ხეფეხენდუმის წინ, იგი მოუწოდებდა თურქ-კიპრიოტებს კოფი ანანის გეგმისთვის დაეჭიხათ მხარი)*. თემთა ლიდერები შეთანხმდნენ კუნძულის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის განახლებაზე, შექმნან ექსპერტთა ჯგუფები, რომელნიც შეიმუშავებენ კიპროსის საკითხის გადაწყვეტის ახალი შეთანხმების დეტალებს. ასევე შეთანხმდნენ, რომ ნიქოზიის ცენტრში თემებს შორის არსებულ გამყოფ საზღვარზე გაიხსნას საკონტროლო-გამშვები პუნქტი. კიპროსზე უამრავი პრობლემა იყო დაგროვილი და ერთბაშად მათი მოგვარება ერთი შეხვედრით არ მოხდებოდა.

ორივე მხარე სერიოზულად განიხილავდა კუნძულის მომავალი მოწყობის საკითხებს და საგულისხმოა, რომ 2009 წლის მხოლოდ 10 თვის განმავლობაში პრეზიდენტები ქრისტოფიასი და თალათი 42-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აღნიშნული შეხვედრები გარკვეულ პროგრესულ ნაბიჯებად შეიძლება შევაფასოთ, მაგრამ საქმის კეთილად დასრულებისთვის საკმაოდ დიდი ჯაფა და დრო უნდა მოხმარებოდა. ასევე, მეტად მნიშვნელოვანი იყო თურქეთისა და საბერძნეთის მხარდაჭერა ამ მეტად სათუთი პრობლემის გონივრულად და კომპრომისულად გადაჭრის შემთხვევაში.

კუნძული უკვე კარგა ხანია ორად არის გაყოფილი, ორივე მხარეს ახალი თაობა გაჩნდა, რომელიც ტერიტორიულად, ეროვნულად და რელიგიურად ერთმანეთისგან გაუცხოებულია. გეგმით არსებობს კუნძულის ფედერატიული მოწყობა და პოლიტიკური შეთანხმება შეიძლება იქნას მიღწეული, მაგრამ ჯერ არ გადაწყვეტილა 1974 წელს თურქების სამხედრო შემოჭრის შედეგად, საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრილი და გასახლებული ბერძნების თავის სახლებსა და მიწა-წყალზე დაბრუნების საკითხი. არ იყო ცნობილი, როგორ გადაწყდებოდა ბერძნებისთვის წართმეული ქონებისა და ავლა-დიდების კომპენსაციის საკითხი. 2009 წლის აპრილში ჩრდილოეთ კიპროსელმა თურქმა-კიპრიოტებმა საყოველთაო არჩევნებში მხარი დაუჭირეს ახალ, ულტრანაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკური ძალის, „ეროვნული ერთობის პარტიის“ მოსვლას მთავრობაში. შედეგად მთავრობის მეთაური გახდა გამარჯვებული პარტიის ლიდერი დერვიშ ეროღლუ, რომელიც ხანგრძლივად: 1985-1994 და1996-2004 წლებში იყო „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის“ - ჩკთრ პრემიერ-მინისტრი *(და ჰოგოჰც ვხედავთ 2009-2010 წლებშიც)*. 2010 წლის 18 აპრილს ჩკთრ -ის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა 72 წლის დერვიშ ეროღლუმ, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების 50,4% აიღო და ოდნავ გაუსწრო ჯერ ისევ პრეზიდენტის რანგში მყოფ კანდიდატს მეჰმეთ ალი თალათს. ახლადარჩეული პრეზიდენტი დერვიშ ეროღლუ გამოირჩეოდა ხისტი ნაციონალისტური პოლიტიკით, არ უჭერდა მხარს კიპროსის გაერთიანებას და კიპროსის ბერძნული ნაწილის მიმართ *(დღესაც)* „მკაცრი პოლიტიკის“

გატარების მომხრედ ითვლება. ამრიგად, ქრისტოფიასისა და თალათის თითქმის „დამთბარი“ ურთიერთობები, რომლის შედეგადაც ვერ მოხერდა კიპროსის ფედერაციული მოწყობის საკითხი, ამჯერად განსახილველი პრობლემები უფრო რთული ვითარების წინაშე დადგა. რეგიონის გეოპოლიტიკური გარემო ახალი გამოწვევების რეგულაციების პერიოდს განიცდიდა: 1) თურქეთის საგარეო პოლიტიკა რეგიონის მიმართ ბევრად გააქტიურდა 2009 წლის მაისიდან, აჰმეთ დავუთოღლუს მინისტრად დანიშვნის შემდეგ; 2) თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების გართულება 2010 წლის 31 მაისის „ღაზას“ ინციდენტის შემდეგ, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში უსაფრთხოების ზონის შენარჩუნების საკითხს ართულებდა; 3) 2011 წლის იანვრიდან გააქტიურებული „არაბული გაზაფხულის“ გაფართოვებული არეალი რეგიონის ქვეყნებზეც გავრცელდა; 4) 2011 წლიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, კერძოდ კიპროსის შელფზე აღმოჩენილ ენერგეტიკულ საბადოებზე თურქეთს საკუთარი პრეტენზიები გააჩნია, რაც მკვეთრი დაპირისპირების საფრთხეს ქმნის.

კიპროსის პრობლემის მოგვარების საკითხებზე ევროკავშირის გარდა, აქტიურად ჩაერთი გაერო და მისი გენერალური მდივანი პან გი მუნი. 2011 წლის სექტემბერში გაეროს განერალური ასამბლეის მიმდინარეობის დღეებში ნიუ-იორკში მოეწყო მოლაპარაკებები თურქ-კიპრიოტებსა და ბერძენ-კიპრიოტებს შორის, მაგრამ გაეროს აქტიური ჩართულობით. მოლაპარაკებები თურქ-კიპრიოტებსა და გაეროს შორის და ბერძებ-კიპრიოტებსა და გაეროს შორის ცალ-ცალკე ტარდებოდა, რამაც გაართულა ორივე მხარის ურთიერთ მოლაპარაკებებისა და საკითხების განხილვის პროცესი. ამ მეთოდით მუშაობამ ცხადი გახადა, რომ კიპროსის საკითხის ძირფესვიან განხილვასა და მისი მოგვარების პროცესში მნიშვნელოვნად გაიზარდა გაეროს როლი.

გაეროს გენერალური მდივნის კითხვაზე, შეძლებენ თუ არა მხარეები იპოვნონ გადაწყვეტილება ძირითად და საკვანძო საკითხებზე 2012 წლის იანვრამდე, ორივე მხარემ დადებითად უპასუხა. თავის ბოლო განცხადებაში პან გი მუნმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეები შეთახმდებიან იანვრამდე და თებერვალში ან მარტში შეიძლება ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ბევრ საკითხს გასცემს პასუხს. პან გი მუნი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ 2012 წლის ივლისში კიპროსი იღებს ევროკავშირის თავმჯდომარეობის სტატუსს *(წესდების თანახმად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ყოველ 6 თვეში მონაცვლეობით თავმჯდომარე-სახელმწიფოს მოვალეობას ასრულებენ)* და კიპროსის საკითხის გადაწყვეტილება თუ არ მოესწრო 2012 წლის პირველ ნახევარში, მაშინ ამ პროცესმა შეიძლება გადაიწიოს 2013 ბოლომდე, ან სულაც უფრო ხანგრძლივი დროით. ნიუ-იორკიდან დიმიტრის ქრისტოფიასის დაბრუნებას ნიქოზიაში უკმაყოფილოდ შეხვდნენ და გააკრიტიკეს პასიური ქმედების გამო, ამას გარდა ეჭვის ქვეშ აყენებენ, ღირს კი რომ მან გაეროს გენერალურ მდივანთან დაგეგმილ სამმხრივ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს.

აღნიშნული შეხვედრები რეგიონში შექმნილი ენერგორესურსების გადანაწილებისა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების გარშემო შექმნილი დაპირისპირების გამო, დროებით ჩაანაცვლა სამხედრო მუქარისა და ტერიტორიული წყლების მფლობელის დადგენის რიტორიკამ. თურქეთის მხრიდან მუქარის ხმები გაისმა უკვე 2011 წლის სექტემბერში, როდესაც კიპროსის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა დაეწყო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები კუნძულ კიპროსის შელფზე. თურქეთმა პროტესტი გამოთქვა და განაცხადა, რომ კიპროსზე თურქებისა და ბერძნების საბოლოო შერიგებამდე, დაუშვებელია მინერალური რესურსების დამუშავების დაწყება. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა გააფრთხილა კიპროსის მთავრობა, რომ აღნიშნული ნაბიჯი, პირდაპირ ლახავს თურქი-კიპრიოტების უფლებებს. კიპროსის პრეზიდენტმა ქრისტოფიასმა განაცხადა, რომ კიპროსი დაიწყებს ბურღვას საცდელ ჭაბურღილზე და თურქეთის დამუქრების მიუხედავად, შეუდგება მინერალური რესურსების დამუშავებას. მისი თქმით,

გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები დაიწყო მეზობელ ქვეყნებთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, საზღვაო შელფის ზონების განსაზღვრის შედეგად საერთაშორისო სამართლის სრული შესაბამისობის მიხედვით. ამას თურქეთის მხრიდან მოჰყვა სამხედრო მანევრები, რომელთაც რეგიონში შექმნეს შემდგომი ესკალაციის რეალური საფრთხე. საინტერესოა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა თავისი მოქმედებების კანონიერება გაემართლებინა და ამ მიზნით, პრემიერმა რეჯებ ერდოღანმა ნიუ-იორკში „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის“ პრეზიდენტ დერვიშ ეროღლუსთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის შელფზე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების შესრულების უფლებაზე. აღნიშნული შეთანხმების შემდეგი ეტაპი გულისხმობს, რომ „ჩრდილოეთ კიპროსის სახელმწიფო“ თურქულ ნავთობ-კომპანიის „Turkish Petroleum Gorporation” სახელზე გასცემს ლიცენზიას საძიებო სამუშაოებისა და ენერგორესურსების შემდგომი მოპოვების უფლებით. ერდოღანის განცხადებით, თურქული საძიებო გემი დაუყოვნებლივ გაემართება ჩრდილოეთის შელფის რაიონში და „იქ მას უკვე ელოდება თურქული სამხედრო კატარღები და ფრეგატები“. თურქეთის პოზიციამ საკმაოდ დაძაბა მდგომარეობა რეგიონში, რასაც მრავალი ევროპელი პოლიტიკური ექსპერტი გამოეხმაურა, რომლებიც არ გამორიცხავდნენ მოსალოდნელი სამხედრო დაპირისპირების შესაძლებლობას - ერთის მხრივ თურქეთის, ხოლო მეორეს მხრივ საბერძნეთისა და კიპროსის ძალებს შორის. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თურქეთიც და საბერძნეთიც ნატოს ალიანსის წევრი-სახელმწიფოები არიან და ვინაიდან, რეგიონის ენერგორესურსების საძიებო კვლევების პერიპეტიებში აშშ-ის, ნორვეგიის, იტალიის ნავთობკომპანიები არიან ჩართულნი, რეგიონში შექმნილ მდგომარეობას მსოფლიო სამხედრო ელიტა შეტაკებამდე არ მიიყვანდა.

კიპროსის საკითხის მოგვარებას, თურქეთის აგრესიული გამოხდომების გარდა, რეგიონში შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობაც (*„ახაბუღი გაზაფხული“ ტუნისს, ღიბიას, ეგვიპტეს, სირიას უკვე ახყევდა*) არ უწყობდა ხელს და როგორც კიპროსის პრეზიდენტმა დ. ქრისტოფიასმა აღნიშნა, მხარეებს შორის თავიდან მიუხედავად პოზიციების დაახლოვებისა და გაეროს ეგიდის ქვეშ, როდესაც რამდენიმე ასპექტში პრობლემების შეჯერების საშუალებაც გამოჩნდა, თურქული თემის ლიდერები თანდათან დაშორდნენ ბევრ უკვე შეთანხმებულ პოზიციებს. მანვე სინანულით დაამატა, რომ „თურქი-კიპრიოტების პოზიციების ასეთი ცვლილება მიმდინარეობს თურქეთის მიერ ამ ბოლო დროს გატარებული მანკიერი და პროვოკაციული პოლიტიკის ფონზე“.

2013 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში გაეროს 68-ე გენერალური ასამბლეის მიმდინარეობის დღეებში ეგვიპტის, საბერძნეთის და კიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელი მოეწერა „ხმელთაშუა ზღვის რეგიონში სამმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაციის“ შეთანხმებას, რომელსაც ექსპერტები ახალი „ბლოკის“ შექმნის პრეცედენტს უწოდებენ. ამას მოჰყვა ნიუ-იორკში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმეთ დავუთოღლუს ინიციატივით შემდგარი შეხვედრა საბერძნეთის ვიცე-პრემიერსა და ამავდროულად, საგარეო საქმეთა მინისტრ ევანგელოს ვენიზელოსთან, რომელზეც პროგრესულ და რადიკალურ ნაბიჯად შეფასდა თურქეთის განზრახვა, დაიწყოს კიპროსის თურქი და ბერძენი ლიდერების სპეციალური წარმომადგენლების მოლაპარაკებები იმ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, რომელი ქვეყნებიც კუნძულზე მცხოვრები ხალხის სამშობლოს წარმოადგენენ. საბერძნეთის ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ვენიზელოსმა ათენში დაბრუნებისას 30 სექტემბერს კმაყოფილება გამოხატა აჰმეთ დავუთოღლუსთან მოლაპარაკებების პოზიტიური განწყობის გამო. ამის შემდეგ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კიპროსის რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნისა და თურქეთის მთავრობის მხრიდან თანხმობისა, რომ შეხვედროდა კიპროსის ბერძნული

ხელისუფლების წარმომადგენელს, საბერძნეთის მთავრობა, თავის მხრივ დათანხმდა შეხვედროდა კუნძულის თურქული მხარის წარმომადგენელს. ამ პერიოდისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგანაც თურქი-კიპრიოტების ლიდერმა დერვიშ ეროღლუმ თავის განცხადებებში გამოხატა მზადყოფნა უმოკლეს დროში გადაწყდეს კიპროსის პრობლემა და 2014 წლის გაზაფხულზე ჩატარდეს რეფერენდუმი. კიპროსის პრობლემის მოგვარების დაჩქარებულ ვარიანტს მიესალმებოდა კიპროსის რესპუბლიკის 2013 წლის თებერვალში არჩეული ახალი პრეზიდენტი ნიკოს ანასტასიადისი, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ კიპროსი აღარ დაბლოკავს თურქეთის ევროკავშირში მიღების საკითხს და კიპროსის პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი გაეროს რეზოლუციებზე ორიენტირებული უნდა იყოს, რაც შექმნის პერსპექტივას შეიქმნას ორზონიანი, ორთემიანი, თანაბარი უფლებების ახალი კიპროსის სახელმწიფო ერთიანი საერთაშორისო წარმომადგენლობით. კიპროსის გაჭიანურებული პრობლემები, ვერც ანასტასიადის-ეროღლუს შეხვედრებმა და ვერც მათი პირადი წარმომადგენლების მოლაპარაკებებმა ვერ გადაწყვიტეს და ბოლოს, 2014 წლის ოქტომბერში ყველანაირი კონტაქტები კიპროსის დარეგულირების საკითხებზე შეჩერებულ იქნა, მას შემდეგ რაც თურქეთმა დაუკითხავად დაიწყო ნახშირწყალბადის საბადოების სეისმური ძიება უშუალოდ კიპროსის რესპუბლიკის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. საქმე იმაში გახლავთ, რომ თურქეთი არ ცნობს კიპროსის რესპუბლიკის *(ევროკავშირის წევრი ქვეყანა)* სუვერენიტეტს, რომელსაც მსოფლიო სახელმწიფოების უმრავლესობა ოფიციალურად ცნობს. თურქეთი ყველა საშუალებით ხელს უშლის კიპროსის რესპუბლიკას, რომ საკუთარ ტერიტორიულ წყლებში, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, დაამუშავოს თავისი კუთვნილი ნახშირწყალბადის საბადოები.

2015 წლის 26 აპრილს ჩატარებულ „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის“ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა კიპროსიის მშვიდობიანი გზით გაერთიანების მომხრე კანდიდატმა მუსტაფა აქინჯიმ. ახალმა პრეზიდენტმა თავისი პოლიტიკური საქმიანობა აქტიურად დაიწყო და საკმაოდ მალე, 2015 წლის 11 და 15 მაისს კიპროსის საკითხზე მოლაპარაკებების ფარგლებში, გაეროს ეგიდით ორჯერ შეხვდა კიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნიკოს ანასტასიადისს.

ამავე პერიოდში სირიელი ლტოლვილების ევროპული პრობლემების მოგვარების საკითხების განხილვისას განახლდა დიალოგი თურქეთსა და ევროკავშირს შორის, რომელიც ჩიხში შევიდა თურქეთის აგრესიული ქმედებების შედეგად, კიპროსის ტერიტორიულ წყლებში საძიებო სამუშაოების ულიმიტოდ წარმოების გამო.

2015 წლის სექტემბრის დასაწყისში თურქეთის პრემიერ-მინისტრის აჰმეთ დავუთოღლუსა და კიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტ ნიკოს ანასტასიადისის შეხვედრაზე გამოიკვეთა თურქეთის დაინტერესებაც კიპროსის ორ ეთნიკურ თემს შორის ურთიერთობების დარეგულირების საკითხით და გადაწყდა გაეროს აქტიური ჩარევის აუცილებლობაც ამ პროცესში. 2016 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გაეროს ინიციატივით ნიქოზიაში ერთმანეთს შეხვდნენ კიპროსის ბერძნული ნაწილის ლიდერი ნიკოს ანასატასიადისი და თურქული ნაწილის ხელმძღვანელი მუსტაფა აქინჯი, რომელთაც ერთგვარ პროგრესს მიაღწიეს კონფლიქტური და მწვავე საკითხების განხილვისას კიპროსის მომავალი მოწყობის თაობაზე. ამის შემდეგ ნიკოს ანასტასიადისმა ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის მუშაობის დღეებში, გაეროს გენერალურ მდივან პან გი მუნსა და უშიშროების საბჭოს წევრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ „თუ ჩვენ ბოლომდე გამოვავლენთ ნებისყოფას, ამ წლის ბოლომდე დავდებთ კიპროსის გაერთიანების ისტორიულ მშვიდობიან შეთანხმებას“. მუსტაფა აქინჯიმ აშშ-ში ვიზიტის წინ, თავის მხრივ განაცხადა, რომ „კიპროსელმა თურქებმა და

ბერძნებმა 50-იანი წლებიდან მოყოლებული ბევრი ტკივილი და წვალება გადაიტანეს , ახლა კი დადგა დრო ერთმანეთს ვაპატიოთ და ერთად ცხოვრება ვისწავლოთ. ჩვენ სამშვიდობო პროცესის ფინალურ სტადიაზე ვიმყოფებით". ორივე მხარე პოზიტიურად იყო განწყობილი, ფედერაციული სახელმწიფოს, ქვეყნის ერთობლივი მართვისა და ხელისუფლების გადანაწილების საკითხებში, მაგრამ მათი ეთნიკურად მონათესავე სახელმწიფოების გეოპოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის ინტერესები, კუნძულის გარშემო შექმნილი უზარმაზარი რესურსების დაპატრონების პოლიტიკური ბრძოლით მუსტაფა აქინჯის და ნიკოს ანასტასიადისის მორიგი შეხვედრა 2016 წლის ნოემბერში შვეიცარიაში გაიმართა, რომელშიც ბერძნული მხარე, ბერძნების ჩრდილოეთ კიპროსზე, ძველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებისა და სახლ-კარის აღდგენის მოთხოვნებს გულისხმობდა, ხოლო თურქული მხარე ბერძნებისთვის სახლ-კარის შენარჩუნების საპასუხოდ, ადგილობრივი თურქი პატრონებისთვის, კომპენსაციის სახით ანაზღაურებას ეხებოდა. აღნიშნულ პირობებზე მხარეები ვერ შეთანხმდენენ და აქინჯიმ ბერძნულ მხარეს, „მაქსიმალისტური მოთხოვნების" ბრალი წაუყენა, ხოლო ბერძნულმა მხარემ თურქების პოზიცია არ მიიღო.

ამის შემდეგ, გაერომ თავისი ავტორიტეტი გამოიყენა და მხარეებს შორის მაინც გაგრძელდა მოლაპარაკებების პროცესი, რომელიც 2017 წლის 7 ივლისს (07.07.2017) შვეიცარიის მაღალმთიან კურორტ კრან-მონტანაში 5+1 ფორმატის შეხვედრაზე (ბერძენი-კიპრიოტები, თურქი-კიპრიოტები, თურქეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი + გაერო) უშედეგოდ, უღიმღამოდ და უიმედოდ დასრულდა. შეიძლება ითქვას, რომ კიპროსის საკითხის მოგვარების მორიგი მცდელობაც ჩაიშალა. მხარეებმა აღნიშნული მოლაპარაკებების ჩაშლა ერთმანეთს გადააბრალეს და შეხვედრა, რომელიც ორი წლის მანძილზე იმედის მომცემი რეგულაციებით მზადდებოდა, ბოლოს ორივე მხარის „ჯიუტი პირგაუტეხელობის" და ერთმანეთის მძიმე ბრალდებების ხმამაღალი განცხადებების ფონზე, სკანდალური აყალ-მაყალით დასრულდა. იმდენად, რომ გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეში იძულებული გახდა, ღამის 2 საათზე შეეჩერებინა მოლაპარაკებები. საგულისხმოა, რომ შეხვედრების წინა დღეს 6 ივლისს, გაეროს გენერალური მდივანი გუტერეში (*2017 წლის 1 იანვრიდან ჩაუდგა გაეროს სათავეში და მაშინვე განაცხადა „იწყება ახალი ერა მშვიდობის დამყარების დიპლომატიაში")* ჩაფრინდა კიპროსზე, რათა კიდევ ერთხელ დაერწმუნებინა თურქი-კიპრიოტების ლიდერი მუსტაფა აქინჯი და ბერძენი-კიპრიოტების პრეზიდენტი ნიკოს ანასტასიადისი, ხელი მოეწერათ კიპროსის კუნძულის გაერთიანების დოკუმენტზე. ამვე დროს, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, ტელეფონით დაუკავშირდა კიპროსის ორივე მხარის ლიდერს და მოუწოდა მათ „ესარგებლათ ამ ისტორიული შესაძლებლობით". ასევე უკმაყოფილება გამოხატა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალან დანკანმა, რომ დიდი ბრიტანეთი იმედგაცრუებულია მოლაპარაკებათა ბოლო ეტაპის შედეგით.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა, მოლაპარაკებების ჩაშლა ბერძნულ-კიპროსულ მხარეს დააბრალა და განაცხადა, რომ „ანკარამ გააკეთა ყველაფერი რაც შეეძლო და მაქსიმალური დიპლომატიური მცდელობა გამოიყენა". ბინალი ილდირიმმა აქვე აღნიშნა, რომ „2004 წელს კიპროსის მიღება ევროკავშირში, ამ მოლაპარაკებების ფიასკოს ძირითად მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ", ვინაიდან ბერძნულ-კიპროსულმა მხარემ „არ დაიცვა კონსტრუქციული პოზიცია". საერთოდ, ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ კრან-მონტანას შეხვედრების დღის წესრიგი, განსაკუთრებით კი კუნძულის გაერთიანების პროცესში, ყველაზე საკამათო პუნქტებს წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტიისა და კიპროსის ტერიტორიაზე თურქეთის საჯარისო ნაწილების ყოფნა-არყოფნის საკითხები. სწორედ ამ საკითხის ირგვლივ დებატებზე და მათ მოგვარებაზე, ნეგატიური დამოკიდებულება აქვს თურქულ მხარეს და განსაკუთრებით, თურქეთის ხელისუფლების პირველ პირებს.

კრან-მონტანას ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრების ჩაშლაში, ბერძნული მხარე ადანაშაულებს თურქულ მხარეს, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება კუნძულის საბადოებიდან ბუნებრივი აირის მოპოვების დაწყების ფაქტს, რომლის დაწყებასაც კიპროსის რესპუბლიკის მომპოვებლები ახლო მომავალში გეგმავდნენ. თავის მხრივ კიპროსის მთავრობის წარმომადგენელმა ნიკოს ქრისტოდულიდისმა *(2018 წლის თებერვლიდან კიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრი)* განაცხადა, რომ კრან-მონტანას მოლაპარაკებებზე თურქეთს უარი არ უთქვამს კიპროსზე თავისი ინტერვენციული უფლებებისა ან ტერიტორიაზე ჯარის ნაწილების შეანრჩუნების ფაქტზე.

კრან-მონტანას შეხვედრების ჩავარდნის შემდეგ, 2017 წლის 22 სექტემბერს გაეროს მორიგი გენერალური ასამბლეის სესიის დღეებში, კიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნიკოს ანასტასიადისმა ოფიციალურად მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიუ გუტერეშს, რომ მზად არის დაბრუნდეს მოლაპარაკებების მაგიდაზე და განაახლოს დიალოგი კუნძულის გაერთიანების თაობაზე. ორი დღის შემდეგ, 24 სექტემბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ დღეისათვის არ სურს კიპროსის საკითხის განხილვაზე რაიმე ნაბიჯები გადადგას. მან გაეროს გენერალურ მდივანს პირადად მოახსენა, რომ „ჯერ ძალიან ადრეა, რომ ყველაფერი თავიდან დავიწყოთ“ *(კიპროსის საინფორმაციო სააგენტო - “Cyprus News Agency” (CAN) 2017 წლის 28 სექტემბრის ცნობა).*

ერდოღანის თამამი განცხადებები და მისი პრეტენზიები რეგიონის სტრატეგიული მოწყობის, ენერგორესურსების მოპოვების, სანაპირო შელფებისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილის ეკონომიკურ ზონებად განაწილებაში აქტიურად ჩართვის მრავალსაფეხურიანი სურვილი, ნათლად დააანონსა 2017 წლის დეკემბერში საბერძნეთში ვიზიტის დროს. ერდოღანმა, საბერძნეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიებით, კიპროსზე გავლენის გაძლიერებით, რეგიონის ენერგორესურსებზე მონოპოლიური ზრახვების დემონსტრირებით, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ხმელთაშუა-ეგეოსის ზღვების არეალში, აგრესიული პოლიტიკური მოთამაშის სახე. ამიტომ, კიპროსის პრობლემის მოგვარების პროცესი უფრო ძნელდებოდა და ყოველდღიურად ახალ-ახალ სირთულეებს აჩენდა.

პრაგმატულად მოაზროვნე და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მომხრე, თურქი-კიპრიოტების ლიდერი მუსტაფა აქინჯი ყველაზე მეტად უჭერდა მხარს კუნძულის გაერთიანების პირვანდელ ვარიანტს, ანუ ორზონიანი, ორთემიანი ფედერაციის შექმნის იდეას, რომელშიც კუნძულის თურქული და ბერძნული თემები თანაბარი უფლებებით გააკონტროლებდნენ თავის შესაბამის ტერიტორიებს. მაგრამ თურქეთის ხელისუფლების რადიკალური პოზიცია 2018 წლის 26 ნოემბერს დააფიქსირა საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ, რომელიც თვლიდა, რომ 2004 წლის „ანანის გეგმის“ და გასული წლის კრან-მონტანას მოლაპარაკებების შედეგები მოწმობენ, რომ კუნძულის ფედერალური მოწყობა „წარუმატებელ“ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ „თურქეთი კრან-მონტანაში დათმობებზე წავიდა უსაფრთხოების საკითხებში, მაგრამ ბერძნულ-კიპროსულმა მხარემ უარი გვითხრა მოლაპარაკებათა სხვა პუნქტების გაზიარებაზე“. თურქეთის სტრატეგიული ინტერესები რეგიონში უმეტესწილად გეოეკონომიკური მიმართულებისკენ იხრებოდა და თურქეთიც თავის პოლიტიკურ ზეწოლას ენერგორესურსების მოპოვებასა და მათი საბადოების მონოპოლიზაციისკენ მიმართავდა, რაც ყველაზე მეტად კიპროსის რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებსა და ნახშირწყალბადის მდიდარ შელფებს ეხებოდა. თურქეთი სამხედრო ძალის დემონსტრირებით ცდილობდა თავის ზრახვებისთვის დაემორჩილებინა შედარებით სუსტი მოწინააღმდეგენი და ევროკავშირის წევრ კიპროსის რესპუბლიკის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში უკანონოდ ატარებდა საძიებო მოქმედებებს. 2019 წლის 9 ივლისს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა ხელმძღვანელმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ევროკავშირი

მოუწოდებს თურქეთს თავი შეიკავოს უკანონო საძიებო ბურღვებისგან, რომელსაც თურქეთი გეგმავს კიპროსის დასავლეთ სანაპიროზე კიდევ ერთი მიუღებელი ესკალიცია განახორციელოს. თურქეთის გამუდმებული მოქმედებები ძალზე სერიოზულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობათა სპექტრზე. ევროკავშირის მანდატის შესაბამისად, ევროკომისია და საგარეოპოლიტიკური სამსახური, ამზადებენ შესაბამისი ზომების ვარიანტების წარდგენას. ევროკავშირი შესაბამისი ფორმით და კიპროსთან სრული სოლიდარობის დაცვით მოახდენს რეაგირებას.

2019 წლის 17-18 ოქტომბერს ევროსაბჭომ მხარი დაუჭირა ევროკავშირის რეზოლუციას სანქციები დაეწესებინათ თურქეთისთვის, მის მიერ არაკანონიერი საძიებო ბურღვის სამუშაობის გამო აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში, რითიც სრული სოლიდარობა გამოავლინა კიპროსის სუვერენული უფლებების მიმართ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

2019 წლის 24 ოქტომბერს კიპროსის დედაქალაქ ნიქოზიის ბუფერულ ზონაში, კუნძულზე გაეროს სამშვიდობო ძალების შტაბ-ბინაში, გაეროს მისიის ხელმძღვანელმა ელიზაბეტ სპეჰარმა გაეროს დღის აღსანიშნავ საღამოზე კიპროსელი ბერძნების პრეზიდენტის ნიკოს ანასტასიადისისა და კიპროსელი თურქების ლიდერის მუსტაფა აქინჯის შეხვედრა მოაწყო. შეხვედრაზე ორივე ლიდერი ერთმანეთის მიმართ საკმაოდ მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. მანამდე, სექტემბრის თვეში ანასტასიადისიც და აქინჯიც ნიუ-იორკში ცალ-ცალკე შეხვდნენ გაეროს გენერალურ მდივანს ანტონიუ გუტერეშს, რომელმაც აღნიშნა, რომ იმავე შემოდგომაზე მათთან ერთად აპირებდა სამმხრივი შეხვედრის ორგანიზებას, რათა თემთაშორის მოლაპარაკებების პროცესის ახალი რაუნდისთვის ჩაეყარა საფუძველი. თუმცა, ამ პერიოდისთვის თურქეთის ხელისუფლება სრულ იგნორირებას უცხადებს ევროკავშირის გადაწყვეტილებებს და 2019 წლის ბოლოსთვის განსაკუთრებით დაიძაბა სიტუაცია, როდესაც თურქეთის მხრიდან გაზის საბადოების საძიებო სამუშაოებს სამხედრო ძალით დაცვა დაუპირისპირდა, რის შედეგადაც ეგვიპტემ, საბერძნეთმა და კიპროსმა ერთობლივი დეკლარაცია გამოაქვეყნეს, რომლის თანახმადაც, თურქეთის ამგვარი ქცევა საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება. თურქეთმა ამის საპასუხოდ განაცხადა, რომ საკუთარი ეროვნული ინტერესები, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სამხედრო ძალის გამოყენებითაც დაიცვას და 2019 წლის დეკემბერში ჩრდილოეთ კიპროსზე საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატი განათავსა.

თურქეთმა 2020 წლის მაისში განაცხადა, რომ გეგმავს კიპროსის დასავლეთ სანაპიროსთან რამდენიმე ადგილას აწარმოოს საბადოების საძიებო სამუშაოები. მართლაც, 2020 წლის აგვისტოს დასაწყისში კიპროსის სადავო ნაპირებთან შეყვანილ იქნა თურქული გეოლოგიურ-საძიებო გემი „ორუჩ რეისი“, რომელსაც 5 სამხედრო გემი ახლდა დაცვის მიზნით.

2020 წლის შემოდგომის დადგომასთან და ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების ფონზე ჩრდილოეთ კიპროსის თურქულ რესპუბლიკაში 2020 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელშიც გაიმარჯვა „ეროვნული ერთობის პარტიის“ ლიდერმა ერსინ თათარმა. იგი თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში აკრიტიკებდა გაეროს რეზოლუციებში დაფიქსირებულ კიპროსის სახელმწიფო მოწყობის ფორმატს - ორზონიან და ორთემიან ფედერაციულ ვარიანტს. იგი თავისი კონსერვატულ-ნაციონალისტური შეხედულებებით კარდინალურად უპირისპირდებოდა წინა პრეზიდენტს - არჩევნებში მონაწილე მუსტაფა აქინჯის და კიპროსის პრობლემის მოგვარებას ხედავდა, ცალკე სახელმწიფოს არსებობის საფუძველში. ოფიციალური ანკარაც, დიდი ხანია უკვე აღარ ენდობოდა აქინჯის და დაუფარავად უჭერდა მხარს ერსინ თათარს. ასეთი მხარდაჭერის აპოთეოზად იქცა ერთობლივი პრეს-კონფერენცია, რომელიც არჩევნებამდე გამართეს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა და ერსინ

თათარმა, რომელშიც ერსინ თათარის მიერ გამოთქმულ პოლიტიკურ მოსაზრებებს, თურქეთის პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ, კიპროსის ბერძნულმა ხელისუფლებამ თათარს ანკარის „მარიონეტის“ სახელი უწოდა.

2020 წლის 15 ნოემბერს თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ეწვია „ჩრდილოეთ კიპროსის თურქულ რესპუბლიკას“ - ჩკთრ *(თუჰქეთი ეჰთადეჰთი სახეღმწიფოა, ჰომეღიც ცნობს მის სუვეჰენიტეტს)*, რათა ახლადარჩეული პრეზიდენტისთვის მიელოცა არჩევნებში გამარჯვება. ასევე, ვიზიტის ფორმალური მიზეზი, ჩკთრ-ის „დამოუკიდებლობის“ დეკლარაციის გამოცხადების 37-ე წლისთავის *(1983 წღის 15 ნოემბეჰი)* მილოცვა იყო. ერდოღანმა განაცხადა, რომ „აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში ჩვენი ქვეყნისა და ჩკთრ-ის სამართლიანი ინტერესების გათვალისწინების გარეშე, არცერთი გადადგმული ნაბიჯი არ მოიტანს მშვიდობასა და სტაბილურობას“. ერთიანი ფედერაციის შექმნის მორიგი მოლაპარაკებები 2020 წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ჩკთრ-ის ახალი პრეზიდენტი არ იზიარებს ამ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ ორი კიპროსის სახელმწიფო ცალ-ცალკე უნდა არსებობდეს. ერსინ თათარის გამარჯვებას თურქეთის ყველა პოლიტიკური პარტია და ლიდერები (ოპოზიციაც) მიესალმებიან, ხოლო თვით ახალმა პრეზიდენტმა დიდი მადლობა გადაუხადა თურქეთს მხარდაჭერისთვის და განსაკუთრებით აღნიშნა: „მე ვამაყობ, რომ თურქეთთან ერთად ვარ“. გამარჯვების შემდეგ იგი შეპირდა თავის ამომრჩევლებს, რომ „თურქი-კიპრიოტები იცხოვრებენ მაღლა აწეული თავით და მთელ მსოფლიოს გამოუცხადებენ: მე დავიცავ ჩემს მიწას, ჩემს სამშობლოს და თურქეთი არის ჩვენი გარანტი“.

ერდოღანის აღნიშნული ვიზიტი შედგა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში თურქეთს, საბერძნეთს და კიპროსს შორის გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების გამო გამოწვეულ ახალი დაპირისპირების ფონზე. ადრეც მოგახსენეთ, რომ თურქული საძიებო გემი „ორუჩ რეისი“ სამხედრო გემების თანხლებით, სამუშაოდ გაემგზავრა საბერძნეთისა და კიპროსის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლებში, რაზეც თურქეთი თავის იქ ყოფნის ლეგალურობას იმით ამტკიცებს, რომ - *მას ამის უფღება (ღიცენზია) „ჩჰდიღოეთ კიპჰოსის თუჰქუღი ჰესპუბღიკის“ მთავჰობამ მისცა?!* ჩრდილოეთ კიპროსზე ვიზიტის დროს, ერდოღანის და ერსინ თათარის დიალოგში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სერიოზულად დადგეს „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის“ საერთაშორისო აღიარების საკითხი. ერდოღანს სურს თავისი მყარი ნებისყოფა გამოავლინოს და კიპროსის ბედის გადაწყვეტაში მთავარი როლი შეასრულოს. კიპროსზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, შესაძლებლობას წარმოქმნის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგორესურსების საბადოებისა და კონტინენტური შელფის დადგენის სადავო საკითხები, უშუალო მონაწილეთა დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და უკვე აპრობირებული საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციების სახით იქნეს განხილული. პრეზიდენტ ერდოღანის ინიციატივით, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის საზღვარგარეთ დიპლომატიურ მისიებს დირექტივები გაუგზავნა, რომ მათ მივლინების ქვეყნებში მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი ავტორიტეტი „ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის“ საერთაშორისო რეპუტაციისა და სტრატეგიული მნიშვნელობის ამაღლების სტატუსს მიაქციონ ყურადღება.

ნახშირწყალბადის რესურსებითა და ენერგეტიკული პოტენციალით მდიდარი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში დღეისათვის შექმნილი სიტუაცია, რთულად გადასაწყვეტ და ყოველდღიური დაპირისპირების რეჟიმშია. ძალზე რთულია სადავო საკითხების რეგულირება, როდესაც დაინტერესებული მხარეები მუდმივი კამათისა და პრეტენზიების გარკვევას ცდილობენ, ამასთან ერთად ოპონენტების მოთხოვნებსა და მტკიცებულებებს უარყოფენ.

2021 წლის 15 აპრილს ანკარაში შედგა საბერძნეთის საგარეო საქმეთა

მინისტრის ნიკოს დენდიასის ვიზიტი და მას შეხვედრა ჰქონდა თავის კოლეგა მევლუთ ჩავუშოღლუსთან. აღნიშნულ შეხვედრამდე იგი მიიღო თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა, რომელმაც მას განუცხადა, რომ თურქეთმა გამოიყვანა ზონიდან თავისი გემები დათვალიერების მიზნით, მაგრამ თურქეთი არ დაუშვებს, რომ ვინმემ ჩრდილოეთ კიპროსის უზურპირება მოახდინოს. მან აღნიშნა, რომ „თუ საჭირო გახდება ჩვენ ჩავერევით. ჩვენი გემები ამჟამად მზად არიან გაეშურონ და თუ მოქმედებები გახდება საჭირო, ისინი მას შეასრულებენ“. აქ კომენტარი ზედმეტია. სავარაუდოდ, „კიპროსის პრობლემის“ საბოლოო მოგვარებას, დიდი ძალისხმევა და მოთმინება დასჭირდება.

ლ ე ქ ც ი ა 11

(თურქეთის საგარეოპოლიტიკური სტრატეგია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ურთიერთობები ისრაელთან. „ისლამური სახელმწიფო“ და ქურთების პრობლემა. სირიის კრიზისი და ირანი)

თურქეთი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დიდ ყურადღებას უთმობდა და მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი ორიენტირებული იყო დასავლეთ სამყაროზე. ნატოს ალიანსის წევრობა და ევროპულ სტრუქტურებში მოღვაწეობა დიდ ყურადღებას მოითხოვდა და ამიტომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გარკვეული პერიოდის მანძილზე, თითქმის იგნორირებულიც კი იყო. 2002 წელს რეჯებ თაიფ ერდოღანის „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP მოსვლამ ხელისუფლებაში და 2003 წლიდან პრემიერ-მინისტრ ერდოღანის საერთაშორისო საკითხებში მრჩევლად აჰმეთ დავუთოღლუს დანიშვნამ, ძირეულად შეცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორები. ამ პერიოდიდან იწყება თურქეთის აღმოსავლური ფესვების, ოსმანური წარსულის და მუსლიმური იდენტობის წინ წამოწევა, ოსმალეთის იმპერიის ისტორიული გამოცდილებისა და მდიდარი მემკვიდრეობის შეფასებები, რომლებიც ადრე ჩვენს მიერ რამდენჯერმე იყო ნახსენები ა. დავუთოღლუს ცნობილი ნაშრომის „სტრატეგიული სიღრმე“- ს გარჩევის დროს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თურქეთის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობების განვითარების საკითხებს ახლო აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებთან და გააქტიურდა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები.

ადრე, „ცივი ომის“ პერიოდში, თურქეთის საგარეო პოლიტიკა ძირითადად მოქცეული იყო ნატოს ალიანსისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების სტრატეგიული მოთხოვნილებების ჩარჩოში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, კერძოდ ისლამური ავტორიტარული და მონარქიული მთავრობების მიმართ ინტერესს ნაკლებად ავლენდა, რაზეც ისლამური სამყაროს ნაწილი უკმაყოფილებას ვერ ფარავდა. ისლამურ სამყაროსთან გაუცხოებას, დიდად შეუწყო ხელი ისრაელის სახელმწიფოს წარმოშობის დღიდან დაწყებული არაბულ-ისრაელის ომების მიმართ თურქეთის ნეიტრალურმა პოზიციამ. თურქეთი პირველი ისლამური ქვეყანა გახდა, რომელმაც 1949 წლის 28 მარტს ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სცნო და 1950 წლის 7 იანვარს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, რამაც ისლამური სამყაროს მხრიდან მისი ათვალწუნება და მის მიმართ მტრული დამოკიდებულება გამოიწვია. მთელი „ცივი ომის“ პერიოდის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებს, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ორი სტრატეგიული მოკავშირე ჰყავდათ: ისრაელი და თურქეთი *(აშშ 1979 წლამდე მეგობრობდა შაჰის ირანთანაც)*. ისრაელის სახელმწიფო, მისი შექმნის დღიდან აშშ-ის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, რომელმაც მეტად სახიფათო მტრულ გარემოცვაში მოხვედრილ ახალგაზრდა სახელმწიფოს, საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დახმარება აღმოუჩინა. თურქეთის რესპუბლიკა, ცნობილი „ტრუმენის დოქტრინისა“ და „მარშალის გეგმის“ განხორციელების შედეგად, ეკონომიკურად და სოციალურად მომძლავრდა, ხოლო ნატოს ალიანსში გაწევრიანებით სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე, დასავლური, პროგრესული და თანამედროვე დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა. 1990-იანი წლებიდან „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, სპარსეთის ყურის ომისა და კოალიციის ძალების მიერ სადამ ჰუსეინის ერაყის დამარცხების შედეგად, თურქეთი მოულოდნელად ახალ გამოწვევებს შეეჯახა. ამ დროს დაწყებულმა ერაყის დაშლის პროცესმა ხელი შეუწყო რეგიონში ქურთული

სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურებას, რომელმაც თურქეთში მოქმედი „ქურთთა მუშათა პარტიის“ (PKK) შეიარაღებული გამოსვლები გაამძაფრა და თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურებს დიდი საფრთხე შეუქმნა. თურქეთის წინააღმდეგ ქურთთა სეპარატისტული ძალების შეიარაღებულ ბრძოლას რეგიონში, მხარს უჭერდნენ სირიასა და ირანში მცხოვრები ეთნიკური ქურთები *(თურქეთის მოსაზღვრე მათ ტერიტორიებზე ქურთული მოსახლეობა ცხოვრობდა და სეპარატისტული ძალები მოქმედებდნენ),* რის გამოც თურქეთი დიდ მატერიალურ ზარალს განიცდიდა. ამ კრიტიკულ მომენტში თურქეთმა დახმარებისთვის მიმართა ისრაელის სახელმწიფოს, განევითარებინა მასთან სამხედრო და დიპლომატიური ურთიერთობები. თურქეთის ურთიერთობები ისრაელთან „ცივი ომის“ პერიოდის ბალანსის ფარგლებში ვითარდებოდა და აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების ჩვეულებრივ მეგობრულ თანაცხოვრებას წარმოადგენდა.

სპარსეთის ყურის ზემოხსენებულმა საომარმა მოქმედებებმა წარმოშვეს საერთო საფრთხის შემცველი სიტუაცია, რაც საფუძველი გახდა თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების ახლებურად განვითარებისთვის. აშშ-ის ფაქტორმა, რა თქმა უნდა, დე-ფაქტო შუამავლის როლი შეასრულა და არსებითად, თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთოების განვითარებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. ისრაელის მიერ ქურთი სეპარატისტების პოლიტიკური დაჯგუფება „ქურთთა მუშათა პარტია“ PKK ტერორისტულ ორგანიზაციად იქნა აღიარებული, რის გამოც თურქეთსა და ისრაელს შორის უსაფრთხოების საკითხებში ფარული თანამშრომლობა დაიწყო და ისრაელის მხრიდან დაჩქარდა აღნიშნული ტერორისტული ჯგუფის შესახებ თურქეთისთვის მეტად საჭირო საიდუმლო ინფორმაციის მიწოდება.

თურქეთსა და ისრაელს შორის 1996 წლის 28 აგვისტოს სამხედრო მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულებით, გადაიდგა მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები ურთიერთობების გაღრმავების მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებას თურქეთის მხრიდან ხელი მოაწერა ნეჯმეთინ ერბაქანის მთავრობის წარმომადგენელმა, რაც ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

წინა ლექციებზე ვისაუბრეთ ნეჯმეთინ ერბაქანის მსოფლმხედველობასა და მისი „ეროვნული ხედვის“ დოქტრინის იდეოლოგიის შესახებ და იმაზე, რომ 1996 წელს თავისი პრემიერ-მინისტრობის დროს, შეიმუშავა ისლამური სახელმწიფოების აღიანსის შექმნის პროექტი ე.წ. „ისლამური ნატოს“ მსგავსი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების სახით, რომლის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ, სწორედ ისრაელი მოიაზრებოდა?!

ისრაელთან სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმების პირობების თანახმად, თურქეთს სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციის საშუალება გაუჩნდა და მართლაც, 1997-1999 წლებში განხორციელდა F-4 (54 ერთეული) და F-5 (48 ერთეული) მოდელის სამხედრო თვითმფრინავების მოდერნიზაცია. აღსანიშნავია, რომ თურქეთსა და ისრაელს შორის სამხედრო სფეროსა და უსაფრთხოების დარგში ურთიერთობების გარდა, განვითარდა თანამშრომლობა სავაჭრო, ტექნოლოგიების, კულტურის და სამეცნიერო მიმართულებით. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა ორმხრივი სამეცნიერო პროექტებისა და მოწინავე მეცნიერთა შრომების პუბლიკაციებს *(ყველაზე წარმატებული პროექტია თელ-ავივის უნივერსიტეტის სტრუქტურაში შექმნილი სულეიმან დემირელის კურსი. ამას გარდა, იერუშალაიმის ებრაულ უნივერსიტეტს, ხაიფას უნივერსიტეტს, ბარ ილან უნივერსიტეტსა და თურქეთის მრავალ უნივერსიტეტს შორის, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელების პრაქტიკა ამოქმედდა).*

წარმატებით ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობები, რომელსაც დიდად შეუწყო ხელი 1997 წლიდან თავისუფალი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და საბაჟო მოსაკრებელის გაუქმების შეთანხმებამ, რომლის შედეგადაც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 446 მლნ აშშ დოლარიდან 2003 წელს $1,39 მლრდ-ს მიაღწია.

003 წლიდან თურქეთის სახელმწიფოს სათავეში უდგას რეჯებ თაიფ

ერდოღანი. ქვეყნის მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ AKP აცხადებს, რომ აგრძელებს მისი წინამორბედი, პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური „პოლიტიკური ისლამის ხაზს“ და თავის თავს, ხან „კონსერვატორ-ისლამისტებს“, ხან „ისლამისტ-დემოკრატებს“, ხან „მოდერნისტული ისლამის“ მიმდევრებს უწოდებს. ამიტომ ერდოღანი არც მალავს, რომ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არის მიმართული იქით, რომ თურქეთის სახელმწიფო უნდა გახდეს რეგიონული ძალა და ახალი საერთაშორისო სისტემის ცენტრი. ერდოღანი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ისლამურ სამყაროსთან დაახლოვებისა და მასში წამყვანი როლის შესრულებას, გამომდინარე იქიდან, რომ ოსმალეთის იმპერიის მდიდარ გამოცდილებასა და ისტორიულ მემკვიდრეობაში, დიდი ადგილი უკავია ოსმალეთის სულტნის, ერთდროულად მუსლიმთა სულიერი მამამთავრის, ხალიფას უფლებების შეთავსების ტრადიციას (*1522 წლიდან 1924 წლამდე ოსმაღეთის სულტანი, ეჰთდჰოულად ყველა მუსღიმის ხაღიფაც იყო).* ერდოღანის პოლიტიკურ ხედვას, რომ ისლამურ ნიადაგზე აგებული სამეზობლო სისტემის წახალისება თურქეთის საერთაშორისო იმიჯზე დადებითად იმუშავებდა, რამდენიმე წინაპირობა უძღოდა: 1. 2000 წელს პალესტინელების მიერ მეორე „ინტიფადას“ დაწყება, რომელმაც ისრაელის ავტორიტეტზე ნეგატიურად იმოქმედა; 2. 2001 წლის 9/11 ტერორისტული აქტების შემდეგ „ისლამური ტერორიზმის“ წინააღმდეგ გამძაფრებული დამოკიდებულება; 3. 2004 წელს „ჰამასის“ ლიდერის შეიხ აჰმეთ იასინის აფეთქება ისრაელის რაკეტის თავდასხმის შემდეგ. ამ პერიოდში მთელი ისლამური სამყარო პალესტინელების გვერდით იდგა და ყველანაირად მხარს უჭერდა მათ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ერდოღანის თურქეთს, სწორედ პალესტინელების უფლებების დაცვის მხარდაჭერით, ეძლეოდა საშუალება დაემტკიცებინა ისლამური სამყაროსთვის თავისი იდეური ერთგულება და მოეპოვებინა რესპუბლიკური თურქეთის ადრე დაკარგული იდეოლოგიური ავტორიტეტი. 2004 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე, პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა შეიხ აჰმეთ იასინის მკვლელობის გამო, ისრაელის ქმედებაზე განაცხადა, რომ „ისრაელი სახელმწიფო ტერორს ახორციელებს“, რაც შეიძლება მივიჩნიოთ დაძაბულობის დაწყების მიზეზად პალესტინის საკითხის გამო, რომელიც მომავალში ცალკე, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს თურქეთ-ისრაელის ურთიერთობებში. თურქეთის ხელისუფლებამ, ისლამური სამყაროს თვალში პრესტიჟის ამაღლების მიზნით, 2006 წლის თებერვალში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია, პალესტინის არჩევნებში გამარჯვებული „ჰამასის“ ლიდერი ჰალედ მაშალი (*„ჰამასი“, ჰოგოჰც პოღიტიკუჰი დაჯგუფება, მსოფღიოს წამყვანი ქვეყნების მიეჰ ტეჰოჰისტუღ ოჰგანიზაციად აჰის აღიაჰებუღი და აკჰძაღუღია).* მაშალის ვიზიტმა თურქეთში მწვავე კრიტიკა გამოიწვია აშშ-ის ებრაელთა კომიტეტში და აღნიშნულ ფაქტს უწოდა „ტრაგიკული შეცდომა“, რომელიც მთელი მსოფლიოს ებრაელთა საზოგადოებების და აგრეთვე თურქეთის მეგობარი ქვეყნების აზრით, სერიოზულ წარუმატებლობას მოუტანს თურქეთს. მიუხედავად თურქეთის ამგვარი გაბედული და თამამი პროპალესტინური პოლიტიკის გამოვლენისა, 2005 წელს რეჯებ თაიფ ერდოღანი ბიზნესმენთა საკმაოდ დიდი ჯგუფის თანხლებით, ვიზიტით ეწვია ისრაელს, სადაც საქმიანი შეხვედრები გამართა პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან და პრეზიდენტ მოშე კაცავთან. მოლაპარაკებები ძირითადად სავაჭრო და სამხედრო სფეროების განვითარებას ეხებოდა და ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ერდოღანმა მოასწრო გვირგვინით შეემკო ჰოლოკოსტის მემორიალი „იად ვაშემ“ და პრემიერ შარონს უთხრა, რომ მისი პოლიტიკური პარტია AKP, ანტისემიტიზმს „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად“ მიიჩნევს. მან აქვე კიდევ ერთხელ მოიგო ისრაელის პრემიერის გული, როდესაც განაცხადა, რომ ირანის ბირთვული ამბიციები, არა მარტო ისრაელს უქმნის საფრთხეს, არამედ „მთელ მსოფლიოს“. 2006 წლის დასაწყისში ისრაელის საგარეო საქმეთა

სამინისტრომ განაცხადა, რომ მის ქვეყანას თურქეთთან „იდეალური“ ურთიერთობები აქვს. და კიდევ მეტი, თურქეთის ეგიდით უნდა შექმნილიყო ისრაელ-პალესტინური ერთობლივი „ინდუსტრიალური პარკი“. თურქეთის ინიციატივით თურქეთის დიდ ეროვნულ მეჯლისში, ერთი დღის გამოტოვებით, სიტყვით გამოვიდნენ ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი და პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი. შიმონ პერესმა თურქეთს უწოდა „ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის, სირიის, პალესტინელების მიმართ მნიშვნელოვანი მოთამაშე... და ასევე ჩვენს მიმართაც“. 2007 წლიდან თურქეთმა თავის თავზე აიღო ისრაელსა და სირიას შორის შუამავლის როლი, მათი გოლანის სიმაღლეების პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. ამასთან დაკავშირებით სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ თურქეთი „დამაკავშირებელი არხის“ როლს ასრულებს სირიასა და ისრაელს შორის. ისრაელსა და სირიას შორის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ყველაზე დაძაბული მდგომარეობა სწორედ გოლანის მაღლობების გამო იყო შექმნილი და იგი ითვლებოდა რეგიონის მშვიდობიანი რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად. თურქეთის ლტოლვა, რომ თავი გამოეჩინა შუამავლის როლში, სწორედ იმას ისახავდა მიზნად, მოეპოვებინა ავტორიტეტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ამ მეტად სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებაში *(თურქეთი საკმაოდ წარმატებით ასრულებდა შუამავლის როლს მხარეებს შორის).*

სირიასა და ისრაელს შორის თურქეთის შუამავლობით მიმდინარე სამშვიდობო პროცესი შეწყდა 2008 წლის 27 დეკემბერს ისრაელის მიერ ჩატარებული ოპერაციის „ჩამოსხმული ტყვია“ განხორციელებით ღაზას სექტორში, რომელსაც ძალიან დიდი მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა *(ისრაელი ამტკიცებდა და ასეც იყო, რომ მთელი 2008 წლის განმავლობაში, ღაზას სექტორის მხრიდან პალესტინელთა შეიარაღებული ძალების მიერ სარაკეტო დანადგარებიდან გაშვებული ასობით ჭურვი და ნაღმი ანგრევდა და აზიანებდა ისრაელის ტერიტორიაზე სამოქალაქო ობიექტებს და იყო ათეულობით მსხვერპლიც).*

2009 წლის 29 იანვარს შვეიცარიის დავოსში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის ინიციატივით მოეწყო თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ თაიფ ერდოღანისა და ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე, როდესაც ერდოღანს საუბრის დროს შეახსენეს რეგლამენტი, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოღანმა იწყინა, შეწყვიტა პაექრობა ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესთან და მას, ღაზას სექტორში ისრაელის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად დაღუპული ბავშვების მკვლელი და ტერორისტი სახელმწიფოს პრეზიდენტი უწოდა *(ამ ფაქტთან დაკავშირებით, საერთაშორისო დიპლომატიურ ლექსიკაში დამკვიდრდა ტერმინი “One minute”).* ერდოღანმა სკანდალურად დატოვა დავოსის მსოფლიო ფორუმი, სამაგიეროდ სტამბოლის აეროპორტში მას ასიათასობით თურქი მოქალაქე დახვდა, გრანდიოზული აქცია მოუწყვეს როგორც გმირს და პატრიოტს. ისლამური სამყარის მასმედია, ერდოღანის მიერ ისრაელის პრეზიდენტის გამოლანძღვის შემდეგ, დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს, როგორც ჩაგრული მუსლიმი მოსახლეობის დამცველსა და გულშემატკივარს, რამაც მის პოპულარობას მთელ ისლამურ სამყაროში დიდად შეუწყო ხელი.

ხეჯებ თაიფ ეხდოღანი და შიმონ პეხესი დავოსში

დავოსის დიპლომატიური კრიზისის შემდეგ ქვეყნებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვის საბაბი გახდა 2009 წლის 10-23 ოქტომბერს ნატოს ეგიდით დაგეგმილი ხმელთაშუა ზღვის ტრადიციული სამხედრ-საჰაერო მანევრები, სახელით „ანატოლიის არწივი“, რომელშიც ყოველწლიურად მონაწილეობენ აშშ-ის, თურქეთის, იტალიის და ისრაელის *საჰაეხო ესკადხიღიები (ისხაეღი, 2001 წღიდან მონაწიღეობს სამხედხო მანევხებში, ხოგოხც ნატოს მეგობახი და მოწვეული ქვეყანა).* ამჯერად თურქეთმა, როგორც აღნიშნული მანევრების ორგანიზატორმა ქვეყანამ, ისრაელი არ მიიწვია სამხედრო წვრთნებზე და იგი ისრაელის გარეშე ჩატარდა. იმავე ოქტომბერში ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, თურქეთის საწინააღმდეგო განცხადებით გამოვიდა და აღნიშნა: „თურქეთს არ შეუძლია პატიოსანი შუამავალი იყოს სირიასა და ისრაელს შორის“. ამის შემდეგ, თურქეთი საბოლოოდ გამოეთიშა საკმაოდ წარმატებულად დაწყებულ საშუამავლო საქმეს, რომელმაც 2006-2008 წლებში თურქეთის საერთაშორისო პრესტიჟი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საკმაოდ მაღალ დონეზე აიყვანა. 2009 წლის ბოლოს თურქეთსა და ისრაელს შორის დაპირისპირების კიდევ ერთი მაპროვოცირებული დოკუმენტი დაფიქსირდა ფილმ-სერიალების სახით. თურქეთის ცენტრალური ტელეარხით TRT 1, გასული მხატვრული სცენები ისრაელის ჯარისკაცთა არაადამიანურ მოქცევების შესახებ ბავშვებისა და მოხუცების მკვლელობების, ასევე სცენები, სადაც ისრაელის სადაზვერვო სამსახურის „მოსსადის“ მებრძოლები, თავს ესხმიან თურქეთის საელჩოს თელ-ავივში და ელჩი, თავის ოჯახიანად მძევლებად არიან აყვანილი. აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ ერთი დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია, რომელსაც შემდეგ „დაბალი სავარძლის კრიზისი“ ეწოდა: 2010 წლის 12 იანვარს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დანიელ (დან) აიალონმა, სამინისტროში სასაუბროდ მიიწვია თურქეთის ელჩი ისრაელში ოღუზ ჩელიქკოლი, რომელსაც ხელი არ ჩამოართვა და შეთავაზა დაბალ *(თავის სკამთან შედახებით)* სავარძელზე დაჯდომა. მინისტრის მოადგილემ ელჩი მიიწვია, რათა ინფორმაცია მიეწოდებინა ისრაელის ნეგატიურ რეაქციაზე თურქულ სერიალში ნაჩვენები ანტიისრაელური გამოხდომების გამო.

2010 წელი ცნობილია, როგორც თურქეთსა და ისრაელს შორის მომხდარი ყველაზე მასშტაბური კრიზისით. 2010 წლის 31 მაისს „ჰუმანიტარული დახმარების ფონდის“ ხელმძღვანელთა ინიციატივით, აქტივისტთა ჯგუფის

მიერ შექმნილ საერთაშორისო „თავისუფლების ფლოტილიის“ გემებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი მიეწოდებინათ პალესტინის ღაზას სექტორისთვის. გემების ქარავანი ჯერ ნეიტრალურ წყლებში იყო, როდესაც ისრაელის სანაპირო დაცვის მებრძოლებმა ფლოტილიის გემების გაკონტროლება დააპირეს და საფლაგმანო თურქულ გემზე „მავი მარმარა“, მოხდა შეტაკება ისრაელის შეიარაღებულ პირებსა და გემის ეკიპაჟის წევრებს შორის, რომელსაც 9 ეთნიკურად თურქის *(ეხთი მათგანი აშშ-ის მოქაღაქე იყო)* სიცოცხლე შეეწირა, 31 ადამიანი დაიჭრა, მათ შორის 7 ისრაელის შეიარაღებული ძალებიდან. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, თურქეთმა თავისი ელჩი გამოიწვია ისრაელიდან და ანკარის ინიციატივით მოწვეულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა *(თუჰქეთი ამ პეჰიოდში გაეჰოს უშიშჰოების საბჭოს ახამუდმივი წევჰი იყო)*, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, 31 მაისის ინციდენტის გამოძიების შესახებ. აღნიშნული მოვლენის შემდეგ, რომელიც ცნობილია როგორც „ცისფერი მარმარას კრიზისი“, თურქეთმა წამოაყენა რიგი პირობები ისრაელთან ურთიერთობების ნორმალიზების მიზნით:

1. ისრაელის მხრიდან თურქეთისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდა;
2. ფლოტილიაზე თავდასხმის დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება;
3. ღაზის სექტორის ბლოკადის მოხსნა;
4. დაღუპულთა და დაშავებულთა ზარალის დაუყოვნებლივი კომპენსაცია.

2008 წლიდან ნათლად ჩანდა, რომ თურქეთ-ისრაელის ურთიერთობები თანდათან უარესდებოდა და 2010 წლის 31 მაისის „მავი მარმარას“ ინციდენტი დიპლომატიური კრიზისის საფუძველი გახდა, როდესაც ქვეყნებმა ერთმანეთთან დიპლომატიური წარმომადგენლობები მე-2 მდივნის დონემდე დაიყვანეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთისა და ისრაელის ურთიერთობებში, ძალზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მათი არსებული სამოკავშირეო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ვაშინგტონის მიერ ახლო აღმოსავლეთთან განსაზღვრულ პოლიტიკაში, თურქეთი და ისრაელი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და აშშ, ამ ორ ქვეყანას ერთგვარი მოდელის სახით წარადგენენ რეგიონის სხვა სახელმწიფოების წინაშე. ასევე გასათვალისწინებელია ამერიკაში მოქმედი „ებრაული ლობი“, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა და მუდამ აქტიურად იყო ჩართული ამერიკის სომხური და ბერძნული „ლობის“ ანტითურქული წინადადებების დაბლოკვის მცდელობაში აშშ-ის საკანონმდებლო სტრუქტურებში. ებრაული ლობის ძალისხმევის შედეგად, დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა რეზოლუციების პროექტებს, რომლებიც სომხური ლობის ზეწოლით მზადდებოდა და „სომხური გენოციდის“ აღიარების შესაძლებლობას უკავშირდებოდა. თურქულ-ისრაელის ურთიერთობებში განვითარებული კრიზისული სიტუაციის გამო, 2009 წლიდან მოყოლებული აშშ-ის ებრაული ლობი, აღარ ცდილობდა თურქეთის მიმართ წინანდებურად გამოეხატა მხარდაჭერა. ამრიგად, ღაზას სექტორისთვის ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციამ უკიდურესად გაამწვავა თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობები, რასაც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული განცხადება მოჰყვა, რომ აღნიშნულ ინციდენტს შეუძლია გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს ორმხრივი ურთიერთობები, ხოლო პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა, ისრაელის ძალოვნების მიერ ჩატარებულ რეიდს „სახელმწიფო ტერორიზმი“ უწოდა. 2011 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ერდოღანს სთხოვა მოეგვარებინა კრიზისი ისრაელთან. 2011 და 2012 წლებში გაეროს ტრიბუნიდან თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი, მსოფლიოს მოუწოდებდა შეეჩერებინათ „ტერორისტული სახელმწიფო“ ისრაელი, ღაზას სექტორის გამუდმებული საჰაერო თავდასხმებისა და უამრავი უდანაშაულო ადამიანების გაჟლეტის გამო. 2013 წლის 1 მარტს ვენაში გამოსვლისას ერდოღანმა აღნიშნა, რომ ბევრი მუსლიმი, რომლებიც ცხოვრობენ „არამუსლიმურ“ ქვეყანაში, მკაცრ დისკრიმინაციას განიცდიან და

დაგმო „სიონიზმი“ როგორც „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“ და დაამატა „ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ - სიონიზმი, ანტისემიტიზმი ან ფაშიზმი - არის ისლამოფობია“. 2013 წლის 7 მარტს მოხდა ისტორიული მოვლენა: აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ისრაელში ვიზიტის დროს კვლავ მოუწოდებდა ადგილობრივ მთავრობას, რომ რეგიონში აშშ-ის მოკავშირე ქვეყნებს შორის დაპირისპირება, ნეგატიურ გავლენას ახდენს სტრატეგიული ინტერესების განხორციელებასა და გეოპოლიტიკური გეგმების პროექტებზე და თელ-ავივის აეროპორტში გაცილების მომენტში ბარაკ ობამა ტელეფონით დაუკავშირდა ერდოღანს და ყურმილი გადასცა ნეთანიაჰუს... ისრაელის პრემიერმა ბოდიში მოუხადა თურქეთის პრემიერს 3 წლის წინ ღაზას სექტორში მოხდარი ინციდენტის და ფლოტილიაზე თავდასხმის შედეგების გამო.

ისრაელის მთავრობამ, მეორე დღესვე გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებაში წუხილი გამოთქვა ორმხრივი ურთიერთობების გაუარესების გამო და ინციდენტი დაახასიათა, როგორც არა წინასწარგანზრახული ქმედება, რომელიც სამწუხაროდ „ოპერატიული შეცდომებით“ იყო განპირობებული. ისრაელის მხარემ ითავა კომპენსაციის გადახდა დაღუპულთა ოჯახებისთვის *(ამჯერად ვერ მოესწრო).* მოგვიანებით თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ისრაელის მხარის მობოდიშება მიიღო თურქი ხალხის სახელით. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რომელიც შერიგების შუამავლად ითვლება, აღნიშნა რომ „აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისრაელსა და თურქეთს შორის პოზიტიური ურთიერთობების აღდგენას, რეგიონული მშვიდობისა და უსაფრთხოების განვითარების თვალსაზრისით“. ისრაელის მთავრობამ წამოაყენა წინადადება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის თაობაზე, ანუ ელჩების დაბრუნებაზე, რაზეც თურქეთის მხარე დათანხმდა, მაგრამ მალე შეთანხმებული მოლაპარაკებები ჩაიშალა და ქვეყნებს შორის ურთიერთობები კვლავ გაუარესდა. 2013 წლის აგვისტოში, თურქეთის პრემიერი რეჯებ ერდოღანი AKP-ის პარტიულ შეკრებაზე აცხადებს, რომ ისრაელს აკისრია პასუხისმგებლობა, ეგვიპტეში მურსის რეჟიმის დამხობაში *(ეგვიპტეში „ახაბუღი გაზაფხუღის“ შედეგად 2012 წელს მთავრობაში მოვიდნენ „ძმები მუსღიმები“, ხომეღთაც გუღშემატკივრობს ეხდოღანი. ღაწვრილებით ამ თემაზე საუბარი გვექნება ოდნავ მოგვიანებით ამავე ღექციაზე, ხოდესაც თურქეთ-ეგვიპტის ურთიერთობებს შევეხებით).* ეგვიპტის დროებითმა მთავრობამ უარყო ერდოღანის განცხადება, რომელსაც „უსაფუძვლო“ უწოდა. თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობები უფრო გაუარესდა 2013 წლის ოქტომბერში, როდესაც ირანში ისრაელის სპეციალური აგენტები დააკავეს და მას დიდი სკანდალი მოჰყვა, ვინაიდან აგენტების გაშიფრვაში თურქეთის მონაწილეობასაც ადასტურებენ.

მხოლოდ 2015 წლის დეკემბერში დაიწყო კვლავ ისრაელსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის განხილვის პროცესი, რომელმაც რიგი შეუთანხმებლობების გამო დიდხანს გასტანა და მხოლოდ 2016 წლის 27 ივნისს გამოცხადდა შერიგების შეთანხმების თაობაზე, რომელიც ორ ქვეყანას შორის ექვსწლიანი უთანხმოებისა და გაწყვეტილი დიპლომატიური კავშირების აღდგენას შეუწყობს ხელს. მხარეებმა აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობა ელჩების დონეზე: თურქეთის ელჩად ისრაელში დაინიშნა - ქემალ ოქემი, ხოლო ისრაელის ელჩად თურქეთში - ეითან ნაე. ისრაელის მთავრობა დათანხმდა „მავი მარმარას“ ინციდენტის დროს დაღუპული მგზავრების ნათესავებისთვის გადაეხადა $21 მლნ კომპენსაციის სახით და დაუშვა ღაზას სექტორში თურქული ჰუმანიტარული ტვირთების შეტანა, ოღონდ აშდოდის პორტის საშუალებით. ისრაელმა ასევე შეძლო გაეხსნა თავისი წარმომადგენლობა ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში, რაშიც მას ადრე თურქეთი უშლიდა ხელს. თურქეთსა და ისრაელს შორის დაიწყო მოლაპარაკებები, რომ ისრაელის მიერ თავის ბუნებრივი აირის საბადოებიდან (*„თამარი“ და „ღევიათანი“*), მოპოვებული გაზის ევროპაში

ტრანპორტირების საშუალება თურქეთის გავლით ეწარმოებინა და ბუნებრივია, ორივე მხარისთვის დიდად მომგებიანი სატრანზიტო დერეფანი შეიქმნებოდა.

2017 წლის 6 დეკემბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გადაწყვეტილება მიიღო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური მისია საელჩოს სახით, გადატანილი ყოფილიყო თელ-ავივიდან იერუშალაიმში და ამით, იერუშალაიმი ოფიციალურად სცნო ისრაელის დედაქალაქად (*1980 წლიდან ისრაელის ქნესეტის გადაწყვეტილებით „განუყოფელი იერუშალაიმი“ ისრაელის დედაქალაქად იყო გამოცხადებული).* დონალდ ტრამპი თავის წინასაარჩევნო კომპანიის დროს აქტიურად უჭერდა მხარს აშშ-ის დიპლომატიური მისიის გადატანას იერუშალაიმში. აშშ-ის პრეზიდენტის აღნიშნულმა ნაბიჯმა, ისლამური ქვეყნების დიდი პროტესტი გამოიწვია, ხოლო თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა, სასწრაფოდ მოიწვია „ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ ლიდერები სტამბოლში, სადაც 13 დეკემბერს ორგანიზაციის რიგგარეშე სამიტი გაიმართა (*57 წევრი ქვეყნიდან, 34 ღიდერი დაესწრო).* ერდოღანმა ტრიბუნიდან პირდაპირი მიმართვები გაუგზავნა დონალდ ტრამპს, საკმაოდ მკვახე განცხადებებით და კრიტიკული ლექსიკის მოშველიებით. ამის შემდეგ, აშშ-ის და თურქეთის ურთიერთობების გამწვავების პარალელურად, თურქეთ-ისრაელის დიალოგიც ჩვეულ რეჟიმს ვეღარ დაუბრუნდა და 2018 წლის 14 მაისის შემდეგ დაპირისპირების ზენიტს მიაღწია.

2018 წლის 14 მაისს იერუშალაიმში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალური გახსნის ცერემონიალი, რომელსაც დაესწრო პრეზიდენტ ტრამპის ქალიშვილი ივანკა და მისი მეუღლე ჯარედ კუშნერი *(ოჩივე იუდაიზმის მიმდევარია და ბენიამინ ნეთანიაჰუს ახლობელი).* ამავე დღეს ისრაელის ღაზას სექტორის საზღვარზე მოხდა დიდი მასიური შეიარაღებული დაპირისპირება, რომელსაც შეეწირა 60 ადამიანი *(მათ შორის 7 ბავშვი),* 2700 მიიღო ტყვიისა და ნამსხვრევების ჭრილობა და მათგან 1760 საავადმყოფოებში მოათავსეს. დიდი მსხვერპლის გამო პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა 14 მაისს სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭომ განაცხადა, რომ აუცილებლად გამოიძიებს ისრაელის მიერ პალესტინის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო დანაშაულს. ღაზას სექტორში პალესტინელების მიმართ გამოვლენილი მსგავსი ტრაგიკული მოვლენების საპასუხოდ, თურქეთმა ქვეყნიდან გააძევა ისრაელის ელჩი ეითან ნაე. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება გააძევოს თურქი კონსული იერუშალაიმიდან. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე გაიწვია თავისი ელჩი ისრაელიდან ქემალ ოქემი. თურქეთმა ასევე, გამოიწვია თავისი წარმომადგენლები აშშ-დან „სათათბიროდ“.

ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტისა და აშშ-თან დაძაბული სიტუაციის შექმნის პირობებში, ერდოღანი თავის პოზიციებს კიდევ უფრო შეასუსტებს ევროპაში *(თანაც ევროკავშირთან დაპირისპირებაც უწყობს ხელს)* და თურქეთს აყენებს პოტენციურ ეკონომიკურ ზარალს. თუმცა მეორეს მხრივ, ზემოხსენებული დაპირისპირებით, თურქეთს შანსი უჩნდება დამატებითი ქულები დაიწეროს არაბულ სამყაროში. ისრაელისთვისაც ახალი დაძაბული მდგომარეობის შექმნა თურქეთთან გამოიწვია აშშ-ის საელჩოს გახსნამ იერუშალაიმში, რომელიც სხვათაშორის , გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მოხდა. ერდოღანი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებოდა, თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში ხაზს უსვამდა ისრაელთან ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვას, რაც მისი ელექტორატის დიდი ნაწილისათვის *(ხადიკალური ისლამისტები)* მისაღები ფორმულირება გახლდათ. ერდოღანი მათ შეჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ, თურქეთი გადააფასებს თავის ურთიერთობებს ისრაელთან და მისთვის სასურველი იქნებოდა, რომ „ისრაელიდან ყოველგვარი შესყიდვები გამორიცხული იყოს“. 2018 წლის 24

ივლისს *(საპრეზიდენტო არჩევნებში მოიგო გამარჯვების შემდეგ)* ერდოღანმა კანონის ძალით განსაზღვრა ისრაელის სახელმწიფოს ხასიათი და განაცხადა, რომ „ეს გადაწყვეტილება ეჭვის გარეშე ახასიათებს ისრაელს, როგორც სიონისტურ, ფაშისტურ და რასისტულ სახელმწიფოს“. 2018 წლის 23 დეკემბერს კი, ერდოღანმა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ დაადანაშაულა „სახელმწიფო ტერორიზმში“. ამრიგად, ისრაელისა და თურქეთის ურთიერთობებმა, კიდევ ერთხელ მძაფრი დაპირისპირების პერიოდში შეაბიჯეს. 2019 წელი აღინიშნებოდა ისრაელის მხრიდან საპასუხო რიტორიკის საკმაოდ მძაფრი ტონით და საერთაშორისო სარბიელზე თურქეთის საწინააღმდეგო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმით. თურქეთთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესების შედეგი იყო, ისრაელის დაახლოვება თურქეთის ყველაზე არასასურველ რეგიონულ მეზობლებთან - საბერძნეთსა და კიპროსთან. აგრეთვე საუდის არაბეთთან და გაერთიანებულ არაბულ ემირატებთან. 2019 წელს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ დაგმო თურქეთის მორიგი სამხედრო ოპერაცია სირიაში ადგილობრივი ქურთების წინააღმდეგ, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებით განხორციელდა 2019 წლის 9-22 ოქტომბერს და მიზნად ისახავდა ადგილობრივი ქურთული მოსახლეობის „თავდაცვითი ძალების“ სრულ ლიკვიდაციას. ისრაელის პრემიერმა მზადყოფნა გამოთქვა „მამაცი ქურთი ხალხის“ ჰუმანიტარული დახმარების გაწევისთვის. ისრაელის თავდაცვის სამინისტროს განცხადების თანახმად, თურქეთი მოხვდა ისრაელის სახელმწიფოსთვის საშიში ქვეყნების სიაში. ისრაელის გაზეთი „ჰაარეცი“ აღნიშნავდა, რომ „ჰამასის ტერორისტულ ორგანიზაციასთან დაახლოვების გამო, ეგვიპტის მისამართით და სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოთქმული ხმამაღალი შეურაცხმყოფელი გამოთქმებისთვის, თურქეთი უფრო მეტად ექცევა იზოლაციაში“. თურქეთი, ისრაელთან დაპირისპირებით ისლამურ სამყაროსა და საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საკუთარი ავტორიტეტის გაზრდასა და დამკვიდრებას ცდილობდა. მაგრამ მსგავსი გეოპოლიტიკური სვლები, ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე *(სირიელი და ეგაყელი ქურთები, ლიბია, ეგვიპტე)* გაუმართლებელი აღმოჩნდა და ისრაელმა თავის მხრივ თანდათან იწყო პროამერიკულ ზოგიერთ არაბულ რეჟიმებთან ურთიერთობების ნორმალიზება. თურქეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობების დაახლოვების მხსნელად შეიძლება ჩაითვალოს ის ბუნებრივი აირის საბადოები და უზარმაზარი პოტენციის მატარებელი სტრანსპორტო გზები, რომლებიც რეგიონის მომავალ განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ასრულებენ. ამგვარი დაინტერესების გამოძახილია ბრიტანეთის ინტერნეტ-რესურსის Middle East eye ინფორმაცია, ისრაელის ხელისუფლების განზრახვის შესახებ, აღადგინოს თურქეთთან დიპლომატიური ურთიერთობები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ესენია: სიტუაცია სირიაში და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება. ამას ადასტურებენ, როგორც ისრაელის, ასევე თურქული მასმედიის წყაროები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ორ ქვეყანას შორის მიდის მოლაპარაკებები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში ეკონომიკური ინტერესების ზონების დემარკაციისა და გაზსადენის მშენებლობის შესახებ. თურქეთი ყველა ღონეს იხმარს, რომ გაზსადენის გაყვანის საკითხი დროულად მოგვარდეს და აუცილებლად, მისი მონაწილეობით. ერდოღანმა უკვე განაცხადა, რომ „თურქეთის გარეშე ხმელთაშუა ზღვის ვერცერთი პროექტი ვერ იცოცხლებს, ვერც ეკონომიკურად, ვერც იურიდიულად და ვერც დიპლომატიურად“. ერდოღანის ხსენებული სიტყვები ფუჭი რომ არ არის, ამას ამტკიცებს თურქეთის სამხედრო გემების ქმედებები კიპროსის აკვატორიაში, საიდანაც თურქი ძალოვნები ნებისმიერი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით და გეოლოგიურ-საძიებო გემებს აძევებენ. ამასთან ერთად, თურქეთის პრემიერმა მრავალმნიშვნელოვანი აზრიც გააჟღერა: „ანკარა დაინტერესებულია მოლაპარაკებები გამართოს ნებისმიერ სახელმწიფოებრივ სუბიექტთან, გარდა კიპროსისა“. თურქეთისა და ისრაელის

საგარეოპოლიტიკური ტრიბუნებიდან იდეალიზებული რიტორიკის გაჟღერების მიღმა, მათი ქმედებები საერთაშორისო არენაზე დაქვემდებარებულია რეალპოლიტიკის პრინიციპებს და პრაგმატიზმი, არც ებრაელებს, არც თურქებს არ ესწავლებათ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ისრაელი ხშირად უფრო შეკავებულ პოზიციას ამჟღავნებს, ვიდრე ზოგი ნატოს წევრი ქვეყანა, თურქეთისთვის ისეთი სენსიტიური საკითხების მიმართ, როგორებიცაა: თურქეთის ჯარების მიერ ჩრდილოეთ კიპროსის ოკუპაცია და სომეხთა გენოციდი ოსმალეთის იმპერიაში. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ნახშირწყალბადის საბადოების საერთაშორისო მნიშვნელობა განუზომელია და მისი დამუშავებისა და ტრანსპორტირების საკითხები თანდათან გეოპოლიტიკური განზომილების ელემენტად განიხილება. 2020 წლის ნოემბრის ბოლოს, თურქეთის ექს-ადმირალმა ჯიჰათ იაიჯიმ წინადადება წამოაყენა, ისრაელთან საერთო საზღვაო საზღვრის შეთანხმების დადების აუცილებლობის შესახებ. იმავე წლის 25 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარას სურს უკეთესი კავშირები ჰქონდეს ისრაელთან. ორივე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების თანხვედრამ, 2021 წლის 10 მარტს ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს, წინასაარჩევნო ღონისძიებაზე ათქმევინა, რომ „ისრაელი მოლაპარაკებებს აწარმოებს თურქეთთან“ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ისრაელს ნაყოფიერი მოლაპარაკებები აქვს ეგვიპტესთან, საბერძნეთთან და კიპროსთან, ევროპაში ბუნებრივი აირის ექსპორტის საკითხებზე. ისრაელის პრესა „Israel Hayom” იტყობინება: თურქეთმა 29 მარტს აცნობა ისრაელს, რომ მზად არის ელჩი გაგზავნოს თელ-ავივში, როგორც კი ისრაელის მთავრობა საპასუხო ნებას გამოავლენს აღნიშნულ საკითხზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ისრაელთან უკვე „არაბული ლიგის“ ქვეყნებმაც დაიწყეს დაახლოვება და ურთიერთობების ნორმალიზება *(საუდის არაბეთი, ემირატები, მაროკო)*, რაც ისრაელს დღეს, ნაკლებად დამოკიდებულს გახდის თურქეთის „გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობის“ მიმართ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

თურქეთის უახლოეს მეზობლებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სირიას, ერაყს და ირანს, თურქეთთან საერთო საზღვარი აკავშირებთ და ამ საზღვრის გაყოლებაზე ცხოვრობენ, ადგილობრივი, ავტოქტონური მოსახლეობის ეთნიკური წარმომადგენლები - ქურთები. ისტორიული ქურდისტანი, დღეს განაწილებულია ოთხ სახელმწიფოს: თურქეთის, ირანის, ერაყის, სირიის ტერიტორიაზე. წინა ლექციებზე გავიარეთ სირიასთან დაძაბული ურთიერთობების შესახებ, თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი „ქურთთა მუშათა პარტიის“ და სირიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთების „დემოკრატიული კავშირის“ ორგანიზაციის ერთობლივ ბრძოლაზე თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ქურთების პრობლემა თურქეთს, წლების განმავლობაში აწუხებდა და ახლო მეზობლებთან სირიასთან და ერაყთან XX საუკუნის ბოლოს თითქოს მოაგვარეს კიდეც ქურთთა საკითხები *(ოჯალანი დააკავეს, ერაყში სადამ ჰუსეინი დასაჯეს)*.

2002 წელს თურქეთის ხელისუფლებაში მოსული „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP დიპლომატიური აქტიურობის სწრაფი ზრდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განპირობებული იყო, როგორც საერთაშორისო, ისევე შიდაპოლიტიკური მდგომარეობით. თურქეთის ახალი ხელისუფლების სამომავლო პროგრამა გულისხმობდა თურქეთის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის ადაპტაციას ახალ საერთაშორისო სიტუაციასთან, რომელიც მოითხოვდა მრავალგანზომილებიან და მოქნილ რეაგირებას. აჰმეთ დავუთოღლუს მიერ შემუშავებული და მტკიცედ ჩამოყალიბებული კონცეფცია, თურქეთს ახლო აღმოსავლეთის რეგიონული წამყვანი სახელმწიფოს რანგში მოიაზრებდა. აქედან გამომდინარე, XXI საუკუნეში თურქეთის გეოპოლიტიკური ამბიციები, რომელთაც ექსპერტები და მიმომხილველები „ნეოოსმანიზმად“ მოიხსენიებენ, ითვალისწინებს

მიმდებარე რეგიონებზე გავლენის გაძლიერებას, არაბულ ქვეყნებთან დაახლოვების გზით.

უახლოეს მეზობელ, არაბულ სახელმწიფო სირიასთან ურთიერთობები, 2000 წელს ჰაფიზ ასადის გარდაცვალების შემდეგ, უკეთესობისკენ წავიდა და 2004 წლის იანვრის პირველ რიცხვებში სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის პირველ ვიზიტს „ისტორიული“ უწოდეს ორივე ქვეყანაში. ორმხრივ შეხვედრებზე, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ თურქეთსაც და სირიასაც უფრო მეტი შეხების წერტილები აქვთ, ვიდრე გამიჯვნისა, რაც მტკიცე საფუძველს უქმნის კეთილმეზობლური ურთიერთობების შემდგომ განვითარებას. ამ მომენტიდან დაიწყო რეჯეფ თაიფ ერდოღანისა და ბაშარ ასადის მეგობრობა, რომელიც გადაიზარდა ოჯახებით მეგობრობაში, შვებულებებისა და უიკენდების ერთად გატარების ტრადიციაში. 2009 წლისთვის, ორ ქვეყანას შორის გაფორმებული უმაღლესი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს შექმნის ფარგლებში, 50-მდე შეთანხმებას მოეწერა ხელი პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროებში. 2009 წელს თურქეთმა და სირიამ ასევე ხელი მოაწერეს, ორივე ქვეყნის გაზის ტრანსპორტირების სისტემის გაერთიანების მემორანდუმს, რომლის თანახმადაც სირია ბუნებრივ აირს ირანიდან ან ერაყიდან მიიღებდა თურქეთის ტერიტორიის მეშვეობით. ამავე დროს, იგივე 2009 წლიდან თურქეთისა და სირიის მოქალაქეთა ერთმანეთში მიმოსვლა უვიზო გახდა. საქონელბრუნვა თურქეთსა და სირიას შორის 2000 წელს თუ $730 მლნ შეადგენდა, 2010 წელს $2,5 მლრდ-მდე გაიზარდა. 2010 წელს თურქეთის ინიციატივით შეიქმნა „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“ თურქეთის, სირიის, ლიბანის და იორდანიის მონაწილეობით, რომელშიც სახელმწიფოთა შორის უვიზო მიმოსვლა განხორციელდებოდა და აღნიშნულ პროექტს „შამგენი“ (ევროპული „შენგენის“ ანალოგი, ხოლო „შამ“ ლევანტის რეგიონის არაბული დასახელებაა) ეწოდა.

2011 წლის იანვარში დაწყებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“, თურქეთს დამატებითი შესაძლებლობები შეუქმნა, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პროცესებში თავისი აქტიურობა გამოევლინა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა მხარი დაუჭირა „რევოლუციურ მოძრაობებს“ ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიაში, იემენში, სირიაში და 2011 წლის 1 თებერვალს მეჯლისში გამოსვლისას აღნიშნა, რომ „თურქეთი ასრულებს ისეთ როლს, რომელიც შეცვლის ისტორიის სვლას და დახმარებას აღმოუჩენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონს გარდაქმნაში“. თურქეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ თუ ავტორიტატული რეჟიმების ნაცვლად აღნიშნულ არაბულ ქვეყნებში მოვლენ ისლამური მიმართულების ლიდერები, თურქეთს გაუადვილდება მათთან მეგობრული და იდეოლოგიური კავშირების დამყარება, რაც უფრო გააძლიერებს თურქეთის პოზიციებს რეგიონში. ზემოხსენებულ ქვეყნებში არეულობების დაწყებისთანავე, თურქეთი გამოდიოდა ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მოწოდებებით. ჯერ კიდევ 2011 წლის დადგომამდე თურქეთი და სირია ცდილობდნენ თავისი ურთიერთობები სამაგალითო მოდელად ექციათ სხვა არაბული ქვეყნებისთვის, მაგრამ... 2011 წლის მარტში „არაბული გაზაფხულის“ გავლენის შედეგად, სირიის სამხრეთით ქალაქ დერაასში დაწყებული ოპოზიციური ძალების დემონტრაციები, რომელიც პოლიციამ სასტიკად დაარბია, მალე გავრცელდა სირიის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ქალაქებზეც: ჰამა, ჰომსი, ბანიასი, ლატაკია, ჰალები (ალეპო). 2011 წლის გაზაფხულზე სირიაში განვითარებული რევოლუციური გამოსვლების მიზეზები, კარგა ხნის წინ დაწყებული „ასადების დინასტიის“ავტორიტარული რეჟიმის გამოძახილი იყო. არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის (ბაას) ლიდერი ჰაფიზ ასადი, 1970 წლიდან სირიის პრეზიდენტი იყო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ანუ 2000 წლიდან სირიის პრეზიდენტობა მისმა შვილმა ბაშარ ასადმა გააგრძელა. რელიგიური კონფესიების მიხედვით: სირიის მოსახლეობის 74-75% სუნიტი მუსლიმები არიან; 12-13% შიიტი

ალავიტები; 5-6% ქრისტიანები (მართლმადიდებლები, გრიგორიანები, კათოლიკები, პროტესტანტები); 2-3% - იეზიდები, იუდეველები. მოსახლეობის 2% ათეისტია.

1963 წლიდან, რაც ბაას-ის ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში და დამყარდა სამხედრო რეჟიმი, დაიწყო ალავიტების დაწინაურება მაღალ ეშელონებში, რამაც გამოიწვია რელიგიური უმცირესობის (ალავიტების) მთავრობის დიქტატორული მმართველობა. წლების განმავლობაში, მმართველი არაბული სოციალისტური პარტიის და ალავიტების ხელისუფლება, მშრომელი ხალხის მიმართ ძალისმიერ და დამთრგუნველ პოლიტიკას ატარებდა, რაც დაბალი მასების *(ძირითადად სუნიტური უმრავლესობის)* უკმაყოფილებას იწვევდა ასადების დინასტიის მიმართ.

2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ გავრცელებამ რეგიონში, სირიის მოსახლეობის უმრავლესობის საპროტესტო გამოსვლებს დაუდო სათავე და ასადების დინასტიური მმართველობის წინააღმდეგ რადიკალური ბრძოლებისთვის განაწყო. ბაშარ ასადის ხელისუფლებამ ამბოხებული მოსახლეობის წინააღმდეგ მკაცრი ზომებით სცადა გამკლავება, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების მხრიდან მკაცრი გაფრთხილებების შემდეგ, მოლაპარაკების გამართვას ცდილობდა უკმაყოფილო მასებთან, მაგრამ ტუნისში და ეგვიპტეში უკვე მოხდა დიქტატორული რეჟიმების გადაყენება და სირიელი ხალხიც ცვლილებებს ითხოვდა.

თურქეთი თავიდან მეზობელი სირიის საქმეში თავშეკავებულად იქცეოდა, ხოლო ერდოღანი, თავის მეგობარ ბაშარ ასადთან მუდმივ კავშირში იმყოფებოდა და ურჩევდა, რომ მას სირიაში ეფექტური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები დროულად გაეტარებინა. თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭომ სირიის მთავრობას მოუწოდა „დაუყოვნებლივ ჩაეტარებინა რეფორმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სირიელი ხალხის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კანონიერ მოთხოვნებს. 2011 წლის 2 მაისს რეჯებ ერდოღანის რიტორიკა რადიკალურად შეიცვალა, როდესაც მან მკაცრად გააკრიტიკა სირიის მთავრობა, ქალაქ ჰამაში მოხდარი სისხლიანი ინციდენტის გამო, სადაც დიდი რაოდენობით მთავრობის მოწინააააღმდეგე დემონსტრანტი დაიღუპა. ამის შემდეგ, თურქეთისა და სირიის ურთიერთობები, ახლო მეგობრულიდან უკიდურეს მტრობაში გადაიზარდა, რასაც ადასტურებს 2011 წლის 9 აგვისტოს დამასკოში ჩასული თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმეთ დავუთოლუს მიერ ჩატანილი „ერდოღანის აღშფოთების“ მესიჯი, რომელმაც დაგმო სირიის მთავრობის „არაცივილიზებული ქმედებები“ ოპოზიციის მიმართ. დავუთოღლუმ დამასკოში ყოფნისას განაცხადა თურქეთსა და სირიას შორის გაფორმებული ყველა შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ამ დროს სირიაში უკვე იქმნებოდნენ ორგანიზებული შეიარაღებული დაჯგუფებები ბაშარ ასადის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად და საბოლოოდ, მის დასამხობად. ბაშარ ასადის დიქტატორული რეჟიმის დასაცავად, პირველ ხანებში მხოლოდ ქვეყნის რეგულარული არმია იბრძოდა, ხოლო მის წინააღმდეგ ოპოზიციური ძალების სამხედრო დაჯგუფებები მოქმედებდნენ. 2011 წლის ზაფხულიდან ქვეყანაში სამხედრო დაპირისპირებამ ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის სახე მიიღო და ამ პერიოდიდან გავრცელდა საერთაშორისო ტერმინი „სირიის კრიზისი“. თურქეთის პრემიერმა რეჯებ ერდოღანმა, ბაშარ ასადის გადარჩენის შანსები მინიმალურად ჩათვალა და სირიის შეიარაღებულ ოპოზიციას დაუჭირა მხარი. ამავე პერიოდში სირიაში გააქტიურდნენ ადგილობრივ ქურთთა სეპარატისტული ძალები, რომლებიც ბაშარ ასადის ხელისუფლებას „ავტონომიური“ წარმონაქმნის შექმნით დაემუქრნენ და მის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ქურთთა აღნიშნული გააქტიურება, თურქეთის მთავრობას სავსებით არ აწყობდა და ერდოღანი ყოველნაირად ცდილობდა, სირიის აღნიშნული კრიზისის არეულობები გამოეყენებინა ქურთების სეპარატიზმის სურვილის სამუდამო დასრულებით.

სირიის კონფლიქტში ჩართული მხარეები სამხედრო დახმარებას ღებულობდნენ უცხო ქვეყნებიდან: ბაშარ ასადის ხელისუფლების შენარჩუნებას მხარს უჭერდნენ რუსეთი და ირანი; ოპოზიციურ ძალებს კი დახმარებას უწევდნენ თურქეთის, სპარსეთის ყურის არაბული მონარქიები და დასავლეთის ქვეყნები.

2011 წლის აგვისტოში თურქეთის ხელისუფლებამ თავის ტერიტორიაზე მოაწყო ბანაკები შეიარაღებული ქვედანაყოფების ფორმირებებისა და მომზადების მიზნით, რომელთა რიგებსაც ავსებდნენ სირიის არმიიდან დეზერტირებული სამხედრო მოსამსახურეები, ხოლო მათ ხელმძღვანელებად ინიშნებოდნენ 30 მაისს ბაშარ ასადის პირადი განკარგულებით ციხეებიდან გამოშვებული სირიის არმიის ყოფილი გენერლები და მაღალჩინოსანი ოფიცრები. აღნიშნულ სამხედრო შენაერთს ოფიციალურად ეწოდა „სირიის თავისუფალი არმია“, მისი შტაბ-ბინა 2011 წლის 23 აგვისტოს გაიხსნა სტამბოლში *(დღესაც იქ მუშაობს)* და არმიის სარდლად დაინიშნა სირიის საჰაერო ძალებიდან დეზერტირებული პოლკოვნიკი რიად ალ-ასაადი. სირიის ოპოზიციური არმიის გარდა, თურქეთის ტერიტორიაზე ასევე შეიქმნა რადიკალური ისლამისტებისგან შემდგარი რაზმები, რომელთა რიგებში იბრძოდნენ ერაყის, ლიბიის, საუდის არაბეთის, ავღანეთის, ეგვიპტის, სომალის, ჩეჩნეთის და სხვა ისლამური ქვეყნების წარმომადგენლები. თურქეთის სახელმწიფო ყოველნაირ დახმარებას უწევდა სირიის ტერიტორიაზე მოქმედ სხვადასხვა რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებს, რომელნიც ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობის მიზნით იბრძოდნენ. 2012 წლის ნოემბერში თურქეთის აქტიური თანადგომის შედეგად, ყატარის დედაქალაქ დოჰაში შეიქმნა ოპოზიციური სირიული გაერთიანება - „სირიის რევოლუციურ და ოპოზიციურ ძალთა ეროვნული კოალიცია“, რომელშიც შევიდა 16 ორგანიზაცია. აღნიშნული კოალიცია, როგორც „სირიელი ხალხის კანონიერი წარმომადგენელი“, ცნეს სპარსეთის ყურის ექვსივე მონარქიამ (საუდის არაბეთი, ქუვეითი, ბაჰრეინი, ყატარი, გაე, ომანი), თურქეთმა, საფრანგეთმა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა. სირიის ოპოზიციონერთა მთავარი ფინანსური სპონსორები საუდის არაბეთი და ყატარი იყვნენ. სირიის ორგანიზებული ოპოზიციის ძირითადი ძალები თურქეთის ტერიტორიაზე იყვნენ ბაზირებული. ოპოზიციურ შეიარაღებულ ძალებში შედიოდნენ: არაბული სუნიტური მოძრაობის აქტივისტთა ჯგუფები; სირიაში მცხოვრები ქურთების „დემოკრატიული კავშირის“ პარტიის მებრძოლები; სირიის ისლამური ტერორისტული დაჯგუფებები „ჯაბჰათ ან-ნუსრა“ *(„აღ-ყაიდას“ ტერორისტული ორგანიზაციის სირიაში მოქმედი ფილიალი)*, „ჯაიშ აშ-შამ“, „აჰრარ აშ-შამ“ და სხვა, რომელთა მოქმედებებშიც მონაწილეობენ მრავალრიცხოვანი მოხალისეები უცხოეთიდან. სირიის ტერიტორიაზე გაჩაღებულ სამოქალაქო ომში ბაშარ ასადის მხარეს, სახელისუფლო რეგულარული არმიის გარდა, მონაწილეობდნენ უცხოური დამხმარე რაზმებიც: ლიბანის შიიტური სამხედრო დაჯგუფება „ჰიზბოლლა“ და ირანის „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ სამხედრო შენაერთები.

2014 წლის ზაფხულიდან სირიის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ „ისლამური სახელმწიფოს“ (ISIS - აისის) ჯიჰადისტური არმიის ნაწილები, რომელთაც უკვე დაკავებული ჰქონდათ ერაყის ჩრდილოეთი ნაწილი და სირიაშიც სწრაფად მოახერხეს ქალაქების, სოფლების, სამეურნეო შენობებისა და ისტორიული ძეგლების რბევა-განადგურება. „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ძალების შემოჭრით სირიის ტერიტორიაზე, მათ თავისი აგრესიულობით შექმნეს ექსპანსიის გაფართოების საშიშროება, რამაც ერთბაშად გააფართოვა სირიის კონფლიქტის არეალი და მსოფლიოს დიდი ძალების ჩართვის აუცილებლობამ, მას საერთაშორისო საფრთხის ძალა შესძინა. ამიტომაც, 2014 წლის სექტემბრიდან სირიის კონფლიქტის მოგვარების საქმეში ჩაერთვნენ საერთაშორისო კოალიციური ძალები *(აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას გადაწყვეტილებით)*, რომელთა მთავარი სამიზნე, „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ძალზე სერიოზული საფრთხის შემცველი ფანატიკოსი მკვლელებისგან

შემდგარი არმია იყო. თურქეთმა, როგორც ნატოს ალიანსის წევრმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო კოალიციის ოპერაციებში და თურქეთში განთავსებული ნატოს ავიაბაზა „ინჯირლიყი“, კოალიციის ძალების მიერ გამოყენებულ იქნა „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ბანაკებისა და მათი განთავსების ადგილების დასაბომბად. „აისის“ სირიაში შეჭრისა და ქვეყნის ჩრდილოეთის ნაწილის *(უდიდესი ქალაქის აღეპოს ჩათვლით)* დაპყრობის შემდეგ, მეტად საინტერესო სიტუაცია შეიქმნა „ბრძოლის ველზე“. ბაშარ ასადის სახელისუფლო ძალებს ებრძოდნენ ოპოზიციური „სირიის თავისუფალი არმიის“ ნაწილები, არაბული სუნიტური ჯგუფები, ისლამისტური დაჯგუფებები...და თავისთავად „აისის“ ჯიჰადისტები. ამასთანავე, „აისის“ ჯიჰადისტებს ებრძოდნენ: საერთაშორისო კოალიციის ძალები; სირიის ოპოზიციური ძალები *(ბაშარ ასადის ძალების პარალელურად)*, ქურთთა „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ მებრძოლები, იგივე ქურთთა „სახალხო თავდაცვითი რაზმები“ *(ესენი 2012 წელს გაემიჯნენ „სირიის ოპოზიციურ ძალებს)*. საერთაშორისო კოალიციური ძალების ავიაცია ინტენსიურად ახორციელებდა „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ბანაკებისა და დისლოკაციის ადგილების დაბომბვას „ინჯირლიყის“ აეროდრომიდან და დიდ ზიანსაც აყენებდა მათ, რამაც ხელი შეუწყო ჯიჰადისტების თანდათან შევიწროვებას და ტერიტორიების განთავისუფლების პროცესს. საგულისხმოა, რომ „აისის“ ჯიჰადისტების წინააღმდეგ, ყველაზე მედგარი და მამაცური ბრძოლა გამოავლინეს ადგილობრივ ქურთთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთაც საერთო სახელწოდება ჰქონდათ „სირიის დემოკრატიული ძალები“, რამაც აშშ-ის და კოალიციის ქვეყნების უმეტესობის მოწონება და სამხედრო დახმარება დაიმსახურეს. 2014 წლის 26 იანვარს თურქეთ-სირიის საზღვარზე განთავსებული ქალაქის აინ-ალ -არაბის (ქურთ. ყობანი) განმათავისუფლებელი სამთვიანი ბრძოლა, ქალაქიდან „აისის“ ჯიჰადისტების განდევნითა და ქურთთა „სირიის დემოკრატიული ძალების“ გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ ისლამისტმა ჯიჰადისტებმა ძალები მოიკრიბეს და 2015 წლის 25 ივნისს კვლავ შეუტიეს ყობანის, მაგრამ ამჯერადაც იმარჯვეს ქურთთა რაზმებმა და „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ჯიჰადისტების არმიის შემოტევები 29 ივნისს გმირულად მოიგერიეს. ამ გამარჯვების შემდეგ იქნენ ადგილობრივი ქურთული ძალები, გამარჯვების სიმბოლოდ აღიარებულნი და აღნიშნული ბრძოლა ქურთულ წყაროებში „სტალინგრადის ბრძოლასთან“ არის გაიგივებული. მიუხედავად იმისა, რომ ყობანის განთავისუფლების ბრძოლებში დასავლეთის კოალიციის ქვეყნები აშშ-ის მეთაურობით ავიაციით საჰაერო მხარდაჭერას უცხადებდნენ ქურთთა ძალებს, თურქეთის მხარეს მონაწილეობა არ მიუღია ამ ბრძოლაში და ნეიტრალიტეტს აცხადებდა. ამ ბრძოლების მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ სირიის სახელისუფლო არმიასა და „ქურთთა სახალხო თავდაცვით რაზმებს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც, ქურთთა სახალხო რაზმები სირიის სამთავრობო ჯარებს დაეხმარებიან „აისის“ ჯიჰადისტების წინააღმდეგ ჰასეკის პროვინციის განთავისუფლების ბრძოლაში. ამის სანაცვლოდ, ქურთებს უფლება ეძლევათ მართონ ის რაიონები, რომლებიც გაათავისუფლეს და ადმინისტრაციულ შენობებზე აღმართონ თავის დროშები, სირიის სახელმწიფო ოფიციალური დროშების ნაცვლად. ამას გარდა, სირიის იფიციალურმა ხელისუფლებამ, ქურთთა შეიარაღებულ რაზმებს, გარკვეული რაოდენობის მძიმე შეიარაღება გადასცა. ქურთების შეიარაღებული ძალების წარმატებებისა და სირიის სამთავრობო არმიასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ არ დაუშვებს ქურდისტანის სახელმწიფოს შექმნას თავის საზღვრებთან. ერდოღანმა უკმაყოფილება გამოთქვა ქურთთა ძალების გადაადგილების მიმართ სირიის ჩრდილოეთისკენ. 26 ივნისის საღამოს ერდოღანმა განაცხადა, რომ „მე მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ არ დავუშვებთ ახალი სახელმწიფოს შექმნას ჩვენს საზღვრებთან“.

სირიის კრიზისის დაწყებიდან თურქეთს თავისი სტრატეგიული ინტერესები აწუხებდა და ამიტომაც ყველა ღონე იხმარა, რომ სირიის საზღვარი მისი კონტროლის ქვეშ ყოფილიყო. პირველ რიგში, სირიის ტერიტორიიდან ქურთთა სეპარატიზმის გავრცელების საშიშროება არსებობდა, ვინაიდან თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთების „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK სოციალისტურ-მარქსისტული იდეოლოგია, ასევე ენათესავებოდა სირიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთების „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ იდეოლოგიას, რაც ხელს უწყობდა მათი ერთობლივი მოქმედებების გააქტიურებას. ამიტომ თურქეთი, კოალიციის ღამის საავიაციო ერთობლივი გაფრენების დროს, ძალიან ხშირად ქურთთა სამხედრო ბანაკებს ბომბავდა *(თუჰქეთის დაზვეჰვა ინფოჰმატიკის მოპოვების ძაღიან მაღაღ საფეხუჰზეა)* და საკმაო ზიანს აყენებდა მათ. ქურთებს, აშშ-ის გარდა, რუსეთიც უჭერდა მხარს და დახმარებასაც აწვდიდა. რუსეთი ასევე უჭერდა მხარს ბაშარ ასადს, რაც თურქეთისთვის ძალზე ძნელი ასატანი იყო. ამჯერად კი, თურქეთის მთავარი პოლიტიკური და სტრატეგიული საზრუნავი, ქურთების სეპარატიზმის დაოკება, მათი თურქეთ-სირიის საზღვრიდან მოშორება და ამ ტერიტორიებიდან შეძლებისდაგვარად განდევნა იყო.

2015 წლის 30 სექტემბერს ბაშარ ასადის თხოვნით, რუსეთი ოფიციალურად ჩაერთო სირიის კონფლიქტში „საერთაშორისო კოალიციის“ ეგიდით *(თითქოს „ისღამუჰი სახეღმწიფოს“ ჯიჰადისტების განდევნის დაჩქაჰების მიზნით).* თუმცა ყველასთვის ნათელი იყო, რომ პუტინი, ბაშარ ასადისა და რუსეთის ტარტუსის საზღვაო ბაზის გადარჩენაზე ზრუნავდა, რამაც თურქეთის უკმაყოფილება გამოიწვია. ამას მოჰყვა 2015 წლის 24 ნოემბერს რუსული თვითმფრინავის სუ-24 ჩამოგდება თურქეთის საჰაერო ძალების მიერ, რაზეც ადრე უკვე ვისაუბრეთ. აღნიშნულმა ინციდენტმა ღრმა პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია რუსეთსა და თურქეთს შორის, ორივე მხრიდან საკმაოდ მკაცრი კრიტიკული რიტორიკა გაისმოდა და სირიის კონფლიქტში, რუსეთმა აშკარად დაიწყო ქურთთა შეიარაღებული ძალების დახმარება, რასაც თურქეთის მხრიდან საპროტესტო განცხადებები ახლდა *(თუჰქეთის ხეღისუფღება, სიჰიის ქუჰთების ყვეღა დაჯგუფებას, ეჰთიანად ტეჰოჰისტუღ ოჰგანიზაციად თვღიდა).*

2016 წლის დასაწყისიდან დაწყებული რუსეთსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობების ფონზე, თურქეთმა გააააქტიურა თავის შეტევები სირიაში ადგილობრივი ქურთი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომელთაც აშშ-ის მხრიდან დახმარება უფრო ინტენსიურად მიეწოდებოდათ, ვინაიდან „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) შეიარაღებული ჯიჰადისტების წინააღმდეგ, ყველაზე თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლები ადგილობრივი ქურთების მხრიდან წარმოებდა. ამავე პერიოდში გავრცელდა ცნობა, რომ ბაშარ ასადის ხელისუფლება, ქურთთა „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ ხელმძღვანელობას *(ჰუსეთის კაჰნახით, ჰოდესაც მოსკოვში უკვე გაიხსნა სიჰიეღი ქუჰთების წაჰმომადგენღობა და აშშ აჰ ეწინააღმდეგება),* თურქეთის საზღვართან, როჟავას რაიონში ქურთთა ავტონომიური რეგიონის შექმნას შეპირდა *(ჰოჟავა ეწოდება მდ. ევფჰატის მაჰჯვენა ნაპიჰზე განთავსებუღ ქუჰთებით დასახღებუღ ტეჰიტოჰიას და ქუჰთუღად დასავღეთს ნიშნავს).* ასეთი სიტუაციის განვითარება თურქეთის მთავრობას არანაირად არ აწყობდა, ერდოღანმა რეგიონში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი, რეგიონის გადანაწილებაში მონაწილე, მოწინავე ძალებთან უნდა ეპოვა. ერდოღანმა, რუსეთისა და აშშ-ის მთავრობებთან კვლავ დაახლოვების გზებზე დაიწყო ფიქრი.

2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობაზე, ერდოღანის მონანიების წერილზე და პუტინ-ერდოღანის 2016 წლის 9 აგვისტოს შეხვედრაზე ადრე, წინა ლექციებზე ვისაუბრეთ. ამჯერად შევაფასოთ, რა შედეგები მოგვცა ზემოთ დასახელებულმა მოვლენებმა. 2016 წლის 24 აგვისტოს თურქეთს ვიზიტით ეწვია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, რომელსაც შეხვედრები ჰქონდა პრეზიდენტ რეჯებ ერდოღანთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან მევლუთ ჩავუშოღლუსთან. ერდოღანმა აშშ-ის

ვიცე-პრეზიდენტს ფეთჰულა გიულენის გადმოცემა სთხოვა, აქვე დაამატა, რომ მსოფლიოში კარგი და ცუდი ტერორისტი არ არსებობს და ყველა ტერორისტის განადგურება აუცილებლობაა. ამიტომ უკვე დაწყებული „ევფრატის ფარის“ შედეგები აუწყა სტუმარს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისა და ქურთი ტერორისტების წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის პირველი დღე წარმატებით დასრულდა და ჯერაბლუსი *(თურქეთ-სირიის საზღვარზე)* უკვე აღებულია „სირიის თავისუფალი არმიის“ მებრძოლებისა და ჯერაბლუსის მცხოვრებთა მიერ. ჯო ბაიდენმა, რომელიც ცდილობდა თურქეთის ხელისუფლება და სირიელი ქურთები ერთმანეთთან მოერიგებინა, ერთადერთი ის შესძლო, რომ აღუთქვა თურქეთის მთავრობას, სირიელი ქურთები მდინარე ევფრატის აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულიყვნენ და იქ ებრძოლათ „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ჯიჰადისტების წინააღმდეგ.

2016 წლის 24 აგვისტოს თურქეთის პრეზიდენტის ბრძანებით შემუშავდა სამხედრო ოპერაციის „ევფრატის ფარის“ განხორციელება სირიის ტერიტორიაზე და თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილებმა გადალახეს თურქეთ-სირიის საზღვარი. ოპერაციის ოფიციალური მიზანი იყო, თურქეთ-სირიის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიები გაწმენდილიყო „აისის“ ჯიჰადისტებისა და სირიელი ქურთების შეიარაღებული ძალებისაგან, რომელთაც თურქეთი ტერორისტულად და „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK მებრძოლებთან გაიგივებულად თვლიდა. სირიის მთავრობამ, მის ტერიტორიაზე განხორციელებული თურქეთის აღნიშნული სამხედრო ოპერაცია „ქვეყანაში შემოჭრად და სირიის სუვერენიტეტის დარღვევად“ შეაფასა. სირიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სირიის საჰაერო თავდაცვის ძალები აღკვეთენ თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ნებისმიერ თვითმფრინავებს, რომლებიც გამოჩნდებიან სირიის საჰაერო სივრცეში. 24 ნოემბერს სირიის საჰაერო ძალებმა, „ევფრატის ფარის“ ოპერაციის დაწყების მომენტიდან პირველი დარტყმა მიაყენეს თურქეთის შეიარაღებულ ძალებს სირიის ჩრდილოეთში, რომლის შედეგადაც რამდენიმე თურქი ჯარისკაცი დაიღუპა და დაშავდა. აშშ-ის მთავრობამ მოუწოდა მხარეებს, რომ დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ბრძოლა სირიის ჩრდილოეთში, თურქეთის შეიარაღებულ ძალებსა და სირიელი ქურთების რაზმებს შორის. საგულისხმოა, რომ ოპერაციის დაწყების პირველივე დღეებში, კერძოდ 29 აგვისტოს, პენტაგონის შეფმა ე. კარტერმა განაცხადა, რომ თურქეთს პირველ რიგში სირიაში, „აისის“ ჯიჰადისტებთან მართებს ბრძოლა და არა ქურთების წინააღმდეგ. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, თავის თურქ კოლეგასთან რეჯებ ერდოღანთან შეხვედრისას გააკრიტიკა თურქეთის შეჭრა სირიის ტერიტორიაზე და ასევე, მათი სასტიკი ბრძოლა ქურთების „სირიის დემოკრატიული ძალების“ წინააღმდეგ, რომელთაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები. ამავე დროს, თურქეთის გენერალური შტაბის მეთაურმა გენერალმა ჰულუსი აქარმა, თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ სირიაში წამოწყებული სამხედრო ოპერაცია „ევფრატის ფარი“, გაგრძელდება მანამ, სანამ „უკანასკნელი ტერორისტი არ იქნება ლიკვიდირებული“. თურქეთის მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ სირიელ ქურთებს ისინი განიხილავენ, როგორც თავის სტრატეგიულ მტერს და ნეგატიურად აფასებენ ამერიკელთა გეგმებს, რომლის მიხედვითაც ქურთების გამოყენება იგულისხმება „აისის“ ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ ომში. 2016 წლის 23 სექტემბერს გაეროში გამოსვლისას თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა მკაცრად გააკრიტიკა ვაშინგტონის ხელისუფლება, „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ ქურთთა შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის გამო. სირიის ტერიტორიაზე თურქეთის აგრესიული ქმედებების მიმართ დიდ შეშფოთებას გამოხატავდნენ თავის განცხადებებში რუსეთისა და ირანის საგარეო უწყებებიც, მაგრამ ამგვარმა დემარშებმა ვერ შეაჩერეს თურქი სამხედროების წინსვლა. 2016 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის, თურქეთის არმიამ და მისმა მოკავშირე სირიის ოპოზიციის

აჯანყებულმა ძალებმა შექმნეს 10 კილომეტრიანი „უსაფრთხო ზონა“ სირიის ტერიტორიაზე, თურქეთ-სირიის საზღვრის გასწვრივ. 2016 წლის 29 ნოემბერს პარლამენტთაშორისო სიმპოზიუმზე სტამბოლში ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთმა ოპერაცია „ევფრატის ფარი“ დაიწყო ტირანი ბაშარ ასადის მმართველობის დასრულების მიზნით. ბაშარ ასადის მმართველობას, ყველაზე მეტად იცავდა რუსეთი და მიუხედავად თურქეთთან მოლაპარაკებების ჩარჩოში ფორმალური თანხვედრისა, მაინც ასადის ბედის თაობაზე, თურქეთის პოზიციასთან რადიკალურად განსხვავდებოდა. ჯერ კიდევ, 2016 წლის 13 ოქტომბერს რუსულ გაზეთისთვის ინტერვიუს მიცემის დროს, ბაშარ ასადმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთს აქვს საშუალება ანკარაზე იმოქმედოს, რომ მან თავისი პოლიტიკა შეცვალოს სირიის მიმართ. მიუხედავად მოსკოვის მრავალი მცდელობისა და მიმართვისა თურქული მხარისთვის, დიალოგი დაემყარებინა სირიის ხელისუფლებასთან, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ მაინც განაცხადა, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობები „არ ნიშნავს ანკარის პოზიციის შეცვლას სირიისა და ბაშარ ასადის მიმართ“. მან ასევე დაამატა, რომ თურქეთს არ უწარმოებია და არც აპირებს აწარმოოს მოლაპარაკებები სირიის პრეზიდენტ ასადთან.

2016 წლის 11 დეკემბერს ასადის ოპოზიციური „სირიის თავისუფალი არმიის“ ძალებმა, თურქეთის სამხედრო შენაერთების მხარდაჭერით აიღეს „სირიის ქურდისტანის“ ქალაქი ალ-ბაბი, ალეპოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 36 კილომეტრის დაშორებით. ამრიგად, თურქეთის სამხედრო ოპერაცია „ევფრატის ფარი“ დასრულდა თურქეთის სამხედრო ძალების გამარჯვებით და მათ მიერ სირიის ჩრდილოეთ ნაწილის 1250 კვ. კმ. ტერიტორიის დაკავებით.

თურქეთის ხელისუფლების მთავარ საზრუნავს კვლავ წარმოადგენდა სირიის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთების შეუპოვარი და მამაცური ბრძოლა საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად და „აისის“ ჯიჰადისტებთან გამოვლენილი ბრძოლის უნარი, რომელიც სირიის მთავრობის სიმპათიასაც იწვევდა და თავისთავად, რეგიონში თურქეთის სტრატეგიული ინტერესების განხორციელებას აფერხებდა. ამიტომ, თურქეთის მთავრობა და სამხედრო ელიტა, სირიელი ქურთების განსახლების რაიონების დაკავებასა და ამ ტერიტორიიდან ქურთი მოსახლეობის გასახლებასაც გეგმავდა. თურქეთის მხარეს მიაჩნდა, რომ სწორედ აღნიშნული გეგმების შესრულება, რომელიც სამხედრო ოპერაციის „ევფრატის ფარის“ ჩატარებისას მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, აუცილებელი იყო მისი ბოლომდე მიყვანა.

ახალი სამხედრო ოპერაცია „ზეთისხილის რტო“ დაიწყო 2018 წლის 20 იანვარს, როდესაც თურქეთის შეიარაღებული ძალები, სირიის ოპოზიციის პროთურქული შეიარაღებული ფორმირებების მონაწილეობით შეიჭრნენ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში. ოპერაციის მიზანი იგივე იყო რაც წინათ, - ქურთული შეიარაღებული შენაერთების „სირიის დემოკრატიული ძალების“ გაძევება სირიის ქურდისტანის დასავლეთ ნაწილიდან (როჟავა), აფრინის კანტონიდან (რაიონი) და ბუფერული ზონის შექმნა თურქეთ-სირიის საზღვარზე. ორი თვის ბრძოლების შედეგად, ძირითადად ქურთებით დასახლებული ანკლავის ცენტრი და მათი მთავარი დასაყრდენი პუნქტი კანტონის მთავარი ქალაქი აფრინი, თურქების სრული კონტროლის ქვეშ გადავიდა და 2018 წლის 18 მარტს აფრინიდან გავიდნენ ქურთთა „სახალხო თავდაცვითი რაზმების“ უკანასკნელი მეომრები. ქალაქ აფრინის აღების შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ „თურქეთი განაგრძობს სირიაში ბრძოლას, სანამ სრულად არ მოშლის ტერორისტულ დერეფანს, რომელიც გადის მანბიჯზე, ყობანიზე, თელ-აბიადზე, რას ალ-აინზე და ალ-ყამიშლიზე“ (ანუ მთელ ქურდისტანზე). აფრინისთვის ბრძოლის ორი თვის მანძილზე დაიღუპა 1500 ქურთი მებრძოლი *(ძირითადად ავიადარტყმებისა და არტიღერიული სროღების შედეგად)* , ასევე დაიღუპა 400-ზე მეტი თურქეთის მხარეს მებრძოლი სირიის ოპოზიციური ძალების წევრი და 78 თურქი

სამხედრო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ქალაქი აფრინი და მისი პროვინციის ტერიტორია დატოვა 200 ათასზე მეტმა მშვიდობიანმა მოქალაქემ. მანამდე, 2018 წლის 6 მარტს თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბექირ ბოზდაღმა განაცხადა, რომ აღნიშნული ოპერაციის მსვლელობისას თურქეთის სამხედრო ძალებმა დაიკავეს აფრინის პროვინციის ნახევარზე მეტი ტერიტორია, სადაც მდებარეობდა 142 დასახლებული პუნქტი. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა კი, საზეიმოდ განაცხადა, რომ ქალაქი აფრინი სრულიად განთავისუფლებულია ქურთული შეიარაღებული ფორმირებებისგან და დაამატა: „ახლა აფრინის თავზე ფრიალებს თურქეთის დროშა და სირიის თავისუფალი არმიის ბაირაღი“. თურქეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ დაიწყო აფრინის რეგიონის თურქიზაცია. ქალაქის ადგილობრივი მმართველობის შენობაზე, მეორე დღესვე აღიმართა თურქეთის სახელმწიფო დროშა და ყველა დაწესებულებების შენობაზე გაჩნდა თურქულენოვანი წარწერები. დაიწყო ქუჩების თურქული სახელებით და თურქულენოვანი წარწერებით ჩანაცვლება. აფრინის კანტონის (რაიონის) საქალაქო ადმინისტრაცია დაექვემდებარა თურქეთის ჰათაის ვილაიეთის ვალის (გუბერნატორს), ხოლო ხელფასების გაცემა და მაღაზიებში ვაჭრობა თურქული ლირით ხდებოდა. სკოლებში სწავლება თურქულ ენაზე გადაერთო და განათლების თურქული მოდელი დადგინდა, რის გამოც მასწავლებლები თურქეთიდან მოავლინეს. და ბოლოს, თურქეთის პრეზიდენტის საპატივცემულოდ, აფრინის მთავარ მოედანს „ას-სარაის“ (სასახლის მოედანი) ერდოღანის მოედანი ეწოდა.

ამრიგად, 2018 წლის სამხედრო ოპერაცია „ზეთისხილის რტოს“ შედეგად, თურქეთის მიერ სირიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ოკუპირებულ იქნა. სირიის მიმართ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად, შეიძლება ჩაითვალოს ქურთი ეთნოსის განსახლების ფაქტორი სირიის ტერიტორიაზე, რაც საბაბს წარმოშობს თურქული ინტერვენციისათვის. თავის ქმედებებს თურქეთი ანტიტერორისტულ ოპერაციას არქმევს, რამდენადაც ქურთთა გაერთიანებული ძალები, რომელთაც ებრძვის თურქული არმია, თურქეთის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციებად არიან გამოცხადებულნი. სწორედ აღნიშნულ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლის საბაბით, თურქეთი უბრალოდ იპყრობს სირიის ტერიტორიებს, საიდანაც მათი გაძევება შემდგომში, ძალზე ძნელი იქნება. ამას მოწმობს, აფრინის დაპყრობის შემდეგ სასწრაფოდ დაწყებული თურქიზაციის პოლიტიკა და ასევე, თურქეთი ცდილობს აღნიშნულ რაიონში სწრაფად ჩამოასახლონ თურქმანების და სხვა თურქულენოვანი ეთნოსის მაქსიმალური რაოდენობა. შეიძლება ითქვას, რომ ერდოღანი ეწევა სირიის ტერიტორიის მიზანმიმართულ ათვისებას, რაც „ეროვნული აღთქმის“ დოქტრინაში არის ჩადებული, ალეპოს კუთვნილების მუხლით.

აღნიშნულ პერიოდში, თურქეთ-სირიის დაპირისპირების ყველაზე დაძაბული ვითარება, იდლიბის მუჰაფაზას (გუბერნია) ტერიტორიაზეა შექმნილი. იდლიბის მუჰაფაზას ტერიტორია დასავლეთის მხრიდან თურქეთის ჰათაის ვილაიეთს ესაზღვრება, გარშემო კი, ლატაკიის, ჰამას და ალეპოს მუჰაფაზას მეზობლობს.

2014 წლის ზაფხულში „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) შეიარაღებული ძალების სირიის ტერიტორიაზე შემოჭრისა და მისი სწრაფად დაპყრობის შედეგად გამოქცეული მშვიდობიანი მოსახლეობის ნაწილი მეზობელი ქვეყნებისკენ დაიძრა, ხოლო ნაწილმა ქვეყნის დასავლეთისა და სამხრეთის გუბერნიებს: იდლიბს, ლატაკიას და დამასკოს შეაფარა თავი. 2016 წელს მეზობელმა ქვეყნებმა: ლიბანმა, იორდანიამ და თურქეთმა დაკეტეს თავისი საზღვრები ლტოლვილების ახალი ტალღის მისაღებად და ქვეყანაში ჩარჩენილი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ყველაზე მისაღები ადგილი იდლიბი აღმოჩნდა. სირიის ხელისუფლებაც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ბრძოლების, ბლოკადების, სროლების შემდეგ, ქვეყნის „ოპოზიციური“ რაიონებისა და პროვინციების მოსახლეობას ე.წ. „ჰუმანიტარულ დერეფნებს“

უხსნიდა, სწორედ იდლიბის მიმართულებით. რუსეთისა და სირიის სამხედროების მიერ შექმნილი „დერეფნებით“ სარგებლობდნენ, სირიის ოპოზიციის შეიარაღებული ნაწილები, „აისის“ ნარჩენები, „ჯაბჰათ ან-ნუსრას“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ გზით, იდლიბის ომამდელი 1,5 მილიონიანი მოსახლეობის რიცხვმა, გაეროს მონაცემებით 2017 წლისთვის 3 მილიონს გადააჭარბა *(მათგან მიღიონამდე ბავშვი).*

2017 წლის მაისში თურქეთის, რუსეთის და ირანის წარმომადგენლების შეხვედრისას ასტანაში, გადაწყდა სირიაში შექმნილიყო დეესკალაციის ოთხი ზონა. ყველაზე რთული სამართავი ზონა გახლდათ იდლიბის დეესკალაციის ზონა, სადაც „ასტანის ფორმატის“ საფუძველზე, 2018 წლის ივლისში თურქეთმა გახსნა 12 სამეთვალყურეო გამაგრებული პუნქტი *(ჰეაღუჰად სამხედრო ბაზა)* იდლიბის ზონაში მშვიდობის დაცვის მიზნით. ვინაიდან სირიის მთავრობის იურისდიქცია იდლიბის ზონის მცირე ნაწილში ვრცელდებოდა, პროვინციის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს *(თითქმის 70% -ს)* აკონტროლებდა „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ *(„ჯაბჰათ ან-ნუსჰას“ და სხვა ტეჰოჰისტული ოჰგანიზაციების გაეჰთიანებული შეიაჰაღებული დაჯგუფება)* ტერორისტული არმია. იდლიბის პროვინციაში საკმაოდ გამაგრებული ტერორისტული ჯგუფები *(სიჰიის ხელისუფლება მათ ოფიციალუჰად „აღ-ყაიდასთან“ აკავშიჰებდა),* რომელთაც ფარულად შეიარაღებას აწვდიდა თურქეთი და თურქეთის ტერიტორიის გამოყენებით სხვა ქვეყნებიც, პერიოდულად თავს ესხმოდნენ იდლიბის მეზობელი პროვინციების ტერიტორიებსაც, განსაკუთრებით სირიის ეკონომიკურ დედაქალაქს - ალეპოს.

იდლიბში სიტუაცია გამწვავდა თურქული „სამეთვალყურეო პუნქტების“ განსაკუთრებული აქტიურობის გამო, რომელნიც სამხედრო ნაწილის მსგავსად, დაბრკოლებებს უქმნიდნენ სირიის სამთავრობო ძალების და რუსული დაჯგუფებების მოქმედებებს *(თავს თვლიდნენ დეესკალაციის ზონის განმკაჰგავებად),* რაც შეთანხმებულ პირობებს არღვევდა. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, 2018 წლის 17 სექტემბერს სოჭში გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინისა და თურქეთის პრეზიდენტის რ. ერდოღანის სპეციალური შეხვედრა, რომელიც 6 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და დასასრულს ჟურნალისტებს გააცნეს მისი შედეგები: *(ჰუსეთის პჰეზიდენტის გამოსვლა პჰეს-კონფეჰენციაზე)* - „შეხვედრაზე შემუშავდა მემორანდუმი, რომელიც იდლიბის დეესკალაციის ზონაში ალაგმავს ტერორისტული ორგანიზაციების შეიარაღებული ძალების სერიოზული საფრთხის შემცველ ქმედებებს, როგორც იდლიბის რაიონში, ასევე ალეპოს მისადგომებთან და რუსეთის სამხედრო ობიექტების მიმართ სირიის ტერიტორიაზე, კერძოდ ტარტუსის საზღვაო ბაზაზე და ხმეიმიმის აეროდრომზე თავდასხმების განხორციელებას. გადაწყდა შეიარაღებული ოპოზიციისა და სამთავრობო სამხედრო ძალების შეხების ხაზზე 15 ოქტომბრისთვის შეიქმნას 15-20 კილომეტრიანი სიგანის დემილიტარიზებული ზონა, საიდანაც გაყვანილ იქნება რადიკალურად განწყობილი მებრძოლების ჯგუფები, მათ შორის „ჯაბჰათ ან-ნუსრას“ ნარჩენი ტერორისტები. 2018 წლის 10 ოქტომბრისთვის კი, აღნიშნული ზონიდან გაყვანილ იქნება ყველა ოპოზიციური დაჯგუფების კუთვნილი მძიმე შეიარაღება, ტანკები, საცეცხლე რეაქტიული სისტემები, ქვემეხები და ნაღმსატყორცნები. დემილიტარიზებულ ზონაში კონტროლს განახორციელებენ თურქეთის არმიის და რუსეთის სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფების საპატრულო ჯგუფები. 2018 წლის ბოლომდე აღდგება სატრანზიტო მიმოსვლა ალეპო-ლატაკიის და ალეპო-ჰამას ტრასებზე“.

(თუჰქეთის პჰეზიდენტის გამოსვლა პჰეს-კონფეჰენციაზე) – „მანამდე თურქეთის მხარე გაამაგრებს თავის სამეთვალყურეო პუნქტებს დეესკალაციის ზონაში, რაც თავიდან ააცილებს რეგიონს ჰუმანიტარულ ტრაგედიას, რომელიც შესაძლოა მომხდარიყო საომარი მოქმედებების შედეგად. სირიის კრიზისის დაწყებიდან და იდლიბის საკითხთან

დაკავშირებით, თურქეთი აკეთებს ყველაფერს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. დღევანდელი მემორანდუმი მიგვიყვანს იქამდე, რომ თურქეთი აღარ შეხვდება მძიმე სიტუაციას და ამ შეხვედრაზე ასევე შევთანხმდით: ტერიტორია, რომელიც ტერორისტების მიერ კონტროლირდება, მხოლოდ იდლიბის პროვინციით არ შემოიფარგლება *(ეხდოღანს მხედველობაში აქვს სიხიის ის ტეხიტოხიები, სადაც იმ დროს ჯეხ ქუხთები იყვნენ გამაგხებული - ზ.მ.).* ორგანიზაცია, რომელიც ჩვენ ქვეყანას უქმნის საფრთხეს - ეს პირველ რიგში ე.წ. „სახალხო თავდაცვითი რაზმია“ *(ქუხთების)*. ეს ორგანიზაცია ატარებდა ეთნიკურ წმენდას. რაც შეეხება სირიის მომავალს, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია, იდლიბის პროვინციის გარდა, სწორედ მდ. ევფრატის აღმოსავლეთ ნაწილის დესტაბილიზაციის წყაროს წარმოადგენს. პირველ რიგში, აუცილებელია მთლიანად განადგურდეს ეს ტერორისტული ორგანიზაცია. როგორც ოპერაცია „ევფრატის ფარის“ მსვლელობისას, ასევე ოპერაცია „ზეთისხილის რტოს“ დღეებში, ჩვენ გადავდგით ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჩვენ გავათავისუფლეთ ოთხი ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორია „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK ტერორისტებისაგან და ამგვარად უზრუნველვყავით ჩვენი სირიელი ძმების დაბრუნება ამ რეგიონებში. ასევე აუცილებლად ვთვლით, რომ ძალზე მნიშვნელოვანია გავათავისუფლოთ ტერიტორიები „დემოკრატიული კავშირის პარტიისა“ და „სახალხო თავდაცვითი რაზმების“ *(ქუხთული)* ტერორისტული ორგანიზაციებისგან“.

P.S. მიუხედავად თუხქეთის პხეზიდენტის მტკიცე დაპიხებებისა მემოხანდუმში განსახოხციელებელი პუნქტების დროულად შესხულების შესახებ, თითქმის ახცეხთი პიხობა თუხქეთის მხხიდან, ახ შესხულებულა.

დემილიტარიზებული ზონების შექმნის პროცესი არც დაწყებულა, ვინაიდან იმ ზონებში სირიის ოპოზიციური ძალების მხარდამხარ, ტერორისტული დაჯგუფებების ძალიან დიდი რაოდენობის შეიარაღებული ცოცხალი ძალა იყო განთავსებული *(ტეხოხისტულ ჯგუფებს ხშიხად დამცავი კედლის სახით, ცოცხალი მშვიდობიანი მოსახლეობა, ძიხითადად ბავშვები ჰყავდათ გამოყენებული)*, რაც სირიის სამთავრობო ძალების იერიშებს ნაკლებად ეფექტურს ხდიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სირიის სამთავრობო ძალების ძირითადი მხარდამჭერი, სირიაში განლაგებული რუსეთის სამხედრო კონტინგენტი იყო, ხოლო ასადის ოპოზიციისა და მასთან ერთად სხვადასხვა ჯურის ტერორისტული დაჯგუფებების ხელის შემწყობი, ზონაში თურქეთის სამეთვალყურეო პუნქტების სიმრავლე და საზღვრის სიახლოვე წარმოადგენდა. იდლიბის რეგიონზე გადიოდა სირიის მთავარი სახელმწიფო მნიშვნელობის ტრასა M5, რომელიც დედაქალაქ დამასკოს, სიდიდით მეორე ქალაქ ალეპოსთან აკავშირებს და ეს ტრასა გადაკეტილი ჰქონდათ ტერორისტული დაჯგუფების „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ შეიარაღებულ ძალებს. 2019 წლის გაზაფხულიდან რუსეთის ხმეიმიმის ავიაბაზა დამატებით შეივსო ახალი სამხედრო-საჰაერო ტექნიკით, რამაც უფრო მასიური გახადა მათი თავდასხმები ტერორისტთა პოზიციებზე. აპრილის თვეში „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ პოზიციებზე რუსეთის საჰაერო-სარაკეტო ძალების თავდასხმების შედეგად განადგურდა ობიექტი, სადაც მზადდებოდა სარაკეტო-საზენიტო დანადგარები, რომელსაც მებრძოლები იყენებდნენ ლატაკიისა და მასიაფის საცხოვრებელი კვარტალების დასაბომბად.

2019 წლის 6 მაისს სირიის სამთავრობო ძალებმა - „სირიის არაბული არმია“, რუსული საჰაერო-სარაკეტო ძალების მხარდაჭერით დაიწყეს სამხედრო ოპერაცია „იდლიბის განთიადი“, რომელიც მოიცავდა ძალზე ფართო რეგიონს სახელად „დიდი იდლიბი“ და მასში იგულისხმებოდა მეზობელი პროვინციების: ლატაკიის, ჰამას და ალეპოს ნაწილებიც, სადაც ვრცელდებოდა „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ მებრძოლთა გავლენა. პირველივე შტევების შედეგად, სირიის სამთავრობო ძალებმა გაათავისუფლეს მეტად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტები: ქაფრ-ნაბუდაჰი, ხან-შეიხუნი, ალ-ლატამინა, ქაფრ-ზიტა. სირიელთა შეტევები არაერთხელ შეფერხდა

თურქეთის პოზიციის გამო, რომელიც ვერაფრით ვერ ეგუებოდა სირიის იმ ტერიტორიების დათმობას, სადაც დე-ფაქტო კონტროლი აქვს დაწესებული ისლამისტური დაჯგუფებების წყალობით. ზაფხულის ოპერაციები „სირიის არაბული არმიის“ და რუსეთის საჰაერო-სარაკეტო ძალების ერთობლივი მოქმედებებით დიდი ზიანი მიაყენეს ტერორისტი მებრძოლების პოზიციებს მაარათ ან-ნუმანში, სარაყიბში, ხან-შეიხუნში, და კიდევ ბევრ დასახლებას „დიდი იდლიბის“ რეგიონში. 30 ივნისs სირიისა და რუსეთის კოალიციურმა ავიაციამ დაბომბა ალეპოს დასავლეთი ნაწილი და დიდი იდლიბის ნაწილი, სადაც გაანადგურეს „ალ-ყაიდას“ დაქვემდებარებული „ჰურას ად-დინ“-ის დაჯგუფების საველე მეთაურები.

2019 წლის 9 ოქტომბერს თურქეთის შეიარაღებული ძალებისა და სირიის ოპოზიციის შეიარაღებული ფორმირებების პროთურქულმა ნაწილებმა დაიწყეს მორიგი სამხედრო ოპერაცია სახელით „მშვიდობის წყარო“ და შეიჭრნენ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში. ოპერაცია მიმართული იყო სირიელ ქურთთა შეიარაღებული ძალების „სახალხო თავდაცვითი რაზმების“ და „სირიის დემოკრატიული ძალების“ კოალიციის წინააღმდეგ. ოპერაციის მიზანი იყო, რომ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში შეექმნათ ბუფერული ზონა („უსაფრთხოების ზონა“), სადაც წარმატების შემთხვევაში იგეგმებოდა 2 მილიონი სირიელი ლტოლვილის განსახლება, რომლებმაც თავის დროზე თავი შეაფარეს თურქეთის ტერიტორიას. ოპერაციის მსვლელობისას თურქულმა ჯარებმა და მათმა მოკავშირეებმა კონტროლი დააწესეს სირიის მოსაზღვრე ქალაქებზე რას ალ-აინსა და თელ-აბიადზე, რამაც საშუალება მისცათ გადაეჭრათ სტრატეგიული გზატკეცილი მ4, რომელიც პარალელურად მიუყვება თურქეთ-სირიის საზღვარს. თურქი სამხედრო ძალების აღნიშნულმა ოპერაციამ, ფაქტიურად აიძულა სირიელი ქურთები, მოლაპარაკებები დაეწყოთ სირიის ხელისუფლებასთან. 13 ოქტომბერს სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ავტონომიური ადმინისტრაციის ქურთმა წარმომადგენლებმა, სირიაში არსებული „რუსეთის ცენტრის“ შუამდგომლობით, სირიის მთავრობასთან მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ქურთების კონტროლირებად ტერიტორიებზე სირიის სამთავრობო სამხედრო ძალები განთავსებულიყვნენ. 14 ოქტომბერს სირიის არმიის ქვედანაყოფები სირიის ჩრდილოეთისკენ გადაადგილდნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში თავის კონტროლს დაუქვემდებარეს ქალაქები მანბიჯი, ყობანი, ტაბკა, არ-რაყა და მათი მაზობელი რაიონები. აღნიშნული ტერიტორიები თურქეთის „მშვიდობის წყაროს“ ოპერაციის გეგმებში შედიოდა და მათი დაკავების პრობლემაც თითქმის არ არსებობდა, მაგრამ აშშ-ის და რუსეთის ინტერესები ამ შემთხვევაში ქურთების ბოლომდე გაწირვას არ გულისხმობდა და თურქებს შეჩერებისკენ მოუწოდეს.

22 ოქტომბერს თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ სოჭში, სადაც სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში თავისი გავლენის ახალი ზონები დაადგინეს. მრავალსაათიანი დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად პრეზიდენტები შეთანხმდნენ შენარჩუნებულიყო სტატუს-ქუო თურქებისა და მათი მოკავშირეების მიერ დაკავებულ რაიონებში და ყველა ქურთული სამხედრო ფორმირებების გაყვანა თურქეთის საზღვრის მიდამოებიდან. რუსეთის მხრიდან ასეთ მზაკვრობას ქურთები ნამდვილად არ ელოდნენ და მათ ვითომდა დასამშვიდებლად, ქურთების რაზმების გაყვანის შემდეგ, რუსეთი და თურქეთი შეუდგნენ ერთობლივ პატრულირებას ქურთების მიერ გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე *(ვითომ ხეგიონში მშვიდობის შენახჩუნების მიზნით?!).*

სირიის სახელისუფლო ძალების მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაციის - „იდლიბის განთიადის“ ეგიდით, იდლიბზე შეტევის მეორე ეტაპი დაიწყო 2019 წლის 19 დეკემბერს და მალე „სირიის არაბული არმიის“ მებრძოლებმა გაათავისუფლეს დიდი იდლიბის რეგიონის 45-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, ისე რომ ტერორისტული დაჯგუფებების ძალებს გამოსტაცეს 320 კვ. კმ. ფართობი ტერიტორია. ამის შემდეგ, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა

ინტერვიუში განაცხადა, რომ „იდლიბის განთავისუფლების შემდეგ, ჩვენი მიზანი იქნება აღმოსავლეთ რაიონების განთავისუფლება. მე არაერთხელ მითქვამს, რომ იდლიბი სამხედრო თვალსაზრისით - მოწინავე პლაცდარმია“. აქვე ასადმა დაადანაშაულა ერდოღანი, რომ იდლიბში ის „ბნელი ძალების მითითებით მოქმედებს“.

2020 წლის იანვარში სირიის არმიამ გააგრძელა დეკემბერში დაწყებული შეტევითი ოპერაცია იდლიბის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონში მაარათ ან-ნუუმანის გათავისუფლების მიზნით, ვინაიდან ამ ქალაქის აღებით სირიის სამთავრობო ძალები გააკონტროლებენ ჰამა-ალეპოს ტრასის მნიშვნელოვან მონაკვეთს და გზა გაეხსნებათ ქალაქ სარაყიბის მიმართულებით *(სარაყიბი ორი მნიშვნელოვანი გზატკეცილის M4 - აღეპო-დატაკია და M5 - დამასკო-ჰომსი-ჰამა-აღეპო გასაყარზეა).* 28 იანვარს სირიის სამთავრობო ძალებმა აიღეს ქალაქი მაარეთ ან-ნუუმანი და კონტროლი დაამყარეს მასზე, ხოლო 5 თებერვალს ოპოზიციურ ძალებსა და ტერორისტთა მებრძოლებს გამოსტაცეს ქალაქი სარაყიბი. ამ ფაქტმა თურქეთის მთავრობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია - 19 თებერვალს პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა სირიის მთავრობას მოსთხოვა, რომ გაეყვანა თავის ჯარები იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ ეკავათ 2019 წლის დეკემბრის ბოლოს. რამდენიმე დღის შემდეგ, პროთურქულმა ძალებმა, თურქეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად დაიწყეს ფართომასშტაბიანი კონტრშეტევა სარაყიბის უკან დაბრუნების მიზნით და 24 თებერვალს აიღეს იგი. მანამდე, სირიის სამთავრობო ძალებმა სრული კონტროლი დაამყარეს დამასკო-ალეპოს ტრასაზე და 22 თებერვალს სირიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სახელმწიფო სატრანსორტო არტერია ოფიციალურად გაიხსნა სამოქალაქო ტრანპორტის მოძრაობისთვის. 27 თებერვალს სირიის საჰაერო ძალებმა რუსეთის საჰაერო-სარაკეტო ძალებთან ერთად იერიში მიიტანეს სირიის პროთურქული ოპოზიციის სამხედრო ქარავანზე, მეტად ინტენსიური დაბომბვის შედეგად, დიდ მატერიალურ ზარალთან ერთად 33 თურქი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ამ ინციდენტის შემდეგ, თურქეთის მხარემ შურისძიების მოტივით გაძლიერებული და მასირებული იერიშები განახორციელა სირიის სამთავრობო ძალების განლაგების ადგილებზე. სიტუაციის განსაკუთრებით დაძაბვის გამო, სასწრაფოდ გაიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა და თურქეთის ინიციატივით მოეწყო ნატოს საბჭოს თათბირი, რომელზეც თურქეთმა განაცხადა რეგიონში ახალი ოპერაციის „გაზაფხულის ფარი“ დაწყების შესახებ. 2020 წლის 29 თებერვლის განმავლობაში, პროთურქული „სირიის ეროვნული არმიის“ მებრძოლებმა, თურქეთის სამხედრო ძალების დახმარებით იდლიბის რაიონის 9 დასახლებული პუნქტიდან გააძევეს რუსეთის სამხედროებისგან მხარდაჭერილი ბაშარ ასადის არმიის ნაწილები. აღნიშნული შეტევებისას გამოყენებულ იქნა მძიმე სამხედრო ტექნიკა და 24 საათის განმავლობაში სირიის ოპოზიციურმა ძალებმა თურქეთის ჯარების მხარდაჭერით, მწყობრიდან გამოიყვანეს სამთავრობო ძალების 6 ტანკი, 3 საარტილერიო ქვემეხი, 2 ჯავშნოსანი მანქანა, 12 მსუბუქი პიკაპი და დახოცეს 46 სირიელი სამხედრო მოსამსახურე. თურქეთის ავიაციამ ჩამოაგდო სირიის 2 სამხედრო ბომბდამშენი სუ-24 *(სირიის სამთავრობო ძალების სამხედრო შეიარაღება, როგორც სახმელეთო, ისევე საჰაერო, თითქმის მთლიანად რუსული წარმოშობისაა).* როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ომში ორივე მხარეს ძირითადად იბრძვის თურქეთისა და რუსეთის, როგორც იარაღი, სამხედრო ტექნიკა და ავიაცია, ასევე ცოცხალი ძალაც. ასეთ ბრძოლას შეიძლება ვუწოდოთ პროქსი ომი. 2 მარტს „სირიის არაბული არმიის“ სამთავრობო ძალებმა რუსული სამხედრო ტექნიკის დახმარებით კვლავ დაიკავეს სტრატეგიული ქალაქი სარაყიბი. იმავე დღეს ქალაქში შევიდნენ რუსული სამხედრო პოლიციის ნაწილები. მომდევნო დღეს, სირიის ოპოზიციურმა ძალებმა თურქეთის მხარდაჭერით ორი უშედეგო იერიში მიიტანეს სარაყიბის დასაბრუნებლად *(სარაყიბის დიდი მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი M4 და M5 მთავარი გზატკეცილების გასაყარზე მდებარეობს).* 3 მარტს თურქეთის საჰაერო ძალების F-16-მა იდლიბში ჩამოაგდეს სირიის

თვითმფრინავი ლ-39. ამის შემდეგ, რუსული სამხედრო თვითმფრინავები ტუ-214 და ილ-22, სირიის ავიაციის მხარდაჭერას ჰაერშივე ახორციელებდნენ, როდესაც თურქულ ავიაგამანადგურებლებს რადიოელექტრონულ დახშობას უწყობდნენ. ამ პერიოდში თურქეთი წარმატებულად იყენებდა სადაზვერვო უპილოტო საფრენ აპარატებს ანკა-ს, რომლებიც ავლენდნენ სირიის სამხედრო ტექნიკის განლაგების ადგილებს და საფრენი აპარატები ბაირაქტარ ტბ2 წერტილოვან დარტყმებს ახორციელებდნენ, რის შედეგადაც გაანადგურეს სირიის სამხედრო ტექნიკის 200-მდე სამიზნე, მათგან 23 ტანკი, 25 საარტილერიო სისტემა, 5 საბრძოლო შვეულმფრენი, რამდენიმე საზენიტო-სარაკეტო სისტემა „პანცირ ს1“. ორივე მხარემ დიდი ზარალი განიცადა, როგორც სამხედრო ტექნიკის, ასევე ცოცხალი ძალის მხრივაც და მთავარი მოქმედი პირების შეთანხმების თანახმად 2020 წლის 5 მარტს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი და თურქეთის პრეზიდენტი რ. ერდოღანი.

მოსკოვში მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმდნენ:

1. შეწყდეს ყველანაირი საბრძოლო მოქმედებები იდლიბის დეესკალაციის ზონაში, სადაც დამყარდება ცეცხლის შეწყვეტის ახალი რეჟიმი, რომელიც ძალაში შედის 6 მარტის 00.01 საათზე;

2. რუსეთი და თურქეთი ქმნიან 6 კმ. სიგანის უსაფრთხოების დერეფანს მ4 ტრასის ორივე *(ჩრდილოეთ და სამხრეთ)* მხარეს. უსაფრთხოების დერეფნის ფუნქციონირების კონკრეტული პარამეტრები შეთანხმდეს რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროების ხაზით 7 დღის განმავლობაში;

3. 2020 წლის 15 მარტს დაიწყება რუსულ-თურქული ერთობლივი პატრულირება მ4 ტრასაზე, დასახლებული პუნქტიდან თრუმბადან *(სარაყიბის დასავლეთით 2 კმ-ში)* დასახლებულ პუნქტ აინ ალ-ჰაბრამდე.

საგულისხმოა, რომ შესაბამისი შეთანხმება გაფორმებულია რუსეთისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრების 2018 წლის 17 სექტემბრის სოჭის მემორანდუმის დამატებითი ოქმის სახით.

მოსკოვის მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთისა და თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელები 12 მარტს ანკარაში შეიკრიბნენ იდლიბის საკითხის თაობაზე, რომლის შემდეგაც თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „რუსეთის სამხედრო დელეგაციასთან მოლაპარაკებები გრძელდება და კონსენსუსი მნიშვნელოვანწილად მიღწეულია“. აქარმა აღნიშნა, რომ თურქეთი არ განიხილავს საკითხს იდლიბიდან თავისი სამხედრო ნაწილების გამოყვანის შესახებ, სადაც თურქეთს 12 სამეთვალყურეო პუნქტი აქვს განთავსებული...“ჩვენი სამხედროების ყოფნა იდლიბში ყველა ელემენტების ჩათვლით გრძელდება და მათ გამოყვანაზე იქიდან ლაპარაკი არ არის. ყველა ჩვენი სამხედრო დაჯგუფება ადგილზე რჩება“.

ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული რუსი და თურქი სამხედროების მ4 ტრასის ერთობლივი პატრულირების პირველივე დღე - 15 მარტი, უიღბლო გამოდგა. რუსულ-თურქული მისია სარაყიბიდან გასვლიდან ძალიან მალე იძულებული გახდა შეეწყვიტა პატრულირება და უკან გამობრუნებულიყო. ადგილობრივი წყაროები მიუთითებენ, რომ ტრასა გადაკეტეს და ბადრაგზე თავდასხმის მცდელობა იყო ტერორისტული ჯგუფის მხრიდან. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნა, რომ ჯიჰადისტების პროვოკაციის გამო, რომელთაც ფარად მშვიდობიანი მოსახლეობა, ძირითადა ქალები და ბავშვები გამოიყენეს, რუსულ-თურქული საკოორდინაციო ცენტრი იძულებული გახდა გადაწყვეტილება მიეღო ოპერაციის შეწყვიტის თაობაზე და პირველი რუსულ-თურქული ერთობლივი პატრულირების მარშრუტის მანძილი შემოკლდა. რუსულმა მხარემ თურქეთს „დამატებითი დრო შესთავაზა, ტერორისტების ნეიტრალიზაციისთვის გამოეყენებინა“ და მ4 ტრასის პატრულირების უსაფრთხოება უზრუნველეყო. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ კერძოდ თურქი სამხედროები, რომლებიც ბოლო თვეების

განმავლობაში აქტიურად უჭერდნენ მხარს, როგორც ისლამისტური ალიანსის „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ რადიკალურ მებრძოლებს, ისევე „განთავისუფლების ეროვნული ფრონტის“ ზომიერ ისლამისტებს, საინტერესოა როგორ „გაანეიტრალებდნენ“ სამშვიდობო პატრულირებისა და დეესკალაციის პროცესის მოწინააღმდეგეებს?

2020 წლის აპრილის თვიდან რუსულ-თურქული პატრულირება ალეპო-ლატაკიის M4 ტრასაზე გაგრძელდა, საკმაოდ მძიმე ჯავშნოსანი მანქანების თანხლებით და ჰაერიდან უპილოტო საფრენი აპარატის დაცვის ქვეშ. მთელი ზაფხულის განმავლობაში იყო მოულოდნელი ჩასაფრებული თავდასმებიც და ორი თურქი სამხედროც შეეწირა იდლიბის რაიონში გამაგრებული ტერორისტული ბანდების თავდასხმას. უკანასკნელი ინციდენტი 25 აგვისტოს მოხდა, როდესაც რუსული ჯავშანმანქანა ააფეთქეს და ორი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ამის შემდეგ რუსულ-თურქული ერთობლივი პატრულირება იდლიბში აღარ ჩატარებულა.

27 აგვისტოს იდლიბის რაიონში ბოლო ერთობლივი პატრულირების შემდეგ, თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა განაცხადა, რომ მხარეები აწყდებიან დიდ წინააღმდეგობას, რადგან რადიკალური ჯგუფები და ადგილობრივი შეიარაღებული რაზმები ცდილობენ სიტუაციის დესტაბილიზაციას სირიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქვე აქარმა დაადანაშაულა რუსეთი და აშშ, მათ მიერ პირობის დარღვევის გამო, როდესაც არ უზრუნველჰყვეს ქურთი რაზმების გაყვანა ზონიდან, სადაც თურქი სამხედროები ანტიტერორისტულ ოპერაციებს ატარებენ. ჰულუსი აქარმა აქაც ვერ დაფარა და გაამჟღავნა, რომ „თურქეთს რეგიონში აინტერესებს მხოლოდ ტერორისტების ლიკვიდაცია“ *(ჰოგოჰც ვხედავთ, თუჰქეთის პიჰვეღი სამხედჰო პიჰი აჰ მაღავს, ჰომ მათი მთავაჰი სამიზნე სიჰიის ტეჰიტოჰიაზე ადგიღობჰივი ქუჰთები აჰიან).* აგვისტოს ბოლოს რუსეთი და თურქეთი იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ პატრულირება იდლიბის დეესკალაციის ზონაში, ერთობლივ პატრულზე რადიკალური მებრძოლების თავდასხმის გამო. 2020 წლის 21 სექტემბერს „ალ-არაბია“ ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ ამა წლის მარტში მოსკოვში დადებული რუსულ-თურქული მემორანდუმი კვლავ ძალაშია და M4 ტრასაზე ერთობლივი პატრული გაგრძელდება, როგორც კი სიტუაცია დაწყნარდება. შემდეგ მან განაგრძო, რომ „M4 ტრასის პატრულირება შეჩერდა უსაფრთხოების დარღვევის გამო, რადგანაც „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი“ მუდმივად აწყობს შეიარაღებულ პროვოკაციებს და უტევს სირიის სახელმწიფოს პოზიციებს. ასევე ცდილობს იერიში მიიტანოს რუსეთის ხმეიმიმის ავიაბაზაზე“ *(ჰაც ყვეღაზე მეტად აწუხებს ჰუსეთის მბაჰეს).*

2021 წლის 11 თებერვალს სარაყიბში ერთობლივი წვრთნები დაიწყეს რუსეთისა და თურქეთის სამხედრო მოსამსახურეებმა, რომელნიც ემზადებიან იდლიბში განაახლონ თითქმის ნახევარი წლის წინ შეწყვეტილი პატრულირება. ცნობილია, რომ იდლიბის მუჰაფაზა (პროვინცია) დღეისათვის ერთადერთია სირიაში, სადაც ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი რეგულარულად ირღვევა. იდლიბის გარშემო ჯერ კიდევ მოქმედებს რამდენიმე ტერორისტული შეიარაღებული დაჯგუფება, რომლებიც ისლამისტი-რადიკალებისა და ჯიჰადისტებისგან არიან დაკომპლექტებულნი და ადგილობრივი მოსახლეობის დაშინების გზით მოქმედებენ. „სირიის ეროვნული არმია“ *(სახეღი ბევჰჯეჰ შეიცვაღა)* სირიის პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ოპოზიციური ძალების წარმმართველი ლიდერის ფუნქციებს ასრულებს და მჭიდროდ თანამშრომლობს თურქეთის სახელმწიფოს სამხედრო სტრუქტურებთან და მათი მხრიდან მრავალმხრივ დახმარებას იღებს. აღნიშნულ ოპოზიციურ სამხედრო შენაერთთან ერთად, იდლიბის და ალეპოს რეგიონებში მოქმედებს სხვადასხვა რადიკალური ისლამური ორგანიზაციების გაერთიანებული ძალა, „ჰაიათ თაჰრირ აშ-შამის“ სახელით.

და ბოლოს, თურქეთის და რუსეთის სახელმწიფო, გნებავთ ეროვნული ინტერესები „სირიის კრიზისის“ ყველა მონაკვეთში იმდენად საპირისპირო და

განსხვავებული ხედვების სფეროშია მოქცეული, რომ მათ შორის ე.წ. „დაბალანსებული ურთიერთობების“ ლექსიკური მონაცვლეობა და „ასტანის ფორმატი“ დიდხანს ვერ იმუშავებს.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი რეგიონული ვექტორი და სამოქმედო დევიზი - „მეზობლებთან ნული პრობლემები“, ახლო აღმოსავლეთის უახლოეს მეზობლებთან, „ქურთების პრობლემის“ მოგვარების გარეშე ვერ განხორციელდება. „სირიის კრიზისში“ თურქეთის აქტიური ჩართვა და სირიელი ქურთების წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების „კასკადი“, უამრავი მსხვერპლისა და საერთაშორისო იმიჯის შელახვის ფასად დაუჯდა.

სხვაგვარად ვითარდებოდა თურქეთის ურთიერთობები „ერაყელ ქურთებთან“, რომელიც ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისიდან აქტიურ ფაზაში გადავიდა.

2003-2005 წლების ერაყის საკითხი და სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის ბრძოლის პერიოდში, თანდათან გამოიკვეთა ქურთების იდენტობის წახალისებისა და მათი უფლებების გაძლიერების ტენდენციები. ქურთთა ავტონომიის ლეგიტიმაციის საკითხი, ოფიციალურად 2005 წლის ოქტომბრის რეფერენდუმით მიღებული ერაყის ახალი კონსტიტუციის ძალით გადაწყდა. ამრიგად, 2005 წელს თურქეთმა მიიღო - მეზობელი სახელმწიფოს, ერაყის პრეზიდენტად - ქურთი ჯალალ თალაბანი *(„ქუხდისტანის პატრიოტული კავშირის“ ლიდერი)* და თავის სახელმწიფო საზღვართან, გაფართოებული უფლებებით - ერაყის ქურდისტანის ავტონომიური რაიონი (Herema Kurdistane), დედაქალაქით ერბილში და პრეზიდენტი - მასუდ ბარზანი *(„ქუხდისტანის დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი).*

2001 წლის 9/11 ტერორისტული აქტის შემდეგ დაწყებული „მსოფლიო ტერორიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო აქციის მთავარ სამიზნეებად ავღანეთი და ერაყი იყო დასახელებული. ავღანეთში წარმატებით ჩატარებული ოპერაციისა და ტალიბებთან ანგარიშსწორების შემდეგ, ჯერი ერაყზე მიდგა. აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ინიციატივით და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მხარდაჭერით გადაწყდა კოალიციური ძალების შეჭრა ერაყში სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დამხობის მიზნით. 2003 წელს თურქეთის მეჯლისის გადაწყვეტილებით *(აშშ-თურქეთის ურთიერთობებზე მომდევნო ლექციაზე ვისაუბრებთ),* აშშ-ის საარმიო ბრიგადას უარი ეთქვა თურქეთის ტერიტორიიდან ერაყში შეჭრის შესაძლებლობაზე, რის შემდეგაც ამერიკელთა თვალში განსაკუთრებით გაიზარდა ქურთული ფაქტორის როლი. ერაყის ქურდისტანში სასწრაფოდ გადაისროლეს აშშ-ის 173 - ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადა და ერაყელმა ქურთებმა გამოავლინეს ამერიკელთა აქტიური მოკავშირის თვისებები. სადამ ჰუსეინის დიქტატურის დასამხობად შექმნილი აშშ-ის და კოალიციური ქვეყნების შეიარაღებული ძალების ოპერაციას „ერაყის თავისუფლება“ ეწოდებოდა. საერთაშორისო კოალიციის გაერთიანებული ძალების შეტევები ერაყის შუაგულისკენ მეტად სწრაფად ვითარდებოდა და უკვე 9 აპრილს დედაქალაქი ბაღდადი აღებულ იქნა. ამ მომენტით ისარგებლეს ადგილობრივმა ქურთებმა და ქურთთა შეიარაღებულმა ძალებმა „პეშმერგამ“ *(ერაყელი ქუხდისტანის ავტონომიუი რაიონს ოფიციალურად თავის შეიარაღებული ძალა ჰყავს, სახელად „პეშმერგა - სიკვდილის პირისპირ“)*, 10 აპრილს მოსული აიღეს, ხოლო 11 აპრილს ქირკუკი. თურქებისთვის ეს ფაქტი სრულიად მიუღებელი იყო, ვინაიდან „ეროვნული აღთქმის“ მუხლების თანახმად, მოსულიც და ქირკუკიც, თავისი ნავთობბის საბადოებით ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობას წარმოადგენს და ერდოღანის გეგმებში ერაყის ჩრდილოეთი, ანუ ქურდისტანი, მომავალი გაძლიერებული თურქეთის საზღვრებში მოიაზრება. ამერიკელებისა და თურქების *(ნატოს ალიანსის მოკავშირე ქვეყნები და კოალიციის წევრები)* ზეწოლით, ქურთთა არმიამ - პეშმერგამ, სწრაფად დატოვა მოსული და ქირკუკი. აშშ-ის ახალი საოკუპაციო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ერაყის ქურდისტანის

„განთავისუფლებული“ რაიონების ადმინისტრაციული მოწყობა, რეფერენდუმის შედეგად უნდა მოხდეს. ამრიგად, „განთავისუფლებული“ რაიონები ვერ მოხვდნენ ქურთების ავტონომიური რაიონის შემადგენლობაში, მართალია ისინი დე-იურე არ ემორჩილებიან ერბილს, მაგრამ დე-ფაქტო მჭიდროდ არიან დაკავშირებული ქურდისტანთან.

2003 წლის ერაყის ომის დაწყებამ, ახალი ურთიერთობების დალაგებას დაუდო სათავე თურქეთსა და ერაყს შორის. იმის შემდეგ, რაც ერაყელმა ქურთებმა, აშშ-ის მხარდაჭერა იგრძნეს, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ომში ჩაერთვნენ და ქურდისტანის რეგიონული მთავრობა, რომელიც ნახევრად დამოუკიდებედლი ქვეყნის მსგავსად იქცევა, საბოლოოდ გამოავლინა თავისი საკუთარი საგარეო პოლიტიკის ნიშნები. 2003 წლიდან ერბილში და ქურდისტანის სხვა ქალაქებშიც, შენობებზე გაჩნდა პოლიტიკური რუკები, რომლებზეც დიდი ქურდისტანის საზღვრებში მოქცეულია თურქეთის ტერირორიის ნაწილებიც. ამას გარდა, მასუდ ბარზანი ხშირად საუბრობდა ქურთების პრობლემებზე თურქეთში და რომ შეუძლია ქურთი ხალხის მობილიზება თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ. თურქეთის მთავარი საზრუნავი ამ პერიოდში იყო ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ვინაიდან თურქეთის „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK პრობლემა მეტად გამწვავებული იყო, ერაყში მიმდინარე საომარი პროცესების გამო. ამიტომ, თურქეთი ერაყის ომში აქტიურად 2007 წელს ჩაერთო და თურქეთის შეაიარაღებულმა ძალებმა სამხედრო ოპერაციები ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში წამოიწყეს, რომელიც მიმართული იყო ქურდისტანის „მუშათა პარტიის“ მებრძოლების გასანადგურებლად. 2008 წლის 29 თებერვალს თურქეთმა განაცხადა ერაყის ტერიტორიაზე სახმელეთო ოპერაციების ოფიციალურად დასრულების შესახებ, თუმცა არ გამორიცხავს შესაძლებლობას, კვლავ გაამწესოს თავის სამხედრო ნაწილები ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, თუ ამის აუცილებლობა წარმოიშვება.

ერაყის ქურდისტანში და მიმდებარე მოსული-ქირკუკის ტერიტორიაზე საკმაოდ მდიდარი ენერგეტიკული რესურსები არსებობს, რომელთა ძიების უფლებაც აშშ-ის კომპანიებს ჰქონდათ შეძენილი, მაგრამ ერაყში შექმნილი არასტაბილური სიტუაციის გამო შეწყვიტეს სამუშაოები და მათმა მოკავშირე თურქეთმა შეიძინა უფლებები ისე, რომ არც ბაღდადს და არც ვაშინგტონს არ შეთანხმებია.

ერაყსა და თურქეთს შორის 1973 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, 1977 წლიდან მუშაობს ქირკუკ-იუმურთალიქ (ჯეიჰანის) 970 კმ. სიგრძის ნავთობსადენი, რომელიც 2003 წლის ერაყის მოვლენების და ხშირი საბოტაჟის აქტების გამო, შეფერხებებით მუშაობდა. 2009 წლის 26 ოქტომბერს მოსულის სიახლოვეს მოხდა ნავთობსადენის მილის გარღვევა *(მოძველებული მიღების ხეაბიღიტაციის დაგვიანების გამო)*. ჩრდილოეთ ერაყის ქურდისტანის პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის გაზრდის პარალელურად, ერაყის თანდათანობით დასუსტების ფონზე, ქურთული ავტონომია უფრო მეტად იხრებოდა თურქეთის მხარეს, განსაკუთრებით ენერგეტიკის მოპოვებისა და ტრანსპორტირების სფეროში. გეოგრაფიული თვალსაზრისით და უკვე გაკვალული გზით, აღნიშნულ რეგიონში მოპოვებული ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტი მხოლოდ თურქეთის ტერიტორიის საშუალებით არის შესაძლებელი. 2012 წელს ქურთული ავტონომიის ხელისუფლებამ და თურქეთის მთავრობამ დაიწყეს მოლაპარაკებები ქურთული ნავთობის ტრანზიტის შესახებ თურქეთის გავლით და 2013 წელს ჩრდილოეთ ერაყში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები სატუმბო სადგურებზე, რის შემდეგაც ნავთობის მოცულობა სადენში დღე-ღამეში 300 ათასიდან 500-600 ათას ბარელამდე გაიზარდა. 2014 წლის 23 მაისს ქურდისტანის რეგიონულმა მთავრობამ დააანონსა, რომ თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტიდან ჯეიჰანიდან, გავიდა ჩრდილოეთ ერაყის (*ქუხთული)* ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი.

ამ პერიოდში ერაყის ტერიტორიაზე უკვე რადიკალური ისლამისტების,

ვაჰაბიტი სალაფიტების „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ჯიჰადისტები ბოგინობენ და ერაყის შეიარაღებული ძალები *(და მოსახლეობაც)* მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 2014 წლის დასაწყისიდან ერაყის დასავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა შეიარაღებული დაპირისპირება ერაყელ ოპოზიციურ ამბოხებულთა ჯგუფების, ერაყის უშიშროების სამსახურებისა და „ერაყისა და ლევენტის ისლამური სახელმწიფოს“ *(ხომელიც შეიქმნა ეხაყში 2006 წელს „აღ-ყაიდას“ საფუძველზე აბუ მუსაბ აზ-ზარყავის ხელმძღვანელობით, ხოლო 2010 წლიდან მას მეთაუხობდა აბუ ბაქრ აღ-ბაღდადი)* შორის. 2014 წლის იანვარში „აისის“ მებრძოლმა-ჯიჰადისტებმა დაიკავეს ერაყის ქალაქები ფალუჯა და რამადი, რითაც კონტროლი დაამყარეს ანბარის მუჰაფაზას (პროვინციის) დიდ ნაწილზე. შემდეგ „აისის“ ძალებმა აქტიური იერიში მიიტანეს ერაყის ნავთობით მდიდარ ჩრდილოეთ ნაწილზე და ივნისის დასაწყისში მიუახლოვდნენ ერაყის სიდიდით მეორე ქალაქს მოსულს. 4 ივნისიდან „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტები შეიჭრნენ მოსულში და ერაყის არმიის მებრძოლებთან შეტაკებაში დამარცხდნენ, მაგრამ ტყვედ აყვანილი რამდენიმე ერაყელი მებრძოლი სასტიკი წამებით დასჯეს: ზოგი ჩამოჰკიდეს, ზოგი ცოცხლად დასწვეს. 5 ივნისს ქალაქში კომენდანტის საათი გამოცხადდა, მაგრამ 6 ივნისს „აისის“-ის ტერორისტთა ჯგუფმა ქალაქის არსენალი ააფეთქა და ერაყის არმიის მებრძოლების უმრავლესობამ გაქცევით, ან უდაბნოს შეაფარა თავი, ან ადგილობრივ მოსახლეობას შეერია. ამავე დროს ქალაქში გააქტიურდნენ ე.წ. აისისის „მძინარე უჯრედები“ და ქალაქის მთელი რაიონები მათ დამორჩილდათ. 9 ივნისს ქალაქს შეუტიეს აისის ჯიჰადისტებმა და სუნიტმა ამბოხებულებმა, ერაყის არმიის დარჩენილმა ნაწილებმა ამ შეტევისას ქალაქი დატოვეს და 10 ივნისის შუადღისთვის აისის და ამბოხებულებმა სრული კონტროლი დააწესეს მოსულზე. ჯიჰადისტებმა დიდი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა ჩაიგდეს ხელში, ამასთანავე დაიკავეს მოსულის საერთაშორისო აეროპორტი, რომელიც ამერიკელი სამხედროების ცენტრს წარმოადგენდა რეგიონში. 2014 წლის 10 ივნისს მოსული მთლიანად დაიკავეს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა თარხან ბათირაშვილის მეთაურობით, ქალაქის ციხეებიდან ათასზე მეტი პატიმარი გაათავისუფლეს, რომელნიც მათ შეუერთდნენ და ქალაქის მმართველობის თავზე შავი დროშა აღმართეს.

მოსულის აღების მეორე დღეს, აისისის ჯიჰადისტებმა დაიკავეს ნავთობით მდიდარი ქალაქი ბაიჯი, დასწვეს ადგილობრივი საპოლიციო უბანი და სასამართლოს მთავარი შენობა. იმავე დღეს, 11 ივნისს აისისის შეიარაღებულმა ჯგუფმა დაიკავა თურქეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს შენობა, გაიტაცა საკონსულოს 49 თანამშრომელი, გენერალური კონსულის ოზთურქ ილმაზის ჩათვლით, სამი ბავშვი და თურქეთის სპეციალური დანიშნულების რამდენიმე მუშაკი. მალე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საკონსულოდან გატაცებული ყველა პირი, ხელუხლებლად დაბრუნებულ იქნა უახლოეს სამხედრო ბაზაზე. თურქეთის მხარის უცნობმა ინფორმატორმა დაადასტურა, რომ თურქეთის მთავრობას კონტაქტები ჰქონდა „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელობასთან *(გადაუმოწმებელი ინფორმაცია).* 2014 წლის 11 ივნისს აისისის მებრძოლებმა, ორდღიანი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს სალაჰ ად-დინის მუჰაფაზას ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი თიქრითი *(სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქი).* ბრძოლები განაგრძეს ბაღდადის მიმართულებით, გზადაგზა ხელთ იგდებდნენ მთელ ინფრასტრუქტურას, ანადგურებდნენ არქიტექტურულ ძეგლებს და სჯიდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მოსულის დაცემის, ერაყის ტერიტორიების სწრაფად დაპყრობის და მოსალოდნელი შედეგების საპასუხოდ, ერაყის მთავრობამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამასთანავე, მთავრობამ გამოსცა განკარგულება ქვეყნის შეიარაღებული ძალების ფორმირების ცვლილებების შესახებ, რომ მათ აუცილებლად ითანამშრომლონ ადგილობრივი ეთნიკური თემების ძალებთან და აშშ-ის არმიასთან.

2014 წლის 29 ივნისს „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ, მოსულის ან-ნურის მეჩეთში *(მე-12 საუკუნის ისლამური არქიტექტურის ნიმუშის მეჩეთი. მოსულის განთავისუფლებისთვის ბრძოლების დროს, 2017 წლის 21 ივნისს აფეთქებულ იქნა აისის ჯიჰადისტების მიერ)* გამოსვლისას, ამცნო მთელ ისლამურ სამყაროს, „მსოფლიო ისლამური ხალიფატის“ შექმნის შესახებ და თვითონ მსოფლიოს ყველა მუსლიმის ხალიფად გამოაცხადა თავი *(ამავე პერიოდიდან „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფოს“ დასახელება, ოფიციალურად უბრალოდ „ისლამური სახელმწიფო“, ანუ „აის“ გახდა).* ამ დროისათვის, აისის შეიარაღებული ძალები ერაყისა და სირიის ჩრდილოეთ ნაწილებში ნავთობით მდიდარ მნიშვნელოვან ტერიტორიებს აკონტროლებდნენ, ხოლო ზაფხულის ბოლოსთვის ერაყისა და სირიის ნავთობის სარეწების ექსპლოატაციით, მათი ფინანსების ძირითადი მასა იზრდებოდა. 2014 წლის აგვისტოს ბოლოს „ალ-არაბიას“ ინფორმაციის თანახმად, ნავთობის კონტრაბანდული წესით ვაჭრობის შედეგად „ისლამური სახელმწიფოს“ ყოველდღიური შემოსავალი $3 მლნ-ს შეადგენდა, ხოლო ნავთობის მოპოვების ყოველდღიური მოცულობა 350 ათას ბარელს აღწევდა. მათ ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შავი ბაზრის ფასებით ვაჭრობისას, საწვავი კონტრაბანდულად გაჰქონდათ თურქეთში, საიდანაც შუამავლების საშუალებით ნადავლის გადანაწილება ხდებოდა. „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფების მიერ დაპყრობილი ტერიტორიები ერაყსა და სირიაში , ამ ქვეყნების ძირითად სოფლის მეურნეობის რაიონებად ითვლებოდნენ და აქ მოწეული ხორბლისა და ქერის მოსავალს ჯიჰადისტები იორდანიისა და თურქეთის გადამყიდველებს აბარებდნენ, საიდანაც წელიწადში $200 მლნ-ზე მეტი შემოსავალი ჰქონდათ. ტერორისტების შემოსავლის წყარო ასევე მონებით ვაჭრობა იყო, დაპყრობილი ტერიტორიებიდან ქალების დატყვევება და მონათა ბაზრებზე გაგზავნა. გაეროს 2016 წლის ოქტომბრის სპეციალურ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ 2015 წლის განმავლობაში აისის ტერორისტებმა ტყვეებით ვაჭრობით $45 მლნ-მდე მიიღეს. მაგალითად, როდესაც 2014 წლის აგვისტოში ქალაქი სინჯარი *(მოსახლეობის უმეტესობა იეზიდები)* აიღეს, ათასამდე ახალგაზრდა ქალი და ბავშვებიც მონების ბაზარზე გაიყვანეს. სინჯარი მოსულის ჩრდილო-დასავლეთით არის განთავსებული, სინჯარის მთების ძირში და ახლოსაა სირიის (50 კმ) და თურქეთის საზღვართან. მას მეტად დიდი სტრატეგიული ადგილმდებარეობა უკავია და მოსულიდან მიმავალი მთავარი ტრასა სირიისკენ იქნება თუ თურქეთისკენ, სინჯარზე გადის. ამიტომ, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადის-მებრძოლებს გზა გაეხსნათ სირიის მიმართულებით და ვინაიდან სირია სამოქალაქო ომით იყო დაკავებული და დასუსტებული, ადვილად შეძლეს მოკლე ხანში სირიის ჩრდილოეთის დიდი ნაწილის დაკავება, არ-რაყას აღება და ალეპოს მიადგნენ, ანუ სირია-თურქეთის საზღვართან გავიდნენ. სირიის ტერიტორიაზე აისის ჯიჰადისტებმა ყველაზე გამალებული ომი დაუწყეს თურქეთის მთავარ მტრებს: ბაშარ ასადის ძალებსა და ადგილობრივ ქურთთა შეიარაღებულ რაზმებს, რამაც თურქეთს მისცა საბაბი, რომ მისი ტერიტორიით ესარგებლად უცხოელ ტერორისტებს, გადასულიყვნენ სირიის ტერიტორიაზე, სადაც შეურთდებოდნენ აისის მებრძოლებს ან სხვა ისლამურ რადიკალურ დაჯგუფებებს. თურქეთის ამგვარმა პოლიტიკამ, შესაძლებელი გახადა 25 ათასზე მეტ უცხოელ ტერორისტ მებრძოლს, თურქეთ-სირიის საზღვარი გადაელახა. გახდა რა თურქეთის სამხრეთ მეზობელი, აისის ტერორისტული დაჯგუფების მეთაურობამ კონტროლი დააწესა სირია-თურქეთის საზღვრის რამდენიმე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე და ასევე, საზღვარზე დაიწყო კონტრაბანდული ტვირთების გადაზიდვის მარშრუტებით სარგებლობა.

2014 წლის ბოლოს, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფების კონტროლის ქვეშ ერაყის ტერიტორიის 40% და სირიის ტერიტორიის 30% იყო მოქცეული. 2015 წლიდან აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინიციატივით დაიწყო საერთაშორისო კოალიციური ძალების ჩართვა „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტი ტერორისტების წინააღმდეგ, სირიისა და ერაყის

ტერიტორიების განთავისუფლების მიზნით. აღნიშნული ოპერაციის კიდევ ერთი დანიშნულება იყო, ცალკეული რაიონების ადგილობრივი ანტიტერორისტული შეიარაღებული ჯგუფების ერთმანეთის მიმართ ნდობის აღდგენისა და გაერთიანებული გამოსვლების აქტივიზაციის პროცესის დაწყება.

თურქეთის მთავრობა, რომელიც სირიის და ერაყის ფრონტებზე იყო ჩართული „აისის“ წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციური ძალების რიგებში, ამასთანავე არ ერიდებოდა „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ სირიის ნავთობის მოპოვებული ნაწილი, იაფად შეეძინა და თავისი საჭიროებისთვის გამოეყენებინა. უფრო მეტიც, აისის მეთაურები კონტრაქტებს აფორმებდნენ თურქეთის დაწესებულებებთან სამხედრო საჭურველის დამზადებისა და შესყიდვის შესახებ, მათ შორის თვითნაკეთი ქობინების, ასაფეთქებელი ნივთიერების, ქიმიკატების, სატვირთო ავტომანქანების, ელექტრონული აპარატურის, ტანსაცმლის, სამხედრო უნიფორმის და სხვა სამხედრო დანიშნულების მასალებზე. საინტერესოა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტთა დაჯგუფება დასავლეთის და სხვა ცივილიზებულმა ქვეყნებმა 2014 წლიდან ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადეს, თურქეთის მთავრობა კი თავს იკავებდა აისის ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებისგან და მხოლოდ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ზეწოლის შემდეგ, შეაჩერა თავისი დახმარება აისის მიმართ და 2016 წლის დასაწყისში აღიარა იგი ტერორისტულ ორგანიზაციად.

ერაყის ხელისუფლებას რაც მეტად უჭირდა, თურქეთი უფრო ცდილობდა ქურთული ავტონომიის გამოცალკევებას ერაყის მორჩილებიდან, რითაც აღრმავებდა ერაყის დესტაბილიზაციის პროცესს. თუმცა „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან საფრთხის მოახლოებასთან დაკავშირებით, რეგიონში მოქმედმა ქურთთა ყველა მოძრაობამ (ერაყში, თურქეთში, სირიაში) შეკავშირება და დაახლოვება დაიწყო. აისის ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში, სირიის ქურთთა „დემოკრატიული კავშირის“ ძალებმა და ერაყის ქურთთა „პეშმერგას“ არმიამ მეტად მძაფრი ბრძოლები გამართეს, რითაც საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონება დაიმსახურეს. 2015 წლიდან „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა თანდათან დათმეს თავისი პოზიციები და სირიის ქურთების წარმატება აისის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-ის მხრიდან წახალისებულ იქნა, სხვადასხვა სახის დახმარებისა და რეგიონში საიმედო მოკავშირის სახელი დაუმკვიდრა. თურქეთის მთავრობა, რომელიც სირიელი ქურთების სახით *(თუჰქეთში მოქმედი „ქუჰთთა მუშათა პარტიის“ იდეოლოგიური მოკავშიჰე)* თავისი ეროვნული ინტერესების საფრთხეს ხედავდა, ყოველნაირად ცდილობდა „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების წინააღმდეგ გამოვლენილი ქურთების შემართება და სიმამაცე, დაეკნინებინა ან სხვა შეფასება მიეცა. თურქეთი, მიუხედავად ერაყის ქურთების რეგიონის ავტონომიის მთავრობასთან პარტნიორული ურთიერთობებისა, არ იწონებდა სირიელი ქურთების და პეშმერგას მებრძოლების ბრძოლაში, ეროვნულობის და საკუთარი მიწა-წყლის დაცვის ხაზგასმის პრეცედენტებს, თანაც წინააღმდეგი იყო, რომ „ქურთთა მუშათა პარტიის“ ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ყველა ქურთული ორგანიზაცია ერთიან კონტექსტში მოეხსენებინათ. თურქეთმა მოძებნა მეთოდი, რომ მისი კონტროლის ქვეშ მოქცეულიყო „ქურთული ერთიანობის“ შექმნის მსურველთა მოქმედებები.

2015 წლის 4 დეკემბერს თურქეთმა, ერაყის ტერიტორიის ნაინავას (ნინევიის) მუჰაფაზის ბაშიკას რაიონში შეიყვანა ჯავშანსატანკო ბატალიონი, არტილერიის თანხლებით, აისის წინააღმდეგ მებრძოლების მოსამზადებელი ბანაკის დაცვის მიზნით. თურქი სამხედროების განცხადებით, მათ სურთ მოამზადონ სახალხო რაზმები, რათა მოაწყონ შეტევა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ცენტრის, მოსულის გასანთავისუფლებლად ტერორისტებისაგან. ერაყის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმა განაცხადეს, რომ თურქი სამხედროების შემოსვლა „მტრული

მოქმედებებია“, რომელიც შეთანხმებული არ არის ხელისუფლებასთან და დაგმეს სუვერენიტეტის დარღვევის პრეცედენტი. ერაყის პრემიერ-მინისტრმა ჰაიდარ ალ-აბადიმ 30 დეკემბერს განაცხადა, რომ თურქეთის წარმომადგენლებმა პირობა დადეს, რომ დატოვებდნენ ქვეყნის ტერიტორიას, მაგრამ არ შეასრულეს. 2016 წლის 25 იანვარს კი, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ ერაყის ტერიტორიაზე იმყოფებიან თურქეთის არმიის არა რეგულარული ნაწილები, არამედ ინსტრუქტორები, რომლებიც ერაყის ჩრდილოეთ ბაშიკის რაიონის ბანაკში წვრთნიან სხვადასხვა ძალებს ტერორისტული ჯგუფის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად. 2016 წლის 2 თებერვალს საერთაშორისო კოალიციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სტივენ უორენმა ერაყის ტელეარხ „ალსუმარიას“ განუცხადა, რომ ერაყში მყოფი თურქული არმიის ქვედანაყოფები, არ არიან აშშ-ის მეთაურობის ქვეშ არსებული საერთაშორისო კოალიციის ნაწილი და განკარგულება, რომ გამართონ ბრძოლა ტერორისტებთან, არ მიუღიათ. ამასთანავე უორენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქი სამხედროები ერაყში არიან „საკუთარი მისიით“ და დაამატა „აშშ ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს სცემს ერაყის სუვერენიტეტს“.

თურქეთის შეიარაღებული ძალების ბატალიონი ერაყის მთავრობის პროტესტის მიუხედავად, დარჩა ბაშიკას ბანაკში, თითქმის სამხედრო ბაზად აქცია ტერიტორია და თურქეთის მთავრობა აცხადებდა, რომ თურქი სამხედროები იქ თურქი ინსტრუქტორების დაცვის მიზნით შევიდნენ, რომლებიც არაბ და ქურთ მოხალისეებს ამზადებენ ტერორისტული დაჯგუფების „ისლამური სახელწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ, თითქმის ერთი წლის განმავლობაში თურქეთსა და ერაყს შორის ურთიერთობები მეტად დაძაბული იყო და მხოლოდ 2017 წლის 7 იანვარს გადაიდგა ნაბიჯი სიტუაციის განმუხტვის მიზნით, როდესაც თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბინალი ილდირიმი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ბაღდადს. ვიზიტის ფარგლებში ბინალი ილდირიმი შეხვდა თავის კოლეგას ჰაიდარ ალ-აბადის, ერაყის პრეზიდენტს ფუად მასუმს (ქურთი, დაბადებული ერბილში) და ერაყის ქურდისტანის ავტონომიური რაიონის პრეზიდენტს მასუდ ბარზანის. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ასევე მოინახულა ბაშიკას სამხედრო ბაზა. ილდირიმმა განაცხადა, რომ ეს ვიზიტი მისი პოლიტიკის ნაწილია, რომელიც გულისხმობს „თურქეთის მეგობრების რიცხვის გაზრდას და მტრების რიცხვის შემცირებას“. მაგრამ პრემიერ-მინისტრების შეხვედრამ ვერ გამოავლინა მთავარი პრობლემის მოგვარების არსი: „თურქი სამხედროების გაყვანა ბაშიკას ბანაკიდან“, რადგანაც შეხვედრის შემდეგ ჰაიდარ ალ-აბადიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მოლაპარაკებებზე მიღწეულია შეთანხმება ბაშიკადან უცხოელი ჯარების გაყვანის შესახებ. მაგრამ მეორე დღეს, თურქეთის მთავრობის ვიცე-პრემიერის ნურეთინ ჯანიკლის სიტყვებიდან გამომდინარე, ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით, თურქეთი იტოვებს უფლებას მიიღოს სამხედრო ხასიათის ზომები ერაყის ტერიტორიაზე. აქვე დაამატა, რომ „თურქეთი მზადაა გასცეს ბრძანება ბაშიკას სამხედრო ბანაკის დახურვის შესახებ, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტერორიზმის საფრთხე მოიხსნება. ბაშიკას ბანაკი არსებობს იმ ტერორიზმის გამო, რომლის წყაროსაც ერაყი წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ გვაქვს უფლება ამის წინააღმდეგ ზომები მივიღოთ“. საქმე იმაში გახლავთ, რომ ბაშიკას მიმდებარე ტერიტორიაზე და აგრეთვე ნაინავას მუჰაფაზას გამაგრებულ ქალაქ სინჯარში, ადგილობრივი იეზიდების „აისის“ ჯიჰადისტებისგან დაცვის მიზნით, მოქმედებენ თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებული „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK მებრძოლი ჯგუფები, რომლებიც თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, სინჯარის და კანდილის მთებში განლაგებულ სამხედრო ბანაკებში გადიან მზადებას. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბინალი ილდირიმის ვიზიტის დროს, მის განრიგში ასევე აღნიშნული იყო საკითხი, რომელიც იეზიდებით

დასახლებული სინჯარიდან ქურთული PKK -ს შეიარაღებული ჯგუფების გაყვანას ეხებოდა. ბ. ილდირიმმა ბაღდადში შეხვედრაზე განაცხადა, რომ „უსაფრთხოების ეს პრობლემა ეხება არა მარტო თურქეთს, არამედ ერაყს, სირიას და სხვა ქვეყნებსაც“. ბაღდადში ხელმოწერილი მემორანდუმის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ერაყის განცხადება, რომ იგი არ დაუშვებდა თავის ტერიტორიაზე PKK -ს ყოფნას. ერაყის ქურდისტანის პრემიერ-მინისტრმა ნეჩირვან ბარზანიმ, თურქი კოლეგის ჩამოსვლის წინ განაცხადა, რომ „ქურდისტანის რეგიონულ მთავრობას, შეუძლია ძალაც კი გამოიყენოს PKK -ს მებრძოლთა სინჯარიდან გაძევებისთვის“, რამაც ადგილობრივი იეზიდებისა და PKK -სთან აფილირებული სტრუქტურების მხრიდან მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. ამას მოჰყვა „იეზიდთა კოორდინაციის დემოკრატიული საზოგადოების“ შეხვედრაზე მიღებულ დეკლარაციაში განცხადებული ტექსტი, სადაც ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ, რომ გაერო, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სტაბილურობის გარანტად გამოვიდნენ, რათა PKK -მ, რომელიც აისისთან ბრძოლაში ეფექტურ ნაციონალურ ძალას წარმოადგენს, განაგრძოს ჩვენი საზოგადოების დაცვა“. აქვე აღნიშნულია, რომ სწორედ PKK -ს წყალობით სინჯარის იეზიდები გადაურჩნენ სრულ განადგურებას 2014 წლის აგვისტოში, როდესაც ერაყელი ქურთების გასამხედროებული ფორმირებები „პეშმერგა“ 8 ათასი მეომრის შემადგენლობით გაურკვეველი მიზეზების გამო გაყვანილ იქნენ სინჯარიდან, რის შემდეგაც რეგიონში შემოვარდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტები, რომელთაც მშვიდობიანი მოსახლეობის უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს. ქურთთა ეროვნულმა „ქურდისტანის საზოგადოებათა ასოციაციამ“ ასევე გაავრცელა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ PKK თავის ჯარებს გაიყვანს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სინჯარი მთლიანად იეზიდების კონტროლს დაექვემდებარება. კანდილში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, პეშმერგას ყოფილი მებრძოლების ჯგუფმა მკაცრად გააკრიტიკა ნეჩირვან ბარზანი და განაცხადა, რომ „ამგვარი განცხადებები ქურთთა ეროვნულ ინტერესებს ლახავს. ამას გარდა, სინჯარი ერაყის ქურდისტანის შემადგენლობაში არ არის აღრიცხული. სიტუაციის ამგვარი ვითარება აწყობს ქურთების საუკუნოვან მტერს - თურქეთს“.

ამრიგად, თურქეთ-ერაყის ურთიერთობების მოგვარების საკითხი, ბევრად უფრო სერიოზულ განსჯას და მოქმედებებს საჭიროებს, ვიდრე 2017 წლის იანვარში ბაღდადში გაკეთებული საერთო შინაარსის ოპტიმისტური დეკლარაციები.

2016 წლის 17 ოქტომბრის ღამეს ერაყის პრემიერ-მინისტრმა ჰაიდარ ალ-აბადიმ გამოაცხადა ოპერაციის დაწყება მოსულის განთავისუფლების შესახებ. ოპერაციაში კოორდინირებულად მონაწილეობდნენ ერაყის გაერთიანებული შეიარაღებული ძალები და ქურთთა „პეშმერგას“ ეროვნული არმია, რომელთაც საჰაერო დარტყმებით და არტილერიის ცეცხლით მხარს უჭერდნენ საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციური ჯარები აშშ-ის მეთაურობით. გაერთიანებულმა ძალებმა დაიწყეს მოსულის განთავისუფლების გენერალური, გადამწყვეტი ბრძოლა და მალე, 31 ოქტომბერს უკვე ქალაქის მისადგომებთან გამოჩნდნენ. ქალაქი მოსული 2014 წლის ზაფხულიდან, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფების მეთაურებს ისლამური სახალიფოს ერაყის ნაწილის დედაქალაქად ჰქონდათ გამოცხადებული, ხოლო სირიის ნაწილში ქალაქი არ-რაყა, რომელთა შორის მათ კავშირი ჰქონდათ დამყარერბული. მოსულის განთავისუფლებას ძალიან დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ფაქტი შემობრუნების მომენტი გახდებოდა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. 1 ნოემბერს ერაყელი შიიტების სახალხო ლაშქარმა მოახერხა რაყა-მოსულის გზაზე კონტროლის დამყარება, რომელი გზითაც მოსულის დამცველ ტერორისტებს სამხედრო დახმარება მოსდიოდათ. ამის შემდეგ, ერაყის გაერთიანებულმა შეიარაღებულმა ძალებმა მოსულის გარეუბნებს შეუტიეს და წლის ბოლოს, 28 დეკემბრისთვის მოსულის გარკვეული ნაწილი ხელთ იგდეს. ამ სიტუაციაში,

თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მოსულისთვის ბრძოლაში თურქეთის არმია მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს და ამისთვის ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთში (ბაშიკაში) განლაგებული თურქეთის არმიის ნაწილი, სწორედ მოსულის ოპერაციაში მონაწილეობისთვის ჭირდება. ამასთანავე, თურქეთის მხრიდან თურქეთ-ერაყის საზღვარზე დიდი რაოდენობის ტანკები და სხვა სამხედრო ტექნიკა მოადგა, რომელსაც თურქეთის მთავრობა თავისი ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე განიხილავს. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, თურქეთი არ გამორიცხავს სამხედრო ოპერაცია ჩაატაროს ტერორისტების წინააღმდეგ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, თუ თურქეთს საფრთხე დაემუქრება. ერაყის სამთავრობო სტრუქტურები, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან თურქეთის მონაწილეობას მოსულის განთავისუფლების ოპერაციაში - ისინი შიშობენ, რომ მოსულის აღების შემდეგ, თურქები იქიდან აღარ გავლენ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის სამხედროები და ინსტრუქტორები ერაყის ტერიტორიაზე ბაშიკას სამხედრო ბაზაზე განლაგებულნი არიან, მათ სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნიათ, ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თურქეთის არმია გაფორმდეს, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ მებრძოლი ოფიციალური ძალა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, მოსულის აღების შემდეგ, მოლაპარაკებების მაგიდასთან გამარჯვებულის პოზიციიდან ისაუბროს. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ქალაქ ბურსაში მიტინგზე გამოსვლისას, მოსულის მიმართ თურქეთის პრეტენზიებზე ისაუბრა, სადაც მან განაცხადა, რომ „გასაგებია, ერაყს ბევრი ძველი ქალაქი აქვს. ისტორიაში კი, ქირკუკი ჩვენი იყო. მოსული ჩვენი იყო“. ამას გარდა, თურქეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე ერდოღანმა აღნიშნა, რომ „მისი ხალხი იძულებულია იცხოვროს 780 ათას კვ. კმ. ფართობის ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც ჩვენი სამფლობელო 20 მლნ კვ. კმ. აღწევდა. ჩვენ გავცდებით დღევანდელი ტერიტორიის საზღვრებს, ვინც რა უნდა თქვას“ *(ცნობისათვის: ოსმაღეთის იმპეჰიის ტეჰიტოჰიის ფაჰთობის მაქსიმუმი 1574 წელს შეადგენდა - 15,162,151 კვ. კმ.).* თურქეთის პრეზიდენტმა კვლავ შეახსენა მსმენელებს 1920 წლის „ეროვნული აღთქმა“, რომლის თანახმადაც ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიების ნაწილი *(მოსული, ქირკუკი, ეჰბილი, სულეიმანიე, ალეპო*), დღევანდელი თურქეთის ხელისუფლების ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

2017 წლის 23 იანვარს ერაყის მთავრობამ განაცხადა, რომ მათი არმია მთლიანად აკონტროლებს მოსულის აღმოსავლეთ ნაწილს, ანუ ყველა იმ რაიონს, რომლებიც მდინარე ტიგროსის მარცხენა ნაპირზე არიან განთავსებული. 20 თებერვალს ერაყის სახალხო მობილიზაციის ძალებმა დაიკავეს მოსულისა და ტალ-აფარის *(ჯეჰ აისის კონტროლის ქვეშ იყო)* დამაკავშირებელი გზა. 23 თებერვალს ერაყელმა სამხედროებმა დაიკავეს მოსულის აეროპორტი და ალ-ღაზლანის სამხედრო ბაზა. 1 მარტს დასავლეთ მოსული მთლიანად ალყაში მოაქციეს ერაყის ჯარებმა, მას შემდეგ რაც სამთავრობო ძალებმა აისის წაართვეს მათი კონტროლის ქვეშ დარჩენილი ერთადერთი მოსულიდან სირიასთან დამაკავშირებელი გზა. თანდათან შევიწროვებული ჯიჰადისტების უკანასკნელ დასაყრდენს, მოსულის ძველი ქალაქის ნაწილსა და სამიოდე კვარტალს ბოლოს 400-მდე მებრძოლი თუ იცავდა და ერაყის არმიის მეთაურობამ დაგეგმა ძველი ქალაქის აღება ზუსტად 29 ივნისისთვის *(3 წლის წინ ამ დღეს „ისლამური სახალიფოს“ შექმნა გამოცხადდა)* მოეხდინათ. 2017 წლის 29 ივნისს ერაყის სამხედრო სარდლობამ მოსულის მთლიანად აღება გამოაცხადა. ამის შემდეგ, ერაყის არმიამ წამოიწყო შტურმი მოსულის ისტორიული ნაწილის განთავისუფლებისათვის და 10 ივლისს ერაყის პრემიერ-მინიტრმა ჰაიდარ ალ-აბადიმ, სახელმწიფო ტელეარხით მოულოცა ერაყელ ხალხს ეს ისტორიული გამარჯვება და ასევე პირადად ჩავიდა ქალაქში და სამხედროებს მიულოცა. დასავლეთის პოლიტიკოსებმა მიულოცეს ერაყის მთავრობას და ერაყელ ხალხს. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა მიულოცა თავის კოლეგა ჰაიდარ ალ-აბადის მოსულის აღება და შესთავაზა თურქეთის მონაწილეობა მოსულის

აღდგენაში. მოსული, რომელიც სამი წლის განმავლობაში „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული დაჯგუფების ჯიჰადისტებს ეკავათ, საბოლოოდ განთავისუფლდა და ევროკავშირმა, რომელიც ძალზე დაინტერესებული იყო მოსულის, როგორც ისტორიული და სტრატეგიული ცენტრის აღორძინებით, ერაყის ხელისუფლებას მიულოცა, ხოლო ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კომისარმა ფედერიკა მოგერინიმ „ყველა ერაყელს ერთობლივი მომავლის“ მშენებლობისკენ მოუწოდა. 2017 წლის 15 ივლისს ერაყის მთავრობამ ბაღდადში, მოსულის განთავისუფლების სამხედრო აღლუმი ჩაატარა.

2017 წლის 21 ივლისს ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა ნური ალ-მალიქიმ *(2006-2014 წლებში ერაყის პრემიერ-მინისტრი)* განაცხადა, რომ თურქეთს სურს მოსულის და ჩრდილოეთ ერაყის კიდევ სხვა რეგიონების კონტროლი, მაგრამ ეს ამბიციები მხოლოდ ოცნებაა. ასევე, თურქეთის მხარე ადრეც აცხადებდა, რომ ერაყთან განიხილავს ბაშიკას სამხედრო ბაზაზე თავის კონტინგენტის დატოვებას, მოსულის განთავისუფლების შემდეგაც. თურქეთი ვერაფრით ვერ ელევა მოსულს *(მისი ნავთობის საბადოების გამო და ამაზე წინა ლექციებზე დაწვრილებით ვისაუბრეთ)*, რომელზეც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და ლოზანის კონგრესის მსვლელობისას პრეტენზია ჰქონდა, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი ძალისხმევით *(1926 წლის 5 ივნისს)*, ოფიციალურად ერაყს გადაეცა.

თურქეთისთვის ერაყის ჩრდილოეთი რაიონების კონტროლი მეტად მნიშვნელოვანია „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK ნაწილებთან ბრძოლების დროს, რადგანაც სინჯარის და კანდილის მთებში საკმაოდ ბევრი სამხედრო ბანაკი, იარაღის საწყობები და ბაზებია განლაგებული, რომელთაც თურქული სამხედრო ავიაცია პერიოდულად ბომბავს. ერაყის ტერიტორიიდან თურქეთს მუდამ ემუქრება ქურთების თავდასხმები და ტერორისტული აქტები, რასაც საკმაო რაოდენობით თურქი მოქალაქეები ეწირებიან. ამ მიზეზით, თურქეთი ამართლებს თავის სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოეთ ერაყში და მას თავდაცვით იძულებით მოქმედებებს უწოდებს. ერაყის მთავრობა პერიოდულად გაეროში უჩივის თურქეთს თავისი სუვერენიტეტის დარღვევის საბაბით, მაგრამ თურქეთის მხარეს მუდამ აქვს გამამართლებელი საბუთი, რომ ერაყის ტერიტორია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, თურქეთზე თავდასხმების პლაცდარმად. თურქებს ერთი უპირატესობა აქვთ ერაყის ჩრდილოეთში, რომ ერაყის ქურდისტანის ავტონომიის მთავრობასთან კარგი ურთიერთობა აკავშირებთ და ამიტომ ხშირად, როდესაც PKK -ს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას გეგმავს, ათანხმებს ერბილის მთავრობასთან, რაც თავისთავად თურქეთის ქურთებისა და ერაყელი ქურთების ურთიერთობას საკმაოდ ძაბავს. 2017 წლის ზაფხულში ერაყის ქურდისტანის მთავრობამ გამოაცხადა, რომ 25 სექტემბერს რაგიონში ჩატარდება რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ, რის შედეგადაც შესაძლებელია შეიქმნას ახალი სახელმწიფო. ოფიციალური ბაღდადი, ირანი და თვით თურქეთიც, ამ ფაქტის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. დასავლეთის ქვეყნებმაც არ მოიწონეს ეს ინიციატივა და მხოლოდ ისრაელმა გამოთქვა სრული მხარდაჭერა. რეფერენდუმი ჩატარდა 2017 წლის 25 სექტემბერს, რომელსაც სასტიკად უშლიდა ხელს ერაყის ცენტრალური მთავრობა, ასევე ირანი და თურქეთი. საინტერესო იყო კითხვარის ფორმულირება „გსურთ თუ არა, რომ ქურდისტანის რეგიონი და რეგიონის მიღმა არსებული ქურთული მიწები, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდნენ?“. 27 სექტემბერს გამოქვეყნდა არჩევნების შედეგები, რომლის მიხედვითაც 8,4 მლნ ამომრჩევლის 72%-მა მიიღო მონაწილეობა და მათგან დამოუკიდებლობას, მხარი დაუჭირა 92%-მა. ერაყის ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ სცნო ქურთების რეფერენდუმის შედეგები და 27 სექტემბერს ოფიციალურად გააუქმა იგი.

2017 წლის 15 ოქტომბერს ერაყის არმიამ თავი მოუყარა სერიოზულ სამხედრო ძალებს რეგიონში *(აშშ-ის სენატორმა ჯონ მაკეინმა გააფრთხილა ერაყის მთავრობა, რომ არ გაბედონ ამერიკული იარაღის გამოყენება ქურთების წინააღმდეგ)* და დაიწყო ქირკუკის დაკავების ოპერაცია *(ქირკუკი 2014 წლიდან პეშმერგას კონტროლის*

ქვეშაა). აღნიშნული შეიარაღებული კონფლიქტის დროს, თურქეთმა და ირანმა შეწყვიტეს საჰაერო ფრენები ქურდისტანთან, ხოლო ერაყის სამთავრობო ძალებმა 18 ოქტომბერს აიღეს ქირკუკი და დაამყარეს სრული კონტროლი ქირკუკის მუჰაფაზაზე. 2017 წლის 27 ოქტომბერს შეიარაღებული კონფლიქტი დასრულებულად გამოცხადდა, ერაყის ქურდისტანის მთავრობამ გაყინა რეფერენდუმის შედეგები და დათანხდა მიეღო ერაყის ხელისუფალთა პირობები.

ჩრდილოეთ ერაყში თურქეთის ხელისუფლებას მუდამ ჰქონდა თავისი ინტერესების საფრთხეების შემცველი „ქურთთა მუშათა პარტიის“ PKK -ს მებრძოლების ბანაკების, ლოჯისტიკის, საველე ბაზების განთავსების მიმართ რადიკალური მოქმედებების გეგმა შემუშავებული. აღნიშნულ რეგიონში PKK -ს ძალების დისლოკაციის მთავარი ცენტრი სინჯარი გახლდათ და თურქეთის მთავარი ამოცანა იყო, PKK -ს წინააღმდეგ ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობაც დაერაზმა. სინჯარი სირია-ერაყის საზღვართან ახლოს მდებარეობდა და ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სირიისა და ერაყის PKK -ს მხარდამჭერთა შესაძლო თავშეყრის თვალსაზრისით. თურქეთი ყოველნაირად ცდილობდა ერაყთან ურთიერთოებების გაუმჯობესებას და თურქული პრესაც აქტიურად აქვეყნებდა ძალზე ოპტიმისტურ სტატიებს: „ახალი ეტაპი თურქეთ-ერაყის ურთიერთობებში“; „ანკარასა და ბაღდადს შორის თანამშრომლობის ნორმალიზაცია“; „ანკარა, ბაღდადი და ერბილი პირობას დებენ ერთად ებრძოლონ PKK -ს“. მაგრამ დრომ უჩვენა, რომ ორმხრივ ურთიერთობებში ამ ორ ქვეყანას შორის მრავალი პრინციპული საკითხია დაგროვილი და რეგიონში შექმნილი რთული საერთაშორისო არასტაბილური მდგომარეობა, ბოლომდე ვერ მოახდენს მის განმუხტვას. თურქეთისთვის ერაყთან თანამშრომლობა, ძირითადად სამხედრო სფეროში იყო პრიორიტეტული, პირველ რიგში PKK -ს ტერორისტული მოქმედებების შესაკავებლად.

2019 წლის 16 მაისს ანკარას ვიზიტით ეწვია ერაყის პრემიერ-მინისტრი ადილ აბდულ მაჰდი, რომელიც შეხვდა თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანს და თურქეთსა და ერაყს შორის ხელი მოეწერა ორმხრივ სასარგებლო შეთანხმებას სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით. მხარეები შეთანხმდენენ ტერორიზმთან ბრძოლის, ერაყში აღდგენითი სამუშაოების ჩატარების და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხებში. თურქეთისა და ერაყის ლიდერებმა ასევე ხაზი გაუსვეს ჩრდილოეთ ერაყი-თურქეთის ნავთობსადენის აღდგენის მნიშვნელობას, რომელსაც დაზიანებები მიადგა ერაყში ექსტრემისტული დაჯგუფების „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებების დროს. თურქეთ-ერაყის ურთიერთობებში ახალი განვითარების პროცესი დაიწყო ცოტა ხნის წინ ჩატარებული მაღალი დონის ვიზიტის დროს. 2019 წლის იანვარში თურქეთს ეწვია ერაყის პრეზიდენტი ბარჰამ სალეჰი *(ესეც ქუთი)*, რომელსაც მოლაპარაკებები ჰქონდა პრეზიდენტ რეჯებ ერდოღანთან და მხარეები შეთანხმდნენ განამტკიცონ თანამშრომლობა ყველა სფეროში. 2019 წელს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ვიზიტი შედგა, როდესაც 22 ივნისს ანკარას ეწვია ერაყის ქურთული რეგიონული ადმინისტრაციის პრემიერ-მინისტრი ნეჩირვან ბარზანი და ეს მისი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი იყო თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ. თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ სტუმარმა განაცხადა, რომ „ერბილსა და ანკარას ისტორიული მეგობრობა აკავშირებს. თურქეთი ჩვენ ხალხს დაეხმარა ყველა რთულ პროცესში. თურქეთის პრეზიდენტისა და თურქი ხალხის მადლიერნი ვართ ჩვენი მხარდაჭერისათვის“. თურქეთსა და ერაყს შორის 2019 წელს საქონელბრუნვის დონე $13 მილიარდს უდრიდა და ბარზანი ერაყის სახელით, აღნიშნული თანხის კიდევ უფრო გაზრდას წინასწარმეტყველებდა. ქურდისტანის პრემიერი ასევე შეეხო ერბილის როლს ერაყსა და თურქეთს შორის ნავთობით ვაჭრობის საკითხში. მან განაცხადა, რომ „ჩვენ გვაქვს ნავთობსადენი თურქეთის პორტ ჯეიჰანამდე. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად

ვართ დავეხმაროთ ერაყის ცენტრალურ მთავრობას ნავთობის ექსპორტირებაში, ქირკუკის და სხვა რეგიონების, კერძოდ სამხრეთ ერაყიდან, ჩვენი ნავთობსადენის საშუალებით. ნეჩირვან ბარზანი ასევე შეეხო PKK -ს ტერორისტების ყოფნის თემას სინჯარის, მაჰმურის და ერაყის სხვა სასაზღვრო რაიონებში და დაამატა: „თურქეთმა მხარი დაგვიჭირა მძიმე დროს და დაუშვებელია, რომ PKK -მა და სხვა ნებისმიერმა შეიარაღებულმა ორგანიზაციამ პრობლემები შეუქმნას ჩვენს მეზობლებს. PKK -ს ტერორისტებმა რეგიონში სერიოზული პრობლემის პროვოცირება მოახდინეს, რის გამოც ერაყის 500 -ზე მეტი სოფლის მოსახლეობამ, დატოვა თავისი საცხოვრებელი სახლები.

ერაყის ქურდისტანის რეგიონული ლიდერის ვიზიტმა ანკარაში, თურქეთს ახალი ბიძგი მისცა ჩრდილოეთ ერაყის ბანაკებში გამაგრებული „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK -ს მებრძოლების წინააღმდეგ მორიგი სამხედრო ოპერაცია ჩაეტარებინა. საჰაერო თავდასხმების დროს თურქული თვითმფრინავები ბომბავდნენ სინჯარის მიმდებარე იეზიდების სოფლებს, კანდილის მთებში გამოქვაბულებს და მაჰმურის ბანაკებს, სადაც თავს აფარებდნენ 1990-იანი წლებში დევნის შემდეგ, თურქეთიდან გამოქცეული ქურთი ლტოლვილები. თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ საავიაციო დარტყმების ვიდეომასალა გამოაქვეყნა, სადაც მოხსენიებულ იქნა, რომ თურქულმა ძალებმა აღნიშნული ოპერაციის მსვლელობისას გაანადგურეს ტერორისტების 81 სამიზნე. თურქეთის მიერ ერაყის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩატარებული ყოველი ოპერაცია, რომელიც მიმართულია ქურთული ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლებისა და მათი დისლოკაციის ადგილების განადგურები მიზნით, ერაყის ცენტრალური მთავრობის პროტესტსა და დიდ უკმაყოფილებას იწვევს. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც მრავალი შეშფოთება გამოიხატა, მაგრამ თურქეთი ამას ამართლებს „ეროვნული ინტერესების“ და სახელმწიფო საზღვრების უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობით.

2020 წლის 15 ივნისს თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ კვლავ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში ჩაატარა სამხედრო ოპერაცია „არწივის კლანჭი“ და ავიადარტყმებით გაანადგურა ათეულობით ქურთული ობიექტი, დისლოკაციის რაიონებში განთავსებული სამხედრო ბაზების სახით. თურქეთის ძალადობრივი შეჭრა ერაყის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაგმო არაბულმა სამყარომ. თურქეთის მხარის მოქმედებების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ (ასლ), რომლის გენერალურმა მდივანმა აჰმედ აბულ გეიტმა განაცხადა, რომ თურქეთის სამხედრო შეჭრა PKK -ს წევრების დევნის საბაბით ერაყის სუვერენიტეტის დარღვევაა, ასევე თურქეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის დებულებების და მეზობელ ქვეყნებთან მისი ურთიერთობების იგნორირების გამოვლენაა. ოფიციალურმა ბაღდადმა ამჯერადაც მოახდინა რეაგირება ანკარის ამგვარ მოქმედებებზე. 16 ივნისს ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს თურქეთის ელჩი ფათიჰ ილდიზი, რათა გამოეხატათ შეშფოთება თურქეთის მხარის მოქმედებებით და საპროტესტო წერილი გადასცეს. გზავნილში აღნიშნული იყო ერაყის ტერიტორიის და ასევე საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობისა და სუვერენიტეტის შესახებ, რომ ასეთი ნაბიჯები საერთაშორისო კონვენციების, საერთაშორისო სამართლის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთპატივისცემის შესაბამისი ნორმების დარღვევად მიიჩნევა. აღნიშნულ წერილში *„სამინისტრო კვლავ მოუწოდებს თურქეთს შეწყვიტოს ცალმხრივი საბრძოლო ქმედებები და გამოთქვამს ერაყის მთავრობის მზაობას, ითანამშრომლოს საზღვრების უსაფრთხოების კონტროლის საკითხებში ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით“* (ციტირებულია). თურქეთის გამოცემა Daily Sabah იტყობინება, რომ თურქეთის ელჩი ერაყში თურქეთის ოპერაციის სიტუაციის კომენტირებისას სინანულს გამოთქვამს, „რომ ერაყის ხელისუფლებამ დღემდე ვერ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები ქვეყანაში PKK -ს არსებობის

შეწყვეტის მიზნით“. ამის საპასუხოდ, თურქმა სამხედროებმა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილის დასალაშქრად აქვე წამოიწყეს მეორე ოპერაცია „ვეფხვის კლანჭი“ PKK -ს ობიექტების ლიკვიდაციის მიზნით, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სამხედრო საჰაერო ძალები, არტილერია და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები *(ოხი დღით ადრე უკვე ჩატარდა საჰაერო ოპერაცია „არწივის კლანჭი“).* თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ გააჟღერა ჩატარებული ძალოვანი ოპერაციის „ვეფხვის კლანჭის“ შედეგები და აღნიშნა, რომ თურქულმა სპეციალური დანიშნულების ძალებმა ტერორისტი ქურთების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩრდილოეთ ერაყში გაანადგურეს 150 სამიზნე და 80 PKK -ს მეომარი. ოპერაციის ფარგლებში თურქულმა მხარემ გამოიყენა თვითმავალი საარტილერიო დანადგარები და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ თავის Twitter-ზე განათავსა, რომ თურქეთის საჰაერო ძალებმა დარტყმები განახორციელეს ქურთების სამიზნეებზე ერაყის მონიშნულ რაიონში. ანკარის ოფიციალური განცხადებით საერთაშორისო საიტებზე გავრცელდა ზუსტი მონაცემები, რომ ოპერაცია ტარდებოდა „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK -ს ნეიტრალიზაციისთვის, რომელიც თურქეთის ხელისუფლების მიერ აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციად. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული ოპერაცია გახდა PKK -ს მებრძოლების მხრიდან თურქეთის საპოლიციო უბნებსა და სამხედრო ბაზების განლაგების რაიონებზე თავდასხმის გახშირებული მცდელობების საპასუხო ქმედება და ჩატარდა ქვეყნის საკუთარი უსაფრთხოების დაცვის უფლებების შესაბამისად.

თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ ორგანიზაციის ბრძოლა 1984 წლიდან მიმდინარეობს და დღემდე ამ ბრძოლამ, საერთო ჯამში 40 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თურქეთის სამხედროებისა და PKK -ს რაზმებს შორის დაპირისპირაბა განსაკუთრებით გააქტიურდა 2015 წლიდან *(ამ დროს ხეგიონში, პარადოქსულად „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ დიდი ბრძოლები მიდიოდა)*, როდესაც თურქეთის საზღვარს მიღმა სირიისა და ერაყის ჩრდილოეთ ნაწილებში, სადაც მთებსა და გამოქვაბულებში თავს აფარებენ, ხოლო სამხედრო ბაზებზე საბრძოლო სამზადისს გადიან PKK -ს შეიარაღებული ჯგუფები, თურქეთი მეტად სერიოზული სამხედრო ოპერაციების საშუალებით, სასტიკად უსწორდება აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლებს. ამ ხნის განმავლობაში PKK -ს სამხედრო ბანაკების, გამოქვაბულების, ბაზების, ლოჯისტიკის დაბომბვებისა და მათი ცოცხალი ძალის განადგურების შედეგად, თურქეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ნეიტრალიზებულ იქნა 10 ათასზე მეტი PKK -ს წევრი მეომარი. ამავე დროს ჩატარებულ ოპერაციებში დაიღუპა ათასამდე თურქი სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელი, აგრეთვე 500-მდე მშვიდობიანი მოქალაქე. ამიტომაც, თურქეთი მუდამ თავს იმართლებს იმით, რომ მისი ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, უფლებას იტოვებს განახორციელოს თავდაცვითი ოპერაციები ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში. მასმედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთს ერაყის ქურდისტანის ტერიტორიაზე განთავსებული აქვს 30-მდე დროებითი სამხედრო ბაზა. 2020 წლის ზაფხულში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების დროს მომხდარი ინციდენტის გამო, უკიდურესად დაიძაბა თურქეთისა და ერაყის ურთიერთობები. ერაყმა თურქეთი დაადანაშაულა აგრესიისა და კეთილმეზობლობის პრინციპების უხეში დარღვევის გამო. საქმე იმაში გახლავთ, რომ თურქეთის უპილოტო საჰაერო აპარატმა შეცდომით იერიში მიიტანა არა PKK -ს მებრძოლებზე, არამედ ერაყელი მესაზღვრეების კოლონაზე ერბილის ჩრდილო-აღმოსავლეთით სიდეკანის რაიონში, რის შედეგადაც დაიღუპა და დაშავდა 20-მდე ადამიანი *(დაღუპულია ერაყის 5 მესაზღვრე, მათგან 2 ოფიცერი).* ამ ინციდენტის გამო, ერაყის მხარემ გააუქმა თურქეთის თავდაცვის მინისტრის ჰულუსი აქარის აგვისტოში დანიშნული

ვიზიტი და ყველა დაგეგმილი დანარჩენი ორმხრივი შეხვედრებიც. თუმცა ხუთიოდე თვის შემდეგ, 2021 წლის იანვრის თვეში შედგა ჰულუსი აქარის ვიზიტი ბაღდადში და ერბილშიც. ბაღდადში ერაყის პრემიერ-მინისტრ მუსტაფა ალ-ქაზიმისთან და ერბილში ერაყის ქურდისტანის მთავრობის მეთაურ მასრურ ბარზანისთან შეხვედრების დროს, ჰულუსი აქარმა მოუწოდა მათ ერთობლივად იბრძოლონ PKK -ს წინააღმდეგ. თურქეთის თავდაცვის მინისტრის თანამესაუბრეები თავის მხრივ დათანხმდნენ, რომ ერაყის ტერიტორია არ შეიძლება გამოყენებულ იქნას თურქეთზე თავდასხმების პლაცდარმად.

ჰულუსი აქარის შეხვედრებს ბაღდადსა და ერბილში, როგორც ჩანს უკვალოდ არ ჩაუვლია და 2021 წლის 10 თებერვალს თურქეთის არმიამ წამოიწყო მორიგი ოპერაცია „არწივის კლანჭი-2“ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში PKK -ს მებრძოლების წინააღმდეგ. კვირას, 14 თებერვალს თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა, რომელიც შაბათს ერაყის საზღვარზე გენშტაბის უფროს იაშარ გიულერთან ერთად მივიდა ოპერაციის მიმდინარეობის პირადი გაკონტროლების მიზნით, განაცხადა ანტიტერორისტული ოპერაციის შესახებ. თურქეთის სამხედრო დაწესებულების მონაცემებით, ოპერაციაში ჩართული იყო საბრძოლო ავიაცია, უპილოტო საფრენი აპარატები, ჯავშანტექნიკა და თურქეთის არმიის პირადი შემადგენლობა. ოფიციალური ცნობით, დაღუპულია სამი თურქი სამხედრო მოსამსახურე და სამიც დაჭრილი. ამასთანავე ცხადდება 50 -ზე მეტი ობიექტის *(საბრძოლო მასაღების საწყობები, გამოქვაბულები და სამხედრო ბაზები)* და 53 ტერორისტი მებრძოლის განადგურების შესახებ, რომელთაგანაც სამნი PKK -ს ტერორისტული ორგანიზაციის მაღალი თანამდებობის პირები არიან. ოპერაციის სახელიდან „არწივის კლანჭი-2“ ჩანს, რომ თურქეთის მიერ ერაყის ტერიტორიაზე PKK -ს წინააღმდეგ წარმოებული ანტიტერორისტული ოპერაციის მეორე ნაწილი იყო (პირველი ნაწილი 2020 წლის ივნისში ჩატარდა). თურქეთი ყოველთვის აცხადებს, რომ PKK -ს ტერორისტული ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან, რომლებიც მის ხალხს, სახელმწიფოს, საზღვრებს და პოლიტიკურ წყობას საფრთხეს უქმნიან, მუდმივად ექნება ბრძოლა მათ სრულ ლიკვიდაციამდე. თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისიც, თურქეთის არმიას ყოველ წელს უგრძელებს მანდატს მეზობელ ქვეყნებში ბაზირებულ PKK -ს სამხედრო დაჯგუფებებზე იერიში მიიტანოს, საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ამიტომაც, 2021 წლის 23 აპრილს თურქეთის არმიამ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში, ყანდილის მთებში მორიგი სამხედრო ოპერაცია ჩაატარა და PKK -ს სამხედრო ნაწილების პოზიციებზე საჰაერო დარტყმები განახორციელა. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა აღნიშნული ოპერაციის მართვის ცენტრის წევრებს ვიდეოკონფერენციის დროს მიმართა: „ჩვენი თურქული შეიარაღებული ძალები, აგრძელებენ თავის შეუპოვარ ბრძოლას იმ ხიფათის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება ჩვენი ერის უსაფრთხოებას“.

2021 წლის 8 მაისს თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სულეიმან სოილუმ განაცხადა, რომ თურქეთს გადაწყვეტილი აქვს ერაყში ახალი სამხედრო ბაზა შექმნას, რომლის მიზანიც არის თვალყური ადევნოს სიტუაციას თავისი საზღვრების სიახლოვეს. ამასთან ერთად, მინისტრმა პარალელი გაავლო სირიასთან, სადაც თურქეთის პასუხისმგებლობის ზონაში შედის ამ ქვეყნის ტერიტორიის საკმაოდ ფართო ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ერაყის ჩრდილოეთში, მეთინაში შექმნილი სამხედრო ობიექტი ძირითადად „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK -ს შესაკავებლად არის გათვლილი, მისი გახსნა ხდება ირანთან დაძაბულობის გაღრმავების ფაქტორი. მმართველი პარტიის შეკრებაზე გამოსვლისას სულეიმან სოილუმ აღნიშნა მეთინას რაიონის მნიშვნელობა და დაამატა: „როგორც სირიაში, ჩვენ აქაც ავაშენებთ ბაზას და რეგიონზე მეთვალყურეობას დავაწესებთ. ეს რაიონი პირდაპირი გზაა ყანდილის მთებისკენ. ჩვენ გავაკონტროლებთ ამ მარშრუტს“. საკმაოდ მიუვალი და კლდოვანი ყანდილის მთები PKK -ს

სამხედრო დაჯგუფებების მთავარ თავშესაფარს და საყრდენს წარმოადგენს *(თუჩქები ყანდიღის მთებს ტეჩოჩისტუღი ოჩგანიზაციის ბუდეს უწოდებენ).* თურქეთის მხარე მრავალი წელია ცდილობს აქედან განდევნოს ქურთული მემარცხენე რადიკალები და ამ ბოლო წლებში ამ მიმართულებით, უფრო ინტენსიურ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებს. სულეიმან სოილუს განცხადება გაჟღერდა იმ დროს, როდესაც თურქეთი ამზადებს ახალ ანტიტერორისტულ ოპერაციას ამ რაიონში. პრეზიდენტი ერდოღანი იმედოვნებს, რომ სამხედრო ოპერაცია შეძლებს მთლიანად აღმოფხვრას თურქეთის სამხრეთ საზღვრების გაყოლებაზე ტერორისტული ჯგუფების დისლოცირების საფრთხე. ერდოღანმა აღნიშნა, რომ დაგეგმილი ოპერაცია ტარდება ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დაცვით და ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას. თურქეთის ხელისუფლება ცდილობს, რომ პერმანენტული სამხედრო ოპერაციების განხორციელებით, როგორც არასდროს, ამჯერად ყოველმხრივ დაასუსტოს PKK -ს ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლთა ბრძოლისუნარიანობა. ამ მიზნით, თურქეთმა მათ წინააღმდეგ დაიწყო მაღალეფექტიანი უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება და ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ დაჯგუფებების იარაღით მომარაგების ტრადიციული მარშრუტების გადაჭრის საკითხებს, რის შედეგადაც PKK -ს ჯგუფებს მხოლოდ მთის ბილიკებით სარგებლობა შეუძლიათ. თურქეთის საბრძოლო ტაქტიკის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქურთულ სოციალისტ-მემარცხენე რადიკალებს გადაუჭრას მათი ბაზირების ძირითადი ადგილების დამაკავშირებელი გზები. თურქეთის სამხედრო ძალების ამგვარი აქტიურობა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილის კანდილის მთების რაიონში, პირდაპირ ებჯინება ირანის ისლამური რესპუბლიკის საზღვარს, რაც თავისთავად ირანის ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევს. ირანი ვერ მოითმენს თურქეთის ექსპანსიის ასეთი ტემპებით განვითარებას, ვინაიდან ამ რეგიონში ორივე ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესები გადაიკვეთება. თურქეთი და ირანი, ახლო აღმოსავლეთის ძველი ბინადარი ქვეყნები, რომელთა ურთიერთობები აგებულია პერიოდული კონკურენციისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ისტორიულმა მეზობლობამ ორივე სახელმწიფოს შესძინა არა მარტო გავლენის სფეროებისთვის ბრძოლის გამოცდილება, არამედ თანხვედრი ინტერესების სფეროში ურთიერთმოქმედების უნარი. თურქეთ-ირანის ურთიერთობებში პრაგმატიზმი და მეტოქეობა პარალელურად მისდევს მათ, როგორც ორი ქვეყნის მიერ ძალთა რეგიონული ბალანსის შენარჩუნების საშუალება. ამით აიხსნება თურქეთისა და ირანის უნარი კომპრომისის ძიების საკითხებში.

2002 წელს „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP მოსვლამ ქვეყნის სათავეში არსებითი კორექტივები შეიტანა თურქეთის საგარეო პოლიტიკაში, რომელიც აისახა თურქეთ-ირანის, როგორც კონკრეტულ ურთიერთობებში, ასევე ორი ქვეყნის რეგიონულ ურთიერთქმედებებში ახლო აღმოსავლეთის ასპარეზზე. თურქეთმა საკმაოდ გააქტიურა კავშირები ისლამური სამყაროს ქვეყნებთან და მნიშვნელოვნად გააფართოვა ეკონომიკური თანამშრომლობა ირანთან, განსაკუთრებით ნახშირწყალბადის რესურსების გამოყენების სფეროში. 2001 წლიდან თურქეთმა დაიწყო ირანული გაზის ექსპორტი, რამაც საგრძნობლად გაზარდა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ტვირთბრუნვის მოცულობა. მაგალითად, 2001 წელს ეს მოცულობა $1,2 მლრდ შეადგენდა, ათი წლის შემდეგ 2011 წელს იგი $15 მლრდ-მდე გაიზარდა. ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების შედეგად, სავაჭრო ტვირთბრუნვის მოცულობა $30 მლრდ-მდე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და აშშ-ის ანტიირანული სანქციების გამო, მხარეებმა ამ სიმაღლეს ვერ მიაღწიეს. 2003 წელს თურქეთში პრემიერ-მინისტრად რეჯებ თაიფ ერდოღანისა და 2005 წელს ირანში პრეზიდენტად მაჰმუდ აჰმედინეჯადის მოსვლის შემდეგ, უფრო დაიხვეწა მხარეების საგარეოპოლიტიკური აზროვნება. მოხდა თურქეთ-ირანის ურთიერთობების

„რაციონალიზაცია“ *(თუჰქი მკვლევარის ბ, სინქაიას აზრით):* ორივე ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ ძირითად მიმართულებად პრაგმატული ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირები და საერთაშორისო არენაზე თანამთხვევი ინტერესები აირჩია. თურქეთის ხელისუფლებაში პროისლამური ძალების მოსვლამ პოზიტიური რეაქცია გამოიწვია ირანში. ირანის კონსერვატული ძალები, თურქეთში პროისლამური პოლიტიკური პარტიის გამარჯვებას მუსლიმური სამყაროს რელიგიური გამოღვიძების ნაწილად მიიჩნევდნენ. თურქეთ-ირანის დაახლოვების სიმბოლურ აპოთეოზად პრეზიდენტ ახმედინეჯადის 2009 წლის ანკარაში ვიზიტი ითვლება, სადაც რეჯებ ერდოღანმა ირანის პრეზიდენტს „ძმა“ უწოდა. თურქეთის საგარეოპოლიტიკურ კურსში იმპერიული აზროვნების რენესანსს და თურქი პოლიტიკოსების ნეოოსმანიზმისკენ მიდრეკილებას, თურქეთსა და ირანს შორის ურთიერთობები უეჭველად რეგიონალური დაპირისპირების გამწვავებისკენ მიჰყავდა. 2000-იანი წლებიდან თურქეთისთვის პალესტინელების დამცველის როლში გამოსვლა, არა მარტო რეგიონის ქვეყნებთან დაახლოვების ნაბიჯები იყო, არამედ ისლამურ სამყაროში თავისი პოზიციების გამყარებისა და მასში ლიდერის როლის დამკვიდრების მცდელობა, რომელიც მმართველი AKP -ს ხელმძღვანელობის და პირადად ერდოღანის მიზანი იყო.

ირანის ბირთვული პროგრამა კიდევ ერთი მაჩვენებელია, რომელშიც თურქეთი, მიუხედავად რომ ნატოს წევრი ქვეყანაა და წესით აშშ-ის ანტიირანული პოლიტიკის მხარდამჭერი უნდა ყოფილიყო, მუდამ თავს იკავებდა მკაცრი პოზიციის დემონსტრირებისგან ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ. თურქეთი სცნობდა ირანის უფლებას განევითარებინა მშვიდობიანი ატომური ენერგეტიკა და მუდამ გამოდიოდა ირანის რეჟიმზე ეკონომიკური ზეწოლის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც 2006 წელს ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი დადგა გაეროს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში. ამის მთავარი მიზეზი იყო, თურქეთსა და ირანს შორის ამ პერიოდში გააქტიურებული ეკონომიკური კავშირების მაღალი მაჩვენებლებების შენარჩუნება. კიდევ მეტიც, 2006 წლიდან თურქეთსა და ირანს შორის დაიწყო საუბარი ირანული ურანის გამდიდრების სამუშაოების ნაწილის განხორციელების შესაძლებლობაზე თურქეთის ტერიტორიაზე, საერთაშორისო „ექვსეულის“ მიერ შეთავაზებული წინადადების კონტექსტში, რომელიც ითვალისწინებდა ურანის გამდიდრების სქემის შესრულებას ირანის საზღვრებს გარეთ, სხვა სახელმწიფოში. 2010 წლის 17 მაისს თეირანში თურქეთის (პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოღანი), ირანის (პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმედინეჯადი) და ბრაზილიის (პრეზიდენტი ლუის ლულა დე სილვა) სახელმწიფოთა ლიდერებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელიც გულისხმობდა ირანის გაღარიბებული (გაუმდიდრებელი) ურანი თურქეთის ტერიტორიაზე გადაიცვლებოდა გამდიდრებულ ურანზე. აღნიშნული დეკლარაციის თანახმად ირანი გადასცემს თურქეთს 1200 კგ გაუმდიდრებელ (3,5%-მდე) ურანს და ერთი წლის განმავლობაში დაიბრუნებს 120 კგ გამდიდრებულ (20%-მდე) ურანს, რომელიც გამოიყენება თეირანის კვლევითი რეაქტორისთვის. ამ სამმხრივმა შეთანხმებამ პრაქტიკული რეალიზაცია ვერ მოახდინა, რადგანაც არ იქნა მხარდაჭერილი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. სამაგიეროდ, ასეთმა გაბედულმა ნაბიჯმა თავისი პოზიტიური როლი შეასრულა თურქეთსა და ირანს შორის ურთიერთგაგების თვალსაზრისით და ხელი შეუწყო სხვა საკითხებში მწვავე დაპირისპირების შერბილებას. იმავე წლის 9 ივნისს, გაეროს უშიშროების საბჭოს სესიაზე, სადაც თურქეთი იმ დროს საბჭოს არამუდმივი წევრის სტატუსით იყო წარმოდგენილი, თურქეთმა ირანის რეჟიმზე სანქციების გამკაცრების გაეროს №1929 რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა (ბრაზილიამაც). ამ პერიოდში, ირანის ბირთვული პროგრამის თაობაზე გამართულ საერთაშორისო დისკუსიებში, თურქეთი ირანის ბირთვულ პრობლემებს კარგად იყენებდა თავის რეგიონულ ოპონენტებთან გამართული

პოლემიკის დროს. ეს ის დროა, როდესაც 2010 წლის 31 მაისს ღაზას სექტორის გახმაურებული ინციდენტი მოხდა თურქული „მავი მარმარას“ გემისა და ისრაელის სპეციალური დანიშნულების მებრძოლებს შორის და გაეროს უშიშროების საბჭოს არენას თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი ისრაელის საწინააღმდეგო ხმამაღალი განცხადებებისთვის იყენებდა. ერდოღანი აკრიტიკებდა დასავლეთის ქვეყნების უარყოფით პოზიციას ირანის უფლებაზე განეხორციელებინა მშვიდობიანი ბირთვული პროგრამა და ამავე დროს კიცხავდა მათ ისრაელის ბირთვული იარაღის არსებობის მიმართ წაყრუების გამო. ირანის მთავრობა მრავალჯერ გამოთქვამდა თავის მადლიერებას თურქეთის ხელისუფლების მიმართ, ბირთვული პროგრამის მხარდაჭერისა და ამასთანავე, თურქეთის დიპლომატიის მცდელობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და სანქციების გაუქმების საკითხებში. 2011 წელს, როდესაც თურქეთ-ირანის ურთიერთობების დაახლოვებამ უკვე თავის აპოგეას მიაღწია, მოულოდნელად გამოჩნდა მათი გაუარესების მიზეზი... და ეს იყო სირიის კონფლიქტი, რომელშიც მხარეები ბრძოლის საპირისპირო „ბარიკადებზე“ აღმოჩნდნენ. 2011 წლის მარტში სირიაში დაწყებული საპროტესტო გამოსვლების დაწყებისთანავე, ირანის ხელისუფლებამ სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის მხარე დაიჭირა, ვინაიდან ასადების დინასტიის და სირიის მთავრობის უმრავლესობის წევრები ალავიტების წარმომადგენლები იყვნენ *(ალავიზმი - ისლამის შიიტური მიმდინარეობის ეთნ-ეთნი განშტოებაა. აღის მიმდევრები)* , ხოლო ირანი რეგიონში რელიგიური შიიზმის მთავარი დამცველი და საყრდენი ძალაა. ამიტომ ირანის რელიგიური ბელადის და მთავარსარდლის ალი ჰამენეის ბრძანებით, სირიაში პრეზიდენტის დასაცავად მივლინებულ იქნა ირანის ყველაზე მძლავრი და მობილური სამხედრო გვარდია - „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“.

ასევე გააქტიურდა ლიბანში მოქმედი შიიტური სამხედრო შენაერთი „ჰიზბოლა“, რომელიც პრეზიდენტ ბაშარ ასადის სიცოცხლეს და უსაფრთხოებას იცავდა.

ამავე დროს თურქეთი, 2011 წლის ივნისიდან სირიის ოპოზიციური ძალების პოლიტიკური და სამხედრო მხარდამჭერი გახდა, თანაც 2012 წლიდან, სირიის მოსაზღვრე ჰათაის ვილაიეთში სამხედრო-საწვრთნელი ბანაკები მოაწყო ოპოზიციური „სირიის თავისუფალი არმიის“ მებრძოლებისათვის. ამრიგად, თურქეთი და ირანი სირიის კონფლიქტში მონაწილე მეომარ მხარეთა სხვადასხვა ბანაკებს იარაღით, ცოცხალი ძალით ამარაგებენ და თუ სიტყვით, კონფლიქტის ირიბი მონაწილენი არიან, საქმით, მეომარი მხარეების წამქეზებლები და იარაღის მიმწოდებლები გამოდიან. ნატოს ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილებით, 2012 წელს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მალათიას მახლობლად, განლაგებულ იქნა ნატოს სარაკეტო-სარადარო წინასწარი გაფრთხილების სისტემები, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო ირანის მხრიდან მოსალოდნელი შემოტევების განეიტრალება. ნატოს იმდროინდელი გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, აუცილებელი იყო ძლიერი დამცველი ფარის შექმნა, ვინაიდან ცნობილი გახდა ირანის ახალი სარაკეტო დანადგარების მოქმედების მანძილი (2000-2200 კმ), რაც ნატოს ბაზებს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. სირიის კონფლიქტის მიმდინარეობის წლებში, ირანის 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა თეოლოგმა ჰასან როჰანიმ. ირანის ახალმა პრეზიდენტმა არჩევნებამდე პირობა დადო, რომ ჩაატარებდა ეკონომიკურ რეფორმებს და დაამყარებდა პარტნიორულ ურთიერთობებს დასავლეთის ქვეყნებთან. მისი ხელისუფლებაში მოსვლით დაიწყო პირველი კონტაქტები აშშ-ის პრეზიდენტთან (*35 წლის შესვენების შემდეგ)* 2013 წლის 28 სექტემბერს შედგა მისი სატელეფონო საუბარი აშშ-ის პრეზიდენტთან ბარაკ ობამასთან. ჰასან როჰანის ინიციატივით აღდგა ირანის ბირთვული დოსიეს მოლაპარაკებები, რომელიც 2015 წლის 14 ივლისს მოქმედების გეგმის ხელმოწერით დასრულდა. ჰასან როჰანიმ შეძლო დასავლეთის ქვეყნებთან

და ახლო მეზობლებთან გართულებული ირანის საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის იზოლაციიდან გამოყვანა და ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესება. ამის დასტურია ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დათბობა, რაც გამოიხატა 2013 წლის 1 ნოემბერს ანკარაში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმეთ დავუთოღლუს მიერ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოჰამედ ჯავად ზარიფის მიწვევა, სადაც განიხილეს სირიის კრიზისის საკითხები და ირანის ნავთობზე ემბარგოს დაწესების შემდგომი სავარაუდო ეკონომიკური ურთიერთობები. 2013 წლის 12 დეკემბერს თეირანში გამართულ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მათ ერთად მიმართეს სირიის კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისა და პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების შესახებ. 2013-2014 წლების პერიოდი გამოირჩეოდა ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების გახშირებული საქმიანი შეხვედრებით, რომლის შემდეგაც მომზადდა პირველი პირების შეხვედრა. ჰასან როჰანის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თურქეთისა და ირანის გააქტიურებული ურთიერთობების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი გახდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ თაიფ ერდოღანის ვიზიტი თეირანში 2014 წლის 28-29 იანვარს. თურქეთის მთავრობის მეთაური ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ირანის სულიერ ლიდერს აიათოლა ალი ჰამენეის, პრეზიდენტ ჰასან როჰანის და ვიცე-პრეზიდენტს ესჰაკ ჯაჰანგირის. შეხვედრებზე განხილულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები სანქციების შემსუბუქების პირობებში. ასევე ისაუბრეს რეგიონულ და საერთაშორისო პრობლემებზე, ძირითადად სირიის კრიზისის რეგულირების კონტექსტში. აღნიშნული ოფიციალური ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი გახლდათ „უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭო“, რომლის პირველი სხდომა გადაწყდა გამართულიყო ირანის პრეზიდენტის ჰასან როჰანის ანკარაში მომავალი ვიზიტის დღეებში. აღნიშნული ვიზიტი გამართა 2014 წლის 9 ივნისს, როდესაც თურქეთის პრეზიდენტის აბდულა გიულის მოწვევით ანკარაში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა ირანის პრეზიდენტი ჰასან როჰანი. ირანის ლიდერის ეს ვიზიტი, 1996 წლის ალი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანის ვიზიტის შემდეგ პირველი იყო. ირანის პრეზიდენტი ანკარაში შეხვდა თავის კოლეგას და პრემიერ-მინისტრ რეჯებ ერდოღანს. საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით გაფართოვებულ სამთავრობო ორმხრივ მოლაპარაკებებზე გაიმართა დებატები სირიის კრიზისთან დაკავშირებულ განსხვავებული მიდგომების რეგულირების საკითხებზე. მოლაპარაკებების შემდეგ ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰასან როჰანისა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რეჯებ თაიფ ერდოღანის თავმჯდომარეობით გაიმართა უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭოს სხდომა. სხდომის შედეგად ხელი მოეწერა ექვს დოკუმენტს თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა სფეროში. ამათგან ერთი დოკუმენტი გულისხმობდა, რომ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა $30 მილიარდამდე გაიზარდოს.

უმაღლესი დონის ოფიციალური ვიზიტების შემდეგ, ორივე მხარე ცდილობდა, რომ ოფიციალურ გამოსვლებში სირიის კრიზისის საკითხებისთვის გვერდი აევლოთ, რათა ორმხრივი ურთიერთობებისთვის ზიანი არ მიეყენებინათ. მაგრამ დუმილის ტაბუ ერდოღანის მხრიდან მაინც დაირღვა. 2014 წლის 14 ოქტომბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა *(2014 წლის 28 აგვისტოდან უკვე თურქეთის პრეზიდენტია)* აღნიშნა: „ის რა რელიგიური ლიდერია, რომელიც აცხადებს, რომ ბაშარ ასადი ერთადერთი პოლიტიკოსია, ვინც ისრაელს ებრძვის? ასადს ერთი ტყვიაც კი არ გაუსვრია ისრაელის მიმართულებით. ამავე დროს მან დახოცა 250 ათასი საკუთარი თანამემამულე, თქვენ კი აგრძელებთ მის მომარაგებას იარაღით“. რელიგიური ლიდერის ხსენებისას, ერდოღანი გულისხმობდა ირანის უმაღლეს სულიერ ლიდერს აიათოლა ალი ჰამენეის. თეირანში, ერდოღანის ამ არამეგობრულ განცხადებას დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ, ვინაიდან იგი სრულიად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის ლიდერის 2014 წლის იანვარში ირანის

ისლამურ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დროს თურქეთსა და ირანს შორის მეგობრული თანამშრომლობის შესახებ გამოთქმულ მაღალფარდოვან სიტყვებს. თუმცა ამის შემდეგ, ერდოღანის მორიგი ვიზიტი ირანში მაინც შედგა 2015 წლის 7 აპრილს, რომელსაც ერთგვარი სენსაციის ელფერი დაჰკრავდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ირანის და მისი სულიერი ლიდერის მიმართ გაკეთებული ზემოხსენებული უხეში და შეურაცხმყოფელი გამოთქმების გარდა, თურქეთის პრეზიდენტმა 2015 წლის 26 მარტს ირანი კიდევ ერთხელ მკაცრად გააკრიტიკა მისი პოლიტიკის გამო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, კერძოდ კი იემენის სამოქალაქო ომში მომაწილე ამბოხებული „ჰუსიტების“ სამხედრო და ფინანსური დახმარების გამო *(„ახაბუღი გაზაფხუღის“ შედეგად იემენში დაწყებუღ სამოქაღაქო ომში, ჰუსიტები მთავრობის წინააღმდეგ იბრძვიან, საუდის არაბეთისა და ემირატების სამხედრო ძაღები კი, იემენის მთავრობას იარაღით და სამხედრო ოპერაციების ჩატარებითაც ეხმარებიან).* თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ცალსახად მხარი დაუჭირა საუდის არაბეთისა და არაბული ქვეყნების კოალიციის მიერ იემენში ჰუსიტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებას და თანაც ირანს მოუწოდა „იემენიდან გაეძევებინა ტერორისტი-ჰუსიტები და თავისი აგენტურა, ისევე როგორც სირიასა და ერაყიდან“. სწორედ ამ განცხადების საპასუხოდ, ირანის მეჯლისის 65 დეპუტატმა მიმართა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, რომ გაეუქმებინათ ერდოღანის დაგეგმილი ვიზიტი. ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვისა და საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი რეგიონის წამყვანი ქვეყნების იმიჯის შელახვის უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის ვიზიტი ირანის ისლამური რესპუბლიკის დედაქალაქ თეირანში 2015 წლის 7 აპრილს მაინც შედგა. ვიზიტის მომდინარეობისას, თურქეთის პრეზიდენტმა ფაქტიურად უარჰყო თავისი განცხადება საუდის არაბეთისა და არაბული ქვეყნების კოალიციის მხარდაჭერის თაობაზე. მან კატეგორიულად დაგმო მოსაზრება იმის შესახებ, რომ იგი თითქოს მხარს უჭერს სუნიტებს, შიიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერდოღანმა გააკრიტიკა ისინი, ვინც სექტანტურად აზროვნებს და ჰყოფს ისლამურ სამყაროს სუნიტებსა და შიიტებზე. მან განაცხადა, რომ „ჩვენ ვცნობთ მხოლოდ ერთ რელიგიას - ისლამს“. ამავდროულად, ერდოღანმა ირანის პრეზიდენტ ჰასან როჰანისთან ერთად წამოაყენეს იემენის კრიზისის მოგვარების გეგმა. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი და პრემიერ-მინისტრი აჰმეთ დავუთოღლუ მიესალმნენ ჩარჩო ხელშეკრულებას ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ, რომელიც დაიდო ლოზანაში, ამასთანავე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა შეახსენა მასპინძლებს, რომ თურქეთი ჯერ კიდევ 2010 წელს ცდილობდა წინ აღდგომოდა სანქციების შემოღებას. თურქეთი და ირანი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის წამყვანი სახელმწიფოები არიან და მათი ინტერესების სფერო ბევრგან იკვეთება.

უკანასკნელ ხანს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების ფონზე თურქეთი და ირანი რეგიონის გეოპოლიტიკურ სივრცეში წინა პლანზე გამოდიან. ასეთი სიტუაცია ორივე ქვეყანას კონკურენციის არეალს უქმნის და ერთდროულად უხსნის საშუალებას ტაქტიკური დაახლოვებისაკენ მათი ინტერესების თანხვედრის საფუძველზე. ამის ნათელი მაგალითია, სირიის და ერაყის პრობლემებთან თურქეთის და ირანის ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გადანაწილებული, ეთნიკური ქურთებით დასახლებული ე.წ. „ქურდისტანის“ ტერიტორია *(დაახლოვებით 435 ათასი კვ.კმ.)*, ოთხ სხვადასხვა სახელმწიფოს *(თურქეთი, ირანი, ერაყი, სირია)* საზღვრებში მოექცა. XXI საუკუნის დასაწყისიდან და „არაბული გაზაფხულის“ შედეგების თანახმად, სირიისა და ერაყის „ბაასისტური“ დიქტატორული რეჟიმების გავლენით, სახელმწიფოები იმდენად დასუსტდნენ, რომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უკვე არა სახელმწიფოებრივ სუბიექტებს, არამედ ობიექტ-სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

სირიაში მიმდინარე პროცესები თურქეთისა და ირანის ინტერესების სერიოზული გამოცდაა, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი ხდება. სირიის კრიზისში თურქეთის ინტერესების მთავარ სფეროს, მსოფლიო საერთაშორისო სივრცეში გავრცელებული ინფორმაციით, ბაშარ ასადის დიქტატორული რეჟიმის დასრულება წარმოადგენდა. თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურების კულუარებში მიღებული დოქტრინის *(„ეჰოვნუღი აღთქმის“ თეზისები)* და დღევანდელი თურქეთის საგარეოპოლიტიკური გენერალური კურსის თანახმად, სირიის არაბული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში ქურთებით დასახლებული რეგიონის „როჟავას“ ანექსიის და იქ მოქმედი ქურთული „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ სოციალისტ-მარქსისტული მიმდინარეობის დაჯგუფების *(თუჰქეთში მოქმედი ანტისახელმწიფოებრივი „ქუჰდისტანის მუშათა პარტიის“ მოკავშირე, ჰომეღიც თუჰქეთში, აშშ-ში და ევჩოკავშირში ტეჩოჩისტუღ ოჩგანიზაციად არის აღიარებუღი)* ტერიტორიიდან გაძევების ან უკიდურეს შემთხვევაში მისი ლიკვიდაციის განხორციელება იყო გათვალისწინებული. თურქეთის სახელმწიფოს მოტივაციას წარმოადგენდა ის, რომ აღნიშნული ორგანიზაცია, თურქეთის სახელმწიფოს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. თურქეთის ხელისუფლება, ამასთან ერთად ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიების მემკვიდრის როლში *(დავუთოღღუს „სტრატეგიუღი სიღრმის“ მიხედვით)*, ალეპოს რეგიონზეც პრეტენზიას აცხადებდა. თურქეთი იარაღით და ფინანსებითაც ეხმარებოდა ბაშარ ასადის წინააღმდეგ მებრძოლ სირიის ოპოზიციურ ძალებს და ამასთანავე, ადგილობრივი ქურთების წინააღმდეგ სამი (2016, 2018, 2019 წლებში) სადამსჯელო სამხედრო ოპერაცია მოაწყო *(მათი ინფორმაციით „მშვიდობის“ დამყარების მიზნით).* თურქეთი და ირანი ქურთული სეპარატიზმისა და PKK -ს პრობლემის მიმართ, ისტორიულად ერთიანი უარყოფითი პოზიციით გამოდიოდნენ და თვლიდნენ, რომ ქურთების აქტიური მოძრაობა თავისუფლებისაკენ, როგორც თურქეთის, ასევე ირანის ინტერესებს ემუქრებოდა. აქედან გამომდინარე, თურქეთის პოლიტიკა PKK -სთან დაკავშირებით და ასევე ირანის პოლიტიკა ირანელი ქურთების მიმართ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთო ინტერესების თანხვედრის მიუხედავად, ქურთული სეპარატიზმისა და PKK -ს წინააღმდეგ ერთიან კოორდინირებულ ბრძოლას არ აწარმოებდნენ. მაგალითად, როდესაც თურქეთის სამხედროები შეიჭრნენ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, ქურთების როჟავაში და ქურთების განდევნა დაიწყეს, ირანის ქურთებმაც *(ირანის ქუჰთები სხვებთან შედარებით, ყველაზე თვინიეჩი და უპრობღემო ქუჰთები იყვნენ ჩეგიონში)* სოლიდარობის ნიშნად გამოსვლები დაიწყეს, რაზეც ირანის პრეზიდენტი ჰასან როჰანი მაშინვე გაემგზავრა მათი განსახლების რაიონებში, მხარდაჭერა გამოხატა სირიის ქურთების მიმართ და ადგილობრივ ქურთებს სიმშვიდისაკენ მოუწოდა, ვინაიდან ირანში მათი უფლებები და მოქალაქეობრივი სტატუსი სრულიად დაცულია... ბოლოს კი, ქურთულ ენაზე ხმამაღლა შესძახა „ბიჯი ქურდისტან“ (გაუმარჯოს ქურდისტანს).

სირიის კრიზისში ირანის მთავრობის მთავარ ინტერესს, საერთაშორისო სივრცეში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაშარ ასადის ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენდა. ირანის ისლამური რესპუბლიკის მაღალ ეშელონებში სირიის ხელისუფლებაში შიიტების ერთ-ერთი მიმდინარეობის, ალავიტების კლანის მმართველობა ყველაზე დიდი მონაპოვარი იქნებოდა, როგორც რეგიონში 1979 წლის ისლამური რევოლუციის იდეების გავრცელების საქმეში და ამასთანავე, შიიზმის მიმდევართა შეკავშირების საუკეთესო წინაპირობას შექმნიდა. ირანის უმაღლესი რელიგიური მეთაურის და ისლამური ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული „შიიტური სარტყელი“, რომელიც ერაყის, სირიის, ლიბანის გავლით ისრაელის სახელმწიფოს საზღვრებს უშუალოდ მიადგება და ამით, მისი განადგურების საუკეთესო სიტუაცია შეიქმნება. ამასთანავე, აღნიშნული სარტყელი სუნიტური სამყაროს გახლეჩვას შეუწყობდა ხელს, რაც შეამცირებდა თურქეთის და საუდის არაბეთის გავლენას, სირიის კრიზისში

ჩართული სპარსეთის ყურის სუნიტური მონარქიული ქვეყნების ძალებზე.

თურქეთისა და ირანის ინტერესები მეტად მჭიდროდ იკვეთება ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში განვითარებული მოვლენების სპექტრში. თურქეთის სამხედრო ძალების პერიოდულად ერაყის ტერიტორიაზე შეჭრის ეპიზოდები ზემოთ უკვე განვიხილეთ, მაგრამ ძალზე საინტერესოა, ირანის ინტერესებთან ამ მოვლენების „თანხვედრა". ერაყის აღნიშნულ ნაწილში თურქეთ-ირან-ერაყის საზღვრების სამკუთხედი იქმნება, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ადგილობრივი ქურთები წარმოადგენენ (ერაყის ტერიტორიაზე იეზიდებიც). ერაყის მოსახლეობის 60%-ზე მეტი შიიზმის მიმდევარია და გასაკვირი არ არის, რომ ჯერ კიდევ „ისლამური სახელმწიფოს" (აისის) მიერ ერაყის ტერიტორიის ნაწილის დაკავების შემდეგ, 2014 წელს ირანის მთავრობის დაფინანსებითა და მხარდაჭერით შეიქმნა აისის ჯიჰადისტების წინააღმდეგ მებრძოლი სამხედრო გაერთიანება „ჰაშდ აშ-შააბი" (სახალხო მობილიზაციის ძალები). ერაყის ჩრდილოეთში PKK -ს ტერორისტული ორგანიზაციის განთავსების ადგილებისა და სამხედრო ბანაკების გასანადგურებლად თურქეთის საჯარისო ნაწილების შემოსვლის ფაქტებს, ირანის ხელისუფლება ყოველთვის კრიტიკულად აფასებს და მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას, ზედმეტი სისასტიკისგან თავის შეკავებისკენ, ვინაიდან ხშირად ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობაც ზარალდება *(ირანი ვეჰაფჰით შეეგუება ირან-ეჰაყის საზღვრებთან თურქეთის კონტროლის გაძლიერებას).* ამჯერად, 2021 წლის 22 თებერვალს თურქეთსა და ირანს შორის დიპლომატიური კონფლიქტი წარმოიშვა. აღნიშნული კონფლიქტის მიზეზი გახდა, თურქეთის ჯარების მორიგი შეჭრა ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე „ქურდისტანის მუშათა პარტიის" PKK -ს შეიარაღებული რაზმების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც თურქული მხარის განცხადებით, ერაყის ქურდისტანის მთავრობის თანხმობით მიმდინარეობდა. ამავე წლის 27 თებერვალს ირანის ელჩმა ერაყში ირაჯ მასჯიდიმ ქურთულ სააგენტოს განუცხადა, რომ „ჩვენ ვგმობთ სამხედრო ჩარევას ერაყში, და თურქეთის ძალები არ უნდა უქმნიდნენ საფრთხეს ან არღვევდნენ ერაყის ტერიტორიას. ერაყის რეგიონების უსაფრთხოება დაცულ უნდა იქნას ერაყის არმიის და ქურდისტანის რეგიონის ძალებით მათ ტერიტორიაზე. ჩვენ საერთოდ არ ვცნობთ სამართლიანად თურქეთის ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო ჩარევას, ან შეტევას, ან სამხედრო მოქმედებებს... ამიტომ ვთვლით, რომ თურქები უნდა დაბრუნდნენ თავის საერთაშორისო პოზიციებზე და განლაგდნენ იქვე, ხოლო ერაყის უსაფრთხოება დაცულ უნდა იქნას ერაყელების მიერ". ამის საპასუხოდ თურქეთის საგარეო საქმერთა სამინისტროში გამოძახებულ იქნა ირანის ელჩი ანკარაში მოჰამედ ფარაზმანდი და იქ მას განუცხადეს, რომ „ანკარა ელის, რომ ირანი მხარს დაუჭერს და არ შეეწინააღმდეგება თურქეთის ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ". არც ერაყში თურქეთის ელჩი ფათიჰ ილდიზი ჩამორჩა და თავის Twitter -ში დაწერა შემდეგი: „დიახ, მე ვნახე, რომ ირანის ელჩი (ირაჯ მასჯედი) იქნება უკანასკნელი, ვინც ნოტაციას უკითხავდა თურქეთს ერაყის საზღვრების პატივისცემის შესახებ". აღნიშნულ დიპლომატიურ კონფლიქტამდე, რამდენიმე მოვლენა მოხდა, რომლებშიც თურქეთისა და ირანის ინტერესები მეტად სერიოზული დაპირისპირების წინაშე აღმოჩნდნენ და თურქეთ-ირანის ურთიერთობებში კონფრონტაციის მაღალი ძაბვა შეიმჩნეოდა. 2020 წლის ბოლოს თურქეთის სამხედრო ძალების ერაყში მორიგი შეჭრის გეგმის მთავარი მიმართულება სინჯარის რაიონი იყო. გაზეთ „დეილი საბაჰი" სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ ამ რაიონში „ქურდისტანის მუშათა პარტიის" PKK -ს მებრძოლები მოქმედებენ, რაზეც შიიტური სამხედრო დაჯგუფების „ჰაშდ აშ-შააბის" მეთაურობამ გააფრთხილა თურქული მხარე, რომ სინჯარის რაიონი არ შედის თურქეთის სახელმწიფოს ინტერესებში, მათ კონტროლს არ ექვემდებარება და დაჯგუფება, ერაყში თურქი სამხედროების შეჭრის შემთხვევაში დაიმუქრა მათზე თავდასხმით. მართლაც, 2021 წლის 15 თებერვალს მოხდა სარაკეტო

თავდასხმა ერბილის აეროპორტზე, სადაც აშშ-ის ბაზაც არის განთავსებული. არის ვერსია, რომ აღნიშნული სარაკეტო შეტევა მიმართული იყო არა მარტო აშშ-ის ბაზის წინააღმდეგ, არამედ თურქული სამხედრო დაჯგუფების მიმართაც. ზოგიერთი წყაროს მონაცემებით, შეტევის უკან იდგნენ ერაყის პროირანული შიიტური სამხედრო ფორმირებები.

თურქეთი ჩრდილოეთ ერაყში და ერაყის ქურდისტანის რაიონში, ლოკალურად იბრძვის PKK -ს მებრძოლებისა და ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ იეზიდებით დასახლებულ სინჯარის რაიონში, სადაც ერაყის სახელმწიფო სტრუქტურები აკონტროლებენ სიტუაციას. ამასთანავე, ირანის საზღვრის სიახლოვის გამო, ირანიც დაინტერესებულია აღნიშნულ რაიონში სიმშვიდე სუფევდეს და ქურთული სეპარატიზმის გამოძახილი არ ვრცელდებოდეს ირანის ქურდისტანზე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსის ნეოოსმანური განზრახვის მთავარ დოქტრინას და აქვე მოვიხმობთ 1920 წლის „ეროვნული აღთქმის“ პოსტულატებს, ნათლად დავინახავთ, რომ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში თურქეთს, კვლავ ამოძრავებს ერაყზე გავლენის დამყარების სურვილი. ჯერ კიდევ მუსტაფა ათათურქი, წლების განმავლობაში იბრძოდა „ეროვნულ აღთქმაში“ ჩადებული ნავთობით მდიდარი მოსულისა და ქირკუკის რაიონებზე გავლენის მოპოვებისთვის *(მოსულის კუთვნილების საკითხი ლოზანაში ვეჰ გადაწყდა და 1926 წელს ბრიტანეთის მხარდაჭერით ერაყის საზღვრებში მოექცა).* მაშინ ახლადშექმნილი თურქეთის სუსტი რესპუბლიკა აქტიურად იბრძოდა მოსულის და მისი ნავთობის საბადოების ხელში ჩასაგდებად და ახლა კი, რეგიონის წამყვანი ძალა თურქეთის ძლიერი რესპუბლიკა, კარგა ხანია უკვე მოსულის და ქირკუკის რაიონებს თავისი გავლენის სფეროდ მოიაზრებს.

თურქეთსა და ირანს შორის ბოლო ხანს, კიდევ ერთი პოლიტიკური სკანდალი წარმოიშვა, რომელიც საკმაოდ მწვავედ წარიმართა ორ ქვეყანას შორის. საქმე იმაში გახლავთ, რომ 2020 წლის 10 დეკემბერს ყარაბაღის ომში გამარჯვების ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ბაქოს ეწვია თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი, რომელმაც თავის გამოსვლაში წაიკითხა ნაწყვეტი აზერბაიჯანელი პოეტის ბაჰთიარ ვეჰიბზადეს პოემიდან „არაქსის იქით მხარეს“, რომელიც ეხებოდა ისტორიულ მოვლენას 1828 წლის თურქმანჩაის ზავის პირობებს, რომლის შედეგადაც ირანის აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო სამხრეთ ნაწილი დარჩა ირანის მფლობელობაში. თაირანში ამ მოვლენას ძალზე მწვავე რეაქცია მოჰყვა. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოჰამად ჯავად ზარიფის განცხადებით, თურქეთის პრეზიდენტის გამონათქვამი „სეპარატისტულია“, ვინაიდან მის მიერ მოყვანილ სტრიქონებში ირანის ტერიტორიების მიტაცებაზეა საუბარი, რაც მისი თქმით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუვერენიტეტს ლახავს. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოძახებულ თურქეთის ელჩს განუცხადეს, რომ „ომის მოსურნე იმპერიების საუკუნე“ დიდი ხანია უკან დარჩა. ირანის აზერბაიჯანის ადმინისტრაციულ ცენტრში თავრიზში, თურქეთის რესპუბლიკის საკონსულოს შენობასთან ხალხმრავალი ანტითურქული საპროტესტო დემონსტრაცია ჩატარდა, რომელთა ლოზუნგები ასე ჟღერდა „ვინც თვალი დაადგა არაქსის გამოღმა მიწებს, უკეთესია ისტორია ისწავლოს, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა (მხედველობაშია ირანის აზერბაიჯანი) მუდამ იცავდა ისლამურ ირანს“. ირანის მრავალ გამოცემებში დაიბეჭდა სეფიანთა ირანის ისტორიული რუკა, ნახსენები იყო 1555 წლის ამასიის ზავი სეფიანთა ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული, რომლის თანახმადაც აზერბაიჯანის მთელი დღევანდელი ტერიტორია სეფიანთა ირანის მფლობელობაში იყო. ამასთანავე, ირანი ცდილობს გაახსენოს თურქეთს, რომ თანამედროვე ამიერკავკასიის ტერიტორიის დიდი ნაწილი ირანის ისტორიულ ზონას ეკუთვნის და არა თურქეთისას. 2020 წლის 12 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ხელმძღვანელმა ფაჰრეთინ ალთუნმა განაცხადა, რომ თურქეთი მოუწოდებს

ირანს, რათა ისტორიული თემები რეგიონში ურთიერთობების განმტკიცების და არა „მტრობის გაღვივების“ მიზნით გამოიყენოს. მისი სიტყვებით, ირანის რამდენიმე ცნობილმა პოლიტიკოსმა თავის განცხადებებში, თურქეთის პრეზიდენტის მიერ 10 დეკემბრის აღლუმზე წაკითხული ლექსის კონტექსტიდან ამოგლიჯეს ნაწილი და დაუკარგეს მას აზრი. მანვე აღნიშნა, რომ უარი უნდა ეთქვას ყველა სიტყვიერ ინიციატივას და გამოთქმას, რომელიც ზიანს მიაყენებს თურქეთისა და ირანის ურთიერთობებს.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოძახებულ ირანის ელჩს ასეთი პოზიცია განუმარტეს, რომ „ეს ლექსი გამოყენებულ იქნა საბაბად, რათა ხელოვნურად დაეძაბათ თურქეთსა და ირანს შორის ურთიერთობები. ანკარა არ დაუშვებს მსგავს პრეტენზიებს არც თურქეთის, არც ნებისიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ. თურქეთი ელოდება მომავალში ირანის მხრიდან განსაკუთრებულ სენსიტიურ მიდგომას ანკარასთან ურთიერთობებში“.

ყარაბაღის ომის შედეგებმა და აზერბაიჯანის გამარჯვებაში თურქეთის სამხედრო დახმარების პოტენციალმა, გამოავლინა სამხრეთ კავკასიაში თურქეთის გავლენის აღმავლობა, რასაც ირანი შეშფოთებით უყურებს. ირანს ასევე აფიქრებს ახალი სარკინიგზო და სატრანსპორტო დერეფანის გახსნის პერსპექტივა ნახჭევანის გავლით, პირდაპირ თურქეთიდან აზერბაიჯანზე და შემდეგ რუსეთის მიმართულებით. ადრე აზერბაიჯანიდან ნახჭევანისკენ მიმავალი გზა, ირანზე გადიოდა და ზემოხსენებული დერეფანის გახსნის შემთხვევაში, ანკარიდან ბაქოსკენ, პირდაპირი მარშრუტი გაივლის ირანის ან საქართველოს ტერიტორიის გვერდის ავლით. შედეგად, ირანის გავლენა აზერბაიჯანზე მცირდება. ეს კი საწინდარია, რომ თურქეთისა და ირანის სტრატეგიული პაექრობა კავკასიაში ახალ ფაზაში შედის.

აქ აუცილებელია აღინიშნოს საქართველოს ადგილი და მომავალი გეოპოლიტიკური პოზიცია რეგიონში. ყარაბაღის ომის შემდეგ: გამარჯვებული თურქეთი თავისთავად გააქტიურდება; ძალისმიერი რუსეთი ძალის გამოყენებით პოზიციების გამყარებაზე იზრუნებს; რეგიონის ისტორიული „მემკვიდრე“ ირანი, აზერბაიჯანის შემობრუნების მიზნით, მის მიმართ შიიტურ და მოძმე ძალებს *(იხანის აზეიბაიჯანელები)* გამოიყენებს. ნახჭევანზე რკინიგზის მაგისტრალის ამოქმედებით, ამჟამად არსებული ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის და ფოთის საზღვაო პორტის ტვირთბრუნვის პოტენციალი შემცირდება, რის გამოც საქართველო თავის სტრატეგიულ და ტრანზიტულ მიმზიდველობას ნაწილობრივ დაკარგავს, რაზეც რუსეთი თავის ბერკეტებს მაქსიმალურად გამოიყენებს. ამრიგად, კავკასიაში და მიმდებარე სამხრეთ ქვეყნებში, ახალი გეოპოლიტიკური რეალობა ყალიბდება. თურქეთის ურთიერთობები არაბულ სამყაროსთან ოსმალეთის იმპერიიდან იწყება და საკმაოდ ღრმა კულტურული და ისტორიული კავშირები არსებობს დღევანდელ თურქეთის რესპუბლიკასა და სპარსეთის ყურის მდიდარ არაბულ მონარქიებს შორის. XX საუკუნის სპარსეთის ყურის ყველაზე მდიდარი და რეგიონის წამყვანი სახელმწიფო საუდის არაბეთი, 1932 წლიდან *(თანამედროვე საუდის არაბეთის სამეფოს შექმნის თარიღი)* თურქეთთან ერთად, გარდა რელიგიური ძმობისა, მუდამ ცდილობდნენ მშვიდი, სტაბილური და მეგობრული ურთიერთობები ჰქონოდათ. თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები, ძირითადად ნავთობის, ორგანული ქიმიკატების, ნავთობპროდუქტების, პლასტმასის, ელექტრონული მოწყობილებების, სამედიცინო პრეპარატების ვაჭრობით ვითარდებოდა *(საუდის არაბეთი ნავთობის მარაგით, სპარსეთის ყურის ყველაზე მდიდარი და მსოფლიოში მე-2 ქვეყანაა, ვენესუელის შემდეგ)* . 1991 წელს ერთად დაგმეს ერაყის აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირეს აშშ-ის ინიციატივით შექმნილ საერთაშორისო კოალიციურ ძალებს. 2002 წლიდან, მას შემდეგ რაც თურქეთის ხელისუფლებაში მოვიდა ერდოღანის მმართველი პარტია - AKP, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები აღმავალი გზით განვითარდა. ერდოღანის ამბიციებს, რომ გამხდარიყო ისლამური სამყაროს ლიდერი და პალესტინელი ხალხის დამცველი, საუდის არაბეთის სამეფო კარი

მიესალმებოდა და დადებითად აფასებდა. 2000-იანი წლების პირველ დეკადაში თურქეთ-საუდის არაბეთის თანამშრომლობა უმაღლეს საფეხურს აღწევდა და 2010 წელს საუდის არაბეთის მეფე აბდალლაჰ იბნ აბდულ-აზიზ ალ-საუდიმ, თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ ერდოღანს საუდის არაბეთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო - მეფე ფაისალის სახელობის პრემია მიანიჭა, ისლამის წინაშე დიდი დამსახურების გამო *(მეფე ფაისალი 1975 წლის 25 მარტს მოკლეს).* 2011 წელს დაწყებული „არაბული გაზაფხულის“ გავლენით, სირიაში გაჩაღებულ სამოქალაქო ომში, თურქეთი და საუდის არაბეთი ჩაერთვნენ მეომარ ძალთა ოპოზიციის მხარეს, ვინაიდან ორივე ღიად უპირისპირდებოდა ბაშარ ალ-ასადს და მისი დიქტატურის დამხობას უჭერდა მხარს. 2013 წელს, როდესაც აგვიპტეში სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდეს ტერორისტული დაჯგუფების „ძმები მუსლიმების“ ლიდერი პრეზიდენტი მუჰამედ მურსი, ამან თურქეთის დიდი აღშფოთება გამოიწვია, თუმცა საუდის არაბეთი, მუჰამედ მურსის და ორგანიზაცია „ძმები მუსლიმების“ წინააღმდეგ გამოდიოდა. 2013 წლის ეგვიპტის სამხედრო გადატრიალებამ, თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის პირველი უთანხმოების ნიშნები გამოავლინა. ამის შემდეგ მათ შორის დაპირისპირებამ გადაინაცვლა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სადაც 2014 წლის ოქტომბერში საუდის არაბეთმა მხარი არ დაუჭირა თურქეთის განცხადებას გამხდარიყო უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრი, ვინაიდან საუდის არაბეთი არ ეთანხმებოდა თურქეთის დადებით პოზიციას „ძმები მუსლიმების“ ორგანიზაციასთან დაკავშირებით. ეკონომიკური თანამშრომლობის ასპარეზზე თურქეთი და საუდის არაბეთი საკმაოდ წარმატებულად ვაჭრობდნენ. 2015 წლიდან საუდის მეფე სალმან იბნ აბდულაზიზ ალ-საუდი, რომელმაც გააქტიურა საუდის არაბეთის ინტეგრაციის პროცესი საერთაშორისო თანამეგობრობაში, ხოლო თავის ქვეყანაში 500 ათასი სამოქალაქო პატიმარი შეიწყალა და $20 მლრდ გამოყო მოსახლეობის ელექტროენერგიითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, ახალი სამშენებლო პროექტების განხორციელებისთვის. 2016 წლის 12 აპრილს საუდის არაბეთის მეფე სალმან იბნ აბდულ-აზიზი ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვია და აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა თურქეთ-საუდის არაბეთის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის დოკუმენტს. ორ ქვეყანას შორის ფინანსური ურთიერთობების გაჯანსაღების პროექტები განხილულ იქნა საკოორდინაციო საბჭოს პირველ სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2017 წლის 7-8 თებერვალს ანკარაში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუთ ჩავუშოღლუსა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ადილ იბნ აჰმად ალ-ჯუბაირის თავმჯდომარეობით. საბჭოს სხდომაზე ხელი მოეწერა მრავალ შეთანხმებას ორმხრივი ურთიერთობების განვითარების შესახებ, რაც გამოიხატა საუდის არაბეთის ინვესტორების დიდი დაინტერესებით, რომლებიც თურქეთს განიხილავდნენ, როგორც პერსპექტიულ პარტნიორს მომავალი ინვესტიციების განხორციელებისთვის. 2018 წლის მონაცემებით, თურქეთში საუდის არაბეთის ინვესტიციების საერთო მოცულობა $2 მილიარდამდე შეადგენდა, ხოლო საუდის არაბეთის ტურისტთა რიცხვმა თურქეთში მილიონამდე მიაღწია. თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობები კვლავ დაიძაბა 2017 წლის სპარსეთის ყურის ე.წ. დიპლომატიური კრიზისის დროს, როდესაც საუდის არაბეთმა, გაერთიანებული არაბული საემიროების, ბაჰრეინის და ეგვიპტის მთავრობებმა, 2017 წლის 5 ივნისს ყატართან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს და ემბარგო გამოუცხადეს. ყატარი წევრია 1981 წელს შექმნილი „სპარსეთის ყურის ქვეყნების სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს“ ორგანიზაციის, რომელიც ძირითადად ირანის წინააღმდეგ არის მიმართული და ბოლო ხანს აშშ, დიდ დახმარებას უწევს მათ. არაბული მონარქიების წამყვან ქვეყნებს ყატარის მიმართ პრეტენზიები გაუჩნდათ და მოითხოვეს, რომ ყატარს დაეხურა „ალ-ჯაზირას“ საერთაშორისო სატელევიზიო კომპანია, რომელიც არაბული სამყაროს წამყვანი ქვეყნების დასუსტებისთვის იბრძვის, ემხრობა და აგიტაციას უწევს „ძმები მუსლიმების“ ორგანიზაციას. ასევე

მოითხოვეს ყატარის მხრიდან ირანთან ურთიერთობების შეწყვეტა და კიდევ, რომ თურქეთს გაეყვანა თავისი სამხედრო ძალები ყატარში განთავსებული თურქული სამხედრო ბაზიდან. თურქეთი თავის მხრივ, ყატარს უჭერს მხარს და საუდის არაბეთთან ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ აღნიშნული კრიზისის დროს, საკუთარი სამხედრო შენაერთების ყატარში გადასროლას გეგმავდა მისი დახმარების მიზნით. ირანი გამოეხმაურა არაბული ქვეყნების მიერ დაწესებული ემბარგოს პირობებს და ყატარს სპარსეთის ყურის საშუალებით საკვები პროდუქტები მიაწოდა *(სპარსეთის ყურის ჩრდილოეთ ნაწილში არის მსოფლიოში ყველაზე მდიდარი საზღვაო ბუნებრივი აირის საბადო, რომელსაც ირანთან ერთად ექსპლოატაციას უწევს ყატარი და მათი პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი დამაკავშირებელია).* აღნიშნული კრიზისის პერიოდში თურქეთის ასეთი აქტიურობის გამო, საუდის არაბეთი დაემუქრა მას სანქციების შემოღებით და საკითხი განიხილა ემირატების მთავრობასთან ერთად, „თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის“ აღსაკვეთად. თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა დაადანაშაულა საუდის არაბეთი ისლამის კანონების დარღვევისა და მწვალებლობის წაქეზების ბრალდებით. ამას გარდა, თურქეთმა გაგზავნა თავისი სამხედრო კონტინგენტი, საუდის არაბეთისა და ემირატების მხრიდან სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობისგან, ყატარის მთავრობის დაცვის მიზნით. ამრიგად, თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობები ისევ გაუარესდა. 2018 წლის მარტში საუდის არაბეთის უფლისწულმა და მემკვიდრემ მუჰამად იბნ სალმანმა თურქეთს უწოდა „ბოროტების სამკუთხედის“ ნაწილი, ირანსა და „ძმები მუსლიმებთან“ ერთად.

2018 წლის 2 ოქტომბერს საუდის არაბეთის სტამბოლის გენერალური საკონსულოს შენობაში მოკლეს საუდის არაბეთის მოქალაქე და „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტი ჯამალ ხაშუკჯი (ხაშოგგი), რამაც კიდევ უფრო დაძაბა თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის ისედაც საკმაოდ შერყეული ურთიერთობების ტონალობა. გამოითქვა აზრი, რომ მკვლელობა საუდის არაბეთის მთავრობის ჩარევით მოხდა, ხოლო თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ირიბად ეჭვს გამოთქვამდა, რომ დანაშაული ედება მემკვიდრე უფლისწულს მუჰამედ იბნ სალმანს *(ჯამალ ხაშუკჯი ცნობილი იყო, დონალდ ტრამპისა და მუჰამედ იბნ სალმანის ხშირი კრიტიკით).* მკვლელობის შემდეგ უფლისწულმა მუჰამადმა, სცადა თურქეთთან დარღვეული კავშირების აღდგენის შესაძლებლობა გამოენახა და განაცხადა: „ბევრი ცდილობს, რომ საუდის არაბეთსა და თურქეთს შორის შუღლი დათესოს, მაგრამ ამას ვერ შეძლებენ... სანამ არის მეფე სალმანი, მუჰამად იბნ სალმანი და პრეზიდენტი ერდოღანი“. მაგრამ ერდოღანმა, ხაშუკჯის მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ, პირდაპირ დაადანაშაულა საუდის მთავრობა და განაცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ ხაშუკჯის მკვლელობის ბრძანება საუდის არაბეთის მთავრობის ყველაზე მაღალი ეშელონიდან გაიცა“.

მუჰამად იბნ სალმანი

აღნიშნული ფაქტის შემდეგ, თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის დაძაბულობა არ ცხრებოდა და 2019 წელს კულმინაციას მიაღწია, როდესაც საუდის არაბეთში გამოვიდა სატელევიზიო სერიალი „Kingdoms of Fire" *($40 მლნ ბიუჯეტის ფილმი დაფინანსებულია საუდის არაბეთისა და გაერთიანებული არაბული ემირატების მიერ)*, რომელშიც ასახული იყო ოსმალეთის იმპერიისა და მამლუქთა სახელმწიფოს დაპირისპირების მონაკვეთი XV – XVI საუკუნეების პერიოდში. აღნიშნულ სერიალში, რომელიც ისტორიული დრამის ჟანრს განეკუთვნება, ხაზგასმულია ოსმალეთის იანიჩართა სასტიკი, ულმობელი ხასიათი და აშკარად ანტიოსმალური მიმართულების ნაწარმოებიის იერს ატარებს. თურქეთში ამ ფილმს საკმაოდ კრიტიკული გამოხმაურება ჰქონდა და თავისთავად, საუდის არაბეთისა და ემირატების მთავრობების მიმართ თურქეთის საზოგადოების გაღიზიანება მოჰყვა.

საუდის არაბეთი ტრადიციულად თურქეთს თანაუგრძნობდა „სომეხთა გენოციდის" საკითხში, მაგრამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაუარესების კვალად, საუდის არაბეთმა დაიწყო სომხური საკითხის კრიტიკული განხილვა. ამ ფაქტს ხელი შეუწყო, აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩმა რიმა ბინტ ბანდარ ალ-საუდმა *(პირველი არაბი ქალი-ელჩი, რომელიც საუდიტების სამეფო გვარის შთამომავალია და საუდის არაბეთის პირველი მეფის აბდულ-აზიზ ას-საუდის შვილთაშვილია)* თურქეთს ოფიციალურად ბრალი დასდო გენოციდში და ამის შემდეგ, საუდის არაბეთი დათანხმდა დაასპონსოროს „სომეხთა გენოციდი"-ს აღიარების განხილვა აშშ-ის კონგრესში. აშშ-ში გენოციდის აღიარების განხილვა სეროზულად მიმდინარეობდა და 2019 წელს კონგრესის ორივე პალატის რეზოლუციებით მიღებულ იქნა, ხოლო 2021 წლის 24 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის ხელმოწერით ოფიციალურად იქნა აღიარებული ოსმალეთის იმპერიის ხელისუფალთა მიერ განხორციელებული 1915 წლის „სომეხთა გენოციდი".

2019 წლის 31 მაისს საუდის არაბეთის მეფემ სალმან იბნ აბდულაზიზ ალ საუდმა მექაში გახსნა „ისლამურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის" („ისთ") მე-14 სამიტი, რომელზეც ისლამურ სამყაროში მიმდინარე პრობლემების განხილვის გარდა, მოხდა „ისთ"-ის თავმჯდომარე-ქვეყნის მორიგი გადაცემის ცერემონიალი, თურქეთისგან - საუდის არაბეთს. ჩვეულებრივ, გადაცემის პროცესი ხორციელდება ქვეყნის ლიდერის მიერ, მორიგი ქვეყნის ლიდერისთვის, მაგრამ ამჯერად, თურქეთ-საუდის არაბეთის ურთიერთობების ღრმა კრიზისის გამო, თავმჯდომარე-ქვეყნისთვის მორიგეობის გადაცემის პროცესი მოხდა არა ოფიციალურ ცერემონიაზე, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. მიზეზი გახლდათ, თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის არყოფნა, ზემოხსენებული კრიზისის გამო. თურქეთს აღნიშნულ სამიტზე წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ, რომელიც გასული წლის ოქტომბერში სტამბოლის საუდის არაბეთის გენერალურ საკონსულოში ჟურნალისტ ჯამალ ხაშუკჯის მკვლელობის შემდეგ, საუდის არაბეთში მაღალი რანგის თურქი მოხელის პირველი ვიზიტი იყო.

ანკარასა და არ-რიადს შორის დაპირისპირების კიდევ ერთი მიზეზი იყო, აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ იერუშალაიმის ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქად აღიარება, რაზეც საუდის არაბეთს ძალზე პასიური რეაქცია ჰქონდა. მექაში გამართულ „ისთ"-ის სამიტზე გამოსვლისას, მევლუთ ჩავუშოღლუ შეეხო იერუშალაიმის საკითხს და განაცხადა: „არ უნდა დავავიწყოთ, რომ ისლამურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ორგანიზაცია, შეიქმნა იერუშალაიმის ისტორიული სტატუსის დაცვის მიზნით. დარწმუნებული ვარ, რომ „ისთ"-ის ორგანიზაცია უარჰყოფს ნებისმიერ გეგმას, რომელიც არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას დედაქალაქით იერუშალაიმში". სპარსეთის ყურის წამყვანმა მონარქიულმა სახელმწიფოებმა საუდის არაბეთმა, გაერთიანებულმა არაბულმა საემიროებმა და ბაჰრეინმაც, ბოლო ხანს რეგიონში მიმდინარე დაძაბულ გარემოებათა გათვალისწინებით *(ლიბიის, სირიის, ეგვიპტის, ქუთების,*

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგორესურსების საკითხები), აშშ-ის რჩევით და ეგვიპტის რეკომენდაციით *(ისრაელთან 1981 წლიდან აქვს დიპლომატიური უთანხმოებები)*, დაიწყეს ისრაელთან დიპლომატიური კავშირების დამყარების პროცედურები, რასაც ისრაელიც მიესალმებოდა. 2020 წლის აგვისტოში ისრაელის „მოსსადის“ ხელმძღვანელმა იოსი კოენმა, საუდის არაბეთის, ეგვიპტისა და ემირატების თავის კოლეგა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ღიად განაცხადა, რომ თურქეთი წარმოადგენს რეგიონში მშვიდობის ყველაზე სახიფათო მტერს. საუდის არაბეთი, ისრაელი, ეგვიპტე და გაერთიანებული არაბული ემირატები, თურქეთის ექსპანსიონიზმს რეჯებ თაიფ ერდოღანის მეთაურობით, განიხილავენ როგორც ახლო აღმოსავლეთის ახალ საფრთხეს 2018 წლიდან მოყოლებული თურქეთის მიერ სირიაში, ერაყში, ლიბიაში და სუდანში გაჩაღებული კონფლიქტების ჭრილში. სპარსეთის ყურის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ანტითურქული ბლოკის მაგვარი ალიანსი საუდის არაბეთის, გაერთიანებული არაბული ემირატების, ბაჰრეინის მონაწილეობით, ეგვიპტისა და ისრაელის მხარდაჭერით. ამასთან ერთად, სპარსეთის ყურის ქვეყნები ქუვეითი და ომანი ნეიტრალურ პოზიციას იკავებდნენ და თურქეთთან ურთიერთობებს ინარჩუნებდნენ. ყატართან 2017 წლიდან სპარსეთის ყურის ქვეყნებს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ გაწყვეტილი და მის წინააღმდეგ მკაცრ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სატრანსპორტო ბლოკადას ახორციელებდნენ. ამ პერიოდში ყატარს დიდ დახმარებას უწევდნენ ირანი და განსაკუთრებით თურქეთი, რომელსაც ყატარში დიდი სამხედრო ბაზა ჰქონდა (და აქვს). ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ იბნ აბდურაჰმან ას-სანი აცხადებდა, რომ თურქეთთან ურთიერთობამ გადაატანინა მათ სპარსეთის ყურის ქვეყნებთან არსებული კრიზისი და ყატარს არ სურს შეცვალოს თურქეთთან ურთიერთობების ხასიათი. მინისტრმა დაამატა, რომ „ჩვენ მუდამ იმ ქვეყნების მადლიერნი ვიქნებით, რომელნიც ჩვენ გვერდით იყვნენ და დახმარება გაგვიწიეს კრიზისის დროს“.

2021 წლის 5 იანვარს საუდის არაბეთის ისტორიულ ქალაქში ალ-ულაში გაიმართა „სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს“ 41-ე სამიტი, რომელზეც გამოცხადდა ღირსშესანიშნავი ფაქტი, ყატარის ემბარგოს მოხსნის გადაწყვეტილების შესახებ. სამი წლის შესვენების შემდეგ სამიტზე ჩასულ ყატარის შეიხს თამიმ იბნ ჰამად ას-სანის, თვითმფრინავის ტრაპთან დახვდა საუდის არაბეთის მემკვიდრე-უფლისწული მუჰამად იბნ სალმანი, რომელნიც ერთმანეთს გადაეხვივნენ და სამი წლის შუღლი და დაპირისპირება *(2017 წლის ივნისიდან)* ამით დასრულდა. სპარსეთის ყურის ექვსი სახელმწიფოს ლიდერებმა ხელი მოაწერეს ყატართან დიპლომატიური კრიზისის დასრულების გადაწყვეტილებას. ყატართან ნორმალური ურთიერთობების აღდგენა გულისხმობს ბლოკადის მოხსნას, საჰაერო სივრცის, საზღვაო და სახმელეთო საზღვრების გახსნას. ყატართან შერიგების თაობაზე 2021 წლის 4 იანვარს განაცხადა ქუვეითის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიხმა აჰმად ნასერ ას-საბაჰმა *(ამ სამი წლის მანძილზე ქუვეითის მთავრობა შუამავლის როლით იყო დაკავებული).*

სპარსეთის ყურის რეგიონში რეგულარული დაძაბულობის გამო, ყატარს გამოუმუშავდა დამოუკიდებელი და ნეიტრალური პოლიტიკის გატარების უნარი, შუამავალის სტატუსით იღებდა პრევენტიულ დიპლომატიურ გადაწყვეტილებებს. ალ-ულაში ჩატარებული სამიტის შემდეგ, ყატარმა მალე შეძლო ურთიერთობების ნორმალიზება საუდის არაბეთს, ბაჰრეინსა და გაერთიანებულ არაბულ ემირატებთან, რამაც მისცა მას საშუალება გამოეთქვა მზადყოფნა, შუამავლის როლი შეესრულებინა თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის მოლაპარაკებებში. მანამდე, 2020 წლის 8 ოქტომბერს თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია ყატარს, რომელსაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა ადგილობრივ პრესაში, სადაც ყატარსა და თურქეთს შორის სტრატეგიული ურთიერთობების

გაღრმავებასა და თანამშრომლობის არნახულ სიმტკიცეზე იყო გაკეთებული ძირითადი აქცენტი. ხაზგასმული იყო თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანისა და ყატარის შეიხის თამიმ იბნ ჰამად ას-სანის დიდი ძალისხმევა, რომ ორივე ქვეყანას „ყველა სფეროში უნიკალური თანმშრომლობა“ ჰქონდათ დამყარებული და ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური, საინვესტიციო და სამხედრო კავშირების სიმტკიცე იდეალური. თურქეთმა და ყატარმა სპარსეთის ყურის რეგიონსა და არაბულ სამყაროში მიმდინარე მოვლენების ფონზე, დაამტკიცეს თურქულ-ყატარული სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა. ანკარას და დოჰას მომავალშიც მოუწევს ერთმანეთთან კონსულტაციების გამართვა, თუ როგორ რეაგირებას მოახდენენ სპარსეთის ყურის რეგიონის მოვლენებზე და ასევე, მთლიანად არაბულ და ისლამურ სამყაროზე. საფიქრებელია, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ურთიერთობების დათბობის ნიშნები უკვე არსებობდა (ან მზადდებოდა) და ყატარ-თურქეთის ტანდემმა გაითვალისწინა ყოველივე. მართლაც, 2020 წლის ნოემბერში „დიდი ოცეულის“ სამიტის მსვლელობისას ერთგვარი „დათბობის“ ნიშნები გამოიკვეთა, როდესაც საუდის არაბეთის მეფე სალმან იბნ აბდულ-აზიზ ალ-საუდსა და თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანს შორის სატელეფონო საუბარი შედგა. ამის შემდეგ, გაიმართა შეხვედრა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუსა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრს უფლისწულ ფაისალ იბნ ფარხან ალ-საუდს შორის, რომლის შემდეგაც მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ „თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის მტკიცე პარტნიორობა სასარგებლოა არა მარტო ორი ქვეყნისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის“. საუდის არაბეთის მიერ 2020 წელს დაწყებული სანქციური ზეწოლა თურქულ ეკონომიკაზე, რომელიც კრძალავდა თურქული წარმოების ყველა საქონლის შეტანას საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, ძალიან მძიმედ დააწვა თურქულ საგარეო ვაჭრობას და ბევრი ბიზნესმენი ჩიოდა, რომ საუდის სამეფომ მთელი იმპორტის საქონელი დაბლოკა. საუდის არაბეთში თურქულ საქონელზე არაოფიციალური ბოიკოტი კვლავ შენარჩუნებულია და ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა.

საინტერესოა, რომ თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზება სპარსეთის ყურის კიდევ ერთმა წამყვანმა სახელმწიფომ, გაერთიანებულმა არაბულმა ემირატებმა, თავისი საგარეო საქმეთა საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ანვარ მუჰამად ყარყაშის სიტყვებით გააჟღერა, რომელმაც 2021 წლის 10 იანვარს აღნიშნა, რომ მის ქვეყანას არ გააჩნია საფუძველი თურქეთთან ღია კონფლიქტი ჰქონდეს. მან ასევე დაამატა, რომ ემირატების მთავრობა მზადაა თურქეთის ხელისუფლებას აცნობოს თავისი სურვილი: „დამყარდეს ნორმალური ურთიერთობები ერთმანეთის სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე“. ემირატების სახელმწიფო მინისტრმა ანვარ ყარყაშმა განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული ემირატები თურქეთის ნომერ პირველი სავაჭრო პარტრნიორია ახლო აღმოსავლეთში და აქვე მოუწოდა თურქეთს, შეწყვიტოს „ძმები-მუსლიმების“ მხარდაჭერა და აღადგინოს ურთიერთობები არაბულ სამყაროსთან *(თუჰქეთსა და ემიჰატებს შოჰის დიპლომატიუჰი უჰთიეჰთობები გაუაჰესდა მას შემდეგ, ჰაც თუჰქეთის მმაჰთვეღმა პაჰტიამ AKP მხაჰდაჭეჰა გამოუცხადა „ძმებ-მუსღიმებს“ აჰაბუღი გაზაფხუღის პეჰიპეტიების ღჰოს).*

თურქეთს აწყობს სპარსეთის ყურის არაბულ მონარქიებთან „გადატვირთოს“ თავისი ურთიერთობები, რაც დაეხმარება მას არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების სტიმულირებისათვის. სინამდვილეში, თურქეთის დღევანდელი პოლიტიკისთვის, ეკონომიკური და მატერიალური ინტერესები სხვა ინტერესებზე მაღლა დგას. სწორედ აღნიშნული მიზეზების გამო, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ბოლოდროინდელი ცვლილებები, არ ნიშნავს საუდის არაბეთთან ან ეგვიპტესთან მისი შესაძლებელი დაახლოვების სტაბილურ მდგომარეობას. აღნიშნულმა ქვეყნებმა მშვენივრად იციან, რომ თურქეთის პოლიტიკის ბოლო

ცვლილებები, უფრო ტაქტიკურ ხასიათს ატარებენ და თურქეთი კვლავ შეიძლება ძველ პოლიტიკას დაუბრუნდეს, თუ უფრო შესაფერისი შესაძლებლობები გამოჩნდა. თავის მხრივ, თურქეთსაც მშვენივრად ესმის, რომ საუდის არაბეთსა და ეგვიპტესაც გააჩნიათ მთელი რიგი პრეტენზიები თურქეთის მმართველი AKP -ს საგარეო პოლიტიკის ნარატივზე და აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ დაუპირისპირდნენ მას. საუდის არაბეთი, ემირატებსა და ეგვიპტესთან ერთად ელოდებიან თურქეთის მხრიდან არაბული ქვეყნების საქმეებში ჩარევისა და თავისი ინტერვენციული პოლიტიკის შეწყვეტას. არაბი პოლიტიკური ექსპერტები თვლიან, რომ თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობები ფაქტიურად არ უმჯობესდება. მათივე მოსაზრებით, საუდის არაბეთს ყველაზე მეტად ერდოღანის ნეოოსმანური ამბიციები აშფოთებს, რასაც ემატება თურქული ისლამიზმის ბოლოდროინდელი აღმავალი სვლა. თავის მხრივ ცნობილია, რომ თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის ტრადიციული მიდგომა საუდის არაბეთის სახელმწიფოს მიმართ, ეფუძნება საუდების სამეფო კარის წინაშე მოწიწებას, რადგანაც საუდის არაბეთის მეფე *(1986 წლის 27 ოქტომბრიდან მეფე ფაჰდის განკარგულებით)* ისლამის წმიდა ადგილების მცველად ითვლება მექასა და მადინაში *(ერდოღანს კარგად ახსოვს, რომ ამ წმიდა ადგილების მცველის მოვალეობას ოთხი საუკუნის მანძილზე ოსმალეთის სულტნები, იგივე ხალიფები ასრულებდნენ).*

2021 წლის 10 მაისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ ორდღიანი ვიზიტით ეწვია საუდის არაბეთს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, ეს მინისტრის პირველი ვიზიტი იყო სამეფოში. ვიზიტის განხორციელება გადაწყდა სალმან მეფისა და ერდოღანის სატელეფონო საუბრის შედეგად და მაღალი რანგის წყაროს განცხადებით - „ ამ ვიზიტით შეიძლება დაიწყოს ურთიერთობების ახალი პერიოდი“. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი, მართალია საუდის არაბეთის მეფის სალმან იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდის მიმართ პატივისცემას ინარჩუნებს, მაგრამ ქვეყნის ფაქტიურ მმართველის, მემკვიდრე-უფლისწულის მუჰამად იბნ სალმანის გულის მოგებას ცდილობს, რომელსაც ჯამალ ხაშუკჯის 2018 წლის მკვლელობის ინიციატორად აცხადებდა. როიტერის წყაროს მიხედვით, ჩავუშოღლუს ეს ვიზიტი 2018 წლის შემდეგ დაწყებული კრიზისის შედეგების ჩაფარცხვის მცდელობასთან არის დაკავშირებული. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ გაჭიანურებული კრიზისის მიზეზი იმალება ანკარის დიპლომატიური მანევრების გართულებული სივრცის კულუარებში. საბოლოო ჯამში ნათელი ხდება, რომ თურქეთ-საუდის არაბეთს და თურქეთ-ეგვიპტეს შორის მიმდინარე კონსულტაციები - ინტერესების დიალოგია და არა ნდობის დიალოგი.

მევლუთ ჩავუშოღლუ

არაბული სამყაროს წამყვანი სახელმწიფო ეგვიპტე, ისრაელის პარტნიორ ქვეყნადაც გვევლინება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგორესურსების მოპოვების საკითხებში და ალიანსიც შედგა მათ შორის, რომელშიც საბერძნეთი და კიპროსიც მონაწილეობენ. *თუჰქეთს მეტი საფიქჰაღი გაუჩნდა?!* ამიტომ, დღეისათვის რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თურქეთი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საშუალებებს ეგვიპტესთანაც ეძებს *(გაწყვეტილია 2013 წლის აგვისტოდან).* თურქეთი თუ მუსლიმებით დასახლებული პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც 1949 წელს ისრაელი სცნო, ეგვიპტე პირველი არაბული ქვეყანა იყო, რომელმაც 1980 წლის 26 თებერვალს დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა ისრაელთან და მისი დამოუკიდებლობა ოფიციალურად სცნო.

თურქეთის რესპუბლიკამ ეგვიპტესთან დიპლომატიური ურთიერთობა 1925 წელს დაამყარა, მართალია დროებითი რწმუნებულების დონეზე, მაგრამ 1948 წელს უკვე სრულუფლებიანი ელჩების რანგში ჩამოყალიბდა. „ცივი ომის“ პერიოდში ქვეყნებს შორის ურთიერთობები დაძაბული იყო, თურქეთის „ბაღდადის პაქტის“ სამხედრო ალიანსის წევრობის გამო *(ეგვიპტის პჰეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი სოციალისტი და „პანარაბიზმის“ მიმდინარეობის ღიდერი იყო).*

XXI საუკუნეში თურქეთსა და ეგვიპტეს შორის ურთიერთობები რეგიონული პრობლემებით იყო შემოფარგლული: პალესტინის საკითხი; „ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ მუშაობაში მონაწილეობა; ასევე, ორივე ქვეყანა ხმელთაშუა ზღვის კავშირის სრულუფლებიანი წევრია. 2005 წლის დეკემბერს ხელი მოეწერა ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, ხოლო 2008 წლის 16 აპრილს ეგვიპტესა და თურქეთს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი სამხედრო თანამშრომლობის გაუმჯობესებისა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით. „არაბული გაზაფხულის“ შედეგებმა, ახლებურად დააყენა თურქეთისა და ეგვიპტის ურთიერთობების დინამიკა. 2011 წლიდან ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის ჩამოგდებისა და დაპატიმრების შემდეგ, ქვეყანაში იმძლავრა საერთაშორისო პანისლამური ორგანიზაციის „ძმები მუსლიმების“ *(2013 წლიდან ტეჰოჰისტულ ოჰგანიზაციად ახის აღიარებული და აკჰძალულია ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, ემირატებში, ბაჰრეინში, ჰუსეთში, სირიაში, ტაჯიკეთში)* საკმაოდ მრავალრიცხოვანმა მომხრემ და 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ორგანიზაციის ლიდერი მუჰამედ მურსი, რომელიც ეგვიპტის პრეზიდენტის მოვალეობის აღსრულებას 2012 წლის 30 ივნისს შეუდგა. ამ ფაქტმა მეტად დადებითი ემოციები

გამოიწვია თურქეთის ხელისუფლებაში, ვინაიდან თურქეთის მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ იდეოლოგიური კრედო და მიზნები, ძირითადად ემთხვევა „ძმები მუსლიმების“ დირექტივებს. რეჯებ ერდოღანმა სიხარულით აღიქვა პანისლამისტური ძალების მოსვლა ეგვიპტის ხელისუფლებაში და მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას აპირებდა მასთან. მაგრამ მუჰამედ მურსის მმართველობამ სამხედროებისა და ეგვიპტის მოსახლეობის ძირითადი მასების უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც 2013 წლის 3 ივლისის სამხედრო გადატრიალება მოჰყვა, რის შედეგადაც მუჰამედ მურსი გადააყენეს და პასუხისგებაში მისცეს. აღნიშნულ სამხედრო გადატრიალებას ხელმძღვანელობდა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ქვეყნის თავდაცვის მინისტრი აბდელ ფათაჰ ას-სისი. მუჰამედ მურსის გადაყენების ფაქტს თურქეთის მთავრობის მეთაური ერდოღანი დიდი უკმაყოფილებით შეხვდა და ეგვიპტის დროებით მთავრობასთან დაძაბული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ რეჯებ ერდოღანის „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“, მუჰამედ მურსის „ძმები მუსლიმების“ თურქულ ვარიანტს წარმოადგენს. იმ პერიოდში, ერდოღანმა თურქეთში გაქცეულ „ძმები მუსლიმების“ ჯგუფის წევრებს თავშესაფარი მისცა და მხარს უჭერდა მათ ნებისმიერ ინიციატივებს ეგვიპტის ხელისუფლების წინააღმდეგ. შედეგად, თურქეთი ფაქტიურად ეგვიპტის ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ოპოზიციის ბაზად იქცა, რომელიც ხელს უწყობდა ორ ქვეყანას შორის წარმოქმნილი კრიზისის ესკალაციას. ეგვიპტე კარგა ხნის მანძილზე, თურქეთს რეგიონულ მოწინააღმდეგედ განიხილავდა და ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალა მისი გავლენის აღმავლობისთვის, განსაკუთრებით ლიბიაში, სირიაში, სუდანსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

2013 წლის აგვისტოში, ეგვიპტეში ხალხმრავალი საპროტესტო აქციები წამოიწყეს ორგანიზაცია „ძმები მუსლიმების“ მომხრეებმა, რასაც მთავრობის უშიშროებისა და პოლიციის ძალების მხრიდან სასტიკი დარბევა მოჰყვა და შეტაკებების შედეგად დაიღუპა 638 ადამიანი, მათ შორის 43 პოლიციელი. აღნიშნული სისხლიანი ინციდენტის შემდეგ, თურქეთმა და შესაბამისად ეგვიპტემაც, თავისი ქვეყნების ელჩები გამოიხმეს, რასაც მოჰყვა ერდოღანის შეურაცხმყოფელი რეპლიკები ეგვიპტის მთავრობის მიმართ და მან ეს მოვლენები „ანტიდემოკრატიულად“ და ხალხის „ხოცვა-ჟლეტად“ გამოაცხადა. ამასთანავე, ერდოღანი საერთაშორისო არბიტრაჟისგან მოითხოვდა ეგვიპტის მთავრობის მეთაურთა დასჯას „სამართლიანი და გამჭვირვალე სასამართლო პროცესის“ ჩატარების შედეგად. ერდოღანმა თავისი პარტიის გაერთიანებულ კონფერენციაზე ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს ბრალი დასდო, ისრაელთან გარიგებაში, მუჰამედ მურსის მთავრობის დამხობის მიზნით და განაცხადა, რომ მას ხელთ აქვს „მტკიცებულებები... რაც მოხდა ეგვიპტეში, მის უკან ისრაელი დგას“. ერდოღანის მოთხოვნები უარყოფილ იქნა ეგვიპტის დროებითი მთავრობის მიერ და მის აღნიშნულ განცხადებებს „უსაფუძვლო“ და „ეგვიპტის ერთიანობისთვის მიმართული დარტყმა“ უწოდა. ერდოღანი არ ცხრებოდა დროებითი მთავრობის კრიტიკაში და მოითხოვდა მუჰამედ მურსის სასწრაფოდ გათავისუფლებას. ამ პერიოდში ეგვიპტის პრეზიდენტის მოვალეობას დროებით ასრულებდა ადლი მანსური. ეგვიპტის პრესაში ათეულობით სტატია იბეჭდებოდა, სადაც ადანაშაულებდნენ თურქეთს, მის მიერ „სომეხთა გენოციდის“ ფაქტის უარყოფაში და აქვე ისმოდა მოწოდებები, რომ ქაიროში დაიდგას გენოციდის მსხვერპლთა მემორიალური ძეგლი.

2014 წლის 26-28 მაისს ეგვიპტეში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და მასში გამარჯვების შემდეგ, 2014 წლის 8 ივნისს ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა გენერალი აბდელ ფათაჰ ას-სისი. 2014 წლის ივლისში ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც დაადანაშაულა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის, აკრძალული ორგანიზაციის მხარდაჭერისა და ქვეყნის პრეზიდენტის

აბდელ ფათაჰ ას-სისის „არაკანონიერ ტირანად“ მოხსენიების გამო. 2014 წლის სექტემბერში ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა სამეჰ შუქრიმ გააუქმა თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ ერდოღანთან *(28 აგვისტოდან უკვე თურქეთის პრეზიდენტი)* თვით ერდოღანის თხოვნით დაგეგმილი შეხვედრა, მას შემდეგ, რაც გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე თურქეთის პრეზიდენტმა ეგვიპტის მთავრობა გააკრიტიკა. ეგვიპტის პრეზიდენტმა ას-სისიმ გააუქმა თურქეთთან „რო-რო“-ს შეთანხმება და არ მისცა თურქეთს იმის საშუალება, რომ ეგვიპტის პორტების გამოყენებით, თურქული კონტეინერების ტრანსპორტირება განხორციელებულიყო სპარსეთის ყურის მიმართულებით.

აბდეღ ფათაჰ ას-სისი

ეგვიპტისა და საუდის არაბეთის მიერ წარმოებულმა ინტენსიურმა კამპანიამ, თურქეთს ხელი შეუშალა კვლავ გამხდარიყო გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრი, არა და, თურქეთი დარწმუნებული იყო იოლ გამარჯვებაში. 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, პრეზიდენტმა ერდოღანმა ინტერვიუ მისცა ტელეარხ ალ-ჯაზირას და როცა მსხვერპლის შესახებ ჩამოვარდა საუბარი, მან განაცხადა, რომ „პრეზიდენტ ას-სისის დემოკრატიასთან არაფერი აკავშირებს და მან დახოცა ათასობით თავისი ხალხი“. ეგვიპტის საგარეო უწყებამ ოფიციალური განცხადებით უპასუხა, რომ თურქეთის პრეზიდენტი „აგრძელებს დასმული კითხვის შინაარსის დამახინჯებას და კარგავს ჯანსაღი მსჯელობის უნარს“. 2017 წლის 22 ნოემბერს ეგვიპტის მთავარმა პროკურორმა ბრძანება გასცა დაეკავებინათ 29 პიროვნება, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ თურქეთის სახელით ეგვიპტის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებებში და ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში. მთავარი დაზვერვის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგების თანახმად, ჯგუფი იწერდა სატელეფონო საუბრებს და ინფორმაციას გადასცემდა თურქულ დაზვერვას, „ძმები მუსლიმების“ ეგვიპტის ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმის ფარგლებში.

2019 წლის 17 ივნისს სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს, გულის შეტევით გარდაიცვალა ეგვიპტის ექს-პრეზიდენტი მუჰამედ მურსი. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა, მუჰამედ მურსის გარდაცვალება მთლიანად ეგვიპტის მთავრობას დააბრალა და იგი „წამებულად“ შერაცხა. მუჰამედ მურსის რეჟიმის დამხობის შემდეგ დაწყებულმა „ძმები მუსლიმების“ ორგანიზაციის შევიწროვებისა და პოლიტიკური დევნის გამო, ბევრი მისი წევრი თურქეთმა მიიღო, დღესაც ყოველნაირად ეხმარება მათ და არ თმობს თავის იდეოლოგიურ პოზიციებს.

აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგეტიკული რესურსების ძიებისა და მათი შემდგომი დამუშავების საკითხებში, თურქეთი თავისი ტერიტორიული წყლების გარდა, პრეტენზიებს აცხადებს ხმელთაშუა ზღვის იმ ნაწილებზეც, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა, კერძოდ კიპროსის საკუთრებას წარმოადგენენ. თურქეთის ძალზე დაჟინებული მცდელობები, რომ თავის

საკუთარი ეკონომიკური მოთხოვნილებები და რეგიონული ლიდერის იმიჯი მაქსიმალურად გაამართლოს, რეგიონის დანარჩენი ქვეყნებისთვის რთულ და საფრთხის შემცველ სიტუაციას ქმნიან. აქედან გამომდინარე, 2019 წლის იანვარში იტალიის, ეგვიპტის, საბერძნეთის, კიპროსის, ისრაელის, იორდანიის და პალესტინის ენერგეტიკის მინისტრები შეიკრიბნენ ქაიროში აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონის „გაზის ფორუმის“ შესაქმნელად, შტაბ-ბინით ეგვიპტის დედაქალაქში. ფორუმის მონაწილე-სახელმწიფოები შეთანხმდენენ, პატივი სცენ ერთმანეთის ინტერესებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად და ასევე გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირონ ერთმანეთის ძალისხმევას ენერგეტიკული მოთხოვნილებების უზრუნველყოფის საკითხებში. შეხვედრაზე ეგვიპტის ნავთობის მინისტრმა თარიქ ალ-მულლამ განაცხადა, რომ „გაზის ფორუმს“ შეუძლია მიერთდეს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ეთანხმება დამფუძნებელი სახელმწიფოების მიერ დამტკიცებულ პირობებს. აღნიშნული ფორუმის იდეები, ალბათ თვითონვე მიხვდით, რომ არანაირად არ შეეფერება თურქეთის ინტერესებს. ფორუმის დასრულებისთანავე, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „სხვა საერთაშორისო სუბიექტები ვერ ჩაატარებენ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს იმ რაიონებში... ბერძნული კიპროსი, ეგვიპტე, საბერძნეთი და ისრაელი ვერ შეძლებენ გაზსადენის გაყვანას თურქეთის წინასწარი ნებართვის გარეშე“. ამის შემდეგ ძალიან მალე, თურქეთმა ხმელთაშუა ზღვაში დაიწყო ნავთობისა და გაზის საბადოების უკანონო ბურღვა.

2019 წლის 27 ნოემბერს ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანისა და „ლიბიის ეროვნული თანხმობის“ მთავრობის თავმჯდომარის ფაიზ სარაჯის ხელმოწერით დაიდო სამხედრო და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის და ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში სასაზღვრო ზონების დადგენის შეთანხმება ორ სახელმწიფოს, თურქეთსა და ლიბიას შორის. აღნიშნული მემორანდუმის ხელმოწერამ, რომელიც აღიარებს თურქეთის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის პრეცედენტს, არსებითად გაამწვავა ურთიერთობები „გაზის ფორუმის“ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ეგვიპტესთან. თუმცა, ეგვიპტესა და თურქეთს შორის დაპირისპირების კიდევ ერთი და სერიოზული მიზეზი არსებობს - ლიბიის საკითხი. „არაბული გაზაფხულის“ შედეგად, ლიბიის უცვლელი დიქტატორის მუამარ კადაფის მკვლელობის *(2011 წლის 20 ოქტომბერი)* შემდეგ, ქვეყანაში დაიწყო შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, ნავთობის სარეწების დატაცების, გავლენის სფეროებისა და ტერიტორიული გადანაწილების შეუქცევადი საბრძოლო პროცესი. 2014 წელს ქვეყანაში აშშ-დან დაბრუნდა კადაფისდროინდელი სამხედრო კადრის გენერალი ხალიფა ჰაფთარი, რომელმაც თავის თავზე აიღო ქვეყნის დაწყნარებისა და კანონიერების დამკვიდრების უზრუნველყოფა. ჰაფთარმა შეძლო ძველი სამხედრო კადრების მობილიზება, მოსახლეობის მხარდაჭერაც მოიპოვა და თავისი დიდი სამხედრო გამოცდილების ხარჯზე მოახერხა ლიბიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე კონტროლის დამყარება, ბენღაზისა და ტობრუკის პორტების ჩათვლით. ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლის გარშემო „ისლამისტების“ დაჯგუფებები გაერთიანდნენ „ძმები მუსლიმების“ ორგანიზაციის მებრძოლებთან, სადაც ერაყსა და სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებისა და დაშლის შემდეგ გადარჩენილი ჯიჰადისტების ნაწილმა ჰპოვა თავშესაფარი. გაეროს ჩარევის შედეგად, 2015 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა ორი სახელისუფლო დროებითი სტრუქტურა *(ტრიპოლიში - „ეროვნული თანხმობის მთავრობა“ ფაიზ სარაჯის მეთაურობით, ხოლო ტობრუკში - წარმომადგენლობათა პალატა აკილა საღაჰის მეთაურობით)*, რომელსაც 2017 წლის დეკემბერში უნდა ჩაეტარებინა საყოველთაო არჩევნები და ქვეყანაში საბოლოოდ დამყარებულიყო მშვიდობა და წესრიგი. ტრიპოლის მთავრობაზე გავლენა დაამყარეს „ძმებმა მუსლიმებმა“ და რადიკალური ისლამის

მიმდევრებმა, რის გამოც თურქეთის AKP მთავრობის სიმპატიითა და იდეოლოგიური მხარდაჭერით სარგებლობდა, ხოლო ტობრუკის მთავრობა უფრო თანამედროვე და პროგრესული გზით განვითარებას გეგმავდა და ეგვიპტის, საუდის არაბეთის და გართიანებული არაბული ემირატების *(და ხუსეთის)* მხარდაჭერა ჰქონდა. ლიბიაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის მდგომარეობა თანდათან უფრო იძაბებოდა და შეთანხმება ქვეყნის გაერთიანებაზე ვერ ხერხდებოდა, ფელდმარშალმა ხალიფა ჰაფთარმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ლიბიის ეროვნულ არმიას, 2019 წლის 4 აპრილს დაიწყო შეტევა ტრიპოლიზე და თანდათან მიუახლოვდა დედაქალაქს. ლიბიაში განახლდა სამოქალაქო ომი, რომელშიც თანდათან ერთვებოდნენ გარეშე ძალები და ყველა მათგანს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა. სწორედ ამ დროიდან გაჩნდა თურქეთსა და ეგვიპტეს *(თუჰქეთსა და ჰუსეთს, თუჰქეთსა და ემიჰატებს)* შორის ინტერესების გადაკვეთის კიდევ ერთი ცხარე მონაკვეთი, რასაც ლიბიის სამოქალაქო ომი წარმოადგენს. ეგვიპტე მხარს ჰაფთარის ძალებს უჭერდა, რომ დროზე დამთავრებულიყო ეს ომი და ლიბია-ეგვიპტის 1200 კმ. სიგრძის საზღვრის გაკონტროლება შესძლებოდა, რათა ლიბიის ტერიტორიაზე მოქმედი ისლამისტური დაჯგუფებებისა და „ძმები მუსლიმების“ ტერორისტთა თარეშისთვის ბოლო მოეღო. თურქეთი, ფაიზ სარაჯის მთავრობას აწვდიდა მძიმე სამხედრო ტექნიკას: ფეხოსანთა ჯავშნოსან მანქანებს, საზენიტო დანადგარებს და თვითმავალ ქვემეხებს *(უპიღოტო საფჰენ აპაჰატებსაც)* გემებით, რომელთა დოკუმენტაციაში აღნიშნული იყო ლიბიისთვის სამშენებლო მასალისა და ბავშვთა სათამაშოების მიწოდების შესახებ. ლიბიის სამოქალაქო ომში, შეიძლება ითქვას, თურქეთის ინტენსიური და აქტიური სამხედრო ჩარევის შედეგად იქნა შეჩერებული ხალიფა ჰაფთარის არმია ტრიპოლის მისადგომებთან. თურქეთი მოლაპარაკებას აწარმოებდა ფაიზ სარაჯის მთავრობასთან, რომ ტრიპოლისთან ახლოს გაიხსნას თურქული სამხედრო ბაზა, რომელზეც განთავსდება თურქეთის სპეციალური დანიშნულებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების რაზმები, ასევე შეიქმნას ასაფრენი და დაშვების ზოლი. თურქეთის მხრიდან წარმატებული ნაბიჯები ლიბიის კონფლიქტში, კიდევ ერთ უპირატესობას აძლევს მას, რათა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგეტიკული საბადოების ძიება-ბურღვასა და გადანაწილებაში, თავისი ინტერესების შესაბამის დადებით შედეგებს მიაღწიოს.

შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ 2019 წლის 27 ნოემბრის გარიგებამ ლიბიის (ტრიპოლის) მთავრობასა და თურქეთის ხელისუფლებას შორის - ხმელთაშუა ზღვის აკვატორიის საზღვრების დადგენა, თურქეთისთვის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩაბარება, ასევე თურქეთის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებული ძალების განთავსება ლიბიის ტერიტორიაზე, მოსალოდნელია მრავალ ახალ გეოპოლიტიკურ რთულ კითხვებს დაუდოს სათავე.

ლიბიის კონფლიქტის მოგვარების საკითხში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის იან კუბიშის ენერგიული ქმედებების შედეგად, ლიბიაში არსებული განხეთქილება დაძლეულია *(გაეჰოს სპეციაღუჰი დეღეგაცია თვეების განმავღობაში მუშაობს ღიბიაში ცეცხღის შეწყვეტის მდგომაჰეობის გაკონტჰოღებისა და მზაღყოფნას გამოთვამს ყოვეღნაიჰაღ შეუწყოს ხეღი გაჰდამავაღ მთავჰობას მუშაობაში)*. 2021 წლის 5 თებერვალს ლიბიის პოლიტიკური დიალოგის ფორუმმა შექმნა ლიბიის „ახალი დროებითი აღმასრულებელი საბჭო“ - ეროვნული ერთიანობის მთავრობა, რომელიც ქვეყანას უხელმძღვანელებს 2021 წლის 24 დეკემბრამდე, ანუ ქვეყნის საყოველთაო არჩევნებამდე. 2021 წლის 16 მარტს ფაიზ სარაჯმა ტრიპოლიში მეგობრულ ვითარებაში, მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებანი გადასცა ახალ პრემიერ-მინისტრს აბდულჰამიდ ად-დბეიბას, რომელიც 2020 წლის ოქტომბრიდან დროებით ასრულებდა პრემიერის მოვალეობას. საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა მუჰამედ ალ-მანფი. ასევე, გაეროს წარმომადგენლობა ლიბიაში, სერიოზულად აყენებს უცხოული

სამხედრო კონტინგენტის გაყვანის საკითხს ლიბიის ტერიტორიიდან.

ლიბიის შიდაპოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, ეგვიპტის ახლო ურთიერთობები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ენერგეტიკული საბადოების ტერიტორიული შელფების მოსაზღვრე ქვეყნებთან, განსაკუთრებით საბერძნეთთან და კიპროსთან, რაც ძალზე რთულ და განყენებულ მდგომარეობას უქმნის თურქეთს, რომელსაც თავისი ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნია აღნიშნული რეგიონის მდიდარი საბადოების მიმართ. ამიტომ თურქეთისთვის აუცილებელი ხდება, გამოინახოს კონტაქტების საშუალება, რეგიონის ყველაზე წონად „ფიგურანტთან, კერძოდ ეგვიპტესთან, რომელსაც საბერძნეთთან 2020 წლის 5 აგვისტოს ქაიროში შეთანხმება აქვს დადებული ორ ქვეყანას შორის საზღვაო საზღვრების დემარკაციის შესახებ *(აღნიშნული შეთანხმების საზღვაო საზღვრები თურქეთ-ლიბიის ხელშეკრულების საზღვაო საზღვრებს კვეთს).* თუ გავითვალისწინებთ, რომ 2021 წლის თებერვალში ლიბიის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებითი შემსრულებლი აბდელჰამიდ ად-დბეიბა, ქაიროს ეწვია და ეგვიპტის პრეზიდენტთან ას-სისისთან შეხვედრაზე განიხილეს ის საკითხები, რომლებიც ეგვიპტისთვის არის მნიშვნელოვანი. ამიტომ არ არის გასაკვირი, როდესაც 12 მარტს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ აანონსებს ეგვიპტესა და თურქეთს შორის დიპლომატებისა და დაზვერვის სამსახურების „მაღალი დონის“ მოლაპარაკებებს. ეგვიპტის მხარემ აღნიშნული ინფორმაცია ფაქტიურად დაადასტურა, როდესაც ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა სამიჰ შუქრიმ აღნიშნა, რომ „თურქეთის მხრიდან რეგიონში სტაბილიზაციის დამყარების რეალური მოქმედებების, ეგვიპტის მოქმედებებთან პარალელურად შესაბამისობის შემთხვევაში, შეიძლება იქცეს ურთიერთობების ნორმალიზების საფუძვლად“. შესაძლებელია, რომ მხარეების პოზიტიური მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეულ იქნას შეთანხმება აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიის გადანაწილების თაობაზეც კი. თურქეთისა და ეგვიპტის რვაწლიანმა მტრობამ და შუღლმა ის შედეგი მოიტანა, რომ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგეტიკული საბადოების კვლევა-ძიების უფლებების დაპირისპირებაში, ეგვიპტე დაუკავშირდა თურქეთის ტრადიციულ მეტოქეს საბერძნეთს. მანამდე ეგვიპტემ საზღვაო ეკონომიკური ზონების განსაზღვრის შეთანხმება კიპროსთან გააფორმა. ახლა კი, თურქეთი შეეჯახა მოწინააღმდეგეთა მრავალმხრივ ბლოკებს, რომელთაც შექმნეს EastMed მილსადენის პროექტი და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის გაზის ფორუმი, ცენტრით ქაიროში.

თურქეთის მხარე აქტიურად მოქმედებს, რათა ეგვიპტესთან ურთიერთობები აღადგინოს და რეგიონში არსებული უთანხმოებანი, ერთ-ერთ წამყვან ქვეყანასთან დაალაგოს. ამას მოწმობს მარტის შუა რიცხვებში თურქეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანის იბრაჰიმ კალინის ერთ-ერთ ინტერვიუში ეგვიპტის დახასიათება, როგორც „არაბული სამყაროს გული და აზრი“. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თურქეთი მზადაა ახალი სუფთა ფურცელი გახსნას ეგვიპტესა და სპარსეთის ყურის რიგ ქვეყნებთან.

იბრაჰიმ კალინმა აქვე დაამატა, რომ თურქეთის მიზნებისა და მიდგომების ცვლილება, ეგვიპტის პოლიტიკურ კურსთან შესაბამისობის შემთხვევაში, შესაძლოა ქვეყნებს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის საფუძველი გახდეს. თურქეთის დიპლომატიური სვლები მოწმობენ, რომ ანკარა ცდილობს ქაირო დაარწმუნოს საზღვაო საზღვრების დემარკაციის შეთანხმების ხელმოწერის სიკეთეში, რომელიც ეგვიპტეს უფრო მეტ საზღვაო ტერიტორიებს დაუბრუნებს, ვიდრე მან დათმო საბერძნეთსა და კიპროსთან ხელშეკრულების დადების დროს. თურქეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით საზღვრების განმეორებითი დადგენისას, ეგვიპტის ეკონომიკური ზონა ხმელთაშუა ზღვაში უფრო გაფართოვდება. ასეთ შემთხვევაში თურქეთი, რა თქმა უნდა, თავის განკარგულებაში კანონიერად მიიღებს ხმელთაშუა ზღვის ენერგეტიკული საბადოების საკმაოდ მდიდარ ნაწილს. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია პრეზიდენტების უშუალო

მოლაპარაკებები. ამჯერად, რეჯებ თაიფ ერდოღანისა და აბდელ ფათაჰ ას-სისის პირადი მტრობა, რომელმაც მწვავედ დაუპირისპირა ერთმანეთს ორი სახელმწიფო, და რომელიც, ალბათ კარგა ხანს ვერ გაუხსნის ფართო გზას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესს. ორივე ქვეყნის დიპლომატებს კარგად ესმით, რომ ორივე ქვეყანას დიდი ავტორიტეტი და პოტენციალი გააჩნია რეგიონის მასშტაბით, ამიტომ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ენერგეტიკული რესურსების რეგულირების პროცესის მშვიდობიანად წარმართვის საკითხებში თურქეთისა და ეგვიპტის დაახლოვების გარეშე, რაიმე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ორივე ქვეყნის დიპლომატიური ძალები არ იშურებენ მონდომებას მოლაპარაკებების გააქტიურების გზების ძიებაში. 2021 წლის 10 აპრილს სატელეფონო საუბარი გაიმართა ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრ სამეჰ შუქრისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს შორის, რომელშიც მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2021 წლის ივნისში გაიმართოს ორი ქვეყნის საგარეო უწყებების მაღალი დიპლომატიური რანგის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელიც სერიოზულ დონეზე იქნება მომზადებული და ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას ითვალისწინებს. სამეჰ შუქრიმ ხაზი გაუსვა, რომ მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ჟესტების ეტაპიდან, გადავიდეთ კონკრეტული პოლიტიკური ინიციატივების რეალიზაციის ეტაპზე, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობების ჩარჩოებს... და თან კოლეგას მიულოცა წმინდა რამაზანის თვის დადგომა.

სპარსეთის ყურის მონარქიებსა და ეგვიპტესთან ურთიერთობების პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების დარეგულირებას გარკვეული დრო დასჭირდება, რაც დამოკიდებული იქნება კონფლიქტების მოგვარებაზე სირიის, ლიბიის, ერაყის და ისრაელ-პალესტინის კრიზისული სიტუაციების სპეციფიკიდან გამომდინარე. თურქეთი, ოსმალეთის იმპერიის მდიდარ მემკვიდრეობაზე ორიენტირებული საგარეოპოლიტიკური კურსის ფარგლებში და ნეოოსმანური მიმართულების სპევიფიკიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში ეგვიპტისა და ლიბიის გარდა, სუდანის, ტუნისის, ჩადის, სომალის ქვეყნებთან ურთიერთობებშიც არ უარყოფს „ისტორიული გამოცდილების“ გაზიარებას. 2017 წლის ივნისის სპარსეთის ყურის კრიზისმა, საუდის არაბეთთან და რეგიონის მონარქიებთან (ყატარის გარდა) დაპირისპირებამ, თურქეთს უბიძგა აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროს და კერძოდ, წითელი ზღვის აკვატორიისთვის სტრატეგიული თვალით შეეხედა. 2017 წლის 4 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა აფრიკული ტურნე მოაწყო, რომლის ფარგლებშიც ეწვიაა სუდანს, ჩადს და ტუნისს. სუდანში ვიზიტის მეორე დღეს, წითელი ზღვის აკვატორიაში მოინახულა კუნძული სუაკინი, რომელიც ადრე ოსმალეთის იმპერიის კუთვნილებას წარმოადგენდა. ერდოღანმა თხოვნით მიმართა სუდანის პრეზიდენტ ომარ ალ-ბაშირს, თურქეთისთვის მიეცა უფლება, რათა მას კუნძულზე აღედგინა ისტორიული ობიექტები, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. სუდანის კუთვნილი კუნძული სუაკინი თურქეთს 99 წლის იჯარით გადაეცა, რაც შეიძლება ერდოღანის დიდ მიღწევად ჩაითვალოს. 2017 წლის 25 დეკემბერს სუდანელმა დეპუტატებმა თურქეთს მოუწოდეს, რომ სამხედრო ბაზა ააშენოს სუდანში. რეჯებ ერდოღანის სუდანში ვიზიტის შემდეგ, მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, სუდანში სამხედრო-საზღვაო ბაზის აშენებაზე თურქეთის თანხმობის შესახებ, თუმცა თურქეთის მთავრობა აკონკრეტებს, რომ მას მხოლოდ ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა სურს სუდანის სანაპიროზე. თურქეთს სინამდვილეში, სუდანის სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნა მეტად მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ უპირატესობას აძლევს, რათა აკონტროლოს უსაფრთხოების სისტემის მექანიზმები წითელი ზღვის აკვატორიაში. წითელი ზღვას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, როგორც მსოფლიო სავაჭრო-საზღვაო გზების განსაკუთრებით გადატვირთული წყლის არტერიების: სუეცის არხისა და ბაბ-ალ-მანდების სრუტის დამაკავშირებელი სხეული. სამხედრო-საზღვაო ბაზა

წითელ ზღვაში, თურქეთს საშუალებას მისცემს აკონტროლოს ეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონი. აღნიშნული სამხედრო-საზღვაო ბაზა შეძლებს აკონტროლოს სუეცის არხის მისადგომები და ამასთანავე, ახლოს იმყოფება ეგვიპტე-სუდანის სადავო ტერიტორიის „ხალაიბას სამკუთხედთან“, რომელზეც თურქეთი სუდანს ჰპირდება დახმარებას, რაც თავისთავად ეგვიპტის შეშფოთებას იწვევს. ეგვიპტის გაზეთმა „ალ-ვატანმა“, თურქეთ-სუდანის მოლაპარაკებაზე კუნძულ სუაკინის იჯარით გადაცემის შესახებ, ეგვიპტის საფრთხედ მიიჩნია და აღნიშნა, რომ თურქეთი „ოსმალეთის დღეების“ აღდგენას ლამობს და თურქეთის ასეთი ნაბიჯი ემუქრება ეგვიპტის ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებას. თურქეთის სამხედრო ბაზა წითელი ზღვის სანაპიროზე და სუაკინის კუნძულის ათვისება თურქეთის მიერ, ასევე არ სიამოვნებს საუდის არაბეთის მთავრობას. აქედან საკმაოდ ახლოა მექამდე და თურქეთის პრესა არ მალავს, რომ სუაკინის კუნძულს ჰაჯის შესრულების დროს გამოიყენებენ თურქი მომლოცველები მექაში მოგზაურობის გზის შესამოკლებლად *(თანაც აქედან ბევრად იაფი დაუჯდებათ).* თურქეთის სამხედრო-საზღვაო ბაზას სუდანში, საუდის არაბეთი მიიჩნევს თურქეთის ერთ-ერთ დამატებით ბერკეტად მის წინააღმდეგ, რომელიც როგორც ვიცით ეგვიპტესთან ერთად თურქეთის ძირითად კონკურენტებს წარმოადგენენ სუნიტურ სამყაროში. ერთი შეხედვით, თურქეთი ქმნის სტრატეგიულ სამკუთხედს: სპარსეთის ყურეში (ყატარი), ინდოეთის ოკეანეში (სომალი) და წითელ ზღვაში (სუდანი), რომლითაც იგი ალყაში აქცევს არაბეთის ნახევარკუნძულს?!

ახლა რაც შეეხება „აფრიკის რქის“ *(აფრიკის რქის ქვეყნებად ითვლებიან: ეთიოპია, სომალი, ჯიბუტი, ერიტრეა)* სახელმწიფოს სომალის. 2011 წელს სომალის დედაქალაქ მოგადიშოში თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ თაიფ რდოღანის სტუმრობა, პირველი არააფრიკელი ლიდერის ვიზიტი იყო 20 წლის განმავლობაში. თურქეთის აფრიკის კონტინენტზე შეღწევის პროცესი AKP -ს მთავრობაში მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გააქტიურდა *(2002 წელს თურქეთს 12 საელჩო ჰქონდა აფრიკაში, ღღეს 45 საელჩოა)*. 2015 და 2016 წელს ერდოღანი, უკვე პრეზიდენტის რანგში ზედიზედ ჩადის სომალიში, მეგობრად და მფარველად. 2016 წლის 3 ივნისს ერდოღანმა მოგადიშოში საზეიმოდ გახსნა თურქეთის საელჩოს ახლადაშენებული კომპლექსი და ამავე დროს, სომალის დედაქალაქში თურქეთის დახმარებით აშენებული ბავშვთა საავადმყოფო. ერდოღანს საკმაოდ ხალხმრავალი დელეგაცია ახლდა თან და თურქმა მეწარმეებმა ქვეყნის განვითარების მრავალი პროექტი წარმოადგინეს, რომელთაც სპონსორობას თურქეთის მთავრობა გაუწევს. თურქეთი, სომალისთან კავშირების განვითარებას განიხილავს, როგორც აფრიკასა და ისლამურ სამყაროშო თავისი სტრატეგიული გავლენის გაღრმავების ნაწილს. 2015 წლის ვიზიტის დღეებში, ერდოღანმა გააჟღერა თავისი გეგმა, სომალიში 10 ათასი სახლის აშენების შესახებ და... „ისლამური სამყაროს“ ლიდერის იმიჯი გაიმყარა. 2017 წელს 3 ოქტომბერს სომალის დედაქალაქ მოგადიშოში გაიხსნა თურქული სამხედრო ბაზა, სადაც სწავლება-წვრთნებს გაივლიან ადგილობრივი სამხედრო მოსამსახურეები. გახსნას ესწრებოდა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი ჰულუსი აქარი (დღეს თავდაცვის მინისტრი). ბაზის მშენებლობა თურქეთს $50 მლნ დაუჯდა, სადაც თურქი ოფიცრები წვრთნებს ჩაუტარებენ 10 ათასზე მეტ სომალის ჯარისკაცს. ზოგიერთი დიპლომატიური წყაროების მიხედვით, თურქეთის ეს არჩევანი ნაკარნახევია სომალისთან და ყატართან „წარმატებული ურთიერთობების დონით და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობით“. 2019 წლისთვის ათასობით სომალიელმა სამხედრო მოსამსახურემ გაიარა თურქულ ბაზაზე სწავლება-წვრთნები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა თურქულენოვანი პერსონალი სომალის უშიშროების ძალების რიგებში. ორივე ქვეყანამ ერთმანეთთან წარმატებულად დაამყარეს თანამშრომლობა ტრანსპორტის, მშენებლობის, თევზჭერის, ჯანმრთელობისა და ენერგეტიკის სფეროებში. თურქული საჰაერო ხაზების თვითმფრინავები კვირაში ორჯერ

ასრულებდნენ რეისებს მოგადიშოს მიმართულებით, ხოლო თურქეთის აეროპორტის ოპერატორმა სომალის მთავრობასთან ხელი მოაწერა კონტრაქტს, მოგადიშოს აეროპორტის მართვის უფლებაზე. თურქული სამხედრო ბაზის მშენებლობა სომალიში, სპარსეთის ყურის მონარქიულ სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესების შელახვად მიაჩნიათ, რის გამოც გაერთიანებული არაბული ემირატების მთავრობის ძალისხმევით, სომალის სეპარატისტულ რეგიონში „სომალილენდში“, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები აშენდა. ამ ნაბიჯით, ემირატებმა გაამყარეს თავისი კონტროლი ადენის ყურეზე, რამაც დაამუხრუჭა თურქეთის ნეოოსმანური ამბიციები „აფრიკული რქის“ რეგიონის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, სუდანიც და სომალიც, „არაბულ სახელმწიფოთა ლიგის“ წევრები არიან.

თურქეთი ყოველთვის აცხადებს, რომ მისი მოღვაწეობა სომალიში განპირობებულია, მხოლოდ სომალიელი ხალხისადმი უშურველი დახმარების სურვილით. მართლაც, ბოლო დრომდე სომალის საზოგადოების ყველა დონეზე დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ თურქეთის მთავრობის მხარდაჭერის მიმართ. ერთადერთი უკმაყოფილება ისმოდა „ალ-ყაიდას“ დაჯგუფებასთან დაკავშირებული „ალ-შაბაბ“ ორგანიზაციის მხრიდან. 2021 წლის იანვრის დასაწყისში სომალიში ჩქაროსნული გზატკეცილის მოგადიშო-აფგოიეს ერთ-ერთ მშენებარე მონაკვეთზე მოწყობილ ტერაქტს რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა. ცნობილი გახდა, რომ თავდასხმის სამიზნე ტრასის მშენებელი თურქი ინჟინრები იყვნენ. ერთი თურქი მოქალაქე და ორი სომალიელი პოლიციელი დაიღუპა. არიან დაჭრილებიც. ტერორისტული აქტი დაბრალდა ზემოხსენებული ტერორისტული ორგანიზაციის „ალ-შაბაბ“-ის ჯგუფს. თურქეთში 2002 წელს მოსული ახალი ხელისუფლება, რომელიც აღზრდილი იყო რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფუძვლებზე, თავისი საგარეო პოლიტიკის მრავალგანზომილებიანი ვექტორის ერთ-ერთ მნიშნელოვან მიმართულებად, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის არაბულ სამყაროსთან და ისლამურ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გააქტიურებას გულისხმობდა. 2003 წლიდან, პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა რეგიონის არაბული ქვეყნების მიმართ, „პოლიტიკურ ისლამიზმსა“ და „ნეოოსმანიზმის“ საფუძვლებზე აგებული საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარება დაიწყო. ქვეყნის მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP დოქტრინაში ჩადებული „მუსლიმური აზროვნების“ უპირობო აღიარებამ, პირადად ერდოღანის მიერ ისრაელის ხმამაღალმა კრიტიკამ და პალესტინელი ხალხის მხურვალე დამცველის როლში წარმოჩენამ, მას ბევრი არაბული ქვეყნის ლიდერებში პოპულარობა და პატივისცემა მოუპოვა. ამასთანავე თურქეთი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციებით დახმარების სფეროში „თურქულ მოდელს“ სთავაზობდა, რამაც ბევრი ქვეყნის ყურადღება მიიქცია და მათთან ეკონომიკური ურთიერთობები გაამყარა. თურქეთის ხელისუფლება, რომელიც გამოირჩევა თავის ამბიციურობით და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობებს ხშირად ახსენებს ოსმალეთის იმპერიის ძლიერების, ძველი დიდების, ისტორიული გამოცდილების და ტოლერანტობის შესახებ, თანდათან ცდილობს რეგიონის ლიდერი-ქვეყნის იმიჯი დაიმკვიდროს. მაგრამ 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ მოვლენების შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა: თურქეთმა, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს „ძმები მუსლიმების“ რადიკალური ისლამიზმის ორგანიზაციას, სპარსეთის ყურისა და ჩრდილოეთ აფრიკის *(მაშრიყისა და მაღრიბის)* ქვეყნების მთავრობების უკმაყოფილება გამოიწვია. სპარსეთის ყურის მონარქიებს, რომელთაც ნავთობისა და გაზის უზარმაზარი მარაგის გამო ბევრად უფრო მყარი ამბიციები გააჩნიათ, ვერ შეეგუებიან თურქეთის, როგორც რეგიონის ერთადერთი ლიდერის როლში ხილვას. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში წარმოშობილ კონფლიქტებსა და ცხელ წერტილებში *(პოლიტიკური, ტერიტორიული, ხელიგიური)*, თურქეთი მუდამ ცდილობს საკუთარი ინტერესებიდან

გამომდინარე, მომრიგებელ მხარედ ჩაერთოს, ხოლო ზოგჯერ კონფლიქტში ჩართულ ძალადაც გვევლინება, რაც რეგიონის წამყვანი სახელმწიფოების *(საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ირანი)* და სხვა დაინტერესებული ქვეყნების უკმაყოფილებას იწვევს. რეგიონში მძაფრ დაპირისპირებას იწვევს რელიგიური ფაქტორის გამო წამოწყებული კონფლიქტების გაღვივების მიზეზები, რაც ხშირად მსოფლიო წამყვანი და კოალიციური ძალების ჩართვასაც გულისხმობს და რეგიონის ქვეყნებს შორის გეოპოლიტიკური მდგომარეობის დაძაბვას უწყობს ხელს. ახლო აღმოსავლეთის წამყვანი სახელმწიფოები თურქეთი, საუდის არაბეთი და ირანი, რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების განხორციელების გზაზე, ხშირად მიმართავენ რელიგიური მრწამსის და მაზჰაბის დოქტრინებს, რომელთაც იყენებენ პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად. საუდის არაბეთი, თავისი სახელმწიფო რელიგია სალაფიზმით *(იგივე ვაჰაბიზმი, წმიდა ხაღიფების და წინაპრების მიწამსის მიმდევრობა)*, ისლამის წმიდა ადგილების მცველის და ისლამის სამშობლოს სახელით, ცდილობს სუნიტური მიმდინარეობის ისლამურ ქვეყნებზე გავლენის გაძლიერებას. თურქეთი, თავისი ეკონომიკური მიღწევებით, პოლიტიკური ამბიციების ძალის წარმოჩენით და წარსული დიდების, როგორც სუნიტური იმპერიის მემკვიდრენი, რეგიონის ისლამური ქვეყნების ლიდერობას ლამობს და ამ მიმართულებით აქტიურობს. ირანი - შიიზმის ცენტრი, გეგმაში აქვს ჩაფიქრებული „შიიტური სარტყელის“ (ერაყი, სირია, ლიბანი) განხორციელება და დიდ იმედებს ამყარებს *(ყველანაირად უწყობს ხელს)* არაბულ ქვეყნებში საკმაო რაოდენობის შიიტური მოსახლეობის გააქტიურებაზე. *ცნობისათვის: ერაყში, მოსახლეობის 60% და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი - შიიტია; სირიაში, მოსახლეობის 12-13% და მმართველი ხელისუფლება ალავიტია (შიიზმის ერთ-ერთი განშტოება); ლიბანში, მოსახლეობის 32% და პარლამენტის თავმჯდომარე, 27 პარლამენტარით - შიიტია; იემენში, მოსახლეობის 40% და ამბოხებული ჰუსიტები ზეიდიტები არიან (შიიტების განშტოება); ბაჰრეინში, მოსახლეობის 75% შიიტია, მაგრამ ხელისუფლება სუნიტია; საუდის არაბეთში, მოსახლეობის 15% შიიტია, რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ ნავთობით ყველაზე მდიდარ რეგიონში ალ-ჰასაში, სპარსეთის ყურის სანაპიროზე;* თურქეთისა და საუდის არაბეთის დაპირისპირებით და ერთმანეთის დასუსტებით, ირანს შეუძლია ისარგებლოს ამ სიტუაციით.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონს მუდამ ჰქონდა დიდი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, მაგრამ უკანასკნელი წლების აშშ-ის პოლიტიკის ახლოაღმოსავლური კონცეფცია სრული დატვირთვით ვერ მოქმედებდა, რამაც გარკვეული გავლენა იქონია რეგიონის ქვეყნების პოლიტიკაზე. ადგილობრივ სახელმწიფოებს, საუდის არაბეთს, განსაკუთრებით კი თურქეთს, შესაძლებლობა მიეცათ შეევსოთ ის ვაკუუმი, რომელიც რეგიონში აშშ-ის აქტიურობის შემცირებამ გამოიწვია. აღნიშნული ქვეყნები შეეცადნენ რეგიონში თავის ძლიერების გამოხატვის მიზნით, კონფლიქტურ სიტუაციებსა და შიდაპოლიტიკურ პერიპეტიებში ჩაბმულიყვნენ, რასაც ადრე აშშ-ის კარნახით აწარმოებდნენ. აშშ-ის და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან კონტროლის შემცირების კვალად, თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მისმა ზედმეტად გააქტიურებამ და რეგიონში სახიფათო სიტუაციების წარმოშობის მომატებულმა პრეცედენტებმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობები, ბოლო ხანს საკმაოდ დაძაბეს. რეგიონში მდგომარეობის გამწვავებაზე საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს 2021 წელს აშშ-ის მიერ ავღანეთის ტერიტორიის დატოვების გადაწყვეტილება, რაც შეიძლება ახალი მეტად სერიოზული ფეთქებადსაშიში დაპირისპირების მიზეზი გახდეს.

ლ ე ქ ც ი ა 12

(თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები. ერაყის ომი და სადამ ჰუსეინი. ჯორჯ ბუშის და ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდები. სირიის კრიზისი და ქურთები. 15 ივლისის გადატრიალების მცდელობა, ფეთჰულა გიულენი და ერდოღანი. ტრამპი და ბაიდენი)

ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ, განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საყრდენ პუნქტს რეგიონში, თურქეთი წარმოადგენს. ამერიკის გლობალური მიზნებისთვის, თურქეთის გეოგრაფიულ მდებარეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და თურქეთის ნატოს წევრი-ქვეყნის სტატუსი საშუალებას აძლევს მას იყოს: შავი ზღვის რეგიონის სტაბილიზაციის, იქიდან ხმელთაშუა ზღვისკენ გასასვლელის კონტროლირების, კავკასიისა და ბალკანეთის რეგიონებში რუსეთის გავლენის გაწონასწორების და ასევე ისლამური ფუნდამენტალიზმის განვითარების შემაკავებელი ძლიერი ფორპოსტი. ამ მიზნით თურქეთი, ნატოს ალიანსის გენერალური გეგმის თანახმად, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ეპიცენტრში იყო მოქცეული და განიხილებოდა, როგორც აშშ-ის და დასავლეთის ქვეყნების საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი ობიექტი. ნატოს ეგიდით სამხედრო სფეროში მაღალ დონეზე განვითარებული თურქეთი მჭიდროდ თანამშრომლობდა ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის ქვეყნებთან და სამხედრო კადრების მომზადება ძირითადად აშშ-ის და დასავლეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში მიმდინარეობდა, რამაც თურქეთში წარმოშვა საზოგადოების ელიტარული ფენა, სამხედროების სახით. გარდა იმისა, რომ არმია თურქეთის ტრადიციული საზოგადოების საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა, იგი ერთდროულად, ამ საზოგადოების ყველაზე ვესტერნიზებული ნაწილი იყო. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში სამთავრობო ან ეკონომიკური კრიზისები, სამხედრო ელიტის მიერ ორგანიზებული „სახელმწიფო გადატრიალებით“ მთავრდებოდა *(1960, 1971, 1980, 1997 წლებში).*

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა 1990-იან წლებში შექმნილი ისრაელისა და თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომელიც ორივე სახელმწიფოს პროდასავლურ ორიენტაციას ამტკიცებს და აშშ-ის სტრატეგიული გეგმების სამხედრო დასაყრდენსაც ქმნის. ამერიკის შეერთებულ შტატებს, კარგად აქვთ გათვითცნობიერებული თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა და მისი უნიკალური პოლიტიკური მოდელი, რომელიც ერთდროულად ითავსებს ზომიერი ისლამიზმისა და ლაიციზმის თვისებებს, რაც მას მეტად სასარგებლო პარტნიორად აქცევს, აშშ-ის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის გატარების პროცესში. თურქეთიც, თავისი საგარეოპოლიტიკური კურსის განსაზღვრისას, მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე თავის მოქმედებების კოორდინაციას ათანხმებდა აშშ-ის პოლიტიკურ ხედვებთან, ავითარებდა მასთან ორმხრივ თანამშრომლობას პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ წარმოშობილ ახალ საერთაშორისო სიტუაციაში, თურქეთმა კარგად იგრძნო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობა და ბუნებრივად გაუჩნდა საკუთარი, დამოუკიდებელი საგარეოპოლიტიკური კურსის წარმართვის სურვილი.

დასავლური სამყაროს ნაწილსა და „ნატოს“ ალიანსის წევრ თურქეთს, თავისი შეიარაღებული ძალების რიცხოვნობით, სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობით და ეკონომიკური მდგომარეობით, საშუალება ჰქონდა რეგიონში მისთვის ხელსაყრელი დიპლომატიური გარემო შეექმნა და საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებაზე ეზრუნა. XXI საუკუნის დადგომისას თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თანამშრომლობა პერმანენტულად ვითარდებოდა და თურქეთს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე და ეკონომიკურად აღმავალი განვითარებული ქვეყნის იმიჯი ჰქონდა შექმნილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებები და ვექტორები, ქვეყანას შეეძლო დამოუკიდებლად ჩამოეყალიბებინა და მათი განხორციელებისათვის ებრძოლა.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებზე ადრე უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ, აღნიშნული ტერორისტული აქტების შედეგად, როგორ განვითარდა ამერიკის შეერთებული შტატების და თურქეთის სამხედრო თანამშრომლობა. აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუში-უმცროსის გადაწყვეტილებაზე „მსოფლიო ტერორიზმთან“ ბრძოლის შესახებ ადრე მოკლედ მოგახსენეთ, თუ როგორ დასრულდა ავღანეთში ტალიბების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია. აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს 2003 წლის გაზაფხულზე გადაწყვეტილი ჰქონდა საერთაშორისო კოალიციის ჯარებით შეჭრილიყო ერაყში, დაესაჯა ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, დაემყარებინა დემოკრატიული რეჟიმი და ყოველივე ამ საქმეში თურქეთის, როგორც მოკავშირე-სახელმწიფოს მხარდაჭერას მოითხოვდა. ამასთან ერთად, ამერიკული სამხედრო დივიზია უნდა განთავსებულიყო თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ ერაყის საზღვრების გასწვრივ. თურქეთის მთავრობამ მიმართა ქვეყნის პარლამენტს, რომელსაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება, უცხოეთის მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტის (62 ათასი მებრძოლი) დისლოკაციიის ნებართვაზე თურქეთის სამხედრო ბაზებზე განლაგების შესახებ. 2003 წლის 1 მარტს თურქეთის დიდმა ეროვნულმა მეჯლისმა, სრულიად მოულოდნელად, ხმის უმრავლესობით უარჰყო აღნიშნული ინიციატივა, რაც თურქეთსა და აშშ-ის შორის ურთიერთობების სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა. მეჯლისის უარყოფით გადაწყვეტილებას დიპლომატიაში „1 მარტის მემორანდუმის“ უარყოფა ეწოდა. აშშ-ის მაღალი დონის სამხედრო მოღვაწეებმა გაიკვირვეს, რომ თურქეთის სამხედრო ელიტამ ვერ იმოქმედა სათანადოდ ქვეყნის სამოქალაქო (საკანონმდებლო) ინტიტუტებზე, ხოლო აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ პოლ ვულფოვიცმა აღნიშნულ ფაქტზე განაცხადა, რომ „თურქეთის მთავრობამ არ იცის რას სჩადის“. საქმე იმაში გახლდათ, რომ თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის უმრავლესობას მმართველი „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP დეპუტატები წარმოადგენდნენ, რომელთაც ჩრდილოეთ ერაყში ქურთების ავტონომიის მიმართ აშშ-ის პოლიტიკა ზედმეტად დამთმობი და ქურთების დამოუკიდებლობის წამქეზებლებად მიაჩნდათ, რაც თურქეთის ეროვნული ინტერესებისთვის საზიანოდ ითვლებოდა. თურქეთის მასმედია, კერძოდ გაზეთი „მილიეთი“ მეჯლისის გადაწყვეტილებას დადებითად შეხვდა და იგი დაახასიათა, როგორც „ცივი შხაპი ვაშინგტონისთვის“. გაზეთმა მეჯლისის ნაბიჯს „ისტორიული“ უწოდა, როგორც მოწმობა იმისა, რომ თურქეთს შესძლებია თავისი ნამდვილი, საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა.

2003 წლის 13 მარტს თურქეთის პრემიერ-მინისტრად რეჯებ თაიფ ერდოღანი აირჩიეს, რომლის შემდეგაც თურქეთის მთავრობამ, აშშ-ის მიერ ერაყის ოპერაციის დაწყების დღეს - 2003 წლის 20 მარტს, თავისი საჰაერო

სივრცე გაუხსნა კოალიციური ძალების სამხედრო ავიაციას. მეორე დღეს, 21 მარტს თურქეთის 1500 კაციანმა სამხედრო კონტინგენტმა გადალახა ერაყის ჩრდილოეთი საზღვარი და ერაყის ქურდისტანში შეიჭრა, რაც საერთაშორისო კოალიციის ძალების მეთაურის, აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობის ნების გარეშე მოხდა. თურქეთს გაცხადებული ჰქონდა, რომ საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, სურს თავისი ჯარის ნაწილები ჩრდილოეთ ერაყში შეიყვანოს, რასაც ამართლებდა იმით, რომ ერაყში დაწყებული ომი წარმოშობს ქურთული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საშიშროებას, რომელიც თურქეთში მცხოვრებ ქურთებს აამხედრებს თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი ძალებით ბრძოლისათვის. აშშ-ის მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით, თურქული ინტერვენცია გამოიწვევს ერაყელ ქურთებთან მათ შეტაკებას, რაც პრობლემებს შეუქმნის კოალიციის ძალებს. აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, თურქეთის სამხედრო ნაწილებს, მხოლოდ ჩრდილოეთ ერაყში და მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციების შესრულებისა და ესკალაციის გავრცელების შეკავების მისია ჰქონდათ დაკისრებული.

2003 წლის 2 აპრილს ანკარაში გაიმართა მოლაპარაკებები თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულა გიულსა და აშშ-ის სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს შორის. აღნიშნული შეხვედრის შედეგად გაფორმდა ე.წ. „საიდუმლო შეთანხმება“, რომელსაც თურქულმა პრესამ (გაზ. „მილიეთი“) თურქეთის ეროვნული ინტერესების დათმობა უწოდა, ვინაიდან დოკუმენტში ნათქვამია, რომ „თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის მიერ 1 მარტის მემორანდუმის უარყოფამ, აშშ-ის მთავრობისა და კონგრესის ღრმა იმედგაცრუება გამოიწვია. ამ მიზეზით აშშ-ის მთავრობა იძულებული გახდა ერაყში სამხედრო ძალების შეჭრის ჩრდილოეთის ალტერნატივაზე უარი ეთქვა და აშშ-ის მე-4 ფეხოსანთა დივიზია („რკინის ცხენი“), არა ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდან შეიჭრა ერაყის ტერიტორიაზე, რამაც დიდი სიძნელეები შეუქმნა კოალიციურ ძალებს.

კოლინ პაუელისა და აბდულა გიულის 2003 წლის 2 აპრილის მოლაპარაკებების შედეგად, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის საელჩოს აცნობა, რომ თურქეთის მთავრობა თანახმაა დააკმაყოფილოს აშშ-ის ქვემოთ მოყვანილი მოთხოვნები, რათა დახმარება გაუწიოს ამერიკულ ძალებს, რომლებიც ამჟამად მონაწილეობენ სამხედრო ოპერაციებში ერაყში:

1. ერაყში დაშავებულ და საბრძოლო მოქმედებებიდან ევაკუირებულ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს, შესაძლებლობა მიეცემათ ისარგებლონ იმ საავადმყოფოებით, რომელნიც განთავსებულნი არიან ინჯირლიყის ავიაბაზაზე, დიარბაქირში და ასევე, დანარჩენი თურქული ჰოსპიტალებით;

2. თურქეთში არსებული სპეციალიზებული ობიექტების ერაყში გადადისლოკაციის საშუალება, ჩრდილოეთის სამეთვალყურეო, საძიებო და სამაშველო ოპერაციების ჩატარების ფარგლებში;

3. შეიქმნას მარშრუტები, რათა თურქეთიდან ერაყში უზრუნველყოფილ იქნას ამერიკული ძალების საჭირო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მიწოდება.

აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 2003 წლის 7 აპრილს.

2003 წლის 20 მარტის დილაადრიან, აშშ-ის საჰაერო ძალებმა დაბომბეს ერაყის დედაქალაქი ბაღდადი, ხოლო ამავე დროს მექანიზირებულმა დივიზიამ გადალახა ერაყ-ქუვეითის საზღვარი და სამხრეთიდან დაიწყო სახმელეთო ოპერაცია ერაყში. ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას ოფიციალურად ეწოდა „თავისუფალი ერაყი“ და სამხედრო ძალის

გამოყენებას ერაყში მხარი დაუჭირა მსოფლიოს 45 სახელმწიფომ. ბრძოლებში მონაწილეობისთვის სამხედრო კონტინგენტი გამოჰყო 32 ქვეყანამ (საქართველომაც), ხოლო ამ კონტინგენტის 98% აშშ და ინგლისზე მოდის. საერთაშორისო კოალიციის მხრიდან ინტენსიური სარაკეტო შეტევებისა და წარმატებული სახმელეთო ბრძოლების შედეგად, ერაყის სამთავრობო ძალები უკან იხევდნენ და 5 აპრილს უკვე ბაღდადის ცენტრში მიმდინარეობდა ბრძოლები.

6 აპრილს აღებულ იქნა ბასრა და მთლიანად კერბელა.

8 აპრილს ერაყის არმიის წინააღმდეგობა თითქმის შეწყდა და 9 აპრილს კოალიციის სამხედრო ძალებმა აიღეს ბაღდადი.

10 და 11 აპრილს აღებულ იქნა ქირკუკი და მოსული.

2003 წლის 14 აპრილს სადამ ჰუსაინის მშობლიური ქალაქის თიქრითის აღების შემდეგ, ოპერაციის სამხედრო ფაზა დასრულებულად გამოცხადდა. 2003 წლის 1 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სპარსეთის ყურეში ავიამზიდ „აბრაამ ლინკოლნზე“ თავისი თვითმფრინავით დაფრინდა და მსოფლიოს ამცნო დემოკრატიული ძალების გამარჯვებისა და სადამ ჰუსეინის დიქტატურის დამხობის სასიხარულო ამბავი.

აქ საინტერესოა თუ როგორ ვითარდებოდა თურქეთ-აშშ-ის 2 აპრილის შეთანხმების პირობები და ორმხრივი თანამშრომლობის ნორმალიზების პროცესები. 2003 წლის მაისში აშშ-ის ელჩმა ანკარაში რობერტ პირსონმა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ვაშინგტონი უკმაყოფილოა თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის მოღვაწეობით. დოკუმენტში მოხსენიებული იყო, რომ წინასწარი მოლაპარაკებების შესაბამისად ჩრდილოეთ ერაყში განთავსებული თურქული ქვედანაყოფები არ უწევენ დახმარებას ამერიკულ სამხედროებს. თურქეთის გენერალური შტაბის მეთაურმა არმიის გენერალმა ჰილმი ოზქოქმა, ვაშინგტონის კრიტიკას უპასუხა, რომ ყველა ღონეს იხმარს აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნებისთვის.



ეიდოღანი და ჯოჰჯ ბუში (უმცროსი)

მიუხედავად ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების დიდი მცდელობისა, 2003 წლის ივლისში ჩრდილიეთ ერაყის ქალაქ სულეიმანიეში (ქურდისტანში), გათამაშდა არაორდინარული სცენარი. ნატოს ალიანსის არსებობის მანძილზე, პირველად მოხდა, როდესაც ამერიკელები იარაღით თავს

დაესხნენ ყაზარმას, სადაც მათი მოკავშირე ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ განთავსებულნი. კავშირგაბმულობის სპეციალისტების თურქულ მისიაზე, რომელიც აშშ-თან შეთანხმების თანახმად ჩრდილოეთ ერაყში სამსახურს გადიოდნენ, ამერიკული სპეცდანიშნულების ჯგუფის თავდასხმის შედეგად დაპატიმრებულ იქნა 11 თურქი ოფიცერი. მათ თავზე ტომრები ჩამოაცვეს და 60 საათის განმავლობაში ამ მდგომარეობაში ჰყავდათ გამომწყვდეული. პოლიტოლოგთა აზრით, აღნიშნულმა ფაქტმა „ თურქებს, რომელნიც თავისი სამხედროების მიმართ განსაკუთრებული ღრმა მოწიწებით არიან გამსჭვალული, მძიმე და ღრმა წყენა მიაყენა“. აღნიშნული ინციდენტი უმაღლეს დონეზე იქნა განხილული, თვით აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის ჩათვლით *(საგულისხმოა, რომ ინციდენტი შემთხვევით, 4 ივლისს მოხდა).* თურქეთის მთავრობაში დიდი მღელვარება გამოიწვია აღნიშნულმა ფაქტმა. პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ „ეს სრული საშინელებაა. არავის აქვს უფლება თურქეთის ღირსება შელახოს“. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულა გიულმა თურქეთის პარლამენტის *(ეროვნული მეჯლისის)* სხდომაზე მკაცრი განცხადება გააკეთა აშშ-ის ხელისუფლების მიმართ და აღნიშნა, რომ „ვაშინგტონმა, რომელსაც თურქეთის მხარდაჭერა სჭირდება, დიდი შეცდომა დაუშვა“. აღნიშნული ფაქტის გამო, თურქეთს ანტიამერიკული მიტინგების ტალღამ გადაუარა და ორი ქვეყნის ურთიერთობებში ერთგვარი გაუცხოება წარმოიშვა. ერაყის საომარი მოქმედებების პერიოდში, გამოიკვეთა აშშ-ის მხრიდან ერაყელი ქურთების მიმართ კეთილი განწყობის ნიშნები, რაც თურქეთის მხარეს არ აწყობდა. აშშ-ის წარმომადგენლებს რეგულარული შეხვედრები ჰქონდათ ადგილობრივი ქურთების ლიდერებთან, თანაც იმდენად ფარულად, რომ ხშირად თურქეთის მხარეს ინფორმაციას არ აწვდიდნენ, თუმცა ადრე მოლაპარაკებულნი იყვნენ ქურთული პრობლემის ერთობლივად მოგვარების თაობაზე.

თურქეთსა და აშშ-ს შორის არსებულ ურთიერთობებს 2003 წლის ერაყის ომის პერიპეტიებმა, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაამჩნიეს. თურქეთის მეჯლისის გადაწყვეტილებამ და „1 მარტის მემორანდუმის“ მოქმედებამ, აშშ-ის მხრიდან უმძიმესი პრობლემები შეუქმნა თურქეთის სავალალო მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკას. თურქული საფონდო ინდექსი 12,5%-ით დაეცა და საშიშროება შეექმნა ამერიკული დახმარების მილიარდობით აშშ დოლარის პაკეტს.

2005 წლის ივნისში გაიმართა თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ თაიფ ერდოღანის ვიზიტი აშშ-ში. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან შეხვედრაზე განხილულ იქნა ერაყის და ერაყის ქურდისტანის მდგომარეობა, ასევე „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK და კიპროსის საკითხები. აშშ-ის და თურქეთის სახელმწიფო ლიდერების შეხვედრამ, ერთი ამერიკელი თანამდებობის პირის შეფასებით: „ვერ ვიტყვით რომ ატმოსფერო თბილი იყო. ეს იყო საქმიანი შეხვედრა“. თურქეთის ეროვნული მეჯლისის გადაწყვეტილებამ, აშშ-ის დივიზიისთვის ტერიტორიაზე განთავსების უარის საპასუხოდ, ამერიკის წარმომადგენელთა პალატის სხდომებზე ყოველწლიურად აქტუალური ხდება ოსმალეთის იმპერიაში 1915 წლის ე.წ. „სომეხთა გენოციდის“ საკითხის განხილვა. ერდოღანის აღნიშნული ვიზიტის დღეებში, მასთან შეხვედრა გამართეს აშშ-ის „სომხური ლობის“ წარმომადგენლებმა. თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოთა ლიდერების მომდევნო შეხვედრა 2007 წლის 6 ნოემბერს შედგა ვაშინგტონში. პრემიერ-მინისტრი ერდოღანი კვლავ შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს. ამჯერად მოლაპარაკებათა საკითხები სომეხთა გენოციდის პრობლემას და ერაყის ქურდისტანის ტერიტორიაზე PKK -ს მებრძოლების დისლოკაციის ადგილებს

უკავშირდებოდა. ერდოღანი ერაყის ჩრდილოეთში სამხედრო ოპერაციას გეგმავდა PKK -ს მებრძოლების წინააღმდეგ და თან არწმუნებდა ჯ. ბუშს, რომ არცერთი მშვიდობიანი მოქალაქე არ დაშავდება და მხოლოდ ქურთი ტერორისტები იქნებიან განადგურებულნი. აშშ-ის პრეზიდენტმა ეჭვი გამოთქვა, რომ თურქეთის მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალებით და ავიაციის გამოყენებით მოსალოდნელია დიდი მსხვერპლი და აღნიშნული ოპერაცია მეტად სახიფათოდ მიიჩნია. შეხვედრების შემდეგ ერდოღანმა განაცხადა, რომ „თურქეთისა და აშშ-ის ურთიერთობები სიმტკიცის გამოცდას გადიან“... რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰქონდა ერაყის პრობლემის მიმართ მხარეთა განსხვავებული მიდგომები და შეფასება. ერდოღანის ვაშინგტონის ვიზიტამდე, 3 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი სტამბოლში იმყოფებოდა, სადაც შეხვდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ალი ბაბაჯანს და მის ერაყელ კოლეგას ჰოშიარ ზებარის. სამეულმა განიხილა თურქეთის დაანონსებული ტრანსსასაზღვრო სამხედრო ოპერაცია PKK -ს სეპარატისტული და ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლების განადგურების მიზნით. აღნიშნულმა სამეულმა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება PKK -ს მიმართ ვერ მიიღო. ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰოშიარ ზებარიმ განაცხადა, რომ ერაყი კვლავ მზადაა ბრძოლა გაუმართოს ამბოხებულებს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, მაგრამ ამასთანავე დაამატა, რომ არც ერაყს და არც თურქეთს, არ შესწევთ ძალა დაამარცხონ ქურთები, რომლებიც თავს აფარებენ ერაყის ძნელად მისადგომ მთიან რაიონებს.

თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის პოლიტიკური ურთიერთობები ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის წლებში, საკმაოდ დაძაბულად ვითარდებოდა. გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრა სათანადოდ ვერ ყალიბდებოდა, თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსის გააქტიურებისა და საკუთარი ეროვნული ინტერესების „ნეოოსმანური“ ხედვების ფონზე. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, თურქეთის ლიდერობისთვის ბრძოლა უკვე მმართველი პარტიის გენერალურ საგარეო პოლიტიკურ ხაზს წარმოადგენდა და თურქეთი, პალესტინის ბედის ერთგული დამცველის იმიჯით, ისლამური სამყაროს გულის მოგებას საბოლოოდ აპირებდა. 2006 წლიდან ევროკავშირში მიღების შანსების შემცირების პროცესი სერიოზულ სახეს იღებდა და ნატოს წევრი თურქეთი, დასავლური ცივილიზებული სამყაროდან თანდათან დისტანცირების მდგომარეობაში აღმოჩენის საშიშროების წინაშე იდგა. თურქეთის გლობალური თუ რეგიონული მნიშვნელობის სტრატეგიული ხასიათის წიაღსვლები აშშ-ის ადმინისტრაციისთვის თვალში საცემი იყო და თურქეთის საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელი ვექტორების ფართო სპექტრი, მათთვის ძნელად მისაღები ხდებოდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს, აშშ-თურქეთის თანამშრომლობის სუსტი ადგილები, როდესაც მთელმა დასავლურმა სამყარომ, ნატოს და ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ დაგმო რუსეთის აგრესიული თავდასხმა საქართველოზე და მისი ტერიტორიების ოკუპაცია. თურქეთი არ მიუერთდა მსოფლიო დემოკრატიული ძალების რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგო პოზიციას და პირიქით, კავკასიის რეგიონში აშშ-ის როლის დაკნინებას შეუწყო ხელი: 1. 2008 წლის 12 აგვისტოს პრემიერ-მინისტრი რეჯებ ერდოღანი მოსკოვს ეწვია და თავის კოლეგა ვ. პუტინს სამხრეთ კავკასიის ე.წ. „სტაბილურობის“ გეგმა წარუდგინა, რომელშიც აშშ-ის როლი იგნორირებული იყო; 2. აშშ-ის მხრიდან საქართველოს ომით დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდების მომენტში, თურქეთმა ბოსფორის სრუტეში არ გაატარა აშშ-ის გემი, თითქოს „მონტრიოს კონვენციის’ პირობების შესაბამისად?!... მთელი მსოფლიოს საზოგადოებამ,

მასმედიამ, პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა გაკვირვება და აღშფოთებაც ვერ დამალეს თურქეთის მთავრობის მსგავსი „შეუსაბამო“ პოლიტიკური სვლების გამო. განსაკუთრებით აღშფოთებული გამოხმაურება მოჰყვა ნატოს წევრი ქვეყნების მასმედიასა და აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში. 2008 წლის შემოდგომაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთელი პოლიტიკური ელიტა და მასმედია, საპრეზიდენტო არჩევნების პერიპეტიებით იყო დაკავებული და საერთაშორისო პოლიტიკური საზოგადოებაც საინტერესო მოლოდინს განიცდიდა. თურქეთის მთავრობა ძალიან იყო დაინტერესებული მომავალი არჩევნების შედეგებით. 2008 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო აჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატების კანდიდატმა ბარაკ ობამამ. თურქეთმა, შეიძლება ითქვას, შვებით ამოისუნთქა და იმედით დაიწყო ლოდინი, როგორ განვითარდებოდა აშშ-ის საგარეოპოლიტიკური კურსი *(ანკარის მთავრობა დიდ მოუდოდნელობებს ელოდა ჯონ მაკკეინისგან, მისი გამარჯვების შემთხვევაში).* ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა და სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს თურქეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობას, როგორც გეოპოლიტიკური რეგიონის ცენტრალურ ქვეყანას, რამაც ერთ-ერთ ექსპერტს ათქმევინა, რომ „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამერიკის ახალი ადმინისტრაცია წინა ხელისუფლების შეცდომების გამოსწორებას ცდილობსო“. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, თავისი პირველი ოკეანის გაღმა საპრეზიდენტო ვიზიტი სწორედ თურქეთში განახორციელა. ბევრმა ექსპერტმა-თურქოლოგმა და პოლიტოლოგმა არ დააყოვნა აღენიშნა, რომ ობამას ვიზიტი თურქეთში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი პერიოდის დაწყებას მოასწავებსო. ბარაკ ობამამ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი წაუმძღვარა თურქეთში ვიზიტს. აშშ-ის პრეზიდენტი 2009 წლის 5 აპრილს პრაღაში დაესწრო ევროკავშირის მორიგი სამიტის სხდომას, სადაც მოუწოდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომ დაეჩქარებინათ თურქეთის მიღება ორგანიზაციაში. აშშ-ის ახალი პრეზიდენტის აღნიშნულ განცხადებას, თურქეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში დიდი მოწონება ხვდა წილად და როდესაც 6 აპრილს ბარაკ ობამა ჩაფრინდა თურქეთში, მას გრანდიოზული თბილი დახვედრა მოუწყვეს, იმდენად რომ გაზეთის ყდაზე მისი დიდი ფოტო გამოქვეყნდა, წარწერით „ბრავო ობამა!“. თურქეთში თავისი ვიზიტის ფარგლებში ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ აშშ და თურქეთი „არა უბრალოდ სტრატეგიული, არამედ სამაგალითო პარტნიორები არიან“. აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ, თურქეთის მიმართ გამოავლინა თანამშრომლობის ღია ვერსია, რამე თუ თურქეთს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ყველაზე მიმზიდველ შუამავლად თვლიდა, რაც მომავალში შესაძლებლობას შექმნის რეგიონის ქვეყნებისთვის პოლიტიკურ მოდელად იქცეს. ბარაკ ობამამ ისარგებლა თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის ტრიბუნით და იქიდან მიმართა მთელ ისლამურ სამყაროს იმის შესახებ, რომ აშშ-ს არასოდეს არ უომია ისლამის წინააღმდეგ და პირიქით, ისწრაფვის მასთან დაამყაროს თანამშრომლობისა და ურთიერთ პატივისცემის კავშირები. ტელეარხები „ალ ჯაზირა“ და „ალ არაბია“ მის გამოსვლას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ.

2009 წლის 6-7 აპრილს ბარაკ ობამას ვიზიტმა თურქეთში დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა. ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი ლეონ ჰადარი თვლის, რომ აშშ თურქეთს განიხილავს იმ რეგიონულ ძალად, რომელიც ვაშინგტონს დახმარებას გაუწევს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და დამაკავშირებელი ხიდის როლს შეასრულებს დასავლეთ ცივილიზაციასა და ისლამურ სამყაროს შორის. ამერიკის ჰადსონის უნივერსიტეტის ცნობილი სპეციალისტი ზეინო ბარანი *(საქართველოს მეგობარის მეთიუ ბრაიზას მეუღლე)*

თვლის, რომ „მუსლიმურ თურქეთს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ტალიბანის მოძრაობის ლიდერებსა და ავღანეთის ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების პროცესში“.

აღნიშნული ვიზიტის შემდეგ ძალიან მოკლე ხანში, 2009 წლის 1 მაისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა აჰმეთ დავუთოღლუ. ბარაკ ობამას ვიზიტმა გამოაცოცხლა თურქეთთან უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში თანამშრომლობის აუცილებლობა და ორმხრივ ურთიერთობებში ახალი იმპულსის გაჩენა, აშშ-ის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა გამხდარიყო. აჰმეთ დავუთოღლუს ცნობილი დოქტრინის - ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ერთმანეთთან შერწყმის თეორიამ ნაყოფიერად იმუშავა და ამ დროიდან, თურქეთის საგარეო პოლიტიკის მრავალვექტორიანი პროგრამა მასშტაბურად ამუშავდა. თურქეთსა და სომხეთს შორის დაწყებული „საფეხბურთო დიპლომატიის’ ფინალურ ეტაპზე ციურიხში, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა და აჰმეთ დავუთოღლუს მეცადინეობით ხელი მოეწერა ე. წ. „ციურიხის პროტოკოლებს“ *(მახთაღია, პარღამენტების მხრიდან არ მომხდარა მათი რატიფიკაცია)*. 2009 წლის 7 დეკემბერს შედგა თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ თაიფ ერდოღანის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიზიტის პროგრამა საკმაოდ გადატვირთული იყო და აშშ-ის პრეზიდენტთან, სახელმწიფო მდივანთან, სენატის სპიკერთან შეხვედრებზე განხილულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობის მრავალი საკითხი: სამხედრო და ეკონომიკურ სფეროში, ტერორიზმთან ბრძოლის, ავღანეთში თანამშრომლობისა და ერაყიდან აშშ-ის ჯარის გაყვანის საკითხები. ბარაკ ობამამ, თავის მემუარებში საინტერესოდ აღწერა რეჯებ ერდოღანის პოლიტიკური ფიგურა. ობამა აღიარებს, რომ თურქეთის ლიდერი მის მიმართ იყო „თბილი“ და „მთლიანად ყურადღებიანი თხოვნის მიმართ“. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ, ძალზე გააქტიურდა აშშ-თურქეთის რეგულარული აზრთა გაზიარება საერთაშორისო პრობლემების მიმართ. ყოველთვიურად იმართებოდა ორი ქვეყნის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრები, რომელზეც იხილებოდა სხვადასხვა რეგიონული პრობლემების ფართო სპექტრი.

ბარაკ ობამა

უნდა აღინიშნოს თურქეთისა და აშშ-ის კოორდინირებული მოქმედებები „არაბული გაზაფხულის“ მოვლენების დროს, როდესაც თურქეთმა აშშ-ის კარნახით ეგვიპტის, ტუნისის, ლიბიის მიმართ აქტიური პოზიცია დაიკავა, რომელიც მიმართული იყო ძველი რეჟიმების წინააღმდეგ. 2011 წელს დაწყებულ სირიის კრიზისშიც, თურქეთი და აშშ შეხვედრებს მართავდნენ შექმნილი პრობლემების ირგვლივ მსჯელობის სახით, ერთად მოუწოდებდნენ ბაშარ ასადს დაუყოვნებლივი გადადგომის აუცილებლობაზე და დახმარებას უწევდნენ სირიის ოპოზიციურ ძალებს.

2010 წლის თურქეთ-ისრაელის სერიოზული დაპირისპირების, თურქეთის მიერ ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერისა და ირანისთვის აშშ-ის მხრიდან დაწესებული სანქციების უგულველყოფის პრეცედენტებმა, აშშ-თურქეთის ურთიერთობებს გარკვეული ჩრდილი მიაყენეს. თურქეთ-აშშ-ის შეუთანხმებლობის ძირითადი მიზეზი, მაინც თურქეთის დამოუკიდებელი საგარეოპოლიტიკური კურსის გატარებას უკავშირდება, რომელიც აღიქმება თურქეთის მხრიდან აშშ-ის კონტროლისგან თავის დაღწევის მცდელობად. სირიის კრიზისის გამწვავების პარალელურად, გამოიკვეთა თურქეთის ეროვნული ინტერესები, რომლის მთავარი ამოცანაა: სირიის ჩრდილოეთ ნაწილში ქურთების „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ და თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედი „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK სეპარატისტული ძალების იდეოლოგიური მარქსისტულ-სოციალისტური მიმართულების ძალებს შორის კავშირების გაწყვეტა, რისთვისაც თურქეთის ხელისუფლებას ძალზე სერიოზული შეიარაღებული ბრძოლა უწევს. თავის მხრივ, აშშ-ის პოზიციიდან, სირიის ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების ყველაზე ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი დაჯგუფება, სირიის ჩრდილოეთში მოქმედი ადგილობრივი ქურთების გაერთიანებული ძალებია. სირიის კრიზისის გამწვავების დროს, რადიკალური „ისლამური სახელმწიფოს“ (აისის) ტერორისტული ორგანიზაციის ჯიჰადისტთა შეიარაღებული ძალების მიერ ერაყისა და სირიის ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ, აშშ-ის ინიციატივით შექმნილი საერთაშორისო კოალიციური ძალების საჰაერო დამრტყმელი დაჯგუფებების დისლოკაციის ძირითადი ადგილი, თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებული ნატოს სამხედრო-საჰაერო ბაზები გახდა. 2014 წლის სექტემბრიდან ნატოს წევრი ქვეყნების, ძირითადად კი აშშ-ის და თურქეთის ავიაცია ბომბავდა აისის-ის ბანაკებსა და სამხედრო ბაზებს. ამავე დროს, აისის ჯიჰადისტთა დაჯგუფებების წინააღმდეგ სახმელეთო ბრძოლებში სირიისა და ერაყის ტერიტორიაზე, ყველაზე მედგრად და მამაცურად იბრძოდნენ ერაყის ქურთების „პეშმერგას“ შეიარაღებული ძალები და სირიის ქურთებისგან შემდგარი „ეროვნული თავდაცვის რაზმების“ მებრძოლები. აქედან გამომდინარე, აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობა, ადგილობრივი ქურთების შეიარაღებულ დაჯგუფებებს სამხედრო საჭურველითა და თანამედროვე იარაღით ამარაგებდა, რაც თურქეთის ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევდა. 2014-2015 წლების განმავლობაში, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების წინააღმდეგ ადგილობრივი ქურთი მოსახლეობის თავდადებული ბრძოლების შედეგად, აშშ-ის მთავრობა მეტად დადებითად განეწყო მათ მიმართ, რამაც აშშ-ის მიმართ თურქეთის მხრიდან უნდობლობისა და უკმაყოფილების ნიშნები გაჩნდა. ამას დაემატა, თურქეთში 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის ფაქტი, როდესაც თურქეთის მთავრობამ „გადატრიალების“ ორგანიზატორად პირდაპირ დაასახელა ამერიკაში მცხოვრები, ცნობილი ისლამური მეცნიერ-განმანათლებელი ფეთჰულა გიულენი. თურქეთის მხარემ აშშ-ისგან მოითხოვა ფეთჰულა გიულენის პიროვნების დაკავება და თურქეთისთვის გადმოცემა, რაზეც ამერიკის

მთავრობამ საბრალდებო მტკიცებულებათა უკმარისობის გამო, უარი თქვა ცნობილი მეცნიერის ექსტრადიციაზე *(ფეთჰუღა გიუღენი 1999 წღიდან ცხოვჩობს აშშ-ის პენსიღვანიის შტატში. 2009 წეღს ჟუჩნაღ „ტაიმის“ მიეჩ მიჩნეუღია მსოფღიოს 100 მოაზჩოვნე ადამიანთა შოჩის. ასევე, 2013 წეღს ფეთჰუღა გიუღენს მიენიჭა მაჰათმა განდის სახეღობის საეჩთაშოჩისო პჩემია).* თურქეთში ფეთჰულა გიულენის მიმდევართა მოძრაობა „Fethullahçı“ ტერორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული და მას შემოკლებით და ოფიციალურადაც „FETÖ“ (ფეთჰულაჰჩიების ტერორისტული ორგანიზაცია) ეწოდება. თურქეთის მთავრობამ ფეთჰულა გიულენის გადმოცემაზე უარის საპასუხოდ, 2016 წლის ოქტომბერში დააკავა თურქეთში მოღვაწე ამერიკული ევანგელისტთა ეკლესიის პასტორი ენდრიუ ბრანსონი *(ენდჩიუ ბჩანსონი 1993 წღიდან თუჩქეთის ქაღაქ იზმიჩში ეწევა მისიონეჩუღ მოღვაწეობას),* რომელიც ეჭვმიტანილია 15 ივლისის გადატრიალების მონაწილეობაში, ფეთჰულაჰჩიებთან, ანუ გიულენისტებთან თანამშრომლობაში, ჯაშუშობასა და ტერორიზმში და 35 წლის პატიმრობა ემუქრება. პასტორ ენდრიუ ბრანსონის დაკავებას მოჰყვა საკმაოდ ხმაურიანი „დიპლომატიური სკანდალი“ ნატოს წევრ და მეგობრულ ქვეყნებს შორის. პასტორი ენდრიუ ბრანსონი თითქმის ორი წელი იჯდა ციხეში და მხოლოდ 2018 წლის ივლისის ბოლოს გადაიყვანეს საშინაო პატიმრობაში. მანამდე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, პასტორის ციხეში ყოფნის გამო განაცხადა, რომ არ გამორიცხავს თურქეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების შემოღებას, რაზეც თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა 2018 წლის 29 ივლისს აღნიშნა, რომ მისი მთავრობა უკან არ დაიხევს და „თავის გზით ივლის“ თუ აშშ სანქციებს დააწესებს ამერიკელი პასტორის ენდრიუ ბრანსონის დაპატიმრების გამო. ერდოღანმა 2018 წლის ივლისის ბოლოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ „აშშ-მა არ უნდა დაივიწყონ, რომ თუ არ შეცვლიან თავის დამოკიდებულებას, ისინი დაკარგავენ ძლიერ და გულითად პარტნიორს თურქეთის სახით“. ერდოღანი ადრე, 2017 წელს იმედოვნებდა, რომ ბრანსონს გადაცვლიდა ფეთჰულა გიულენის ექსტრადიციის სანაცვლოდ და გადატრიალების მცდელობის „ორგანიზატორს“ სამაგალითოდ დასჯიდა. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილების მიმართ, სადამსჯელო ოპერაციების ჩატარებას შეუდგა და შედეგად, ათი ათასობით სამხედრო მოსამსახურე, პოლიციაში მომუშავე, სამართლებრივ სტრუქტურებში მოღვაწე პერსონალი, უმაღლესი და საშუალი სკოლების პედაგოგები დაპატიმრებულ ან სამსახურებიდან დათხოვნილ იქნენ და ქვეყანაში მკაცრი, ავტორიტარული რეჟიმის მსგავსი მმართველობა დამყარდა. ერდოღანმა, სამხედრო გადატრიალების მცდელობას „ღვთის წყალობა“ უწოდა, რომელმაც მისცა მას საშუალება „არმიაში წმენდა ჩაეტარებინა“.

„დიპლომატიური სკანდალის“ ბოლოს კი, ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის *(ღჩმაღ მოჩწმუნე ევანგეღისტი)* ენერგიული ქმედებებით, ენდრიუ ბრანსონი 2018 წლის 12 ოქტომბერს იზმირში, პირდაპირ სასამართლო პროცესიდან გაათავისუფლეს და იმავე დღეს, ამერიკული თვითმფრინავით გაფრინდა სამშობლოში.

თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირება და შეუთანხმებლობა სირიის კრიზისიდან მოყოლებული, თანდათან უფრო მწვავე ხასიათს იღებდა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან უფრო გლობალური მასშტაბის ელფერს იღებდა. გამსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა, როდესაც თურქეთის შეიარაღებულ ძალებს აშშ-ის საზენიტო-სარაკეტო დანადგარები „Patriot“ უნდა შეეძინათ, საკუთარი საზღვრების და საჰაერო უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ამავე პერიოდში, სირიის კრიზისის

მასშტაბების გავრცელების ფონზე, შეიქმნა რუსეთ-თურქეთ-ირანის ე. წ. „ასტანის სამეული“ სირიის ტერიტორიული და მისი შემდგომი სახელმწიფოებრივი მოწყობის შემუშავების მიზნით, სადაც თურქეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და ქურთების პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, რუსეთის პოზიცია თურქეთისთვის უფრო პრაგმატული ჩანდა. ამავე პერიოდში გახდა ცნობილი, რომ რუსული საზენიტო-სარაკეტო დანადგარი „ს-400 ტრიუმფი“, შესყიდვის ფასებით უფრო იაფი და მომგებიანი იყო ამერიკულ „პეტრიოტზე“ *(„პეტჩიოტის“ ეხთი დივიზიონი ჯდებოდა $3,6 მლრდ, ხოლო ხუსუღი „ს-400“ $2,5 მლრდ).* რუსეთთან წინასწარი მოლაპარაკებების პარალელურად, აშშ-ის მთავრობა მოუწოდებდა თურქეთის მხარეს, როგორც ნატოს წევრ ქვეყანასა და ამერიკის სტრატეგიულ პარტნიორს, გაეთვალისწინებინა მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო ტექნიკის შეძენისას, „მტრული ბანაკის“ წარმომადგენელ ქვეყანასთან გარიგებისგან თავი შეეკავებინა. თურქეთის მთავრობამ გადადგა დამოუკიდებელი, სუვერენული ნაბიჯი და 2017 წლის 12 სექტემბერს რუსეთთან ხელი მოაწერა „ს-400“ საზენიტო-სარაკეტო დანადგარების შეძენის კონტრაქტს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა თურქეთი ასე ძვირადღირებულ მსხვილ შენაძენს აფორმებს ნატოს არაწევრ და მტრულად განწყობილ ქვეყანასთან. თურქეთის პრეზიდენტმა არ დააყოვნა და განაცხადა, რომ „შესყიდვის დოკუმენტები უკვე ხელმოწერილია და დეპოზიტიც გადახდილი“. 2019 წლის 15 ივლისს თურქეთში დაიწყო რუსული „ს-400“ რაკეტების შემოტანის პროცესი და თურქულმა პრესამ, გაზეთმა „დეილი საბაჰმა“ მაშინვე ამცნო მკითხველს, რომ ამ რაკეტების შეძენით, თურქეთმა ნათლად დაანახა ყველას, რომ იგი დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოა და თურქეთს გადაწყვეტილი აქვს საიმედოდ დაიცვას თავისი საჰაერო სივრცე. სამთავრობო პრესა აღნიშნავდა, რომ „ერდოღანის მთავარი მიზანია დაამტკიცოს, რომ ის პირადად იბრძვის თავისი ქვეყნის ინტერესებისთვის და აჩვენოს ალიანსის პარტნიორებს საკუთარი დამოუკიდებლობა“. ამერიკული „Patriot“- ის შეძენაზე უარის თქმისა და რუსული სარაკეტო კომპლექსების შესყიდვის გამო, აშშ-მა თურქეთი გააფრთხილა, რომ გარიცხავდა თანამედროვე, მეხუთე თაობის F-35 გამანადგურებლების წარმოების შეთანხმებიდან, რომელშიც თურქეთი 2006 წლიდან იყო მიღებული *(2021 წლის 23 აპრილს საბოლოოდ გაიხიცხა).*

სწორედ აღნიშნული 2019 წლის ზაფხულის ბოლოს, თურქეთის ეკონომიკა ძალზე კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა აშშ-ის სანქციების გამო, რომლის თანახმადაც თურქული ლითონების *(ფოლადი და ალუმინი)* საბაჟო გადასახადების ორმაგად მომატებამ, თურქული ლირის *(ეროვნული ვალუტა)* 20%-ით გაუფასურება გამოიწვია. რუსეთის სარაკეტო სისტემების შეძენით თურქეთს გადაწყვეტილი აქვს გააქტიუროს თავისი მცდელობა, ძლიერ სამხედრო-სამრეწველო სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, ისარგებლოს რა ნატოს წევრობით, კომბინირებულ სტილში შეძლოს ამერიკული და ევროპული ტექნოლოგიების გამოყენება, თანაც ამავე დროს ითანამშრომლოს არადასავლურ სახელმწიფოებთანაც. უკანასკნელ ხანს თურქეთის სამხედრო-ტექნიკური პოტენციალი საგრძნობლად განვითარდა, რაც ნათლად წარმოჩინდა 2020 წლის შემოდგომაზე ყარაბაღის ომში, ხოლო ცოტა ადრე სირიისა და ლიბიის ფრონტებზე. 2017 წლის დეკემბრის დასაწყისში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციური შეიარაღებული ძალების მედგარი ბრძოლების შედეგად, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, ერაყის პრემიერ-მინისტრი ჰაიდარ ალ-აბადი და რუსეთის

პრეზიდენტი ვ. პუტინი ერთმანეთს ასწრებდნენ, პირველი ვინ გამოაცხადებდა „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული სამხედრო დაჯგუფების საბოლოო დამარცხებას სირიაში. ყველასთვის სასიხარულო იყო აღნიშნული ფაქტი და საზეიმო განწყობით აუწყეს მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებს, მაგრამ ყველას მაინც გულში ხინჯად დარჩა, რომ ისლამური ჯიჰადისტების ტერორისტული ჯგუფები ბოლომდე არ იყვნენ განადგურებულნი და მათი ნარჩენი შეიარაღებული ჯგუფები სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სირია-ერაყის საზღვრის სიახლოვეს, გამოქვაბულებსა და შენობების ნანგრევებს აფარებდნენ თავს, საიდანაც შეეძლოთ გარკვეული ზიანი მიეყენებინათ კოალიციის ძალებისა და ქურთთა „სახალხო თავდაცვის რაზმების“ ჯგუფებისთვის. ამავე დროს, თურქეთის მთავრობა სირიელ ქურთთა გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს „სახალხო თავდაცვის რაზმების“ ჯგუფებს, თურქეთში მოქმედ „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK-ს პირდაპირ მოკავშირედ და იდეოლოგიურ თანამზრახველად თვლის და სასტიკ ბრძოლას ეწევა მათი სირიის ჩრდილოეთ ნაწილიდან გაძევებისათვის *(თუჰქეთის სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით)*. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა კი პირიქით, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, სირიელი ქურთების გმირულ შემართებას დიდად აფასებენ და სამხედრო დახმარებასაც უწევენ (*PKK ორგანიზაციას აშშ და დასავლეთის კოალიციის ქვეყნების უმრავლესობა, ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევენ).*

2018 წლის 19 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები სირიიდან, მას შემდეგ რაც სატელეფონო საუბარი ჰქონდა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან. ტრამპის გეგმის თანახმად, სირიას დატოვებდა აშშ-ის სამხედრო შენაერთების 2-ათასიანი ჯგუფი და გაყვანის პროცესი განხორციელდებოდა 60-100 დღის განმავლობაში. პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და გადადგა თავდაცვის მინისტრი ჯიმ მეტისი. ბოლოს, პენტაგონის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, ტრამპი დათანხმდა სირიაში დაეტოვებინა ამერიკელი სამხედროების მცირე დაჯგუფება. ამასთანავე, აშშ-ის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა, ვინაიდან „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტების ძალები არ არიან ბოლომდე განადგურებულნი და სირიის ტერიტორიაზე შემორჩნენ სხვადასხვა რადიკალური ისლამისტური ჯგუფების ნაწილები, სირიაში მოქმედ ქურთთა „სახალხო თავდაცვის რაზმების“ ჯგუფებს, რომლებიც ყველაზე წარმატებულად იბრძვიან ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ, ამერიკელთა მხრიდან ქურთთა შეიარაღებული რაზმები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამხედრო ტექნიკით, გარკვეული რაოდენობის იარაღითა და სათანადო ფინანსური დახმარებით.

2019 წლის 23 მარტს დონალდ ტრამპმა განაცხადა ამერიკული კოალიციის ძალების მიერ სირიისა და ერაყის ტერიტორიების სრული განთავისუფლების შესახებ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლებისაგან.

დონალდ ტრამპი

როგორც ვხედავთ, სირიიდან აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის გაყვანის პროცესმა კარგა ხანს გასტანა, თუმცა გარკვეული რაოდენობის სამხედრო კონტინგენტი აშშ-ის დარჩენილი ბაზებისა და ნავთობის სარეწების დაცვის მიზნით ჯერ კიდევ შემორჩა. 2019 წლის 7 ოქტომბერს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი თუ განახორციელებს თავის დანაპირებს და შეიჭრება სირიაში, სადაც გადაწყვეტილი აქვს ჩრდილოეთ სირიის ტერიტორია „გაწმინდოს“ ქურთთა შეიარაღებული ძალების „სახალხო თავდაცვითი რაზმების“ ჯგუფისგან, მაშინ ტრამპი „მთლიანად მოსპობს და გაანადგურებს“ თურქეთის ეკონომიკას. ერდოღანმა 7 ოქტომბერს პრეს-კონფერენციაზე ანკარაში განაცხადა, რომ ტელეფონით ესაუბრა აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპს, რომელიც დათანხმდა 50-100 ამერიკელი სამხედროს გადაყვანას სირიის ჩრდილოეთ რაიონის ერთი ბაზიდან სხვა სამხედრო ბაზაზე.

თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის განკარგულებით, 2019 წლის 9 ოქტომბერს თურქეთის არმიის შენაერთებმა გადალახეს სირიის საზღვარი და აღნიშნულ სამხედრო ოპერაციას „მშვიდობის წყარო“ ეწოდა. ერდოღანის თქმით, ქურთებისგან განთავისუფლებულ სირიის ტერიტორიებზე, იგი აპირებს 30 კმ-იანი სიღრმის თავისუფალი ე.წ. ბუფერული ზონის შექმნას, სადაც თურქული ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ, თურქეთის ბანაკებში შეფარებული სირიელი ლტოლვილები დაბრუნდებიან და აღნიშნულ ზონაში გახსნილი ახალი ბანაკის ტერიტორიაზე განთავსდებიან. 13 ოქტომბერს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა განაცხადა, რომ აშშ-ს გადაწყვეტილი აქვთ ჩრდილოეთ სირიიდან თავისი სამხედრო მოსამსახურენი გაიყვანონ, ვინაიდან ისინი შეიძლება ორი მეომარი ძალების შუაში მოექცნენ. აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სირიის ჩრდილოეთ რაიონიდან გადიან, განთავსდებიან ერაყის, ქუვეითის და შესაძლოა იორდანიის ტერიტორიებზე. ქვეყანაში დარჩება ამერიკელთა მცირე, 150 კაციანი კონტინგენტი, რომელიც განთავსდება ატ-ტანფას სამხედრო ბაზაზე. მარკ ესპერმა Fox News არხთან ინტერვიუში განაცხადა, რომ აშშ-ს არ აუღიათ ვალდებულება ქურთების დაცვის მიზნით თურქეთთან იომონ: „აშშ, პირველ რიგში არ ფლობს იმდენ ძალას, რომ 15- ათასიანი თურქული არმიის შეტევა შეაჩერონ, რომელსაც დამხმარედ ავიაცია, არტილერია და მექანიზებული

ტექნიკა ახლავს თან. ასევე უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ არ მოგვიწერია ხელი „სირიის დემოკრატიულ ძალებთან“ იმაზე, რომ ნატოს წევრ თურქეთთან გვეომა“. 13 ოქტომბერს აშშ-მა თავისი ქვედანაყოფების გაყვანა დაიწყეს ყობანის ბაზიდან, ხოლო 15 ოქტომბერს ამერიკელი სამხედროები მანბიჯიდან გავიდნენ (*22 ოქტომბიდან იეგიონში თუიქუე-ხუსუი ეითობღივი პოღიციუი პატხუღიხება დაიწყო).*

2019 წლის 17 ოქტომბერს აშშ-ის და თურქეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკებების შესაბამისად, თურქეთის სამხედრო შენაერთებმა 120 საათით შეწყვიტეს საომარი მოქმედებები, რათა ქურთების რაზმებს საშუალება მისცემოდათ დაეტოვებინათ თურქების მიერ მოსამზადებელი 30 კმ-იანი უსაფრთხოების ზონა. 22 ოქტომბერს კი, თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტები სოჭში შეთანხმდენენ, რომ ქურთების მიერ დატოვებულ ზონაში ერთობლივი *(თუიქუე-ხუსუი)* პატრულირება დაეწყოთ. ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა: „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული ჯიჰადისტების წინააღმდეგ ბრძოლებმა, სირიის სამოქალაქო ომის პერიპეტიებმა და მასში ქურთების „დემოკრატიული კავშირის პარტიის“ მოქმედებების შეფასების კრიტერიუმებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებისა და მისი დიდი ხნის მოკავშირის, ნატოს წევრი თურქეთის ურთიერთობები, იმდენად დაძაბა, რომ 2020 წლისთვის ამერიკულ-თურქული ურთიერთობების კრიზისმა სისტემური ხასიათი მიიღო. მათ შორის ორმხრივი კავშირების ფორმალური მხარე, პრაქტიკულად სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ჩარჩოებში ხორციელდებოდა. თურქეთის დამოუკიდებელი და საკუთარი ინტერესების გამტარებული პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესი, აშშ-ს ყურადღების მიღმა დარჩა და კარგა ხანს იგნორირებული იყო თურქეთის გრძელვადიანი განვითარების ვექტორი. პანთურქიზმის, პანისლამიზმის, ნეოოსმანიზმის კონცეფციების წარმოშობა, სირიასთან *(სამოქაღაქო ომის დაწყებამდე)* და ირანთან ურთიერთობების დაბალანსების მცდელობები, რუსეთთან ურთიერთობების შესამჩნევი გაუმჯობესებისა და დასავლეთთან მდგომარეობის დაძაბვის პრეცედენტები, ვერაფრით ვერ თავსდებოდა აშშ-ის პოლიტიკური დინების კალაპოტში. ამ ყველაფერმა დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში მოკავშირის სტატუსის გაუმჯობესების არარსებული მიდგომის გამო, პირადი ურთიერთობები ჩაშლის პირამდე მიიყვანა. ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის მიზეზებს შორის, ერთ-ერთი ალბათ, ქვეყნის პირველი პირების პოლიტიკური მომზადების დონე და ინდივიდუალური ქარიზმა წარმოადგენს. დონალდ ტრამპისა და რეჯებ ერდოღანის ურთიერთობების ძირითადი ტონალობა და გრადუსი, მუდამ საკმაოდ მაღალი გახლდათ.

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანის პირველი შეხვედრა მაღალ დონეზე შედგა 2017 წლის 16 მაისს ვაშინგტონში, თეთრ სახლში. ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე ორი ქვეყნის ლიდერები ძირითადად შეეხნენ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს. ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ განუხრელად უჭერს მხარს თურქეთს ისეთი ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორებიცაა „ისლამური სახელმწიფო“ და „ქურდისტანის მუშათა პარტია“ PKK, რომელიც აღიარებულია ტერორისტულად, როგორც თურქეთის, ისევე აშშ-ის და ევროკავშირის მიერ. ერდოღანმა თავის მხრივ გამოხატა სურვილი, რომ ახლო მომავალში მათ რეგიონში ტერორისტული ორგანიზაციები შეწყვეტენ არსებობას და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ქურთთა „დემოკრატიული კავშირის“ პარტიის შეიარაღებული ფრთის „სახალხო თავდაცვის რაზმებთან“ აშშ-ის ურთიერთობას პარტნიორობის ეგიდით *(იგუღისხმა აშშ-ის მხაჰდაჭეჰის და სამხედჰო დახმაჰების ფაქტები ქუჰთუღი შეიაჰაღებუღი ძაღებისთვის)*, რაც

თურქეთისთვის „აბსოლუტურად მიუღებელია“. ერდოღანმა ასევე შეახსენა აშშ-ის პრეზიდენტს, რომ თურქეთი ელოდება 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორის ფეთჰულა გიულენის და მისი მიმდევრების გადაცემას თურქეთის სამართალდამცავების ხელში. მიუხედავად მხარეების მიერ გამოთქმული ეკონომიკური ურთიერთობების გაჯანსაღებისა და ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის გააქტიურების შესახებ სურვილებისა და დაპირებებისა, თურქეთსა და აშშ-ს შორის ძირითადი უთანხმოებანი ისევ შენარჩუნებულია. ზემოხსენებული 2019 წლის 9 ოქტომბერს სირიის ჩრდილოეთ ნაწილში შეჭრის დაგეგმილი ოპერაცია „მშვიდობის წყაროს“ სწრაფად დაწყების მიზეზად, ბევრი საერთაშორისო ექსპერტი თუ პოლიტიკოსი, დონალდ ტრამპის მიერ რეჯებ თაიფ ერდოღანისადმი გაგზავნილ საეჭვო წარმომავლობის წერილს ასახელებს. სოციალურ ქსელებში გასული წერილის ტექსტი შეიცავს დამამცირებელი ლექსიკის ელემენტებს, სადაც აშშ-ის პრეზიდენტი მოუწოდებს თავის თურქ კოლეგას თავი შეიკავოს ათასობით ადამიანების დახოცვის მცდელობისაგან, ისევე როგორც თვითონ შესძლებს თავის შეკავებას თურქეთის ეკონომიკის სრული განადგურებისაგან. „ისტორია მადლიერი დაგრჩებათ, თუ ყველაფერს სწორად და ჰუმანურად წარმართავთ. ხოლო თუ კარგს ვერაფერს მოიმოქმედებთ, ისტორიაში დარჩებით ეშმაკად. Don’t be a tough guy. Don’t be a fool!” *(2017 წლის 6 დეკემბერს ტრამპმა იერუშალაიმი ისრაელის დედაქალაქად ოფიციალურად გამოაცხადა, ერდოღანმა 13 დეკემბერს სტამბოლში მიმდინარე ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის ლიდერების სამიტზე გამოსვლისას ტრამპს საკმაოდ უხეშად და ხმამაღლა მიმართავდა ტრიბუნიდან: „ეი ტრამპ“... და დამამცირებელ ფრაზებს უხვად აფრქვევდა).*

2019 წლის 13 ნოემბერს ვაშინგტონში შედგა თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის ვიზიტი, რომელზეც პირველ რიგში, ერდოღანმა „სკანდალური“ წერილი დაუბრუნა დონალდ ტრამპს. ერდოღანი აშშ-ის დედაქალაქს მთელი რიგი მოთხოვნებით ეწვია, რომელთაგანაც მთავარი იყო ეკონომიკური საკითხები და საბანკო სისტემის კრიზისი, რომელიც აშშ-ის პრეროგატივას წარმოადგენს. ასევე, თურქეთის პრეზიდენტი სირიის კრიზისში ქურთების როლის დაკნინებას ცდილობდა, მათი ტერორისტული ლიდერების მოხსენიებით, რომელთაც აშშ-ში სახელმწიფო დონეზე ხვდებიან. პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, ძირითადი საკითხი, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტი თურქეთის მხრიდან მოითხოვდა შესასრულებლად, ეს იყო თურქეთის უარის თქმა რუსული ს-400-სგან, რის სანაცვლოდაც თურქეთს შეეძლო დაბრუნებოდა F-35 გამანადგურებლების პროგრამას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თურქეთს ელოდა სერიოზული სანქციები. აშშ-მა თურქეთს კიდევ ერთხელ მისცა დრო მოსაფიქრებლად, რომ ს-400 საკითხი არ აწვეს კისერზე ხუნდად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება *(ჩუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ს-400 დიდი ჩადიუსის მქონე ჩაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსია, ომელიც ნატოს საჰაერო უსაფრთხოების კოდს არ ესადაგება და შეიძლება აღიანსს დიდი ზიანი მიაყენოს).* თურქეთს შეახსენეს, რომ სენატის გადაწყვეტილება „სომხების გენოციდის“ აღიარებაზე და საბანკო კრიზისის გამო სავალუტო დამსჯელი ოპერაციები ჯერჯერობით შეჩერებულია, რაც კეთილი ნების გამოხატვად ითვლება და ამასთანავე იმის ნიშანია, რომ აშშ დაინტერესებულია, თურქეთი დასავლეთის ბანაკში იხილოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატი ჯოზეფ ბაიდენის გამარჯვებით დასრულდა. 2020 წლის 10 ნოემბერს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა აშშ-ის ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს დეპეშა გაუგზავნა, სადაც მადლობა გადაუხადა თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში შეტანილი

წვლილისთვის. ერდოღანი წერს, რომ „თურქეთ - აშშ-ის ურთიერთობები და სტაბილურობის საერთო ინტერესები ძვირფასია, გულითად მადლობას გიხდით პირადად თქვენი ხედვის გამო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ურთიერთობების განვითარებას“. თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები ადრე გართულებული იყო, თურქეთის მიერ რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემების ს-400 შეძენის გამო, ვინაიდან ვაშინგტონში თვლიდნენ, რომ რუსეთს შეუძლია აღნიშნული სისტემები გამოიყენოს მეხუთე თაობის ბომბდამშენ-გამანადგურებელი F-35 შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის. ამას გარდა პენტაგონში განმარტეს, რომ თურქეთმა უნდა დაუბრუნოს რუსეთს ს-400 სისტემები, თუ ანკარას სურს აშშ-ისგან მიიღოს „Patriot“-ის სარაკეტო კომპლექსები. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი შეეცდება რეფორმების ჩატარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო სარბიელზე. ჯო ბაიდენის ახალი ადმინისტრაცია უეჭველად გადახედავს თურქულ-ამერიკული ურთიერთობების ბოლოდროინდელ დინამიკას, რომელიც ძირითადად აგებული იყო თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ ერდოღანისა და აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პიროვნულ, თავისებურ ურთიერთობებზე. ორივე მათგანს გააჩნდა პერსონალიზირებული მიდგომა საგარეო პოლიტიკის მიმართ. თურქეთი, როგორც ჩანს, ჯოზეფ ბაიდენის საგარეოპოლიტიკური გუნდის ცხარე დისკუსიების დღის წესრიგში აღმოჩნდება.

აშშ-ს ადმინისტრაციის თურქეთთან თანამშრომლობისა და შერიგების მომხრეები, თურქეთს განიხილავენ როგორც მნიშვნელოვან მოკავშირეს და ნატოს სამხრეთი ფლანგის საკვანძო ქვეყანას, რომლის დაკარგვასაც აშშ არ დაუშვებს და არც მას მისცემს საშუალებას დასავლეთის სამხედრო ბლოკიდან რუსეთისკენ გადაიხაროს. ამერიკულმა მკაცრმა პოზიციამ და გამანადგურებელმა ეკონომიკურმა სანქციებმა თურქეთის მიმართ, შესაძლებელია ერდოღანის ავტორიტარული ძალაუფლება გააძლიეროს და თანაც მას, ხელისუფლებისთვის ბრძოლის ჟინი გაუღვივოს. ვაშინგტონი ყველანაირად უნდა შეეცადოს გაამყაროს თურქეთის პოზიცია დასავლეთის პოლიტიკურ ბლოკში და ამისთვის გამოიყენოს ეკონომიკური, დიპლომატიური, უსაფრთხოების სტიმულირება და ერთდროულად შეამზადოს ქვეყანა რბილი დემოკრატიული გარდაქმნისაკენ, ოპოზიციური ძალების მხარდაჭერით. არჩევნების დროს ერდოღანის მომხრეები ღიად თანაუგრძნობდნენ ტრამპს და ჯო ბაიდენს გამარჯვება, მხოლოდ 10 ნოემბერს *(ტრამპისთვის გაგზავნილი სამადლობელი წერილის შემდეგ)* მიულოცა ერდოღანმა და 14 ნოემბერს პირობა დადო, რომ თავის ქვეყანაში გაატარებს ეკონომიკურ, სასამართლო და დემოკრატიულ რეფორმებს „საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ერის“ დაწყების აღსანიშნავად. ბაიდენის საგარეოპოლიტიკური გუნდის ნაწილს (ადმინისტრაციის მესამედი), მიაჩნია თურქეთთან ხისტი კონფრონტაციისა და იძულების მეთოდების გამოყენება. მათ სჯერათ, რომ თურქეთის წინააღმდეგ „ჯოხის პოლიტიკის“ გამოყენებით, რომელიც დაიწყება დაუყოვნებლივი ყოვლისმომცველი სანქციების პაკეტის გამოყენებით და იძულების დიპლომატიას დაეყრდნობა, ეკონომიკური საშუალებების, უსაფრთხოების საკითხების და პოლიტიკური სვლების ჩათვლით. ჯო ბაიდენს უკვე გააჩნია საფუძველი, რომ განახორციელოს ზემოხსნებული მეთოდი. თურქეთის მიერ რუსული ს-400-ის შეძენა, საშუალებას იძლევა აშშ-მა აამუშავონ კანონი: „ამერიკის მოწინააღმდეგეთა მიმართ საწინააღმდეგო მოქმედება სანქციების საშუალებით“. აღნიშნული კანონის ფარგლებში გატარებული ორიოდე ასეთი სანქცია, თურქეთისთვის სერიოზულ უსიამოვნებას მოიტანს.

ჯოზეფ ბაიდენის ადმინისტრაციამ საჭიროდ ჩათვალა შემრიგებლური

პოლიტიკა განახორციელოს პირველი თვეების განმავლობაში, რათა თურქეთის რეაქციაზე დაკვირვებით, შესაბამისად ჩამოაყალიბოს თავისი შემდგომი საგარეო პოლიტიკა. ორივე მხარეს კარგად ესმოდა, აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობებში უამრავი კრიზისული ზონა არსებობს, რომელთა მოგვარებას ალბათ სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება. თუმცა, თურქეთის ხელისუფლება 2021 წლის დადგომიდან ცდილობდა აშშ-ის ადმინისტრაციასთან რაც შეიძლება შემაკავებელი პოლიტიკა შეენარჩუნებინა, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ბაიდენის ახალი მთავრობის მოსვლით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობის გზების ძებნა შეიძლებოდა *(ტრამპის და ერდოღანის უთიერთობის მაგალითების გვერდის ავლით).*

2021 წლის დაწყებისთანავე აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან დაისვა მთელი რიგი „საჭირბოროტო“ საკითხები, რომელიც ხელს უშლის აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობების დარეგულირებას.

1. რუსეთთან დადებული ს-400 კომპლექსის შესყიდვის ხელშეკრულების გაუქმება და უკვე შესყიდული 4 ბატარეის სისტემების სრული აქტივაციის შემთხვევაში, აშშ მეტად მკაცრ სანქციებს განახორციელებს. *2021 წლის იანვრის შუა რიცხვებში თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა დაადასტურა, რომ თურქეთი აგრძელებს მოლაპარაკებებს რუსეთთან ს-400 კომპლექსების მეორე პარტიის შეძენაზე. მოგვიანებით კი, აშშ-ის ელჩმა თურქეთში დეივიდ სატერფილდმა გააფრთხილა თურქეთი, რომ ს-400 ახალი პარტიის შეძენის გადაწყვეტილება, „სერიოზულ შედეგებამდე მიგვიყვანს და უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზეზი გახდება“. აღნიშნულის ფარგლებში, აშშ-მა თურქეთს სანქციები დაუწესა. სხვათა შორის, სანქციების დაწესების შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ-ის მხრიდან თავის „ნატოს“ მოკავშირის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვაა.*

2. ბაიდენის მოთხოვნაა ქურთებთან დიალოგის გამართვა, რადგანაც თვით აშშ-ის პრეზიდენტი მხარს უჭერს სირიის ქურთების „დემოკრატიული კავშირის პარტიას“, რომელსაც ერდოღანი „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK -ს გაგრძელებად მიიჩნევს და ტერორისტულ ორგანიზაციად თვლის.

3. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში გაზრდილი ენერგეტიკული პაექრობა, ორი ქვეყნის კიდევ ერთი დაპირისპირების მიზეზი შეიძლება გახდეს, რამე თუ ამერიკის შეერთებული შტატები აფართოვებენ სამხედრო თანამშრომლობას საბერძნეთთან და სამხრეთ კიპროსთან. ბაიდენს შეუძლია კიდევ უფრო განავითაროს აღნიშნული თანამშრომლობა, მითუმეტეს თურქეთი უკვე გააფრთხილა რეგიონში პროვოკაციული მოქმედებების გამო.

4. ჯოზეფ ბაიდენი ჯერ კიდევ საარჩევნო პერიპეტიებში იყო ჩაბმული, როდესაც 2020 წლის ივლისში დაგმო ერდოღანის გადაწყვეტილება, აია-სოფიას ტაძრის მეჩეთად გადაკეთების გამო.

5. ჯოზეფ ბაიდენმა წლის დასაწყისში განაცხადა, რომ მხარს უჭერს ოსმალეთის იმპერიაში სომეხი ხალხის მასიური მკვლელობების ფაქტის, „სომეხთა გენოციდად“ აღიარებას. *2021 წლის 24 აპრილს (ოსმალეთის იმპერიაში ეთნიკური სომხების მიმართ განხორციელებული ხოცვა-ჟლეტის აღმნიშვნელი თარიღი) აშშ-ის პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა სცნო 1915 წლის 24 აპრილს ოსმალეთში „სომეხთა გენოციდის“ ფაქტი, რომელიც ჯერ კიდევ 2019 წელს აშშ-ის კონგრესმა აღიარა. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მსგავსი მოქმედება ძირს უთხრის აშშ-ისა და თურქეთის ურთიერთობებს. თურქეთში აშშ-ის ელჩი დეივიდ სატერფილდი დაიბარეს საგარეო უწყებაში და აშშ-ის პრეზიდენტის განცხადების გამო პროტესტი გამოთქვეს. პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის მიერ „სომეხთა გენოციდის“ აღიარებაზე, თურქეთის ხელისუფლების რეაქციასთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების*

საელჩომ ანკარაში, აშშ-ის გენერალურმა საკონსულომ სტამბოლში, აშშ-ის საკონსულომ ადანაში და აშშ-ის საკონსულო სააგენტომ იზმირში გამოაცხადეს, რომ ოთხშაბათსა და სამშაბათს (26 და 27 აპრილს) დაკეტილი იქნებიან „სიფრთხილის ღონისძიების“ ფარგლებში.

და ბოლოს, ბაიდენის ადმინისტრაცია ვერ იქნება თურქეთის მთავრობის მხრიდან პოპულისტური ანტიამერიკული რიტორიკისადმი ისე მომთმენი, როგორც ტრამპის ადმინისტრაცია იყო.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი და თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი, ერთმანეთს პირველად შეხვდნენ 2021 წლის 14 ივნისს ბრიუსელში ნატოს მორიგი სამიტის ფარგლებში. შეხვედრა მიმდინარეობდა დაახლოებით 45 წუთს, რომელზეც ქვეყნების დელეგაციებიც ესწრებოდნენ.

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ამერიკის პრეზიდენტთან ახლო საუბარი ჰქონდა, რუსეთისგან ს-400 სისტემების შეძენის საკითხებზე. ბაიდენთან მოლაპარაკებების შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ერდოღანმა განაცხადა, რომ ს-400-ის საკითხში თურქეთი რჩება იგივე პოზიციაზე და არ შეცვლის გადაწყვეტილებას. ერდოღანმა ასევე დასვა საკითხი აშშ-ის მხრიდან სირიის ქურთებისადმი დახმარების შესახებ და ხაზი გაუსვა აღნიშნული ქურთული შეიარაღებული დაჯგუფებების ტერორისტებთან გაიგივების საკუთარ პოზიციას. ერდოღანის მიერ აღძრული ფეთჰულა გიულენის გადმოცემის საკითხი, რომელსაც ბრალად ედება 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო სამხედრო გადატრიალების მცდელობის ორგანიზაცია, დამაჯერებელი მტკიცებულების და დასაბუთების წარდგენის გარეშე, აშშ-ის მთავრობა უარს ამბობს აღნიშნული საკითხის განხილვასა და მითუმეტეს, საერთაშორისო დონეზე ცნობილი ისლამის სწავლულის და პაციფისტის ფ. გიულენის თურქეთის მხარისთვის გადაცემაზე.

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი, აშშ-ის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების შემდგომ გამართულ პრეს-კონფერენციაზე თვლის, რომ ჯო ბაიდენთან შეხვედრამ „სრული თანხმობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა“ და შეხვედრაზე ლიდერებმა აღნიშნეს, რომ თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც შეუძლებელი იყოს. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა თავისი კოლეგა ოფიციალურად მიიწვია თურქეთში ვიზიტად, რაზეც ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ აუცილებლად ეწვევა თურქეთს, როგორც კი ამის საშუალებას მისცემს მჭიდრო გრაფიკი.

2021 წლის 21 ივნისს თურქეთის მინისტრთა კაბინეტის ორშაბათის სხდომის დასრულებისას ერდოღანმა აღნიშნა: „ჩვენ გვჯერა, რომ აშშ-თან ურთიერთობების ახალი ეპოქის კარი შევაღეთ პოზიტიურ და კონსტრუქციულ საფუძველზე“.

აშშ-ის პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, ერდოღანთან შეხვედრას მიიჩნევს, როგორც „პოზიტიურსა და პროდუქტიულ“ მოლაპარაკებებს, რომლის მსვლელობის დროსაც ორი ქვეყნის ლიდერებმა განიხილეს მთელი რიგი საკითხების გარშემო მომავალი მოქმედებების გეგმა. პრეზიდენტები ვერ შეთანხმდენენ რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემების ს-400 თურქეთის მხრიდან უარის თქმის თაობაზე. უბრალოდ გადაწყდა ს-400-ის შეძენის/არ შეძენის შესახებ დიალოგის გაგრძელებაზე, ვინაიდან აღნიშნული საჰაერო სივრცის დაცვის სისტემები, ვერაფრით ვერ ესადაგება ნატოს სისტემების პარამეტრებს. სხვათა შორის, პრეზიდენტებმა, ნატოს ჯარების ავღანეთიდან გასვლის შემდეგ თურქეთის მიერ ქაბულის აეროპორტის დაცვის გეგმა განიხილეს. თურქეთი შეპირდა, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, აშშ-ს დახმარებას აღმოუჩენს აღნიშნულ საკითხში. აშშ-ის და სხვა ქვეყნების სამხედრო ძალების გასვლის შემდეგ, თურქეთის სამხედრო შენაერთები გააკონტროლებენ ქაბულის აეროპორტისა და ქალაქის უსაფრთხოების საკითხებს, რაც ადგილობრივი „ტალიბანის“ ძალებს მიუღებლად მიაჩნიათ და არაფრით არ დაუშვებენ თურქული ძალების განლაგებას ავღანეთის დედაქალაქსა და მისი საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე *(„ტალიბანის“ მოძრაობის ხელმძღვანელობა თურქების მიერ ქაბულის აეროპორტის დაცვის წინააღმდეგია და მოითხოვენ, რომ თურქეთის ჯარებმაც უნდა დატოვონ ავღანეთის ტერიტორია 2020 წლის 29 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ყველა უცხოური ძალების გასვლას ავღანეთიდან)*.

ავღანეთში თურქეთის სამხედრო ძალების ჩაყენების ფაქტი, შესაძლებლობას იძლევა, თურქეთმა გამოიყენოს თავისი მიზანმიმართული გეოპოლიტიკური სვლებისთვის:

1. ნატოს ალიანსში პოზიციების გამყარება;
2. ცენტრალური აზიის თურქული სამყაროს სამხრეთში პლაცდარმის შექმნა *(ჩუსეთის და ჩინეთის გავლენის სივრცეში შეჭრით. უიღურ-სინძიანის ოლქიც შორს არ არის);*
3. პაკისტანთან გამეზობლება და მასთან ახლო მომავალში ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის პერსპექტივით;
4. ავღანელ სუნიტურ მოსახლეობასთან იდეოლოგიური დაახლოვება და ირანის ინტერესების კონტროლი *(2000-იანი წლებიდან თურქი სამხედროები ავღანეთის არმიის კადრებს ამზადებდნენ);*
5. ავღანეთიდან ნარკოტრაფიკის გაკონტროლების სამხედრო ბალანსით განსაზღვრა.

აშშ-ის პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენისა და თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის პირად შეხვედრას, თურქეთში ჯერ კიდევ ზამთრის დღეებიდან მოყოლებული დიდი ინტერესით ელოდნენ: თურქეთის პოლიტიკური სპექტრი, სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესის წარმომადგენლები, სამხედროები და მოსახლეობის ფართო ფენები. თურქეთის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც კარგა ხანია მიმდინარეობს და დღითიდღე მწვავდება, ერდოღანის „საპრეზიდენტო“ იმიჯზეც მოქმედებს და აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების შემსუბუქება, პრეზიდენტის პოლიტიკურ სვლებზეა დამოკიდებული. ბრიუსელში ნატოს სამიტზე პრეზიდენტების შეხვედრას თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი განსაკუთრებული ინტერესით ელოდა. ექსპერტების უმრავლესობა დიდი ხანია აკვირდება აშშ-სა და თურქეთს შორის არსებული რთული პრობლემების გარშემო გამართულ ცხარე დისკუსიებს და ამჯერადაც, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში რაიმე პოზიტიურ გარღვევას არ ელოდა. მართლაც, მოლაპარაკებების შემდეგ გაკეთებული განცხადებები მოკლე და პროტოკოლის ენით იყო გადმოცემული. ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ თავის კოლეგასთან განიხილეს მომავალი მოქმედებების საკითხები და „მისი გუნდი და თურქეთის პრეზიდენტის გუნდი ახლა იმუშავებენ იმ დეტალების განსაზღვრაზე, რაზეც მათ მოილაპარაკეს“. ერდოღანმა თავისი პირველი კონტაქტები აშშ-ის პრეზიდენტთან დაახასიათა, როგორც „პროდუქტიული და გულწრფელი“ და რადგან პრეზიდენტების შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაჟღერდა F-35 გამანადგურებლების წარმოების პროგრამიდან თურქეთის გარიცხვის და ს-400 შესყიდვის გამო სანქციების დაწესების შესახებ, ანკარის პოზიცია ს-400-თან მიმართებაში „უცვლელი“ დარჩა. აშშ-ის და თურქეთის პრეზიდენტების აღნიშნული ისტორიული შეხვედრის შედეგმა არაფერი ახალი ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოიტანა და მხარეებს შორის რაიმე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის პერსპექტივებიც არ ჩანს. ხსენებული ს-400, F-35, საბანკო კრიზისის პრობლემების გარდა, არსებობს დაძაბულობის სხვა მიზეზებიც: თურქეთის პროვოკაციული ქმედებები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში; აგრესიული სამხედრო კამპანიები სირიის ტერიტორიაზე, აშშ-ის მხრიდან მხარდაჭერილი ადგილობრივი ქურთების ძალების „სახალხო თავდაცვის რაზმების“ წინააღმდეგ და მათი გაძევება ისტორიული ბინადრობის ადგილებიდან; ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავი ფაქტები თურქეთში და სირიის ტერიტორიაზე, სადაც თურქების მხრიდან ქურთების წინააღმდეგ მასიური რეპრესიები ტარდება. ასეთ სიტუაციაში, ძნელია დაეთანხმო ერდოღანის განცხადებას: „აშშ-თან ახალი ეპოქის ან ახალი ფურცლის დაწყების“ შესახებ. თურქეთს, ავღანეთში დამკვიდრების მოლოდინში, აშშ-თან ურთიერთობების გამყარების შანსი ეძლევა, რათა დაამტკიცოს თავისი ერთგულება და ყველანაირად ეცადოს ქაბულის საერთაშორისო აეროპორტის უსაფრთხოების დაცვას, რათა ტალიბების ხელში არ აღმოჩნდეს იგი. 2021 წლის 1 მაისს დაწყებული ტალიბების მიერ განხორციელებული წარმატებული შეიარაღებული ოპერაციების ფონზე, როდესაც მათ მიერ ავღანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი აქვთ დაპყრობილი, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თურქეთის ხელისუფლებისა და ტალიბების დამოკიდებულება ქაბულის აეროპორტისა და მთლიანად დედაქალაქის ბედზე *(ტაღიბები ძაღზე ენეჰგიუღად მოქმედებენ მთეღი ავღანეთის ტეჰიტოჰიაზე და დჰოის მოკღე მონაკვეთში მჰავაღი მნიშვნეღოვანი პუნქტი დაიკავეს).* ავღანეთიდან უცხოელი ჯარების გაყვანის მომენტი კარგ შესაძლებლობას აძლევს ერდოღანს, ჯო ბაიდენთან ურთიერთობები გაიუმჯობესოს და გამოავლინოს თავისი მისწრაფება - დამაკავშირებელ ძალად იქცეს ავღანეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ავღანეთში

შექმნილი სიტუაცია თურქეთს აძლევს ხელს და იმედს უსახავს, რომ თავის ჯარებს განალაგებს ქაბულსა და აეროპორტში *(ქაბულის აეროპორტის კონტროლი უზრუნველყოფს მსოფლიოსთან ავღანეთის დამაკავშირებელი კარიბჭის გასაღების ფლობას).*

თურქეთის სამხედრო მისიის განთავსება ავღანეთის მთავარ სტრატეგიულ ცენტრში, რა თქმა უნდა, თავისებურ რისკებსა და გარკვეულ გამოწვევებს შეიცავს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს თურქეთისა და რეგიონული მოთამაშეების ურთიერთობებზე და ისინი მიიყვანოს სერიოზულ უთანხმოებამდე. აშშ-ის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ „თუ მათ არ სურთ, რომ ჩვენ დავტოვოთ ავღანეთი და სურთ, იქ გარანტად თურქული ძალა დარჩეს, მაშინ შეერთებული შტატების დიპლომატიურ და ფინანსურ მხარდაჭერას ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება“. საინტერესოა, რომ ნატოს წევრი თურქეთის მონაწილეობა ავღანეთის ომში თავიდანვე განსაზღვრული იყო 500-კაციანი ბატალიონით, რომელიც არ მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში და თურქული სამხედრო შენაერთი დაკავებული იყო ქაბულის აეროპორტის დაცვისა და სამხედრო ნაწილის სამმართველოს მუშაობით. გამოდის, რომ თურქეთს ავღანეთში არასოდეს ჰყოლია შეიარაღებული საბრძოლო-საველე ძალები, თურქი ჯარისკაცები არასდროს არ ჩართულან შეიარაღებულ, საომარ დაპირისპირებებში და ცეცხლი არ გაუხსნიათ ამ ქვეყანაში?! თურქეთის მნიშვნელობა და მისი როლი რეგიონულ კონფლიქტებში, აშშ-ის სამთავრობო სხდომების დღის წესრიგში ყოველთვის ფიგურირებდა, რასაც ადასტურებს აშშ-ის ყოფილი ელჩი ანკარაში და სირიის საკითხებში აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმზ ჯეფრი, რომელმაც აღნიშნა, რომ აშშ-ს არ შეუძლიათ თურქეთის გარეშე დაიცვან თავისი ინტერესები ყველა რეგიონში. ქაბულის ჰამიდ ქარზაის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, ავღანეთის მთავარი საჰაერო კარიბჭე, ერთდროულად სამხედრო ბაზასაც წარმოადგენს და ქვეყნის ძირითადი ჭიშკარია. თურქეთი დიდ იმედებს ამყარებს ავღანეთში საკუთარი სამხედრო ძალების განთავსებაზე და რეგიონში მისი გეოპოლიტიკური გავლენის პერსპექტივებზე, თუ აშშ-ის მხრიდან ფინანსური დახმარება და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დიპლომატიური მხარდაჭერა ექნება გარანტირებული. ამერიკის შეერთებული შტატების გეოსტრატეგიულ ინტერესებში ნამდვილად შედის რეგიონში თურქეთის გავლენის გაძლიერება, რუსეთისა და ჩინეთის გაზრდილი ამბიციების შემაკავებელი ძალის ამპლუაში. *2020 წლის 29 თებერვალს ყატარის დედაქალქ დოჰაში აშშ-ისა და „ტალიბანის“ ოფისის წარმომადგენლებს შორის დადებული შეთანხმების თანახმად, ავღანეთიდან უცხოური ძალების გასვლის ბოლო ვადა ოფიციალურად 2021 წლის 11 სექტემბერს იწურება, თუმცა აშშ-ის მთავრობის განცხადებით მისი ძალები 31 აგვისტომდე დატოვებენ ავღანეთის ტერიტორიას.*

ლ ე ქ ც ი ა 13

(თურქეთი და ნატო. თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა. „ცივი ომის“ დასრულება და თურქეთის როლი ნატოს ალიანსში. თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და ნატო. თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი)

თურქეთის რესპუბლიკა ნატოს წევრი გახდა 1952 წლის 18 თებერვალს, რაც ნაკარნახევი იყო მისი ისტორიული არჩევანით, ცივილიზებულ დასავლეთთან თანამშრომლობისა და საბჭოთა კავშირის მხრიდან კომუნისტური იდეების გავრცელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილით. ნატოს ალიანსის შექმნის მთავარი მიზანიც საბჭოთა კავშირის აგრესიული პოლიტიკის დაოკება და დასავლეთ ევროპის თავისუფალი ქვეყნებისთვის უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფა იყო. თურქეთი, რომელიც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ფლაგმანს, საბჭოთა კავშირს უშუალოდ ესაზღვრებოდა, ნატოს ალიანსის მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორის და აღმოსავლეთ კარიბჭის ერთგული გუშაგის როლს ასრულებდა. თურქეთმა, ალიანსში წევრობის პირველივე წლებიდან, აშშ-ის და ნატოს ალიანსის დახმარებით, საკმაოდ მოკლე ხანში შესძლო თავის ტერიტორიაზე სამხედრო ობიექტების და თავდაცვითი კომუნიკაციების მშენებლობის გაჩაღება და მათი შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა.

„ცივი ომის“ პერიოდში თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსი, ნატოს ალიანსის და თავისი უფროსი პარტნიორის ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური გამოცდილების გათვალისწინებით ვითარდებოდა. რაც შეეხება თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, თურქეთის ტერიტორიაზე „ცივი ომის“ პერიოდში აგებულ იქნა 20-ზე მეტი ნატოს ბაზა და ამერიკულ ბაზებთან ერთად, დღეისათვის მთლიანად 60-მდე სამხედრო ბაზა არის განთავსებული, რომლებიც თურქეთის და მთელი რეგიონის უსაფრთხოების დაცვას ემსახურებიან. „ცივი ომის“ წლებში თურქეთი, აშშ-ის და ნატოს ალიანსის „ბირთვული ქოლგის“ ქვეშ დაცული იყო მსოფლიოს ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ყოველგვარი დაძაბულობისა და მოსალოდნელი საომარი მოქმედებების დაწყების საშიშროებიდან. თურქეთი აღნიშნულ პერიოდში ნატოსთვის წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის საზღვართან საიმედო დამცავ ბურჯს, ხოლო თავისი საკუთარი საგარეო პოლიტიკის კურსი, ძირითადად შემოიფარგლებოდა ეგეოსის ზღვის „სადავო“ კუნძულების საბერძნეთის საფრთხისაგან და ჩრდილოეთ კიპროსზე მცხოვრები ეთნიკურად თურქი მოსახლეობის ინტერესების დაცვით.

„ცივი ომის“ ეპოქის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. ევროპის კონტინენტზე ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებიდან ერთ-ერთმა, სოციალისტური ბანაკის კბილებამდე შეიარაღებულმა „ვარშავის პაქტის“ სამხედრო ალიანსმა დაასრულა არსებობა. ბუნებრივად დაისვა კითხვა: ნატოს სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც სწორედ საბჭოთა კავშირის ექსპანსიური საფრთხის შეკავების მიზნით იყო შექმნილი, სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში რამდენად შეესაბამებოდა თავის მთავარ დანიშნულებას. სწორედ ევროპის ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოები, რომელთაც საერთაშორისო ურთიერთობებისა და დემოკრატიული სისტემის მშენებლობის გამოცდილება აკლდათ, დასავლეთის ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცნენ და მათი დახმარების იმედი გაუჩნდათ. სოციალისტური სისტემის მარწუხებიდან თავდახსნილი ქვეყნების უმეტესობას, ჰქონდა ევროპული ცხოვრების ადრინდელი გამოცდილება და ნატოს ალიანსში გაწევრიანების შანსი მათთვის პირდაპირ მისწრება იქნებოდა დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზაზე. თურქეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ახლოს ემეზობლებოდა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ახალ ქვეყნებს, ასევე საბჭოთა კავშირის

კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან აკავშირებდა ისტორიული, რელიგიური, ეთნიკური, კულტურული, იდეოლოგიური სიახლოვე, რამაც თურქეთს საშუალება მისცა, აეღო ინიციატივა, აღნიშნული ახალგაზრდა ქვეყნებისთვის ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკის განხორციელების საქმეში აქტიურად ჩართულიყო. თურქეთი ასევე აქტიურად უჭერდა მხარს განსაკუთრებული პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას ნატოს ალიანსსა და კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. თურქეთის საელჩოებმა თავის თავზე აიღეს „ნატოს საკონტაქტო პუნქტის“ შესრულების როლი კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. ამას გარდა, თურქეთი აქტიურად მონაწილეობდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის განვითარების ფარგლებში, რის საფუძველზეც 1998 წლის ივნისში ანკარაში შეიქმნა სპეციალური სასწავლო ცენტრი, სადაც ტარდებოდა კურსები და სემინარები ნატოს პარტნიორი-ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალისთვის სტრატეგიული და ტაქტიკური მომზადების მიზნით. თურქეთი ასევე აქტიურად მონაწილეობდა სამოქალაქო მშვიდობის ოპერაციებში, რომელიც ნატოს ეგიდით და მისი ხელმძღვანელობით ტარდებოდა. კერძოდ, თურქეთის სამხედრო ნაწილები მონაწილეობდნენ სპარსეთის ყურის პირველი ომისა და ყოფილი იუგოსლავიის ბოსნიის საომარი ოპერაციების მსვლელობის დროს. თურქეთის სამხედრო ქვედანაყოფები მოქმედებდნენ კოსოვოს ბრძოლების დროს და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში ავღანეთში, ხოლო თურქეთის საჰაერო ძალები მონაწილობდნენ ნატოს მიერ ჩატარებულ ოპერაციებში ბელგრადის დაბომბვის დროს და ლიბიაში მუამარ კადაფის ძალების წინააღმდეგ საჰაერო ბრძოლებში. თურქეთის თანამშრომლობა ნატოს ბლოკთან წლების მანძილზე გამოირჩოდა ერთგულებით და დიდი წვლილი შეიტანა ნატოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, საბჭოთა კავშირთან საკმაოდ ვრცელი სასაზღვრო ზოლის *(622 კმ)* დაცვით. თურქეთმა ნატოს ბლოკის განკარგულებაში თავისი შეიარაღებული ძალების საკმაოდ მნიშვნელოვანი კონტინგენტი ჩააბა, როგორც სახმელეთო შენაერთები, ისევე სამხედრო-საჰაერო ესკადრილიები. ამგვარად, თურქეთმა ალიანსში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ძალებით გამოიჩინა თავი და დღესაც თურქეთი, ნატოს წევრი ქვეყნებიდან ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო შეიარაღებითა და საჯარისო ნაწილებით გამოირჩევა. თურქეთი, ნატოს ევროპული ქვეყნებიდან თავის ტერიტორიაზე ყველაზე მეტ ბირთვულ საბრძოლო იარაღს ინახავს, რომელსაც „ინჯირლიყის“ აეროდრომზე 50 ერთეული B-61 ტაქტიკური ბირთვული ჭურვი (ბომბი) აქვს ბაზირებული. თურქეთის ტერიტორიაზე ძალიან ხშირად იმართება ნატოს სამხედრო მანევრები და სასწავლო წვრთნები ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მონაწილეობით. თურქეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები და ქვედანაყოფები ყოველწლიურად მონაწილეობას იღებენ 60-ზე მეტ სასწავლო-საბრძოლო ღონისძიებებში კოალიციური და ეროვნული გეგმების `თანახმად. ამას გარდა, თურქეთის არმიის ოპერატიული და საბრძოლო მომზადების გეგმების თანახმად, განსაზღვრულია წვრთნების ჩატარება იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრები. განსაკუთრებული ყურადღება არის მიქცეული სამხრეთ კავკასიის რეგიონთან, კერძოდ კი, აზერბაიჯანისა და საქართველოს სამხედრო ძალების ფორმირებებთან ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების პროცესს. თურქეთი თავისი მეტად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობით, წარმოადგენს ნატოს ბლოკის თავისებურ პლაცდარმს, რომელიც ფლობს საკმაოდ ძლიერ საკუთარ სამხედრო პოტენციალს და მისი რეალიზაციის შემთხვევაში შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს რეგიონის მდგომარეობაზე. შექმნილი პოლიტიკური და სტრატეგიული პირობების გათვალისწინებით, თურქეთის ხელისუფლება მცდელობას არ აკლებს, რომ მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს ნატოს ალიანსის წევრობის

უპირატესობანი თავისი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას, რომლის ძირითადი მიზანი რეგიონში თავისი გავლენის გაფართოვებაში მდგომარეობს.

2001 წლის 9/11 ტერაქტების შემდეგ, თურქეთი აქტიურად ჩაერთო მსოფლიო ანტიტერორისტული მოძრაობის ოპერაციაში ავღანელი ტალიბების წინააღმდეგ, რომელშიც ნატოს სამხედრო საბჭომ ისტორიაში პირველად გამოიყენა ალიანსის წესდების მე-5 მუხლი „კოლექტიური თავდაცვის“ შესახებ. აღნიშნული მოვლენების შედეგად, შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებისას, ცნობილი პოლიტიკური სახეები მსოფლიოში „ისლამური ტერორიზმის“ საფრთხის შესახებ ალაპარაკდნენ და მასთან ბრძოლის გააქტიურებისკენ მოუწოდებდნენ. ესპანეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ხოსე მარია ასნარი *(ესპანეთის პრემიერ-მინისტრი 1996-2004 წლებში)* აცხადებდა, რომ „ისლამური ტერორიზმი გლობალური ხასიათის ახალი საერთო საფრთხეა, რომელიც თვით ნატოს წევრების არსებობას უქმნის საფრთხეს“, და დაამატა, რომ ალიანსის ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნას „ისლამურ ჯიჰადიზმთან და მასიური განადგურების იარაღის გავრცელებასთან“ ბრძოლისაკენ. მანვე მოუწოდა, რომ „ისლამური ჯიჰადიზმის წინააღმდეგ ომი, ნატოს სტრატეგიის მთავარ ორიენტირად უნდა იქცეს“.

თურქეთში 2002 წლის არჩევნების შედეგად მოსული „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP მთავრობა, ისლამური ფასეულობების დამცველის როლში მოგვევლინა და რეჯებ თაიფ ერდოღანის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ (2003 წლის მარტიდან), თურქეთის მმართველი ძალა მტკივნეულად და ზოგჯერ აგრესიულადაც რეაგირებდა მუსლიმთა წმინდანებისა და მქადაგებელთა მიმართ ყოველგვარი უპატივცემლობისა და სარკაზმის გამოხატვის შემთხვევაში. დანიის გაზეთ “Jylland-Posten” 2005 წლის 30 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა კარიკატურები ისლამის წინასწარმეტყველის მუჰამედის 12 გაშარჟებული სურათით, რომელსაც მსოფლიო ისლამური სამყარო დიდი საპროტესტო გამოსვლებით გამოეხმაურა. ისლამის ცნობილმა რელიგიურმა ლიდერებმა დანიის პრემიერ-მინისტრ ანდერს ფოგ რასმუსენს გაზეთში გამოქვეყნებული კარიკატურების ავტორების დასჯა და გაზეთის დახურვა მოსთხოვეს, რაზეც რასმუსენმა უპასუხა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტი მას არ აძლევს უფლებას, კერძო გაზეთის გამომცემელს აუკრძალოს „რა დაბეჭდოს და რა არა“. ამას გარდა, 19 ოქტომბერს დანიაში აკრედიტებულმა 11 არაბული ქვეყნის ელჩებმა მოითხოვეს პრემიერ-მინისტრ ანდერს ფოგ რასმუსენთან შეხვედრა, რაზეც უარი მიიღეს. აღნიშნულმა ფაქტებმა მთელი მუსლიმური საზოგადოების კრიტიკა გამოიწვია, განსაკუთრებით კი, თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯებ თაიფ ერდოღანის მხრიდან. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ პერიოდში ანდერს ფოგ რასმუსენი, როგორც წარმატებული ევროპელი პოლიტიკოსი, განიხილებოდა ნატოს ალიანსის გენერალური მდივნის პოსტზე, რაზეც ერდოღანმა განაცხადა, რომ ნატოს აქტიური წევრი ქვეყნის - თურქეთის მთავრობა „ნეგატიურად“ განიხილავს რასმუსენის კანდიდატურას. საქმე იმაშია რომ, როდესაც ერდოღანმა მოითხოვა ერთად შეხვედროდნენ დანიაში მცხოვრებ მუსლიმების ლიდერებს, რასმუსენმა თავი შეიკავა ამ შეხვედრაში მონაწილეობისგან. თურქეთმა მეტად მკაცრი პოზიცია დაიკავა, რასაც შეიძლება ნატოს ალიანსთან ურთიერთობების დაძაბვა და პრობლემები მოჰყოლოდა. აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინიციატივით ორგანიზებულ იქნა დანიის პრემიერ-მინისტრის ანდერს ფოგ რასმუსენისა და თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულის შეხვედრები და ინტენსიური მოლაპარაკებები. ამის შემდეგ რასმუსენმა პირობა დადო, რომ მოაწყობს კარიკატურებთან დაკავშირებულ საჯარო განხილვას მუსლიმთა პრობლემების მოგვარების მიზნით, რომელზეც ხელმძღვანელებად დანიშნავს თურქეთის ორ წარმომადგენელს. კიდევ უფრო საგულისხმოა რასმუსენის განცხადება თურქეთის მთავრობის გულის მოსაგებად: „როგორც ნატოს გენერალური

მდივანი, მე გადავდგამ გადამწყვეტ ნაბიჯებს მუსლიმურ სამყაროსთან დიალოგის აქტივიზაციისა და თანამშრომლობის მიმართულებით. მე თურქეთს ვთვლი მეტად მნიშვნელოვან მოკავშირედ და სტრატეგიულ პარტნიორად და მე ვითანამშრომლებ მასთან, რათა გარანტირებული იყოს მუსლიმურ სამყაროსთან სანიმუშო ურთიერთობები". მოგვიანებით, 2009 წლის 1 აგვისტოს ანდერს ფოგ რასმუსენი არჩეულ იქნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის - ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე.

ნატოს და თურქეთს შორის პრობლემები მხოლოდ ისლამიზმის პრობლემებით არ შემოიფარგლება. თურქეთი, 2010 წლის მაისიდან ისრაელთან დაპირისპირების შემდეგ, თანმიმდევრობით ავითარებდა ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერას და თავის ქვეყანაში დიდი პატივით იღებდა ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმედინეჯადს. ალიანსის აქტიური წევრი და საიმედო მოკავშირე თურქეთი, როდესაც რეგიონში დასავლეთის მეგობარ ისრაელს უპირისპირდება და აშშ-თან მტრულად განწყობილ ირანთან მეგობრულ კავშირებს ამყარებს, ნატოს ალიანსის ქვეყნების ერთგვარ გაკვირვებას იწვევს. ამგვარი პოლიტიკური სვლების შემდეგ, დასავლელი ექსპერტების აზრით, თურქეთის კავშირი აშშ-სა და ნატოსთან თანდათანობით სუსტდება, რაც იდეოლოგიური მიმართულებით ხასიათდება. აჰმეთ დავუთოღლუს „სტრატეგიული სიღრმის" კონცეფციის თანახმად, თურქეთი არ უნდა იყოს ცალმხრივად დამოკიდებული ნატოსა და აშშ-ზე და მან უნდა განავითაროს ურთიერთობები ირანთან, რუსეთთან, ჩინეთთან და ისლამურ სამყაროსთან.

2010 წლის 19-20 ნოემბერს ლისაბონში გაიმართა ნატოს მორიგი სამიტი, რომელზეც მიღებულ იქნა ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია - ალიანსის ახალი გამოწვევები: მსოფლიოს ბირთვული იარაღიდან განთავისუფლება, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, მასიური განადგურების იარაღის გავრცელების აკრძალვა. ნატოს მიერ შემუშავებული რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების განლაგება სამხრეთ ევროპის რეგიონში, თურქეთიც გამოეხმაურა და დათანხმდა თავის ტერიტორიაზე მათ განთავსებაზე, ოღონდ იგი მიმართული არ უნდა იქნას რუსეთზე ან ირანზე, რომელთაც თურქეთი მტრებად არ განიხილავს *(2010 წლის 11 მაისს თურქეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ).* ნატოს აღნიშნულ სამიტში აჰმეთ დავუთოღლუ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი პირველად მონაწილეობდა და მისი აქტიურობა სამიტზე მის გამოსვლაში გაჟღერდა, როდესაც განაცხადა, რომ თურქეთი ამიერიდან არ დაუშვებს, რომ იგი „ფრონტისპირა ქვეყნად" აქციონ, როგორც ეს „ცივი ომის" პერიოდში ხდებოდა: „ჩვენ არ გვაქვს საფრთხის განცდა, რომელიც შეიძლება ჩვენი ახლო რეგიონიდან მომდინარეობდეს, მათ შორის, ირანის, სირიის, რუსეთის". აღნიშნულ სამიტზე თურქეთმა მიაღწია, რომ ირანი ნატოს სავარაუდო მტრულ ქვეყნად არ მოეხსენებინათ, რაც თურქეთმა თავის დიპლომატიურ წარმატებად ჩათვალა. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთმა ლისაბონის სამიტი კარგად გამოიყენა, რათა თავისი დასავლეთთან და ირანთან ურთიერთობები წარმატებით გაეპიარებინა. რეალურ პოლიტიკურ სივრცეში, ბევრი არაფერი შეცვლილა. მიუხედავად რეჯებ ერდოღანის მტკიცებისა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ხელმძღვანელობა თურქეთის ტერიტორიაზე თურქეთს უნდა გადასცემოდა, ნატოს წარმომადგენლებმა თავიდანვე დააზუსტეს, აღნიშნული სისტემების ხელმძღვანელობა ალიანსში, მისი მეთაურობით ხორციელდება და არა ცალკე აღებული ქვეყნის მიერ. თურქეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ნატოს და ევროკავშირის სამხედრო თანამშრომლობის საკითხი, რომელშიც კიპროსის პრობლემის მოუგვარებლობის გამო, თურქეთის პოზიცია უარყოფითია. აჰმეთ დავუთოღლუმ სამიტზე განაცხადა, რომ არ უნდა ველოდოთ ნატოსა და ევროკავშირს შორის სრულყოფილ თანამშრომლობას, ვინაიდან თურქეთს ჯერ უფლებას არ აძლევენ მონაწილეობა მიიღოს

აღნიშნული თანამშრომლობის სრულ ფორმატში *(საქმე ეხება თურქეთის ვეტოს უფლების გამოყენებას)*. ამრიგად, ნატოს ლისაბონის სამიტის შედეგად, საკმაოდ დაიძაბა ურთიერთობა თურქეთსა და ნატოს ალიანსს შორის, სადაც გამოიკვეთა თურქეთის მომავალი საგარეოპოლიტიკური კურსის განსაზღვრის საკითხი, რომელშიც მთავარი მიმართულება იქნება რეგიონის ქვეყნებთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობების ბალანსის დარეგულირება.

2011 წლის „არაბული გაზაფხულის" მოვლენების დროს, თურქეთმა მხარი დაუჭირა ნატოს გადაწყვეტილებას, ლიბიაზე ალიანსის ძალების დაგეგმილ საჰაერო თავდასხმების ოპერაციის თაობაზე და 2011 მარტიდან ჩაერთო საერთაშორისო ძალების აღნიშნულ ოპერაციებში, მაგრამ მინიმალური შესაძლებლობებით, რის გამოც ნატოს ხელმძღვანელობამ მისი მონაწილეობა პასიურად შეაფასა. 2012 წლიდან თურქეთი გაცილებით აქტიურად ჩაება ნატოს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კოალიციის რიგებში სირიის ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამასთანავე, სოლიდარობას უცხადებს ევროკავშირს ასადის რეჟიმის წინააღმდეგ სანქციების განხორციელების წამოწყებაში.

2013 წლის 25 თებერვლის გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის თურქეთში ვიზიტის წინ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ანალიტიკური მოხსენება ნატოს რეფორმირების პრობლემების შესახებ. მოხსენების ავტორთა აზრით, თურქეთის მთავრობა არ იცავს ალიანსის მიმართ „კონსტრუქციული დახმარების" პრინციპებს, რის გამოც გასულ წელს ჩიკაგოს სამიტზე დაგეგმილი ნატოს რეფორმირების პროცესი ყოვნდება. გერმანიას არ მოსწონს თურქეთის პოზიცია იმის გამო, რომ თურქეთი, ნატოს ალიანსის ისრაელთან თანამშრომლობის გაფართოების წინააღმდეგია და ასევე, აფერხებს ნატოსა და ევროკავშირს შორის კოორდინაციის მექანიზმის განვითარებას.

2012 წლის ჩიკაგოსა და 2014 წლის უელსის ქ. ნიუპორტში ჩატარებული ნატოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების ძირითადი მიმართულებების მიმართ, თურქეთმა პრეტენზიები და უკმაყოფილება გამოთქვა. თურქეთი გამოვიდა სამიტში ისრაელის მონაწილეობის, ალიანსის სარდლობის გადაფორმირების, ნატოსა და ევროკავშირს შორის უსაფრთხოების პაქტის ხელმოწერის, კიპროსის საკითხის განხილვის და იზმირში შტაბის საკითხების წინააღმდეგ. ზემოხსენებული პრობლემებიდან ყველაზე რთული გამოდგა ნატოს სამხედრო სტრუქტურების გაერთიანების, სახმელეთო ძალთა გაერთიანებული შტაბის შექმნის, ევროკავშირსა და ნატოს შორის ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. თურქეთი სასტიკი წინააღმდეგია, რომ ნატოს სამხედრო ხარჯები გამოყენებულ იქნას ევროკავშირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამით თურქეთი ნატოს ალიანსს აშკარად ემიჯნება. თურქეთის და ნატოს შეუთანხმებლობის დამამტკიცებელი ფაქტია კიდევ თურქეთის შეწინააღმდეგება ნატოს მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში სამშვიდობო ოპერაციის ჩატარებაზე. თურქეთმა მხარი არ დაუჭირა ნატოს დეკლარაციის მიღებას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ეგვიპტეში *(იმ ჯჩოს „ძმები მუსლიმების" მთავჩობა იყო)*, იორდანიაში და სხვა ქვეყნებში. ნატოს ალიანსთან თურქეთის ურთიერთობებში, განსაკუთრებით რთულად აღიქმება რეგიონული პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით ძნელად მოგვარებადი ჩანდა „ისლამური სახელმწიფოს" და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების გავლენის გაზრდის პერიოდში სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე. ყველა რეგიონული პრობლემების საფუძველში იკვეთება თურქეთის, როგორც ნატოს წევრი ქვეყნის და ასევე აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის მნიშვნელობა და როლი, ახლო აღმოსავლეთისა და ჩდილოეთ აფრიკის მიმართულებით. ნატოსა და აშშ-სთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თურქეთი საერთაშორისო კოალიციის შემადგენლობაში მჭიდროდ თანამშრომლობდეს მათთან და სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში არ გადადგამდეს მათი ინტერესებისთვის მიუღებელ ნაბიჯებს.

2015 წლის 30 სექტემბერს, როდესაც რუსეთის სამხედრო ძალები ჩაერთვნენ *(ბაშარ ასადის მოწვევით)* სირიის ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ შეიარაღებული ჯიჰადისტების წინააღმდეგ და დაიწყეს საჰაერო ავიადარტყმები მათ პოზიციებზე, თურქეთმა პროტესტი გამოთქვა 3 და 4 ოქტომბერს რუსული თვითმფრინავების მიერ თურქეთის საჰაერო საზღვრის დარღვევის გამო. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა რუსეთის მხარე გააფრთხილა, რომ მიუხედავად მათდამი მეგობრული დამოკიდებულებისა, თურქეთი არ მოითმენს საკუთარი საჰაერო სივრცის დარღვევას რუსეთის საჰაერო ძალების მხრიდან. 5 ოქტომბერს გაიმართა ნატოს საბჭოს შეხვედრა, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, სადაც რუსეთის ქცევას ეწოდა „უპასუხისმგებლო“ და მსგავსი ქმედებები უკიდურესად სახიფათოდ შეფასდა. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსი მზად არის დაეხმაროს თურქეთს „რუსეთის ალაგმვაში“, თუ საჭირო გახდა. ასევე, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა და მისმა თურქმა კოლეგამ ვეჯდი გონულმა განიხილეს „აშშ-ის და ნატოს ერთგულების საკითხი თურქეთის უსაფრთხოების მიმართ, უკანასკნელ ხანს რუსეთის მიერ ამ ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო“. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმა თანჟუ ბილგიჩმა განაცხადა, რომ თურქეთი განაგრძობს მოლაპარაკებებს ნატოსთან ქვეყანაში ალიანსის სამხედრო პოტენციალის გაზრდის თაობაზე, “Patriot” რაკეტების მოწოდების ჩათვლით. მან ასევე მადლობა მოახსენა ნატოს ხელმძღვანელობას თურქეთის მხარდაჭერისა და დახმარების მზადყოფნის გამო. 2015 წლის 24 ნოემბერს სირია-თურქეთის საზღვარზე, რუსული სამხედრო ავიაციის სუ-24 თვითმფრინავმა დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე და თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების F-16 თვითმფრინავის მიერ იქნა ჩამოგდებული. თურქეთის მთავრობის მოთხოვნით, 25 ნოემბერს გაიმართა ნატოს საგანგებო სხდომა, რომელზეც ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ალიანსის წევრ თურქეთს და ნატოს წესდების თანახმად დახმარებას შეპირდა.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ, თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესების მიუხედავად, აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას თაოსნობით, ნატოს ალიანსმა ყველაფერი იღონა, რომ თურქეთ-რუსეთის აღნიშნული კონფლიქტი არ გადაზრდილიყო მასშტაბურ სამხედრო დაპირისპირებაში.

2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის ჩახშობის შემდეგ, თურქეთში დაიწყო ეჭვმიტანილთა საყოველთაო დაპატიმრებები, სამსახურებიდან დათხოვნა, პოლიტიკური დევნა და თავისუფალი მასმედიის გარკვეული ნაწილის დახურვა. ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც დასავლეთ სამყაროში გარკვეულ კრიტიკას იწვევს, მაგრამ ნატოს შესაძლებლობა არ გააჩნია თურქეთის ხელისუფლებაზე იმოქმედოს. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შეუძლია თურქეთი მხოლოდ გააფრთხილოს, მაგრამ ვერ დასაჯოს. სამხედროების წინააღმდეგ აგორებული ბრალდებების ნიაღვარი, აშშ-ის და ნატოს ხელმძღვანელობის დიდ შეშფოთებას იწვევდა. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ანკარაში მიავლინა თავისი ყველაზე მაღალი სამხედრო თანამდებობის პირი, აშშ-ის არმიის შტაბების მეთაურების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი ჯოზეფ დანფორდი, რომელსაც უნდა განემუხტა ის მძიმე სიტუაცია, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა თურქეთის ურთიერთობებს აშშ-თან და ნატოს დანარჩენ წევრ-ქვეყნებთან. გენერალმა დანფორდმა აღუთქვა თავის მთავრობას, რომ ამერიკელები კვლავაც მხარს დაუჭერენ თურქეთში დემოკრატიულ წყობას და დაგმო ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების მცდელობა. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გადატრიალების მცდელობიდან ორი დღის შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანთან სატელეფონო საუბარში აუწყა მას, რომ

თურქეთი თვითონ უნდა იცავდეს თავის დემოკრატიულ წყობას, პატივს სცემდეს კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებებს. თურქეთის მთავრობა უკმაყოფილო დარჩა ასეთი საკმაოდ თავშეკავებული „სოლიდარობის“ გამოხატვით, თანაც ნატოს ხელმძღვანელობა, ერდოღანის მიერ მოწყობილ „სამხედროების წმენდის“ პროცედურას, ოფიციალური კომენტარით არ გამოხმაურებია. მითუმეტეს, რომ ნატოს ბრიუსელის ოფისში იმ დროს 48 თურქი სამხედრო პირი მუშაობდა, რომელთაც 16 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ ერდოღანის მიერ სამხედროების დევნის საპასუხოდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიმართეს პოლიტიკური თავშესაფარის მიღების თხოვნით. თურქეთის მხარის ოფიციალური ვერსიით 400-ზე მეტმა თურქეთის მოქალაქემ *(მათ შორის უმეტესობა სამხედრო და დიპლომატი იყო)* გერმანიის ხელისუფლებას მიმართა პოლიტიკური თავშესაფარის მისაღებად *(მსოფლიოში ყველაზე დიდი თურქული დიასპორა გერმანიაში ცხოვრობს)*. თურქეთის მთავრობას არ მოეწონა გერმანიის გადაწყვეტილება, თურქი სამხედროებისათვის პოლიტიკური თავშესაფარის მიცემის გამო და გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებს არ მისცა ნებართვა მოენახულებინათ გერმანელი სამხედრო მოსამსახურენი ინჯირლიყის ბაზაზე, სადაც ისინი დისლოცირებულნი არიან. გერმანიის მთავრობამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომ გერმანელ სამხედროებს დაეტოვებინათ ინჯირლიყის ბაზა და სამხედრო კონტინგენტთან ერთად გერმანული ტექნიკაც გადავიდნენ იორდანიის ტერიტორიაზე. გერმანიაში მოვლენათა მსგავსი განვითარება განიხილება, როგორც ღალატი ნატოს მოკავშირე ქვეყნის მხრიდან და შედეგად, გერმანიასა და თურქეთს შორის ურთიერთობები აღნიშნული ინციდენტის შემდეგ სერიოზულად გაუარესდა. ამის შემდეგ, 2017 წლის მაისის ბოლოს, ნატოს წევრმა რამდენიმე ქვეყანამ, გერმანიის, საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და დანიის მეთაურობით, კატეგორიული უარი განაცხადეს, ნატოს 2018 წლის მორიგი სამიტის სტამბოლში ჩატარებაზე. გერმანული გაზეთი “Die Welt” ციტირებს დიპლომატიურ წრეებში ძალზე მაღალი რანგის წყაროს გამონათქვამს: „ჩვენ არ გვსურს, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ნატო მხარს უჭერდეს თურქეთის მთავრობის საშინაო პოლიტიკას“. ზემოხსენებულმა სახელმწიფოებმა წამოაყენეს წინადადება, რომ მომავალ წელს ნატოს სამიტი ბრიუსელში გაიმართოს, რაზეც ბელგიამ გამოთქვა მზადყოფნა აღნიშნული სამიტის ბრიუსელში ჩატარებაზე. ალიანსის მონაწილენი ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას თურქეთის მთავრობის პოლიტიკის მიმართ, რომელიც უფრო ღრმავდება ქვეყანაში დაპატიმრებათა ნაკადით და დემოკრატიულ უფლებათა შეზღუდვით. ნატოსა და თურქეთს შორის ამგვარი დაპირისპირების მთავარ მიზეზად, თურქეთისა და რუსეთის სახიფათო სამხედრო გარიგება განიხილება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერდოღანის ამბიციები თურქეთის იმპერიული ძალის სახელმწიფოს სტატუსის დამკვიდრების პრეტენზიით განისაზღვრება, რაც აშშ-ის და ნატოს ანტირუსულ პოზიციებს ბუნებრივად არ ესადაგება. რეჯებ ერდოღანი ყველანაირად ცდილობს აშშ-ს და ნატოს დაუმტკიცოს, რომ თურქეთი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს და მომავალში იგივეს განახორციელებს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების ნაწილი თურქეთის ნატოს რიგებში ყოფნა-არყოფნის საკითხსაც განიხილავს, რაც ნატოს ალიანსის დამფუძნებელისა და სულისჩამდგმელის აშშ-ის ინტერესებში თურქეთის, როგორც მოკავშირის დაკარგვა არ შედის, რომელიც უნიკალურ გეოპოლიტიკურ მდებარეობას ფლობს. ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი გამოთქვამდა შიშს, რომ ნატო თუ მოიძულებს თურქეთს, მან შეიძლება აღმოსავლეთისკენ იბრუნოს პირი და ეს არ ჯდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტრატეგიულ ინტერესებში.

თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდგომი პერიოდის თურქეთის მთავრობის მიერ განხორციელებული მასიური დაპატიმრებები, ყველაზე მეტად სამხედრო მოსამსახურეებს შეეხოთ. ნატოს შეშფოთების

ძირითადი წყარო გახდა თურქეთის არმიის მდგომარეობა, რომელიც ნატოს ალიანსის არმიებს შორის რიცხოვნობით მეორეა, აშშ-ის შემდეგ. თურქეთში დაწყებულმა დაპატიმრებების ნაკადმა ძალზე შეამცირა თურქეთის არმიის პირადი შემადგენლობა. თურქეთის შეიარაღებულ ძალთა მეთაურობა გაზეთ "Hurriyet Daily News"-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ გადატრიალების მცდელობამდე ორი კვირით ადრე თურქეთის არმიაში 518 ათასი კაცი ითვლებოდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 2017 წლის ივლისის დასაწყისის მონაცემებით 355 212 კაცი. არმიაში გენერლების რიცხვი მესამედით შემცირდა. ნატოს ქვეყნების ხელისუფლება თვითონ ადევნებდა თვალს თუ ასეულობით თურქი სამხედრო ოფიცრები, რომლებიც უცხოეთის სამხედრო მისიებსა და ორგანიზაციებში მუშაობდნენ, როგორ თხოულობდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს და აცხადებდნენ, რომ ძალიან შიშობენ თურქეთში დაბრუნებას, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება დააპატიმრონ. ამ პერიოდში (2017 წლის ზაფხულში) ნატოს ალიანსი ასევე ყურადღებით აკვირდებოდა თურქეთის დაახლოების პროცესს რუსეთთან და მის ჩართვას რუსეთის მიერ ინიცირებულ სამმხრივ ფორმატში სირიის კრიზისის მოგვარების რეგულირების საკითხებში. ნატოს ასევე აშფოთებდა თურქეთსა და რუსეთს შორის წამოწყებული მოლაპარაკებები რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ს-400 შეძენის თაობაზე, რომელსაც დასავლეთის ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ეს ვაჭრობა რუსეთთან, თურქეთს თავის ნატოს მოკავშირეთა განერვიულებისთვის და კიდევ ერთხელ, თავისი დამოუკიდებელი ქმედებების დემონსტრაციისთვის სჭირდება. ნატოს კი, თურქეთი სჭირდება მისი მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კარიბჭის შესასვლელთან, შავი ზღვის სრუტეებითა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის მომავალი მშვიდობიანი განვითარების გარანტიით. ასევე, თავის ტერიტორიაზე ინჯირლიყის საჰაერო ბაზითა და მრავალი სამხედრო ობიექტის მომსახურებისა და დაცვის სამსახურებით. ნატოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ნატო თურქეთის მიმართ ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს გაწონასწორებული და მეგობრული ურთიერთობები, პერიოდულად ხდება გაუთვალისწინებელი ფაქტები, რომელიც წარმოშობილია უყურადღებობის ან არასაკმარისი პროფესიონალიზმის შედეგად. უკიდურესად ულოგიკო და გაუგებარი ინციდენტი წარმოიშვა ნატოს მორიგი სასწავლო წვრთნების დღეებში, რომელიც ნორვეგიის ტერიტორიაზე ტარდებოდა 2017 წლის 8-დან 17 ნოემბრამდე. წვრთნების კომპიუტერულ-ციფრული მხარდაჭერის მსვლელობისას, ერთ-ერთმა ტექნიკოსმა ინტერნეტში მოიძია ათათურქის გამოსახულება და გამოიყენა მოწინააღმდეგის პირობითი წარმოსახვის მიზნით. კიდევ ერთი მსგავსი ინციდენტი მოხდა, როდესაც ნორვეგიელმა სამხედრო მოსამსახურემ ალიანსის შიდა ინტერნეტ-რესურსებში შექმნა აკაუნტი ერდოღანის სახელით და გამოაქვეყნა ნატოს საწინააღმდეგო კომენტარი. ადვილი მისახვედრია, რა რეაქციას გამოიწვევდა ეს შემთხვევა თურქეთში და განსაკუთრებით, მისი პრეზიდენტის ერდოღანის მხრიდან. ერდოღანმა იმავე დღეს, 17 ნოემბერს ბრძანება გასცა აღნიშნული წვრთნების მონაწილე 40 თურქი სამხედრო პერსონალი უკან გამოეწვია და განაცხადა, რომ ამ მანევრების დროს თვითონ და თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი მუსტაფა ქემალ ათათურქი, მტრებად იყვნენ გამოცხადებული და მიჩნეულ იქნენ პოტენციურ „მიზნად" თავდასხმისათვის. ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა კომენტარი გააკეთა აღნიშნულ მოვლენაზე: „ეს ინციდენტი კერძო პირის მოქმედების შედეგია და ნატოს თვალსაზრისს არ გამოხატავს". სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი ალიანსის ფასეული წევრია და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოკავშირეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. 2019 წლის 13-14 თებერვალს თურქეთი მიწვეული იყო ბრიუსელში, ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე, სადაც

ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ თურქეთი თავისი სამხედრო პოტენციალის მუდმივად განვითარების გზაზე დგას და არის რა ალიანსის ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი დონორი, ამავე დროს არაერთგზის მონაწილეობდა ნატოს ოპერაციებში. თურქეთმა 2018 წელს ნატოს ფონდებში გადარიცხა 89,3 მლნ ევრო. თავისი შესაძლებლობის წყალობით, თურქეთი ნატოში ასრულებს საკვანძო როლს და არის პარტნიორი, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს ალიანსის მისიებსა და ოპერაციებში.

იენს სტოღტენბეიგი

აშშ, თურქეთი, გერმანია და იტალია არიან „ჩარჩო-ქვეყნები - ნატოს სამშვიდობო მისიის „გადამწყვეტი მხარდაჭერა“ მონაწილენი ავღანეთში. თურქეთის მიზანი მისიაში - ქაბულის ჰამიდ ყარზაის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ნატოს გაერთიანებული სახმელეთო ძალების შტაბი იზმირშია განთავსებული, ხოლო ნატოს სწრაფი რეაგირების კორპუსის შტაბ-ბინა - სტამბოლში. ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო პროექტის ფარის ფარგლებში, მალათიას ვილაიეთის კიურეჯიკის რაიონში განთავსებულია რადარი AN-TPY-2. კიდევ, AWACS - ის სადაზვერვო თვითმფრინავების ბაზა განთავსებულია თურქეთის კონიას ვილაიეთში.

2019 წლის 9 ოქტომბერს თურქეთმა ჩრდილოეთ სირიის დიდ ნაწილზე დაიწყო სამხედრო-სადამსჯელო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“, ამ ტერიტორიიდან სირიელი ქურთების საბოლოოდ განდევნის მიზნით. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი მარკ ესპერი სასწრაფოდ გაემგზავრა ბრიუსელში *(ნატოს შტაბ-ბინაში)*, რათა დაარწმუნოს მოკავშირეები, თურქეთის აღმაშფოთებელი მოქმედებების საპასუხოდ მიღებულ იქნას კოლექტიური და ინდივიდუალური დიპლომატიური და ეკონომიკური ღონისძიებები. 14 ოქტომბერს გერმანიამ, საფრანგეთმა და იტალიამ შეაჩერეს თურქეთში იარაღის ექსპორტი, ხოლო 15 ოქტომბერს მათ მხარი დაუჭირა დიდმა ბრიტანეთმა და მიიღო გადაწყვეტილება შეუწყვიტოს თურქეთს ლიცენზიები შესაბამისი ექსპორტის განხორციელებაზე. 2019 წლის 14 ოქტომბერს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოსცა განკარგულება თურქეთისთვის სანქციების დაწესების შესახებ. სანქციები ეხებოდათ თურქეთის ეროვნული თავდაცვისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს, მათი მინისტრების ჰულუსი აქარისა და ფათიჰ დონმეზის ჩათვლით. სანქცია გავრცელდა ასევე შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუზეც. ადრეც მოგახსენეთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ანონსირებული, თურქულ ფოლადისა და ალიუმინის შესყიდვაზე ბაჟის 50%-იანი ზრდის გადაწყვეტილების გარდა, განიხილებოდა თურქეთთან ყველა სავაჭრო მოლაპარაკებებზე უარის თქმა. აღსანიშნავია, რომ თურქეთის ექსპერტთა წრეში, აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებას თურქ მინისტრებზე სანქციების დაწესების შესახებ, სიმბოლური ხასიათის ნაბიჯად მიაჩნიათ.

ნატოს წევრი ქვეყნის აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მხრიდან წამოსულმა ეკონომიკურმა მწვავე რეპლიკამ, ძალიან მალე თურქეთის მხრიდან საპასუხო რეაქცია გამოიწვია. 2019 წლის 26 ნოემბერს Reuters სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ თურქეთმა უარი განაცხადა მხარი დაეჭირა ნატოს გეგმისთვის, რომელიც ითვალისწინებდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პოლონეთის დაცვას რუსული საფრთხისაგან. თურქეთის მთავრობამ ნატოში თავის წარმომადგენელს დაავალა, რომ ხელი არ მოაწეროს გეგმაზე, რომლის თანახმადაც ალიანსი ვალდებულებას იღებს პოლონეთს, ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს აღმოუჩინოს დახმარება რუსეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში. ამას გარდა, ანკარაში დაადგინეს, რომ სხვადასხვა შეხვედრებისა და თათბირების მსვლელობისას ალიანსის წევრებზე ზემოქმედება მოახდინონ „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK -ს, ოფიციალურად ტერორისტულ ორგანიზაციად ცნობის მიზნით. სხვა საინფორმაციო წყარო თვლის, რომ ანკარის მხრიდან გადადგმული მსგავსი ნაბიჯები, შეიძლება ჩაითვალოს ნატოს ალიანსის მიმართ „დამანგრეველ“ ქმედებებად. ნატოს წარმომადგენლები თვლიან, რომ თურქეთის უარყოფითი პოზიცია ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და პოლონეთის დაცვის გეგმისადმი, არ ცვლის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოზიციას, ყველა მოკავშირის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ. Reuters სააგენტოს ინფორმაციით, თურქეთმა შესაძლებელია შეცვალოს თავისი დამოკიდებულება ნატოს გეგმის მიმართ, ოღონდ ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თურქეთს აღმოუჩენს პოლიტიკურ მხარდაჭერას „ქურდისტანის მუშათა პარტიის“ PKK -ს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში. ამის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკა მხარს დაუჭერს ნატოს გეგმას. საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში გერმანიაში განაცხადეს თურქეთის ნატოს რიგებიდან გასვლის შესაძლებლობაზე და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კულუარებში თურქეთის წევრობის გადახედვის საბაბი გახდა, თურქეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ სირიის ჩრდილოეთ ნაწილში. გერმანიაში საერთაშორისო ანალიტიკური კომპანიის YouGov მიერ ჩატარებული რეპრეზენტაციული გამოკითხვების შედეგად, გერმანელების 58% თვლის, რომ თურქეთი უნდა გაირიცხოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან. რესპოდენტთა 61% მხარს უჭერს თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის ქმედებების გამო თურქეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გატარებას, ხოლო 69% ითხოვს მთლიანად აიკრძალოს თურქეთისთვის იარაღის მიყიდვა *(გამოკითხვები ჩატარდა 2019 წლის 25-28 ოქტომბერს).* ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა აკრიტიკებს თურქეთის სამხედრო ოპერაციას სირიაში. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაიკო მაასმა თურქეთის აღნიშნულ სამხედრო ოპერაციას „საერთაშორისო სამართლის დარღვევა“ უწოდა. ამის საპასუხოდ თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ისინი ნატოს პარტნიორი ქვეყნებისგან არა დადანაშაულებას, არამედ სოლიდარობას მოელიან. თვით ბრიუსელში, თურქეთის გარიცხვას ალიანსის რიგებიდან სამართლებრივი კუთხით ნაკლებად მოსალოდნელს და თითქმის შეუძლებლად თვლიან. პირველ რიგში იმიტომ, რომ თვით ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება არ ითვალისწინებს წევრი-ქვეყნის გარიცხვას ალიანსიდან. 2019 წლის 30 ოქტომბრის ბრიუსელის შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღნიშნეს თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა ალიანსისთვის, თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი როლი ტერორიზმთან ბრძოლისა და ლტოლვილთა გადაადგილების კონტროლის საკითხებში. კიდევ მეტი, თურქეთის გარიცხვას ალიანსიდან შეუძლია სერიოზულად იმოქმედოს ალიანსის სამხედრო შესაძლებლობებზე, რადგანაც თურქეთი ნატოში ფლობს სიდიდით მეორე არმიას. 2020 წლის 18 თებერვალს იზმირში ჩატარდა WeAreNATO კამპანიის შეკრება, რომელშიც მონაწილეობდა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე

თაჯან ილდემი და მან განაცხადა, რომ თურქეთი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მეტად მნიშვნელოვანი და ძვირფასი მოკავშირეა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ნატოს მისიებში. მისი თქმით, თურქული საზოგადოების დიდი ნაწილი აქტიურად უჭერს მხარს თავისი ქვეყნის მონაწილეობას ნატოს ყველა მისიებში. ნატოს მაღალი დონის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ „ნატო - ეს ის ბაზაა, რომელზეც დაფუძნებულია თურქეთის უსაფრთხოებისა და დაცვის პოლიტიკა. თურქეთი ნატოს ბლოკში 1952 წლიდან არის გაწევრიანებული და ყველა ღონეს ხმარობსს ალიანსის საზღვრების დაცვის, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შენარჩუნებისა და მისი გაძლიერების საქმეში“. მან აღნიშნა, რომ თურქეთი ძალზე აქტიურად მონაწილეობს ნატოს ეგიდით ჩატარებულ მისიებსა და ოპერაციებში, კერძოდ კოსოვოში, ავღანეთში და ერაყში, ასევე მონაწილეობს ალიანსის ერთობლივ წვრთნებში. მან დაამატა, რომ ბოლო წლებში, ნატომ თურქეთის სამხედრო პროგრამების დაფინანსებაში 5 მილიარდამდე დოლარი დახარჯა, რაც მოხმარდა საზღვაო პორტების, აეროპორტების ინფრასტრუქტურის განვითარებას და ასევე რადარის სისტემების განთავსებას თურქეთის ტერიტორიაზე. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია არა მარტო თურქეთის თავდაცვისათვის, არამედ მთლიანად ნატოს უსაფრთხოების სისტემისათვისაც.

2020 წლის 3 აპრილს ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ინიციატივით გაიმართა ნატოს ქვეყნების თურქეთის და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მევლუთ ჩავუშოღლუსა და ნიკოს დენდიასის ვიდეოკონფერენცია, რომელიც ეხებოდა ლტოლვილთა ნაკადის პრობლემებს საბერძნეთ-თურქეთის საზღვარზე, როდესაც თურქეთის ჟანდარმერიის ძალებმა ძალა გამოიყენეს. კოვიდპანდემიის გამო კონფერენცია ონლაინ ფორმატში გაიმართა. ნიკოს დენდიასმა დაადანაშაულა თურქეთის მხარე საბერძნეთის საზღვარზე ორგანიზებული თავდასხმის გამო და აღნიშნა, რომ „თურქეთის მიერ გამოყენებული მეთოდები არღვევდა ნატოს ფასეულობებს“. მევლუთ ჩავუშოღლუმ საპასუხო სიტყვა ითხოვა, მაგრამ სტოლტენბერგმა უარყო მისი წინადადება და ჩავუშოღლუმ დატოვა ვიდეოკონფერენცია. თურქეთის მთავრობამ, რა თქმა უნდა, გააკრიტიკა ნატოს ხელმძღვანელობა და მიკერძოებაში დაადანაშაულა იგი. 2020 წლის აგვისტოში ნატოს სამხედრო სასწავლო წვრთნებზე “Eunomia-2020”, მოხდა მეტად საგანგაშო ინციდენტი, როდესაც აშშ-ის საინფორმაციო საშუალებამ Military.com გაავრცელა ინფორმაცია რუსეთის ს-400 სისტემების პირველ რეალურ გამოყენებაზე ნატოს ავიაგამანადგურებლების წინააღმდეგ. ამ დროს, აშშ თვითონ არ მონაწილეობდნენ ამ ღონისძიებაში, მაგრამ მათი თვითმფრინავები ჩართული იყვნენ დამკვირვებლების სახით. აშშ-ის არმიის წყაროს მიხედვით, ინციდენტი მდგომარეობს იმაში, რომ თურქეთის საზენიტო-სარაკეტო სისტემის ს-400-ის გათვლამ, სწორედ აშშ-ის საჰაერო ძალების კუთვნილი F-16 თვითმფრინავები ამოიღო მიზანში. ამასთან დაკავშირებით, ამერიკელმა სენატორებმა აშშ-ის საგარეოპოლიტიკური უწყებისგან მოითხოვეს, რომ მიიღონ დაწვრილებითი ინფორმაცია თურქული კომპლექსის ს-400 ოპერატორების მუშაობის შესახებ “Eunomia-2020” მსვლელობის დროს.

2020 წლის 5 ოქტომბერს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ეწვია ანკარას, რათა მთავრობასთან ერთად განიხილონ იმ კონფლიქტების რეგულირების საკითხები, რომლებშიც თურქეთმა ბოლო ხანს ცალმხრივად გააფართოვა თავისი მონაწილეობა. სტოლტენბერგი ვიზიტის ფარგლებში შეხვდა თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ ერდოღანს, საგარეო საქმეთა მინისტრს მევლუთ ჩავუშოღლუს და თავდაცვის მინისტრს ჰულუსი აქარს. პირველ რიგში, მხარეებმა ისაუბრეს სირიის, ლიბიის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებზე, ასევე ყურადღება გაამახვილეს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში შექმნილი სიტუაციაზე. შეხვედრების დროს განხილვის ცალკე თემად, თურქეთისა და ნატოს ურთიერთობები ითვლებოდა. სტოლტენბერგისა და ერდოღანის შეხვედრისას, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თურქეთის

პრეზიდენტის მიმართვა ნატოს ბლოკის მოკავშირეებისადმი, სადაც ერდოღანი მოუწოდებს მათ - ნატოს წევრმა ანკარის პარტნიორებმა, სოლიდარობა უნდა გამოიჩინონ თურქეთის მიმართ. აღნიშნული მიმართვა თავისთავად მინიშნებაა - აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის კონფლიქტი, სწორედ ნატოს წევრ ქვეყნებს *(თურქეთი და საბერძნეთი)* შორის მიმდინარეობს, სადაც თურქეთის მიერ საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით, სიტუაცია მეტად დაძაბულია. იენს სტოლტენბერგის ვიზიტის ფარგლებში, ნატოს მხრიდან რაიმე კრიტიკული თურქეთის მიმართ მხოლოდ რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების ს-400 შეძენის საკითხებზე გამოითქვა. ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა: „ჩვენ შეშფოთებულები ვართ თურქეთის მიერ ს-400 სისტემის შეძენის მოსალოდნელი შედეგებით. სისტემას შეუძლია რისკები შეუქმნას ალიანსის მოკავშირეთა თვითმფრინავებს და აშშ-ის მხრიდან სანქციების დაწესება გამოიწვიოს. ეს თურქეთის გადაწყვეტილებაა, მაგრამ ს-400 კომპლექსი შეუთავსებელია ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან. ჩვენ მოვუწოდებთ თურქეთს მოკავშირეებთან თანამშრომლობისაკენ ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიების საკითხებში“.

იენს სტოლტენბერგის ანკარაში ვიზიტის დროს, თურქეთი ერთდროულად ჩაბმული იყო რამდენიმე საომარ მოქმედებებში: სირია, ლიბია, ერაყის ქურდისტანი და ყარაბაღში *(იმ პერიოდში მონაწილეობდა ბრძოლებში და შემდეგ ხელი მოაწერა აზერბაიჯანთან სამხედრო-სტრატეგიულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ჩაერთვება აზერბაიჯანის დასახმარებლად)*. ამგვარ სიტუაციაში, ნატოც და ამერიკის შეერთებული შტატებიც, თურქეთის აგრესიულ ქმედებებზე თითქმის არ რეაგირებენ და მხოლოდ ს-400 კომპლექსის შეძენის გამო აკრიტიკებენ პარტნიორ ქვეყანას. საქმე იმაშია, რომ თურქეთი საკმაოდ ძლიერი და აქტიური პარტნიორია ალიანსისთვის და ასევე აშშ-ისთვის. თურქეთს კარგად ესმის შექმნილი საერთაშორისო სიტუაცია და ოსტატურად იყენებს მას თავის სასარგებლოდ. თურქეთი მშვენივრად აცნობიერებს, რომ ადრე ხსენებული ე.წ. ნატოს რიგებიდან თურქეთის გარიცხვით, პირველ რიგში ალიანსს მოაკლდებოდა ძლიერი პარტნიორი აღმოსავლეთ რეგიონში. თურქეთი - დიდი ძალაა ნატოში და იგი ძვირფასია აშშ-ისთვისაც, როგორც რუსეთის შემაკავებელი ძალა. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა კარგად გათვალა რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ყველა ნიუანსი და მას იყენებს თავისი მზარდი ამბიციების განხორციელებისთვის. ნატოც და აშშ-ც ერდოღანის აქტიურობაზე თითქოს თვალს ხუჭავენ და ეს სიტუაცია ყველას არ მოსწონს ალიანსის ქვეყნების ლიდერებში, რასაც მოწმობს საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის მწვავე რეაქცია, თურქეთის მიერ სირიის ჩრდილოეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე, თავის ნატოს პარტნიორებთან მოლაპარაკებების გარეშე *(თურქეთის მთავრობა მხოლოდ აშშ-ის ხელისუფლებას შეუთანხმდა, რომელმაც ფაქტიურად მწვანე შუქი აუნთო თურქებს, თავისი პარტნიორების, ქურთების ფორმირებების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებისათვის)*.

ემანუელ მაკრონი

ემანუელ მაკრონმა 2019 წლის 7 ნოემბერს განაცხადა, რომ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ნატო იმყოფება „ტვინის კვდომის“ მდგომარეობაში, აშშ-ის და მის ევროპულ მოკავშირეებს შორის კოორდინაციის არარსებობის გამო სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს, მაშინ როდესაც ეს პარტნიორი ქვეყნები სხვა პარტნიორის, თურქეთის მხრიდან აგრესიის მომსწრენი ხდებიან. ემანუელ მაკრონმა, თურქეთის 2019 წლის 9 ოქტომბრის სამხედრო ოპერაციას სირიაში, ნატოსთვის „უზარმაზარი პრობლემა“ უწოდა და დაამატა, რომ თურქეთის სირიაში შეჭრის ფაქტის ნატოს მხრიდან რეაგირების გარეშე დატოვება, ალიანსის და მთლიანად დასავლეთის სამყაროს „სერიოზულ შეცდომას“ წარმოადგენს. მისი თქმით, ეს ქმნის კითხვებს, რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს ალიანსი. საფრანგეთის პრეზიდენტის აღნიშნულმა განცხადებამ კრიტიკის ტალღა გამოიწვია ალიანსის წევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით ვაშინგტონსა და ბერლინში. საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი გვევლინება ნატოს ალიანსის მთავარ კრიტიკოსად ევროპაში. 2020 წლის 22 ივნისს, დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში მან უკვე მეორედ განაცხადა ნატოს ალიანსის „ტვინის კვდომის“ შესახებ - და ისევ თურქეთის პოლიტიკის გამო, ამჯერად უკვე ლიბიაში. ემანუელ მაკრონის თქმით, ხმელთაშუა ზღვაში მომხდარი ინციდენტი საფრანგეთისა და თურქეთის სამხედრო გემებს შორის კიდევ ერთხელ მოწმობს ნატოს „ტვინის კვდომას“ და აქვე დაამატა, რომ თურქეთის საგარეო კურსის ხაზი შეუფერებელია ნატოს წევრი ქვეყნის სტატუსთან. *(მაკრონმა ეს განაცხადა ტუნისის პრეზიდენტ ყაის საიდთან ერთობლივი პრეს-კონფერენციის მსვლელობის დროს)*. საქმე იმაში გახლავთ, რომ 17 ივნისს ხმელთაშუა ზღვაში ლიბიის სანაპიროსთან მომხდარ ინციდენტში თურქეთის ფრეგატმა, რომელსაც სამხედრო ტექნიკა გადაჰქონდა ლიბიის „ეროვნული თანხმობის მთავრობის“ შეიარაღებული ძალების დასახმარებლად, საფრანგეთის სამხედრო გემს არ მისცა გემზე არსებული ტვირთის შემოწმების უფლება, მაშინ როდესაც ფრანგული გემი მონაწილეობდა ნატოს Sea Guardian ოპერაციაში. ამავე დროს, ტვირთის შემოწმების თავიდან აცილების მიზნით, თურქულმა ფრეგატმა საფრანგეთის გემს არ მისცა მიახლოვების საშუალება და მიზანში ამოიღო იგი, რაც პარიზში აგრესიად ჩათვალეს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, 2021 წლის 5 თებერვალს ანალიტიკური ცენტრის „ატლანტური საბჭო“-ს პროგრამის ეთერში კიდევ ერთხელ გააჟღერა თავისი მოსაზრება, რომ „ნატოს ტვინის კვდომა დაიწყო თურქეთის გამო“. მან აღნიშნა, რომ „თურქეთმა მტრული სისტემური მიდგომა გამოავლინა თავისი ევროკავშირისა და ნატოს პარტნიორების მიმართ სირიაში, ლიბიაში, მთიან ყარაბაღში და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში“. ნატოს ალიანსის წევრ ქვეყნებს მართლაც შეექმნათ ერთგვარი პრობლემები, მათ ერთმანეთში დაინახეს დაპირისპირებისა და ორგანიზაციის პოლიტიკასთან შეუთავსებლობის საშიშროება. აღნიშნული რისკების კონტექსტში იყო დაგეგმილი 2021 წლის 14 ივნისს ნატოს ქვეყნების მეთაურთა და მთავრობის ხელმძღვანელთა სამიტზე ბრიუსელში, წარდგენილი იქნებოდა ნატოს დოქტრინალური პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივები და განხილულ იქნება იდენტურობის აღდგენის სტრატეგიის პროგნოზები. ნატოს ალიანსის აღნიშნული პრობლემური საკითხები, რა თქმა უნდა, თურქეთსაც ეხება. ბოლო ხანს, თურქეთსა და ნატოს შორის ურთიერთმიმართ წარმოშობილმა კითხვებმა და ზოგიერთმა პრობლემებმა სერიოზული სახე მიიღეს, ხოლო ორმხრივი ურთიერთობები ისეთ სახელმწიფოებთან როგორებიცაა აშშ, საფრანგეთი და საბერძნეთი, დაძაბული გახდა.

აღნიშნული დაძაბული ურთიერთობების ალიანსის დოგმების შესაბამისად ნატოსა და თურქეთს შორის დამოკიდებულების გაჯანსაღების შემთხვევაში, მნიშვნელოვან წარმატებებამდე შეიძლება მიიყვანოს როგორც თურქეთი, ასევე ნატო და ზემოხსენებული ქვეყნები. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი, რომელსაც შეხების წერტილები აქვს როგორც დასავლეთთან, ისევე

აღმოსავლეთთან, და მათ ნაწილს შეადგენს, არ შეიძლება დაიკარგოს გლობალური კონკურენციის კონტექსტში. ამიტომაც, 14 ივნისს ბრიუსელის სამიტზე სერიოზულად იქნა განხილული ავღანეთის გეოპოლიტკური მნიშვნელობა და როგორც ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი და შემუშავებულ უნდა იქნას სტრატეგია რუსეთთან და ჩინეთთან კონკურენციის შესაბამისად და ამ სიტუაციაში ნათლად ჩანს თურქეთის მნიშვნელობა. ავღანეთში, თურქეთის იმიჯით, პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალით, ასევე თავისი სამხედრო კონტინგენტის განთავსებით სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებზე, ნატოს აძლევს საშუალებას, რომ რეგიონში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები გაამყაროს და თურქეთის სახით ავღანეთში ნატოს სტრატეგიული ღირებულება უფრო ფასდება. ამიტომ ნატოსა და აშშ-ში, სასურველია მოიძებნოს რაციონალური ვარიანტები, რათა თურქეთთან საერთო მომავლისათვის შეიქმნას საიმედო პროგნოზები და დღეს თურქეთთან კონფლიქტურ დამოკიდებულებაში მყოფი ალიანსის წევრი ქვეყნები პრაგმატულად და რაციონალურად განეწყონ იმ რისკების მიმართ, რომელიც შეიძლება დასავლეთის სამყაროს, აღმავალი გზით შემართულ აზიასთან შეექმნას.

თუჰქეთი და ევჰოკავშიჰი

თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ევროკავშირის წინამორბედი ორგანიზაცია იწოდებოდა „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა“. თურქეთმა აღნიშნულ ორგანიზაციაში 1959 წელს შეიტანა განცხადება ასოცირებულ წევრად მიღების თხოვნით. 1963 წლის 12 სექტემბერს ანკარაში ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას, თურქეთსა და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (ეეთ) ორგანიზაციას შორის ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით პოლიტიკის, ვაჭრობის, კულტურის და უსაფრთხოების განმტკიცების სფეროში. 1970 წელს თურქეთმა და ეეთ-მ შეათანხმეს ხელშეკრულების დამატებითი ოქმი. ამრიგად, თურქეთი ევროკავშირის და მისი წინამორბედი ორგანიზაციის „ასოცირებულ წევრად“ ითვლება 1964 წლიდან.

თურქეთმა, „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის“ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ განცხადება ფორმალურად შეიტანა 1987 წლის 14 აპრილს, ხოლო 12 წლის შემდეგ, 1999 წლის 7 დეკემბერს ჰელსინკის სამიტზე მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი *(ევჰოკავშიჰი ეწოდა 1992 წლის 7 თებეჰვაღს მაასტჰიხტის სამიტის შემდეგ, ხოღო ოფიციაღუჰად მოქმედება დაიწყო 1993 წლის 1 ნოემბჰიდან).* ჰელსინკის სამიტზე თურქეთი დასახელდა ევროკავშირში წევრობის კანდიდატად, რაც თურქეთის ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვანი მომენტი გახდა ქვეყნის რეფორმირების ასპექტში და მთავრობამ სერიოზულად დაიჯერა გაწევრიანების შესაძლებლობა. ამასთანავე, აუცილებელი მოთხოვნა იყო „კოპენჰაგენის კრიტერიუმების“ შესრულება, რაც თურქეთის მმართველმა წრეებმა თავიდანვე სერიოზულად არ ჩათვალეს, ან უცებ ვერ მოიაზრეს. კრიტერიუმები მოითხოვენ, რომ სახელმწიფოში დაცულ იქნას დემოკრატიული პრინციპები, თავისუფლების უპირატესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი. აუცილებელია ქვეყანაში დამყარდეს კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა და ამასთანავე, აღიარებულ უნდა იყოს ევროკავშირის საერთო წესები და სტანდარტები. 2004 წლის 17 დეკემბრის ბრიუსელის სამიტის შემდეგ, ევროპის კავშირმა ოფიციალურად დაასახელა თარიღი - 2005 წლის 3 ოქტომბერი, როდესაც უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები თურქეთთან ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ. 2005 წლის 28 სექტემბერს ლუქსემბურგის

სამიტზე ევროპარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ევროკავშირში თურქეთის მიღების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას. ამასთანავე, დეპუტატებმა გააფრთხილეს თურქეთი მოლაპარაკებების შეწყვეტით, თუ იგი არ სცნობს კიპროსს და არ გააუქმებს სავაჭრო სანქციებს კიპროსის მიმართ მომავალი წლის დასასრულამდე. ამას გარდა, ევროპარლამენტის კომისარმა ევროკავშირის გაფართოების საკითხებში ოლი რენმა ხაზი გაუსვა, რომ ამჯერად მოლაპარაკებები ჩატარდება ისე მკაცრად, როგორც არასდროს. 2005 წლის 2 ოქტომბერს ევროკავშირის ქვეყნებმა სპეციალური სხდომა მოაწყეს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, თურქეთთან მოლაპარაკებების პროგრამის შეთანხმების შესახებ, რომლის პირობებში შედის: თურქეთის მხრიდან კიპროსის რესპუბლიკის, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნის ოფიციალური ცნობა და მისი თვითმფრინავებისა და გემების მისაღებად, თურქეთის ყველა პორტების გახსნა; ოსმალეთის იმპერიაში 1915 წლის სომეხი ხალხის გენოციდის აღიარება; თურქეთის ტერიტორიაზე ეთნიკური უმცირესობების უფლებების ცნობა და ქურთების პრობლემების მოგვარება; ლიბერალური დემოკრატიული პრინციპების დაცვა და სიტყვის თავისუფლება. ამასთანავე, ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებს სამხედროების და არმიის ზედმეტად დიდ როლზე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელსაც ახორციელებდა თურქეთის ეროვნული უშიშროების საბჭო.

მოლაპარაკებებით გათვალისწინებული საკანონმდებლო საკონტროლო პროცესი დაიწყო 2005 წლის 20 ოქტომბერს და ზემოხსენებული კოპენჰაგენის კრიტერიუმების პირობების განხილვა, მეტად ნერვიულად და პროცედურების გამწვავების ფონზე მიმდინარეობდა. მათში მოთხოვნილი კრიტერიუმების ზოგიერთი (ძირითადი) ნაწილის დაკმაყოფილება, თურქეთის ელიტისთვის „კატეგორიულად“ მიუღებელი აღმოჩნდა და მოლაპარაკებები 2006 წლის 18 ოქტომბერს შეწყდა. 2006 წლის დეკემბერში მოლაპარაკებათა პროცესი ნაწილობრივ შეჩერებულად გამოცხადდა და კრიტერიუმების 35 საკითხიდან 8 მათგანი საერთოდ შეჩერდა.

თურქეთი ათეული წლებია აქტიურად გამოხატავს, რომ ევროპული კავშირის წევრი გახდეს. ევროპული ქვეყნების გარკვეული ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს იმ პრობლემებს, რომლებიც ძირითადად სტრუქტურული და პოლიტიკური ხასიათისაა. ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების გართულების ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირი არის „ქრისტიანული კლუბი“, რომელსაც არ სურს თავის რიგებში იხილოს მუსლიმური სახელმწიფო ისლამური ტრადიციული ფასეულობებით და ევროპული სულის საწინააღმდეგო მრწამსით. ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ელიტარული წრეები ეჭვს გამოთქვამენ, რომ რამდენად აუცილებელია მოლაპარაკებების დაწყება ქვეყანასთან, რომელიც უარს აცხადებს სცნოს ევროკავშირის წევრი-ქვეყანა (კიპროსის რესპუბლიკა). თურქეთის ინტეგრაციას ევროკავშირში, მხარს უჭერენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, სკანდინავიის ქვეყნები. ევროპის ქვეყნებიდან თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგენი არიან გერმანია, საფრანგეთი და ავსტრია. თურქეთის ევროკავშირში შესვლის მომხრენი ამტკიცებენ, რომ როგორც რეგიონში საკვანძო ძალა და მსხვილი ეკონომიკის მფლობელი, ამასთანავე, ნატოს წევრებს შორის სიძლიერით მეორე შეიარაღებული ძალების პატრონი თურქეთი, ევროკავშირის პოზიციას გააძლიერებს გლობალური გეოსტრატეგიული მოთამაშის ამპლუაში. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლოს ბილდტმა განაცხადა, რომ „თურქეთის გაწევრიანება, ევროკავშირს გადამწყვეტ პრივილეგიას

მისცემს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობის შექმნისთვის, რაც უეჭველად ევროპის სტრატეგიულ ინტერესებში შედის“. დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანაა, რომელიც მხურვალედ უჭერს მხარს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას. 2008 წლის მაისში ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II -მ თურქეთში ვიზიტის დროს ბრძანა, რომ „თურქეთი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხიდის როლს ასრულებს, ევროკავშირისა და მთელი მსოფლიოს კრიტიკულ ჟამს“.

ევროკავშირში არსებობს თურქეთის გაწევრიანების ოპოზიცია, რომელსაც მაშინ მხარს უჭერდნენ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი თურქეთის ევროპულ კონტინენტთან გაიგივებას უარყოფდა და მიზეზად ასახელებდა იმას, რომ თურქეთის ტერიტორიის მხოლოდ 3% მდებარეობს ევროპაში, ქვეყნის დედაქალაქი აზიაშია და მოსახლეობის 90%-ზე მეტი მუსლიმია. აღნიშნული ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი კიდევ არსებობდა, რომ თურქეთის 70-მილიონიანი (მაშინდელი) მოსახლეობის წყალობით, ევროპარლამენტში კვოტირების გზით სიდიდით მეორე წარმომადგენლობა, ანუ რიცხოვნობით დეპუტატთა უმრავლესობა ექნებოდა, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მომენტში. დემოგრაფიული პროგნოზებით 2020 წლისთვის თურქეთი, მოსახლეობის მიხედვით ევროპის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იქნებოდა *(ასეც მოხდა: 2021 წლის 1 იანვრისთვის თურქეთის მოსახლეობა 83,6 მილიონს შეადგენს, ხოლო გერმანიის 83,2 მილიონს. ამასთან ერთად, გერმანიის მოსახლეობა ყოველწლიურად კლებულობს, ხოლო თურქეთის მატულობს).*

2004 წელს, როდესაც გადაწყდა თურქეთთან მოლაპარაკებები დაეწყოთ, ევროსაბჭოს მომავალმა თავმჯდომარემ ჰერმან ვან რომპეიმ აღნიშნა, რომ „უნივერსალური ფასეულობანი, რომელნიც ევროპის ძლიერებას განასახიერებენ და რომლებიც ქრისტიანობის ფუნდამენტალურ ღირებულებას წარმოადგენენ, ისეთი დიდი ისლამური სახელმწიფოს, როგორც თურქეთია, მიერთების შემთხვევაში ძალას დაკარგავენ“.

2006 წლის დეკემბერში თურქეთსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების ნაწილობრივ შეჩერების შემდეგ, საერთაშორისო სივრცეში გაჩნდა ინტერესი, ასეთი დაძაბული მოლაპარაკებებისა და მათი გაყინვის მიზეზი, იქნებ შეთავაზებული წინადადებების შინაარსში იდო, რომელიც თურქეთის მიმართ შესაძლებელია ევროკავშირის მხრიდან წინასწარშექმნილი ზედმეტად მკაცრი დებულებებით შემოიფარგლებოდა? თავის მხრივ, თურქი პოლიტიკოსები და მეცნიერები ხშირად საყვედურობენ ევროკავშირს, რომ მისი პოზიცია თურქეთის მიმართ, არსებითად დახურული „ქრისტიანული კლუბის“ პოზიციაა, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ სურს თავის რიგებში მუსლიმური ქვეყანა მიიღოს. აღნიშნული კლუბის მესვეურთა აზრით, თურქეთმა დიდი ხანია მიაღწია პორტუგალიის ეკონომიკურ განვითარებას, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროკავშირში მიღებულ ახალ ქვეყნებზე. იმისთვის რომ ვიმსჯელოთ ევროკავშირის პოზიციის სუბიექტურობაზე თურქეთის მიმართ, პირველ რიგში აუცილებელია ანალიზი გაუკეთდეს თურქეთის ეკონომიკის მდგომარეობის ობიექტური დონის შესაბამისობას ევროკავშირის კრიტერიუმებთან, რომელიც მრავალი ასპექტით არის შედგენილი, არა მარტო ეკონომიკური, არამედ ასევე ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და სხ. თურქეთის ეკონომიკის განვითარების ხარისხის შეფასება ევროკავშირის როგორც საერთო, ისევე კერძო პარამეტრებთან შესაბამისობაში, საშუალებას იძლევა ასევე გამოავლინოს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც

მეტად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ახლო მომავალში თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობებში.

2006 წლის შემდგომ პერიოდში ევროკავშირის ქვეყნების შეშფოთების სერიოზულ საფუძველს წარმოადგენდა, უმუშევრობის მაღალი პროცენტი თურქეთში და მასთან დაკავშირებული მასშტაბური შრომითი მიგრაციის პარსპექტივები. თურქი მუშახელი ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან გერმანიის ინდუსტრიულ აღორძინებაში იღებდა მონაწილეობას, ხოლო 1961 წლის თურქეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული ორმხრივი შეთანხმების თანახმად, უამრავი თურქი მუშა ყოველწლიურად გერმანიაში მიემგზავრებოდა სამუშაოდ და ბევრი მათგანი საცხოვრებლად რჩებოდა. XXI საუკუნეში, ძირითადად თურქი ახალგაზრდობა მიემგზავრება ევროპის ქვეყნებში, რაც აადვილებს ევროპასთან თურქეთის ინტეგრაციის შესაძლებლობას. ევროკავშირში გაწევრიანების პროგრამის წყალობით, თურქეთის ეკონომიკაში საგრძნობლად განვითარდა კერძო ინიციატივები და სახელმწიფო სექტორის შემცირება. ამასთან ერთად პრივატიზაციამ საბაზრო ეკონომიკური ძალების გაფართოებას შეუწყო ხელი, რის შედეგადაც ეროვნული ეკონომიკა, ევროკომისიის მნიშვნელოვან მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის ფარგლებში, საბაზრო ეკონომიკის პარამეტრებთან თავსდება. თურქეთის ევროკავშირში გაერთიანების მოსამზადებელ საკითხად იქცა თურქული და ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. კერძოდ, ძალზე სერიოზულ პრობლემებს წააწყდა საგადასახადო კანონმდებლობა, რამდენადაც იგი საკმაოდ განვითარებული იყო იმ მომენტისათვის, როდესაც იღებდნენ თურქეთისა და ევროკავშირის ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის კურსს. ამიტომ ევროკომისია ბოლო ხანებში თვლიდა და ამჟამადაც თვლის, რომ თურქეთის კანონმდებლობა აქციზებსა და საბაჟო გადასახადებზე, მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს ევროპულ კრიტერიუმებს. თურქეთის ფინანსებმაც იმ წლებში განიცადეს არაერთი გადახალისება, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ევროკავშირის ქვეყნების ორიენტაციასთან. ფინანსური ინსტიტუტების რეფორმების განხორციელების პროცესში, პირველ რიგში საბანკოსი, 2000-იან წლებში თურქეთმა პრაქტიკულად შეასრულა ევროკომისიის მიერ წამოყენებული ყველა პირობები. შედეგად, უკვე 2007 წელს ევროკომისიამ დააფიქსირა, რომ ჰარმონიზაციის დონემ ამ სფეროში დააკმაყოფილა ევროკავშირის ყველა მოთხოვნილება. ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება თურქეთში მტკიცდება ევროკავშირის პარამეტრების აუცილებელი პარამეტრების უმრავლესობასთან შესაბამისობით. მცირე და საშუალო ბიზნესი თურქეთში, თურქეთის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების უმეტეს ნაწილს.

საშუალო და საუნივერსიტეტო განათლების სფეროს განვითარების დარგში მომხდარი გარდაქმნები, მაცნიერებისა და სამეცნიერო ნაშრომების შედეგიანობა, იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ პროგრესი განათლებაში და სამეცნიერო სექტორის განვითარება უახლოეს ხანში არსებითად შეამცირებს აღნიშნული მიმართულების დარგებში თურქეთის ჩამორჩენას განვითარებული ევროპული ქვეყნებისგან. თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს მეტად დადებითი სტიმული მისცეს: 1. ჯერ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, როდესაც 2009 წლის 5 აპრილს ევროკავშირის სამიტზე პრაღაში, გარკვევით მოუწოდა ევროპის ქვეყნების ლიდერებს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებლობაზე და პროცესის დაჩქარებაზე; და 2. აჰმეთ დავუთოღლუს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნამ 2009 წლის 1 მაისს, აქტიური მუხტი მისცა ევროკავშირში

თურქეთის გაწევრიანების მსვლელობას, ახალი დინამიკა შესძინა აჰმეთ დავუთოღლუს ხშირმა ვიზიტებმა ევროპის ქვეყნებში, სადაც ის აქტიურად ასაბუთებდა თურქეთის ევროპული მიმართულებით განვითარების ისტორიულ კანონზომიერებას, რამე თუ, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ოსმალეთის იმპერია იყო ევროპის წინაშე დომინანტური პოზიციის მფლობელი ძლიერი სახელმწიფო. აჰმეთ დავუთოღლუ ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ თურქეთის სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური კურსის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ევროკავშირში გაწევრიანებაა და ქვეყანაც ყოველ ღონეს ხმარობს თავისი საკანონმდებლო ბაზა, ევროპულთან იყოს მისადაგებული.

„არაბული გაზაფხულის“ დაწყებისთანავე, როდესაც ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნებში არეულობამ პიკს მიაღწია და არსებული ხელისუფლებები ტუნისში, ეგვიპტეში და ლიბიაში დამხობილ იქნენ, ევროკავშირის ურთიერთობებს აღნიშნულ რეგიონში და მის თანამშრომლობას „ხმელთაშუა ზღვის კავშირის“ ფარგლებში არაბულ ქვეყნებთან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა (*2008 წლის 13 ივლისს პარიზში შეიქმნა „ხმელთაშუა ზღვის კავშირი“, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ევროკავშირისა და „არაბულ სახელმწიფოთა ლიგის“ 43 ქვეყანა).*

ევროკავშირის ქვეყნებმა შეიმუშავეს ახალი ხმელთაშუა ზღვისპირეთის სტრატეგია ევროპული უსაფრთხოების ფარგლებში, ვინაიდან 2011 წლის თებერვალში იტალიის ნაპირებს ლტოლვილთა დიდი ნაკადი მოაწყდა ლიბიიდან და სხვა არაბული ქვეყნებიდან. ევროკავშირის ქვეყნებმა ერთობლივად გაატარეს ლიბიის სასაზღვრო კონტროლის ოპერაცია, ვინაიდან BBC მონაცემებით მოსალოდნელი იყო ასიათასობით პოტენციური ლტოლვილის მიგრაცია ჩრდილოეთ აფრიკიდან ლიბიის ტერიტორიით ევროკავშირის ქვეყნებში. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკო ფრატინი აფრთხილებდა, რომ ევროპამ შეიძლება განიცადოს „ბიბლიური მასშტაბის გამოსვლა“, როდესაც ლიბიიდან შესაძლოა 200-300 ათასი ემიგრანტების ტალღა დაიძრას. იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი რობერტო მარონი ამტკიცებდა, რომ მისი ქვეყანა „ჰუმანიტარული კრახის“ პირას დგას და ევროკავშირმა ყველა საჭირო ზომები უნდა მიიღოს ამის თავიდან ასაცილებლად. ლტოლვილთა ნაკადმა დაიკავა იტალიის პატარა კუნძული ლამპედუზა, სადაც მეტად საშიში სიტუაცია შეიქმნა. მდგომარეობა მეტად დაიძაბა და 2011 წლის თებერვლის ბოლოს და ევროკავშირის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა მიეღოთ საერთო მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა შემოსული მიგრანტები (ლტოლვილები) გაენაწილებინათ მთელი ევროკავშირის ფარგლებში.

2011-2014 წლებში ევროპისკენ მიმავალი მიგრანტების და ლტოლვილების ყველაზე მოხერხებული მარშრუტი თურქეთზე გადიოდა. სირიაში დაწყებული სამოქალაქო ომის შედეგად, სირია-თურქეთის საზღვარზე ბაშარ ასადის რეჟიმს გამოქცეული უამრავი სირიის მოქალაქე იყრიდა თავს მეზობელ ქვეყანაში თავშესაფარის პოვნის იმედით. 2011 წლის აპრილიდან 2012 წლის ოქტომბრამდე, თურქეთის საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის მონაცემებით 143 140 სირიის მოქალაქემ შეაფარა თავი თურქეთს. მათგან 42 777 უკან სირიაში დაბრუნდა. 2012 წლის 15 სექტემბრისთვის თურქეთის ვილაიეთების: ჰათაის, შანლიურფას, გაზიანტების, ქაჰრამანმარაშის, ოსმანიეს და ადიამანის ტერიტორიებზე კარვების 13 ბანაკში განთავსებული იყო 100 363 ადამიანი. 2012 წლის 9 დეკემბერს ჟენევაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გაეროს ლტოლვილთა საქმეების სამმართველოს უმაღლესი კომისრის სპეციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საომარი მოქმედებების დაწყებიდან ამ დრომდე, სირიიდან რეგისტრირებული და ლტოლვილის დახმარების მიმღებ პირთა

რაოდენობამ 408 ათასს მიაღწია. 2012 წლის 22 დეკემბერს სირიის ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა, რომ მეზობელ თურქეთში გადასულ სირიელ ლტოლვილთა რიცხვმა 250 ათასს გადააჭარბა. 2013 წლის ოქტომბერში თურქეთში ლტოლვილის სტატუსით მყოფ სირიელთა რაოდენობამ 600 ათასს გადააჭარბა. მათგან 2/3 ლტოლვილთა ბანაკებს გარეთ ცხოვრობს და ვერ სარგებლობენ ჰუმანიტარული დახმარებით. თურქეთის მთავრობამ გადაწყვიტა თურქეთ-სირიის საზღვარზე ორმეტრიანი ბეტონის კედელი აღმართოს, რათა ლტოლვილთა დიდი ნაკადი შეაჩეროს. სამშენებლო სამუშაოები დაიწყო ქალაქ ნუსაიბინის რაიონში. ამ პერიოდისთვის სირიელ ლტოლვილთა გარკვეულმა ნაწილმა თურქეთის ტერიტორიის გავლით ევროპის ქვეყნებს მიაშურა. თურქეთმა თავისი საზღვრების გახსნით და ევროპის ქვეყნებისკენ ლტოლვილთა ნაკადის მიშვებით, ევროკავშირზე ზეწოლა დაიწყო, მისგან ეკონომიკური და პოლიტიკური პრეფერენციების მიღების მიზნით.

2013 წლის მონაცემებით, სირიელ ლტოლვილთა წილი ევროკავშირის ქვეყნებში შეადგენდა 8,6% (47 ათასი); 2014 წელს - 16,4%; 2015 წელს - 24,3%.

(შემდეგ მოდიან - ლტოლვილები ავღანეთიდან და ერაყიდან).

ყველაზე მეტი ლტოლვილის მიმღები ევროკავშირის ქვეყნების წილი კი შემდეგია: 2013 წელს გერმანია - 17%; 2014 წელს გერმანია - 22%; 2015 წელს გერმანია- 31%. (ლტოლვილების მიღების რეიტინგში შემდეგ მოდიან საფრანგეთი და შვედეთი).

ლტოლვილთა მიღების კრიზისის პირობებში ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის განვითარება, გულისხმობს თურქეთის მოწვევას თანამშრომლობისა და მოლაპარაკებებისკენ, რომლებიც გაიმართა 2015 წლის ბოლოს და 2016 წლის დასაწყისში ევროკავშირი-თურქეთის სამიტებზე შეხვედრების დროს. ევროპის ქვეყნებსა და დროის ფაქტორს შორის, რომელსაც თურქული მხარე აყენებს თავისი პრემიერ-მინისტრის აჰმეთ დავუთოღლუს წამოყენებული პირობების სახით, მიგრანტებისთვის ევროპის საზღვრების ჩაკეტვით. მიგრანტების მოზღვავების პირობებში და კრიზისის გამწვავების ფონზე ევროკავშირს უწევს ზრუნვა მიგრაციული და სასაზღვრო პოლიტიკის რეფორმირებაზე, როგორც ევროკავშირის შიგნით, ასევე ევროკავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობების გარკვეულ გადატვირთვაზე. ევროპის კავშირი მზადაა თურქეთს შესთავაზოს ფინანსური მხარდაჭერა და უვიზო რეჟიმი, თუ იგი დათანხმდება სირიელი ლტოლვილებისა და მიგრანტების თავის ქვეყანაში დატოვებაზე. ისარგებლეს რა ასეთი პირობების წამოყენებით, თურქმა დიპლომატებმა მოლაპარაკებების მსვლელობის დროს, თავის ნატოელ პარტნიორებს მოთხოვეს სირიის საზღვარზე ბუფერული ზონის შექმნა. აღნიშნული ინიციატივების მთავარ ინიციატორებათ ითვლებიან დიდი ბროტანეთი და გერმანია. მათი ჩანაფიქრის მიხედვით, თურქეთს ფაქტიურად ევალება ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვის მისია - მან უნდა დაიტოვოს მიგრანტები თავის ტერიტორიაზე არსებულ ლტოლვილთა ბანაკებში. ევროკავშირის გაფართოებისა და კეთილმეზობლური პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰაანმა განაცხადა, რომ თურქეთის სურვილი, მის მოქალაქეებს ევროპის ქვეყნებში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა მიეცეთ, უახლოესი ორი წლის მანძილზე სავსებით განხორციელებადია. 2016 წლის მარტის დასაწყისში ევროკავშირის ქვეყნებისა და თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკებების შემდეგ, ევროკავშირის საბჭოს პრეს-სამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ მიღწეულია კომპრომისი არალეგალური მიგრანტების საკითხში. ბრიუსელსა და ანკარას შორის მოხდა გარიგება, რომლის მიზანიც იყო ევროკავშირის ქვეყნებში

ხმელთაშუა ზღვის მარშრუტით შემოსულ ლტოლვილთა რიცხვის შემცირება და მაშინ ეს ფაქტი ევროპული მიგრაციული პოლიტიკის დიდ წარმატებად იქნა მიჩნეული. ევროკავშირსა და თურქეთს შორის 2016 წლის 18 მარტს ბრიუსელში დადებული შეთანხმება ლტოლვილთა განსახლების რეგულირების შესახებ, ძალაში შევიდა 2016 წლის 20 მარტიდან. დოკუმენტში მინიშნებულია თურქეთსა და საბერძნეთს შორის ეგეოსის ზღვის საშუალებით საზღვაო მარშრუტის დახურვის გზები, მიგრანტებისა და არალეგალური მოგზაურობის ორგანიზატორებისთვის. შეთანხმების დადების მთავარი მიზანი იყო, დარღვეულიყო მიგრანტების მოგზაურობის „კონტრაბანდული ბიზნესის მოდელი“ და მიგრანტებს შესთავაზეს „ალტერანატიული გზა ნაკლები რისკით“.

დაწყებული 2016 წლის 20 მარტიდან, ყველა არალეგალი მიგრანტი, რომელიც თურქეთიდან ეგეოსის ზღვით ბერძნულ კუნძულებზე მოხვდებოდა, უნდა დაბრუნებულიყო უკან თურქეთში. ყველა ხარჯებს დაფარავდა ევროკავშირი.

საბერძნეთიდან თურქეთში დაბრუნებული ყოველი სირიელი მიგრანტის სანაცვლოდ, სხვა სირიელი ლტოლვილი უნდა განთავსდეს ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში. ევროკავშირის ქვეყნები აცხადედნენ, რომ უკვე მზად არიან მიიღონ 18 ათასი მიგრანტი. თურქეთი, თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, დაკეტოს საზღვაო გასასვლელები ან სახმელეთო გზები არალეგალური მიგრაციისთვის.

თურქეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის შემსუბუქების პროცედურა იქნება „დაჩქარებული“ და ძალაში შევა არაუგვიანეს 2016 წლის ივნისის თვისა *(თუ ამისთვის საჭიროყველა 72 პირობა იქნება შესრულებული).*

ევროკავშირი შეეცდება სწრაფად გადაუხადოს თურქეთს ადრე შეპირებული 3 მლრდ ევრო და მოამზადებს ასეთივე თანხის დამატებითი ფინანსირების ორგანიზებას.

ევროკავშირი და თურქეთი შეთანხმდნენ ახალი პულსი შესძინონ თანამეგობრობაში ქვეყნის შესვლის პროცესს.

ევროკავშირმა და თურქეთმა გამოთქვეს ერთობლივი მუშაობის სურვილი სირიაში ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესებისთვის. პირველ რიგში, მხარეებმა მოილაპარაკეს თურქეთის საზღვრის სიახლოვეს „უსაფრთხო ბუფერული ზონების“ შექმნის შესაძლებლობაზე, აქ ლტოლვილთა განსახლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით.

2016 წლის აპრილში ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ მიგრანტთა რიცხვმა, რომლებიც ეგეოსის ზღვის საშუალებით თურქეთიდან ევროკავშირის ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ, გაცილებით იკლო. მაგრამ ზოგიერთმა სამართალდამცავმა ორგანიზაციებმა ეჭვი გამოთქვეს ევროკავშირსა და თურქეთს შორის გაფორმებული გარიგების ლეგალობაზე, რამდენადაც მათი აზრით, თურქეთი არ წარმოადგენს უსაფრთხო ქვეყანას, რომ იქ მიგრანტები იქნან დაბრუნებული. ასეთ საეჭვო გამონათქვამებს, საკმაოდ მკაცრად უპასუხა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ პრეს-კონფერენციის მიმდინარეობის დროს, როდესაც ევროპის ქვეყნების ლიდერებს მასპინძლობდა თურქეთში. მან აღნიშნა, რომ მისმა ქვეყანამ ევროკავშირთან შეთახმებული ყველა ვალდებულება შეასრულა და იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში ევროკავშირი დააკმაყოფილებს თურქეთის მოთხოვნას ვიზების გაუქმების საკითხში. მან ასევე უარჰყო ბრალდებები ანკარის ხელისუფლების მიმართ, თითქოს თურქეთი ლტოლვილებს უკან, სირიაში აბრუნებსო.

თურქეთსა და ევროკავშირს შორის დადებული აღნიშნული

შეთანხმება ევროპის წამყვანი ქვეყნების ცენტრალური პრესის ფურცლებზე, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად უარყოფითად იქნა შეფასებული. ავსტრიის Der Standard აღნიშნავს, რომ თურქეთს არავითარი ინტერესი არ აქვს ლტოლვილთა ნაკადი შეაჩეროს და თურქეთი თავისი ნებასურვილის მიხედვით, ხან გაზრდის ლტოლვილთა ნაკადს ევროპაში, ხან შეაყოვნებს, რითაც მუდმივი ზეწოლა ექნება მასზე. გერმანული Der Spiegel აღიარებს, რომ ევროპამ დიდი საფასური გადაუხადა თურქეთს შეთანხმების დადებაში, სადაც გამოჩნდა ევროპელების მზადყოფნა წასულიყვნენ მნიშვნელოვან დათმობებზე მიგრანტთა პრობლემის გადაწყვეტის სანაცვლოდ. ამით ევროპამ გააძლიერა თავისი დამოკიდებულება თურქეთზე და მის ავტორიტარულ პრეზიდენტზე ერდოღანზე. გერმანული პრესა არ მალავს, რომ თურქეთისთვის თანხის გადახდისა და ლტოლვილთა თავის ქვეყანაში მიღების მთელი სიმძიმე გერმანიას დააწვება, რადგანაც ხსენებულ შეთანხმებაში დაფიქსირებულია, რომ ევროკავშირის ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს მიგრანტთა ქვოტას. ამასთანავე, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა პრინციპში უარს აცხადებს ლტოლვილთა მიღებაზე. გერმანულენოვანი ინტერნეტ-გამოცემები აქტიურად გამოთქვამენ თავის აზრს თურქეთსა და ევროკავშირს შორის დადებულ შეთანხმებაზე. მკითხველები აკრიტიკებენ აღნიშნული გარიგების ყოველ ასპექტს: სამართლებრივს, ფინანსურს, ჰუმანიტარულს და პოლიტიკურს. ისინი აღნიშნაცენ, რომ სწორედ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა „გაათრია“ ეს საეჭვო შეთანხმება თურქეთთან და შემოგვთავაზა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი დიპლომატიური გამარჯვება. მიუხედავად კრიტიკული გამოხმაურებებისა, ლტოლვილთა ნაკადის შემცირება ევროპისკენ მაინც სახეზეა და ევროკავშირის ქვეყნების „სამიგრანტო“ სიმშვიდე დღეისათვის, გარკვეულად არის დამოკიდებული თურქეთის პოლიტიკურ ნებაზე.

თურქეთი 2014 წლიდან ითვლება სახელმწიფოდ, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით, თავის ტერიტორიაზე მიიღო ყველაზე მრავალრიცხოვანი ლტოლვილი (*3,6 მილიონი)*. სტატისტიკის მიხედვით, დღეს თურქეთში ცხოვრობს სამჯერ მეტი სირიელი ლტოლვილი, ვიდრე მთელ ევროკავშირის ქვეყნებში.

თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მარათონი სავსეა აღმავალ-დაღმავალი მოვლენებით, ცვალებადი დინამიკის რეჟიმში. რუსეთთან დაახლოვებისა და ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებთან კავშირების განმტკიცების პერსპექტივაში, 2012 წელს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა ვარაუდი გამოთქვა ევროკავშირში გაწევრიანების ალტერნატივად, თურქეთი მიეღოთ „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში“ (შთო). მან თავისი სურვილი გაუმჟღავნა რუსეთის პრეზიდენტ ვ. პუტინს, რომელმაც მოუწონა აზრი და 2012 წლის 6-7 ივნისს პეკინში ჩატარებული შთო-ს ყოველწლიურ სამიტზე, თურქეთმა მიიღო აღნიშნული ორგანიზაციის „პარტნიორი დიალოგისთვის“ სტატუსი *(შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია არის ევრაზიული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არიან ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი).* ერდოღანმა განაცხადა, რომ ევროკავშირი აჭიანურებს თურქეთის მიღებას თავის რიგებში, ამიტომ თურქეთი არ თვლის თავს ვალდებულად, რომ მიილტვოდეს ევროკავშირისკენ, ვინაიდან ამის ალტერნატივად თურქეთს შეუძლია გახდეს შთო-ს შემადგენელი ნაწილი. ერდოღანმა, ევროკავშირის ნიშნის მოგების მიზნით, აქვე დასძინა, რომ „ჩვენი გადაწყვეტილება ალბათ შეაშფოთებს დასავლეთსა და თურქეთის მოკავშირეებს ნატოში“. ერდოღანს შთო-ს დამკვირვებლის სტატუსის მიღების დიდი იმედი აქვს, რაც მას

შესაძლებლობას მისცემს ცენტრალური აზიის თურქულენოვან ქვეყნებთან დაახლოვების კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის სარბიელი გამოიყენოს და თავისი სტრატეგიული გეგმების განხორციელებას შეუწყოს ხელი. ამასთან ერთად, ევროკავშირის ქვეყნების ინტერესების ალტერნატივად, მიგრაციული კრიზისის დაძლევის პროცესის გამომწვევი პოლიტიკური სვლები გამოიყენოს.

ევროკავშირთან დაპირისპირების კიდევ ერთი საბაბი გაჩნდა, როდესაც 2013 წლის მაისის ბოლოს სტამბოლში დაიწყო ე.წ „გეზი-პარკის“ საპროტესტო გამოსვლები. სტამბოლის ევროპული ნაწილის ყველაზე პოპულარული ცენტრალური მოედნის „თაქსიმის“ სასეირნო პარკის ტერიტორიაზე ხელისუფლების გადაწყვეტილებით უნდა აშენებულიყო გიგანტური სავაჭრო ცენტრი, რომელსაც შეეწირებოდა ათიათასობით მრავაწლიანი ხეები და ნარგავები. 29 მაისს ეკოლოგთა ჯგუფმა გეზი-პარკში დაიწყო საპროტესტო აქციები, რომელიც სახალხო დემონსტრაციაში გადაიზარდა და 3 ივნისს მთავრობამ პოლიციის საშუალებით, ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით, დაარბია აქცია, რომელსაც მსხვერპლი და მრავალი დაშავებული ადამიანი მოჰყვა. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ ერდოღანმა დემონსტრანტებს პროვოკაციაში დასდო ბრალი და მათ ტერორისტული დაჯგუფებების წარმომადგენლები უწოდა და მკაცრი ზომების გატარება დაიწყო. ევროკავშირისა და ცივილიზებული სამყაროს მხრიდან თურქეთის მთავრობის კრიტიკა მოჰყვა და ხელისუფლება მშვიდობიანი დემონტრანტების დარბევაში დაადანაშაულეს. საპროტესტო აქციები და დემონსტანტთა გამოსვლები თითქმის ივნისის თვის მანძილზე გაგრძელდა. 2013 წლის 7 ივნისს სტამბოლში ჩამოვიდა ევროკავშირის გაფართოებისა და პოლიტიკური სამეზობლო საკითხების ევროკომისარი შტეფან ფულე, რომელმაც მოინახულა გეზი-პარკი და შეხვდა პროტესტანტთა დელეგაციას. შტეფან ფულემ გააკრიტიკა თურქული პოლიციის მოქმედებები ქუჩის საპროტესტო აქციების დარბევის დროს. ევროკომისარმა მოუწოდა თურქეთის ხელისუფლებას და მათ შორის ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ერდოღანს „სწრაფი და ობიექტური“ გამოძიების ჩატარებისკენ. თურქეთის ხელისუფლებამ აღიარა პოლიციელების მიერ დემონსტრანტების მიმართ ზედმეტი ძალის გამოყენების ფაქტი. თურქეთის ვიცე-პრემიერმა ბიულენთ არინჩმა განაცხადა, რომ საპროტესტო აქციების მიერ მიყენებული ზარალი 70 მილიონ თურქულ ლირას უდრის. აქციების დროს დაიღუპა 4 ადამიანი, მათ შორის ერთი პოლიციელი და დაშავდა 8 ათასამდე ადამიანი. სტამბოლის მერმა ქადირ თოფბაშმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ძალზე წუხს, იმის გამო, რომ პოლიციელთა მოქმედებამ შეიძლება კითხვის ქვეშ დააყენოს ქალაქ სტამბოლის 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების კანდიდატი-ქალაქის განაცხადი.

2013 წლის 25 ივნისს, სტამბოლის თაქსიმის მოედანზე გეზი-პარკის საპროტესტო აქციების მოვლენების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს გერმანიის წინადადებას, დაახლოვებით ოთხი თვით გადაიდოს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომი მოლაპარაკებები.

ევროკავშირთან თურქეთის ურთიერთობები კვლავ გამწვავდა 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და მიმართა თურქეთის უმაღლეს სასამართლოს, აღადგინონ თურქეთის კანონმდებლობაში სიკვდილით დასჯის კანონი. აღნიშნული კანონის მიღების მცდელობის ხსენებასაც კი, ევროკავშირის მხრიდან მეტად მკაცრი გამოხმაურებები მოჰყვა და ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა საკითხების კომისარმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ქვეყანა, რომელიც სიკვდილით

დასჯას დააკანონებს, ევროკავშირში ვერ გაწევრიანდება. თუმცა, 2004 წელს ევროკავშირის მითითების საფუძველზე, თურქეთში სიკვდილის დასჯაზე მორატორიუმი დაწესდა. ამჯერად, 2016 წლის ივლისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ დაწესებული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის პერიოდში, ერდოღანის მომხრეები სამხედროების სიკვდილით დასჯას მოითხოვდნენ, რაზეც ერდოღანმა უპასუხა: „ჩვენ გვესმის თქვენი მოთხოვნები. დემოკრატიულ ქვეყანაში, ხალხი როცა მოითხოვს რამეს, იგი მას მიიღებს“. თურქეთის იუსტიციის მინისტრი ბექირ ბოზდაღი უფრო რადიკალური აღმოჩნდა და მოუწოდა მთავრობას, რომ არ გაითვალისწინოს ევროკავშირის აზრი ქვეყანაში სიკვდილის დასჯის ინსტიტუტის აღდგენის თაობაზე, ვინაიდან თურქეთში საგანგებო მდგომარეობა არის გამოცხადებული. საქმე იმაშია, რომ ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი ნებას რთავს ქვეყანას უარი განაცხადოს ვალდებულების შესრულებაზე, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების შემთხვევაში. სიკვდილით დასჯის კანონის აღდგენის თაობაზე თურქეთის მეჯლისში გამართულ დისკუსიებში, ათათურქის იდეების მომხრე პოლიტიკური პარტიების დეპუტატები არ იზიარებდნენ მმართველი პარტიის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგებოდნენ სიკვდილით დასჯის კანონის აღდგენას. მათი ძირითადი არგუმენტი იყო: „სიკვდილით დასჯა წარმოშობს პრობლემებს, როგორც უნივერსალური სამართლებრივი პრინციპების თვალსაზრისით, ისევე თურქეთის იმიჯზე მსოფლიო საზოგადიების თვალში. სამუდამო პატიმრობა საკმაოდ მძიმე სასჯელად ითვლება“. 2016 წლის 7 აგვისტოს პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა სტამბოლში მრავალათასიან მიტინგზე გამოსვლისას გამოთქვა მზადყოფნა, ხელი მოაწეროს სიკვდილით დასჯის კანონზე, თუ დოკუმენტს დაამტკიცებს მეჯლისი. მან მიმართა პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, რომ თურქეთის მოქალაქეები მოითხოვენ ამბოხებულთა უმაღლესი სასჯელით დასჯას და შეახსენა პარტიის ლიდერებს, რომ „ქვეყანაში ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის“.

2016 წლის 30 ოქტომბერს ჩქაროსნული ელექტრომატარებლების სადგურის გახსნის ცერემონიაზე, თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ მთავრობა გაუგზავნის მეჯლისს კანონპროექტს - თურქეთში სიკვდილის დასჯის კანონის აღდგენის შესახებ და დასძინა: „დარწმუნებული ვარ, მეჯლისი მოიწონებს მას და როცა წარმომიდგენენ ხელის მოსაწერად, მის რატიფიკაციას მოვახდენ“. ხალხის მასებმა დაიწყეს სკანდირება: „დაბრუნდეს სიკდილით დასჯა!“, რაზეც ერდოღანმა უპასუხა: „მალე, მალე, ნუ ღელავთ. ეს მალე მოხდება, თუ ალაჰის ნება იქნება“. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, დამნაშავედ მიჩნეულ და ეჭვმიტანილთა დევნის, დაპატიმრების, ციხეებში დამწყვდევის და სადამსჯელო ოპერაციების კვალად, ქვეყანაში დამყარებული საგანგებო რეჟიმის პირობებში, და ამას დამატებული სიკვდილით დასჯის კანონის აღორძინების გარშემო შექმნილი ხმაურიანი აჟიოტაჟის პოპულარიზაციის ვითარებაში, თურქეთის დიალოგი ეცროკავშირში გაწევრიანების თემაზე ძალიან ღრმა ჩიხში მოექცა.

2016 წლის 24 ნოემბერს ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერების შესახებ. თურქეთთან დიალოგის დროებით გაყინვის რეზოლუციას მხარი დაუჭირა ევროპარლამენტის 479 დეპუტატმა. 37 წინააღმდეგ წავიდა, ხოლო 107 თავი შეიკავა. თუმცა ევროკავშირის ქვეყნებმა ევროპარლამენტის აღნიშნულ გადაწყვეტილებას ყური არ უგდეს და პირიქით, გამოთქვეს თურქეთთან ურთიერთობების გაგრძელება, ვინაიდან თურქეთს ძალზე დიდი როლი აკისრია ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან ლტოლვილთა ნაკადის

შეჩერების პროცესში. თურქეთის პრეზიდენტმა ევროკავშირის მხარის სუსტი ადგილები კარგად გამოიყენა და განაცხადა, რომ ევროკავშირში ჩატარებული კენჭისყრა მისთვის არაფერს ნიშნავს და რომ თურქეთი განიხილავს მის შესაძლო შესვლას შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში. ერდოღანის სიტყვებს ციტირებს გაზეთი „Hürriyet“: „თურქეთი უნდა დაწყნარდეს. არ არის აუცილებელი, რომ ევროკავშირს ვეტრფოდეთ ყველა“. 2016 წლის 15 ივლისის გადატრიალების მცდელობის შემდეგ დამყარებული რეჟიმი ევროკავშირის დიდ კრიტიკას იწვევდა, ხოლო თურქეთის მმართველ ძალებს აშშ-ის და დასავლეთის მხრიდან, გადატრიალების სულისჩამდმელი „ფეთჰულაჰჩიების“- ფეტოს ლიდერის ფეთჰულა გიულენის ექსტრადიციის გარანტიის მიღება სურდათ. ქვეყანაში დიდი და გრანდიოზული პოლიციურ-სადამსჯელო წმენდა ჩატარდა და ასიათასზე მეტი ადამიანი აღმოჩნდა ეჭვმიტანილი და დასჯილი. სიკვდილით დასჯის კანონის აღდგენის სურვილის გარდა, მმართველ პარტიას ახალი კონსტიტუციის მიღების ჟინიც კლავდა და პოლიტიკურ მხარდამჭერებს ეძებდა. კონსტიტუციის შეცვლის საქმეში მხარდამჭერი და თანამოაზრეც გამოჩნდა ულტრამემარჯვენე „ნაციონალური მოძრაობის პარტიის“ MHP სახით. მოლაპარაკებების შედეგად, 2016 წლის ბოლოს ორ პარტიას შორის მიღწეულ იქნა კონსენსუსი და 10 დეკემბერს მმართველმა „სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ“ AKP თურქეთის დიდ ეროვნულ მეჯლისში შეიტანა „კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი“, რაც ითვალისწინებდა ქვეყნის მმართველობის საპრეზიდენტო ფორმაზე გადასვლას და ამასთანავე, პრეზიდენტის უფლებების უსაზღვროდ გაზრდას. 2017 წლის 21 იანვარს თურქეთის პარლამენტმა (მეჯლისმა) ხმის უმრავლესობით მოიწონა კონსტიტუციაში ცვლილებების პაკეტი, საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლის შესახებ. კანონის მიღებას მხარი დაუჭირეს AKP და MHP დეპუტატებმა, რომელთა ერთიანი რაოდენობაც მეჯლისში 355-ს შეადგენდა (პროექტს მხარი დაუჭირა 339 დეპუტატმა) და ხმა მისცეს საკონსტიტუციო ცვლილებების რეფერენდუმის ჩატარებას. ოპოზიციურმა პარტიებმა ათათურქის შექმნილმა „სახალხო-რესპუბლიკური პარტიის“ CHP და პროქურთულმა „ხალხთა დემოკრატიული პარტიის“ HDP დეპუტატები წინააღმდეგ გამოვიდნენ და გააკრიტიკეს თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი ერთმმართველი ხელისუფლების დამყარების მისწრაფებაში. თურქეთის კონსტიტუციის ცვლილებების 18 მუხლიანი პაკეტი გულისხმობს, რომ პრეზიდენტი ხდება სახელმწიფო სისტემის მეთაური, მას უფლება ეძლევა პირადად დანიშნოს ვიცე-პრეზიდენტები, მინისტრები და მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოსამსახურენი. პრემიერ-მინისტრის თანამდებობა უქმდება. სამინისტროების შექმნის, დათხოვნის, უფლებამოსილებების, მოვალეობების და სტრუქტურების განსაზღვრა პრეზიდენტის განკარგულებების მიხედვით მოხდება. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება პრეზიდენტს ექნება, ხოლო მისი გადაწყვეტილების დამტკიცება პარლამენტს (მეჯლისს). პრეზიდენტს შეუძლია დარჩეს თავისი პოლიტიკური პარტიის რიგებში (აქამდე პრეზიდენტი პარტიას ტოვებდა). ეროვნული მეჯლისის დეპუტატთა რაოდენობა 550-ის ნაცვლად იქნება 600. დეპუტატის კანდიდატად შერჩევის ასაკის დონე 25 წლის ნაცვლად, ხდება 18 წელი. პრეზიდენტი და პარლამენტი ირჩევა 5 წლის ვადით და პრეზიდენტი ირჩევა არაუმეტეს 2 ვადისა. 2017 წლის 10 თებერვალს თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ხელი მოაწერა ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების პაკეტს. თურქეთის უმაღლესმა საარჩევნო საბჭომ 2017 წლის 16 აპრილს დანიშნა რეფერენდუმი - კონსტიტუციაში ცვლილებების პაკეტის შესაბამისად.

2017 წლის 16 აპრილს თურქეთში ჩატარდა საკონსტიტუციო რეფერენდუმი საპარლამენტო ფორმიდან საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის მიზნით. თურქეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლას მხარი დაუჭირა თურქეთის მოქალაქეთა 51,41%-მა. წინააღმდეგ წავიდა მოქალაქეთა 48,59%. საზღვარგარეთის საარჩევნო ოლქებში, თურქეთის დიასპორის წარმომადგენლებმა საპრეზიდენტო მართვის სისტემას მხარი დაუჭირეს გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში. წინააღმდეგ წავიდნენ - რუსეთში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადაში.

რეფერენდუმის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთის მოქალაქეთა მიერ საკონსტიტუციო რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება, საპრეზიდენტო სისტემაზე გადასვლის შესახებ, არის ისტორიული მოვლენა, ეს არის ქვეყნის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი რეფორმა. რეფერენდუმის მსვლელობისას სერიოზულ დარღვევებზე საჩივრები შეიტანეს ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა, მაგრამ 19 აპრილს თურქეთის უმაღლესმა საარჩევნო საბჭომ მათი საჩივრები არალეგიტიმურად სცნო და რეფერენდუმის შედეგები უცვლელად დატოვა. აღნიშნულ რეფერენდუმზე ხმის მიცემის პროცესში დარღვევების შესახებ, ასევე აღნიშნა დამკვირვებლის სტატუსით მივლინებულმა ეუთოს მისიამ, რომლის აზრით რეფერენდუმის ჩატარების კორექტულობა და ობიექტურობა არ შეესაბამებოდა ევროპის საბჭოს სტანდარტებს.

2017 წლის 6 ივლისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა ევროკავშირის ქვეყნებსა და ევროკომისიას შეეჩერებინათ თურქეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები, სანამ თურქეთის ხელისუფლება არ შეიტანდა ცვლილებებს კონსტიტუციაში.

2018 წლის 24 ივნისს თურქეთში ჩატარდა ვადამდელი არჩევნები, რომელიც თურქეთის ისტორიაში პირველი იყო, როდესაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთდროულად შედგა. აღნიშნულ არჩევნებში მოსახლეობის 87%-მა მიიღო მონაწილეობა. არჩევნების დამთავრებამდე და ხმების საბოლოო დათვლამდე რეჯებ თაიფ ერდოღანმა წინასწარ გამოაცხადა თავისი გამარჯვება. მან მიმართა მოსახლეობას, რომ ამ კვირა დღეს თურქმა ხალხმა „დემოკრატიის გაკვეთილი ჩაუტარა მთელ მსოფლიოს“. წინასწარი მონაცემებით, AKP ს ლიდერმა ერდოღანმა ამომრჩეველთა ხმების 52,5% დააგროვა, ხოლო მისმა მთავარმა კონკურენტმა CHP პარტიის წარმომადგენელმა მუჰარემ ინჯემ ხმების 30,7% მიიღო. თურქეთის კონსტიტუციაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, თურქეთი გადავიდა საპარლამენტოდან, საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე. თურქეთში ეუთოს მოკლევადიანი მისიის ხელმძღვანელმა იგნასიო სანჩეს ამორმა განაცხადა, რომ „ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვამ, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებოდით, გავლენა მოახდინა ამ არჩევნებზე. მჯერა, რომ თურქეთი აღნიშნულ შეზღუდვებს მალე გააუქმებს“. ეუთოს დამკვირვებლების აზრით, თურქეთში მოქმედი საგანგებო მდგომარეობა ზღუდავდა შეკრებისა და თვითგამოხატვის უფლებებს, მათ შორის მასიური ინფორმაციის საშუალებებშიც. ისინი ამტკიცებენ, რომ მმართველი პარტია და თურქეთის მოქმედი პრეზიდენტი უპირატესობას ფლობდნენ სახელმწიფო და კერძო მასმედიაში კამპანიის გაშუქების დროს. ეუთოს დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ საარჩევნო პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა ხმების დათვლისა და შედეგების დამუშავების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გამოტოვებული იყო. ხელისუფლებამ უნდა

ჩაატაროს გარკვეული მუშაობა, რომ უზრუნველყოს მომავალი არჩევნების შესაბამისობა დემოკრატიულ სტანდარტებსა და ვალდებულებებთან. „ჩვენ შევთავაზებთ რეკომენდაციებს ჩვენს დასკვნით მოხსენებაში, რათა დავეხმაროთ ამ პროცესში“ - განაცხადა ეუთოს ბიუროს მისიის თავმჯდომარემ ოდრი გოვერმა.

25 ივნისს ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას ლუქსემბურგში, ევროკავშირის დიპლომატიის ხელმძღვანელმა ფედერიკა მოგერინიმ აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პირობები თურქეთში არათანაბარი იყო, მედიისა და თავშეყრის უფლება შეზღუდული იყო, ქვეყანაში 2016 წლიდან მოქმედი საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გამო.

ერდოღანმა წინასააჩევნო მიტინგებზე რამდენჯერმე განაცხადა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში გააუქმებს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, რომელიც 2 წელია რაც მოქმედებს. 2018 წლის 13 ივლისს პრეზიდენტმა ერდოღანმა მეჯლისს მიმართა საგანგები რეჟიმის გაუქმების მოთხოვნით და 18 ივლისს თურქეთში გაუქმდა საგანგებო რეჟიმის მოქმედება.

რეჯებ თაიფ ერდოღანი პრეზიდენტის ძალაუფლების განმტკიცების კიდევ ერთ საშუალებას ხედავდა მუნიციპალური არჩევნების ჩატარებასა და მასში მისი პარტიის გამარჯვებაში. პოლიტიკური თვალსაზრისით აღნიშნული არჩევნები დიდ მნიშვნელობას ატარებდა, როგორც მოქალაქეთა ნების პირველი გამოხატვა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. არჩევნები ჩატარდა 2019 წლის 31 მარტს და თურქეთის ძირითად ქალაქებში გამარჯვება მოიპოვეს ოპოზიციური „რესპუბლიკურ-სახალხო პარტიის“ CHP წარმომადგენლებმა: სტამბოლში - ექრემ იმამოღლუმ, ანკარაში - მანსურ იავაშმა, იზმირში - მუსტაფა თუნჩმა, ანტალიაში - მუჰითთინ ბოჯექმა. ერდოღანისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტამბოლის მეგაპოლისში თავის პარტიის წარმომადგენლის ბინალი ილდირიმის *(ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მეჯლისის თავმჯდომარე)* გამარჯვებას და სტამბოლის მერის არჩევნების შედეგი ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა პრეზიდენტისთვის. მისი პოლიტიკური კარიერა სწორედ სტამბოლოს მერობიდან დაიწყო 1994 წლის მარტში. სტამბოლში 17 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, ქვეყნის კულტურულ-ისტორიული ცენტრი და თურქეთის ეკონომიკის 65% სტამბოლზე მოდის. ერდოღანი ვერაფრით ვერ ეგუებოდა სტამბოლის დათმობას და გაასაჩივრა არჩევნების შედეგები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ *(პრეზიდენტის ზეწოლით)* ბათილად სცნო 31 მარტის სტამბოლის მერის არჩევნების შედეგები და 2019 წლის 23 ივნისს ახალი არჩევნები დანიშნა სტამბოლში. მეორე არჩევნებში ოპოზიციური CHP -ს წარმომადგენელმა ექრემ იმამოღლუმ გაცილებით დამაჯერებელი სხვაობით მოუგო არჩევნები მოწინააღმდეგეს და მას სტამბოლის მერობა პირველებმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა და ბინალი ილდირიმმა მიულოცეს.

არჩევნების შედეგების საეჭვო გაუქმების ფაქტი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დამკვირვებლების ინტერესების არეალში მოექცა. ევროკავშირმა პასუხისმგებელ საერთოდ, საარჩევნო კომისიას კატეგორიულად მოთხოვა დაუყოვნებლივ წარმოედგინა თავისი გადაწყვეტილების დასაბუთება. 2019 წლის 6 მაისს ევროკავშირის საგარეო საქმეებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ფედერიკა მოგერინიმ და ევროკავშირის გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰაანმა განაცხადეს, რომ „აღნიშნული, მეტად პოლიტიზირებულ კონტექსტში მიღებული შორს მიმავალი გადაწყვეტილების დასაბუთება, დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას საჯარო გამოძიებისთვის“. მათი თქმით, თავისუფალი,

სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები ყველა დემოკრატიისთვის არის საჭირო და ამასთანავე, ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობებისთვისაც.

2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობიდან მოყოლებული და ქვეყანაში გატარებული სადამსჯელო ოპერაციების შედეგად გართულებული შიდაპოლიტიკური ვითარება, ეკონომიკური სირთულეები, საგარეოპოლიტიკური კურსის მილიტარიზებული მიმართულების აქტივიზაცია, პერიოდულად ართულებს თურქეთის ურთიერთობებს აშშ-თან, ნატოსთან, ევროკავშირთან და საერთოდ, ევროპის ქვეყნებთან. ყველა ზემოთქმული პრობლემა ხელს უშლის თურქეთის ევროპული ოჯახის საერთო ფერხულში ჩაბმაში და აშორებს მის მთავარ მიზანს - ევროკავშირს.

2020 წლის 10-11 დეკემბერს ბრიუსელში ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ევროკომისიის ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „თურქეთი სულ უფრო შორდება ევროკავშირს, სერიოზულად ჩამორჩება ისეთ სფეროებში, როგორიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, სასამართლო სისტემის ძირითადი უფლებები და დამოუკიდებლობა“. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი 2018-2019 წლებშიც აცხადებდა, რომ თურქეთთან მოლაპარაკებები ფაქტიურად ჩიხში მოექცა და „კრიტერიუმის“ პარაგრაფები აღარ განიხილება, მათი დახურვისა თუ გახსნის მიზნით. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ბრიუსელი და ევროკავშირის ქვეყნები, სხვადასხვა დონეზე არაერთხელ აცხადებდნენ, რომ თურქეთის ქმედებები ხელს უწყობენ თურქეთის დაშორიშორებას ევროპული საზოგადოებიდან და მოუწოდებდნენ მას განესაზღვრა თავისი პოზიცია. ევროკავშირის აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, თურქეთის მიმართ სანქციები გააამკაცრეს, ძირითადად აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის გაზის საბადოების სადავო შელფის უბნებზე, უკანონო ძიების გამო. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ თურქეთი სამწუხაროდ, აგრძელებს თავის ცალმხრივ და პროვოკაციულ ქმედებებს, ასევე გააძლიერა თავის რიტორიკა ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი-ქვეყნების და ევროპელი ლიდერების წინააღმდეგ“.

ევროკავშირის მხრიდან თურქეთის მიმართ სანქციების გამკაცრებისა და საკმაოდ მკაცრი გაფრთხილების შემდეგ, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ მოუწოდა ბრიუსელს, რომ გადახედონ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკას. მინისტრმა დაგმო სამიტის შედეგები, როგორც „წინასწარშექმნილი და უკანონო“. მან აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები გაწევრიანების შესახებ მთლიანად უნდა ეფუძნებოდეს ევროკავშირის ინტერესებს და არა ევროკავშირის ზოგიერთი წევრი-სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს *(ხა თქმა უნდა, მან იგულისხმა საბეჰძნეთი, კიპროსი, ავსტრია).* თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი, 2020 წლის 10-11 დეკემბრის ევროკავშირის ბრიუსელის სამიტით აღშფოთებული, კვლავ დაემუქრა ევროპას „მიგრაციული კრიზისის“ ამოქმედებით და თურქეთის ტერიტორიაზე ბანაკებში განთავსებული 3,7 მილიონი ლტოლვილთა რიგებიდან, ევროპისკენ მიგრანტების ნაკადის შექმნაზე მიუთითებდა.

2021 წლის დადგომიდან თურქეთი დიდ იმედებს ამყარებდა ივნისის თვეში დაგეგმილ ნატოს და ევროკავშირის სამიტებზე. იგი ევროკავშირის მხრიდან, ურთიერთობათა პოზიტიური განვითარების მხარდაჭერისთვის „კონკრეტულ ნაბიჯებს“ ელოდება. ევროპულმა კავშირმა თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის დასაშოშმინებლად, ურთიერთობათა გადატვირთვა შესთავაზა, მაგრამ აქვე კრიტიკა გამოთქვა ქვეყანაში შექმნილი შიდაპოლიტიკური სიტუაციის გამო. ამ მიზნით 2021 წლის 6 აპრილს ანკარას ეწვია ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და ევროპის საბჭოს თავმჯდომარე შარლ

მიშელი. პრეზიდენტ ერდოღანთან შეხვედრისას, აღინიშნა თურქეთის მხარის დიდი ინტერესი ევროკავშირთან კონსტრუქციული მოლაპარაკებების მიმართ, ხოლო ევროპის მაღალი მოხელეების მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა სახელმწიფოთა და მთავრობათა ლიდერების ივნისის სამიტამდე, ემუშავათ ანკარასთან ურთიერთობებისთვის „ახალი დინამიკის“ მინიჭების განხრით. ურსულა ფონ დერ ლაიენის თქმით, თურქეთის პრეზიდენტთან თითქმის სამსაათიანი საუბრის დროს განხილულ იქნა თანამშრომლობის გაფართოების ყველა შესაძლებელი ვარიანტი: ერთობლივი საბაჟო კავშირის მოდერნიზაცია; მოლაპარაკებების გამართვა უმაღლეს დონეზე; ევროკავშირის ქვეყნებში თურქეთის მოქალაქეებისთვის პირობების შემსუბუქება; შემდგომი ფინანსური დახმარების აღმოჩენა თითქმის 4 მილიონი სირიელი ლტოლვილისთვის თურქეთში. ევროკომისიის ხელმძღვანელის განცხადებით, დათქმული ფინანსური დახმარების წინაპირობად ითვლება, თურქეთის მიერ ჯერ კიდევ 2016 წელს მიცემული პირობის განახლება, რაც გულისხმობდა ბერძნული კუნძულებიდან მობრუნებული ლტოლვილების უკან მიღებას. აღნიშნული პირობა თურქეთმა შეაჩერა 2020 წლის ზაფხულიდან. ურსულა ფონ დერ ლაიენმა ხაზი გაუსვა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები „არ ექვემდებარება განხილვას“ და ითვლება ევროპული კავშირის „აბსოლუტურ პრიორიტეტად“. მან ასევე გააკრიტიკა თურქეთის 2021 წლის მარტში ქალთა უფლებების და გენდერული ძალადობისგან დაცვის სტამბოლის 2011 წლის 11 მაისს ხელმოწერილი და 2014 წლის 1 აგვისტოდან აღიარებული კონვენციიდან გამოსვლის ფაქტი და აღნიშნა, რომ ეს „არასწორი სიგნალი“ ეწინააღმდეგება ანკარისა და ბრიუსელის დაახლოვების პროცესს *(აღნიშნული კონვენციიდან გამოსვლის მიზეზად, თურქეთის მხრიდან ჰომოსექსუალიზმის ნორმად ქცევის საშიშროება სახელდება).* ევროპის საბჭოს თავმჯდომარემ შარლ მიშელმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტ ერდოღანთან საუბრის დროს, გამოხატეს „ღრმა შეშფოთება ამ ბოლო დროს თურქეთში განვითარებული მოვლენების გამო“. საქმე ეხებოდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისა და ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მიმართ გამოხატული მკაცრი მოქმედებების ფაქტებს.

ზემოხსენებული ვიზიტის დროს, პრეზიდენტის კაბინეტში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, მოხდა დიპლომატიური კურიოზი, როდესაც ევროკავშირის უმაღლესი პოლიტიკური რანგის მაღალჩინოსანი, ევროკომისიის პრეზიდენტი ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენი საპატიო სტუმრის სავარძლის გარეშე დარჩა და იძულებული გახდა ჩვეულებრივ დივანზე მოთავსებულიყო. საქმე იმაში გახლავთ, რომ ერდოღანის კაბინეტში მხოლოდ ორი სავარძელი იყო თურქეთისა და ევროკავშირის დროშებით, შეხვედრის მონაწილეთაგან კი, სამი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი. უმაღლესი დონის შეხვედრების პროტოკოლის თანახმად, წინასწარ უნდა ყოფილიყო გათვლილი მონაწილეთა განთავსების ადგილები, რომელსაც წესით, მიმღები მხარე უზრუნველყოფს. როდესაც ევროკავშირის მხრიდან კრიტიკული შენიშვნები *(პერიოდულად აღშფოთებაც)* გავრცელდა და თურქეთის მხარე პროტოკოლის დარღვევაში დაადანასაულეს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განმარტა, რომ თურქეთის მხარეს არავითარი დიპლომატიური კაზუსი არ მოსვლია, ვინაიდან ევროკავშირის პროტოკოლმა მოამზადა აღნიშნული შეხვედრის დეტალები და მხოლოდ ამის შემდეგ შეათანხმა თურქეთის მხარესთან. რა თქმა უნდა, თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებები დამაჯერებელი არ გახლავთ - ყოველი დიპლომატიური სკანდალი, რომელიც პროტოკოლის დარღვევამ გამოიწვია, პასუხი მიმღებ მხარეს მოეთხოვება. ურსულა ფონ დერ

ლაიენმა არ გაართულა საკითხი და მხოლოდ ისურვა, მომავალში მსგავსი ინციდენტები აღარ განმეორდეს. ევროპარლამენტის კონსერვატიულმა დეპუტატებმა მოითხოვეს დებატების გამართვა აღნიშნულ საკითხზე და თურქეთთან ურთიერთობების გადახედვა. ევროპარლამენტის ესპანელმა დეპუტატმა ირჩე გარსია პერესმა განაცხადა, რომ „ჯერ სტამბოლის კონვენციიდან გადიან, შემდეგ კი, ევროპული კომისიის პრეზიდენტს ოფიციალური ვიზიტის დროს ადგილის გარეშე ტოვებენ...სირცხვილია“. ევროპის წამყვანმა და ცნობილმა მედია საშუალებებმა, იპოვეს პასუხი აღნიშნულ ინციდენტზე, რომ მოლაპარაკებებზე შექმნილი სიტუაცია, სწორედ თურქეთის ამასწინანდელი სტამბოლის ქალთა უფლებების დაცვის კონვენციიდან გასვლის შედეგია.

საგულისხმოა, რომ ერდოღანის საპრეზიდენტო სასახლეში ჩატარებული უმაღლესი დონის შეხვედრის დანიშნულება, თურქეთსა და ევროკავშირს შორის უკანასკნელ ხანს საკმაოდ გახუნებული ურთიერთობების გამოცოცხლება იყო.

2021 წლის 19 მაისს ევროპარლამენტის მიერ გამოქვეყნებულ საანგარიშო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირსა და თურქეთს შორის ურთიერთობებმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწიეს და იმდენად სავალალო მდგომარეობაშია, რომ არსებითად მათი ახლებურად გააზრებაა საჭირო. ევროდეპუტატებმა აღნიშნეს, რომ თურქეთი აგრძელებს ევროკავშირის ფასეულობებისა და ნორმებისგან თანდათან დაშორებას, თანაც თურქეთში სულ უფრო შესამჩნევი ხდება პრეზიდენტ რეჯებ თაიფ ერდოღანის „ხელისუფლების ჰიპერცენტრალიზაცია“. ამას გარდა, პარლამენტარები შეშფოთებულები არიან თურქეთის საგარეო პოლიტიკით, მათ შორის საბერძნეთისა და კიპროსის მიმართ, ასევე მისი ჩართულობით სირიაში, ლიბიაში და მთიან ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებში. ევროპარლამენტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე თურქეთის ხელისუფლებამ გაშალა უპრეცედენტო რეპრესიები ოპოზიციისა და მასიური ინფორმაციის საშუალებეის წინააღმდეგ. მიუხედავად ერდოღანის მმართველობის ავტორიტარული სტილისა, თურქეთი ჯერ ისევ რჩება ევროკავშირის წევრობის კანდიდატად. ევროპარლამენტის ყველაზე დიდი ფრაქციის ხელმძღვანელი და ევროპის სახალხო პარტიის ლიდერი მანფრედ ვებერი მომხრეა, რომ თურქეთთან განსაკუთრებული მიდგომით უნდა დალაგდეს პარტნიორული და კეთილმეზობლური ურთიერთობები და გამოყენულ იქნას მოლაპარაკებები საგნების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. მანფრედ ვებერის მცდელობით, მოხსენების ბოლოში თურქეთი დასახელებულია ევროკავშირის საკვანძო პარტნიორად უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მიგრაციის რეგულირების საკითხებში.

2021 წლის 24-25 ივნისს ბრიუსელში გაიმართა ევროკავშირის მორიგი სამიტი, რომელზეც თურქეთი დიდ იმედებს ამყარებდა და ყველაზე მნიშნელოვანი გადაწყვეტილება იყო თურქეთს გამოუყონ 3,5 მლრდ ევრო, რათა 2024 წლამდე თურქეთმა გააგრძელოს სირიიდან ლტოლვილების მიღება. თურქეთის ხელისუფლება, რომელიც აღნიშნავს რომ 4 მილიონამდე სირიელი ლტოლვილი ყავს მიღებული თავის ტერიტორიაზე, მოითხოვს, რომ ევროკავშირმა აღნიშნული თანხა გადაუხადოს უშუალოდ თურქეთის მთავრობას. თურქეთის საგარეო სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ევროკავშირის ლიდერების სამიტის გადაწყვეტილება თურქეთის ნაწილში, შორსაა „მოსალოდნელი“ და „აუცილებელი“ თემებისგან. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ლიდერების მიერ თურქეთთან დიალოგის პოზიტიური ნაბიჯების გადატანა უფრო გვიანი დროისთვის, მოწმობს მთელი რიგი ქვეყნების პოლიტიკური ნების უკმარისობისა და

წინასწარგანზრახული დამოკიდებულების შესახებ. თურქეთმა მიიღო ყველა საჭირო ზომები რეგიონში დაძაბულობის შემცირების, დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამავე დროს, ევროკავშირის ლიდერებმა არ გადადგეს კონკრეტული ნაბიჯები თურქეთისკენ, მათ შორის საბაჟო კავშირის განახლების საკითხში. დასკვნით განცხადებაში არც კი მოიხსენებენ თურქეთს, როგორც ევროკავშირში მისაღებ კანდიდატ ქვეყანას. ამასთავე ხაზგასმულია, რომ ფინანსური დახმარების ახალი პაკეტი, რომელიც მოიხსენიება ბრიუსელის სამიტის გადაწყვეტილებებში, განკუთვნილია არა თურქეთის, არამედ სირიელი ლტოლვილებისათვის. მცდელობა იმისა, რომ დააკნინონ თურქეთთან მიგრაციის საკითხებში თანამშრომლობის მნიშვნელობა და საკითხი წარმოაჩინონ ფინანსური ასიგნობების ხარისხში - ძირშივე მცდარი მიდგომაა. აღნიშნულ საკითხში მჭიდრო ურთიერთქმედებები ყველა მხარის ინტერესებს პასუხობს. ეს ნაბიჯი პირველ რიგში თვით ევროკავშირის ინტერესებს პასუხობს, ევროპაში უსაფრთხოებისა და სიმშვიდის უზრუნველყოფაში თავისი წვლილი შეაქვს - აღნიშნულია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ევროკავშირის 2021 წლის 24-25 ივნისის ბრიუსელის სამიტის შედეგებთან დაკავშირებით.

ლ ე ქ ც ი ა 14

(თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა. თურქეთის დიპლომატიური მისიები და მათი მუშაობა. თურქეთი -რეგიონული ლიდერი და მისი ადგილი მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში)

თანამედროვე თურქეთის პოლიტიკოსები, დიპლომატები და ისტორიკოსები, დღესაც ლოზუნგად იყენებენ შეურყეველ ფორმულირებას - თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ფუნდამენტი 1920-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში აშენდა. 1920 წლის 23 აპრილის თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის გახსნისთანავე შექმნილ პირველ ეროვნულ მთავრობასთან ერთად, 1920 წლის 2 მაისს ოფიციალურად დაფუძნდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და მინისტრად დაინიშნა ბექირ სამი ბეი. 1923 წელს თურქეთის რესპუბლიკის შექმნიდან დღემდე, დიდი ეროვნული ლიდერის ათათურქის მსოფლმხედველობა და პრინციპები თურქეთის საგარეო პოლიტიკის განხორციელების სახელძღვანელოდ იქცა, ხოლო მისმა ფრთიანმა გამოთქმამ „ქვეყანაში მშვიდობა, მსოფლიოში მშვიდობა“, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნები ჩამოაყალიბა. ათათურქის მიერ დასახული აქტიური და მშვიდობიანი საგარეოპოლიტიკური კურსი, 1930-იან წლებში შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში თურქეთის მიერ წარმატებით იქნა გამოყენებული.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, საგარეო ძალების მხრიდან ქვეყნის ომში ჩართვის დიდი მცდელობის მიუხედავად, ქვეყნისთვის სიმშვიდისა და სარგებელის მოტანის მიზნით გამოყენებული დიპლომატიის წყალობით, თურქეთმა აიცილა მძიმე ომის ქარტეხილები. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსი დასავლეთის გზას დაადგა და „ცივი ომის“ წლებში საგარეო საქმეთა სამინისტრო ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პარალელურად, მრავალმხრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობას მეტად სერიოზულად ეკიდებოდა.

„ცივი ომის“ პერიოდის დასრულების შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ახლებური მიდგომები განავითარა, რამაც სამინისტროს საკადრო სისტემაში მნიშნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები მოახდინა. აღნიშნულ პერიოდში ახლადწარმოშობილ ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებასთან ერთად, საზღვარგარეთ დიპლომატიური მისიების რიცხვი გაიზარდა. 1990-იანი წლებში თურქეთის ირგვლივ გეოგრაფიულ სფეროში შექმნილი ცვლილებების ფონზე, თურქეთის საგარეო პოლიტიკის პოზიციიდან, ამ სპეციფიკურ გეოგრაფიულ სამყაროში მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გარანტიის თვალსაზრისით, თურქეთის მნიშვნელობა და ვალდებულებანი უფრო გაიზარდა.

1924 წელს თურქეთის რესპუბლიკას მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში გახსნილი ჰქონდა მხოლოდ 39 დიპლომატიური მისია. დღეისათვის თურქეთს მსოფლიოში გახსნილი აქვს 142 საელჩო, 85 გენერალური საკონსულო, 13 მუდმივი წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, 1 საკონსულიო სააგენტო და 1 სავაჭრო წარმპომადგენლობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრებში, როგორც ცენტრში, ისე უცხოეთის მისიებში 1775 კარიერის დიპლომატი მსახურობს. ამას გარდა, იურიდიული მრჩეველი, თარჯიმანი, მოხელე, კონტრაქტით მომუშავე პერსონალი და სხვა წოდების მომსახურე პერსონალის ჩათვლით, სამინისტროს ყველა დონეზე მომუშავე პერსონალი შეადგენს 6692 მოსამსახურეს *(2020 წლის მონაცემებით).* თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი „შავი წიგნი“ გააჩნია, სადაც აღრიცხულია

ყველა დიპლომატი, რომელნიც 1970-იანი წლებიდან მოყოლებული უცხო ქვეყანაში თავისი ქვეყნის მოვალეობის შესრულების დროს *(ზოგიერთი ოჯახის წევრებთან ერთად)*, დაიღუპნენ სომხური ტერორისტული ორგანიზაციის“ასალა“-ს მკვლელების ხელით. მუხანათურად მოკლული დიპლომატების რიცხვი 34-ს შეადგენს და 5 მათგანი ელჩის რანგში გარდაიცვალა.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრავალვექტორიანი და მრავალი მიმართულების საგარეოპოლიტიკური კურსის გატარება უხდება, რომელიც პერიოდულად სამინისტროს სქემის სტრუქტურის ცვლილებას იწვევს. 2017 წლიდან თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მნიშვნელობა საკმაოდ გაიზარდა და მრავალვექტორიანი გახდა. თვით სამინისტროს სტრუქტურის მუშაობა ბევრად მობილური, შემჭიდროვებული და დატვირთული გახდა. მაგალითად, 2017 წლამდე მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას (*UNDERSECRETARY- თურქულად* - MÜSTEŞAR) ეწოდებოდა *(არაბულად „მუსთეშარი“ მრჩეველს ნიშნავს, მაგრამ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უფრო მნიშვნელოვან და მაღალ დატვირთვას ატარებდა).* თანამდებობრივი რანგით, დაახლოვებით „მთავარი მრჩეველი“ შეიძლება ეწოდოს და მას პირადად შვიდი მოადგილე ჰყავდა (Deputy Undersecretary), რომელთაც ჩვეულებრივ ხალხში, მინისტრის მოადგილეებს უწოდებდნენ. ამ შვიდ მოადგილეზე იყო განაწილებული სამინისტროს მთელი საკადრო შემადგენლობა: 19 გენერალური დეპარტამენტი, რომლებიც თავისთავად სამმართველოებად და განყოფილებებად იყვნენ დაყოფილნი კონტინენტების, რეგიონების, ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა მიმართულებების მიხედვით. ასევე მათ ექვემდებარებოდა დიპლომატიური აკადემია, ახალგაზრდა დიპლომატთა მოსამზადებელი კურსები, თურქეთში განლაგებული *(სტამბოლში, იზმირში, ედირნეში, ანტალიაში, გაზიანტებში)* საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობები. მუსთეშარი, ანუ მთავარი მრჩეველი, ანუ მინისტრის პირველი მოადგილე, პირდაპირ მინისტრთან იყო დაკავშირებული და მისი მოვალეობა იყო ყველა მის მოადგილეს თავისი დაქვემდებარების დეპარტამენტიდან მინისტრისთვის მოემზადებინათ სასაუბრო გეგმა, მისი რომელიმე ქვეყანაში, ან გაეროს, ნატოს, ეუთოს, ასამბლეაზე გამოსასვლელი სიტყვებისთვის დოკუმენტური და ინფორმაციული მასალები. ყოველი მომზადებული მასალა „მუსთეშარის“ მიერ გადიოდა რედაქტირებას, კორექციას, შემოწმებას და ის პირადად უდებდა მაგიდაზე მინისტრს. ასეთივე სცენარით ხდებოდა ვიზიტების მასალების მომზადება ქვეყნის პირველი პირებისთვის. სხვა ქვეყნის პრეზიდენტების, პრემიერების, მინისტრების, პარლამენტარების სტუმრობისას, მასპინძელი მხარის მოლაპარაკებების წამყვან პირებს, საგარეო საქმეთა სამინისტროდან უნდა ჰქონოდათ სრული ინფორმაციული მასალა, საუბრის შესაძლო მიმართულებების განხილვის და მოსალოდნელი თემატიკის წამოწევის დროს შესაბამისი საპასუხო ვარიანტები. 2017 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა მნიშვნელოვნად გადაკეთდა: მინისტრის უშუალო მოადგილის, მუსთეშარის ფუნქცია გაუქმდა, ყოფილი მუსთეშარის შვიდი მოადგილის ნაცვლად, მინისტრის პირდაპირი სამი მოადგილის თანამდებობა იქნა შემოღებული - *დღეისათვის ესენი არიან: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სედათ ონაღი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფარუკ კაიმაქჩი და იავუზ სელიმ ქირანი.* მინისტრის აღნიშნულ სამ მოადგილეზე გადანაწილდა მთელი ის სამუშაო, რაც ადრე შვიდი მუსთეშარის მოადგილესა და თვით მუსთეშარის პასუხისმგებლობის სფეროს წარმოადგენდა. ამასთან ერთად, საგარეო საქმეთა სამინისტროში 19 გენერალური დეპარტამენტის ნაცვლად, დღეს მუშაობს 29 გენერალური

დეპარტამენტი. სხვათა შორის, მინისტრის ერთი-ერთი მოადგილის *(სედათ ონაღი)* პირდაპირ დაქვემდებარებაში 16 გენერალური დეპარტამენტი შედის. მათ შორის: ამერიკის; აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის; აფრიკის; აღმოსავლეთ ევროპის, შუა აზიის და კავკასიის; ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის; სამხრეთ აზიის, ერაყის და ირანის; სირიის (ცალკე) გენერალური დეპარტამენტი; ასევე ინფორმატიკის; პროტოკოლის; საგარეო პოლიტიკის ანალიზის; საერთაშორისო უსაფრთხოების; სამართლებრივი და სხვა გენერალური დეპარტამენტები *(სუღ 16)*.

საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმატებულად მუშაობს და დღეისათვის თურქეთი მსოფლიო პირველ ხუთეულშია საზღვარგარეთ დიპლომატიური მისიების რაოდენობით. თურქეთს, მაგალითად გერმანიაში, საელჩო და 13 გენერალური საკონსულო აქვს გახსნილი, რაც თურქეთისთვის ამ ქვეყნის ძალიან დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს *(გერმანიაში 3 მილიონზე მეტი ეთნიკური თურქი ცხოვრობს და მათგან 1,6 მილიონზე მეტს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, რაც მათ უფლებას აძლევს თურქეთის არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა).* ამიტომ გერმანიის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში მოქმედებენ თურქეთის გენერალური საკონსულოები: ბერლინში საელჩოს გარდა, მუშაობს ცალკე ბერლინის გენერალური საკონსულო; მიუნხენში; ჰამბურგში; კიოლნში; ესენში; ჰანოვერში; ფრანკფურტში, დიუსელდორფში, მაინცში, მიუნსტერში; ნიურნბერგში; კარლსრუეში და შტუტგარტში. 2012 წლის 30 ოქტომბერს ბერლინში გაიხსნა თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ახალი შენობა *(თურქეთის ყველაზე დიდი საელჩო მსოფლიოში)*, რომლის გახსნის ცერემონიალზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა გერმანიის მიმართ დიდი პატივისცემა გამოხატა და აჩვენა თუ რა დიდ როლს თამაშობს თურქეთისთვის გერმანია. ერდოღანმა განაცხადა: „არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც ეკონომიკის თვალსაზრისით ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე გერმანია, და არ არსებობს ევროპაში ადგილი, რომელიც უფრო ცენტრალური იყოს, ვიდრე ბერლინი“. საპასუხოდ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა პირადი შეხვედრა მოუწყო თურქეთის ლიდერს და პატივისცემა გამოხატა, არა მარტო თურქეთის სახელმწიფოს მიმართ, როგორც გერმანული ნაწარმის მუდმივად მზარდი გამსაღებელი ქვეყნის, არამედ ადგილობრივი თურქების მიმართაც, რომლებიც გერმანიაში სამ მილიონზე მეტს შეადგენენ. თურქეთის სახელმწიფოს ლიდერის რეჯებ თაიფ ერდოღანის ძალისხმევით, თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსი, მისი ამოცანები და პრიორიტეტები თანდათან გლობალური მნიშვნელობის ცვლილებებისკენ იხრება. თანამედროვე თურქეთი აღარ თვლის თავს აშშ-ის და ნატოს „უმცროს პარტნიორად“, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების უსაფრთხოების რეგიონული სისტემის არქიტექტურის მშენებლობაში მთავარი მოთამაშის პრეტენზია აქვს. უკანასკნელ ხანს თურქეთის წინაშე დგას რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური ამოცანა, მაგალითად: ისლამურ სამყაროსთან კავშირების გამყარება და მსოფლიო დონის მოთამაშეთა კლუბის წევრობა. ამასთანავე, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, თურქეთს საშუალებას აძლევს, პრეტენზია ჰქონდეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ლიდერის სტატუსზე. დღეისათვის თურქეთი, თავისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკით, განაცხადს აკეთებს, რომ მას ანგარიში გაუწიონ როგორც ძალას, დიდი სახელმწიფოს სტატუსით. თურქეთის რესპუბლიკა 2023 წელს თავისი დაარსების 100 წლისთავის იუბილეს აღნიშნავს და პრეზიდენტ ერდოღანს სურს, ამ საზეიმო თარიღს შეხვდეს დიდი გამარჯვებებით. ჯერ კიდევ 2010 წელს, ქვეყნის ლიდერმა ერდოღანმა პირობა დადო, რომ

რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლის იუბილეზე, თურქეთი იქნება ძლიერი მსოფლიო სახელმწიფო. თურქეთის საგარეოპოლიტიკური ამბიციების რეალიზაციისთვის, ქვეყნის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა გეგმა „თურქეთი-2023“, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს. აღნიშნული პროგრამის თანახმად, განზრახული იყო თურქეთი შესულიყო მსოფლიოს ეკონომიკურად განითარებული ქვეყნების პირველ ათეულში მშპ 2 ტრილიონი აშშ დოლარის მოცულობით. ექსპერტების მონაცემებით, თურქეთმა 2019 წელი მშპ 755 მლრდ აშშ დოლარის მოცულობით დახურა, ხოლო 2020 წლის მონაცემებით, კორონავირუსის პანდემიის გამო უფრო დაბალი მაჩვენებელი იყო. აღნიშნული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თურქეთის ეკონომიკური ამოცანები - 2023 წელს მშპ 2 ტრილიონ აშშ დოლარის მოცულობით, ალბათ ვერ იქნება რეალიზებული სრულად. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი, მაინც არ კარგავს იმედს, რომ თურქეთს აქვს ისტორიული შანსი გახდეს მსოფლიო მოთამაშეთა კლუბის წევრი და ისლამური სამყაროს ლიდერი სახელმწიფო. თურქეთის სახელმწიფოს მეთაურის აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ, ქვეყნის მოქალაქეთა დიდი მხარდაჭერა მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკა ღრმა კრიზისს განიცდის, თურქეთის საგარეოპოლიტიკური აღმავლობა ხელს უწყობს პრეზიდენტის პოპულარობის ზრდას. თურქეთის პრეზიდენტი ძალიან ხშირად გამოდის ხალხმრავალ მიტინგებზე და საკმაოდ უბრალო, გასაგები ენით მიმართავს ათიათასობით მომიტინგეს, რაც მის პოპულარობას განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში ამაღლებს. თვალში საცემია თურქი ახალგაზრდა თაობის პატრიოტიზმი და მათი მზადყოფნა სამშობლოს თავდადებისთვის. მათთვის ძალზე ძვირფასი და სასიამოვნოა საუბარი, თურქეთის განსაკუთრებულ როლზე ისლამურ სამყაროში და ზრუნვა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ „თურქ ძმებზე“, რომელთაც ისინი დიდი ენთუზიაზმით დაეხმარებიან. თურქებს ყოველდღე ახსენებენ და ისინიც ამაყობენ, რომ ისტორიულად იმპერიული ერია. იმპერიული თვითშეგნება მათში ახალი ტიპის აზროვნებას წარმოშობს და ხშირად ხმარებულ ლოზუნგს „Her Türk asker doğar“ *(ყოველი თურქი ჯარისკაცს შობს)*, ახლანდელ დროში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სამხედრო ოპერაციებმა სირიაში, ლიბიაში და ყარაბაღში, გამოიწვია ეროვნული სიამაყის გრძნობის ამაღლება. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პრობლემები, რომლების თურქეთის საზღვრებს გარეთ არსებობენ, ხალხში ახლა უკვე განიხილება როგორც თურქეთის საკუთარი ეროვნული ინტერესების ზონა. ასევე გასათვალისწინებელია თურქების ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებანი, როდესაც მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, გამოირჩევიან უზომოდ დიდი პატრიოტიზმით, მათ აზროვნებაში ღრმად არის ჩაბეჭდილი თავის ქვეყნის დიდების იდეა. თავის დროზე, როდესაც აჰმეთ დავუთოღლუ ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მან პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ „ამიერიდან თურქეთი უკვე სათავეში უნდა ჩაუდგეს ახლო აღმოსავლეთში ცვლილებათა ყოველ მოძრაობას. ჩვენ დავრჩებით ამ დაწყებულ ქარიშხალში ტალღის ქეჩოზე. ეს ახალი ახლო აღმოსავლეთია და ჩვენ უნდა ვიყოთ იქ პატრონები, ლიდერები, მსახურები, მიუხედავად იმისა, რას იტყვიან სხვები, ახალი ლიდერი და ორატორი იქნება თურქეთი“.

2020 წლის ივლისის ბოლოს, პრეზიდენტი ერდოღანი გამოვიდა მთავრობის სხდომაზე, სადაც განსაზღვრა თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი ამოცანები უახლოეს მომავალში. მოგვიანებით მისი მოხსენება ცალკე მონოგრაფიად გამოიცა. ერდოღანმა განსაზღვრა თურქეთის ფუნქციები, როგორც „დამონებული ხალხის დამცველი და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი“, ამასთანავე გამოყო ისეთი

ქვეყნები, როგორებიცაა სირია, ლიბია და მიანმა, სადაც თურქეთი წესრიგს დაამყარებს. თურქეთის პრეზიდენტმა ასევე გამოთქვა ერაყის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და ორი ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვა.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს თურქეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მკვეთრად გააქტიურდა, გამოირჩევა უფრო აგრესიული და მებრძოლი ხასიათით. თურქეთმა, „ნეოოსმანიზმის“ პროექტის ფარგლებში მონიშნა თავისი ეროვნული ინტერესების ზონა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, იმ ქვეყნებში რომლებიც ადრე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ითვლებოდნენ. რეგიონში უკვე მოქმედებენ თურქეთის სამხედრო ბაზები ყატარსა და სომალიში, გრძელდება სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობა სუდანში. თურქეთის სამხედრო შენაერთები აქტიურად მონაწილეობენ ლიბიის სამოქალაქო ომში, სადაც მიზნად აქვთ დასახული შექმნან ბაზები საკუთარი სამხედრო დაჯგუფებებისთვის და თავისი გავლენა გაზარდონ, როგორც ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში, ასევე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. თურქეთის სამხედრო ბაზები ყატარში, სომალიში, სუდანში და შესაძლოა ლიბიაშიც, მნიშვნელოვნად გაზრდიან თურქეთის პოლიტიკურ გავლენას მთელი რეგიონის ფარგლებში. თურქეთი, ასევე აქტიურ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობს სირიაში („ზეთისხილის რტო“ და „მშვიდობის წყარო“), ერაყში ქურთთა შეაიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ. ყარაბაღის მეორე ომში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის მხარეს, რითაც გამოხატა კავკასიის რეგიონში თავისი აქტიური მოქმედებების „უფლება“. გასაგებია, რომ თურქეთი იწყებს აქტიურ მონაწილეობას იმ ტრადიციულ რეგიონებში, სადაც სხვა გლობალურ მოთამაშეთა გავლენა ვრცელდება. ჩვენ ადრეც ვისაუბრეთ თურქეთის მხრიდან აზერბაიჯანის სამხედრო სფეროში დახმარების სახით ჩატარებული სამხედრო კადრების სწავლება-მომზადებისა და მისი არმიის ახალი ტექნიკით გადაიარაღების პროცედურებზე. 2019 წლის ზაფხულის ბოლოს თურქულ-აზერბაიჯანული ერთობლივი წვრთნების შემდეგ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქი ინსტრუქტორებისა და მრჩეველთა დიდი ჯგუფი დარჩა. შემდეგ წელს თურქეთმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი რაოდენობის სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა შემოიყვანა, ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში სამხედრო მოქმედებათა რეალიზაციის მიზნით. თურქეთის საგარეო უწყებამ სწორად შეაფასა, რუსეთის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები იმ მომენტში დასავლეთის მიმართულებით (უკრაინა, ბელარუსი, ევროპული ენერგეტიკული პროექტები, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“) იყო მიქცეული და ყარაბაღის კონფლიქტისთვის სერიოზულად ვერ მოიცლიდა. ამიტომ, აზერბაიჯანის გამარჯვება ყარაბაღის კონფლიქტში, შეიძლება განვიხილოთ, როგორც თურქეთის გავლენის ზრდა კავკასიის რეგიონში და ნათელი მესიჯი ისლამური სამყაროსთვის. აღნიშნული ფაქტი, არსებითად აშკარას ხდის, რომ თურქეთი ხდება ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე სამხრეთ კავკასიაში და რუსეთმა უნდა გაითვალისწინოს (ან შეეგუოს) აღნიშნული რეალობა თავის პოლიტიკაში მოცემული მიმართულებით. პრეზიდენტ ერდოღანის წარმატება იმ კარგად გათვლილი მრავალწლიანი საგარეო პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ატარებდა თურქეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის რეპუბლიკებში კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. თურქეთის საგარეოპოლიტიკური ავტორიტეტის ზრდაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქვეყანას მთელ მსოფლიოში დიპლომატიური მისიების და წარმომადგენლობების საკმაოდ გაფართოებული ქსელი გააჩნია და უკანასკნელი ოციოდე წლის განმავლობაში (2003 წლიდან) თურქეთმა გახსნა 83 ახალი დიპლომატიური წარმომადგენლობა. ქვეყანას, თუ 2003 წელს საზღვარგარეთ გახნილი ჰქონდა 163 დიპლომატიური მისია, 2020 წლისთვის მათმა რიცხვმა 246-ს მიაღწია.

მეტად თვალში საცემია აფრიკის კონტინენტზე გახსნილი მისიების სიმრავლე: ოციოდე წლის წინ არსებული 12 საელჩოდან დღეისათვის 45 საელჩო მოქმედებს, რაც თურქეთის დიდ ინტერესზე მიუთითებს ამ კონტინენტის მიმართ *(აფრიკის ქვეყნებიდან 26-ში ისლამი სახელმწიფო ჰელიგიაა, 7 ქვეყანაში კი, ისლამის მიმდევარია მოსახლეობის 20%-ზე მეტი).* თურქეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკის დევიზია უკვე შემუშავებული კონცეფცია „ველზე და მაგიდასთან - ძლიერი თურქეთი", ე.ი. ძირითადი დასაყრდენია ძალა, როგორც დიპლომატიური დონის მოლაპარაკებებზე, ასევე კონფლიქტების დროს. თურქეთში, ადრე თუ „კაბინეტურ დიპლომატიისკენ" იხრებოდნენ, XXI საუკუნის დასაწყისიდან უკვე სიტუაცია შეიცვალა და თურქეთმა დიპლომატიური მეთოდების გამყარება ძალისმიერი მოქმედებებით ჩაანაცვლა. საზღვარგარეთ მისიებში თურქი დიპლომატები მეტად აქტიურად მუშაობენ, ახლო კავშირებს ამყარებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელთაც თურქეთთან თუნდაც რაიმე კავშირები აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ძალზე აქტიური, დამაჯერებელი რიტორიკით გაჯერებული და მომენტებში აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებით, თურქეთმა არაბულ სამყაროში შესძლო მოწინააღმეგეები გაეჩინა. დღეისათვის თურქეთს, არასახარბიელო და საკმაოდ რთული ურთიერთობები აქვს რეგიონის ლიდერი ქვეყნების, კერძოდ საუდის არაბეთის, ეგვიპტის და გაერთიანებული არაბული საემიროების ლიდერებთან. აღნიშნული სახელმწიფოები არ მიესალმებიან „ნეოოსმანიზმის" იდეოლოგიას და ოსმალეთის იმპერიის სახელის ხშირ-ხშირად ხსენებას. არაბული ნახევარკუნძულის ქვეყნებს, იგივე სპარსეთის ყურის მონარქიებს, აშფოთებთ თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნა რეგიონში. საუდის არაბეთმა, რომელიც ბოლო ხანს თურქეთის ძირითად მოწინააღმდეგედ იქცა არაბულ სამყაროში ლიდერობისთვის ბრძოლაში, წამოაყენა წინადადება შეიქმნას ანტითურქული ბლოკი წითელი ზღვისა და ადენის ყურის სახელმწიფოთა მონაწილეობით. არაბული ქვეყნების უმრავლესობამ მოიწონა ახალი ალიანსის შექმნა და მოილაპარაკეს „საერთო სტრუქტურის შექმნაზე". აღნიშნული ერთობლივი ქმედების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარება და ერთიანი ეკონომიკური პროექტების განხორციელება. ამას გარდა, 2019-2020 წლების მანძილზე საუდის არაბეთის, გაერთიანებული ემირატების, ეგვიპტისა და ისრაელის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ჩაატარეს მთელი რიგი საიდუმლო მოლაპარაკებები, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მხარი დაუჭირონ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, თურქეთის აგრესიული გეგმების საპირისპიროდ. ამავე დროს ფაქტია, რომ სწორედ თურქეთი გამოდის საუდის არაბეთის რეგიონული ამბიციების შემაკავებელი ფაქტორის როლში, ასევე ეგვიპტის და სხვა რეგიონების ქვეყნების წინააღმდეგ. საუდის არაბეთის აქტიურო ქმედებები რეგიონში, მთლიანად ნიშნავს, რომ საუდის არაბეთის ხელისუფლებამ დაიწყო რეგიონული ანტითურქული კავშირების შექმნა, რაც მოასწავებს, რომ მომავალში გამძაფრდება თურქეთსა და საუდის არაბეთს შორის ბრძოლა, ახლო აღმოსავლეთსა და ისლამურ სამყაროში დომინირებისთვის. თურქეთის აღმავალი გავლენის საპირისპიროდ, საუდის არაბეთის მთავრობამ მთელი რიგი აკრძალვები დააწესა თურქეთის ბიზნესის შესაკავებლად: პირველ რიგში, სრული აკრძალვა თურქული წარმოების საქონლის შესყიდვაზე; მეორე, თურქული სამშენებლო კომპანიების სამუშაოების შეზღუდვა. მაგალითად, საუდის არბეთის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელმა აჰმად ალ-აჯლანმა აღნიშნა, რომ ყოველივე თურქულის ბოიკოტი, იქნება ეს იმპორტი, ინვესტიცია ან ტურიზმი, ყოველი საუდიტის -

ვაჭარი და მომხმარებელი - მოვალეობად ითვლება, თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან ჩვენი ხელმძღვანელობის, ჩვენი ქვეყნის და ჩვენი მოქალაქეების მიმართ მტრული დამოკიდებულების საპასუხოდ. ყოველივე ამან ის შედეგი გამოიღო, რომ თურქეთის ექსპორტი საუდის არაბეთში შემცირდა: 2015 წლის $12,7 მლრდ-დან, 2019 წლის $9,4 მლრდ-მდე. თურქეთის წინააღმდეგ არაბული სამყაროს მხრიდან არაოფიციალურ ეკონომიკურ სანქციებს მხარი დაუჭირა მაროკომაც. 2020 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში მაროკოში მიღებულ იქნა შეზღუდვები თურქეთში წარმოებულ პროდუქციაზე და გაზრდილ იქნა თურქული საქონლის იმპორტზე გადასახადი 90%-ით. ამავე დროს, არაბულ სამყაროსთან გაჩაღებული ეკონომიკური ომი არ უშლის ხელს თურქეთს, აფრიკის ქვეყნებთან თანმიმდევრულად განახორციელოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული კავშირების სტრატეგიული გაფართოვების პროცესი. თურქეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში აღნიშნულია, რომ „აფრიკის კონტინენტს განსაკუთრებული მნიშნელობა გააჩნია თურქეთის გეოგრაფიული გავლენის გაღრმავების თვალსაზრისით საერთაშორისო პოლიტიკასა და ვაჭრობაზე“. XXI საუკუნის მეორე ათწლეულში თურქეთი გეგმიურად წყვეტს თავისი ინტერესების გავრცელების საკითხებს რეგიონში და ხშირად სარგებლობს აფრიკელთა ელიტარული წრეების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით კონტინენტის მრავალ ქვეყანაში. გაიზარდა თურქული საქონლის ექსპორტი აფრიკის ქვეყნებში, წარმატებულად მოქმედებენ ჰუმანიტარული პროექტები, რომელთაც ახორციელებენ თურქული სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები, ასევე აფრიკის ბევრ ქვეყანაში აქტიურად მიდის „ზომიერი ისლამის“ კონცეფციის რეალიზება. ჯერ კიდევ 2010 წელს, თურქულ მასმედიაში გამოქვეყნდა რეჯებ ერდოღანის სტატია „სტრატეგია აფრიკის მიმართ“, რომელშიც მან დაასაბუთა აფრიკის სახელმწიფოებთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარების მნიშვნელობა და სადაც დიდი ყურადღებაა მიქცეული თურქეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურების აუცილებლობაზე აფრიკის ქვეყნების მიმართულებით. დღეისათვის პრეზიდენტმა ერდოღანმა დასახა ამოცანები, რომ აუცილებელია აფრიკის ბაზარზე დამკვიდრება, რეგიონის ძირითად სახელმწიფოებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მიღწევა ენერგეტიკის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და სხვა სფეროებში. ერდოღანი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ აუცილებელია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები აფრიკულ ქვეყნებში თურქული ბიზნესის მყარი განვითარებისთვის და ამგვარად, შეიქმნას თურქეთის პოზიციების განმტკიცების პრევენცია.

თურქეთის საგარეოპოლიტიკური კურსი თანდათან უფრო მეტ მრავალფეროვნებასა და ახალი ტენდენციების მიდევნებას მოითხოვს თავისი ეროვნული ინტერესების განხორციელების გზაზე და, ვინაიდან იგი ერთდროულად უფრო ღრმად იჭრება რამდენიმე რეგიონის საქმიანობაში: ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ხმელთაშუა ზღვისპირეთის, შავი ზღვისპირეთის, კასპიის ზღვისპირეთის, ბალკანეთის, სამხრეთ კავკასიის, აზიის და ა.შ., მით უფრო შესამჩნევი ხდება აღნიშნული ამბიციების განხორციელების სირთულეები. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეკონომიკური სიტუაცია, ადამიანური კაპიტალი, ტექნოლოგიური განვითარებოის შესაძლებლობები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რამდენად მისცემს საშუალებას თურქეთს, რომ ასეთი სერიოზული საგაროპოლიტიკური ამბიციების სრული რეალიზაცია მოახდინოს, თანაც, გაატაროს აქტიური საგარეო პოლიტიკა და მიაღწიოს საგარეოპოლიტიკური მოთხოვნილებების წარმატებულ შედეგებს ერთდროულად რამდენიმე რეგიონში. ამ შემთხვევაში თურქეთის საგარეო პოლიტიკის სერიოზულ დრაივერად გვევლინება მისი

იდეოლოგიური ფაქტორი, იდეურ-ფსიქოლოგიურად თურქეთი დამუხტულია, რომ დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიოში.

უკანასკნელ წლებში თურქეთის პრეზიდენტის რეჯებ თაიფ ერდოღანის მიერ დაანონსებული საგარეოპოლიტიკური კურსი, სულ უფრო მეტად აფიქრებს მეზობლებსა და მოკავშირეებს. ფაქტიურად ყველა რეგიონულ კონფლიქტში, სადაც თურქეთი ენერგიულად და აგრესიულად ერთვება, პრეზიდენტის მხრიდან ერთნაირი რიტორიკა ისმის: იმ ხალხის დაცვის აუცილებლობაზე, რომელიც მისთვის ახლობელია სისხლით, ხორცით, რწმენით, ისტორიით, კულტურით, ადათ-წესებით და ეთნიკური წარმოშობით. პრეზიდენტის როგორც საგარეო, ისევე საშინაო პოლიტიკის წარმოების დღის წესრიგში ისლამურმა ფაქტორმა ძირითადი ადგილი დაიკავა. ერდოღანი ყველა საჯარო გამოსვლაში ხაზს უსვამს ისლამის გადამწყვეტ მნიშვნელობას, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული გეოპოლიტიკური პრიორიტეტების განმტკიცების საქმეში. თურქეთის ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში და მომავალში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების თანავარსკვლავედში მისთვის შესაფერისი ღირსეული ადგილის დაკავების პროცესში, თურქეთმა მყარად უნდა განიმტკიცოს პოზიციები ისლამურ სამყაროში. ერდოღანის მიერ დასახული საგარეოპოლიტიკური კურსის შემდგომი გაღრმავების და გააქტიურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, ისლამური სამყაროს ლიდერის როლში მოვლენა გახლავთ. ერდოღანმა ამ მიზნისთვის კიდევ ერთი „ისტორიული“ ნაბიჯი გადადგა, რასაც მსოფლიო საზოგადოებაში სერიოზული დისკურსი მოჰყვა.

აია-სოფია

2020 წლის 24 ივლისს ბიზანტიური ისტორიული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლის კედლებში კვლავ აჟღერდა პარასკევის ნამაზი. სტამბოლის აია-სოფიას ტაძარი კვლავ მეჩეთად გადაკეთდა. ეს მოვლენა, წინა ლექციებზე გავაშუქეთ, მაგრამ ახლა მის პოლიტიკურ და რელიგიურ მნიშვნელობაზე შევჩერდეთ. თურქეთის პრეზიდენტმა, აია-სოფიას მეჩეთად ამუშავების შესახებ თავისი გადაწყვეტილება, გაამართლა ძეგლის ისტორიული დანიშნულების აღდგენის აუცილებლობით. ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, 1453 წლის 29 მაისს აია-სოფიას

მართლმადიდებლური ტაძარი ოფიციალურად სულტან მეჰმედ II ფათიჰის *(დამპყრობლის)* საკუთრებაში გადავიდა და ახლა თურქეთის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ კონსტანტინოპოლის დამპყრობმა სულტანმა აია-სოფიას ტაძარი იმ „ღვთის წყალობად“ აღიარა, რომელიც მეჩეთად მოემსახურებოდა ყველა მუსლიმს. აია-სოფიას მეჩეთად ტრანსფორმირება, ერდოღანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯია, რითაც ერდოღანმა მსოფლიოს დაანახა, რომ თურქეთი დამოუკიდებელი, სუვერენული და თავისუფალი გადაწყვეტილებების მიმღები ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია მსოფლიო ისტორიული ძეგლების ტრადიციული და რელიგიური აღმსარებლობითი კრიტერიუმები დაარღვიოს და ვერავინ მიუთითებს, რა გზით იაროს. თურქეთი კიდევ ერთხელ უგზავნის მესიჯს მსოფლიო საზოგადოებას, რომ მის მიერ არჩეული საგარეოპოლიტიკური კურსი თურქეთის წინამორბედის, ოსმალეთის იმპერიის ძლიერებისა და დიდების გამოძახილია და აია-სოფიას მეჩეთის ამოქმედებაც, დღევანდელი თურქეთის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს. მეჩეთის გახსნის თარიღი, 24 ივლისიც ბევრის მთქმელია, ვინაიდან იგი სიმბოლურად ემთხვევა 1923 წლის 24 ივლისის ლოზანის კონგრესის დასრულების თარიღს, სადაც საერთაშორისო კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კრიტიკა, ბევრჯერ გაუჟღერებია ერდოღანს საჯაროდ და მისი პირობების გადახედვისკენ მოუწოდებია დიპლომატიური, სამართლებრივი და ისტორიული საზოგადოებისათვის. ერდოღანი დღესაც მიიჩნევს, რომ ლოზანის კონგრესზე თურქეთისთვის შეუფერებელი და მიუღებელი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, რაზეც დღეს თურქეთის მთავრობას პრეტენზია აქვს მის გამოსწორებაზე, კერძოდ კი, კონგრესის მიერ ეგეოსის ზღვის რიგი კუნძულების საბერძნეთისთვის მიკუთვნებას, იგი არალეგიტიმურად მიიჩნევს. ერდოღანმა აია-სოფიას მეჩეთის პარასკევის ნამაზზე სიტყვით წარმოთქმისას აღნიშნა, რომ „აია-სოფიას მეჩეთის ფუნქციით აღდგენა, მთელი მსოფლიოს მუსლიმთა ნების გამოხატულებაა“. ხოლო მეორე დღეს განაცხადა, რომ აია-სოფიას სტატუსის შეცვლა „ დიდ თურქეთის შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯია“. ერდოღანმა აია-სოფიას მეჩეთად მოქცევა არ იკმარა და ისრაელსაც გადაწვდა, როდესაც განაცხადა, რომ „აია-სოფიას აღორძინება, ალ-აქსას განთავისუფლების წინაპირობაა“. ერდოღანის ამ უკანასკნელი განცხადების მთავარი აზრი, პალესტინის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა, რასაც მოჰყვა არაბული სამყაროს პოზიტიური რეაქცია, ხოლო იერუშალაიმის მეჩეთის ალ-აქსას იმამმა ექრიმ საბრიმ მიულოცა თურქეთს და მთელ დანარჩენ მუსლიმურ საზგადოებას: „აია-სოფია კვლავ მეჩეთია, იმიტომ რომ იგი ყველა მუსლიმს ეკუთვნის“. ერდოღანს ამ დიდი მოვლენის აღსანიშნავად მხარდაჭერა გამოუცხადეს საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებად აღიარებულმა ორგანიზაციებმა „ძმები მუსლიმების“ და „ჰამას“-ის მოძრაობამ. პირველების მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ერდოღანისთვის, რომელნიც სერიოზულ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენენ ეგვიპტის პრეზიდენტის აბდელ ფათაჰ ას-სისისთვის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანს თავისი გადაწყვეტილების განხორციელების შემდეგ, ისლამური სამყაროს უმრავლესობამ მხარდაჭერა გამოუცხადა *(მსოფლიო მუსლიმთა დაახლოებით 85% სუნიტი-მუსლიმია).*

დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა 2021 წლის 12 თებერვალს თურქეთის სახელმწიფო ტელეარხის TGRT-ის მიერ გასულ ინფორმაციას, 2050 წლის პერიოდის თურქეთის სახელმწიფოსა და მისი გავლენის სფეროების რუკას. მართალია, სავარაუდო რუკა მომზადებულია ამერიკული კერძო სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია *(მას ასევე უწოდებენ „ჩხიკოვან*

CIA- ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს) STRATFOR-ის ხემძღვანელის ჯორჯ ფრიდმანის მიერ 2009 წელს გამოცემულ წიგნში „მომავალი 100 წელი“ (The Next 100 Years), მაგრამ თურქულმა ტელეარხმა, რომლის ტრანსლირება ყველა თურქულენოვან და თურქეთის მეზობელ ქვეყნებში მიდის, ძალზე დიდი ენთუზიაზმით და საზეიმო ტონით ამცნო მსოფლიოს სასიხარულო ამბავი, რომ 2050 წელს თურქეთი უზარმაზარ ტერიტორიებზე გავლენის პატრონი და მმართველი ძალა იქნება. ზემოხსენებული წიგნის მთავარი დანიშნულებაა, მკითხველს მიაწოდოს XXI საუკუნის გეოპოლიტიკური პროგნოზი *(წიგნის ქვესათაური, სწორედ ამას ამტკიცებს „A FORECAST for the 21st CENTURY)* , რაც მხოლოდ კერძო გამომცემლის და ავტორის ნააზრევს ასახავს. ანალიტიკური კომპანიის STRATFOR-ის პროგნოზით, 2050 წლისთვის თურქული გავლენა გავრცელდება ახლო აღმოსავლეთზე, ეგვიპტეზე, ლიბიაზე, ერაყზე, სირიაზე, ლიბანზე, საუდის არაბეთზე, ომანზე, იემენზე, სპარსეთის ყურის ქვეყნებზე, კიპროსზე, საბერძნეთზე, საქართველოზე, სომხეთზე, აზერბაიჯანზე, ჩრდილოეთ აფრიკაზე, ბალკანეთზე, შუა აზიაზე, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე და რუსეთის სამხრეთ ნაწილზე. აღნიშნული სატელევიზიო გადაცემა, რომელშიც თურქი ექსპერტი რუკასთან საჩვენებელი ჯოხით ტელემაყურებელს ძალზე მკაფიოდ და დამაჯერებლად უხსნიდა, თუ რომელი რეგიონები იქნებიან 2050 წელს თურქეთის გავლენის სფეროში, ხოლო TGRT ტელეარხის მთელ ეკრანზე სათაურის სახით გარკვევით წერია: GÖLGE CIA'NİN 2050 TÜRKİYE HARİTASI *(ჩრდილოვანი ცსს-ს 2050 წლის თურქეთის რუკა)*. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებულ წიგნში მოცემული რუკა 203-ე გვერდზეა მოთავსებული, იქ თურქეთის გავლენის სფეროებზეა საუბარი (Turkish Sphere of Influence 2050) და არა, თურქეთის 2050 წლის რუკაზე!

2021 წლის იანვარში თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთმა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში თავისი თავდაცვითი პროექტების დაფინანსება 11-ჯერ გაზარდა. ერდოღანმა ასევე განაცხადა, რომ თურქეთი კონსულტაციებს არ გაივლის თავის საერთაშორისო პარტნიორებთან, თავისი ქვეყნის თავდაცვის სფეროში პოლიტიკის გატარების თაობაზე და არც სხვა ქვეყნებთან შეათანხმებს თურქეთის შიდა

სახელმწიფოებრივი წყობის საკითხებს.

რეჯებ თაიფ ერდოღანი ძალიან ბევრს მოღვაწეობს თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების აღმავლობისათვის და ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. მას გადაწყვეტილი აქვს ამ მიმართულებით თურქეთის რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟი მაღალ მწვერვალზე აიყვანოს. 2021 წლის თებერვალში თურქეთის პრეზიდენტმა ხმამაღლა განაცხადა, რომ ახლო მომავალში თურქეთი მსოფლიოში სანიმუშო ქვეყანა გახდება, როდესაც ახალ კონსტიტუციას მიიღებს. თურქეთის ხელისუფლების ლიდერები ხაზს უსვამენ, რომ თურქეთის კონსტიტუცია „მსოფლიოსთვის სამაგალითო იქნება და ჩვენ პიონერები ვიქნებით ამასთან დაკავშირებით“. მათი აზრით, ახალი კონსტიტუცია რედაქტირებულ იქნება ახალი მსოფლიო მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის შემუშავების პროცესი ინიცირებულია თვით პრეზიდენტ ერდოღანის მიერ, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ ეს პროცესი იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე და საზოგადოების ყველა ფენის აზრი იქნება გათვალისწინებული. წლის ბოლომდე ყველა პოლიტიკური ძალა ჩართულია თავისი კონსტიტუციური ინიციატივების წარდგენით, რომლებიც შემდეგ საზოგადოების განხილვის საგანი გახდება. ერდოღანის გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკა თავისი 100 წლის იუბილეს 2023 წელს უნდა შეხვდეს ახალი კონსტიტუციით. პოლიტიკური ოპოზიციის ძალები აკრიტიკებენ არსებულ კონსტიტუციას პრეზიდენტის ზედმეტად დიდი უფლებების გამო და ითხოვენ საპარლამენტო მმართველობის ფორმის დაბრუნებას. მაგრამ ერდოღანის განცხადებით, ახალმა კონსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს მმართველობის საპრეზიდენტო სისტემის განმტკიცება. მმართველი პარტია AKP და მისი მოკავშირე პარტია კოალიციაში MHP, მხარს უჭერენ ახალ კონსტიტუციაში პრეზიდენტის უფლებების გაზრდას, რაც მათი აზრით მოამზადებს ფუნდამენტურ საფუძვლებს, აღკვეთონ სამოქალაქო ხელისუფლების დამხობის შესაძლებლობა სამხედროების მიერ, რაც თურქეთის უახლეს ისტორიაში უკვე არაერთხელ მოხდა. პრეზიდენტმა ერდოღანმა, 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრალების მცდელობის კოზირი, კარგად გამოიყენა ქვეყანაში ახალი კონსტიტუციისა და პრეზიდენტის მმართველობის ძალაუფლების გაძლიერების დაკანონებისათვის. ახალი კონსტიტუცია, თურქეთს ლოგიკურად მიიყვანს ისეთ სახელმწიფო მოდელამდე, რომელიც შესძლებს სამუდამოდ დაასრულოს პუტჩისტური პრაქტიკა. ამასთან ერთად, არ იქნება გასაკვირი, თუ ახალი კონსტიტუციის საერთო სული მმართველი პარტიის AKP-ის სტრატეგიული მიზანდასახულობის შესაბამისი იქნება. პარტიის, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრაქტიკულად ყოველთვის მიმართავს ეროვნულ მეხსიერებას, იმ რელიგიურ და კულტურულ იდეალებს, რომელთა საფუძვლებზეც მათმა წინაპრებმა ოდესღაც მიაღწიეს საყოველთაოდ აღიარებულ ძლიერებას. სწორედ ეს იდეალები იქნენ გამოყენებულნი იმ იარაღად, რომლითაც ერდოღანის მმართველმა პარტიამ უნდა მიიყვანოს ხალხი 2023 წლის საყოველთაო არჩევნებამდე, რომლის შედეგადაც პარტია და პრეზიდენტი აპირებენ თურქეთი აქციონ ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლება გავლენა მოახდინოს მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაზე. ამას მოწმობს, რეჯებ თაიფ ერდოღანის 2021 წლის 27 მაისს დადებული პირობა, რომელიც მან თურქ ხალხს მისცა: „ახალი სამოქალაქო კონსტიტუციით ჩვენ ქვეყანას უმაღლეს ლიგაში გადავიყვანთ“. ექსპერტთა აზრით, მოსალოდნელია, რომ ახალი კონსტიტუციის მიღება თურქეთის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ საინტერესო მოვლენად ჩაითვალოს. უნდა ველოდოთ, რომ პირველი სამოქალაქო

კონსტიტუცია ამ ქვეყნის ისტორიაში, არა თუ განამტკიცებს მისი განვითარების გზას, არამედ შექმნის ისეთ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს თურქეთის გავლენის უწყვეტ ზრდას მსოფლიო სარბიელზე.

პრეზიდენტ ერდოღანის უკიდეგანო ფანტაზია და შემართება დიდი მასშტაბების პროექტებსაც გულისხმობს და ერთ-ერთი მათგანი, დიდი ხნის ისტორიული ჩანაფიქრის აღსრულებად შეიძლება იქცეს. საქმე ეხება სტამბოლის სანაოსნო არხის მშენებლობის პროექტს, რომლის სამშენელო სამუშაოები 2021 წლის 26 ივნისს ოფიციალურად დაიწყო. პრეზიდენტმა ერდოღანმა მონაწილეობა მიიღო მისი დაწყების საზეიმო ცერემონიაში.

სტამბოლის არხი, ეს არის ხელოვნური სანაოსნო არხი, რომელიც სტამბოლის ევროპულ ნაწილში შენდება და იგი ერთმანეთთან დააკავშირებს მარმარილოს და შავ ზღვებს. არხის გაყვანის იდეა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან არსებობდა და სხვადასხვა დროს ოსმალეთის სულტნებს: სულეიმან პირველს, მურად მესამეს, მაჰმუთ მეორეს ჰქონდათ მცდელობები სტამბოლში არხი გაეყვანათ, მაგრამ ყველა მათგანს თავისი მიზეზების გამო, პროექტი განუხორციელებელი დარჩათ.

2011 წლის აპრილში თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა სტამბოლის არხის მშენებლობის იდეა წამოაყენა. პროექტის თანახმად, სტამბოლის არხი უნდა აშენდეს ბოსფორის სრუტის განტვირთვის მიზნით, რომელშიც წელიწადში 50 ათასზე მეტი სხვადასხვა ზომის და წყალწყვის გემები გადიან. პროექტის მთავარი მიზანი, ბოსფორის სრუტის ტრაფიკის და იმ რისკებისა და საფრთხეების მინიმუმამდე შემცირება იყო, რომლებიც ხშირად ნავთობით დატვირთული ტანკერების გამო ხდებოდა. 56 ათასი გემიდან, რომლებიც ყოველწლიურად ბოსფორის სრუტით გადიან, 10 ათასი ტანკერია, რომელთაც გადააქვთ 145 მლნ ტონა ნედლი ნავთობი. სტამბოლის არხის სიგრძე 45 კმ. იქნება, სიღრმე 25 მ., სიგანე 100 მ. პროექტის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება $15-დან $25 მლრდ-მდე დაჯდება და მთლიანად ადგილობრივი წყაროების საშუალებით დაფინანსდება. წინასწარი მონაცემებით, ახალი არხის გამტარუნარიანობა დღეში 150-160 გემის გასვლას გულისხმობს. ეს მშენებლობა ერდოღანის მმართველობის წლებში ინიცირებული პროექტებიდან ყველაზე მასშტაბური იქნება. თვით ერდოღანმა, როდესაც 2011 წელს დააანონსა მომავალი მშენებლობა, მას „გიჟური პროექტი“ უწოდა.

2018 წლის 15 იანვარს დამტკიცდა სტამბოლის არხის მარშრუტი და თურქეთის ტრანსპორტის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ არხის მარშრუტი სტამბოლის დასავლეთით გაივლის წყალსაცავ საზლიდერეს, ქუჩუქჩექმეჯეს და დურუსუს ტბებს და გავა შავ ზღვასთან. პროექტის მშენებლობის დასრულება თავიდან დაგეგმილი იყო თურქეთის რესპუბლიკის 100 წლისთავისთვის, 2023 წელს. თუმცა, 2021 წლის 26 ივნისი მშენებლობის დაწყების დღედ გამოცხადდა, ხოლო მშენებლობა 6 წელს გაგრძელდება და 2027 წელს დასრულდება.

სტამბოლის არხის მშენებლობის წინააღმდეგ თურქეთის საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მრავალი უკმაყოფილო გამოჩნდა. ყველაზე მკაცრი პროტესტი გამოთქვეს თურქეთის ასზე მეტმა ყოფილმა ადმირალმა. სამხედრო პირები შიშობენ, რომ ეს მშენებლობა ქვეყნის სტრატეგიულ უსაფრთხოებას ემუქრება. აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ ასევე გამოდიან ეკოლოგები და სტამბოლის მერი ექრემ იმამოღლუ. თურქეთის მთავრობის მოხელეები ამტკიცებენ, რომ აღნიშნული არხის ერთ-ერთი მთავარი მიზანია - დაიცვან მსოფლიო ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც ბოსფორის ნაპირებზეა განთავსებული. თურქეთის ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ადილ ყარაისმაილოღლუ აღნიშნავს, რომ „ბოსფორზე ნაოსნობის

დონის შემცირებით, მინიმიზირებული იქნება ის რისკები, რომელიც მოაქვს სახიფათო ტვირთების გადაზიდვებს". მინისტრმა აქვე გაიხსენა, მსოფლიო სატრანსპორტო კრიზისი, რომელიც მარტში მოხდა სუეცის არხში, როდესაც კონტეინერმზიდი „ევერ გივენი" *(400 მ. სიგრძით და 220 ათასი ტონა ტვირთით)* სანაპირო ქვიშაში ჩაერჭო ცხვირით და დაახლოვებით ერთი კვირით გადაკეტა სეუცის არხში მოძრაობა *(მსოფლიო ვაჭრობის სისტემას დღე-ღამეში $9,6 მლრდ. ზარალი მიადგა)*. მინისტრმა აღნიშნა, რომ ბოსფორის სრუტის დუბლიორი არხის მშენებლობა აგვარიდებს მსგავს სიტუაციებს თურქეთში. თურქეთის ხელისუფლება ხშირად იმეორებს, რომ ბოსფორის სრუტის ექსპლუატაცია სულ უფრო სარისკო ხდება ტვირთზიდვების ზრდის გამო: უკანასკნელ 5 წელიწადში გემების რაოდენობა, როდესაც ზოგჯერ წელიწადში 42 ათასი იყო, შემდეგ უკვე 50 ათასსაც მიაღწია. ეს ძალიან დიდი ციფრი გახლდათ, ვინაიდან სამჯერ აღემატებოდა სუეცის არხში გამავალი გემების რაოდენობას და ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე პანამის არხში. სტამბოლის არხის მშენებლობის წინააღმდეგ, პირველ რიგში ეკოლოგები გამოდიან, რომელთა აზრითაც ეს მშენებლობა ემუქრება შავ და მარმარილოს ზღვებს. შავი ზღვის დონე 50 სმ-ით მაღალია ვიდრე მარმარილოს ზღვის და მათ შორის ბალანსს არეგულირებდა სხვადასხვა მიმართულების ზღვის დინებების სისტემა, რომელიც მოქმედებს ბოსფორის სრუტეში. სტამბოლის არხის აშენების შემთხვევაში, შავი ზღვა გამარჩხებას, ხოლო მარმარილოს ზღვა „კვდომას" დაიწყებს, შავი ზღვიდან შემოსული დაბინძურებული წყლისა და იქიდან დაძრული ცოცხალი ორგანიზმების დიდი ნაკადის გამო, რომლებიც შთანთქავენ ჟანგბადს. კრიტიკოსები მოელიან, რომ ამის შემდეგ სტამბოლში გავრცელდება გოგირდწყალბადის მდგრადი „სურნელება". ეკოლოგებს მეტად საგანგაშოდ მიაჩნიათ, რომ არხის ამოქმედების შედეგად, საშიშროება მოელის სტამბოლის წყლით მომარაგების სისტემას, რომელიც ძირითადად ივსება სტამბოლის გარეუბნების იმ ნაწილიდან, სადაც არხი შენდება. ზღვის მლაშე წყალით შეივსება საზლიდერეს კაშხალთან არსებული წყალსაცავი, რომელიც ამარაგებდა სტამბოლის დასავლეთ რაიონების წყალმომარაგების სისტემას. ამავე რაიონებში გამლაშების საშიშროება ემუქრებათ სასმელი წყლის სხვა წყაროებსაც, მათ შორის ტერკოსის ტბასაც, საიდანაც წყალს იღებდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. არხის მშენებლობის მოწინააღმდეგენი, გეოლოგებისა და სეისმოლოგების სახით, აცხადებენ რომ ქალაქში მიწისძვრის რისკი იმატებს. პროექტის ყველაზე აქტიურ კრიტიკოსად გვევლინება სტამბოლის მერი ექრემ იმამოღლუ, რომელიც არხის მშენებლობას სტამბოლის „ღალატს" უწოდებს მოქმედი პრეზიდენტის მხრიდან, რომელიც თავის დროზე თავად იყო თურქეთის უდიდესი ქალაქის მერი (1994-1998 წ.წ.). სოციოლიგიური გამოკითხვის შედეგად სტამბოლის მოსახლეობის 7,9% მხარს უჭერს არხის მშენებლობას, ხოლო 80,4% წინააღმდეგია. ზემოხსენებული 100 ყოფილი ადმირალის მიერ ხელმოწერილ კრიტიკულ წერილში აღნიშნულია, რომ ახალი არხი გეოპოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენს და ეჭვის ქვეშ აყენებს ფუნდამენტურ საერთაშორისო ხელშეკრულებას. მათი აზრით, არხი ემუქრება 1936 წელს მონტრიოში ხელმოწერილ კონვენციას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების სტატუსის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა თურქეთის სუვერენიტეტი ორივე სრუტეზე, რამაც საშუალება მისცა თურქეთს აღედგინა პირველი მსოფლიო ომის შედეგად ლიკვიდირებული საკუთარი სამხედრო-საზღვაო ნაგებობები. ამის სანაცვლოდ, თურქეთი უზრუნველყოფდა ყველა ქვეყნის კომერციული გემების თავისუფალ მიმოსვლას სრუტეებში. ომისა თუ მშვიდობის პერიოდში, შავი ზღვისპირა ქვეყნების გემების თავისუფალი მიმოსვლის, ხოლო არა შავი

ზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების შესვლის რეჟიმს სრუტეებში, შავ ზღვაში მათი ტონაჟის, ყოფნის ვადების განსაზღვრას და აკრძალვას, არეგულირებდა თურქეთი, სწორედ მონტრიოს საერთაშორისო კონვენციით დადგენილი პირობების მიხედვით. ამიტომ სტამბოლის არხის ამოქმედების შემდეგ, ისმება კითხვა - იმოქმედებს თუ არა მონტრიოს კონვენციის პირობები ახალ არხში გემების მიმოსვლის რეჟიმზე? აღნიშნულ კითხვაზე რეჯებ ერდოღანმა უარყოფითად უპასუხა, რომ ახალ არხზე არ იმოქმედებს მონტრიოს კონვენციის პირობები. გადამდგარი თურქი ადმირალების ვარაუდით, ერდოღანის თანამოაზრენი სერიოზულად განიხილავენ მონტრიოს კონვენციიდან გამოსვლის საკითხს, ახლანდელ მოქმედ სრუტეებსა და მომავალ სტამბოლის არხთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, საპროტესტო წერილის ხელმომწერი სამხედროების აზრით, სწორედ აღნიშნულმა კონვენციამ მისცა საშუალება თურქეთს მეორე მსოფლიო ომის წლებში ნეიტრალიტეტი დაეცვა. სტამბოლის არხის მშენებლობის საწინააღმდეგო წერილზე ხელმომწერმა ადმირალებმა, ასევე ხელისუფლებას მოუწოდეს ერთგულნი დარჩნენ იმ მოქმედი კონსტიტუციისა, რომელიც ერდოღანს სურს შეცვალოს. თურქეთის ხელისუფლებამ უკვე რეაგირება მოახდინა ადმირალების წერილზე და განაცხადა, რომ იგი ყველას, „გადატრიალებების პერიოდს“ აგონებს და ამ წერილის ავტორთა მიმართ გამოძიების დაწყება გამოაცხადა.

ერდოღანის ჩანაფიქრი და მომავალი პოლიტიკური სვლები, სახელმწიფო მოღვაწის კარგად გათვლილი ნაბიჯებია, რომელიც აღნიშნული რეგიონის გარშემო შექმნილი გეოპოლიტიკური სივრცის კარგად შესწავლისა და სტრატეგიული ანალიზის შედეგად ყალიბდება. 2021 წლის 14 ივნისს ბრიუსელში ნატოს მორიგი სამიტის ფარგლებში ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი და თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი. შეხვედრაზე ორი ქვეყნის პრეზიდენტმა განიხილა ავღანეთის პრობლემა, რომელიც ეხება ნატოს სამხედრო კონტინგენტის გაყვანას ავღანეთიდან 2021 წლის 31 აგვისტომდე. პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ავღანეთიდან ამერიკელი სამხედროების გასვლის შემდეგ, თურქული მხარე აიღებს მთავარ პასუხისმგებლობას ქაბულის აეროპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ამის შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა და თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა სატელეფონო საუბრებში განიხილეს ავღანეთში ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელების და თანამშრომლობის აუცილებლობა. ჰულუსი აქარმა დაამატა, რომ თურქეთის შემდგომი მოქმედებები ქაბულის აეროპორტის უსაფრთხოებისა და დიპლომატიური მისიების დაცვის საკითხებში დამოკიდებულია მოკავშირეთა მხარდაჭერაზე. ქაბულის აეროპორტის დაცვისა და ქაბულში დიპლომატიური მისიების მუშაობის გარანტიორად, ნატოს წევრი ქვეყნის თურქეთის კანდიდატურაზე შეჩერებას, წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი. 2021 წლის 7 მარტს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ავღანეთის ხელისუფლებას აცნობა, რომ ავღანეთიდან აშშ-ის ძალების გასვლის შემდეგ, სამშვიდობო მისიის შესრულება ქვეყანაში თურქეთს დაეკისრება. თურქეთიც მანამდე საქმის კურსში იყო და აშშ-თან შეთანხმების თანახმად, 24 აპრილს თურქეთს „სტამბოლის კონფერენციის“ სახელით უნდა ჩაეტარებინა მოლაპარაკებები ავღანეთის სამთავრობო ძალებსა და „ტალიბანის“ მოძრაობის წარმომადგენელთა დელეგაციებთან. მაგრამ „ტალიბანის“ ხელმძღვანელობამ მოლაპარაკებებზე უარი განაცხადა და დიალოგი არ შედგა. 2021 წლის 1 მაისიდან „ტალიბანმა“ წამოიწყო საბრძოლო მოქმედებები და ავღანეთის ტერიტორიების დაკავება. ამავე პერიოდში „ტალიბანის“

დელეგაციები თეირანსა და მოსკოვში ჩადიან და მოლაპარაკებებს მართავენ ავღანეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოჰამედ ჯავად ზარიფის ინიციატივით თეირანში მაგიდას მიუსხდნენ ავღანეთის სამთავრობო და „ტალიბანის“ დელეგაციები, სადაც ორივე მხარემ აღიარა, რომ პრობლემა ომით არ მოგვარდება და უნდა გააგრძელონ კონსულტაციები შეთანხმების მისაღწევად.

თურქეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დამკვიდრდეს ამ რეგიონში, სადაც თურქეთის ძალების მთავარი მისია იქნება ქაბულის საერთაშორისო აეროპორტის უსაფრთხოების დაცვა, რომელზეც დამოკიდებულია ავღანეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროების მუშაობა. აღნიშნული აეროპორტის მეშვეობით ხორციელდება ქვეყნის კავშირი გარე სამყაროსთან. ამას გარდა, აეროპორტისა და საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოება, აუცილებელი პირობაა ავღანეთში დიპლომატიური მისიების ნორმალურად მუშაობისთვის. თურქეთი, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა მონაწილეობდა ავღანეთის ომში, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ იბრძოდა „ტალიბანის“ მოძრაობა, რომელიც სუნიტური ისლამის ჰანაფიტური მაზჰაბის მიმდევარია, ეთნიკურად ძირითადად პუშტუნებისგან შედგება და მჭიდროდ არის დაკავშირებული პაკისტანთან. ამას გარდა, „ტალიბანის“ ოფისი განთავსებულია ყატარის დედაქალაქ დოჰაში, ხოლო ყატარი თურქეთის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე ქვეყანაა. სწორედ ასეთ პირობებში აპირებს თურქეთი ავღანეთში სამხედრო მისიის შესრულებას, რაც საკმაოდ პრობლემურად ჩანს თვით პოლიტიკური გარემოებების გამო, თავი რომ დავანებოთ სამხედრო მიზეზებს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ტალიბების ლიდერებს ნათლად აქვთ გაცხადებული, რომ „ავღანეთში უცხოური ძალების ყოფნა, ნებისმიერი ქვეყნის სახელით მოქმედების მიუხედავად, ითვლება აგრესიად და უზურპატორებად ჩაითვლებიან იმ ფეტვის საფუძველზე, რომელიც გაცემულია ავღანეთის ათასხუთასი თეოლოგი-მეცნიერის მიერ.“ ისინი ადასტურებენ, რომ ავღანეთიდან უცხოური ყველა ჯარების გაყვანის გადაწყვეტილება „მიღებულია „დოჰას შეთანხმების“ საფუძველზე, რომელიც რატიფიცირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ და აღიარებულია სამშვიდობო შეთანხმებად“. 2020 წლის 29 თებერვალს ყატარის დედაქალაქ დოჰაში აშშ-ის და ავღანური მოძრაობა „ტალიბანს“ შორის ხელი მოეწერა „ავღანეთში მშვიდობის აღდგენის შეთანხმებას“, რომელიც ითვალისწინებს ნატოს ჯარების გაყვანას ავღანეთიდან 14 თვის განმავლობაში, „ტალიბანის“ კონტროლირებად ტერიტორიაზე „ალ-ყაიდას“ მოღვაწეობის აკრძალვას და მოლაპარაკებების დაწყებას ტალიბებსა და ავღანეთის მთავრობას შორის. ტალიბების ხელმძღვანელთა აზრით „თურქეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილება ითვლება დაუფიქრებელ ნაბიჯად და ეწინააღმდეგება ჩვენი ერის სუვერენიტეტს, რეგიონულ უსაფრთხოებას და ეროვნულ ინტერესებს“.

რა ძალას წარმოადგენს „ტალიბანი“? *ისლამური ტერორისტული მოძრაობა, ანუ ტალიბები შეიქმნა 1994 წელს ავღანელი პუშტუნების მიერ მოსწავლე ახალგაზრდობის წრეში, სახელი მოდის არაბული „ტალიბი“-დან რაც ნიშნავს „მოსწავლეს, სტუდენტს“. მოძრაობას „ტალიბანი“ ეწოდა სპარსული მრავლობითი რიცხვის დაბოლოებიდან „ან“, ანუ „მოსწავლეები“. ტალიბებმა 1995 წელს დაიწყეს შეიარაღებული მოქმედებები, დაიკავეს ჰელმენდი და ავღანეთის ტერიტორიის მესამედი. 1996 წლის 27 სექტემბერს აიღეს ქაბული და შექმნეს „ავღანეთის ისლამური ემირატი“. ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე დაამყარეს ისლამური შარიათის კანონი. მისცეს თავშესაფარი „ალ-ყაიდას“ მეთაურს, ტერორისტ უსამა ბინ ლადენს, დაიწყეს ბუდისტური არქიტექტურის ძეგლების განადგურება, მაგალითად ბამიანის ბუდას დიდებული ქანდაკება, რითაც დაიმსახურეს მსოფლიო*

საზოგადოების ზიზღი. 2001 წლის 9/11 ტერაქტების საპასუხოდ, აშშ-ის მეთაურობით კოალიციურმა ძალებმა ავღანეთის ისლამური ემირატის ძალები დაამარცხეს და 2001 წელს ტალიბების ხელიმი დამხობილ იქნა. ამის შემდეგ, 20 წლის მანძილზე ტალიბების ნაწილმა პაკისტანს შეაფარა თავი, ხოლო მეორე ნაწილი პარტიზანულ და იატაკქვეშეთის ბრძოლას აწარმოებდა ავღანეთის ტერიტორიაზე. 2001 წლიდან პაკისტანის პროვინცია ვაზირისტანი ტალიბების კონცენტრაციის ადგილი ხდება მუდა მუჰამად ომარის მეთაურობით. 2004 წლიდან პაკისტანის ტალიბებმა სრული კონტროლი დაამყარეს რეგიონში და 2006 წლის 14 თებერვალს „ვაზირისტანის ისლამური ემირატის“ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ტალიბები გამოირჩეოდნენ აგრესიული ექსტრემიზმით და 2008 წლიდან მოყოლებული წელიწადში რამდენიმე გახმაურებულ ტერაქტებს აწყობდნენ პაკისტანისა და ავღანეთის ტერიტორიებზე. 2017 წლის აგვისტოში „ტალიბანის“ მეთაურობამ მიმართა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, ავღანეთიდან აშშ-ის სამხედრო ძალების გაყვანის მოთხოვნით. 2018 წლის ივნისში „ტალიბანის“ მოჯაჰედებმა დაიწყეს ბრძოლა ავღანეთის სამთავრობო ძალების წინააღმდეგ. 19 აგვისტოს ავღანეთის პრეზიდენტმა აშრაფ ღანიმ ტალიბებთან დაზავება ითხოვა, მაგრამ ამაოდ. საქმეში ჩუსეთიც იყო ჩართული, რასაც მოწმობს 2019 წლის მაისის ბოლოს გამართული დაზავების მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი „ტალიბანის“ წარმომადგენლებისა და ჩუსეთის ოფიციალური პირების მონაწილეობით. ჩუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა თვით სერგეი ლავროვი, ხოლო ტალიბების 14-კაციან დელეგაციას მეთაურობდა თვით მუდა აბდულ ღანი ბარადარი.

ამერიკელების გამოცხადებული ავღანეთიდან ჯარების საბოლოო გაყვანის პროცესის დაწყებას, ტალიბების მხრიდან სწრაფი რეაგირება მოჰყვა და 2021 წლის 1 მაისს „ტალიბანის“ მოძრაობამ აქტიური სამხედრო ოპერაცია წამოიწყო ავღანეთის სამთავრობო ძალების წინააღმდეგ. ივნისის ბოლოს ტალიბები უკვე ქაბულის სიახლოვეს გამოჩნდნენ, როდესაც ბრძოლებით შეიჭრნენ ფარვანის პროვინციაში *(ქაბულის ჩრდილოეთით)*. 2 ივლისს ნატოს უკანასკნელმა ჯარისკაცებმა დატოვეს ავიაბაზა ბაგრამი, რომელიც ქაბულიდან 47 კმ-ის ჩრდილოეთით, აშშ-ის და კოალიციის ძალების ყველაზე მსხვილ ავიაბაზას წარმოადგენდა ავღანეთში.

2021 წლის 4 ივლისს ტალიბებმა თავის დროშა აღმართეს პაკისტანის საზღვარზე. 12 ივლისის საღამოს ტალიბების განცხადებით, მათ დაკავებული ჰქონდათ ავღანეთის ტერიტორიის 85%. 22 ივლისს ტალიბებმა „აფღანისტანის ისლამური ემირატის“ სახელით *(ასე ეწოდებოდა ავღანეთს ტალიბების მმართველობის 1996-2001 წლებში და მას დიპლომატიურად ცნობდა 3 ქვეყანა: პაკისტანი, გაერთიანებული არაბული ემირატები და საუდის არაბეთი)* განაცხადეს, რომ ისინი აკონტროლებენ ავღანეთის სახელმწიფო საზღვრების 90%-ს. 25 ივლისს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელმა გენერალმა კენეტ მაკენზიმ ქაბულში ვიზიტისას განაცხადა, რომ ტალიბები თუ განაგრძობენ თავის შეტევებს, აშშ დაუყოვნებლივ განაახლებს საჰაერო დარტყმებს. ამასობაში, მიუხედავად ტალიბების მკაცრი გაფრთხილებებისა, თურქეთი აპირებს 31 აგვისტოს შემდეგ „თავისი პირობების“ თანახმად, დარჩეს ქაბულის საერთაშორისო აეროპორტის დაცვის გარანტად. ტალიბები ძალზე აგრესიულად არიან განწყობილნი თურქეთის პრეზიდენტისა და მთავრობის სხვა წარმომადგენლების რადიკალური განცხადებების მიმართ და აფრთხილებენ ყველას, რომ ავღანეთის დღევანდელ ხელისუფლებასთან თვითონ მოაგვარებენ თავის საშინაო საქმეებს. თურქეთის სამხედრო ძალებსა და „ტალიბანის“ მოძრაობის მებრძოლებს შორის შეაიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში, აშშ-სა და ნატოს სამხედრო-ტექნიკური დახმარების კვალად, მოსალოდნელია განვითარდეს ისეთი მოვლენები, რომელმაც შეიძლება მოიტანოს ავღანეთის ტერიტორიის გადანაწილება

ახლანდელ მთავრობასა და „აფღანისტანის ისლამურ ემირატს“ შორის.

თურქეთის თავდაცვის მინისტრმა ჰულუსი აქარმა 13 ივლისს ჟურნალისტებს გააცნო ავღანური გეგმები: „ჩვენი მიზანია შევიტანოთ საკუთარი წვლილი ჩვენი ავღანელი ძმების უსაფრთხოების, მშვიდობისა და კეთილდღეობის დამყარების საქმეში“. ჰულუსი აქარმა აღნიშნა, რომ თურქეთი უკვე 20 წელია ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში თავისი ავღანელი პარტნიორების ინტერესებისთვის: არავითარი საბრძოლო მისიები, მხოლოდ კონსულტაციები, ტექნიკური მომსახურება და რემონტი, დედაქალაქის აეროპორტის ექსპლუატაციის ჩათვლით. საჰაერო ჭიშკარი ნორმალურად თუ არ იმუშავებს, ავღანეთი იქცევა იზოლირებულ სახელმწიფოდ, გაუჩნდება სერიოზული პრობლემები საერთაშორისო ურთიერთობებში. ტალიბების გაზრდილი გავლენა პრობლემას არ წარმოადგენს, თურქეთის მხარე ყურადღებით ადევნებს თვალს ავღანეთის მოვლენებს და ტაჯიკეთისა და უზბეკეთის საზღვრების უსაფრთხოების მდგომარეობას. ავღანეთში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, გრძელდება „მეტად კონსტრუქციული და პოზიტიური მოლაპარაკებები“ თურქეთსა და აშშ-ს შორის - სამხედრო უწყებებისა და ტექნიკური სპეციალისტების ხაზით, ავღანეთის მთავრობის, ნატოს და ევროკავშირის მონაწილეობით. ჰულუსი აქარი, როგორც ჩანს გვერდს უვლის აშშ-სა და „ტალიბანს“ შორის დადებულ „დოჰას შეთანხმებას“. თავისთავად გასაგებია, რომ თუ თურქეთი ადრე არ მონაწილეობდა ალიანსის საბრძოლო ოპერაციებში, მხოლოდ უზრუნველყოფდა ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს, იცავდა აეროპორტს, თითქოს და, არაფერი უშლის, რომ გააგრძელოს ასეთივე ცალკე „სამშვიდობო მისია“ ავღანეთში 31 აგვისტოს შემდეგაც. მაგრამ ტალიბები ამას არ ეთანხმებიან, მათ სამხედრო ინტერვენტებად თვლიან, ანუ „ჯიჰადის“ ობიექტებად, ნატოს ყველა ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფებს, თურქეთის ჩათვლით.

ჰუღუსი აქახი

თურქეთის სამხედრო განთავსება ქაბულის აეროპორტში, შესაძლებელია მხოლოდ მოლაპარაკებების მიღწევის შემთხვევაში ავღანეთის მოქმედ მთავრობასა და „ტალიბანის“ მოძრაობის ხელმძღვანელებს შორის. დავუშვათ და, კონფლიქტის მხარეებმა მოილაპარაკეს, მაშინ თურქეთის სამხედროებს ქაბულის აეროპორტის დაცვისას აუცილებლად დახმარებას გაუწევენ აშშ და ნატოს წევრი კოლეგები, ანუ მისია გახდება საერთაშორისო *(თუჰქეთის ჰესუჰსები მოკჰძაღებუღია, მისი ეჰთდჰოუღად ჰამდენიმე სამხედჰო კონფღიქტში მონაწიღეობის გამო)*. ამიტომაც, ტალიბებმა 13 ივლისს ოფიციალურად და ულტიმატუმის ტონით განაცხადეს, რომ თურქეთის ჯარების შესვლა

ავღანეთში არღვევს „დოჰას შეთანხმებას“, ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამავე დროს, თურქეთის მთავრობას დაემუქრნენ პრობლემებით და „ჯიჰადითაც“ . მართლაც, „ჰიპოტეტური“ კონფლიქტიც კი თურქეთის ჯარებსა და ტალიბებს შორის უზარმაზარ ხარჯებსა და დანაკარგებს მიაყენებს თურქეთს, ვინაიდან “ტალიბანის“ მებრძოლები ისე სწრაფად მიიწევენ წინ, რომ ივლისის შუა რიცხვებში უკვე მათ კონტროლს ექვემდებარებოდა საკონტროლო-გამშვები პუნქტები ირანის, თურქმენეთის, უზბეკეთის და პაკისტანის საზღვრებზე. ტალიბებმა ორი თვის მანძილზე ბევრად მეტი ტერიტორია დაიკავეს, ვიდრე გასული 20 წლის განმავლობაში. ისინი ემზადებიან დაიკავონ ავღანეთის მსხვილი ქალაქები: ყანდაარი, ჰერათი, ყუნდუზი (*14 აგვისტოს, მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ აღნიშნული ქალაქები).* მათი ბრძოლები გრძელდება ქაბულიდან 15 კილომეტრის დაშორებით. ტალიბების რაზმებს ჯერ არ შეუძლიათ შტურმით აიღონ ქაბული და ფიზიკურად გაუსწორდნენ ავღანეთის კანონიერ მთავრობას, თუმცა ტალიბების ლიდერები ხშირად იმეორებენ, რომ ქაბულის აღებას ბევრი აღარაფერი უკლიაო. მთავარია, რომ „ტალიბანის“ მოძრაობა აკონტროლებს ავღანეთის საზღვრების პრაქტიკულად მთელ პერიმეტრს და სახელმწიფო საზღვრებზე კონტროლი, ტალიბებს აძლევთ საშუალებას ქვეყანას შეუქმნან ეკონომიკური და ენერგეტიკული ბლოკადა, რომელიც სისხლისმღვრელ ბრძოლებზე უფრო დამანგრეველი შეიძლება აღმოჩნდეს. 15 ივლისს „ტალიბანის“ ლიდერებმა დაზავების სურვილი გამოთქვეს ავღანეთის მოქმედ მთავრობასთან სამი თვის ვადით იმ პირობით, რომ მთავრობა გაათავისუფლებს პატიმრობიდან 7 ათას მოჯაჰედს, რომლებიც იმყოფებიან ავღანეთის ციხეებში. ყატარის დედაქალაქ დოჰაში ჩატარებულ მოლაპარაკებებზე ავღანეთის სამთავრობო და „ტალიბანის“ მოძრაობის დელეგაციებმა ვერ შეძლეს შეთანხმება, მუსლიმური დღესასწაულის „ყურბან ბაირამის“ დღეებში, მცირე ხნით მაინ შეეწყიტათ ცეცხლი. მოლაპარაკებების მეორე რაუნდი 25 ივლისს იგეგმებოდა პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში, მაგრამ ესეც ჩაიშალა დიპლომატიური ინციდენტის გამო და პაკისტანთან დროებით შეწყდა კონტაქტი *(16 ივლისს ისლამაბადის ცენტრალური საიონიდან გაიტაცეს ავღანეთის ელჩის 26 წლის ქალიშვილი სიესიდა ჰალიდი და 5 საათის განმავლობაში ფიზიკური ძალადობისა და წვალების შემდეგ დააბრუნეს, რის გამოც ავღანეთმა თავისი ელჩი ნაჯიბულა ჰალიდი და საელჩოს ნაწილი გაიწვია სამშობლოში. ავღანეთი და პაკისტანი წლების მანძილზე ეთთმანეთს ტერორისტებისა და კრიმინალური ჯგუფების მხარდაჭერაში სდებენ ბრალს).*

ტალიბები არ კარგავენ უქმად დროს, რათა ნატოს ჯარების გასვლის შემდეგ შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენონ და ამას მოწმობს „ტალიბანის“ სამხედრო აქტივიზაცია ქვეყანაში, რაც ახალ სიტუაციაში მას აქცევს მნიშვნელოვან ძალად. ტალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის წონადი, ამასთანავე მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან მხარდაჭერის მოპოვებას:

1. 2021 წლის 8-9 ივლისს „ტალიბანის“ მოძრაობის დელეგაცია ესტუმრა მოსკოვს *(წელს უკვე მესამედ)* და ავღანეთის მოქმედ მთავრობასთან მოლაპარაკებებში შუამავლის როლი შესთავაზა. მოსკოვში ჩამოსული დელეგაცია წარმოადგენს ტალიბების პოლიტიკურ ოფისს, რომელიც 2013 წლიდან განთავსებულია ყატარის დედაქალაქ დოჰაში *(სწორედ მათთან ჰქონდათ მოლაპარაკებები აშშ-ის წარმომადგენლებს დოჰაში 2020 წლის 29 თებერვალს).* ავღანეთიდან აშშ-ის გასვლის შემდეგ, რუსეთს საშუალება ეძლევა კვლავ ჩაერთოს ამ ქვეყნის ე.წ. მომრიგებელი მოსამართლის ამპლუაში, რომელიც რუსეთის რეგიონულ ინტერესებში შედის. ტალიბების აღნიშნული ვიზიტის პრაქტიკული აზრი კი მათი მიზნებიდან გამომდინარეობს - არა მარტო

ავღანეთის შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე კონტროლის დაწესების, არამედ ასევე, საერთაშორისოდ აღიარებულ აქტორად წარმოჩინდნენ. რუსეთს კი ეძლევა კიდევ ერთი შანსი, თავისი გავლენა დააფიქსიროს საერთაშორისო სარბიელზე და მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ავღანეთის ირგვლივ, რუსეთს ეძლევა საშუალება გააფართოვოს თავისი სამხედრო თანამშრომლობა ავღანეთის მოსაზღვრე ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან, სადაც შეეცდება ახალი რუსული ბაზები გახსნას. „ტალიბანის“ დელეგაციამ დაარწმუნა რუსული მხარე, რომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა საზღვრებს არ დაარღვევენ, ხოლო ავღანეთის მთავრობასთან მოლაპარაკებებს გააგრძელებენ.

2. 2021 წლის 28 ივლისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ესტუმრა „ტალიბანის“ დელეგაცია პოლიტიკური ოფისის (დოჰაში) ხელმძღვანელის აბდულა ღანი ბარადარის მეთაურობით, რომელთანაც ქალაქ ტიანძინში მოლაპარაკებები გამართა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვინ იმ. ჩინელმა მინისტრმა განაცხადა, რომ „ჩინეთი მუდამ იცავს თქვენი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს და ჩინეთის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ „ტალიბანის“ მოძრაობის ხელის შეწყობით, ავღანეთში სამშვიდობო პროცესი აღდგება“. ჩინელმა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ „ტალიბანი“ როგორც მნიშნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური ძალა ავღანეთში გადამწყვეტ როლს თამაშობს და ვიმედოვნებთ, რომ იგი საკვანძო ფაქტორი გახდება ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენის პროცესში“. ვან იმ ასევე ხაზი გაუსვა „ტალიბანის“ მოძრაობის ბრძოლის მნიშვნელობას ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ და იმედი გამოთქვა, რომ ტალიბები „აღმოსავლეთ თურქესტანის ისლამური მოძრაობის“ ტერორისტებთან ბრძოლაში ეფექტურ ზომებს მიმართავენ მათ განადგურებაში *(ავღანეთსა და ჩინეთს შოპხის საზღვარი, სწორედ უიღუხ-სინძიანის ოღქზე გადის).* აბდულა ღანი ბარადარმა მადლობა გადაუხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და მზადყოფნა გამოთქვა შემდგომი თანამშრომლობისთვის ჩსრ-ს ხელისუფლებასთან. „ტალიბანმა“ დაარწმუნა ჩინეთის ხელისუფლება, რომ ავღანეთის ტერიტორია არასოდეს არ გამოიყენება, რომელიმე სხვა ქვეყნის უსაფრთხოების დარღვევის მიზნით. საინტერესოა, რომ „ტალიბანის“ დელეგაციის აღნიშნული ვიზიტი ჩინეთის სახალსო რესპუბლიკაში დაემთხვა ავღანეთ-ჩინეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე ტალიბების კონტროლის დაწესების თარიღს. საინტერესოა, რომ ამავე ქალაქ ტიანძინში „ტალიბანის“ დელეგაციის სტუმრობამდე 2 დღით ადრე, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ი შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ვენდი შერმანს, რომელთანაც საუბარი ავღანეთის პრობლემებსა და „ტალიბანის“ მოძრაობის მოქმედებებს შეეხებოდა.

3. 2021 წლის 2 თებერვალს ირანში ვიზიტად იმყოფებოდა „ტალიბანის’ მოძრაობის დელეგაცია, რომლის ორგანიზებაც წინასწარ შეთანხმებული იყო ავღანეთის მთავრობასთან. ირანის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალი რაბიმ აღნიშნა, რომ ირანი მომხრეა ავღანეთის უსაფრთხოების საკითხებზე კონფლიქტის ყველა მხარესთან ჰქონდეს მოლაპარაკებები, იმიტომ რომ იგი ვერ დარჩება გულგრილი ავღანეთში არასტაბილურობისა და უსაფრთხოების დარღვევისადმი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ჩვენ განსაკუთრებული კონტაქტები გვაქვს ტალიბებთან“. 2021 წლის 17 აპრილს ირანის ხელისუფლებას ინფორმაცია მიეწოდა იმის შესახებ, რომ „ტალიბანის“ მოძრაობას დაგეგმილი აქვს „ისლამური ემირატის“ შექმნა ავღანეთში. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა აღნიშნა, რომ ირანი და რეგიონის ქვეყნები არ მისცემენ ავღანეთს 90-იან წლებში დაბრუნების უფლებას და დაამატა: „ტალიბებმა არ უნდა გამოიყენონ

ეს შესაძლებლობა ძალადობის გაზრდისათვის. „ტალიბანის“ მოძრაობამ დროის დაუკარგავად უნდა დაიწყოს სერიოზული მოლაპარაკებები ავღანეთის მთავრობასთან“.

2021 წლის 7 ივლისს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ირანის დედაქალაქ თეირანში დაიწყო მოლაპარაკებები ავღანეთის მოქმედი მთავრობისა და „ტალიბანის“ მოძრაობის წარმომადგენელთა შორის. შეხვედრის გახსნისას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა მონაწილეებს მიმართა, რომ ავღანეთის ხალხმა და პოლიტიკურმა ლიდერებმაც „უნდა მიიღონ რთული გადაწყვეტილება, რომელიც ეხება საკუთარი ქვეყნის მომავალს“. მან მოუწოდა მხარეებს აიღონ ვალდებულება კონფლიქტის პოლიტიკურად მოგვარების თაობაზე. ირანელმა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ირანი მზადაა ხელი შეუწყოს დიალოგს მხარეებს შორის კრიზისის მოგვარებისა და ავღანეთის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების მიზნით. თეირანში მოლაპარაკებები დაიწყო იმ დროს, როდესაც 2020 წლის სექტემბერში ყატარში შეხვედრისას დაწყებული დიალოგი ქაბულის მთავრობასა და „ტალიბანის“ მოძრაობას შორის შეწყდა, ყოველგვარი შედეგების გარეშე. 7 ივლისისთვის ტალიბებმა აიღეს ისლამ-კალას გადასასვლელი ირანის საზღვართან, რომელიც მთავარი სასაზღვრო პუნქტია გზატკეცილზე, რომელიც აკავშირებს ირანსა და ავღანეთს და რომელზეც გადის ტვირთების ძირითადი ნაკადი. ირანი თანდათან ცნობს „ტალიბანის“ ლეგიტიმიზაციას.

4. ავღანეთის მთავრობას არაერთხელ დაუდანაშაულებია პაკისტანი ავღანელი ექსტრემისტების მხარდაჭერაში. ასევე უცხოელ პარტნიორებს მიუთითებიათ პაკისტანის მიერ „ტალიბანის“ მხარდაჭერაზე და ავღანეთის მოვლენებზე დესტრუქციული გავლენის შესახებ. გამოცემა „The News International” ადასტურებს, რომ ავღანელი ტალიბები იყენებდნენ პაკისტანის ტერიტორიას ტრანსსასაზღვრო თავდასხმების, თანხების შეგროვების, ახალგაზრდების დაქირავების მიზნით და დაჭრილი მებრძოლების სამკურნალოდ. 2021 წლის 30 ივლისს პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა იმრან ხანმა უარყო ხმები, „ტალიბანის“ მოძრაობის იარაღით და ცოცხალი ძალით დახმარების შესახებ. პაკისტანის პრემიერმა განაცხადა, რომ პაკისტანი აღარ დაუჭერს მხარს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ოპერაციებს „ტალიბანის“ წინააღმდეგ. მან ასევე აღნიშნა, რომ ავღანეთის კონფლიქტის პოლიტიკური რეგულირების ალტერნატივა არ არსებობს და „კოალიციური მთავრობა - ეს საუკეთესო შესაძლებელი შედეგია, ვინაიდან ავღანეთის კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარების შანსი ჩიხში მოექცა“.

2021 წლის 19 ივლისს თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა მოუწოდა „ტალიბანის“ მოძრაობის მებრძოლებს, რომ შეწყვიტონ ავღანეთში საბრძოლო მოქმედებები. პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა: „ტალიბანმა“ უნდა შეწყვიტოს თავისი ძმების მიწების ოკუპაცია“... ერდოღანმა ასევე განაცხადა, რომ აპირებს ტალიბებთან მოლაპარაკებები გამართოს ქაბულის აეროპორტის სტატუსის შესახებ, რომელზეც თურქეთი აპირებს თავისი კონტროლი დაამყაროს. ერდოღანმა მოუწოდა ტალიბებს - არ განიხილონ თურქი სამხედროები, როგორც ოკუპანტები. ამაზე „ტალიბანმა“ განაცხადა, რომ ეწინააღმდეგება თურქი სამხედროების განთავსებას ავღანეთის ტერიტორიაზე, ვინაიდან ეს არღვევს ქვეყნის სუვერენიტეტს *(ტალიბები ნეგატიურად ხეაგიხებენ თურქეთის ნატოს წევრობაზე)*. ტალიბებმა ასევე დაამატეს, რომ თურქეთის ეს გადაწყვეტილება პრობლემებს გამოიწვევს თურქ და ავღანელ ხალხებს შორის და გააფრთხილეს, რომ თუ თურქი სამხედროები დარჩებიან ავღანეთში, ისინი მათ წინააღმდეგობას გაუწევენ და პასუხისმგებლობა შედეგებზე დააწვებათ მხრებზე მათ „ვინც ერევა ჩვენ შიდა

საქმეებში“.

თურქეთის თავდაცვის მინისტრი ჰულუსი აქარი კი აცხადებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ და მოლაპარაკებები აშშ-თან და ავღანეთთან გრძელდება. ამავე დროს, ავღანეთის სამთავრობო ძალების უსაფრთხოებისა და თავდაცვის წარმომადგენელმა გენერალმა აჯმალ შინვარიმ განაცხადა, რომ ავღანეთიდან უცხოელი ჯარების გასვლის შემდეგ, ქაბულის აეროპორტზე პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ავღანურ ძალებს, ხოლო უცხოელები დაკავდებიან ტექნიკური მომსახურებით.

თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი თავისი მყარი გადაწყვეტილებების შესრულებას მაინც აპირებს და „ტალიბანთან“ მოლაპარაკებების დადებითად დასრულების იმედს არ კარგავს. მისი დევიზია: „ტალიბებთან საერთო ენას მაინც გამოვნახავ“-ო.

ზემოთ მოყვანილი ვარიანტები, რეგიონის „წონად“ სახელმწიფოებთან *(ხუსეთი, ჩინეთი, პაკისტანი, ირანი)* ტალიბების მიერ გამართული შეხვედრების შედეგები, რას მოუტანს თურქეთის პრეზიდენტს და როგორ გამოიყენებს ერდოღანი თავის პირად ურთიერთობებს მათ ლიდერებთან შეხვედრებისას?...

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა ბოლო ხანს, ნორმალური კავშირები დაამყარა რუსეთის პრეზიდენტთან *(ს-400 კომპლექსის მეორე პარტიის შესყიდვა, სირიაში ასადთან მოლაპარაკებების მაგიდაზე დათანხმება, კავკასიის ხეგიონში თურქეთის გამოჩენის შეგუება)* და აშშ-ის გასვლა ავღანეთიდან, რუსეთისთვის სასიამოვნო მოვლენად იქცა. თურქეთის სამხედრო მისიის გამოჩენა ავღანეთში, ერდოღანს საშუალებას მისცემს ცენტრალური აზიის თურქულენოვანი ქვეყნების საზღვარს დაუახლოვდეს და „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ წევრ-ქვეყნებთან ეკონომიკური ინტერესების გარდა, პოლიტიკური საკითხებიც წამოსწიოს წინ. ერდოღანის დაპირება, რომ „ტალიბანთან“ საერთო ენას გამონახავს, რუსეთში ტალიბების დელეგაციების გახშირებული ვიზიტების ფარგლებში, ერდოღანმა შესაძლოა სირიის ან ლიბიის რომელიმე საკითხის განეიტრალებით, რუსები დაითანხმოს ტალიბებს სიტყვა შეაწიონ. ერდოღანი შეეცდება ეს შანსი გამოიყენოს.

ჩინეთში ტალიბები საკმაოდ მაღალ, დიპლომატიურ დონეზე იქნენ მიღებულნი და სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონზე სიტყვა მისცეს ჩინეთის ხელისუფლებას, რომ უიღურების სეპარატისტულ მოძრაობას, ისინი მუდამ დაუპირისპირდებიან. თურქეთი ჩინეთთან, ეკონომიკური კრიზისის გამო, უიღურების საკითხს გვერდს უვლის და ცდილობს ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს. ჩინეთის პოზიცია ტალიბებთან ურთიერთობებში საკმარისზე თბილი აღმოჩნდა და უიღურების საკითხში ლოიალობის სანაცვლოდ, ჩინეთმა ტალიბებს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა შესთავაზა. ამასთანავე, თურქების სამხედროების ყოფნა ქაბულის აეროპორტში, ჩინელებს გულზე არ ეხატებათ და თითქოს ერდოღანს, ჩინეთთან უნდა გაუჭირდეს „ტალიბანთან“ სიტყვის შეწევნის ტაქტიკის ამუშავება. მაგრამ არის გზა, რომელსაც „დიდი აბრეშუმის გზა“ ჰქვია და ამ „გზის“ შემხედვარე ჩინეთი, თურქეთს მუდამ განიხილავს, როგორც მისი სტრატეგიული ინტერესების სფეროს დიდ პროექტში „ერთი სარტყელი-ერთი გზა“ სერიოზულ მოთამაშეს. ჩინეთი დაინტერესებულია თურქეთთან პარტნიორობა უფრო განამტკიცოს, ვინაიდან თურქეთი აღნიშნული დიდი პროექტის „ცენტრალური დერეფნის“ ზონაში მდებარეობს და ჩინეთის გეგმების თანახმად, ამ დერეფანმა თურქეთი უნდა დააკავშიროს ევროპასთან, ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, ასევე ავღანეთთან, პაკისტანთან *(რაც თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს)* და ჩინეთთან. თურქეთს სჯერა,

რომ ახალი აბრეშუმის გზა მის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის სტატუსის შექმნას განაპირობებს და ასევე უფრო მჭიდრო კონტაქტებს დაამყარებს ამ პროექტში ჩართულ ქვეყნებთან. 2021 წლის 16 ივლისს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ი და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ ტაშკენტში შეხვდნენ ერთმანეთს და განიხილეს ჩინეთ-თურქეთის ურთიერთობების ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები, სადაც ჩინელმა მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინეთი მზადაა თურქეთთან გააღრმავოს კოორდინაცია საერთაშორისო და რეგიონული მდგომარეობის მიმდინარე საკითხებზე და ერთობლივად შეუწყონ ხელი ავღანეთის პრობლემის პოლიტიკურ დარეგულირებას, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების ჭრილში. მევლუთ ჩავუშოღლუმ ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ თურქეთი მთლიანად უჭერს მხარს ერთიანი ჩინეთის პრინციპს და ჩინეთის მოქმედებებს საკუთარი სუვერენიტეტის დაცვის საქმეში. მან აღნიშნა, რომ თურქეთი არ ეთანხმება და არ ცნობს ჩინეთზე ზეწოლის რაიმე ფაქტორს, რომელიც ეხება სინძიანის საკითხს. თურქეთი ყველა ღონეს იხმარს, გააძლიეროს კომუნიკაციები ჩინეთთან ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით, რათა შეწყდეს ავღანეთში სამოქალაქო ომი, ხელი შეეწყოს მშვიდობასა და შერიგებას ომით გატანჯულ ქვეყანაში. მხარეები შეთანხმდნენ ურთიერთგაგებისა და კოორდინაციის გააქტიურების, აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის, XXI საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზისა და ცენტრალური დერეფანის რეალიზაციის აუცილებლობაზე. აღნიშნული შეხვედრის წინ ჩინეთისა და თურქეთის პირველი პირების სატელეფონო საუბარი გაიმართა, სადაც ქვეყნის ლიდერებმა ორი ქვეყნის დაახლოვებისა და დიდი აბრეშუმის გზის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება. ჩინეთისა და თურქეთის გეოსტრატეგიული ინტერესების თანხვედრას, ერდოღანი როგორ გამოიყენებს?!

ირანის პოზიცია ტალიბანთან ურთიერთობაში და საერთოდ ავღანეთის მიმართ, თურქეთს კარგს არაფერს უქადის. ირანს არაფრით აწყობა ქაბულის აეროპორტის ექსპლუატაცია თურქების მეთვალყურეობით მიმდინარეობდეს და თანაც, თურქეთის გავლენა ირანის აღმოსავლეთიდანაც (დასვლეთიდანაც საკმარისია), მისთვის სრულიად მიუღებელია. ასე რომ ერდოღანი, ირანს ვერ თხოვს სიტყვის შეწევნას ტალიბებთან, თუნდაც ირანისა და ტალიბების დაპირისპირების გამო.

„ტალიბანის“ ძირითადი კურატორი და „მესაიდუმლეც“ პაკისტანი, თურქებს კარგა ხანია თავის მეგობრად სურს გაიხადოს. თურქეთი ძალზე სერიოზულად განიხილავს პაკისტანს, როგორც ტალიბებთან მოლაპარაკების ყველაზე საიმედო შუამავალს. ჯერ კიდევ 2020 წლის შემოდგომაზე, ყარაბაღის მეორე ომის მსვლელობისას პაკისტანის თავდაცვის სამინისტროს კედლებში გაჟღერდა ლოზუნგი „ერთი ერი - სამი ქვეყანა“. მანამდე, 2020 წლის 14 თებერვალს ისლამაბადში გაიმართა თურქეთ-პაკისტანის „უმაღლესი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს“ მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდნენ თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი და პაკისტანის პრემიერ-მინისტრი იმრან ხანი. სხდომის შემდეგ ხელი მოეწერა მრავალ მნიშვნელოვან დოკუმენტს და განსაკუთრებით სამხედრო სფეროში თანამშრომლობის საკითხებს. ერდოღანმა კიდევ ერთხელ გაახსენა პაკისტანის პრემიერს, თურქეთის დაინტერესებაზე და იმედზე ბირთვული პროგრამების დამუშავებაში პაკისტანის მხრიდან დახმარებაზე. აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, კარგა ხანია თურქეთ-პაკისტანის მოლაპარაკებების ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენს. ბევრად ადრე, 2014 წლის 22 სექტემბრის გაზეთ “Die Welt”-ის მიმომხილველის ჰანს რიულლეს ცნობით და გერმანიის დაზვერვის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ

2010 წელს პრემიერმა ერდოღანმა გასცა ბრძანება საკუთარი ბირთვული ცენტრიფუგების დამუშავების შესახებ. ინფორმაციაში ასევე მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, რომ თურქეთს შეეძლო მიეღო ბირთვული ცენტრიფუგები პაკისტანიდან. პაკისტანი ფლობს ბირთვულ პროგრამას და მაშინ არ ემხრობოდა მისი გაუვრცელებლობის რეჟიმს. ზოგიერთი ექსპერტი მაშინ ბირთვული იარაღის ფლობის მცდელობას მიაწერდა ერდოღანის ამბიციებს, რომელსაც სურდა თავი წარმოედგინა არა მარტო თურქეთის, არამედ მთელი მუსლიმური სამყაროს ლიდერად.

დღევანდელი გადასახედიდან, თურქეთის და პაკისტანის ურთიერთობები რეგიონული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, უკანასკნელ წლებში უფრო მეტად დაახლოვდნენ. როგორც თურქეთი, ასევე პაკისტანი, სუნიტური მიმართულების ზეგავლენით, სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან, გამორჩეულად ყატართან ავითარებენ მჭიდრო თანამშრომლობას. პაკისტანის მოსახლეობა დღეისათვის შეადგენს 225 მილიონს და მათგან 96,5% სუნიტი მუსლიმია. ამასთან დაკავშირებით, თურქეთის სპეციალური დანიშნულების სამსახურები ერდოღანის მმართველობის პერიოდში განსაკუთრებით დაუახლოვდნენ პაკისტანში მოქმედ რელიგიურ ელიტარულ წრეებს. თურქეთი და პაკისტანი განსაკუთრებით ინტენსიურად თანამშრომლობენ სამხედრო სფეროში. 2018 წლის ივლისში პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურობამ თურქეთთან ხელი მოაწერა კონტრაქტს “MILGEM” -ის კლასის ოთხი სამხედრო ხომალდის შეძენაზე, რომელიც თურქეთისთვის ყველაზე მსხვილი ერთიანი სამხედრო საექსპორტო გარიგება არის $1,5 მლრდ რაოდენობით.2019 წლის 29 სექტემბერს პაკისტანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი ზაფარ მაჰმუდ აბასი და თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი დაესწრნენ პირველი ხომალდის გადაცემის ცერემონიალს. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში პაკისტანის თითქმის 1500 ოფიცერმა გაიარა მომზადება თურქეთში. ქვეყნები თანამშრომლობენ უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებაში. 2019 წლის ნოემბერში ორივე ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობდნენ სასწავლო წვრთნებში ხმელთაშუა და არაბეთის ზღვებში. თურქეთმა ყარაბაღის კონფლიქტი კარგად გამოიყენა და კავკასიის სატრანსორტო სამხრეთ დერეფანის გახსნის პერსპექტივაში, პაკისტანის პოლიტიკურად დამჯერი პრემიერ-მინისტრი იმრან ხანი მიიწვია. აზერბაიჯანისა და თურქეთის სამხედრო კოალიციის თანამშრომლობა პაკისტანის ძლიერ სამხედრო აპარატთან, როგორც ფიქრობენ, შეიძლება ბევრი სასიკეთო ძვრების მომტანი გახდეს.

თურქეთი თავის დიდ ხნის სურვილს, ბირთვული იარაღის შექმნისა და ტექნოლოგიების მიღების თანხმობას პაკისტანისგან მოელის.პაკისტანელი მეცნიერები უკვე მუშაობენ ამ მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 2020 წლის 22-23 დეკემბერს ანკარაში შედგა პაკისტან-თურქეთის უმაღლესი დონის სამხედრო დიალოგის ჯგუფის მე-15 შეხვედრა. ეს დიალოგი დღესდღეობით ორ ქვეყანას შორის ყველაზე მაღალი დონის შეხვედრად ითვლება სამხედრო სფეროში. აღინიშნა, რომ თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი იმედოვნებს, რომ პაკისტანის ბირთვული და სარაკეტო ტექნოლოგიები დაეხმარება მას გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევაში.

2021 წლის 27-28 ივლისსაზერბაიჯანში გაიმართა თურქეთისა და პაკისტანის პარლამენტის თავმჯდომარეთა პირველი ერთობლივი ვიზიტი. ვიზიტის მთავარი დანიშნულებაა აზერბაიჯანს, თურქეთსა და პაკისტანს შორის თანამშრომლობის სამმხრივი ფორმატი ახალ დონეზე გაიყვანონ. ბაქოში შედგა სამი ქვეყნის პარლამენტის სპიკერთა პირველი სამმხრივი შეხვედრა. აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარემ საჰიბა გაფუროვამ სტუმრებთან

მისალმების შემდეგ აღნიშნა, რომ „დღევანდელი შეხვედრა - სამი ხალხის აუცილებელი დაახლოვების თვალსაჩინო მაგალითია“. მან დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს იმისთვის, რომ ყარაბაღის მეორე ომში თურქეთმაც და პაკისტანმაც მხარი დაუჭირეს აზერბაიჯანს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არც თურქეთს და არც პაკისტანს „სომხეთ-ოკუპანტთან“ არ აქვთ დამყარებული დიპლომატიური ურიერთობები. ს. გაფაროვამ ასევე აღნიშნა, რომ ზანგეზურის დერეფანი ახალი გასასვლელი გახდება მოძმე პაკისტანიდან თურქეთსა და აზერაბაიჯანში შესასვლელად. თურქეთის მეჯლისის თავმჯდომარემ მუსტაფა შენთოფმა აღნიშნა, რომ „მოხარული ვარ რომ დღეს ეს შეხვედრა ბაქოში მიმდინარეობს. ვიმედოვნებ, რომ ასეთ ფორმატში ჩატარებული შეხვედრები ხელს შეუწყობს სამი მოძმე სახელმწიფოს შორის ურთიერთოებების განვითარებას. თურეთის პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ „ბაქოს დეკლარაცია“, რომელსაც დღეს მოეწერება ხელი, თავის წვლილს შეიტანს რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მან დაამატა, რომ თურქეთის აზერბაიჯანთან იხილავს საკითხს ქაბულის აეროპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თაობაზე. შემდეგ გამოსულმა პაკისტანის პარლამენტის სპიკერმა ასად კაისერმა გამოთქვა სურვილი, სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაფართოვების შესახებ კულტურის, ეკონომიკის, განათლების და სხვა სფეროებში. მისი სიტყვებით, აზერბაიჯანის, თურქეთის და პაკისტანის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის სამმხრივი ფორმატის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ მოძმე ქვეყნების ურთიერთობების განვითარების საქმეში. ბაქოში გამართული შეხვედრების ბოლოს ხელი ოეწერა „ბაქოს დეკლარაციას“, რომელსაც ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის, თურქეთის და პაკისტანის პარლამენტების თავმჯდომარეებმა. აღნიშნული დოკუმენტი მიმართულია პარლამენტთაშორისი დიალოგის, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის, ურთიერთ ინტერესების შემცველი რეგიონულ და გლობალურ საკითხებზე ერთობლივი მუშაობის განვითარებისთვის. პარლამენტის სპიკერების შემდეგი შეხვედრა დაგეგმილია 2022 წელს ისლამაბადში. თურქეთის დიალოგი „ტალიბანთან“ თანდათან რეალურ სახეს იღებს, ვინაიდან რეგიონის მნიშვნელოვანი წონის სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად თვით ტალიბები გამოდიან შეხვედრების ინიციატორებად. რუსეთთან და ჩინეთთან თითქმის შეთანხმებულია მათი მომავალი ურთიერთობები, ირანთან დაძაბულობა ისევ შენარჩუნებულია ავღანეთში შიიტური დაჯგუფებების არსებობის გამო, მაგრამ დიპლომატიური გზებით ორივე მხარე გამწვავებას ერიდება და ირანის მთავრობა „ტალიბანს“ აღარ დაუპირისპირდება. პაკისტანი და ყატარი, „ტალიბანის“ ნდობით სარგებლობენ და ყატარის დედაქალაქი დოჰა მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების მიღწევის მოხერხებულ ადგილად ითვლება. 2020 წლის 29 თებერვალს აშშ-ის და „ტალიბანის“ მოძრაობის შეთანხმება ნატოს ძალების გაყვანის თაობაზე, სწორედ დოჰაში გაფორმდა. ამას გარდა, 2020 წლის სექტემბერში დაწყებული მოლაპარაკებები ავღანეთის სამთავრობო წარმომადგენლებსა და „ტალიბანის“ მოძრაობის დელეგაციას შორის დოჰაში დაიწყო და მას შემდეგ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, თუმცა საერთო აზრზე ვარ შეთანხმდენენ, ტალიბები კი თავის ტერიტორიულ ექსპანსიას აგრძელებენ. უკანასკნელად კი, ქაბულის მთავრობისა და „ტალიბანის“ წარმომადგენლები დოჰაში 2021 წლის 23-24 ივლისს შეხვდნენ ერთმანეთს და კვლავ ვერ მიაღწიეს ვერავითარ პროგრესს. ყოველივე ამის სემდეგ, თანდათან ნათელი ხდება, რომ ავღანეთში კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი გზა, მოლაპარაკებებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ტალიბანის“ მოძრაობა თანდათან იხვეჭს ერთგვარი „ლეგიტიმურობის“ სტატუსს, რასაც

მოწმობს მათი დელეგაციის გახშირებული ვიზიტები რეგიონის წამყვან მოთამაშეებთან. „ტალიბანის“ მოძრაობის განთავსების ოფიციალური ოფისი მდებარეობს დოჰაში. ჩვენ ვიცით თურქეთსა და ყატარს შორის მოქმედი პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული თანამშრომლობის საკმაოდ მაღალი რეიტინგი, რაც მათ ხშირად ერთ სიბრტყეზე მოქმედებებისთვის განაწყობს. თურქეთმა პირველმა გაუწოდა ყატარს დახმარების და თანაგრძნობის ხელი, როდესავ 2017 წლის 5 ივნისს არაბული ქვეყნების ძირითადმა მოთამაშეებმა (საუდის არაბეთი, გაერთიანებული ემირატები, ეგვიპტე, ბაჰრეინი) დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეს ყატართან, სრული ეკონომიკური ბლოკადა მოუწყვეს მას და არაბულ სახელმწიფოთა ლიგიდანაც გაიწვიეს. არაბული ქვეყნები ყატარს და მის ტელეარხ „ალ-ჯაზირას“ შიიტურ ირანთან მეგობრულ ურთიერთობაში და „ძმები მუსლიმების“ ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას აბრალებდნენ. ირანმა, სპარსეთის ყურის საშუალებით სურსათი და პირველი მოხმარების საგნები გაუგზავნა იზოლაციაში მოხვედრილ ყატარს, ხოლო თურქეთმა ყატარის სამხედრო ბაზაზე თურქული კონტინგენტი გაგზავნა და მორალურადაც გაამხნევა. არაბული ქვეყნების ზეწოლით ბევრი ქვეყანა მიუერთდა ყატარის საერთაშორისო ბლოკადას, მაგრამ პაკისტანმა ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა.

ამგვარად, ყატარი და პაკისტანი ის ორი ქვეყანაა, რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ „ტალიბანის“ მოძრაობასთან და ამავე დროს, თურქეთთან მრავალმხრივი თანამშრომლობა აკავშირებთ. თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი აღნიშნავს, რომ თურქეთის მისია ქაბულის აეროპორტის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მასზე იქნება დამოკიდებული ავღანეთის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების მუშაობა. თურქეთის მისიის ძირითად ფაქტორად ითვლება თურქეთის მიმართვა პაკისტანის ხელისუფლებას, რომელსაც გავლენა აქვს „ტალიბანის“ მოძრაობაზე, რომ მონაწილეობა მიიღოს მშვიდობის აღდგენის საქმეში ავღანეთში. ერდოღანს ივნისის ბოლოს გაცხადებული აქვს, რომ „ტალიბანის“ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს გამართავს, საერთო ენას გამონახავს მათთან და პაკისტანელი მეგობრების დახმარებით, ის შეინარჩუნებს ავღანეთის სახელმწიფოს ერთიანობას. ავღანეთის მოქმედი ხელისუფლება მთლიანად უჭერს მხარს თურქულ მისიას, ტალიბები კი თურქეთის ჩართულობას ავღანეთის საკითხებში მტრულ ქმედებად მიიჩნევენ და ქაბულის აღების შემდეგ, მის აეროპორტსაც დაეუფლებიან. ამ შემთხვევაში თურქეთი ბრძოლაში ჩაერთვებოდა იმ შემთხვევაში, თუ ავღანეთის სამთავრობო არმია ეფექტურად იბრძოლებდა ტერორისტების შეტევების წინააღმდეგ და... კიდევ, რამდენად მალე მიუერთდება პაკისტანი სამშვიდობო მისიას *(ასეთი მოლაპარაკება ხოდის დაიდო პაკისტანთან?).* ავღანეთიდან აშშ-ის და ნატოს ძალების გასვლის ფონზე აშრაფ ღანის მთავრობის სახელმწიფო და სამხედრო ხელისუფლების სრული უუნარობა, აქტუალურს და რეალურს ხდის „ტალიბანის“ მიერ ქვეყანაში ხელისუფლების მთლიანად ხელში აღების სცენარს. მიუხედავად დოჰაში მიღებული გადაწყვეტილებისა, რომელშიც აშშ ქვეყნიდან ჯარების გაყვანის საკითხს უკავშირებდა ტალიბებისა და ქაბულის მთავრობის შეთანხმებას კოალიციური მთავრობის შექმნის გარანტიის სახით, ტალიბებმა ისარგებლეს აშშ-ის ჯარების სწრაფი ტემპით გასვლით და მაისიდან მასშტაბური შეტევები განახორციელეს, რომელმაც თითქმის უკვე გადაწყვიტა ავღანეთის ბედი. „ტალიბანის“ გამარჯვების შემთხვევაში *(და საქმე აქეთ მიდის)*, ჩინეთი, რუსეთი, ირანი და პაკისტანი *(ასევე უზბეკეთი, თუხქმენეთი, ტაჯიკეთი)* დაინტერესებული იქნებიან კონსერვატული სცენარის განვითარებით. ტალიბები კი დაკავებულნი იქნებიან თავისი ხელისუფლების განმტკიცებით და ეცდებიან

სწრაფ საერთაშორისო ლეგალიზაციას. აი, ამ მომენტში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, როგორ ურთიერთობებს დაალაგებს თურქეთი „ტალიბანის“ პოლიტიკურ ბიუროსთან, რომელიც პერიოდულად საკმაოდ მკაცრად რეაგირებდა თურქეთის გეგმების მიმართ ავღანეთში დარჩენის თაობაზე. სრულიად ნათელია, რომ „ტალიბანი“ ავღანეთის ომიდან ჯერ არ იყო გამოსული გამარჯვებულის სტატუსით, მაგრამ უკვე ცენტრალური აზიის რეგიონის მნიშვნელოვან მოთამაშედ ითვლებოდა, რომლის გათვალისწინებაც შემდგომში ყველას მოუწევს. ერდოღანსაც მოუწევს სცნოს, მაგრამ ჯერ სრულიად გაურკვეველია, შესძლებს თურქეთი ტალიბებთან მოლაპარაკებას, რომ ნატოს მისიის შესრულება დაიწყოს? თურქეთმა, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება და ტალიბებთან მოლაპარაკებები ჰქონდა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. ამას გარდა პაკისტანი, როგორც თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი და „ტალიბანზე“ გარკვეული გავლენის მფლობელი, თურქეთის აზრით, ყოველნაირად დაეხმარება თურქეთს. ეს ყოველივე, აშშ-ის დაუკითხავად ხდება, ხოლო თურქეთი თავს თვლის ევრაზიის ახალ და საკმაოდ ძლიერ გეოპოლიტიკურ ცენტრად, რათა გაატაროს საკუთარი პოლიტიკა. თურქეთში პოლიტიკოსები და ექსპერტები თავს იკავებენ პირდაპირი დასკვნები გააკეთონ თურქეთის გეგმებზე ავღანეთში მისიის შესრულების პირობებზე და ტალიბებთან მოლაპარაკებების შედეგებზე... თუ კი ასეთი დიალოგი შედგა. ამისთვის კითხვა დაუსვეს „ტალიბანის“ პოლიტბიუროს სპიკერს მოჰამედ ნაიმს, რომელმაც პასუხად განაცხადა, რომ „ავღანეთში უცხოური ძალების ყოფნა გამორიცხულია!“ მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოები ჩართულნი იყვნენ ავღანეთში მიმდინარე კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელი ნაბიჯების ძიებაში, ხოლო თურქეთის პრეზიდენტი იმედებს არ კარგავდა, რომ „ტალიბანის“ მოძრაობის ლიდერებთან მოლაპარაკების გზას მაინც გამონახავდა, რასაც იგი არ მალავდა...

მაგრამ ამ დროს, ავღანეთში მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა.

10-11 აგვისტოდან ტალიბების სწრაფი შეტევებისა და სახელისუფლო ძალების მიერ პროვინციების ცენტრალური ქალაქების უბრძოლველად ჩაბარების შედეგად, ტალიბებმა ერთი კვირის მანძილზე ავღანეთის ჩრდილოეთის დიდი ნაწილი დაიკავეს, დედაქალაქს ყოველი მხრიდან შეუტიეს და 14-15 აგვისტოს ღამეს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ქაბული აიღეს. ამასთანავე, ტალიბანის ხელმძღვანელთა განცხადებით ავღანეთის მთელი ტერიტორია მათ ხელშია. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ნიდერლანდების, კანადის დიპლომატიური მისიები 15 აგვისტოს ღამით ვერტმფრენების საშუალებით ევაკუირებულ იქნენ ქაბულიდან. თურქეთის სამხედრო კონტინგენტი ქაბულის აეროპორტის დამცველად არის გამწესებული, თანაც მთელი ღამის განმავლობაში ათეულათასობით ადგილობრივი მოსახლეობის უზარმაზარი ნაკადი მიაწყდა ქაბულის აეროპორტს, რომ მოეხერხებინათ ნებისმიერი თვითმფრინავით ქვეყნიდან გამგზავრება. ისინი ნებისმიერ თვითმფრინავში იჭრებოდნენ, რითაც დიდ სიძნელეებს უქმნიდნენ აეროპორტის მუშაობას და იქ მომსახურე თურქ სამხედროებს *(მათთან ერთად, ქაბულის აეროპორტში აზერბაიჯანის სამხედროების 120-კაციანი ჯგუფიც მოხიგვეობს).* ავღანეთის პრეზიდენტმა აშრაფ ღანიმ დატოვა ქვეყანა და „ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის“ შემდეგ, შეიქმნება ახალი მთავრობა. „ტალიბანის“ მოძრაობის ლიდერად დღეისათვის მოიაზრებიან აბდულ ღანი ბარადარი, ან მულა მოჰამად ჰასან ახუნდი, რომლებიც ამ ორგანიზაციის ფუძემდებლებად ითვლებიან მულა ომართან ერთად. „ტალიბანის“ ოპერაციების სამართავი შტაბი განლაგებულია ყატარის დედაქალაქ დოჰაში, ამ პოლიტიკური ოფისის ხელმძღვანელიც აბდულ ღანი

ბარადარია და მოლაპარაკებებს აშშ-თან და ქაბულის ხელისუფლებასთან ის აწარმოებდა. გასულ წელს ბარადარი ხანგრძლივ მოლაპარაკებებს აწარმოებდა აშშ-ის ხელმძღვანელობასთან, რის შედეგადაც ხელმოწერილ იქნა დოჰას შეთანხმება, აშშ-ის ძალების გასვლის თაობაზე ავღანეთიდან. აბდულ ღანი ბარადარს ადრე პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან.

2021 წლის 7-8-9 ივლისის ჩინეთში და რუსეთში მოლაპარაკებებში, ტალიბების დელეგაციას აბდულ ღანი ბარადარი ხელმძღვანელობდა. 28 ივლისს ტიანძინში აბდულ ღანი ბარადარი კვლავ შეხვდა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ვან ის და მომავალი ურთიერთობების საკითხები განიხილეს. „ტალიბანის“ მოძრაობის რეალური ლიდერი ჰიბათულა ახუნდზადე დღეისათვის ჯერჯერობით ჩრდილშია და როდესაც ყველაფერი დალაგდება, ასპარეზზეც მაშინ გამოჩნდება. „ავღანეთის ისლამური ემირატის“ სახელმწიფოს მოქმედ ლიდერად *(აღბათ ემიჩი, ახა მგონია „პრეზიდენტი“ დაეჩქვას),* ყველაზე მეტად მოსალოდნელია მავლავი ჰიბათულა ახუნდზადე ან აბდულ ღანი ბარადარი ვიხილოთ.

რეჯებ თაიფ ერდოღანის და მისი „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP 18-წლიანი მმართველობის ფონზე, თურქეთის პრეზიდენტი ავითარებს ძლიერი თურქეთის იდეას, რომელიც კონსოლიდირებული და მობილიზებული იქნება, რომ მსოფლიო სარბიელზე დამოუკიდებელი ნაბიჯებით თავის საწადელს მიაღწიოს. ერდოღანის ამოცანას წარმოადგენს თურქეთის გლობალური სტატუსის გაზრდა, რეგიონულ პოლიტიკაზე ფოკუსირების გარეშე. თურქეთი დიდი ხანია ცდილობს, რომ ეროვნული ინტერესები ბლოკურ სოლიდარობაზე მაღლა დააყენოს, რაც რეგულარულად იწვევს თურქეთის ურთიერთობების დაძაბვას ნატოსა და ევროკავშირთან. მართალია, თურქეთს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს აშშ-თან და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასთან დაპირისპირებამ, მაგრამ რეფორმებთან დაკავშირებული პერსპექტივა, მომავალში თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური ხაზი იქნება. ერდოღანი იმედოვნებს, რომ კოვიდ-19 პანდემიის დასრულების შემდეგ, მსოფლიო შეივსება ახალი შესაძლებლობებით და თურქეთის ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა ახალი კონფიგურაციით საგარეო პოლიტიკის მრავალ სფეროში ბალანსს შექმნის. ერდოღანი, თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საერთაშორისო პოლიტიკასთან შესაბამისობის განსაზღვრაში, რეგიონული და გლობალური გეოპოლიტიკის ფორმირების მონაწილე გახდება. თურქეთის ეფექტური როლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც დაკავშირებულია მის აქტიურ დიპლომატიასთან, სავარაუდოდ უფრო შესამჩნევი გახდება 2023 წლის მოახლოებასთან ერთად.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ბჟეზინსკი, ზბიგნევ - დიდი საჭადრაკო დაფა. გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2014

გაჩეჩილაძე, რევაზ - ახლო აღმოსავლეთი ტ. II, გეოპოლიტიკა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019

თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990 – 2008. თსუ გამომცემლობა, 2014

კისინჯერი, ჰენრი - მსოფლიო წესრიგი. გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი 2020

მჭედლიშვილი, ზაურ - თურქეთის საგარეო პოლიტიკა (ლექციების კურსი) ნაწ. I. IBSU პუბლიკაციები. საქართველო, თბილისი 2021

სვანიძე მიხეილი - თურქეთის ისტორია (1299-2000). გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი 2007

Ahmet Davutoğlu – Stratejık Derinliği: Türkiyenin Uluslararası Konumu. İstanbul, 2014

ÇAĞDAŞ TÜRK DİPLOMASISI: 200 yıllık süreç. Türk Tarih Kurumu, Ankara, 1999

Emre Kongar – Tarihimizle Yüzleşmek. Remzi Kitabevi, 13. Basim. İstanbul, 2006

Değişen Dünyada Türk Dış Polşitikası. Murat Ercan Nobel Akademik Yayıncılık, 2011

DIŞ POLİTİKADA SINANMA YILI. 2015 Dış Politikada Raporu. İstanbul, Temmuz 2015

Dr. Fırat Purtaş – Bağımsız Devletler Topluluğu. Ankara 2005

Prof. Dr. Kemal H. Karpat - Türk Dış Politikası Tarihi. Timaş Yayınları, İstanbul 2015

Sedat Laçiner – Ermeni Sorunu, Diaspora ve Türk Dış Politikası. USAK, Ankara, 2008

Türk Dış Politikası Cilt III (2001-2012). Baskın Oran, Temmuz 2020

1923’ten Günümüze Türk Dış Politikası ve Diplomasisi. Ayhan Kamel İNKİLAP KİTABEVİ, 2014

21. Yüzyılda Küresel ve Bölgesel Aktörler Bağlamında Türk Dış Politikası. Murat Ercan Efe Akademik Yayınları, 2018

XXI Yüzyılda Türk Dış PolitikasınınAnalizi. Faruk Dönmezoğlu, Nurcan Özgür Baklacıoğlu, Özlem Terzi Der Yayınları, 2012

Gazeteler. com - ყოველდღიური თურქული პრესა

George Friedman – THE NEXT 100 YEARS: A Forecast for the 21-th Century. DOUBLEDAY 2009

Hasan Kösebalaban – Turkish Foreign Policy (İslam, Nationalizm and Globalization). İstanbul, 2011

Henry Kissinger – DIPLOMACY. Simon & Schuster, New-York, 1994

William Hale – Turkish Foreign Policy since 1774. This edition published 2013 by Routledge

Аватков В. А. – Внешнеполитический курс Турецкой Республики в рамках современной системы международных отношений. Москва - 2020

საკუთარ სახელთა საძიებელი (კომენტარებით)

ა

აბდულა გიული - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2007-2014 წლებში *(თუჰქეთის პჰემიეჰ-მინისტჩი 2002-2003 წ.წ. საგაჰეო საქმეთა მინისტჩი 2003-2007 წ.წ. სტამბოღის უნივეჰსიტეტის დამთავჩების შემდეგ, 1976-1978 წ.წ. სწავღობდა ეგზეტეჩის უნივეჰსიტეტში. 2013 წეღს დაჯიღდოვებუღია საქაჰთვეღოს წმინდა გიოჩგის სახეღობის გამაჰჯვების ოჩდენით)* გვ. 10, 24, 43, 45, 46, 55, 61, 67, 73, 75, 86, 116, 220, 222, 243

აბდულლაჰ იბნ აბდულაზიზ ალ საუდი - საუდის არაბეთის მეფე 2005-2015 წლებში. *(საუდის აჰაბეთის პიჩვეღი მეფის აბდუღაზიზ აღ საუდის ვაჟი)* გვ. 199

აბდულ ფათთაჰ ას-სისი - ეგვიპტის პრეზიდენტი 2014 წლიდან... *(ეგვიპტის სამხედჩო მინისტჩის გენეჩაღ ას-სისის მეთაუჩობით 2013 წღის 3 ივნისს სამხედჩო გადატჩიაღების შედეგად დაამხეს „ძმები მუსღიმების“ ტეჩოჩისტუღი ოჩგანიზაციის და პჩეზიდენტ მოჰამედ მუჩსის მმაჰთვეღობა)* გვ. 206-208, 211, 212, 284

აბდულ ღანი ბარადარი - „ტალიბანის“ მოძრაობის ლიდერი *(„ტაღიბანის“-ტაღიბების ფუძემდებეღის მუღა მუჰამად ომაჩის თანამებჩძოღი, სიძე და მოძჩაობის ეჩთ-ეჩთი ოჩგანიზატოჩი. მუღა ომაჩის სიკვდიღის შემდეგ, 2013 წღიდან „ტაღიბანის“ მოძჩაობის პოღიტიკუჩ ხეღმძღვანეღად ითვღება).* გვ. 302, 303

აბდულჰამიდ ად-დბეიბა - ლიბიის მთავრობის დროებითი თავმჯდომარე 2021 წლის 16 მარტიდან *(ღიბიის პოღიტიკუჩი დიაღოგის ფოჩუმზე აჩჩეუღ იქნა მთავჩობის თავმჯდომაჩედ. ითვღება პჩო-ეჩდოღანუღ პოღიტიკუჩ მოღვაწედ. ავსტჩიეღი დიპღომატის აზჩით, „ძმები მუსღიმების“ ოჩგანიზაციას აფინანსებს)* გვ. 211

აბუ-ბაქრ ალ-ბაღდადი - „ისლამური სახელმწიფოს ხალიფა“ 2014-2019 წლებში *(ეჩაყისა და ღევენტის სახეღმწიფოს ამიჩა 2010-2014 წღებში. 2014 წღის 29 ივნისს მოსუღში თავი გამოაცხადა მსოფღიოს ყვეღა მუსღიმის ხაღიფად. მოკღეს 2019 წეღს სიჩიაში)* გვ. 175

აბულფაზ ელჩიბეი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1992-1993 წლებში *(აღმოსავღეთმცოდნე. „აზეჩბაიჯანის სახაღხო ფჩონტის“ ღიდეჩი. მას ქვეყნის სანიმუშო ღიდეჩაღ მუსტაფა ქემაღ ათათუჩქი მიაჩნდა და აიდეაღებდა მას. გაჩდაიცვაღა ანკაჩაში 2000 წეღს)* გვ. 21, 22, 49

ადილ აბდულ ალ-მაჰდი - ერაყის პრემიერ-მინისტრი 2018-2019 წლებში *(შიიტი. ერაყის ნავთობის მინისტრი 2014-1016 წ.წ. ერაყის ვიცე-პრეზიდენტი 2005-2011 წ.წ. ერაყის ფინანსთა მინისტრი 2004-2006 წ.წ. აქტიურად მონაწილეობს ერაყის უმაღლესი ისლამური საბჭოს მუშაობაში. ოჯეი დაესხნენ თავს, მაგრამ გადარჩა)* გვ. 183

ათათურქი, მუსტაფა ქემალი - თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი 1923-1938 წლებში. (*1919-1922 წ.წ. თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი. 1923 წელს მისი ძალისხმევით დაფუძნდა „რესპუბლიკური სახალხო პარტია“, რომელიც 1950 წლამდე იყო თურქეთის მმართველი პარტია)* გვ. 22, 56, 63, 87, 249, 266, 275

აკილა სალაჰ ისა - ლიბიის წარმომადგენელთა პალატის პრეზიდენტი 2014 წლიდან... (*2014 წლის 4 აგვისტოს ტობრუკში გამართულ წარმომადგენელთა პალატის პირველ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ არაბულ სახელმწიფოთა ლიგის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ისლამურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის წარმომადგენლები, აკილა სალაჰი არჩეულ იქნა პალატის პრეზიდენტად)* გვ. 209

AKP „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ - თურქეთის მმართველი პოლიტიკური პარტია *(შეიქმნა 2001 წლის 14 აგვისტოს და 2002 წლის ნოემბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკის მმართველი სახელისუფლო პარტიაა. გენერალური თავმჯდომარე - რეჯებ თაიფ ერდოღანი)* გვ. 8, 9, 11, 53, 74, 142, 152, 188, 189, 198, 242, 285

ალექსანდარ ვუჩიჩი - სერბეთის პრეზიდენტი 2017 წლიდან... *(სერბეთის თავდაცვის მინისტრი 2012-2013 წ.წ. პრემიერ-მინისტრი 2014-2017 წ.წ. თურქეთთან თბილი ურთიერთობების მომხრეა)* გვ. 113, 114

ალი ბაბაჯანი - თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 2007-2009 წლებში *(თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკის საკითხებში 2002-2007 წ.წ. თურქეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი 2009-2015 წ.წ. ერდოღანთან უთანხმოების გამო, დატოვა მმართველი პარტიის რიგები და 2020 წლის 10 მარტს შექმნა ახალი პოლიტიკური „დემოკრატიისა და გატყორცნის პარტია“)* გვ. 86, 223

ალი ჰოსეინ ხამენეი - აიათოლა. ირანის ისლამური რესპუბლიკის სასულიერო, სამხედრო, პოლიტიკური და სახელმწიფო მეთაური1989 წლიდან... *(აიათოლა ხუჰოლა ხომეინის უახლოესი თანამებრძოლი დამისი საქმის გამგრძელებელი. ეთნიკურად აზერბაიჯანელი. ირანის უმაღლესი მმართველი, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მეჯლისის მუშაობა, პრეზიდენტის კანცელარია, მინისტრთა საბჭო, სასამართლო სისტემა, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი, ინფორმაციის*

საშუალებები, შეიარაღებული ძალები, დაზვერვა, პოლიცია და მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს-გაერთიანებები, ფონდები და სხვა. ენერგიულად უწყობს ხელს მეცნიერების, ბირთვული ენერგეტიკის განვითარებას და მიესალმება ირანში ატომური იარაღის შექმნას. მკაცრად აკრიტიკებს აშშ-ის პოლიტიკას და ისრაელის „არაკანონიერ ოკუპაციურ რეჟიმს“) გვ. 191, 192

ალია იზეტბეგოვიჩი - ბოსნია-ჰერცეგოვინის პირველი პრეზიდენტი 1992-1996 წლებში *(იუგოსლავიაში ანტიკომუნისტური მოძრაობის გამო იდევნებოდა. 1970 წელს გამოსცა „ისლამური მანიფესტი“.1995 წლის 24 დეკემბერს პარიზში ხელი მოაწერა „დეიტონის შეთანხმებას. 2003 წელს გარდაიცვალა სარაევოში)* გვ. 108, 112

ალმაზბეკ ატამბაევი - ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2011-2017 წლებში. *(ჩართული იყო თურქულ ბიზნესში და კორუფციაში. ხამდენჯერმე დააპატიმრეს. ფლობდა თურქულ ენას)* გვ. 66-69

ალფარსლან თურქეში - თურქეთის „ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის“ MHP დამაარსებელი და ლიდერი 1969 - 1997 წლებში *(პანთურქიზმის იდეოლოგიისა და ექსტრემისტული მიმართულების პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთა „ხუხ მგლების“ ორგანიზაციის სახელით, მე-20 საუკუნის 70-იან მძიმე წლებში აღფარსლან თურქეშის პირადი განკარგულებით მოსახლეობას დარბევის, ძარცვის და ძალადობის მეთოდებით აწიოკებდნენ. პარტია დღესაც თურქეთის პოლიტიკურ სარბიელზე აქტიურად მოქმედებს, მმართველ AKP პარტიასთან ერთად მეჯლისში კოალიცია აქვთ შექმნილი და ერთიანი ფრონტით გამოდიან)* გვ. 21, 49

ანგელა მერკელი - გერმანიის ფედერალური კანცლერი 2005-2021 წლებში *(ჯერ კიდევ სანამ კანცლერი გახდებოდა გამოხატავდა თავის უარყოფით შეხედულებას თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. კანცლერად მუშაობის დროს, ძირითადად ერდოღანის მიმართ იყო კრიტიკულად განწყობილი, რომელიც გერმანიაში ვიზიტების დროს, ადგილობრივ თურქებს ასიმილაციისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა. მერკელმა თურქულ ტელეარხთან ნ-24 ინტერვიუში განაცხადა, რომ თურქეთი არც გეოგრაფიულად და არც ფსიქოლოგიურად ევროპულ ქვეყანას არ წარმოაგდგენსო. ჟურნალ Forbes ვერსიით 2004-2017 წლებში ანგელა მერკელმა 12-ჯერ მოიპოვა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალის ტიტული. 2015 წელს ჟურნალ TIME მიხედვით მერკელი გახდა ევროპის ყველაზე ძლიერი ლიდერი)* გვ. 245, 257, 263, 277

ანდერს ფოგ რასმუსენი - ნატოს გენერალური მდივანი 2009-2014 წლებში *(დანიის პრემიერ-მინისტრი 2001-2009 წ.წ. უკრაინის პრეზიდენტის, პოროშენკოს მრჩეველი 2016-2019 წ.წ. მისი პრემიერობის დროს, 2005 წელს დიდი სკანდალი გამოიწვია*

მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებამ გაზეთებში, რამაც დაძაბა უთანხმოებები მუსლიმურ სამყაროსთან, რომელნიც მოუწოდებდნენ გლობალური ბოიკოტისკენ დანიურ პროდუქციაზე. ხასმუსენი ძალზე აკრიტიკებდა ხუსეთის აგრესიულ პოლიტიკას მეზობლების მიმართ და პუტინს აბრალებდა, რომ იგი მეზობელ ქვეყნებთან ქმნიდა „მუდმივად მბჟუტავ კონფლიქტებს“. მან ასევე განაცხადა „ხუსეთის აგრესია ევროპის ყველაზე სერიოზული კრიზისია ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ“) გვ. 243, 248

ანვარ მუჰამად ყარყაში - გაერთიანებული არაბული ემირატების საგარეო საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრი 2008 წლიდან 2021 წლის 10 თებერვლამდე *(ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კემბრიჯის უნივერსიტეტის კინგ'ზ კოლეჯის დოქტორანტი. 2006 წლიდან მოყოლებული ემირატების საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. დიპლომატიური აკადემიის პროფესორი. ამჟამად ემირატების პრეზიდენტის ხალიფა იბნ ზაიდ ან-ნაჰაიანის დიპლომატიური მრჩეველია და 2021 წლის ივლისში პრეზიდენტის დავალებით ერთკვირიანი ვიზიტით ეწვია აშშ-ს)* გვ. 204

ანტონიუ გუტერეში - გაეროს გენერალური მდივანი 2017 წლის 1 იანვრიდან... *(2021 წლის ივლისიდან მეორედ გადაირჩიეს გაერთიანებული მდივნის პოსტზე. პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი 1995-2002 წ.წ. 2005-2015 წლებში მუშაობდა გაერთიანებულ ერებთა საკითხების უმაღლეს კომისრად)* გვ. 80, 137-139

არიელ შარონი - ისრაელის პრემიერ-მინისტრი 2001-2006 წლებში *(ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი 1998-1999 წ.წ. ისრაელის სახელმწიფო სტრუქტურებში მრავალი მინისტრის პოსტი ეკავა, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია თავდაცვის მინისტრის პოსტი 1981-1983 წლებში. პრემიერ-მინისტრობისას 2006 წლის 4 იანვარს კომაში ჩავარდა და სიკვდილამდე, 2014 წლის 11 იანვრამდე კომაში დარჩა)* გვ. 145

ასად კაისერი - პაკისტანის ეროვნული მაჯლისის თავმჯდომარე 2018 წლიდან... *(2021 წლის 31.05 – 1.06 ისლამაბადში გაიმართა რეგიონული ინტეგრაციის თანამშრომლობის საერთაშორისო კონფერენცია, სადაც თურქეთის, აზერბაიჯანის და პაკისტანის მეჯლისის თავმდომარეებთან ერთად მონაწილეობდა ავღანეთის მეჯლისის თავმჯდომარე მირ ხაჰმან ხაჰმანი)* გვ. 298

ASALA (ასალა) - „სომხეთის განთავისუფლების სომხური საიდუმლო არმია“ *(შეიქმნა 1975 წელს ბეირუთში და მისი მთავარი დანიშნულება იყო, ტერორისტული აქტების გამოყენებით, მკვლელობებით და დაშინებით აეძულებინა თურქეთი ელიარებინა 1915 წლის „სომხების გენოციდი“)* გვ. 37, 38, 39

ასკარ აკაევი - ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1991-2005 წლებში *(1989-1990 წლებში ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. 1990-1991 წლებში ყირგიზეთის სსრ პრეზიდენტი. 1991, 1995, 2000 წლებში სამჯერ იყო არჩეული ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად. 2005 წლის 24 მარტის „ტიტების რევოლუციის“ შედეგად, დატოვა პრეზიდენტის თანამდებობა და ქვეყნიდან გაიქცა. 2021 წლის 2 აგვისტოს ყირგიზეთის სახ. უშიშროების კომიტეტის ძალებით ჩამოყვანილ იქნა ქვეყანაში)* გვ. 49, 66

აშრაფ ღანი - ავღანეთის პრეზიდენტი 2014 – 2021 წლებში (*2002-2004 წ.წ. იყო ავღანეთის ფინანსთა მინისტრი და დაასახელეს აზიის ყველაზე წარმატებულ ფინანსთა მინისტრად. 2004 წლიდან ქაბულის უნივერსიტეტის რექტორი. 2006 წელს წარდგენილი იყო გაერთიანებული მდივნის თანამდებობაზე, მაგრამ არჩევნებში დამარცხდა პან გი მუნთან. 2021 წლის 15 აგვისტოს ტალიბების მიერ ქაბულის აღებისას, ქვეყნიდან გაიქცა და თან გაიყოლა 169 მილიონი აშს დოლარი. ამჟამად არბთა გაერთიანებულ ემირატებშია)* გვ. 299, 300, 301

აჰმად ნასერ ას-საბაჰი - ქუვეითის საგარეო საქმეთა მინისტრი 2019 წლიდან... *(სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტი. 2019 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა დააჯილდოვა საფრანგეთის ლეგიონის საპატიო რაინდის მედლით)* გვ. 203

აჰმედ აბულ ღაიტი - არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივანი 2016 წლიდან *(დიპლომატი. ეგვიპტის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში 1999 – 2004 წ.წ. ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი 2004-2011 წ.წ. 2021 წლის მარტიდან ხელმეორედ გადაირჩიეს ასლ-ის გენ. მდივნად)* გვ. 184

აჰმეთ დავუთოღლუ - თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი 2014-2016 წლებში *(თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2009-2014 წ.წ. თურქეთის საგარეოპოლიტიკური მრავალმხრივი მიმართულებისა და მრავალწახნაგოვანი ვექტორის ფუძემდებელი. XXI საუკუნის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ახალი საფუძვლების არქიტექტორი. 2016 წლის 5 მაისს გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან პრეზიდენტ ერდოღანთან მთელი რიგი უთანხმოებების გამო. 2019 წლის 12 დეკემბერს შექმნა ახალი პოლიტიკური „მომავლის პარტია“)* გვ. 8-10, 17, 46, 62, 81, 90, 106, 115, 116, 120, 133, 135, 136, 142, 152, 154, 191, 193, 225, 244, 260, 261, 263, 279

აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2000-2007 წლებში *(ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამხედრო აკადემიაში, ხოლო შემდეგ ანკარის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოში. 1998 წლიდან 2000 წლამდე მუშაობდა თურქეთის კონსტიტუციური სასამართლოს თავმჯდომარედ)* გვ. 40, 60, 75, 84

ბ

ბარაკ ობამა - აშშ-ის 44-ე პრეზიდენტი 2009-2017 წლებში (დემოკრატი. *2005-2008 წლებში იყო აშშ-ის სენატორი ილინოისის შტატიდან. პრეზიდენტად არჩევისთანავე განაცხადა, რომ აშშ-ის ჯარების შესვლა ერაყში შეცდომა იყო და მათი გამოყვანის გეგმა დასახა. დიდი პოპულარობა მოიპოვა ისლამურ სამყაროში, როდესაც 2009 წელსვე ეწვია აღ-აზჰარის უნივერსიტეტს ქაიროში და იქიდან მიმართა მსოფლიოს მუსლიმებს. 2009 წლის 9 ოქტომბერს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, ბირთვული იარაღის შემცირების მოთხოვნისა და მშვიდობიანი მოწოდებების საპასუხოდ)* გვ. 148, 149, 156, 158, 176, 191, 224, 225, 226, 243, 246, 259

ბარჰამ სალიჰი - ერაყის პრეზიდენტი 2018 წლიდან... *(ერაყის ქურდისტანის რეგიონის პრემიერ-მინისტრი 2009-2012 წ.წ. ერაყის ვიცე-პრემიერი 2006-2009 წ.წ. 1987 წელს ლივერპულის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო ნაშრომი სტატისტიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში. 1976 წლიდან არის „ქურდისტანის პატრიოტული კავშირის“ წევრი)* გვ. 183

ბაშარ ალ-ასადი - სირიის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტი 2000 წლიდან... *(ჰაფეზ ასადის ვაჟი. „არაბული გაზაფხულის“ დაწყებისთანავე, სირიაში ანტისახელისუფლო გამოსვლები დაიწყო, რომელიც ბაშარ ასადის განკარგულებით სასტიკად ჩაახშეს, რასაც საერთაშორისო უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. დასავლეთის ქვეყნებმა ბაშარ ასადის რეჟიმს ბრძოლა გამოუცხადეს, ხოლო რუსეთმაითავა ბაშარტ სადის გადარჩენა. რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიის საკითხზე გაერო-ში, სირიამ რუსეთის მხარე დაიჭირა. ასევე გაერო-ში „საქართველოს ლტოლვილების საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების რეზოლუციას“, სირიის მხარე მუდამ უარყოფითად აფასებს. ერდოღანი ბაშარ ასადის გადაყენების და მისი რეჟიმის დამხობის მომხრეა)* გვ. 88, 90, 153-155, 157, 159, 164,167, 190, 192, 194, 199, 226, 245, 260, 281, 295

ბერნარ გარსია - საფრანგეთის ელჩი თურქეთში 1999-2004 წლებში *(ენერგიულად უჭერდა მხარს თურქეთის გაწევრიანებას ევროკავშირში)* გვ. 40

ბერნარ კუშნერი - საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2007-2010 წლებში *(განათლებით ექიმი. საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრი 1992-1993 წ.წ. ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1994 წელს გახდა ევროპარლამენტის დეპუტატი. 1999 წელს კოსოვოში გაეროს წარმომადგენელი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოში იყო)* გვ. 46

ბექირ ბოზდაღი - თურქეთის რესპუბლიკის 2-გზის ვიცე-პრემიერი 2011-2013 და 2017-2018 წლებში *(თუჰქეთის იუსტიციის მინისტრი 2013-2015 და 2015-2017 წ.წ. 2002 წლიდან დღემდე 4 ახჩევნების შედეგად დიდი ეროვნული მეჯლისის დეპუტატი)* გვ. 162,265

ბექირ სამი ბეი - თურქეთის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი 1920-1921 წლებში *(თუჰქეთის ეროვნული მეჯლისის მთავრობის თავმჯდომარის ათათუჰქის გადაწყვეტილებით, ახლადშექმნილ საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრად დაინიშნა. ჰუსეთის იმპერიიდან ოსმალეთში გადასახლებული მუჰაჯირთა ოჯახის წარმომადგენელი, ეთნიკურად ოსი.)* გვ. 275

ბილ კლინტონი - აშშ-ის 42-ე პრეზიდენტი 1993-2001 წლებში *(დემოკრატი. პრეზიდენტად არჩევამდე 5-ჯერ იყო არკანზასის შტატის გუბერნატორი. დიდი წვლილი შეიტანა 1995 წლის დეიტონის შეთანხმების ხელმოწერის საქმეში. 1999 წელს აქტიურად ჩაერთო კოსოვოს საკითხის მშვიდობიანად მოგვარების საქმეში და აიძულა მილოშევიჩი ჯარები გაეყვანა კოსოვოდან, რამაც გზა გაუხსნა კოსოვოს დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ. კოსოვოს ლედაქალაქ პრიშტინაში, ბილ კლინტონის სახელობის ბულვარში 2009 წლის 1 ნოემბერს გაიხსნა ბილ კლინტონის 3,5 მეტრიანი მონუმენტი, რომელსაც თვით ექს-პრეზიდენტი დაესწრო. 2013 წელს ბილ კლინტონს მიენიჭა საქართველოს წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი. ბილ კლინტონი ენერგიულად მონაწილეობდა ნატოს აღიანსის გაფართოვების პროცესში და მიუხედავად რუსეთის დიდი წინააღმდეგობისა, ხელი შეუწყო ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ნატოში მიღებას)* გვ. 70, 71

ბინალი ილდირიმი - თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი 2016-2018 წლებში *(თუჰქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე 2018-2019 წ.წ. 2002-დან 2016 წლამდე შესვენებებით, 4-ჯერ იყო თუჰქეთის ტრანსპორტის, საზღვაო და კავშირგაბმულობის მინისტრი. 2021 წლის 25 მარტიდან არის „სამართლიანობის და განვითარების პარტიის“ AKP გენერალური თავმჯდომარის ლეჯებ თაიფ ერდოღანის მოადგილე)* გვ. 124, 137, 178, 181, 269, 270

ბინიამინ ნეთანიაჰუ - ისრაელის პრემიერ-მინისტრი 1996-1999 და 2009-2021 წლებში (*2018-2019 წლებში პარალელურად იყო ისრაელის თავდაცვის მინიტრი. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი 2002-2003 წ.წ. ისრაელის ფინანსთა მინისტრი 2003-2005 წ.წ. ისრაელის ქნესეტში ოპოზიციის ლიდერი 2005-2009 წ.წ. 1984-1988 წლებში ისრაელის წარმომადგენელი გაეროში. ნეთანიაჰუს ხშირად აკრიტიკებს ერდოღანი ღაზას სექტორში პალესტინელთა მდგომარეობის გამო, თავის მხრივ ნეთანიაჰუ მას ადანაშაულებს ქურთების შევიწროვებისა და „სომეხთა გენოციდის“ უარყოფის გამო)* გვ. 146, 148, 150 -152

ბიულენთ ეჯევითი - თურქეთის რესპუბლიკის 4-გზის პრემიერ-მინისტრი 1974 წლიდან 2002 წლამდე (*1944 წელს დაამთავრა სტამბოლის პრესტიჟული ამერიკული „ორბერტ-კოლეჯი“. 1974 წელს მისი ბრძანებით შეიჭრა თურქეთის არმია კიპროსზე. 1987-2004 წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა „დემოკრატიულ მემარცხენე პარტიას“. პოეტი, მთარგმნელი)* გვ. 40, 83

ბორის ელცინი - რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი 1991-1999 წლებში *(საბჭოთა პარტიული მუშაკი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლაში თავისი წვლილი შეიტანა. მისი პრეზიდენტობის წლები მიჩნეულია რუსეთის ეკონომიკური ოფოორმების წარუმატებლობით და პოლიტიკური კრიზისით. ბრალდება ჩეჩნეთის ომების კატასტროფული შედეგები)* გვ. 82, 83

ბორის ტადიჩი - სერბეთის პრეზიდენტი 2004 – 2012 წლებში *(არის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი 2014 წლიდან. სერბეთის ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირში გაწევრიანების მხურვალე მომხრე. 2000-2001 წლებში იყო იუგოსლავიის ტელეკომუნიკაციების მინისტრი და ამავე დროს ასრულებდა თავდაცვის მინისტრის მოვალეობასაც)* გვ. 112

გ

გამალ აბდელ ნასერი - ეგვიპტის პრეზიდენტი 1956-1970 წლებში *(1952 წელს ხელმძღვანელობდა მეფე ფარუკის დამხობას. ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრი 1953-1954 წ.წ. 1956 წელს ნასერის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის გამოცხადების შედეგად დაიწყო სუეცის კრიზისი, რომლის შემდეგაც ავტორიტეტი მოიხვეჭა არაბულ სამყაროში. 1958-1961 წლებში ხელმძღვანელობდა ეგვიპტისა და სირიის გაერთიანებულ არაბთა რესპუბლიკას. 1967-1970 წელს პრემიერ-მინისტრის მოვალეობასაც ითავსებდა)* გვ. 206

გეორგიოს პაპანდრეუ - საბერძნეთის პრემიერ მინისტრი 2009-2011 წლებში *(1999-2004 და 2009-2010 წლებში საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. პრემიერ-მინისტრობის დროს ასევე ითვლებოდა ათონის წმ. მთის გუბერნატორად)* გვ. 119, 120

გიორგი მარგველაშვილი - საქართველოს პრეზიდენტი 2013-2018 წლებში *(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2012-2013 წ.წ.)* გვ. 24

დ

დანიელ (დან) აიალონი - ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე 2009-2010 წლებში *(2002-2006 წლებში ისრაელის ელჩი აშშ-ში. ცნობილია „დაბალი სკამის“ დიპლომატიური სკანდალით თურქეთის ელჩის მიღებისას)* გვ. 147

დარხან ქიდირალი - თურქული საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი 2014 წლიდან *(ყაზახი ისტორიკოსი. სადოქტორო დაიცვა სტამბოლს უნივერსიტეტში თემაზე - „ეთნიანი თურქესტანის იდეა“. არის ყაზახეთის აკადემიის წევრი. ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, მონღოლეთის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო დოქტორი. მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი)* გვ. 34

დევლეთ ბაჰჩელი - თურქეთის „ნაციონალისტური მოძრაობის პარტიის“ MHP თავმჯდომარე *(თურქეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი 1999-2002 წ.წ. ახალგაზრდობაში გაწევრიანდა „ხუთი მგლების“ ულტრამემარჯვენე მოძრაობაში და 1997 წელს აღფარსლან თურქეშის გარდაცვალების შემდეგ პარტიის ლიდერი გახდა. 2015 წლიდან დაუახლოვდა ერდოღანს და 2018 წლის არჩევნებში მმართველ პარტიასთან ერთად „სახალხო ალიანსის“ სახელით მონაწილეობდა და მეჯლისში კოალიცია შექმნეს)* გვ. 81, 124

დეივიდ სატერფილდი - აშშ-ის ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში 2019 წლიდან... *(სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ახლო აღმოსავლეთის საკითხებში 2017-2019 წ.წ. სახელმწიფო მდივნის წარმომადგენელი ქაიროში 2013-2014 და ლიბიაში 2014 წლებში. აშშ-ის ელჩი ლიბანის რესპუბლიკაში 1998-2001 წ.წ.)* გვ. 235, 236

დერვიშ ეროღლუ - ჩრდილოეთ კიპროსის (ჩკრთ) პრეზიდენტი 2010-2015 წლებში *(ორჯერ იყო ჩრდილოეთ კიპროსის (ჩკთრ) პრემიერ-მინისტრი 1985-1994 და 1996-2004 წ.წ. „ერთიანობის პარტიის“ ლიდერია. იგი არ ემხრობა კუნძულის გაერთიანების ვარიანტს და სამხრეთ, ანუ ბერძნული კიპროსის მიმართ „ხისტი პოლიტიკის“ გატარების მომხრეა)* გვ. 132, 134,135

დიკ ჩეინი - აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი 2001-2009 წლებში (*1989-1993 წლებში აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, ომლის დროსაც 1991 წელს ერაყში განხორციელდა ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“. აშშ-ის პრეზიდენტის ჯერარდ ფორდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 1975-1977 წ.წ.)* გვ. 222

დიმიტრი მედვედევი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 2008-2012 წლებში *(რუსეთის პრემიერ-მინისტრი 2012-2020 წ.წ.)* გვ. 86

დიმიტრის ქრისტოფიასი - კიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2008-2013 წლებში *(კიპროსის პარლამენტის თავმჯდომარე 2001-2008 წ.წ. პრეზიდენტად არჩევისას განაცხად, რომ ყველაფერს იღონებს კიპროსის გაერთიანებისთვის. დაგარეო პოლიტიკაში ნეიტრალიტეტს ემხრობოდა და ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო)* გვ. 131-133

დონალდ ტრამპი - აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი 2017-2021 წლებში *(რესპუბლიკელი. მეწარმე-მილიარდერი. პრეზიდენტმა მკვეთრად შეამცირა მიგრანტთა შედინების ნაკადი და ლტოლვილთა მიღების კვოტები აშშ-ში. აქტიურად იბრძოდა ტერორისტული და ექსტრემისტული ძალების წინააღმდეგ. 2017 წლის მაისში გააჟღერა „არაბული ნატოს“ შექმნის იდეა, რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით. ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში დაიძაბა ურთიერთობები თურქეთთან)* გვ. 94, 149, 200, 227, 228, 229, 230, 232 – 235, 250, 301

ე

ედვარდ ნალბანდიანი - სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 2008-2018 წლებში *(დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი (მგიმო) და ასევე, მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1992 - 1998 წლებში მუშაობდა: სომხეთის ელჩად ეგვიპტე, მაროკო, ომანში; 1999 წლიდან - საფრანგეთში; 2000 წლიდან - ისრაელში; 2004 წლიდან - ანდორაში. 2006 წლიდან სომხეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი სხვადასხვა ქვეყნებში)* გვ. 45

ედუარდ შევარდნაძე - საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წლებში *(სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი 1985-1990 წ.წ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 1992-1995 წ.წ. 1998 წელს ხელი მოაწერა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტს. საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი 1972-1985 წ.წ.)* გვ. 13, 14

ევანგელოს ვენიზელოსი - საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი 2013-2015 წლებში *(საბერძნეთის ფინანსთა მინისტრი და მთავრობის მუდმივი კომიტეტის წევრი საგარეო ურთიერთობების საკითხებში 2011-2013 წ.წ. საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი 2009-2011 წ.წ. საბერძნეთის კულტურისა და სპორტის მინისტრი 2000-2004 წ.წ.)* გვ. 135

ევროკავშირი - ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება *(დღეისათვის აერთიანებს ევროპის 27 სახელმწიფოს. საერთო ვალუტა - ევრო, მოქმედებს 1999 წლის 1*

იანვრიდან. 2012 წელს ევროკავშირს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. მოღაპარაკებებს აწარმოებს ნატოს აღიანსთან, რომ შეიქმნას ევროკავშირის შეიარაღებული ძალები) გვ. 255-267, 269-274, 302

ელისაბედ II - დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის დედოფალი 1952 წლიდან... *(ელისაბედი ითვლება დიდი ბრიტანეთის სამეფოს თანამეგობრობის სახელმწიფოთა და ასევე, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად)* გვ. 258

ემანუელ მაკრონი - საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2017 წლიდან... *(საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი 2014-2016 წ.წ. საფრანგეთის პრეზიდენტის (ფრანსუა ოლანდი) გენერალური მდივნის მოადგილე 2012-2014 წ.წ. 2016 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის წინ გამოაქვეყნა წიგნი-პროგრამა „რევოლუცია“, რომელიც მალევე ბესტსელერად იქცა)* გვ. 254, 255

ემომალი რაჰმონ - ტაჯიკეთის პრეზდენტი 1994 წლიდან... *(ტაჯიკეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1992-1994 წ.წ. გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილე 1999-2000 წ.წ. 2015 წელს მიენიჭა სახელი „მშვიდობისა და ეროვნული ერთიანობის ფუძემდებელი - ერის ლიდერი“)* გვ. 75, 76

ენდრიუ ბრანსონი - თურქეთში მომუშავე ამერიკელი ევანგელისტი პასტორი *(1990-იანი წლებიდან თურქეთის ქალაქ იზმირში პროტესტანტულ ეკლესიაში ქადაგებდა და 23 წლის განმავლობაში ოჯახით იქ ცხოვრობდა. 2016 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ, იგი ეჭვმიტანილ იქნა ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციასთან კავშირში, თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ჯაშუშურ მოქმედებებში და 2016 წლის ნომბერში დააპატიმრეს. ამას მოჰყვა აშშ-ისა და თურქეთს შორის დაძაბულობა, რომელიც 2018 წლიდან თურქეთის მიმართ სანქციებში გამოიხატა. 2018 წლის ოქტომბერში ბრანსონი გაათავისუფლეს და აშშ-ში დაბრუნდა)* გვ. 227, 228

ენტონი ბლინკენი - აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2021 წლის 26 იანვრიდ ან... *(აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე 2015-2017 წ.წ. აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველის მოადგილე ეროვნული უშიშროების საკითხებში 2013-2015 წ.წ. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში 2011-2013 წ.წ. მონაწილეობდა მეტად მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ პროექტებში პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციაში: უსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციისა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ოპერაციის დაგეგმვაში)* გვ. 289

ერსინ თათარი - ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის (ჩკთრ) პრეზიდენტი 2020 წლიდან... *(ჩკთრ -ის პრემიერ მინისტრი 2019-2020 წ.წ. ჩკთრ-ის ფინანსთა მინისტრი 2009-2013 წ.წ. 2019 წელს მხარი დაუჭირა თურქეთის შეჭრას სირიის ტერიტორიაზე. ერდოღანის დიდი მხარდაჭერა აქვს და რადიკალურ გეგმებს აჟღერებს. მას მიაჩნია, რომ აუცილებელია კუნძულ კიპროსზე ორი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც კიპროსის პრობლემას გადაჭრის)* გვ. 140

ექრემ იმამოღლუ - სტამბოლის მერი 2019 წლიდან... *(„რესპუბლიკური-სახალხო პარტიის“ წევრი 2008 წლიდან. 2014-2019 წ.წ. ქალაქ სტამბოლის ბეიოლიქდუზუს რაიონის მერად მუშაობდა. ოპოზიციური პარტიის კანდიდატის გამარჯვებას სტამბოლის მერის არჩევნებში, დიდი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან თურქეთის ყველაზე მთავარ ქალაქში და პარალელურად, სხვა მნიშვნელოვან ქალაქებშიც: ანკარაში, იზმირში, ადანაში, ანტალიაში, მერსინში ოპოზიციური ძალების ქალაქის მერებად მოსვლის ფაქტი, მმართველმა პარტიამ მტკივნეულ პოლიტიკურ დარტყმად მიიღო)* გვ. 269, 270, 287, 288

ეშტონ კარტერი - აშშ-ის თავდაცვის მინისტრი 2015-2017 წლებში *(აშშ-ის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე 2013-2015 წ.წ. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ლოჯისტიკის, ტექნოლოგიების შეძენის და შეიარაღების შესყიდვის სფეროში 2009-2011 წ.წ. თავდაცვის მინისტრის პოსტზე პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ იგი 2014 წელს წარადგინა და სენატმა ეს კანდიდატურა 2015 წლის 1 თებერვალს მოიწონა)* გვ. 160, 246

ვ

ვან ი - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 2013 წლიდან... *(ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწე 1998-2001 წ.წ. 2001 წელს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ, რაც ჩინეთის ისტორიაში ასეთი ახალგაზრდა მინისტრის მოადგილის დანიშვნის პირველი შემთხვევა იყო. 2004-2007 წლებში იაპონიაში ასრულებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის მოვალეობას. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე 2007-2008 წ.წ. 2008 წელს დაინიშნა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს კანცელარიის ხელმძღვანელად ტაივანის საკითხებში და 2013 წლამდე დაჰყო აღნიშნულ თანამდებობაზე)* გვ. 293, 296, 301

ვარდან ოსკანიანი - სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1998-2008 წლებში *(დაბადებულია აღეპოში. სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში 1985-1989 წ.წ. ფლეტჩერის დიპლომატიური სკოლა 1988-1991 წ.წ. 1992 წლიდან მუშაობდა სომხეთის საგარეო საქმეთა*

სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1996 წელს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი) გვ. 43, 44

ვარუჟან კარაპეტიანი - სომხური საიდუმლო არმიის „ასალა“-ს წევრი (იგი „ასალა“-ს საფრანგეთის ფლანგს მეთაურობდა და1983 წლის 15 ივლისს პარიზის აეროპორტ „ორლი“-ის თურქული ავიახაზების ოფისთან განხორციელებული ტერაქტის შემსრულებელი იყო. ტერაქტის შედეგად დაიღუპა 2 თურქი, 4 ფრანგი, 1 შვედი და 1 ამერიკელი, 55 ადამიანი დაშავდა. საფრანგეთის სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ 2001 წელს გაათავისუფლეს. სომხეთში გაემგზავრა, სადაც 2019 წელს გარდაიცვალა) გვ. 39, 41

ვლადიმირ პუტინი - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 2012 წლიდან... *(საბჭოთა უშიშროების გამოცდილებით აღჭურვილი პოლიტიკური მოღვაწე. რუსეთის პრეზიდენტი 2000-2008 წ.წ. რუსეთის პრემიერ-მინისტრი 2008-2012 წ.წ. საქართველოს წინააღმდეგ ომისათვის მზადება 2006 წლიდან დაიწყო და 2008 წლის აგვისტოში აგრესია განახორციელა, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულ იქნა რუსეთის სამხედრო ძალების მიერ. მსოფლიო ცივილიზებული საზოგადოება აღიარებს „რუსული აგრესიის“ საშიშროებას, საყოველთაოდ გმობს მას და ყოველმხრივ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას)* გვ. 15, 57, 84-86, 88, 89, 91-93, 98, 99, 101, 157, 158, 162, 166, 167, 169, 224, 229, 264

ვიკტორ ორბანი - უნგრეთის პრემიერ-მინისტრი 1998-2002 წ.წ. და 2010 წლიდან... *(2010 წლიდან მან განახორციელა მთელი რიგი ლეფორმები: სახელმწიფოს დასახელება „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა“ შეცვალა „უნგრეთით“; არჩევნებში ხმის უფლება ეძლევა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვრებ უნგრელებს, იმათაც კი, ვისაც უნგრეთში არასდროს არ უცხოვრია; კონსტიტუციაში შეიტანეს დებულება, რომ ამიერიდან უნგრელ ხალხს აერთიანებს ღმერთი და ქრისტეანობა; კანონით აიკრძალა აბორტი და ერთსქესიანთა ქორწინებები; შემცირდა დეპუტატთა რაოდენობა პარლამენტში - 386-დან 199-მდე)* გვ. 56

ზ

ზეინო ბარანი - აშშ-ის ჰადსონის უნივერსიტეტის ევრაზიის პოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელი *(აშშ-ის პრესიჟული სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სწავლების შემდეგ, 2003 წლიდან 2006 წლამდე ჰადსონის უნივერსიტეტთან არსებული ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის დირექტორი იყო. ისლამური იდეოლოგიის საკითხების სპაციალისტია. 2007 წლის აგვისტოში მეთიუ ბრაიზასთან დაქორწინდა. ქორწილი სტამბოლში გადაიხადეს)* გვ. 225

ზურაბ ჟვანია - საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2004-2005 წლებში (*1988 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა პოლიტიკური პარტია „საქართველოს მწვანეები“. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 1995-2001 წ.წ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი 2003-2004 წ.წ. დაილუპა 2005 წლის თებერვალში. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში*) გვ. 17

თ

თამიმ იბნ ჰამად ას-სანი - ყატარის ამირა 2013 წლიდან... *(ამირას პოსტი დაიკავა მამამისის ჰამად იბნ ხალიფას გადადგომის შემდეგ. დაამთავრა დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო აკადემია. დიდ ყურადღებას უთმობს სპორტის განვითარებას ყატარში. არის ყატარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი. კურირებს ფეხბურთში 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს. ყატარი ასევე აქტიურად ემზადება კრივში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებისთვის)* გვ. 203

თარხან ბათირაშვილი - „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტული ორგანიზაციის „სამხედრო მინისტრი“ *(პანკისის ხეობის სოფ. ბირკიანიდან. 2013 წელს მოხვდა სირიის სამოქალაქო ომში ბაშარ ასადის წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც სათავეში ჩაუდგა ტერორისტულ ჯგუფს „ჯაიშ ალ-მუჰაჯირინ ვა ალ-ანსარ“. 2014 წლიდან უკვე „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფებაში გაწევრიანდა, სახელი აბუ ომარ აშ-შიშანი მიიღო და 2014 წლის 10 ივნისს მოსულის აღებაში დიდი წვლილი შეიტანა, რისთვისაც დიი პოპულარობა მოიპოვა და ჯიჰადისტთა მთავარი საველე მეთაური გახდა. 2016 წლის 10 ივნისს მოსულის სამხრეთით კოალიციის ავიაციის საჰაერო დარტყმების შედეგად აბუ ომარ აშ-შიშანი დაიღუპა)* გვ. 174

თიკა (TİKA) - თურქული თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო (1992 წლის იანვარში შეიქმნა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მოქმედი სააგენტო, რომელსაც ახლადწარმოქმნილი თურქულენოვანი სახელმწიფოებისთვის სოციალური, ეკომომიკური და კულტურული სახის დახმარება უნდა გაეწია. თავიდან თიკას პროგრამები თურქეთის საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა და მათი გახსნილი ოფისები აქტიურად ზრუნავდნენ თურქული ენის, კულტურის და ლიტერატურის გავლენის გავრცელებაზე.1999 წლიდან თურქეთის მინისტრთა საბჭოს დაექვემდებარა. ამჟამად თიკა, თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროსთან არსებული ორგანიზაციაა, რომელიც საქმიანობს შუა აზიის, ბალკანეთის, კავკასიის აღმოსავლეთ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის თითქმის 150-მდე ქვეყანაში. თიკას ცენტრალურ სააგენტოს 59 ქვეყანაში თავისი ოფისები აქვს განთავსებული, სადაც თურქეთის სახელმწიფოს ეგიდით მიმდინარეობს სარესტავრაციო, ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების, სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის დარგებში დახმარების პროექტები მათი განვითარების მიზნით) გვ. 16, 19, 50, 74, 117

თურგუთ ოზალი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1989-1993 წლებში *(გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკოსი. ცნობილია მისი 1980 წლის 24 იანვარს გამოცხადებული „თურქეთის ეკონომიკური გეგმა“, რაც მომავალი ეკონომიკური მიღწევების ძირითადი გზამკვლევი გახდა. თურქეთის პრემიერ-მინისტრი 1983-1989 წ.წ. უზარმაზარი წვლილი მიუძღვის თურქეთის ეკონომიკური აღორძინების, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებისა და საგარეოპოლიტიკური კურსის განმტკიცების საქმეში. საფუძველი ჩაუყარა თურქეთის მიერ წამოწყებულ მონათესავე თურქული სამყაროს ქვეყნების შეკავშირებისა და მათთან დაახლოვების პროცესს)* გვ. 7, 12, 21, 22, 49, 70, 82

<u>ი</u>

იბრაჰიმ კალინი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პრეს-მდივანი 2014 წლიდან *(2018 წლიდან ასევე ასრულებს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უშიშროებისა და საგარეო საქმეთა კომიტეტის მდივნის და პრეზიდენტის მთავარი მრჩევლის მოადგილის მოვალეობას. 2012-2014 წლებში ეკავა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველის მოადგილის თანამდებობა. თურქეთის პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში 2009-2012 წ.წ. აკადემიკოსი. წერს სიმღერებს)* გვ. 212

იგორ ივანოვი - რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი 1998-2004 წლებში *(რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანი 2004-2007 წ.წ. 2011 წლიდან მუშაობს რუსეთის საერთაშორისო საქმეთა საბჭოს პრეზიდენტად. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი. მოსკოვის საერთაშორისო ინსტიტუტის (მგიმო) პროფესორი.1989 წელს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი. 2003 წლის ნოემბერში შუამავლის როლი შეასრულა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისში. ბავშვობისას, 6 წლის ასაკამდე იზრდებოდა დედამისის მშობლებთან ახმეტაში)* გვ. 83

იენს სტოლტენბერგი - ნატოს გენერალური მდივანი 2014 წლიდან... *(ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი 2000-2001 წ.წ. და 2005-2013 წ.წ. ნატოს ბლოკის ხელმძღვანელად არჩევის შემდეგ, ძირითადი ყურადღება გაამახვილა აღიანსის სამხედრო ძლიერების გაზრდაზე. დიდ ყურადღებას იჩენს ნატოს აღმოსავლეთ ევროპის წევრი ქვეყნების მიმართ, მათი რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების შექმნის გამო)* გვ. 246, 247, 249, 252, 253, 263

ილჰამ ალიევი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2003 წლიდან... *(ჰაიდარ აღიევის ვაჟი. სამჯერ აქვს შესრულებული მუსლიმთა წმინდა ჰაჯი. სამხედრო - სტრატეგიული ურთიერთობები აქვს თურქეთთან. დაჯილდოვებულია საქართველოს ღირსების ორდენით - 2003 წ. და წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენით - 2013 წ.)* გვ. 24, 25, 29, 32-34, 55, 57

იმრან ხან - პაკისტანის პრემიერ-მინისტრი 2018 წლიდან... *(ყოფილი პროფესიონალი კრიკეტის მოთამაშე. 1982-1992 წლებში იყო პაკისტანის ეროვნული ნაკრების კაპიტანიო კრიკეტში. შექმნა პოლიტიკური პარტია „მოძრაობა სამართლიანობისთვის“ და პოპულარული პოლიტიკური მოღვაწე გახდა, მის მიტინგებზე ასიათასობით ადამიანი მოდიოდა. პაკისტანელი ტალიბანები მას „უჯულოს“ ეძახიან მისი ლიბერალური შეხედულებების გამო. ახლო ურთიერთობები აქვს ჩეჯებ თაიფ ერდოღანთან)* გვ. 294, 297

იოსი კოენ - ისრაელის საგარეო დაზვერვის სამსახურის „მოსსად“-ის დირექტორი 2016-2021 წლებში *(მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში 2013-2016 წ.წ. პალესტინის პრობლემის მოგვარება, ი. კოენს განსხვავებულად ესმის და 2019 წლის 29 სექტემბერს გაზეთი „იერუსალიმ პოსტი“ წერდა: „კოენს არ სჯერა, რომ სამშვიდობო პროცესში რამე შეიცვლება, სანამ პალესტინის პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი არ დატოვებს თანამდებობას“)* გვ. 202

იოსიპ ბროზ ტიტო - იუგოსლავიის პრეზიდენტი 1953-1980 წლებში *(იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და იუგოსლავიის სახალხო თავდაცვის მინისტრი 1945-1953 წ.წ. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის გენერალური მდივანი 1952-1980 წ.წ. ტიტო და სტალინი ერთმანეთს მტრობდნენ)* გვ. 106

იოჰანეს ჰაანი - ევროკავშირის გაფართოებისა და კეთილმეზობლური პოლიტიკის ევროკომისარი 2014-2019 წლებში *(ევროკომისარი ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის საკითხებში 2010-2014 წ.წ. ავსტრიის ფედერალური მინისტრი მეცნიერებისა და კვლევების საკითხებში 2007-2010 წ.წ.)* გვ. 262, 270

ირაკლი ღარიბაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2021 წლის 22 თებერვლიდან *(საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ გამგეობის თავმჯდომარე-გენერალური დირექტორი 2005-2012 წ.წ. 2012 წელს საქართველოს პარლამენტის მე-8 მოწვევის წევრი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2012-2013 წ.წ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2013-2015 წ.წ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი 2019-2021 წ.წ.)* გვ. 19, 20

ირაჯ მასჯედი - ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი ერაყში 2017 წლიდან... *(ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსში სამსახურის 35 წლის სტაჟი აქვს და „კუდსის ძალების“ ერთ-ერთი ყოფილი მეთაურია. ყასემ სულეიმანის მჩევლად ითვლებოდა)* გვ. 196, 197

ისლამ ქარიმოვი - უზბეკეთის პრეზიდენტი 1991-2016 წლებში (*უზბეკეთის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი 1989-1991 წ.წ. უზბეკეთის სსრ პრეზიდენტი 1990-1991 წ.წ. თავის ქვეყანაში დამყარებული ჰქონდა მკაცრი დიქტატორული რეჟიმი და ერიდებოდა თურქეთთან ახლო ურთიერთობებს, ვინაიდან ცდილობდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას)* გვ. 13, 49, 55, 58-62

„ისლამური სახელმწიფო“ ISIS - საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია *(წარმოიშვა ერაყში 2006 წელს „აღ-ყაიდას“ ბაზაზე, სახელით „ერაყის ისლამური სახელმწიფო“. 2013 წელს გაერთიანდნენ სირიის ისლამისტურ დაჯგუფებებთან და დაერქვა „ერაყის და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“. 2014 წლიდან მოსულის აღებისა და „ისლამური სახალიფოს' გამოცხადების შემდეგ, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციის სტრუქტურას „ისლამური სახელმწიფო“ დაერქვა. 2014 წლის დასაწყისიდან „აღ-ყაიდას“ ლიდერმა აიმან აზ-ზავაჰირიმ, უარი თქვა მათთან თანამშრომლობაზე. 2014 წლის ზაფხულის პერიოდში „აისის“ ჯიჰადისტურმა დაჯგუფებამ მოკლე ხანში დაიკავა ერაყისა და სირიის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი და აშშ-ის მეთაურობით საერთაშორისო კოალიციური ძალები ჩაერთვნენ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. 2017 წლისთვის აღნიშნული ტერორისტული დაჯგუფების სამხედრო ნაწილები დამარცხებულ იქნენ, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანეს სირიისა და ერაყის ეთნიკური ქურთების შეიარაღებულმა ძალებმა. 2018 წლისთვის დამარცხებული „ისლამური სახელმწიფოს“ გარკვეულმა ჯგუფებმა რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებს შეაფარეს თავი და დღესაც, საერთაშორისო მასშტაბის დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. ამას მოწმობს 2021 წლის 26 აგვისტოს ქაბულის აეროპორტში განხორციელებული სისხლიანი ტერაქტი, რომელიც თავის თავზე აიღო „აისის“ დაჯგუფებამ)* გვ. 155, 156, 159, 161, 173-181, 229-232, 246

ისმაილ ჯემი - თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1997-2002 წლებში (*4-გზის იყო ახჩეული თუხქეთის დიდი ეხოვნული მეჯლისის დეპუტატად 1987-1991-1995-1999 წ.წ. თუხქეთის ხადიო-ტელევიზიის TRT გენეხალური დიხექტოხი 1974-1975 წ.წ. თუხქეთის კულტუხის მინისტხი 1995 წ. ევხოსაბჭოს საპახლამენტო და ევხოპის გაეხთიანების ასამბლეის წევხი 1987-1996 წ.წ. 1959 წელს ხობეხტ-კოლეჯის დასხულების შემდეგ, 1962 წელს დაამთავხა ლოზანის უნივეხსიტეტის იუხიდიული ფაკულტეტი. 1991 წელს პაიზის პოლიტიკუხ მეცნიეხებათა ინსტიტუტში უმაღლესი ლიცენზია მოიპოვა. ბოლოს, სტამბოლის ბილგი უნივეხსიტეტში „თუხქეთის საგახეო პოლიტიკის“ სხულ კუხსს კითხულობდა. გახდაიცვალა 2007 წელს)* გვ. 7,40, 83, 119

იუნუს ზეირექი - ჟურნალ „Bizim Ahıska“ (ჩვენი ახალციხე) მთავარი რედაქტორი 2004-2019 წლებში *(მის მიეხ ჟუხნალში დაბეჭდილი სტატიები და ცალკე გამოცემული წიგნებიც აჭახისა და მესხეთ-ჯავახეთის წახსულზე, ძალზე ნეგატიუხ გავლენას ახდენს საქახთველოს იმიჯზე და თუხქულ საზოგადოებას მეტად ახასწოხი, ყალბი და ტენდენციუხი ინფოხმაცია მიეწოდება საქახთველოს ისტოხიის შესახებ. გახდაიცვალა 2019 წელს)* გვ. 17, 18

კ

კარლოს ბილდტი - შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2006-2014 წლებში *(შვედეთის პხემიეხ-მინისტხი 1991-1994 წ.წ. ევხოკავშიხის უმაღლესი წახმომადგენელი ბოსნია-ჰეხცეგოვინაში 1995-1997 წ.წ. გაეხოს გენეხალური მდივნის სპეციალური დესპანი ბალკანეთში 1999-2001 წ.წ. 2014 წლის მახტში ევხოკავშიხის ეგიდით იმყოფებოდა საქახთველოში. იგი ხუსეთის ხევიზიონისტულ საგახეოპოლიტიკუხ კუხსში ხედავდა სეხიოზულ საფხთხეს აღმოსავლეთ ევხოპის ქვეყნებისთვის)* გვ. 258

კენეტ მაკენზი - აშშ-ის არმიის ცენტრალური მთავარსარდლობის მეთაური 2019 წლის მარტიდან *(მან ჩაანაცვლა გენეხალი ჯოზეფ ვოტელი, ხომელიც 2016 წლიდან მეთაუხობდა აღნიშნულ სამხედხო უწყებას. გენეხალი მაკენზი ადხე მსახუხობდა ავღანეთში, სადაც მეთაუხობდა საზღვაო ფეხოსანთა კოხპუსს და შემდეგ შტაბების უფხოსების გაეხთიანებული კომიტეტის თავმჯდომახე იყო. 2020 წლის ივლისში გაჟღეხდა ხუსეთის დაზვეხვისა და ტალიბანის ეხთობლივი მოქმედებების შედეგად აშშ-ის სამხედხოების დაღუპვის ფაქტი, ხომელიც შემდეგ გენეხალმა მაკენზიმ უახყო. 2021 წლის 15 აგვისტოს გენეხალი მაკენზი დოჰაში შეხვდა ტალიბანის ლიდეხებს და შეათანხმა მათთან აშშ-ის ძალების გაყვანის საკითხი. 2021 წლის 26 აგვისტოს ქაბულის აეხოპოხტის ტეხაქტში, გენეხალი მაკენზი „აისის“ კვაღს ხედავს)* გვ. 290

კოლინ პაუელი - აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2001-2005 წლებში (*აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში 1987-1989 წ.წ. შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე 1989-1993 წ.წ. ვიეტნამის ომის ვეტერანი. აშშ-ის არმიის გენერალი. დაჯილდოებულია აშშ-ის უმაღლესი ჯილდოთი - კონგრესის ოქროს medlit. 2018 წელს გადაიღეს ახალი სეზონის ამერიკულ ტელესერიალში „მადამ სახელმწიფო მდივანი“, სადაც თავის თავს ანსახიერებდა)* გვ. 220

კონდოლიზა რაისი - აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2005-2009 წლებში (*აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში 2001-2005 წ.წ. პირველი შავკანიანი პოლიტიკოსი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე. სტენფორდის უნივერსიტეტის პროექტორი, პროფესორი, პოლიტოლოგიის დოქტორი. კონდოლიზა რაისი არის აშშ-ის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წევრი)* გვ. 44, 223

კოფი ანანი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი 1997-2006 წლებში (*2001 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში; 2003 წელს აშშ-ის მეთაურობით საერთაშორისო კოალიციის ერაყში შეჭრის წინააღმდეგ გამოვიდა; 2004 წელს შეიმუშავა „კიპროსის პრობლემის“ საბოლოო მოგვარების გეგმა, რომელიც ხელფერნდუმით მიღებულ არ იქნა)* გვ. 128 – 130, 132

<u>ლ</u>

ლევონ ტერ-პეტროსიანი - სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1991-1998 წლებში (*სომხეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე 1990-1991 წ.წ. ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საკუთარი გეგმა ჰქონდა, რომელსაც არ იზიარებდნენ მთავრობის გავლენიანი ფიგურები. იგი მშვიდობიანი გზებით აპირებდა კრიზისის დაძლევას, თურქეთთან ურთიერთობების აღდგენას, აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებზე მიდიოდა, მაგრამ დიდ შიდა წინააღმდეგობებს წააწყდა და 1998 წელს თანამდებობიდან გადადგა)* გვ. 36, 37

ლეილა ბირლიქი - თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის ქურთი დეპუტატი (*2016 წლის 4 ნოემბერს ქუთული მიმართულების „ხალხთა დემოკრატიული პარტიის“ HDP 13 დეპუტატი დააპატიმრეს „ტერორისტული ორგანიზაციების ხელშეწყობის“ ბრალდებით. 2017 წელს გათავისუფლების შემდეგ, ლეილა ბირლიქი 2018 წელს საბერძნეთში გადავიდა და საბერძნეთის მთავრობას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. იგი ქურდისტანის ეროვნული კონგრესის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარეა)* გვ. 123

ლოიდ ოსტინი - აშშ-ის თავდაცვის მინისტრი 2021 წლის 22 იანვრიდან... *(აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის მეთაური 2013-2016 წ.წ. 2010 წელს დაინიშნა ერაყში ამერიკული კონტინგენტის მთავარსარდლად. აშშ-ის არმიის შტაბის უფროსის მოადგილე 202-2013 წ.წ. ავღანეთის პირველი ოპერაციების დროს 2003-2005 წლებში მეთაურობდა კომბინირებულ გაერთიანებულ მიზნობრივ ჯგუფს და ამავდროულად მე-10 სამთომსროლელთა დივიზიას)* გვ. 289

ლუის და სილვა ლულა - ბრაზილიის პრეზიდენტი 2003-2011 წლებში *(მონაწილეობდა პროფკავშირულ მოძრაობაში და სახელი „ლულა“ მას შემდეგ შემორჩა. 2010 წელს ჟურნალმა TIME იგი დაასახელა „მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანად“. 2017 წლიდან მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა კორუფციის ბრალდებით და მიესაჯა 9,5 წლის პატიმრობა. 2021 წლის 9 მარტს ბრაზილიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ექს-პრეზიდენტ ლულა და სილვას მოუხსნა სასჯელი კორუფციის ბრალდებით)* გვ. 189

მ

მაიკ პენსი - აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი 2017-2021 წლებში *(შტატ ინდიანას გუბერნატორი 2013-2017 წ.წ. აშშ-ის 5 მოწვევის კონგრესის მუდმივი წევრი 2003-2013 წლებში, სადაც კურირებდა საგარეო უთანერთობებს. 2008 წელს ჟურნალმა Esquire მაიკ პენსი დაასახელა კონგრესის 10 საუკეთესო წევრს შორის)* გვ. 137, 228

მაიკ პომპეო - აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2018-2012 წლებში *(აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი 2017-2018 წ.წ. აშშ-ის წარმომადგენლობათა პალატაში კურირებდა დაზვერვის საკითხებს 2011-2017 წ.წ. ძალიან ხშირად სტუმრობდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და თურქეთს. 2020 წელს ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში და შეხვდა ქვეყნის ხელმძღვანელ პირებს)* გვ. 81

მანფრედ ვებერი - ევროპის სახალხო პარტიის ლიდერი ევროპარლამენტში 2014 წლიდან... *(გერმანიის ახალგაზრდული კავშირის ბავარიის განყოფილების თავმჯდომარე 2003-2007 წ.წ. ევროპული პარლამენტის დეპუტატი გერმანიიდან 2004 წლიდან)* გვ. 273

მარკ ესპერი - აშშ-ის თავდაცვის მინისტრი 2019-2020 წლებში *(აშშ-ის არმიის 23-ე მინისტრი 2017-2019 წ.წ.)* გვ. 250

მასრურ ბარზანი - ქურდისტანის ავტონომიური რაიონის პრემიერ-მინისტრი 2019 წლიდან... *(მასუდ ბარზანის ვაჟი. 16 წლის ასაკიდან „პეშმერგას“ მებრძოლი. ქურდისტანის დემოკრატიული*

პარტიის წევრი და ამავე დროს, ქურდისტანის უშიშროების საბჭოს კანცლერი. 1980--ანი წლებიდან აქტიურად ებრძოდა სადამ ჰუსეინის რეჟიმს. 1992 წელს გამგზავრა ლონდონს და ერთი წლის შემდეგ სწავლა დაიწყო ვაშინგტონის კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც წარმატებით დაასრულა ბაკალავრიატი. ვაშინგტონში ყოფნისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქურთების საკითხს და ამერიკულ უნივერსიტეტში დააარსა ბარზანის სტიპენდია. მისი ინიციატივით, 2013 წელს ლუჰოკში ქურდისტანის ამერიკული უნივერსიტეტის დაფუძნების ცერემონია გაიმართა. კოალიციის ომგებში თავი გამოიჩინა „აისის“ წინააღმდეგ ბრძოლებში) გვ. 186

მასუდ ბარზანი - ქურდისტანის ავტონომიური რაიონის პრეზიდენტი 2005-2017 წლებში (ერაყის ქურდისტანის განმათავისუფლებელი ბრძოლის ლიდერის, მუსტაფა ბარზანის შვილი. მასუდ ბარზანი 1979 წლიდან ქურდისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერია. მასუდ ბარზანი 2003-2005 წლებში შედიოდა ერაყის მმართველი საბჭოს შემადგენლობაში. 2005 წლის 12 ივნისს გამოცხადდა ერაყის ქურდისტანის პრეზიდენტად) გვ. 171, 172, 178

მაჰმუდ აბასი - პალესტინის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი 2013 წლის იანვრიდან... *(მოძრაობა „ფათჰ“-ის თავმჯდომარე. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარე 2004 წლის 11 ნოემბრიდან)* გვ. 145, 150

მაჰმუდ აჰმედინეჟადი - ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი 2005-2013 წლბში *(თეირანის მერი 2003-2005 წ.წ. გააააქტიურა ბირთვული პროგრამა და შეაჩერა გარკვეული ღიბერალური რეფორმები. გააძლიერა ისრაელის და აშშ-ის კრიტიკა. ორიენტაცია აიღო რუსეთთან და არაბულ სამყაროსთან დაახლოვებაზე. ბოლო დროს შემჩნეულია ანტისამთავრობო გამოსვლებში)* გვ. 188, 189, 244

მევლუთ ჩავუშოღლუ - თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2016 წლიდან... *(ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ევროპული კავშირის საკითხებში 2010-2012 წ.წ. 2001 წელს გახდა „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ შექმნის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 2009 წლამდე იყო საერთაშორისო ურთიერთობების საკითხების პარტიული კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე. 2002 და 2007 წლებში არჩეულ იქნა დიდი ეროვნული მეჯლისის დეპუტატად, სადაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა იაპონიასთან მეგობრობის ჯგუფს და შემდეგ აშშ-თან მეგობრობის ჯგუფს. აქტიურად ატარებს ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კურსს და სარგებლობს დიდი ავტორიტეტით დიპლომატიურ წრეებში. მიღებული აქვს უკრაინის (2), აზერბაიჯანის, იაპონიის სახელმწიფო ჯილდოები)* გვ. 32, 35, 69, 71, 80, 123, 127, 138, 141, 158, 199, 202, 204, 205, 211, 212, 252, 253, 271, 272, 296

მელიჰ გიოქჩექი - ანკარის მერი 1994-2017 წლებში (*1983 წელს შევიდა თ. ოზაღის „დედა-სამშობლოს პარტიაში“. 1991 წელს გახდა ეროვნული მეჯლისის დეპუტატი „კეთილდღეობის პარტიიდან“ და ამავე პარტიის სახელით 1994 წელს აირჩიეს დედაქალაქ ანკარის მერად. 1999 წელს კვლავ არჩეულ იქნა ანკარის მერად უკვე „სათნოების პარტიიდან“. „სამართლიანობისა და განვითარების პარტიაში“ გაწევრიანების შემდეგ, სამჯერ -2004, 2009, 2014 წ.წ. არჩეულ იქნა ანკარის მერად)* გვ. 56

მესუთ ილმაზი - თურქეთის პრემიერ-მინისტრი 1997-1999 წლებში *(ადრე ორჯერ იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი რამდენიმე თვით - 1991 წელს და 1996 წელს. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1987-1990 წ.წ. კულტურის მინისტრი 1986-1987 წ.წ. დაამთავრა სტამბოლის ორბერტ-კოლეჯი, ანკარის უნივერსიტეტი და 1972-1974 წლებში კელნის უნივერსიტეტის ასპირანტურა. ბოლოს, მეჯლისში არჩეულ იქნა 2007 წელს, დამოუკიდებელ დეპუტატად რიზედან. გარდაიცვალა 2020 წელს)* გვ. 13, 105

მეჰმედ ალი თალათი - ჩრდილოეთ კიპროსის პრეზიდენტი (ჩკთრ) 2005-2010 წლებში *(ჩრდილოეთ კიპროსის (ჩკთ) პრემიერ-მინისტრი 2004-2005 წ.წ. 2004 წელს მხარი დაუჭირა კიპროსის გაერთიანების გეგმას და თავისი პრეზიდენტობისას შეეცადა ამ გეგმის განხორციელებას. 2015 წლიდან დაუბრუნდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ჩაუდგა სათავეში „კიპროსის რესპუბლიკურ პარტიას“)* გვ. 132

მეჰმედ ალი შაჰინი - თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე 2009-2011 წლებში *(თურქეთის იუსტიციის მინისტრი 2007-2009 წ.წ. პრემიერ-მინისტრის მოადგილე 2005-2007 წ.წ. მმართველი პარტიის AKP გენერალური თავმჯდომარის მოადგილე პოლიტიკურ და იურიდიულ საკითხებში. ამჟამად პრეზიდენტის უმაღლესი საკონსულტაციო საბჭოს წევრია)* გვ. 56

მილორად დოდიკი - ბოსნიის და ჰერცეგოვინის პრეზიდიუმის თავმჯდომარე 2020-2021 წლებში (*2018 წლიდან ბოსნია - ჰერცეგოვინის პრეზიდიუმის წევრი სერბების მხრიდან. ბოსნიის და ჰერცეგოვინის სერბეთის რესპუბლიკის (Republika Srpska) პრეზიდენტი 2010-2018 წ.წ. ბოსნიის და ჰერცეგოვინის სერბეთის რესპუბლიკის (Republika Srpska) პრემიერ-მინისტრი 2006-2010 წ.წ.)* გვ. 115

მირკო ცვეტკოვიჩი - სერბეთის პრემიერ-მინისტრი 2008-2012 წლებში *(სერბეთის ფინანსთა მინისტრი 2007-2008 და 2011-2012 წ.წ. ცვეტკოვიჩის სიტყვებით, მას შემდეგ რაც კოსოვოს საკითხის გადაწყვეტაში პატარა ქვეყანა სერბეთი, დიდი ქვეყნების დიპლომატიასთან ჭიდილს ვერ გამართავდა, მან აღნიშნა რომ „სერბეთი პასუხისმგებლობით და ცივილიზებულად დაიცავს თავის ინტერესებს კოსოვოს საკითხში, ამასთანავე შეიგნებს, რომ ბოიკოტება შეიძლება დაამარცხო მხოლოდ გონებით“)* გვ. 112

მიხეილ სააკაშვილი - საქართველოს პრეზიდენტი 2004-2013 წლებში *(2004 წლიდან საქართველოში ჩაატარა პოზიტიური ხეფორმები და განსაზღვრა ქვეყნის პრო-ევროპული პოლიტიკური ორიენტაცია. გაამყარა საქართველოს საერთაშორისო იმიჯი. საქართველოს იუსტიციის მინისტრი 2000-2001 წ.წ. უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორი 2015-2016 წ.წ. უკრაინის ხეფორმების საბჭოს ხელმძღვანელი 2020 წლიდან...)* გვ. 15, 67

მოჰამედ მურსი - ეგვიპტის პრეზიდენტი 2012-2013 წლებში *(2011 წელს საერთაშორისო პანისლამური ორგანიზაციის „ძმები მუსლიმების“ საფუძველზე შეიქმნა „თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტია“, ხომლის თავმჯდომარე მოჰამედ მურსი, 2012 წლის არჩევნების თანახმად პრეზიდენტი გახდა. ერთი წლის შემდეგ, სამხედრო გადატრიალების შედეგად გადაყენებულ იქნა, იგი დააპატიმრეს და „ძმები მუსლიმები“ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადდა. მოჰამედ მურსი 2019 წლის 17 ივნისს გულის შეტევით გარდაიცვალა თავისსავე სასამართლო პროცესზე)* გვ. 199, 206-208

მოჰამედ ჯავად ზარიფი - ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი 2013-2021 წლებში *(1982 წელს დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურა. 1988 წელს გახდა დენვერის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი საერთაშორისო სამართალში. ირანის ისლამური რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში 2002-2007 წ.წ. 2007 წლიდან თეირანის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების კურსის პროფესორი. საგარეო საქმეთა მინისტრის მთავარი მრჩეველი 2007-2010 წ.წ. ისლამური უნივერსიტეტის „აზად“-ის ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში)* გვ. 191, 197, 289, 293, 294

მუამარ ყადაფი - ლიბიის ძმური ლიდერი და რევოლუციის ბელადი 1969-2011 წლებში *(ლიბიის არაბული ჯამაჰირიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი 1969-2011 წ.წ. ყადაფიმ სრული დიქტატურა დაამყარა ლიბიაში, მთლიანად განაგებდა ქვეყნის უმდიდრეს ნავთობის საბადოებს. ასევე მისი ინიციატივით დაიწყო საუკუნის მშენებლობა სასმელი წყლის უდიდესი ხეზერვუარის შექმნის მიზნით ლიბიის უდაბნოს სიღრმეში. შეპყრობილი იყო პანარაბიზმის იდეით, არაბული ქვეყნების გაერთიანებისაკენ. 2004 წელს ტრიპოლიში ჩატარებული მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში მას მიენიჭა დიდოსტატის წოდება ჭადრაკში. 2008 წელს ჩატარებული აფრიკის კონტინენტის 200-ზე მეტი მეფის, ამირას, სულტანის, შეიხის, ტომის ბელადის შეკრებაზე, ყადაფი არჩეულ იქნა „აფრიკის მეფეთ მეფედ“. 2009 წელს კი იგი აირჩიეს აფრიკის კავშირის თავმჯდომარედ. 2009 წლის სექტემბერში სიტყვით გამოვიდა გაერო-ს ასამბლეის 64-ე სესიაზე ნიუ-იორკში, სადაც განკუთვნილი 15 წუთიანი ხეგლამენტის ნაცვლად, საათნახევარი იდაპარაკა. ტრიბუნაზე გამოსვლისას მიესალმა მონაწილეთ და განაცხადა - „ ჩემმა ვაჟმა ობამამაც კი თქვა, ხომ ეს

ისტორიული სხდომაა". ყადაფი გამოიჩეოდა ახალი ინახული გამოთქმებით და ზღვასგადასული იდეებით. სესიაზე გამოსვლა მან დაამთავრა თავისი მოსაზრებით, რომ კარგი იქნებოდა ბარაკ ობამა აშშ -ის მუდმივი პრეზიდენტი ყოფილიყო, ვინაიდან იგი ისწრაფვის კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისკენ) გვ. 100, 209, 241

მუსტაფა აქინჯი - ჩრდილოეთ კიპროსის (ჩკთრ) პრეზიდენტი 2015-2020 წლებში *(ჩრდილოეთ კიპროსის თურქული რესპუბლიკის (ჩკთრ) ვიცე-პრემიერი 1999-2001 წ.წ. კუნძულის მშვიდობიანი გზით გაერთიანების მომხრე აქინჯი, კიპროსელი ბერძნების ლიდერთან ნიკოს ანასტადიადისთან მრავალი შეხვედრების შედეგების იმედიანად დასრულების მოლოდინში იყო, როდესაც... 07.07.17 კრან მონტანას კრახი განიცადა)* გვ. 135-140

მუსტაფა შენთოფი - თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე 2019 წლიდან... *(მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილე 2018-2019 წ.წ. „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" თავმჯდომარის მოადგილე 2012-2015 წ.წ. 2011 წლიდან - პროფესორი. სტამბოლის სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებზე კითხულობს ლექციებს)* გვ. 47, 298

მუჰამად სალიჰი - უზბეკი პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე, დისიდენტი *(1989 წელს უზბეკეთში შექმნა პოლიტიკური პარტია „ერკ" (თავისუფლება), რომელიც კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო პლატფორმას ქადაგებდა. იგი იყო უზბეკეთის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატი 1990-1992 წ.წ. სალიჰის მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში გადაიზარდა სამოქალაქო დაპირისპირებაში, იგი დააპატიმრეს და იძულებითი განთავისუფლების შემდეგ მოახერხა თურქეთში გაქცეულიყო, როგორც პოლიტიკური დევნილი. იგი მიჩნეულია თურქეთ-უზბეკეთის ურთიერთობების დაძაბვის მთავარ მიზეზად და აღიარებულია უზბეკეთის ცნობილ დისიდენტად)* გვ. 59, 60

მუჰამედ იბნ აბდურაჰმან ას-სანი - ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრი 2016 წლიდან *(ამასთანავე ასრულებს პრემიერ-მინისტრის მოადგილის ფუნქციებს. 2021 წელს მან მიიღო აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მედალი საზოგადოების სამსახურში გამოჩენილი სანიმუშო მუშაობისათვის)* გვ. 203

მუჰამედ იბნ სალმან ალ-საუდი - საუდის არაბეთის მემკვიდრე უფლისწული 2017 წლიდან... *(საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრი 2015 წლიდან...საუდის არაბეთის ანტიკორუფციული კომიტეტის თავმჯდომარე 2017 წლიდან... 2016 წელს უფლისწულმა გამოაცხადა ანტიტერორისტული ისლამური სამხედრო ალიანსის შექმნის შესახებ. მასვე ეკუთვნის ყოვლისმომცველი პროექტი Vision-2030, რომელიც ითვალსწინებს საუდის არაბეთის სახელმწიფოს განვითარების უზარმაზარ გეგმას, მისი თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივით. გახსნილი აქვს საქველმოქმედო ფონდები*

გაჭიხვებული ახალგაზრდების დახმარების მიზნით. 2017 წლის დეკემბერში ჟურნალმა TIME მუჰამედ იბნ სალმანი წლის ადამიანად დაასახელა. 2018 წლის მაისში ჟურნალმა Forbes იგი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების ხეიტინგში მე-8 ადგილზე დააყენა) გვ. 200, 201, 203, 205

ნ

NABUCCO (ნაბუკო) – „თურქული ნაკადის“ საერთაშორისო გაზსადენის პროექტი *(აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა, ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში 3300 კმ. სიგრძის გაზსადენით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას, აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზის“, თურქმენეთის დოვლათაბადის და სამხრეთ იოლოტონის საბადოებიდან. პროექტის მშენებლობის მიზანი იყო დასავლეთ ევროპის ხუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება. საინტერესოა პროექტის სახელის წარმოშობა: 2002 წლის თებერვალში ვენაში მოლაპარაკება დაიწყეს ავსტრიულმა კომპანიამ OMV და თურქულმა ფირმამ* BOTAŞ. *შემდეგ მათ შეუთდა ევროპის „დიდი ხუთეული“ გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია და ესპანეთი. მოლაპარაკებების შემდეგ დელეგაციების წევრები ვენის საოპერო თეატრში დაესწრნენ ჯ. ვერდის ცნობილი ოპერის „ნაბუქოს“ სპექტაკლს. მათ სიუჟეტი და მუსიკა იმდენად მოეწონათ, რომ ერთხმად გადაწყვიტეს პროექტისთვის „ნაბუქო“ დაერქმიათ)* გვ. 23, 71

ნაიმ სულეიმანოღლუ - მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ძალოსნობაში *(ძალოსნობის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ძალოსანი მსოფლიოში. 3-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, 7-გზის მსოფლიო ჩემპიონი, 5-გზის ევროპის ჩემპიონი, 3-გზის მსოფლიო თასის მფლობელი. 46-ჯერ განაახლა მსოფლიო რეკორდი. დაიბადა ბულგარეთში და 1986 წლამდე სპორტულ შეჯიბრებებში გამოდიოდა ბულგარეთის სახელით. 1987 წლიდან მიიღო თურქეთის მოქალაქეობა და ამ დროიდან თურქეთის სახელით პაექრობდა. 2017 წლის ნოემბერში გარდაიცვალა)* გვ. 104

ნატო - ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. *(შეიქმნა 1949 წელს ვაშინგტონში, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ეგიდით. ძირითადი მიზნები - საბჭოთა კომუნისტური ექსპანსიის შეკავება დასავლეთ ევროპის ცივილიზებული სამყაროს დასაცავად. ნატომ თავისი არსებობის წლებში მრავალი სამშვიდობო მისია განახორციელა მსოფნელიოს სხვადასხვა რეგიონში. დღეისათვის ნატოს წევრი 30 ქვეყანაა. ბოსნია-ჰერცეგოვინამ ნატოსგან მიიღო მოქმედების გეგმა გაწევრიანებისათვის. საქართველო და უკრაინა ნატოში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნები არიან)* გვ. 14, 85, 101, 105, 107-110, 115-117, 124, 142, 156, 165, 189, 191, 228, 229, 131, 234, 236, 239-255, 262, 270, 277, 301, 302

ნეჩირვან ბარზანი - ერაყის ქურდისტანის ავტონომიის პრეზიდენტი 2019 წლიდან... *(მასუდ ბარზანის ძმისშვილი. ერაყის ქურდისტანის I პრემიერ-მინისტრი 2006-2009 წ.წ., შემდეგ ერაყის ქურდისტანის III პრემიერ-მინისტრი 2012-2019 წ.წ. 2006 წლიდან მისი ინიციატივით ხელგიონში ინტერნეტ-კაფეების ფართო ქსელი განვითარდა. სწავლობდა თეირანის უნივერსიტეტში. ქურთულის გარდა, ფლობს სპარსულსა და ინგლისურ ენებს)* გვ. 179, 183, 184

ნეჯმეთინ ერბაქანი - თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი 1996-1997 წლებში *(თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე 1975-1977 და 1977-1978 წ.წ. 1969 წელს შექმნა პროისლამური მანიფესტი „ეროვნული ხედვა“, რომლის საფუძველზე მომავალში რამდენჯერმე შექმნა ისლამური მიმართულების პოლიტიკური პარტიები, რომელთაც პერიოდულად კრძალავდნენ. იგი ითვლება „პოლიტიკური ისლამის“ ფუძემდებლად და ლოვანდელი პრეზიდენტის ერჯებ თაიფ ერდოღანის პოლიტიკურ მოძღვრად)* გვ. 7, 143

ნიკოლა სარკოზი - საფრანგეთის პრეზიდენტი 2007-2012 წლებში *(საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი 2005-2007 წ.წ. საფრანგეთის შინაგან საქმეთა და შინაგანი უსფრთხოების მინისტრი 2002-2004 წ.წ. საფრანგეთის ბიუჯეტის და კომუნიკაციების მინსიტრი 1993-1995 წ.წ. 2008 წლის 23 ივლისს სარკოზის ინიციატივით ჩატარდა საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის ყველაზე მასშტაბური ხელფორმა -შესწორებულ და დამატებულ იქნა 47 სტატია, 89-დან მოდერნიზაციის ლოზუნგით. ნიკოლა სარკოზიმ ძალზე დიდი წვლილი შეიტანა 2008 წლის აგვისტოს ომის დამტავრებისა და დაზავების საკითხებში)* გვ. 38, 257

ნიკოს ანასტასიადის - კიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2013 წლიდან... *(2004 წელს მხარს უჭერდა კოფი ანანის გეგმას და ემხრობა კუნძულის გაერთიანების აზრს. ამასთანავე ძალზე აქტიურობს კიპროსის ნატოში გაწევრიანებისთვის, მაგრამ თურქეთი ამას არასოდეს დაუშვებს და თავის ვეტოს უფლებას გამოიყენებს)* გვ. 135-139

ნიკოს დენდიას - საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2019 წლიდან... *(საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი 2014-2015 წ.წ. საბერძნეთის იუსტიციის მინისტრი 2009 წელს. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი 2004-2009 და 2009-2012 წ.წ. მაგისტრის ხარისხი მიღებული აქვს ლონდონის უნივერსიტეტში)* გვ. 125, 127, 141, 252

ნიკოს პანაიოტოპულოს - საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი 2019 წლიდან... *(თურქეთის მიერ 2020 წლის 12 ოქტომბერს კუნძულ კასტელორიზოს შელფზე საძიებო და სამხედრო გემებით შესვლის გამო, საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა შეწყვიტა თავისი ვიზიტი პორტუგალიაში, დაბრუნდა ათენში და გენერალური შტაბის უფროსისგან მოითხოვა საბძოლო მოქმედებებისთვის მზადება. ამგვარი კრიზისის გამო ევროკავშირმა თურქეთისთვის სანქციების დაწესების დაწყებაზე იმსჯელა)* გვ. 126

ნური ალ-მალიქი - ერაყის პრემიერ-მინისტრი 2006-2014 წლებში *(შიიტი. 2014-2015 და 2016-2018 წლებში ასრულებდა ერაყის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას)* გვ. 181

ნურსულტან ნაზარბაევი - ყაზახეთის პრეზიდენტი 1991-2019 წლებში *(ყაზახეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე 1991 წლიდან... ყაზახეთის საკონსტიტუციო საბჭოს წევრი 2019 წლიდან... თურქული სამყაროს საპატიო მეთაური - აქსაქალი და თურქულ სახელმწიფოთა საბჭოს მუდმივი საპატიო თავმჯდომარე. დამოუკიდებელი ყაზახეთის შექმნაში ისტორიული წვლილის შეტანისთვის მინიჭებული აქვს „ყაზახეთის გმირის“ წოდება და ოქროს ვარსკვლავი)* გვ. 13, 49, 52-57, 91, 92, 94

<u>ო</u>

ომარ ალ-ბაშირი - სუდანის პრეზიდენტი 1993-2019 წლებში *(სუდანის ეროვნული ხსნის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე 1989-1993 წ.წ. სუდანის პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი 1989-1993 წ.წ. მისი დიქტატორული მმართველობა აღინიშნა ადამიანთა მსხვერპლით, არეულობებით და 2009 წელს საერთაშორისო სასმართლომ მისი დასჯა მოითხოვა. 2011 წელს სამხრეთ სუდანმა ხელფენდუმის ძალით დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 2017 წელს ომარ ალ-ბაშირი მიიღო ჩუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა, რამაც საერთაშორისო აღშფოთება გამოიწვია, ვინაიდან მოსკოვში შეხვდნენ პიროვნებას, რომელსაც დანაშაული მიუძღვის გენოციდსა და ადამიანთა წინააღმდეგ დანაშაულში. 2017 წლის 24 დეკემბერს სუდანს ოფიციალური ვიზიტით ეწვია თურქეთის პრეზიდენტი ჩეჯებ თაიფ ერდოღანი მეუღლითურთ, რომელსაც ხართუმის აეროპორტში სამხედრო აღლუმით დახვდნენ. 2019 წლის აპრილში სუდანში სამხედრო გადატრიალების შედეგად ომარ ალ-ბაშირი გადააყენეს და დააპატიმრეს. სასამართლო პროცესი მიმდინარეობს)* გვ. 213

ოღუზ ჩელიქკოლი - თურქეთის რესპუბლიკის ელჩი ისრაელში 2009-2010 წლებში *(თურქეთის გენ. კონსული ღოს-ანჟელესში 1995-1997 წ.წ. თურქეთის ელჩი სირიაში 2000-2004 წ.წ. თურქეთის წარმომადგენელი ერაყში 2005-2007 წ.წ. თურქეთის ელჩი საბერძნეთში 2008-2009 წ.წ. თურქეთის ელჩი ტაილანდში 2010-2012 წ.წ. „დაბალი სავარძლის“ კრიზისის გამო, თურქეთის ელჩის თანამდებობა თელ-ავივში 2010 წელს წარმოებაში იყო)* გვ. 147

<u>პ</u>

პან გი მუნი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი 2007-2016 წლებში *(კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 2004-2006 წ.წ. დიდ ყურადღებას უთმობდა გლობალური დათბობის წინააღმდეგ გამოსვლებს. ღონდონის*

2012 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნის აღლუმში მიიღო მონაწილეობა. 2017 წელს ახჩეულ იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეთიკის საკითხების კომისიის თავმჯდომარედ) გვ. 15, 133, 136, 146

პანოს კამენოსი - საბერძნეთის თავდაცვის მინისტრი 2015-2019 წლებში *(დაამთავრა ლიონის უნივერსიტეტი. 2012 წლის თებერვალში შექმნა პოლიტიკური პარტია „დამოუკიდებელი ბერძნები“, მალე მოიპოვა პოპულარობა და იმავე წლის მაისის არჩევნებში, ახალმა პარტიამ წარმატებით გადალახა საარჩევნო ბარიერი)* გვ. 124

პატრიკ დევეჯიანი - საფრანგეთის სომხური დიასპორის ლიდერი 2020 წლამდე *(საფრანგეთის სახელმწიფო მოსამსახურე და საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეებთან დაახლოებული პირი, რომელმაც წლების განმავლობაში დიდი სამსახური გაუწია საფრანგეთში მოქმედ სომხური დიასპორის ლიდერებს. მთავრობაში მუშაობის პერიოდში, წინააღმდეგ გამოდიოდა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების მოგვარების მიმართ და აქტიურად იბრძოდა ე.წ. „სომხური გენოციდის“ საყოველთაო აღიარებისთვის)* გვ. 38, 41

პოლ ვულფოვიცი - აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე 2001-2005 წლებში *(25 წლის განმავლობაში მუშაობდა პენტაგონში. აშშ-ის ელჩი ინდონეზიაში 1986-1989 წ.წ. 2005 წლის იანვარში წარდგენილ იქნა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტად, ივნისში დაიკავა აღნიშნული თანამდებობა და 2007 წლამდე მუშაობდა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტად. 2007 წელს სკანდალის გამო გადააყენეს)* გვ. 219

ჟ

ჟაკ შირაკი - საფრანგეთის პრეზიდენტი 1995-2007 წლებში *(პარიზის მერი 1977-1995 წ.წ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 1974-1976 წ.წ. და 1986-1988 წ.წ. ერთადერთი პოლიტიკოსი საფრანგეთის მე-5 რესპუბლიკის ისტორიაში, რომელიც ორჯერ იყო პრემიერი, თანაც მეორედ, პარიზის მერის თანამდებობასაც ითავსებდა. პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ, მის წინააღმდეგ აღძრეს სასამართლო საქმე პარიზის მერობის დროს ფინანსური დარღვევების გამო, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა გამო მიუსაჯეს 2 წლით პირობითი სასჯელი და 1 ევრო ჯარიმა. ჟაკ შირაკის სახელი უკვდავყოფილია არაბული ემირატების დედაქალაქ აბუ-დაბიში 2019 წლის ნოემბერში გახსნილი მისი სახელობის ქუჩით და 2020 წლის 8 თებერვალს ქ. ნიცაში მისი ძეგლის დადგმით)* გვ. 39, 40

ჟელიუ ჟელევი - ბულგარეთის პირველი პრეზიდენტი 1990-1997 წლებში *(ბულგარეთის პირველად დამოუკიდებლად არჩეული ჯერ ქვეყნის თავმჯდომარე 1990-1992 წ.წ., შემდეგ პრეზიდენტი 1997 წლამდე. ფილოსოფიის დოქტორი. 1967 წელს დაასრულა წიგნი „ფაშიზმი“,*

ჰომეიეიც მხოლოდ 1982 წელს გამოიცა მცირე ტირაჟით. 2014 წელს ეთ-ეთ ინტერვიუში ჰკითხეს, ჰომეიეი ხეჟიმია უფრო საშინელიო, უპასუხა „ჰა თქმა უნდა კომუნიზმი. ეს უფრო მკაცრი დიქტატურაა“. გარდაიცვალა 2015 წ.) გვ. 105

<u>რ</u>

რატკო მლადიჩი - ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკის სამხედრო შტაბის უფროსი 1992-1995 წლებში *(სერბი გენერალი, ჰომეიეის მეთაურობითაც მოეწყო 1995 წლის 15 ივლისის „სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტა“. 2017 წლის 22 ნოემბერს ჰააგის ტრიბუნალმა მლადიჩს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა „გენოციდის, სამხედრო დანაშაულობებისა და კაცობრიობის წინაშე დამნაშავის“ ბრალდებით. 2021 წლის 8 ივნისს სასამართლოს სააპელაციო პალატამ, არ დააკმაყოფილა მლადიჩის აპელაცია და განაჩენი ძალაში დატოვა)* გვ. 108

რაუფ დენქთაში - ჩრდილოეთ კიპროსის (ჩკთრ) პრეზიდენტი 1983-2005 წლებში *(ჩრდილოეთ კიპროსის თურქული თემის მიერ 1983 წელს გამოცხადებული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. 1958 წელს კიპროსზე შექმნა „თურქული წინააღმდეგობის ორგანიზაცია“, ჰომეიეიც დაუპირისპირდა ბერძნულ ეოკას. 1973 წელს სათავეში ჩაუდგა „თურქულ ფედერალურ სახელმწიფოს“, ჰომეიეიც 1983 წელს რესპუბლიკად გამოაცხადა)* გვ. 130

რაშიდ მერედოვი - თურქმენისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი 2001 წლიდან... *(ასრულებს თურქმენისტანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას 2003 წლიდან... თურქმენისტანის მეჯლისის თავმჯდომარე 2001 წელს. ამასთანავე არის მმართველი „დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე. თურქმენისტანში ითვლება ეთ-ეთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად)* გვ. 71

რეჯებ თაიფ ერდოღანი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2014 წლიდან... *(„სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ AKP დამფუძნებელი და გენერალური თავმჯდომარე. თურქეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ლიდერი. ოსმალეთის იმპერიის ისტორიული ძლიერების და იმიჯის განმტკიცებისათვის, გაბედულ და თამამ საგარეოპოლიტიკურ კურსს ატარებს. ბევრს ილწვის ისლამური სამყაროს მედროშე ლიდერის სახელი დაიმკვიდროს. აქტიურად არის ჩართული მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებში და საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარებას ინტენსიურად ავითარებს, როგორც რეგიონული, ისევე გლობალური მასშტაბით)* გვ. 14-17, 19, 25, 26, 30, 32-34, 41, 43, 45, 47, 53, 54, 57, 62-64, 67-69, 71-73, 75, 76, 78, 79, 81, 82, 84-87, 89, 91-93, 98, 99, 101, 103, 110-116, 120, 122-126, 133, 134, 138, 140-142, 144-146, 148-154, 157-160, 162, 164, 167, 169, 172, 180, 183, 187-189, 192, 193, 197-199, 201-209, 212-215, 220, 222-238, 242, 246-249, 251, 253, 254, 263-273, 277-280, 282-286, 288, 294-302

რიმა ბინტ ბანდარ იბნ სულტან ალ საუდი - საუდის არაბეთის ელჩი აშშ-ში 2019 წლიდან *(საუდის არაბეთის დიპლომატიაში პირველი ქალი ელჩი. საუდიტების სამეფო ოჯახის წარმომადგენელი. პაპამისი სულტან იბნ აბდულაზიზ აღ საუდი, დღევანდელი სალმან მეფის ღვიძლი ძმაა. მამამისი ბანდარ იბნ სულტანი აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩად მუშაობდა 1983-2005 წ.წ. რიმა აშშ-ში იზრდებოდა, დამთავრებული აქვს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი. აქტიურად მოღვაწეობდა არაბი ქალების უფლებებისთვის და 2014 წელს ჟურნალ Forbes - ის მიხედვით საუდის არაბეთის ყველაზე გავლენიან ქალად არის აღიარებული)* გვ. 201

რიჩარდ მორნინგსტარი - აშშ-ის ელჩი აზერბაიჯანში 2012-2015 წლებში *(აშშ-ის სახელმწიფო მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ენერგეტიკის საკითხებში ევრაზიის რეგიონში 2009-2012 წ.წ. 1998 წელს იგი დაინიშნა აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალურ მრჩევლად კასპიის ზღვის აუზის საკითხებში „ენერგეტიკული დიპლომატიის“ ეგიდით და ამ მისიით იგი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის ინიციატორად ითვლება. 1999-2001 წლებში მორნინგსტარი იყო აშშ-ის ელჩი ევროპის კავშირში. 2009 წელს აშშ-ის სახელით ხელი მოაწერა „ნაბუქოს“ პროექტის ხელშეკრულებას)* გვ. 13

რობერტ პირსონი - აშშ-ის ელჩი თურქეთში 2000-2003 წლებში *(ბალკანეთის კრიზისის პერიოდში მუშაობდა აშშ-ის მუდმივ წარმომადგენლობაში ნატოს ეგიდით 1993-1997 წ.წ. აშშ-ის საელჩოს დესპანი საფრანგეთში 1997-2000 წ.წ. ასწავლის სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტში და ამერიკულ დიპლომატიურ აკადემიაში. ფლობს ფრანგულ, ჩინურ და თურქულ ენებს)* გვ. 222

რობერტ ქოჩარიანი - სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1998-2008 წლებში *(სომხეთის პრემიერ-მინისტრი 1997-1998 წ.წ. მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტი 1994-1997 წ.წ. 2021 წლის 9 მაისს სტატიაში ჩაუდგა აღიანსს „სომხეთი“)* გვ. 36, 37, 39, 40, 43

რობერტო მარონი - იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი 2008-2011 წლებში *(ლომბარდიის გუბერნატორი 2013-2018 წ.წ. ს. ბერლუსკონის ყველა მთავრობაში იყო. შრომისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრი 2005-2006 წ.წ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი 1994-1995 წ.წ.)* გვ. 261

ს

სადამ ჰუსეინი - ერაყის პრეზიდენტი 1979-2003 წლებში (*2001 წლის ცნობილი 9/11 ტერორისტული აქტების შემდეგ, გამოცხადდა მსოფლიო ტერორიზმის კერების განადგურების მიზნით, საერთაშორისო ძალების გაერთიანება და კოალიციის ძალებმა ავღანეთის შემდეგ, ირაქში მიიტანეს ერაყზე. სადამ ჰუსეინს უკვე დიქტატორის იმიჯი ჰქონდა მოპოვებული და 2003 წელს მისი*

ხეჟიმის დასამხობად სამხედრო ოპერაცია ჩატარდა ეგვიპტეში. 2003 წლის 9 აპრილს სადამ ჰუსეინი დაატყვევეს, ხოლო 2006 წლის 30 დეკემბერს იგი სიკვდილით დასაჯეს) გვ. 171, 172, 219, 221

სადირ ჟაპაროვი - ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2021 წლის იანვრიდან... *(ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრი 2020-2021 წ.წ. წლების განმავლობაში ოპოზიციაში ედგა მთავრობას და ხამდენჯერმე დააპატიმრეს. 2020 წლის 6 ოქტომბერს ციხიდან გამოვიდა, ხოლო 2021 წლის 10 იანვარს ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს)* გვ. 69, 70

სალმან იბნ აბდულაზიზ ალ საუდი - საუდის არაბეთის მეფე 2015 წლიდან... *(მეფე ასევე ითვლება ორი წმინდა ადგილის „მექა-მადინა“-ს მცველად. სალმანი გამეფებამდე იყო საუდის არაბეთის თავდაცვის მინისტრი 2011-2015 წ.წ. 2015 წელს მეფე სალმანის გადაწყვეტილებით საუდის არაბეთი გაეროს პრივილეგიების საერთაშორისო კონვენციას მიუერთდა, ხოლო სალმან მეფის ბრძანებით 2017 წლის 26 სექტემბერს საუდის არაბეთის ქალებს მანქანის ტარების უფლება მიეცათ, რომელიც 1957 წლიდან ჰქონდათ აკრძალული. სალმანის მეფობის პერიოდში საუდის არაბეთის მთავრობამ დაიწყო ტურისტული ვიზების გაცემა. 2020 წლიდან საუდის არაბეთი „დიდი ოცეულის“ თავმჯდომარე გახდა და იმავე წლის 26 მარტს კოვიდ19-ის გამო ონლაინ ხეჟიმში მოიწვია „დიდი ოცეულის“ საგანგებო სამიტი. სალმან იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდი მსოფლიო მონარქ-მამაკაცებს შორის ყველაზე ხანდაზმულად ითვლება)* გვ. 201, 204, 205

სამიჰ შუქრი - ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრი 2014 წლიდან... *(დიდი წვლილი შეიტანა ისრაელისა და პალესტინის სამთავრობო დელეგაციების მოლაპარაკებების დროს ღაზას სექტორის მშვიდობიანი მოგვარების საკითხების განხილვისას. მისი ინიციატივით, მოლაპარაკებები გრძელდება ასევე თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან)* გვ. 208, 211, 212

სამუილ ჰანთინგტონი - „ცივილიზაციათა შეჯახების“ ავტორი (*1996 წელს გამოვიდა მისი ისტორიულ-ფილოსოფიური ტრაქტატი, „ცივილიზაციების შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“, რომელშიც მოცემულია მსოფლიოს მოწყობის შესახებ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. მან თავისი იდეა ჯერ კიდევ 1993 წელს თავის სტატიაში სათაურით „ცივილიზაციათა შეჯახება“ გამოაქვეყნა ჟურნალ „ფორინ პოლისში“ და დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამერიკელი პოლიტოლოგი სამუელ ჰანთინგტონი ამტკიცებდა, რომ მომავალი ომები არა ქვეყნებს შორის, არამედ კულტურებს შორის გაიმართება და გვაფრთხილებდა, რომ ისლამური ექსტრემიზმი გახდება მშვიდობიანი ცხოვრების ყველაზე დიდი საფრთხე მთელ მსოფლიოში. ჰანთინგტონის მიხედვით, ცივილიზაციათა შეჯახება თავისთავად, ისტორიის განვითარების საფეხურია. ადრე მსოფლიო ისტორია ძირითადად დაკავშირებული იყო მონარქებს, ეროვნებებს და იდეოლოგიებს შორის ბრძოლასთან. ახლა კი, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკა*

გადავიდა ახალ ფაზაში, რომელშიც არადასავლური ცივილიზაციები დასავლური ცივილიზაციის მიერ ექსპლუატირებულ და დამადლებულ „ერეციპიენტებს“ აღარ წარმოადგენენ, არამედ გახდნენ მნიშვნელოვანი სუბიექტები, რომლებიც მიუერთდნენ დასავლეთ სამყაროს, მსოფლიო ისტორიის ფორმირებისა და გადაკეთების მიზნით) გვ. 8

საფარმურატ ნიაზოვი - თურქმენისტანის პირველი პრეზიდენტი 1991-2006 წლებში *(თურქმენეთის სსრ პირველი პრეზიდენტი 1990-1991 წ.წ. მისი მმართველობა თურქმენისტანში ხასიათდება ქვეყანაში სრული დიქტატორული რეჟიმის დამყარებით და მასშტაბური პიროვნების კულტის ბატონობით. საკუთარ თავს „თურქმენბაში“, ანუ „თურქმენთა მეთაური“ უწოდა. კვირის დღეების ოჯახის წევრების სახელებით ჩანაცვლებით, თვეების დასახელებების გადარქმევის, ძვირფასი ღითონისგან აგებული უზარმაზარი ძეგლებით და გრანდიოზული ნაგებობებით)* გვ. 49, 70, 72-74

სერგეი ლავროვი - რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2004 წლიდ ან... *(რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში და უშიშროების საბჭოში 1994-2004 წ.წ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე 1992-1994 წ.წ. გაეროში მუშაობის დროს კონფლიქტი ჰქონდა გაეროს გენერალურ მდივან კოფი ანანთან, რომელმაც შენობაში აკრძალა თამბაქოს მოწევა, ხოლო აქტიური მწეველი ვინმე ერეპუა მას)* გვ. 45, 46, 85, 86, 100, 170

სერჟ სარგსიანი - სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2008-2018 წლებში *(სომხეთის პრემიერ-მინისტრი 2007-2008 წ.წ. სომხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების მინისტრი 1996-1999 წ.წ. სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების მინისტრი 1995-1996 წ.წ. ოჯერ იყო სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი 1993-1995 წ.წ. და 2000-2007 წ.წ. იგი დაინტერესებული იყო თურქეთთან ურთიერთობების დათბობით, რასაც ე.წ. „საფეხბურთო დიპლომატია“. მოჰყვა და რომელმაც შედეგი არ გამოიღო. ს. სარგსიანს მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები: ღირსების ორდენი - 2008 წ. და პრეზიდენტის ორდენი „ბრწყინვალება“ – 2013 წ.)* გვ. 25, 36, 37, 44-47

სლობოდან მილოშევიჩი - სერბეთის პირველი პრეზიდენტი 1991-1997 წლებში *(იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკის პრეზიდენტი 1997-2000 წ.წ. სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1989-1991 წ.წ. სერბეთის კომუნისტთა კავშირის ცკ-ის პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1986-1989 წ.წ. მილოშევიჩი იუგოსლავიის დაშლისა და აქედან წარმოშობილი სისხლისმღვრელი კონფლიქტების ცენტრალური დამნაშავე ფიგურა იყო. ჰაგის ტრიბუნალმა მას კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის კვალიფიკაცია შეუფარდა. 2006 წლის 11 მარტს სასამართლო პროცესზე გულის შეტევით გარდაიცვალა)* გვ. 108

სოორონბაი ჟეენბეკოვი - ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2017-2020 წლებში *(ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრი 2016-2017 წ.წ. 2020 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებით უკმაყოფილო მასების 6 ოქტომბერს დაწყებული საპროტესტო მიტინგების შედეგად, 15 ოქტომბერს სოორონბაი ჟეენბეკოვი პრეზიდენტობიდან გადადგა)* გვ. 68

სულეიმან დემირელი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1993-2000 წლებში *(5-გზის იყო თუჰქეთის ჰესპუბლიკის პჰემიეჰ-მინისტჩი. 1987 წელს მისი თაოსნობით შეიქმნა „ჭეშმაჰიტი გზის პაჰტია“ –* Doğru Yol *Partisi, ჰომელმაც 1991 წლის აჰჩევნებში გაიმაჰჯვა. დიდი წვლილი მიუძღვის თუჰქეთის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებაში. მეტად პოზიტიური ჰოლი შეასჰულა თუჰქეთ-საქაჰთველოს უჰთიეჰთობებში და აქტიურად უჭერდა მხაჰს ოჰმხჰივ ეკონომიკურ თანამშრომლობას. საქაჰთველოში 1995 წლიდან წაჰმატებით მოქმედებდა დემირელის სახელობის კოლეჯი, ჰომლის მოსწავლეებმა საერთაშორისო ოლიმპიადების 300-მდე ლაურეატის და გამაჰჯვებულის ტიტული მოიპოვეს. სულეიმან დემირელი, ჰოგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე 1999 წელს დაჯილდოვდა საქაჰთველოს „ოქროს საწმისის“ უმაღლესი ორდენით. გაჰდაიცვალა 2015 წლის 17 ივნისს. მშობლიური ისპაჰტას სასაფლაოზე 2019 წელს გაიხსნა მისი მონუმენტური საფლავი)* გვ. 7, 12, 20, 22, 23, 49, 50, 52, 70, 75, 82, 108, 144

სულეიმან სოილუ - თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი 2016 წლიდან... *(თუჰქეთის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი 2015-2016 წ.წ. ყოფილი კრიმინალის სედათ პეკერის 2021 წლის 13 მაისის განცხადების თანახმად, სულეიმან სოილუმ მინისტრის პოსტი გამოიყენა და სილივრის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი აიძულა დაკავებული დამნაშავე გაეშვა. 2018 წლის 1 აგვისტოს აშშ-ის ხელისუფლებამ სანქციები დაუწესა სულეიმან სოილუს ამერიკელი პასტორის ბრანსონიოს დაპატიმრების გამო)* გვ. 187, 250

ტ

„ტალიბანი“ - ისლამური ტერორისტული მოძრაობა, ანუ ტალიბები *(შეიქმნა 1994 წელს ავღანელი პუშტუნების მიერ მოსწავლე ახალგაზრდობის წრეში, სახელი მოდის არაბული „ტალიბი“-დან რაც ნიშნავს „მოსწავლეს, სტუდენტს“. მოძრაობას „ტალიბანი“ ეწოდა სპარსული მრავლობითი რიცხვის დაბოლოებიდან „ან“, ანუ „მოსწავლეები“)* გვ. 59, 103, 172, 219, 225, 237-239, 242, 289-296, 298-302

ტასოს პაპადოპულოსი - კიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2003-2008 წლებში *(კიპროსის რესპუბლიკის შექმნისთანავე, მაკარიოსის მთავრობაში მინისტრის თანამდებობები ეკავა: შინაგან საქმეთა მინისტრი 1959-1960 წ.წ.; ფინანსთა მინისტრი 1960-1961 წ.წ.; სოფლის მეურნეობის მინისტრი 1967-1969 წ.წ.; შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი 1960 1970 წ.წ. შუალედებით. 2004 წლის კოფი ანანის გეგმის მოწინააღმდეგედ ითვლება)* გვ. 129, 130

ტოდორ ჟივკოვი - ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მეთაური 1954-1989 წლებში *(ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1962-1971 წ.წ. ბულგარეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 1971-1989 წ.წ. 1989 წელს მშვიდობიანი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, გადააყენეს თანამდებობიდან. 1990 წელს გაასამართლეს, შინა პატიმრობა მიუსაჯეს და 1996 წელს გაათავისუფლეს. გარდაიცვალა 1998 წელს)* გვ. 105

ტონი ბლერი - დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1997-2007 წლებში *(მეტად ენერგიულად უჭერდა მხარს კოალიციის შეჭრას ერაყში 2003 წელს. ლეიბორისტული პარტიის ლიდერობის ხელოხდსმენი. პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, დაინიშნა ე.წ. „კვარტეტის“ სპეციალურ წარმომადგენლად ახლო აღმოსავლეთში)* გვ.172

უ

ურსულა ფონ დერ ლაიენი - ევროპის კომისიის პრეზიდენტი 2019 წლიდან... *(1990 წლიდან „ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის“ (ქდკ) პოლიტიკური პარტიის წევრია. გერმანიის თავდაცვის მინისტრი 2013-2019 წ.წ. გერმანიის შრომისა და საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი 2009-2013 წ.წ. ოჯახის, პენსიონერთა, ქალთა და ახალგაზრდების საკითხთა მინისტრი 2005-2009 წ.წ. 2010 წელს ქდკ პარტიის მხრიდან წარდგენილი იყო გერმანიის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა სხვა კანდიდატი გავიდა. ქალბატონი პრეზიდენტი შვიდი შვილის დედაა)* გვ. 271, 272, 273

ფ

ფათიჰ ილდიზი - თურქეთის რესპუბლიკის ელჩი ერაყში 2017-2021 წლებში *(ვაშინგტონში თურქეთის საელჩოს მრჩეველი 2004-2008 წ.წ. ჩიკაგოში თურქეთის გენერალური კონსული 2010-2014 წ.წ.)* გვ. 184, 196

ფაიზ ას-სარაჯი - ლიბიის ეროვნული თანხმობის მთავრობის პრემიერ-მინისტრი 2016-2021 წლებში *(სამოქალაქო ომით ორ ნაწილად გაყოფილ ლიბიაში სარაჯი, მხოლოდ ტრიპოლის მხარეს განაგებდა, როდესაც თურქეთი სამხედრო ძალებით ჩაერია ლიბიის საქმეებში. ერდოღანის მიერ ფაიზ სარაჯთან 2019 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება ხმელთაშუა ზღვის აკვატორიის გადანაწილების შესახებ, საერთაშორისო კანონმდებლობას ეწინააღმდეგება, ვინაიდან მათ შორის დადებული შეთანხმება, სხვა ქვეყნების ტერიტორიული წყლების საზღვრებსა და გავლენის ზონებს არღვევს. სარაჯი 2021 წლის თებერვალში გადადგა და იტალიაში გაემგზავრა)* გვ.100, 101, 209, 211, 214

ფაისალ იბნ ფარხან ალ-საუდი - საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2019 წლიდან... *(დაიბადა გერმანიაში. განათლება მიიღო აშშ-ში. საუდის არაბეთის საელჩოს მრჩეველი აშშ-ში 2017-2019 წ.წ. 2019 წლის 27 მარტს დაინიშნა საუდის არაბეთის ელჩად გერმანიაში. 2019 წლის 23 ოქტომბერს დაინიშნა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრად. პოზიტიურად შეაფასა ისრაელსა და გაერთიანებულ არაბულ საემიროებს შორის 2020 წლის 19 აგვისტოს დადებული სამშვიდობო შეთანხმება)* გვ. 204

ფარუქ ლოღოღლუ - თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში 2001-2005 წლებში *(თურქეთის ელჩი დანიაში 1993-1996 წ.წ. თურქეთის ელჩი აზერბაიჯანში 1996-1998 წ.წ. თურქეთის*

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე 2000-2001 წ.წ. ანკარაში ევრაზიის სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი 2006-2008 წ.წ. დღეისათვის თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის დეპუტატი რესპუბლიკური სახალხო პარტიიდან CHP, არის მეჯლისის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის წევრი) გვ. 40

ფაჰდ იბნ აბდულაზიზ ალ საუდი - საუდის არაბეთის მეფე 1982-2005 წლებში *(მისი მეფობის პერიოდში საუდის არაბეთი იქცა ნავთობის ერთ-ერთ მთავარ მწარმოებელ ქვეყნად. მის დამსახურებად ითვლება საუდის არაბეთსა და ბაჰრეინს შორის სპარსეთის ყურეში 25 კილომეტრიანი სიგრძის ხიდის მშენებლობა, რომელსაც მის საპატივცემულოდ ფაჰდის ხიდი ეწოდება. მისი სახელი ეწოდა საფეხბურთო ტურნირს, რომელსაც შემდეგ „კონფედერაციის თასი“ დაერქვა)* გვ. 205

ფაჰრეთთინ კირზიოღლუ - XX საუკუნის თურქი ისტორიკოსი და მკვლევარი *(მისი კვლევების არეალი ძირითადად კავკასიის და აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონს ეხება და ამკვიდრება მოსაზრებას, რომ თითქოს ქურთები, ლაზები, ჰემშილები და სამცხის ათაბაგები თურქული წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები ყოფილიყვნენ. ოსმანური იდეოლოგიის მიმდევრები დღესაც სარგებლობენ მისი „თხზულებებით“ და მისი დასკვნები პერიოდულ გამოცემებში არგუმენტად მოჰყავთ. საგანმანათლებლო სისტემაში სერიოზულად ისწავლება და ხშირად პოპულარულ კონფერენციებზე მეცნიერულად უდგებიან. ბევრი უცხოელი მეცნიერი, მის „აზრებს“ სერიოზულად არ მიიჩნევს)* გვ. 18

ფედერიკა მოგერინი - ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი 2014-2019 წლებში *(იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი 22.02.2014-31.10.2014 წ. ევროპის კოლეჯის რექტორი ბრიუგეში 2020 წლიდან. 2016 წელს ამერიკულმა ჟურნალმა Forbes გამოაქვეყნა მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი 100 ქალის სია, რომელშიც მოგერინი მე-19 ადგილზეა)* გვ. 138, 181, 266, 269, 270

ფეთჰულა გიულენი - ისლამიზმის რელიგიური და საზოგადო მოღვაწე *(გიულენი მოუწოდებს ახალი თაობების ეთიკური აღზრდისაკენ. ხელიგიურ კონფესიებსა და კულტურებს შორის დიალოგისკენ. პირადად შეხვედრია რომის პაპს იოანე პავლე II-ს, მართლმადიდებელთა მსოფლიო პატრიარქს ბართლომეოსს, ისრაელის სეფარდულ მთავარ რაბინს ელია დორონს. მან პირველმა გაკიცხა და შეარცხვინა 2001 წლის 11/9 ტერაქტის მომწყობნი და ჯოჯოხეთში მიუჩინა ადგილი. 2013 წელს ჟურნალმა TIME იგი „მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანების“ სიაში განათავსა. 2015 წელს გიულენს მიენიჭა მაჰათმა განდის სახელობის პრემია, როგორც მშვიდობისმოყვარე და ცივილიზაციებს შორის დიალოგის მქადაგებელი მოძღვარი. 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, თურქეთის ხელისუფლებამ ფეთჰულა გიულენი დაადანაშაულა, მის მოძრაობას და მიმდევრებს კი, ტერორისტული ორგანიზაციის „FETÖ“-ს წევრები უწოდა)* გვ. 60, 68, 92, 160, 227, 228, 231, 236, 267

ფრანიო ტუჯმანი - ხორვატიის პრეზიდენტი 1990-1999 წლებში *(იუგოსლავიის დაშლამდე აქტიურად მონაწილეობდა ხორვატიის დისიდენტურ ნაციონალისტურ მოძრაობაში. ნაციონალიზმის პროპაგანდის გამო,*

ოჯეჰ იყო დაპატიმრებული 1972 წ. და 1981 წ. 1999 წელს ჯეჰ კიდევ პრეზიდენტად ყოფნისას გახდაიცვალა. მისი სახელი მიკუთვნებული აქვს ზაგრების მოედანს, ზადარის ერთ-ერთ ქუჩას, ლუბლიანაში ხიდს. 1999 წლის 7 იანვარს დაჯილდოვებულია თუჩქეთის რესპუბლიკის ჰაინდის ორდენით) გვ. 108

ფრანკო ფრატინი - იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი 2008-2011 წლებში *(საგარეო საქმეთა მინისტრი 2002-2004 წლებშიც იყო. ევროპის კომისარი იუსტიციის, თავისუფლების და უსაფრთხოების საკითხებში 2004-2008 წ.წ. გაზეთ „Times"-თვის მიცემულ ინტერვიუში 2009 წელს მხარი დაუჭირა ევროკავშირის სამხედრო ძალების შექმნას. 2014 წლიდან ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის პრეზიდენტია)* გვ. 261

ფუად უჩარი - „მსოფლიო ახალციხელი თურქების საზოგადოების" გენერალური მდივანი *(ისტორიკოსი და მწერალი. 2015 წლიდან მუშაობს გირესუნის უნივერსიტეტში. მანამდე კითხულობდა ლექციებს დემირელის, ტრაპიზონის, სამსუნის უნივერსიტეტებში. მის გამოცემულ წიგნებს თავისი მკითხველი ჰყავს და ამ ნაწარმოებებში ძირითადად მოცემულია „ოსმანიზმის, ისლამიზმის, თურქიზმის მანიფესტი" - ასე ეწოდება მის 2007 წ. გამოცემულ ნაწარმოებს. მას ეკუთვნის „თურქული სამყარო", „გარე თურქები", „თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში")* გვ. 19

ქ

ქემალ ქილიჩდაროღლუ - „რესპუბლიკური სახალხო პარტიის" CHP გენერალური თავმჯდომარე *(2002 წლიდან დღემდე თურქეთის დიდი ერთგული მეჯლისის დეპუტატია. 2010 წლიდან მეჯლისში მთავარი ოპოზიციური ძალების ლიდერი. 2009 წელს მონაწილეობდა სტამბოლის მერის არჩევნებში, მაგრამ დამარცხდა მმართველის პარტიის AKP კანდიდატთან. იგი 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების რეფერენდუმის წინააღმდეგ გამოდიოდა, რომლის თანახმადაც უზომოდ იზრდებოდა პრეზიდენტის უფლებები. 2017 წლის ზაფხულში მისი ინიციატივით გაიმართა „სამართლის მსვლელობა" ანკარიდან სტამბოლამდე, რომელიც ეხებოდა ჟურნალისტების დაკავებას და მათთვის 25-წლიანი სასჯელის გამოტანას - ჟურნალისტები ხელისუფლებამ დაადანაშაულა ვიდეომასალის გამოქვეყნებისათვის, სადაც დაფიქსირებული იყო თურქი მაღალჩინოსნების კავშირები აისის ძალებთან. მმართველი პარტია AKP და მისი მოკავშირე MHP, აკრიტიკებდნენ და ხელს უშლიდნენ ხსენებულ მსვლელობას)* გვ. 124

ყ

ყასიმ ჟომერტ ტოყაევი - ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2019 წლიდან... *(ყაზახეთის პარლამენტის სენატის თავმჯდომარე 2013-2019 წ.წ. გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე - გაეროს ჟენევის განყოფილების გენერალური დირექტორი 2011-2013 წ.წ. ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 2002-2007 წ.წ. და 1994-1999 წ.წ.*

ყაზახეთის პრემიერ-მინისტრი 1999-2002 წ.წ. დამთავრებული აქვს მოსკოვის საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი (მგიმო) და 1975 წლიდან მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც სამუშაოდ იქნა გაგზავნილი სინგაპურისა და შემდეგ, ჩინეთის საბჭოთა საელჩოში. ფლობს რუსულ, ინგლისურ, ჩინურ, ფრანგულ ენებს. 2001 წელს რუსეთის დიპლომატიურ აკადემიაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ყაზახური ანბანის კირილიცადან ლათინურზე გადასვლას არ ეთანხმება, მთელი ხიგი ფონეტიკური სიძნელეების წარმოშობის მიზეზით) გვ. 58

ყურბანყული ბერდიმუჰამედოვი - თურქმენისტანის პრეზიდენტი 2007 წლიდან... *(თურქმენისტანის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე 2001-2007 წ.წ. თურქმენისტანის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მრეწველობის მინისტრი 1997-2007 წ.წ. არის სამედიცინო და ეკონომიკური მეცნიერებების დოქტორი. თურქმენისტანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ქვეყანაში ხეფორმები ჩაატარა „თურქმენბაშის“ პიროვნების კულტის ამასხველი ყველა ატრიბუტიკის აკრძალვის მიზნით. სამაგიეროდ გამოსცა 53 წიგნი, რომელიც ძვირფას ქარაღდზე იბეჭდება, მდიდრული ყდით გამოდის და საჩუქრად გადაეცემათ გამორჩენილ პიროვნებებს, ორგანიზაციებს, სასწავლებლებს. განავრცო თავისი მუსიკალური ნიჭიერების გამომხატველი მოღვაწეობა და უამრავი სიმღერა, საკუთარი ტექსტით და მუსიკით, თვითონვე ასრულებს და ამასთანავე, უკრავს მრავალ მუსიკალურ ინსტრუმენტზე. მისი პიროვნების კულტი, არაფრით ჩამოუვარდება მის წინამორბედს. ვისაც ჩუქნის წიგნს, იგი ვალდებულია წიგნს აკოცოს და თავზე დაიდოს. ახლადდაქორწინებულმა წყვილმა ხელისტრაციის დროს, აუცილებლად სუფათი უნდა გადაიღონ მისი დიდი პორტრეტის ფონზე. ჟურნალმა The Foreign Policy ბერდიმუჰამედოვს მსოფლიოს ყველაზე მკაცრი 23 დიქტატორის სიაში მე-5 ადგილი მიუჩინა. თავისუფალი პრესის ინდექსში „Press Freedom Index“ 178 ქვეყნიდან, თურქმენისტანს 176-ე ადგილი უკავია. „რა გითხრათ, რით გაგახაროთ...“)* გვ. 55, 56, 71-74

ყურმანბეკ ბაკიევი - ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 2005-2010 წლებში *(ყირგიზეთის პრემიერ-მინისტრი 2000-2002 წ.წ. და 2005 წ. „ყირგიზეთის სახალხო მოძრაობის“ პოლიტიკური ბლოკის ლიდერი. 2005 წლის „ტიტების ევოლუციის“ შედეგად, როდესაც გადაყენებულ იქნა პრეზიდენტი აკაევი, იგი ხელისუფლებაში მოვიდა. 2009 წელს რუსეთს შეპირდა, რომ დახურავდა აშშ-ის საჰაერო ბაზა „მანასს“, მაგრამ არ შეასრულა. 2010 წელს ყირგიზეთში კვლავ მთავრობის გადატრიალება მოხდა და ბაკიევმა ბელარუსს შეაფარა თავი, სადაც 2012 წელს მოქალაქეობა მიიღო. 2013 წელს ყირგიზეთის უმაღლესმა სასამართლომ აღძრა საქმე მის მიმართ „თანამდებობის ბოროტად გამოყენების“ ბრალდებით, შემდეგ სხვა დანაშაულებიც დაუმტკიცდა და 2014 წელს დაუსწრებლად 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 2021 წლის ივლისიდან მასზე გამოცხადებულია ძებნა, ოქროს საბადოებზე კორუფციული გარიგებების ბრალდებით)* გვ. 55

შ

შავქათ მირზიოევი - უზბეკეთის პრეზიდენტი 2016 წლიდან... *(უზბეკეთის პრემიერ-მინისტრი 2003-2016 წ.წ. პრეზიდენტობის წლებსი ჩაატარა მნიშვნელოვანი ღიბერალური რეფორმები ეკონომიკაში, საგადასახადო სისტემაში, ადამიანის უფლებების საკითხებში, განათლების სფეროში, რელიგიის საკითხებში. საგარეო პოლიტიკაში აქტიურად განავითარა სამეზობლო ურთიერთობები და ავღანეთში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მისი რეგულირების საკითხებში. 2018 წლის 23 აპრილ თურქეთში ვიზიტისას, ანკარაში მას გადაეცა ჯილდო „ევრაზიის წინასე დამსახურებისათვის', რომელიც მას მიენიჭა „საზოგადოების წინაშე უპრეცედენტო და ისტორიული დამსახურებისთვის". აღნიშნული ჯილდო დაწესებულია საქმიანი ადამიანების თურქული საზოგადოების EcoAvrasya -ს მიერ და ენიჭება კონკურსში: „თურქული სამყაროს წინაშე დამსახურებისათვის" გამარჯვებულს პრემიის სახით)* გვ. 57, 63-65

შარლ აზნავური - სომხური წარმოშობის ფრანგი შანსონიე, კომპოზიტორი, მსახიობი *(საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხელოვანი. დაწერილი აქვს 1000-ზე მეტი სიმღერა, ჩატარებული აქვს 1000-ზე მეტი კონცერტი მსოფლიოს 94 ქვეყანაში და გაყიდულია მისი 200 მლნ დისკი. გადაღებულია 60 ფილმში. ჟურნალ TIME და ტელეარხ CNN - ის მიერ მოწყობილი ერთობლივი გამოკითხვის შედეგად, შარლ აზნავური მიჩნეულია XX საუკუნის საუკეთესო საესტრადო მომღერლად. 2005 წელს შარლ აზნავურს მიენიჭა ქალაქ ახალციხის საპატიო მოქალაქის წოდება, რადგანაც მამამისი ახალციხეში იყო დაბადებული და მისი სახელი ღღესაც დგას ახალციხეში)* გვ. 40

შარლ მიშელი - ევროპული საბჭოს თავმჯდომარე 2019 წლიდან... *(ბელგიის პრემიერ-მინისტრი 2014-2019 წ.წ. - ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ლიდერი. ბელგიის განვითარებისა და თანამშრომლობის მინისტრი 2007-2011 წ.წ. 2000 წელს დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად - ბელგიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა, 25 წლის მინისტრი. ბელგიის ფრანგული საზოგადოების წარმომადგენელი. მამამისი, ღუი მიშელი 2004-2009 წლებში იყო ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ეკონომიკური განვითარების საკითხებში)* გვ. 271, 272

შიმონ პერესი - ისრაელის პრეზიდენტი 2007-2014 წლებში *(ისრაელის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რომლის პოლიტიკური კარიერა 70 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. 2-გზის ისრაელის პრემიერ-მინისტრი 1995-1996 წ.წ. და 1984-1986 წ.წ. 3-გზის ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი 2001-2002 წ.წ., 1992-1995 წ.წ. და 1986-1988 წ.წ. ნეჰევისა და გალილეის განვითარების მინისტრი 2005-2007 წ.წ. ისრაელის რეგიონული განვითარების მინისტრი 1999-2001 წ.წ. ისრაელის ფინანსთა მინისტრი 1988-1990 წ.წ. პრეზიდენტის თანამდებობის დასრულებისას 2014 წლის ივლისში შიმონ პერესი 91-ე წელში იყო გადამდგარი და ასაკით, მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული სახელმწიფო მეთაური იყო. იგი ითვლება ებრაული ბირთვული იარაღის „მამად". 2008 წელს შიმონ პერესს, დედოფალ ელისაბედ II - ის ხელით მინიჭებული აქვს დიდი ბრიტანეთის წმ. მიხეილისა და წმ. გიორგის*

სახელობის ჰაინდის ჯილდო. აშშ-ის კონგრესის ოქროს მედალი. 1994 წელს იასირ არაფატსა და იცხაკ ჰაბინთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში) გვ.145, 146

შტეფან ფულე - ევროკავშირის გაფართოებისა და კეთილმეზობლური პოლიტიკის ევროკომისარი 2010-2014 წლებში *(ჩეხეთის ელჩი ღიტვაში 1998-2001 წ.წ. ჩეხეთის ელჩი დიდ ბრიტანეთში 2003-2005 წ.წ. ჩეხეთის მუდმივი წარმომადგენელი ნატოში 2005-2009 წ.წ. 2014 წელს პასუხისმგებელი იყო ევროკავშირში უკრაინის ასოცირებულ წევრად მიღებაზე)* გვ. 265

ხ

ხავიერ სოლანა - ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში 1999-2009 წლებში *(ამავდროულად იყო ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი 1999-2009 წ.წ. ამასთანავე დასავლეთევროპული კავშირის გენერალური მდივანი 1999-2009 წ.წ. ნატოს გენერალური მდივანი 1995-1999 წ.წ. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1992-1995 წ.წ. ესპანეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 1988-1992 წ.წ. ესპანეთის კულტურის მინისტრი 1982-1988 წ.წ. მყარი სხეულების ფიზიკის პროფესორი და ამ დარგში 30 ნაშრომზე მეტის ავტორი. მიღებული აქვს მრავალი ქვეყნის ჯილდო. 2010 წელს მიღებული აქვს საქართველოს ოქროს საწმისის ორდენი)* გვ. 46

ხალიდ მაშალი - „ჰამასის“ მოძრაობის პოლიტბიუროს თავმჯდომარე 1996-2007 წლებში *(ტერორისტული ორგანიზაციის „ჰამასის“ ხელმძღვანელი 2004 და 2005 წელს მოსკოვს ეწვია და შეხვედრები გამართა ს. ლავროვთან და ე. პრიმაკოვთან, სადაც მას დახმარებას ჰპირდებოდნენ და აიმედებდნენ. თურქეთშიც 2006 წლის შემდეგ ხშირად სტუმრობდა პრემიერ-მინისტრ ერდოღანს. ისრაელის მოსადის მიერ ძებნილი ჰალიდ მაშალი, 2007 წლიდან დამასკოში დამკვიდრდა. „არაბული გაზაფხულის“ გავლენით სირიის ოპოზიციას შეუერთდა, მაგრამ 2012 წ. დამასკო დატოვა და ყატარში თავის შეფარება არჩია)* გვ. 145

ხალიფა ჰაფთარი - ლიბიის ეროვნული არმიის მთავარსარდალი 2015 წლიდან... *(ლიბიის წარმომადგენლობათა პალატის მიერ 2016 წელს მინიჭებული აქვს ფელდმარშალის წოდება. აშშ-ში 20 წელი დაჰყო და შესაბამისი სამხედრო გამოცდილება მიიღო. 1990 წელს აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო და ამბობენ, რომ ცსს-თან CIA თანამშრომლობდა. ადრე, საბჭოთა კავშირში უმაღლეს სამხედრო განათლებას ეზიარა და მუამარ კადაფის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. 2019 წლის 4 აპრილს დაწყებული ლიბიის „განმათავისუფლებელი“ ომი გამარჯვებამდე ვერ მიიყვანა, ვინაიდან თურქეთის ლეგიონული ამბიციების სფეროს შეეხო და მისი სახით, სერიოზულ სამხედრო ძალას შეეჯახა. ხალიფა ჰაფთარს მხარდაჭერა აქვს ეგვიპტის, გაერთიანებული არაბული ემირატების და რუსეთის მხრიდან, მაგრამ უკანასკნელ ხანს ჯანმრთელობისა და ასაკის პრობლემები აწუხებს)* გვ. 100, 101, 209, 210

ჯ

ჯალალ თალაბანი - ერაყის პრეზიდენტი 2005-2014 წლებში (*„ქურდისტანის პატრიოტული კავშირის“ დამფუძნებელი და დიდი. აქტიურად იბრძოდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ. გამოცემული აქვს წიგნები, რომელთა ძირითადი თემატიკა ქურთთა ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ეხება. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქურთებში და მას „მამ ჯალალ“- ბიძია ჯალალის სახელით იცნობდნენ. პრეზიდენტობის დროს, 2010 წლის 17 ნოემბერს უარი თქვა ხელი მოეწერა სადამ ჰუსეინის ვიცე-პრემიერის თარიკ აზიზის სასიკვდილო განაჩენზე, ანუ მის სიკვდილით დასჯაზე. გარდაიცვალა 2017 წლის 3 ოქტომბერს ბერლინში. დაასაფლავეს მის მშობლიურ ქალაქ სულეიმანიაში, ათასობით ადამიანის მონაწილეობით და მიუხედავად ერაყის მთავრობის პროტესტისა, მისი კუბო ქურდისტანის დროშით იყო შემოსილი)* გვ. 171

ჯამალ ხაშუკჯი (ხაშოგგი) - ჟურნალისტი, პუბლიცისტი და მწერალი საუდის არაბეთიდან *(2018 წლის 2 ოქტომბერს მოკლულ იქნა სტამბოლის საუდის არაბეთის გენერალური საკონსულოს ტერიტორიაზე. მისმა მკვლელობამ ძალზე დაძაბული მდგომარეობა შექმნა საუდის არაბეთის ურთიერთობებში თურქეთთან და აშშ-თან. ჟურნალისტი ცნობილი გახდა აშშ-ისა და საუდის არაბეთის მთავრობათა კრიტიკული წერილებით პრესაში. განსაკუთრებით აკრიტიკებდა საუდის არაბეთის უფლისწულს მუჰამად იბნ სალმანს, რომელსაც ვიცე-პრემიერისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები ეკავა. 2016 წლის ბოლოს საუდის არაბეთის ხელისუფლებამ აუკრძალა ჟურნალისტური საქმიანობა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ღიად კრიტიკის გამო. 2017 წლის სექტემბერში ხაშუკჯი აშშ-ში გადადის და „ვაშინგტონ პოსტში“ ბეჭდავს სტატიებს, სადაც ნამეტნავად აკრიტიკებს მუჰამად იბნ სალმანს. ამიტომ მისმა მკვლელობამ სტამბოლში უფლისწულის მიმართ ეჭვები გააჩინა, ვინაიდან მკვლელებში ამოიცნეს უფლისწულის დაცვის ყოფილი წევრები. 2019 წლის 23 დეკემბერს საუდის არაბეთის სასამართლომ ხაშუკჯის მკვლელებიდან 5 დამნაშავეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მეორე დღეს, 24 დეკემბერს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სამსახურმა დაგმო საუდის არაბეთის სასამართლოს გადაწყვეტილება ჟურნალისტის მკვლელობაში დადანაშაულებულთა მიმართ სიკვდილის განაჩენის გამოტანის გამო)* გვ. 200-202, 205

ჯეიმზ ჯეფრი - აშშ-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში 2008-2010 წლებში *(პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი გლობალურ კოალიციურ ძალებში ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტურ ზონაში 2019-2020 წ.წ. აშშ-ის სპეციალური წარმომადგენელი სირიის საკითხებში 2018-2020 წ.წ. აშშ-ის ელჩი ერაყში 2010-2012 წ.წ. აშშ-ის ელჩი ალბანეთში 2002-2004 წ.წ. ტრამპის პრეზიდენტობის წლებში ჯეფრის ხშირად უწევდა სირიის საკითხების განხილვა თურქეთის ხელისუფლებასთან. ამას გარდა, იგი მხარს უჭერდა თურქული ძალების განლაგებას იდლიბის რეგიონში)* გვ. 239

ჯეიხუნ ბაირამოვი - აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი 2020 წლიდან *(აზერბაიჯანის განათლების მინისტრი 2018-2020 წ.წ.)* გვ. 71

ჯემილ ჩიჩექი - თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე 2011-2015 წლებში *(თუჰქეთის პჰემიეჰ-მინისტჩის მოადგიდე 2007-2011 წ.წ. თუჰქეთის იუსტიციის მინისტჩი 2002-2007 წ.წ. თუჰქეთის სახელმწიფო მინისტჩი 1987-1991 წ.წ. დღეისათვის პჰეზიდენტის უმაღლესი სათათბიჩო საბჭოს წევჩია)* გვ. 116

ჯოზეფ ბაიდენი - აშშ-ის 46-ე პრეზიდენტი 2021 წლიდან... *(აშშ-ის ვიცე-პჰეზიდენტი 2009-2017 წ.წ.- პიჩველი კათოლიკე ვიცე-პჰეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში. 6-ჯეჰ ზედიზედ იყო ახჩეული აშშ-ის სენატორად დელავეჩის შტატიდან 1973-2009 წ.წ. სენატის საგაჰეო უჩთიეჩთობათა კომიტეტის თავმჯდომაჩე 2007-2009 წ.წ. ჯო ბაიდენმა საპჰეზიდენტო კამპანიის დაწყებისთანავე განაცხადა აშშ-ის ჯაჩების ავღანეთიდან გამოყვანის აუცილებლობაზე და სიტყვა დადო, ჩომ პჰეზიდენტად ახჩევის შემთხვევაში მაშინვე დაიწყებდა მოლაპაჩაკებებს ტალიბებთან. ასევე მიაჩნია, ჩომ აშშ-მა სხვა „ცხელ წეჩტილებში“ მინიმალური სამხედრო კონტინგენტი უნდა შეინაჩუნოს. თუჰქეთი გაანაწყენა „სომეხთა გენოციდის“ აღიაჩებით, ჩასაც საგაჰეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ პოპულიზმის გამოვლენა უწოდა. ჯო ბაიდენი 2009 წელს საქართველოში ვიზიტის დროს დაჯილდოვებულია წმინდა გიორგის გამაჩჯვების ორდენით)* გვ. 103, 159, 160, 201, 224, 233-238, 288

ჯოზეფ დანფორდი - აშშ-ის შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე 2015-2019 წლებში *(აშშ-ის საზღვაო ფეხოსანთა კოჩპუსის კომენდანტი 2014-2015 წ.წ. ავღანეთში უსაფრთხოების საერთაშოჩისო ძალების მთავაჩსაჩდალი 2010-2014 წ.წ. 2015 წელს, ჩოდესაც დანფოჩდს ამტკიცებდნენ აშშ-ის აჩმიის შტაბების მეთაუჩთა კომიტეტის თავმჯდომაჩედ, სენატის სხდომაზე მან განაცხადა: „ჩუსეთი წაჩმოადგენს ყველაზე დიდ საშიშჩოებას ეროვნული უსაფრთხოებისათვის“)* გვ. 248

ჯონ მაკ-კეინი - აშშ-ის სენატორი არიზონას შტატიდან 1987-2018 წლებში *(აშშ-ის წაჩმომადგენლობათა პალატის წევრი არიზონას შტატის საარჩევნო ოლქიდან 1983-1987 წ.წ. 1958 წელს დაამთავრა სამხედრო-საზღვაო აკადემია. ვიეტნამის ომის ვეტერანი, სადაც ტყვედ ხუთნახევარი წელი გაატარა და 1973 წელს გათავისუფლდა პარიზის შეთანხმების თანახმად. 2008 წელს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო რესპუბლიკური პარტიიდან. დამარცხდა დემოკრატ ბარაკ ობამასთან)* გვ.182

ჯორჯ ბუში (უმცროსი) - აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი 2001-2009 წლებში *(ტეხასის შტატის გუბერნატორი 1995-2000 წ.წ. მისი პრეზიდენტობის დროს მომხდარ 9/11 ტერაქტებზე, ბუშმა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ომი წამოიწყო, რაც 2001 წელს ავღანეთში, ხოლო 2003 წელს ერაყში დიდი საერთაშორისო კოალიციური ძალების შეჭრით გამოიხატა. მისი წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, აშშ-ის ეკონომიკა გაიზარდა და უმუშევრობა შემცირდა. 2008 წლის საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის საპასუხოდ, გაეროს სესიაზე გამოსვლისას ბუშმა დაგმო რუსეთის მიერ გაეროს წესდების დარღვევა და განაცხადა, რომ გაეროს წესდება ამტკიცებს „დიდი და მცირე სახელმწიფოების თანაბარი უფლებების არსებობას, რომელიც

ხუსეთმა საქართველოსთან მიმართებაში დაარღვია“. მანამდე, 2005 წლის მაისში საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს, ჯორჯ ბუში დაჯილდვებულ იქნა წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენით) გვ. 172, 219, 221-223

ჯორჯ ფრიდმანი - კერძო სადაზვერვო-ანალიტიკური ორგანიზაციის STRATFOR დამფუძნებელი და დირექტორი *(1994 წელს ღუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტთან დააარსა გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრი, რომელიც დაკავებული იყო სტრატეგიული პროგნოზირებით. 1996 წ. ფრიდმანმა შექმნა კერძო სადაზვერვო სააგენტო STRATFOR)* გვ. 284

ჰ

ჰაიდარ ალ-აბადი - ერაყის პრემიერ=მინისტრი 2014-2018 წლებში *(შიიტი. პრემიერად დანიშვნისთანავე, თანამდებობა მიულოცეს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა, ვინაიდან მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ)* გვ . 177-179, 181, 229

ჰაიდარ ალიევი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1993-2003 წლებში *(აზერბაიჯანის სსრ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 1966-1969 წ.წ. აზერბაიჯანის სსრ კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი 1969-1982 წ.წ. სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე 1982-1987 წ.წ. ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე 1991-1993 წ.წ. საბჭოთა უშიშროების ორგანოების გენერალ-მაიორი)* გვ. 13, 23, 70

ჰაიკო მაასი - გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 2018 წლიდან... *(გერმანიის იუსტიციის მინისტრი 2013-2018 წ.წ. ჰაიკო მაასი დიდ ყურადღებას აქცევს თურქეთ-საბერძნეთის დაპირისპირებას ეგეოსის ზღვის საკითხებთან დაკავშირებით და აქტიურად მოუწოდებს მხარეებს მშვიდობიანი გზების ძიებისაკენ. მან ასევე დაგმო თურქეთის 2019 წლის სირიული ვოიაჟი, როდესაც თურქმა სამხედროებმა ადგილობრივი ქურთების გასახლების გეგმის განხორციელება დაიწყეს)* გვ. 252

ჰასან როჰანი - ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი 2013-2021 წლებში *(ირანის ეროვნული უსაფრთხოების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე 1989-2005 წ.წ. დასავლეთის ქვეყნებთან ირანის ბირთვული პროგრამის მოლაპარაკებების წარმომადგენელი 2003-2005 წ.წ. პრეზიდენტობიდან გადადგომის შემდეგ 2021 წლის აგვისტოდან მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას აანონსებენ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისისა და 2018-2019 წლების მიჯნაზე მასების საპროტესტო გამოსვლების გამო)* გვ. 192-196

ჰაფიზ ალ-ასადი - სირიის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტი 1971-2000 წლებში *(სირიის პრემიერ-მინისტრი 1970-1971 წ.წ. სირიის თავდაცვის მინისტრი 1966-1972 წ.წ. არაბული სოციალიზმის აღორძინების*

პარტია ბაას-ის გენერალური მდივანი 1970-2000 წ.წ. ქვეყანაში ასადის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით ხდებოდა ალავიტების დაწინაურება და მან სახელმწიფო უშიშროების სპეციალურ სამსახურებში ძირითადად შექმნა ნათესავების და ალავიტებისგან შემდგარი რეჟიმის დასაყრდენი ძალა. პარალელურად სუნიტებმა, რომლებიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მთავრობაში დაკარგეს ერთგვარი ავტონომია. 1980-იანი წლების დასაწყისში ისლამური რევოლუციის დამარცხებამ, საბოლოოდ განამტკიცა ასადების ავტორიტარული რეჟიმი და 2000 წელს ჰაფიზ ასადის გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟის ბაშარის პრეზიდენტობა არავის გაჰკვირვებია) გვ. 153, 155

ჰერმან ვან რომპეი - ევროპის საბჭოს თავმჯდომარე 2009-2014 წლებში *(ბელგიის პრემიერ-მინისტრი 2008-2009 წ.წ. 2004 წლიდან ბელგიის სახელმწიფო მუდმივი საპატიო მინისტრი და ბელგიის სამეფო საბჭოს წევრი. 2015 წელს ბელგიის მეფე ფილიპესგან მიიღო გრაფის ტიტული)* გვ. 259

ჰიბათულა ახუნდზადე - რადიკალური ისლამური მოძრაობის „ტალიბანის“ მოქმედი ლიდერი 2016 წლიდან... *(პუშტუნი. 1980-იანი წლებიდან აქტიურად იყო ჩართული საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1994 წელს ჩაერთო ახალგაზრდა თალიბების მოძრაობაში. ყანდაარში მოღად მუშაობდა მსხვილ მედრესეში, სადაც ათასობით ტალიბი, ანუ მოსწავლე-სტუდენტი სწავლობდა. 2001 წელს ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის ძალების შესვლის შემდეგ, ტალიბანის მოძრაობის უღემთა საბჭოს მთავარი ყადი და „ტალიბანის“ ფუძემდებლის მუღა ომარის ერთ-ერთი მრჩეველი გახდა. 2001 წლიდან 2016 წლამდე მას არ დაუტოვებია ავღანეთის ტერიტორია, თავს აფარებდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილებს პაკისტანის საზღვრის გასწვრივ. 2013 წელს გავრცელდა ინფორმაცია მუღა ომარის სიკვდილის შესახებ, მაგრამ ტალიბების ცნობით მუღა ომარის სიკვდილი მხოლოდ 2015 წლის 30 ივლისს დადასტურდა. 2016 წლის 25 მაისს ჰიბათულა ახუნდზადე ტალიბანის მოძრაობის ლიდერად და უმაღლეს მთავარსარდლად დაინიშნა. ამის შემდეგ ახუნდზადე საჯაროდ არ გამოჩენილა, ხოლო პრესამ რამდენჯერმე გაავრცელა ინფორმაცია მისი სიკვდილის, კორონავირუსითაც კი, შესახებ, მაგრამ ოფიციალურად არ დადასტურებულა. 2021 წლის აგვისტოს ბოლოს „ტალიობანის“ მოძრაობის უმაღლესი ლიდერი ავღანეთში ჩავიდა, გაჩერდა ყანდაარის მახლობლად, სადაც განიხილავს ავღანეთის ისლამური ემირატის მომავალი მართვის სისტემის საკითხებს)* გვ. 303

ჰილარი კლინტონი - აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 2009-2013 წლებში *(აშშ-ის პირველი ლედი 1993-2001 წ.წ. აშშ-ის სენატორი ნიუ-იორკის შტატიდან 2001-2009 წ.წ. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჰილარი კლინტონი კი დამარცხდა, მაგრამ ამომრჩეველთა ხმების რაოდენობით, თითქმის 3 მილიონი ხმით გაასწრო დონალდ ტრამპს. მან 2019 წლის მარტში განაცხადა, რომ არ გეგმავს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ჰილარი კლინტონი 2020 წლის იანვრიდან ბელფასტის ქუინზის უნივერსიტეტის კანცლერად დაინიშნა 5 წლის ვადით. 2013 წელს დაჯილდოვებულია საქართველოს ოქროს საწმისის ორდენით)* გვ. 46, 47, 158, 224, 225

ჰილმი ოზქოქი - თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი 2002-2006 წლებში *(ზოგიერთი ჟურნალისტის გამოკვლევის თანახმად გენერალური შტაბის უფროსის მოკვლის მიზნით, მასზე 2004 წლის 3 თებერვალს თავდასხმა მზადდებოდა, მაგრამ მის მიერ მარშრუტის შეცვლამ გადაარჩინა სიკვდილს. ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ მოწამვლის შიშით გენერალი ოზქოქი სახლიდან ატარებდა თავის საჭმელს, მაგრამ თვითონ უარყოფს ამ ცნობას. 2007 წელს აგორებული „ერგენეკონის“ სამხედრო გადატრიალების გამოძიებისას, ჰილმი ოზქოქი რამდენჯერმა დაკითხვებზე დაიბარეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი დაუდგინეს)* გვ. 222

ჰიქმეთ ჩეთინი - თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი 1991-1994 წლებში *(თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარე 1997-1999 წ.წ. ავღანეთში ნატოს სამოქალაქო მისიის ხელმძღვანელი 2003-2006 წ.წ. 1992 წლის 21 მაისს თბილისში თურქეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების აქტზე ხელის მომწერი დიპლომატი)* გვ. 21, 22, 82

ჰოსნი მუბარაქი - ეგვიპტის პრეზიდენტი 1981-2011 წლებში *(ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი 1981-1982 წ.წ. ეგვიპტის ვიცე-პრეზიდენტი 1975-1981 წ.წ. ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი 1972-1975 წ.წ. „არაბული გაზაფხულის“ შედეგად გადამდგარ ჰოსნი მუბარაქს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, პერიოდულად უმსუბუქებდნენ დანაშაულს და ბოლოს 2017 წელს გაათავისუფლეს. 2020 წელს გარდაიცვალა)* გვ. 206

ჰოშიარ ზებარი - ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი 2005-2014 წლებში *(წარმოშობით ქურთი, მასულ ბარზანის ნათესავი. ერაყის პრემიერ-მინისტრის მოადგილე 2014 წ. ერაყის ფინანსთა მინისტრი 2014-2016 წ.წ. 1990-იან წლებში დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში „ქურდისტანის დემოკრატიული პარტიის“ ქდპ წარმომადგენელი იყო. ქდპ-ის პოლიტბიუროში საგარეო ურთიერთობებს კურირებდა, ანუ ერაყის ქურდისტანის არაფორმალურ საგარეო საქმეთა მინისტრს წარმოადგენდა)* გვ. 223

ჰულუსი აქარი - თურქეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი 2018 წლიდან... *(თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი 2015-2018 წ.წ. 2016 წლის 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის დროს მეამბოხეებმა მძევლად აიყვანეს, მაგრამ მეორე დღეს გაათავისუფლეს. სირიაში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას მეტად აქტიური და პრინციპული გადაწყვეტილებებს ღებულობდა. 2017 წლის 29 მარტს საზეიმოდ გამოაცხადა სირიაში ქურთების წინააღმდეგ ჩატარებული „ევფრატის ფარის“ ოპერაციის წარმატებით დასრულება, რის შემდეგაც ქვეყნის პრეზიდენტმა ძალიან მალე თავდაცვის მინისტრად დანიშნა)* გვ. 28, 65, 125, 160, 169, 170, 186, 214, 235, 250, 253, 289, 291, 295

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თ უ რ ქ ე თ ი ს ს ა გ ა რ ე ო პ ო ლ ი ტ ი კ ა

ლექციების კურსი

II ნაწილი

პუბლიკაციები

ISBN 978-9941-8-4137-8
9 789941 841378

2, David Agmashenebeli Alley,13th km.
Tbilisi, 0131, Georgia
Phone: + 995 32 259 50 05/06/09